საისტორიო
ჯრებული

Historical Collections

3

Annual

Mkhedari
2013

საისტორიო ჟრებული

3

წელიწდეული

მხედარი
2013

სარედაქციო კოლეგია
ზაზა სხირტლაძე
მამუკა წურწუმია (მთ. რედაქტორი)
გოჩა ჯაფარიძე

რედაქტორი
ზაზა ხოზბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანი

Editorial Board
Gotcha Djaparidze, Zaza Skhirtladze,
Mamuka Tsurtsumia (Editor)

© ავტორები 2013

საავტორო უფლებები დაცულია. მასალის გადაბეჭდვა
რედაქციის ნებართვის გარეშე დაუშვებელია

საისტორიო კრებული
UDC (უაკ) 93/94(051.2) ს-187

ISSN 1987-7285

თბილისი 2013 Tbilisi

სარჩევი

ისტორია

I ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი? 11
ზაზა ალექსიძე

II ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში 22
ლერი თავაძე

სამხედრო ისტორია

III ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ისტორიის საკითხები 59
ნიკა ხოფერია

ქართველები უცხოეთში

IV ამბავი ერთი მამლუქისა 87
ჟან შაჰინის ცხოვრება და მოღვაწეობა
ალექსანდრე მიქაბერიძე

წყაროთმცოდნეობა

V ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ 102
ქრისტიანულ არაბულ წყაროებში
კარსტენ-მიქაელ ვალბინერი, მარიამ ნანობაშვილი

VI აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი 126
„საკჳრაოᲂს“ (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს
მეფის კონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს
XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი
თემო ჯოჯუა

არქეოლოგია

VII ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის 160
მამუკა წურწუმია

ნუმიზმატიკა

VIII გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა 197
მაია პატარიძე, ირაკლი ფაღავა

ხელოვნებათმცოდნეობა

IX წმინდა დავით გარეჯელის ქვაბი მთაწმინდის მონასტერში 266
ზაზა სხირტლაძე

X რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის ტიმპანის რელიეფი 288
ნატო ჩიტიშვილი

მოსაგონარი

XI In memoriam მერი ანთაძე (ჩადუნელი) 310
(ქართულ-ოსმალური და ქართულ-არაბული ნუმიზმატიკური კავშირების კვლევის *ისტორიისათვის)*
ირაკლი ფაღავა, მაია პატარიძე

Contents

I	Who was Abukab Zolavar? *Zaza Aleksidze*	21
II	Jahan Shah's Invasion in Georgia in 1440 *Leri Tavadze*	57
III	Army Organization and Administration in the Early Medieval Georgia: The Era of Vakhtang Gorgasali *Nika Khoperia*	85
IV	The Tale of a Mameluk: Life and Military Career of Jean Chahin *Alexander Mikaberidze*	101
V	Accounts on the Conversion of Kartli (Iberia) in Christian Arabic Sources *Carsten-Michael Walbiner (Bonn) and Mariam Nanobashvili (Tbilisi)*	125
VI	Testament to the Sakuiraoi (H-1328) Copied by Abraham of Savani in 1336, in which Constantine I, King of West Georgia is Mentioned, and Several Issues of the 14th Century History of Georgia *Temo Jojua*	157
VII	Vani and Zurtaketi Burials as a Source for the History of Medieval Georgia *Mamuka Tsurtsumia*	190

VIII Numismatic Representation of Giorgi Lasha's Coronation 254
Maia Pataridze, Irakli Paghava

IX The Cave of St. David Garejeli in the Mtatsminda Monastery 276
Zaza Skhirtladze

X Tympanum Relief of the Cathedral Church of the Transfiguration in Ruisi 302
Nato Chitishvili

წინათქმა

წარმოგიდგენთ „საისტორიო კრებულის“ მესამე ტომს, რომელშიც თავმოყრილია ნაშრომები საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, აღმოსავლეთმცოდნეობის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ხელოვნებათ-მცოდნეობისა და სამხედრო ისტორიის დარგში.

ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ ყოველი ტომის წინათქმაში ქართული ისტორიოგრაფიის საჭირბოროტო საკითხებზე მივმართავთ მკითხველს. ამჯერადაც არის ერთი საკითხი, რომლის დაძვრასაც აპირებს რედაქცია: ესაა სამეცნიერო ნაშრომების რეცენზენტების, რედაქტორებისა და მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რეცენზენტებს, რომელთა ვინაობა დასახელებულია ნაშრომში, ის საერთოდ არც წაუკითხავთ. ისეც ხდება, რომ ყველასგან პატივცემულ და დამსახურებულ მკვლევრებს ისეთი ნაშრომების რედაქტორად ვხედავთ, რომელთა სამეცნიერო დონე დაბალია და სავსეა ხარვეზებით – მათი გასწორება სამეცნიერო რედაქტორის მახვილ თვალს, წაკითხვისა და გულდასმით გაცნობის შემთხვევაში, არ უნდა გამოპარვოდა.

დასავლეთში სამეცნიერო რედაქციას სხვა ფუნქცია აკისრია. როგორც წესი, სამეცნიერო რედაქტორი ჰყავს არა ამა თუ იმ ავტორის მონოგრაფიას, არამედ რაიმე პრობლემისადმი, მოვლენისადმი ან პიროვნებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულებს, სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მასალებს. ამ შემთხვევაში რედაქტორები გულდასმით არჩევენ და რედაქტირებას უკეთებენ შესაფერის მასალას და ვრცელ და შემაჯამებელ სარედაქციო წერილში წარუდგენენ მას მკითხველს. კრებულის ყოველ სტატიას სარედაქციო წერილში სათანადო ადგილი ეთმობა, რედაქტორები მოკლედ მიმოიხილავენ და თემასთან დაკავშირებით თუ ისტორიოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, შესაბამის ადგილს უჩენენ მას. ალბათ დროა, ჩვენც გავიზიაროთ დასავლეთის ეს გამოცდილება. ვფიქრობთ, სასურველია, სამეცნიერო კრებულების გარდა, შეწყდეს სხვადასხვა ნაშრომის (წიგნი, მონოგრაფია) რედაქტირების ამჟამად ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა. ის

გადმონაშთია არცთუ შორეული წარსულისა, როცა სამეცნიერო რედაქტორი ვალდებული იყო დაეცვა იმდროინდელი გაბატონებული იდეოლოგიის მოთხოვნებიც. დღეს სამეცნიერო მონოგრაფიაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ავტორია. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ავტორს სურს, რედაქტორი შეიძლება დარჩეს, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, საჭიროა გაიზარდოს მისი პასუხისმგებლობა.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ ჩვენი კრებულის მეორე ტომიდან მოყოლებული, ყოველი ნომრის გარეკანზე შეგიძლიათ იხილოთ ღირს-შესანიშნავი არტეფაქტი საქართველოს წარსულიდან – *გიორგი მეფის ხუთჯვრიანი ბეჭედი*, რომელიც „საისტორიო კრებულის“ ემბლემად ავირ-ჩიეთ.

სარედაქციო კოლეგია

I

ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი?

ზაზა ალექსიძე

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების ძველ კოლექციაში (O/Sin) დაცულია №78 ხელნაწერი (1031 წ.), კრებული. ამჯერად, მე ამ კრებულის რამდენიმე ანდერძ-მინაწერი მაინტერესებს[1].

„ქრისტე, შეიწყალე საბა, ამენ“ (57v, 79r, 92v, 132r, 161v, 233r, 248r, 249r); „ქრისტე, შეიწყალე საბა მჭლე, ამენ“ (65r, 70v, 145v, 165v, 186v, 241v, 251r, 257r, 262r);

„ქრისტე, შეიწყალე საბა მჭლე და შეუნდვენ ბრალნი. იამბაᲲსთჳს და უცბად ჩხრეკისთვის შემინდვეთ“ (203r).

კიდევ უფრო საინტერესოა კრებულის ანდერძ-მინაწერები:

1. „ქრისტე, შეიწყალე *აბუქაბ ზოლავარი* და *შვილნი მათნი* მშჳდობით დაიცვენ ყოველთა ვნებათა სულიერთა და ჴორციელთაგან და მიჰმადლე დღეგრძელებით [სი]მრთელე და დიდებაᲲ, ამინ!“

„უფალო, საბას ცოდვანი შეუნდვენ, ამინ!

იამბაᲲსთჳს ლოცვა ყავ!

ქორონიკონი იყო სმ და ათერთმეტი (1031)“ (266r).

2. „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, დაიცევ მშჳდობით და დღეგრძელებით *აბუქაბ ზოლავარი* და *შვილნი მათნი*, ამინ!“

„უფალო, საბას ცოდვანი შეუნდვენ ამენ! იამბაᲲსთჳს ლოცვა ყავთ“ (287r).

ყველა ეს ანდერ-მინაწერი შესრულებულია ტექსტის ხელით და ვფიქრობ, ცხადია, რომ თუ საბა მჭლე გადამწერია, აბუქაბ ზოლავარი ხელნაწერის

---

[1] ხელნაწერის აღწერისა და მინაწერების ამოკითხვისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* (თბილისი, 1947), 125-31; Gérard Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï* (Louvain, 1956), 225-34, 232-4. აღწერების ავტორებს ანდერძ-მინაწერების ამოკითხვაში აქვთ არაარსებითი განსხვავებები. ვინაიდან მეც ხელნაწერის დედნით (ფოტო პირი) ვსარგებლობ, მცირე, ასევე არაარსებითი, განსხვავებები მეც მაქვს ორივეს (განსაკუთრებით გარიტის) წაკითხვების მიმართ.

მომგები (დამკვეთი) უნდა იყოს[2]. უფრო ძნელია, გაარკვიო, რა ფუნქცია აქვს იამბას. ვფიქრობ, იგი საბას მოწაფე და დამხმარე უნდა იყოს ხელნაწერის გადაწერისა და აკინძვის პროცესში. გადამწერები ზოგჯერ ხომ კალმის გამთლელებსაც კი იხსენიებდნენ ლოცვებში. ამას ქვემოთ კიდევ ერთ მინაწერში ნახავს მკითხველი.

საიდან მოხვდა №78 ხელნაწერი სინას მთაზე? რომ იგი თავიდანვე აქ არ ინახებოდა და, მით უმეტეს სინაზე არ არის დაწერილი, ცხადია ტექსტისგან განსხვავებული წვრილი ხელით შესრულებული უფრო გვიანი მინაწერების მიხედვით:

„ტკბილო მამაო, იოანე გოლგოთელო, ესე [წ]იგნაჲ, ქანქარისა თარგმანი, მომიჴსენებია ჴელითა კჳრიკე წუერდიდისაჲთა. აწ, ვითა მოიწიოს თქუენ წინაშე, მიბრძანეთ, დიად ნუგეშინის-მეცემის, ოდეს ჰამბავი ვცნა. რომელ გოლგოთას და სიონს ქველისმოქმედებანი უქმნიან უფალსა ჩუენსა, ქანქარსა დაეწყების და ვიდრე მწუხრი შაბათამდე ყოველი აქა და მაგათ რვეულთა სწერია(286r), ვითა იოანე ოქროპირსა აღუწერია. და მნებავს, რომელ მაგას წმიდა ადგილსა სამარადისოდ იკითხვოდინ. და ვინ გამოჴუნეს რაჲცა მიზეზითა, შენ დაკანონე, მე აქაჲთ კანონსა არა ვიკადრებ, და ღმერთმა სულითა იოანე ოქროპირსა თანა დაგამკჳდრენ.

იამბაჲსათჳს ლოცვა ყავთ, ღმერთმან დაგაჯეროს“ (287v).[3]

ტექსტისაგან განსხვავებული ხელით და უფრო დიდი მოცულობის გრაფემებით გრძელდება იოანე გოლგოთელის მინაწერი:

„მე, ჲოანე გოლგოთელმან, მოწაფემან სოფრონ პატრიარქისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი. ვინც ვინ გოლგოთისაგან წა[ი]ღოს, შე-მცა-ჩუენებულ, ჲუდას (ტექსტში ჲოდას) და ორიგინეს და ყოველთა მწვალებელთა თანა, ამინ “ (287v).

კიდევ უფრო გვიან და განსხვავებული ხელით არის დაწერილი ანდერძი, რომელიც განთავსებულია იოანე გოლგოთელის ანდერძის მომდევნო გვერდზე:

„[ქრისტე] შეუნდვენ ცოდვანი, ვინცა ესე წიგნი აქა მოიღო. დია კარგი და შუენიერი საკითხავნი სწერიან. შეუნდვენ, სახ[იე]რ[ო] ღმერთო, ამის მონასტრისა მაშენებელთა, ძ[უ]ელთა და ახალთა, ამინ!“ (288r).

---

[2] ჟ. გარიტი ყურადღების გარეშე ტოვებს აბუქაბ ზოლავარს და მომგებელად მიაჩნია იამბა, ხოლო გადამწერად საბა. იხ. Garitte, *Catalogue des manuscrits*, 234.

[3] უცნაურია, მაგრამ 287v-ზე ბუნებრივად გადასული ანდერძის ტექსტი განსხვავებულ ხელს უჩვენებს. ვგულისხმობ არა მხოლოდ დუქტუსში განსხვავებას, არამედ განსხვავებებს გრაფემათა მოხაზულობაშიც, მაგ. † (ქ-ანი).

ამრიგად, ხელნაწერის ისტორიისათვის ორი საყრდენი თარიღი გვაქვს. ერთი აბსოლუტური, მისი დაწერის თარიღი – 1031 წელი, ხოლო მეორე ფარდობითი, იამბას მიერ ხელნაწერის გაგზავნა იოანე გოლგოთელისათვის სოფრონიუს იერუსალიმელის ზეობაში – 1084 წლამდე. იერუსალიმის პატრიარქის ზეობის დასაწყისი უცნობია, ასევე უცნობია სოფრონიუსის წინამორბედის იოანიკის ზეობის ბოლო წელი. სამაგიეროდ, გვაქვს კიდევ ერთი თარიღი იოანე გოლგოთელის მამასახლისობასთან დაკავშირებით:

„დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოღუაწებითა ღ(მერ)თშემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა *იოვანე გოლგოთელისაჲთა*. უფალმან ღმერთმან ამათ ყოველთა წმიდათა თანაზიარ-ყავნ სული მათი, ამენ! დაიწერნეს და განსრულდეს *ქორონიკონსა სჲთ* (1049) ჴელითა საწყალობელისა და ყოვლად განწირულისა და უმეტესად ყოველთა ადამეანთა შეცთომილისა მიქაელისითა, წმიდანო ღუთისანო, გევედრები დაკლებულისა და ცდომილისათჳს შეინდვეთ და კნინისა შურომისათჳს ლოცვა ყავთ. რომელი რაიმე მარჯუედ იყოს კეთილისა და ტკბილისა მოძღურისა მადლითა არს და რომელი დაკლებული იყოს, ჩემგან არს, უკეთურისა და ყოვლად მცთომისა. შემინდვეთ და ლოცვა ყავთ, წმიდანო ღვთისანო. ვინ ესე წიგნი, რაჲცა მიზეზითა გოლგოთისაგან გამოაჴუას, შე-მცა-ჩუენებულ არს ვითარცა ყოველნი მწვალებელნი და სულიმცა მისი დაშჯილ არს მათ თანავე განუჴსნელად.

შეიმოსა ჴელითა კურთხეულისა ძმისა ნისთერეონისათა. ღმერთმან აკურთხენ და მადლი მიეცინ სულსა მისსა. ლოცვა ყავთ მისთჳს, წმიდანო მამანო;

პავლესთჳსცა ლოცვა ყავთ, დიად ამაშენა დანაისა ლესვითა“ (285r).[4]

ამრიგად, იოანე გოლგოთის მამასახლისია უკვე 1049 წელს. ცხადია, სოფრონიუს პატრიარქი მისი მასწავლებელი იქნებოდა მანამ, სანამ იოანე გოლგოთის წინამძღვარი გახდებოდა. ამიტომ სოფრონიუსის პატრიარქობის დასაწყისიც რამდენიმე წლით წინ უნდა გადაიწიოს. მოსალოდნელია, რომ იამბამ ხელნაწერი მას გაუგზავნა მამასახლისობის დასაწყისის აღსანიშნავად 1049 წლის ახლოს, დაახლოებით 18 წლის შემდეგ მისი გადაწერიდან. ისევე, როგორც შავი მთიდან იოანე ღვთისმეტყველის 1040 წელს გადაწერილი

---

[4] *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H)*, ტ. V, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ (თბილისი, 1949), 232-3. იხ. აგრეთვე, А. Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности* (С.Петербург, 1889), II, 40-1.

შრომების კრებული გაუგზავნეს ახლად აშენებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარ პროხორეს.

ვფიქრობ, ამ დროისათვის ცოცხალი აღარ არის საბა მჭლე, რაც საშუალებას აძლევს იამბას ხელნაწერი გაუგზავნოს გოლგოთის წინამძღვარს იოანეს, კვირიკე წვერდიდის ხელით.

ხელნაწერის ბოლო ადგილმონაცვლეობის (გოლგოთიდან სინამდე) თარიღს ანდერ-მინაწერი არ იძლევა, მაგრამ ადგილის შეცვლა ფაქტია: მისი ავტორი იოანე გოლგოთელის წყევისაგან დასაცავად შენდობას ითხოვს იმ პირისთვის, ვინც იგი გოლგოთიდან, როგორც ჩანს, წმ. ეკატერინეს მონასტერში გადაიტანა. მოსალოდნელია, რომ ეს მოხდა XII ს-ის დასაწყისში, როდესაც ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ (1099 წ.) მართლმადიდებელი პატრიარქები გადასახლდნენ კონსტანტინოპოლში.

მაგრამ სად უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ხელნაწერი გადაიწერა და საიდან გაუგზავნა იამბამ იგი იოანე გოლგოთელს? ანალოგიას თუ მივმართავთ, უნდა გავიხსენოთ 1040 წელს შავ მთაზე, კალიპოს მონასტერში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის პროხორესათვის გადაწერილი და შეკაზმული ხელნაწერი.[5] მაგრამ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. წმიდა მიწაზე არსებული ქართული კოლონია სთხოვდა შავი მთის მოღვაწეებს, პირველ რიგში გიორგი მთაწმიდელს, ახლად თარგმნილი წიგნებით გაემდიდრებინათ მათი ბიბლიოთეკები.[6] ეს ინფორმაცია განსჯის საშუალებას კი იძლევა, მაგრამ გადამწყვეტი არ არის, რადგან ქართული ხელნაწერები იერუსალიმისკენ მიემართებოდა ათონიდან და საქართველოს სხვადასხვა სამწერლობო ცენტრებიდანაც, განსაკუთრებით, ტაოდან.

დასმული კითხვის გასარკვევად, დავუბრუნდეთ ახლა ჩვენს საძიებელ პირს აბუქაბ ზოლავარს.

აბუქაბი, ცხადია, საერო პირია, ხოლო „ზოლავარი“ მისი საერო თანამდებობაა. „ზოლავარი“ რომ დისიმილირებული ფორმაა „ზორავარისა“, საეჭვო არ უნდა იყოს. თვითონ ზორავარი აშკარად სომხურიდან ნასესხები სიტყვაა զօրավար<զաւրավար (სომხ. ზორავარ ნიშნავს სარდალს, სიტყვა-სიტყვით ჯარის განმგებელს). ჟ. გარიტი ზოლავარს თარგმნის დუკად ან სტრატელატად. ქართულ მწერლობაში ეს ტერმინი შემოსულია ტაოდან, სადაც ქართულ-სომხური მოსახლეობა იყო და იხმარება X-XI სს-ში მხოლოდ ბიზანტიაში

---

[5] Цагарели, *Сведения,* 43-4*;* თედო ჟორდანია, *ქრონიკები*, I (ტფილისი, 1892), ახალი გამოცემა (თბილისი, 2004), 180; Wakhtang Z. Djobadze, *Materials for the Study of Georgian Monasteries in the environs of Antioch on the Orontes* (Louven, 1976), 10.

[6] ელენე მეტრეველი, „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, I (თბილისი, 2007), 90-1.

მოღვაწე სარდლების აღსანიშნავად: ჩორდვანელ ზორავარი (977 წ.), სულა ზოლავარი (1040 წ.), ზორავარი აღმოსავლეთისაჲ გრიგოლ ბაკურიანის ძე (-1086 წ). ცხადია, ამათ რიგს უნდა მივაკუთვნოთ აბუქაბ ზოლავარიც და მისი წარმოშობა უნდა ვეძიოთ ტაოში, ხოლო მოღვაწეობის ზენიტი – ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან.

ვნახოთ, რა ხდება 1031 წლამდე და მასთან ახლოს საქართველოსა და, განსაკუთრებით, ტაოში. სუმბატ დავითის ძე გვამცნობს:

„გარდაიცვალა გიორგი [I], მამაჲ ამისი ბაგრატისი [IV] , თრიალეთს... ქორონიკონსა სმზ (1027), თუესა აგჳსტოსა იე (15)... და დაჯდა შემდგომად მისსა მეფე ძე მისი ბაგრატ ცხრა წლისაჲ. ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოჲსა[ანი], რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი. განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს [VIII], ძმასა ბასილი [II] ბერძენთა მეფისასა (976-1025), რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო (1025-1028).

და წელსა მეორესა (1028 წ.) გამოგზავნა კონსტანტინე მეფემან პარკიმანოსი თჳსი მიუწდომელისა ძალითა, ლაშქრითა თჳსითა და განძითა ურიცხჳთა ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისაცა. მოვლო და მოაოჭრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჭრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა, რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდეკართასა, სადა-იგი იყვნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად. და განდგეს კუალად აზნაურნი, და მისცნეს ციხენი. ჩანჩახმან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფთისა, და თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს“.[7]

მთელი ეს ისტორია დახლოებით ასევე აქვს მოთხრობილი „მატიანე ქართლისაჲსაც“.[8] შემთხვევით არ მოდის ბიზანტიელთა ლაშქარი საქართველოში „განძითა ურიცხჳთა“. ძალისა და „განძის“ ერთიანობისთვის წინააღმდეგობის გაწევა ტაოსა და ქართლის აზნაურებს აღარ შეუძლიათ და მიდიან საბერძნეთს (ანუ ბიზანტიას). სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ამ მოვლენების თვითმხილველი სომეხი იხტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტელი (XI ს.):

„[თავისი მეფობის] მეორე წელს (1026 წ.) მეფემ (კონსტანტინე VIII) აღმოსავლეთ მხარეში გააგზავნა მმართველად ვინმე საჭურისი ნიკიტა, რომელიც მოვიდა საქართველოში და მაცთური სიტყვებით

---

[7] *ქართლის ცხოვრება*, რედ. რ. მეტრეველი (თბილისი, 2008), 373-4.

[8] იქვე, 278.

ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და [ბიზანტიის] მეფის კარზე გააგზავნა. ეს რომ [მეფემ] იხილა, გაიხარა, პატივი სცა მათ დიდი ძღვენით და სახელისუფლო ჩინით, თვითეულ მათგანს უბოძა ღირსებისამებრ სოფლები და დაბები ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდრეოდ“.[9]

ამათ შორის უნდა ყოფილიყო სპანდაღუდ ტბელის ძე, პატრიკიოსი და ლაოდიკეის სტრატეგოსი, რომლის ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწეობა დადასტურებულია ბალატუნუსის 1031 წლის ორენოვან წარწერასა და შავ მთაზე, კალიპოს მონასტერში 1040 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძებში.[10] ჩემი ყურადღება ტაოსკენ არის მიპყრობილი და აქედან წასულებს შორის ვეძებ აბუქაბ ზოლავარს. მართლაც, ამ სახელის მქონე მოხელე დასტურდება დავით კუროპალატის კარზე. ეს არის სომხურ წყაროში (მათეოს ურჰაელი) დადასტურებული დავითის „საწოლის მეკრე“ ან „მესაწოლე“ (სომხ. Վրանապահ ვრანაპაჰ-ი, ბერძნ. παρακοιμένος პარაკოიმენოს, ქართულ წყაროებში ბერძნულიდან შემოსული „პარკიმანოზ“-იც) - აპუქაპი.

„პარაკოიმენოსი“ ბიზანტიაში IX ს-მდე ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა იყო იმპერიის კარზე და ზოგჯერ პრემიერ მინისტრის ფუნქციასაც ასრულებდა. შემდეგ ამ სახელომ თანდათან დასუსტება დაიწყო, მაგრამ სერიოზული გავლენა მაინც შეინარჩუნა. XI ს-ის 20-იან წლებში აღმოსავლეთისა და იბერიის თემის მმართველად ბიზანტიის კეისრის მიერ გამოგზავნილი სიმონი „პარაკოიმენოსის“ ტიტულს ფლობდა და ქართულ წყაროებში „პარკიმანოზად“ მოიხსენიება. ბუნებრივია, რომ დავით კურაპალატის კარზეც ეს თანამდებობა სახელმწიფოში გავლენიანი იქნებოდა, თუმცა უფრო გვიანი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ეს გავლენა ოფიციალური არ უნდა ყოფილიყო. მაგალითად, „საწოლის მეკრეს“ დარბაზობაზე შეეძლო მეფის ნებართვის გარეშე არავინ დაეშვა.

XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაელი (ედესელი) თავის „ჟამთააღმწერლობაში“ მოგვითხრობს:

„სომხური წელთაღრიცხვის 479 (1030) წელს რომაელთა მეფემ რომანოსმა შეკრიბა სრულიად ბერძენთა ქვეყნის ლაშქარი, ისწრაფა დიდი [ჯარით] მიეღწია ტაჭიკთა (არაბთა) ქვეყნისათვის. მივიდა და დაბანაკდა ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ეწოდება აზაზ, ქალაქ ალეპომდე. ტაჭიკებმაც ურიცხვი ლაშქარი შეკრიბეს და რომანოს მეფის წინააღმდეგ

---

[9] *Պատմութիւն Արիստակիսի Լաստիվերտցւոյ*, Աշխատաբանությամբ Կ.Ն. Յուզբաշյանի (Երեվան 1963), 41.

[10] ზაზა ალექსიძე, „ბიზანტიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო”, *ანალები*, 7 (2011), 29-60.

გამოვიდნენ. მეფეს თავზარი დაეცა და ვერ გაბედა ტაჭიკთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად გასულიყო რადგან სუსტი და გაუბედავი კაცი იყო... ამიტომ ჯარი მასთან ერთობაში არ იყო და განზრახული ჰქონდათ ტაჭიკთა კარის შუაში მყოფი მიეტოვებინათ და პირი ებრუნებინათ, რათა უსამართლო მეფე დაღუპულიყო.

მაშინ *მისი ჯარის ერთ-ერთმა მთავარმა, რომელსაც ეწოდებოდა აპუქაპი*[11] *და წინათ ქართველთა დავით კუროპალატის საწოლის მცველი იყო*, შეატყობინა მეფეს ჯარის ვერაგობა".[12]

რომანოს III ძლივს გადაურჩა სიკვდილს და დაბრუნდა კონსტანტინოპოლში. 1031 წლის დასაწყისში ედესაში (ურჰა) შიდა სამოქალაქო ომი დაიწყო, რამაც ქალაქსა და მის მცხოვრებთ დიდი უბედურება მოუტანა. შიდა ომის ერთ-ერთმა მთავარმა მონაწილემ, სალმანმა, რომელიც დარწმუნდა, რომ არეულობებს ბოლო არ ექნებოდა, მისწერა წერილი რომაელთა ჯარების სარდალს გიორგი მანიაკს, რომ ჩააბარებდა ქალაქს, იმ პირობით, თუ სამეფო კარზე შესაფერ ადგილს მოუპოვებდა. მანიაკი 400 კაცით შევიდა ედესაში და ჩაიბარა ქალაქის გასაღები. ამით ედესამ მშვიდობა ვერ ნახა. მუსლიმებმა გაერთიანებული ძალებით შეუტიეს ქალაქს.

„ასეთ შევიწროვებაში იყო ურჰა, სანამ არ გაძლიერდა ქალაქი და არ დაამარცხა მტერი. იქმნა მათ შორის სიყვარული და მშვიდობამ დაისადგურა ურჰაში და დაცხრა ქრისტიანთა დევნა. ყოველივე ეს მოხდა აშოტ ბაგრატუნისა[13] და პეტროს სომეხთა კათალიკოსის დროს.[14] [მაგრამ] ტუღრილ სპარსთა სულთნის ბატონობის დროს ტაჭიკებმა დაიპყრეს ურჰა.

ყველა ამ თავგადასავლის, შევიწროებისა და ვნებათა შემდეგ რომანოსმა შეცვალა მამაცი მანიაკი და ურჰა მისცა აპუქაპს, დავით კუროპალატის საწოლის მცველს".[15]

აპუქაპი, მათეოს ურჰაეცის გამოთვლით, ედესის დუკა გახდა 1031 წლის ზაფხულში.[16] ცხადია, სინური ხელნაწერის აბუქაბ ზოლავარი და დავით კუროპალტის საწოლი მეკრე, შემდეგში ბიზანტიის ჯარების

---

[11] მათეოს ურჰაელის უახლეს ინგლისურ თარგმანში აპუქაპ ყველგან მოცემულია აბუქაბ ფორმით, ზუსტად ისე, როგორც ეს გვაქვს სინური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში. იხ. *Armenia and the Crusades Tenth to Twelfth Centuries: The Chronicle of Matthew of Edessa,* translated from original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dosturian (Lanham, 1993).

[12] *Մատթէոս Ուռհայեցի, Ժամանակագրութիւն* (Վաղարշապատ 1898), 57

[13] აშოტ IV (1021-1039).

[14] პეტროს I გეტადარძი (1019-1058).

[15] *Մատթէոս Ուռհայեցի, Ժամանակագրութիւն*, 64.

[16] ჩვეულებრივ მიღებულია 1032, რაც არასწორი გამოთვლის შედეგი უნდა იყოს.

სარდალი (ზორავარი) და ედესის დუკა აპუქაპი ერთი და იგივე პიროვნებაა. გარდა სახელების დამთხვევისა, ემთხვევა მათი მოღვაწეობის წლები და, სავარაუდოდ, ადგილებიც.

აბუქაბ ზორავარი 1031 წელს აღწევს თავის მოღვაწეობის პიკს, ხდება ედესის დუკა და სწორედ იმავე 1031 წელს, ალბათ, ამ ამბის აღსანიშნავად იგი შავი მთის რომელიღაც მონსტერისთვის უკვეთავს უაღრესად მნიშვნელოვან ხელნაწერს.

ძნელია იმის თქმა, თუ რა ხნის იქნებოდა 1031 წელს აბუქაბი. ვ. არუთინოვა-ფიდანიანს იგი ტაოში ყოფნის დროს უბრალოდ დავით კუროპალატის პირადი მცველი ჰგონია, ამიტომ ვარაუდობს, რომ მაშინ იგი დაახლოებით 15-20 წლის ჭაბუკი იქნებოდა. რა თქმა უნდა, საწოლის მცველი (საწოლის მეკრე) ან მესაწოლე გაცილებით უფრო სერიოზული მოვალეობა იყო, რომ უწვერული მამაკაცისთვის ჩაებარებინათ (ბიზანტიის იმპერატორის კარზე ისინი სწორედ წვეროსნები იყვნენ). ამიტომ, ვფიქრობ, დავით კუროპალატის კარზე აბუქაბი 25 წლისა მაინც იქნებოდა, ხოლო ედესის გასაღებს დაახლოებით 55 წლის ასაკში ჩაიბარებდა.

ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში კიდევ ერთხელ გვხვდება აბუქაბის მოხსენიება, მაგრამ მაშინ ის ჯერ კიდევ ტაოშია, არა ყავს შვილი (შვილები) და არ არის ზორავარი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის A ფონდში დაცულია კრებული (N397), რომელსაც X-XI სს-ით ათარიღებენ. სხვა მინაწერებთან ერთად აქ გვხვდება აბუქაბისაც:

„ქრისტე, შეიწყალე *აბუქაბ*“ (122v). ტექსტი ნაწერია გაკრული ნუსხური ხელით.[17]

ბიზანტიის კარზე პარაკოიმენოსები, ჩვეულებრივ, საჭურისები იყვნენ. ტაოში ასე არა ყოფილა, რადგან აბუქაბს შვილები ჰყავდა. ამისათვის მკითხველს მინდა შევახსენო O/Sin78-ის აბუქაბ ზოლავართან დაკავშირებული ორი ანდერძი:

> „ქრისტე, შეიწყალე აბუქაბ ზოლავარი და *შვილნი მათნი* მშვიდობით დაიცვენ ყოველთა ვნებათა სულიერთა და ჴორციელთაგან და მიჰმადლე დღეგრძელებით [სი]მრთელე და დიდებაჲ, ამენ!“
>
> „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, დაიცევ მშჳდობით და დღეგრძელებით აბუქაბ ზოლავარი და *შვილნი მათნი*, ამენ!“

მათეოს ურჰაელი სომხური წელთაღრიცხვის 526 წლის (1077/1078) მანძილზე მომხდარი ამბების აღწერისას წერს:

---

[17] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, ტ. I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1985), 182.

„ამ ხანებში ვასილიმ[18], ძემ აპუქაპისა, რომელიც წინათ იყო საწოლის მცველი დავით კურაპალატისა,[19] ფილარეტუსის ბრძანებით შეკრიბა მხედრობა და გაილაშქრა ქალაქ ურჰაზე. დიდი ბრძოლებით ექვსი თვე ავიწროებდა ქალაქს. იმავე წელს ვასილიმ ააგო კედელი ციხე-ქალაქისა, რომელსაც ეწოდება რნაპოლისი[20], რომელიც ააშენა ჰრომთა მეფემ რომანოსმა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეავიწროვა ქალაქი ურჰა. მაშინ მოქალაქეები აუჯანყდნენ თავიანთ დუკას... იმავე დღეს [მოქალაქეებმა] ჩააბარეს ურჰა ვასილ აპუქაპის ძეს. რომელიც იყო კაცი კეთილი და ღმრთისმოყვარე, მოწყალე ქვრივ-ოხერთა, მშვიდობისმყოფელი და ქვეყნის აღმშენებელი. *წინათ მამამისი აპუქაპი იყო დაყენებული ქალაქ ურჰას [დუკად]. მან აღაშენა და განაგო მთელი მხარე.* ეს მოხდა სომეხთა წელთაღრიცხვით 526 წელს (1077/1078)“.[21]

ცხადია, საინტერესოა აბუქაბის/აპუქაბის ეროვნება. პირველი, ვინც ამ საკითხს შეეხო, იყო მ. ბროსე, რომელსაც აბუკაპი და მისი შვილი ვასილი თორნიკესთან, ვარაზვაჩესთან, გრიგოლ ბაკურიანის ძესთან და ბიზანტიაში მოღვაწე ბევრ სხვა მათ თანამედროვეებთან ერთად ქართველებად მიაჩნია.[22]

ჰრ. აჭარიანიდან მოკიდებული[23] სომეხ მეცნიერთა უმეტესობა, ვინც ამ საკითხს შეხებია, დარწმუნებულია, რომ აბუქაბი/აპუქაბი სომეხია ან სომეხი ქალკედონიტი. ამ მხრივ განსაკუთრებით პროდუქტიულია ვ. არუთინოვა-

---

[18] დედანში იკითხება ვასილ, ამიტომ მოთხრობით ბრუნვაში უნდა ყოფილიყო ვასილმა. მე გადავწყვიტე სწორი ფორმა მომეცა თარგმანში.

[19] მათეოს ურჰაელის ტექსტის გამომცემელმა ისარგებლა 5 ხელნაწერით და ერთი იერუსალიმში უფრო ადრე (1869 წ.) გამოცემული ტექსტით. ამათგან ოთხ ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტში, რომელიც თავის მხრივ ორ ხელნაწერს ეყრდნობა (ანუ ყველა მის წყაროში), ამ ადგილას, დავით კურაპალატთან მოცემულია განმარტება: „დავით კურაპალატისა, ქართველთა მთავრისა“ (Դավթի կուրապաղատտին վրաց իշխանին), ხოლო ერთ ხელნაწერში წერია: „დავით ქართველთა ქვეყნის კურაპალატისა“ (Դավթի կուրապաղատտին վրաց աշխարհին). ეჭვი არა მაქვს, რომ მათეოსის თავდაპირველ ტექსტში ეწერა „დავითის, ქართველთა ქვეყნის კურაპალატისა“, ხოლო გადამწერს აერია ორი მსგავსი სიტყვა „იშხანინ“ (իշխանին) და „აშხარჰინ“ (աշխարհին). გაუგებარია რატომ, მაგრამ გამომცემელმა აირჩია არარსებული ვარიანტი, რომელშიც დავითი მოხსენიებულია იმ ქვეყნის დასახელების გარეშე, რომლის კუროპალატიც იყო. მათეოს ურჰაელის ინგლისურად მთარგმნელი ა. დოსტურიანიც ბრმად მიჰყვება 1898 წლის გამოცემას და არ ითვალისწინებს მის სქოლიოში მოცემულ ვარიანტებს.

[20] რომანოპოლისი.

[21] *Մատթէոս Ուռհայեցի, Ժամանակագրութիւն,* 216.

[22] Marie Félicité Brosset, *Additions et éclaircissemants a L'Histoire da la Géorgie depuis l'antiqu'en jusqu'en 1469 J.-C.* (St.-Pétersbourg, 1851), 219.

[23] Հրաչյա Աճառյան, Հայոց անձնանուանների բառարան (Երեվան, 1942), I, 202; Հրաչյա Աճառյան, Հայոց անձնանուանների բառարան (Երեվան, 1962), V, 276.

ფიდანიანი, რომელიც თავს თვლის ნ. მარის სომეხი ქალკედონიტების შესახებ ჰიპოთეზის თანამედროვე რეალიზატორად.[24]

არ არსებობს არცერთი ურყევი არგუმენტი, გარდა რწმენისა, რომ ტაოდან გამოსული არისტოკრატებიდან ბიზანტიის არმიის ყველა მოხელე და სარდალი ეთნიკურად სომეხია, ხოლო სარწმუნოებით ქალკედონიტი. აბუქაბის ვინაობის განსასაზღვრავად ობიექტური მონაცემები რომ არ არსებობდა, ამას კარგად ხვდებოდა ა. კაჟდანი. ამიტომ აპუქაპების საგვარეულოს სომხურ-ქართულ საგვარეულოს უწოდებდა.[25] დაახლოებით ასეთივე პოზიცია ჰქონდა ჟ. დედეიანსაც („ქართველი ან სომეხი ქალკედონიტი"), რომლის შეხედულება უფრო გვიან, რბილად, მაგრამ მაინც დაუახლოვდა ვ. არუთინოვა-ფიდანიანის რწმენას („აპუქაპის, უფრო მოსალოდნელია, სომხური სახლი, ქართული ორიენტაციის მართლმადიდებელი სარწმუნოების").[26] აპუქაპებს ქართულ-სომხურ საგვარეულოს უწოდებს პ. ხარანისიც.[27]

რა თქმა უნდა, გენეტური საკითხების გამოკვლევა ძნელია, თუკი არა გვაქვს ისეთი პირდაპირი მითითება, როგორიცაა იმავე მათეოს ურჰაელის ცნობა გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ („ნათესავით ქართველი"). ზემოთ მოტანილი მასალის საფუძველზე აბუქაბ ზოლავარის შესახებ კი შემიძლია უყოყმანოდ ვთქვა, რომ იგი ენობრივად, კულტურულად და სარწმუნოებრივად ქართველია და ქართულ გარემოს უცხოეთშიც კი არ წყდება.

საერთოდ კი, მინდა ჩემი წერილი ერთი რიტორული კითხვით დავამთავრო: თუ დავით კუროპალატი, ქართველთა მეფე, სომეხია როგორც ეთნიკურად, ისე ენობრივად და კულტურულად;[28] ასევე სომხურია ეთნიკურად, ენობრივად და კულტურულადაც მისი სამეფო კარი; სომეხი და სომხურენოვანია ტაოდან გამოსული ყველა გამოჩენილი მოღვაწე ბიზანტიაში, დამაარსებლები ათონზე ივირონის მონასტრის, სირიაში შავი მთის და ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრების, ქართული მწერლობის უძლიერესი კერებისა, სომხურია

---

[24] Виада А. Арутюнова, "Византийские правители Эдессы в XI в.," *Византийский временник*, 35 (1975), 141-54; მისივე, *Армяно-византийская контактная зона (X-XI вв.)* (Москва, 1994), 84-5.

[25] იხ. Александр П. Каждан, *Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI-XII вв* (Ереван, 1975), 67-71; მისივე, "На службе империи: Апокапы и Вхкаци", *Вестник ПСТГУ, Филология,* III, Вып. 4 (26) (2011), 66-76.

[26] Gérard Dédéyan, "Les princes arméniens de l'Euphratése et l'Empire Byzantyn (fin XI-milieu XII s.)," *L'Arménie et Byzance* (Paris, 1996), 82; მისივე, "Le Role des arméniens en Syrie du Nord pendant la reconquete Byzantine (vers 945-1031)", *Byzantinische Forshungen* (Amsterdam, 1999), 274.

[27] Peter Charanis , *The Armenians in the Byzantine Empire* (Lisbon, 1963), 47-8.

[28] Հ. Մեսրոպ Ճանաշեան, *Դաւիթ Կիւղապալատ (Պատմական ուսումնասիրութիւն)* Ղ.Վենետիկ Ս.Ղազար, 1972).

ტაოში აშენებული ყველა ეკლესია, ქართული არქიტექტურული სტილით, ფრესკებითა და წარწერებით, რა ძალა აკარგვინებდა „სომეხ ქალკედონიტებს“ თავიანთ მამა-პაპის სარწმუნოებას, რატომ უწყობდნენ ხელს ისინი ქართული მწერლობის განვითარებას, რატომ აშენებდნენ და აძლიერებდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შინ და გარეთ, ამკობდნენ ქართული ფრესკებით და წარწერებით, რატომ წერდნენ და მეტყველებდნენ თვითონაც ქართულად?

ვიცი, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი, მაგრამ კვლევა ხომ სწორედ მსგავსი კითხვების დასმით უნდა დაიწყოს და არა პირდაპირ სასურველი პასუხებით.

Who was Abukab Zolavar?

Zaza Aleksidze

Summary

The present article demonstrates that certain Abukab Zolavar (resp. Zoravar), who is mentioned twice together with his children in a manuscript from Mt. Sinai of 1031 (Old Collection N78), is most probably also the donor of the same manuscript. Arguably, the manuscript has been copied in one of the monasteries at Black Mountain by Saba Mchle through the assistance of his pupil Iamba. Around 1049, Iamba presented the manuscript to Ioane (John) of Golgotha, the hegumen of the Monastery of Golgotha in Jerusalem. Near the turn of the 12th century, the manuscript was taken to St. Catherine's Monastery of Mt. Sinai.

There exists a similar colophon belonging to Abukab but without any further titles in a manuscript copied in Tao probably in the early 11th century.

According to the Georgian and Armenian sources, in 1028 the general of the Byzantine Emperor Niketas the eunuch by force and bribe took a number of Georgian nobility to Constantinople, where they were granted titles and considerable amount of property in the eastern provinces of Byzantium. One of them must have been the tent-guard of Davit Kouropalates of Tao Abykab/Apukap. Abukab excelled in the battles for Edessa and received the title of Doukas of Edessa. In 1077 the title of Doukas was inherited by Abukab's son Vasili.

It is noteworthy that by 1030s there are two Georgian generals ruling in the north and south of Syria: Abukab Zoravar in Edessa, and Spandaghut Tbeli in Laodiceia.

II

ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში

ლერი თავაძე

საქართველოს ისტორიაში XV საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო პერიოდია. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ერთიანი ქართული მონარქიის დაშლა სამეფო-სამთავროებად და მისი იურიდიული გაფორმება.[1] საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესი, ბუნებრივია, XV საუკუნეში არ დაწყებულა; ის უფრო ადრე, მონღოლების შემოსევის შედეგად, XIII საუკუნეში იწყება, თუმცა გიორგი V ბრწყინვალის (1318-46) დროს ქვეყანა კვლავ ერთიანდება.[2] საბოლოოდ, XV საუკუნეში საქართველო სამ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ დაიშალა. ამ დაშლილობის ერთ-ერთ მიზეზად საგარეო ფაქტორი განიხილება.[3] XV საუკუნეში საქართველოს საგარეო გამოწვევები თურქმანული სახელმწიფოების ექსპანსიასთან არის დაკავშირებული, უფრო ზუსტად კი ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნიანები) და აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიანები) თურქმანული ტომების შემოსევებთან.[4] ამათგან, ყარა-

---

[1] M.-F. Brosset, *Histoire De La Géorgie Depuis L'antiquité Jusqu'au XIXe Siècle*: *1er partie Histoire Ancienne, jusqu'en 1469 de J.-C* (S.-Pétersbourg 1849), 678-89; ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. IV (თბილისი, 1967), 15-201; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III (თბილისი, 1979), 720-52; *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, ტ. III, *საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე*, რედ. მიხეილ სამსონაძე (თბილისი, 2012), 104-40.

[2] Brosset, *Histoire De La Géorgie Depuis L'antiquité Jusqu'au XIXe Siècle*, 1, 485-625; ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III (თბილისი 1966), 96-274; ვაჟა კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989); D.M. Lang, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314-1346), *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 17 (1) (1955), 74–91; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 527-629; გიული ალასანია, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გიორგი ბრწყინვალის მეფობაში, *საისტორიო კრებული*, II (თბილისი, 2012), 25-50; *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, III, 34-87.

[3] ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 116-23, 141-8; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 741-4; *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, III, 115-34.

[4] დავით გვრიტიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.)*, ტ. II (თბილისი, 1965), 122-6, 156-71; კარლო ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე* (თბილისი 1974), 218-23; დავით კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე* (თბილისი, 1975), 161-3, შენ. 3; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები*

ყოიუნლუს მმართველი ფადიშაჰების ლაშქრობები ძირითადად XV საუკუნის I ნახევარში ხდება. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ყარა-ყოიუნლუს ორ მმართველს: ყარა-იუსუფს (1389-1420) და მის ვაჟს, ისკანდერს (1420-38), რომლებსაც ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ბრძოლები ჰქონდათ გადახდილი საქართველოს მმართველებთან.[5] ამ პერიოდში ნაკლებად აქტიურობენ აყ-ყოიუნლუს მმართველები, მათ გააქტიურება უპირატესად XV საუკუნის მეორე ნახევარში ხდება და უზუნ-ჰასანისა (1453-78) და მისი შვილის, იაყუბ ყაენის (1478-90) მმართველობას უკავშირდება.[6] წინამდებარე წერილში შევეხებით ყარა-ყოიუნლუს კიდევ ერთი მმართველის, ჯაჰან შაჰის (1438-67) ლაშქრობის ისტორიას საქართველოს სამეფოში, რომელიც 1440 წელს მოხდა.[7]

ჯაჰან შაჰი შავბატკნიანთა თურქმანული ქვეყნის მმართველის ყარა-

საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ (თბილისი, 1978), 31-6, 40-3, 46, 60-8, 72, 77-8, 86-94, 96-100; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 1998), 6-18, 36-7, 58-75; ლერი თავაძე, „გიორგი VII გარდაცვალების მიზეზის შესახებ“, *საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, IX (2008), 40-6; *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, III, 104-8, 127-34. ამავე ხანებში გააქტიურდნენ ოსმალებიც. თუმცა, მათი ექსპანსია, რომელსაც დაპყრობები მოყვა შედეგად, XV საუკუნის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ოსმალებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ XV საუკუნეში იხ.: მირიან მახარაძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში* (თბილისი, 2005).

[5] *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 6-18.

[6] XIV-XV საუკუნეებში საქართველოს და თურქმანული ქვეყნების ურთიერთობის შესახებ არაერთი საინტერესო სტატია გამოაქვეყნა მირიან მახარაძემ. იხ. მირიან მახარაძე, „დესპინას დიპლომატიური მოღვაწეობა“, *აღმოსავლეთი: პუბლიცისტურ-შემეცნებითი ჟურნალი*, 4 (2002), 19-23; მისივე, „უზუნ-ჰასანის პირველი შემოსევა საქართველოში“, *ვალერიან გაბაშვილი 90 (საიუბილეო კრებული)* (თბილისი, 2003), 391-9; მისივე, „გიორგი VIII-ის სპარსთა მეფედ მოხსენიების საკითხის გამო“, *აღმოსავლეთი და კავკასია*, 1 (2003); მისივე, „შემოესია თუ არა თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ საქართველოს“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI (2006), 149-154; მისივე, „ქართველ მეფე-მთავრების დიპლომატიური ურთიერთობები უზუნ-ჰასანთან“, *ქართული დიპლომატია*, 13 (2006); მისივე, „კიდევ ერთხელ იმ ქართველი მეფე-მთავრების შესახებ, რომლებიც დაეხმარნენ ისმაილ I-ს სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებაში“, *აღმოსავლეთი და კავკასია* (თბილისი, 2007), 89-92; მისივე, „უზუნ-ჰასანის მეოთხე ლაშქრობა საქართველოში“, *საისტორიო კრებული*, 1 (2011), 68-74; *აბუ ბექრ თეჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, სპარსული ტექსტი თარგმნა და კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ, ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებანი დაურთო მირიან მახარაძემ (თბილისი, 2010).

[7] Brosset, *Histoire De La Géorgie Depuis L'antiquité Jusqu'au XIXe Siècle*,1, 683, n. 3; ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 37-8; გვრიტიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*, II, 133-4; ნოდარ ასათიანი, „ალექსანდრე I დიდი“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. I (თბილისი, 1975), 291; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 37-8.

იუსუფის ერთ-ერთი ვაჟიშვილი იყო. ყარა-იუსუფის გარდაცვალების შემდეგ (1420) მისი მემკვიდრეობა მის ვაჟს, ისკანდერს დარჩა, რომელსაც ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა საკუთარ ძმებთან. ისკანდერს, ყარა-იუსუფის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის შენარჩუნება მამის ვასალებთან და ძმებთან გამართული დიდი ბრძოლების შედეგად უხდებოდა, რასაც თან ერთვოდა ჩაღათაელთა ექსპანსიაც. ჩაღათას ურდოს მმართველი, თემურ-ლენგის ვაჟიშვილი, შაჰრუხი (1405-47) მამისეული იმპერიის შენარჩუნებით იყო დაკავებული. შაჰრუხის მიზანს თემურ-ლენგის მიერ დაპყრობილ აზერბაიჯანზე კონტროლის აღდგენა წარმოადგენდა, რაშიც ყველაზე მეტად შავბატკნიანთა ფადიშაჰი ისკანდერი უშლიდა ხელს. ისკანდერთან არსებული უთანხმოების გამო, მისმა ძმებმა, ერთიმეორეს მიყოლებით, შაჰრუხის ვასალად გამოაცხადეს თავი. 1433/4 წელს შაჰრუხის ვასალად გამოაცხადა თავი ისკანდერის უმცროსმა ძმამ, ჯაჰან შაჰმაც, რომელიც ამ დროისთვის საუფლისწულოდ ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებს ფლობდა. 1434 წელს ჯაჰან შაჰი შაჰრუხს ეახლა ქალაქ რეიში, სადაც ჩაღათაელთა ყაენმა იგი შავბატკნიან თურქმანთა მმართველად დაამტკიცა.[8] შაჰრუხის მესამე აზერბაიჯანული სამხედრო კამპანიის (1434-38) ფარგლებში ისკანდერი საბოლოოდ დაამარცხეს, მან თავი ალინჯის ციხეს შეაფარა, სადაც ჯაჰან შაჰისგან შევიწროებულ ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰს სიცოცხლე მისმა შვილმა, შაჰ ყუბადმა მოუსწრაფა (1438).[9] ამის შემდეგ, შავბატკნიანების მეთაური ჯაჰან შაჰი გახდა, რომელიც შაჰრუხისგან აზერბაიჯანის მმართველის უფლებებით იყო აღჭურვილი. მასვე ევალებოდა ჩაღათაელებისათვის ბაჯისა და ხარაჯის გადახდა.[10] სწორედ ამ ჯაჰან შაჰის სახელს უკავშირდება საქართველოში ორი: 1440 და 1444 წლების ლაშქრობები.[11] ამათგან, ჩვენ ყურადღებას პირველ სამხედრო კამპანიაზე შევაჩერებთ.

საქართველოში ალექსანდრე I დიდის (1412-42) მეფობის დროს მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. მათ შორის ჯაჰან შაჰის 1440 წლის შემოსევას გამორჩეული ადგილი უკავია. მიიჩნევენ რომ ჯაჰან შაჰი თავისი

---

[8] The Encyclopaedia of Islam, New Editon, ed. by E. V. Donzel, B. Lewis and Ch. Pellat, vol. 4 (Leiden, 1997), 587.

[9] The Encyclopaedia of Islam, vol. 4, 587.

[10] *The Cambridge History of Iran*, vol. VI, ed. by P. Jackson and L. Lockhart (Cambridge, 1986), 103, 113, 163.

[11] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, translated by Robert Bedrosian (New York, 1987), 99-102; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-68, 70, 72, 164-5; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 282.

ვასალის, არდებილის სულთნის წაქეზებით საქართველოში შემოიჭრა, აიღო ქალაქები სამშვილდე და თბილისი, მიწასთან გაასწორა ძველი და ახალი ეკლესიები და ქვეყანას დიდი ხარაჯა დაადო. ეს ის ხარკია, რომელსაც ჯაჰან შაჰი მანამდე ითხოვდა საქართველოს მეფისგან.[12] ამ შემოსევას უკავშირებენ ალექსანდრე მეფის გართულებულ საოჯახო მდგომარეობას და მის გადადგომას 1442 წელს.[13] თუმცა, რიგი საისტორიო წყაროების ახლებური ანალიზი, მათ შორის ახლად მოძიებული ოთხი ირანული საისტორიო ნარატივი ჯაჰან შაჰის 1440 წლის შემოსევაზე, სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს. ქვემოთ შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ შავბატკნიანთა 1440 წლის საქართველოში ლაშქრობის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალი.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ლაშქრობას შეეხო, იყო ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე, რომელმაც ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის შესახებ თოვმა მეწოფეცის ცნობები და 1444 წლის ლაშქრობასთან დაკავშირებით არსებული ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემები ერთმანეთს შეადარა.[14] ბროსეს დაკვირვებით, თოვმა მეწოფეცის მონაცემები არ შეესაბამება ვახუშტის ცნობებს – არც ქრონოლოგიური და არც ფაქტოლოგიური თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის ქრონოლოგიაში ბროსემ რამდენიმე შეუსაბამობა აღმოაჩინა, ჯაჰან შაჰის 1444 წლის ლაშქრობის სინამდვილეში ეჭვი არ შეუტანია, ხოლო თოვმა მეწოფეცის ცნობებზე დამატებითი კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.[15] შეიძლება ითქვას, რომ ჯაჰან შაჰის 1440 წლის საქართველოში ლაშქრობა მარი ბროსეს დამოუკიდებელ სამხედრო კამპანიად არ მიუჩნევია.

ივანე ჯავახიშვილი, მარი ბროსესგან განსხვავებით, უფრო თოვმა მეწოფეცის ცნობებს აძლევს უპირატესობას, ხოლო ვახუშტის ცნობას ჯაჰან შაჰის 1444 წლის ლაშქრობის შესახებ სომეხი ისტორიკოსის ცნობების კონტექსტში განიხილავს. თოვმა მეწოფეცის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ჯაჰან შაჰი საქართველოში შემოიჭრა, ჯერ სამშვილდე აიღო და ხალხი გაწყვიტა, შემდეგ ქალაქი თბილისი დაიკავა და მოთხარა ყველა – ძველი და ახალი ეკლესიები.

ამავე დროს, თოვმა მეწოფეცის ცნობების განხილვისას ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სომეხ ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი ლაშქრობის

---

[12] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 37-8; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 731-2.

[13] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 731-2.

[14] Brosset, *Histoire De La Géorgie Depuis L'antiquité Jusqu'au XIXe Siècle*, 1, 683.

[15] იქვე, 683, შენ. 3.

პოლიტიკურ შედეგებზე და აქედან გამომდინარე, ეს ინფორმაცია ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებსო.[16]

მიუხედავად გამოთქმული ეჭვებისა, ივანე ჯავახიშვილს არ უცდია არსებული ცნობების გადასინჯვა და კრიტიკული განხილვა. არც სხვა მკვლევრებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეეხნენ, შეუტანიათ მის სამართლიანობაში ეჭვი და უცდიათ კრიტიკული განხილვა.[17] ამდენად, ისტორიოგრაფიაში მყარად დამკვიდრდა მოსაზრება, თითქოს, 1440 წელს შავბატკნიანებმა თბილისი აიღეს და საფუძვლიანად დაანგრიეს, ზუსტად ისე, როგორც ქალაქი სამშვილდე, რომელიც თოვმა მეწოფეცის ცნობით, ჯაჰან შაჰს თბილისის აღებამდე დაუკავებია.[18]

საქართველოში ჯაჰან შაჰის 1440 წლისა და 1444 წლის ლაშქრობების დამოუკიდებლად გააზრება ახალი სომხური წყაროების, სახელდობრ, ანდერძ-მინაწერების (ჰიშატაკარანები) მოშველიებით ალექსანდრე აბდალაძემ სცადა.[19] მანვე გამოაქვეყნა კიდევ ერთი, საინტერესო, ცნობა 1430 წელს ჯაჰან

---

[16] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 37-8.

[17] *თბილისის ისტორია (უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე)*, I, რედ. მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა (თბილისი, 1990), 191; გვრიტიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან*, II, 133-4; რევაზ კიკნაძე, „ჯაჰან შაჰის ლაშქრობები საქართველოში“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. XI (თბილისი, 1979), 557; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 731-732; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 37; *საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად)*, III, 108.

[18] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 731-2; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 99-102. არსებობს ამ წყაროს რუსული და ქართული თარგმანებიც: Фома Мецопский, *История Тимур-Ланка и его преемников*, перевод Т. Тер-Григорян и А. Баграмян (Баку, 1957); თოვმა მეწოფეცი, *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო კ. კუციამ (თბილისი, 1987). აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ვიყენებთ ამერიკაში მოღვაწე სომეხი მკვლევრის რობერტ ბედროსიანის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანს. მიუხედავად იმისა, რომ ბედროსიანის ინგლისური თარგმანი ზუსტად იმავე წელს არის შესრულებული, რაც კარლო კუციას ქართული თარგმანი, მასში ვხვდებით ისეთ დეტალებს, რომელიც ქართველ მკვლევარს არა აქვს მოცემული. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მონაკვეთს, სადაც თოვმა მეწოფეცი ტენდენციურობას იჩენს ქართველების მიმართ და აუგად მოიხსენიებს ქართველ ხალხს. თოვმა მეწოფეცის მიერ ქართველი ერის დამამცირებელი ფრაზების აღმნიშვნელი წინადადებები კ. კუციას თარგმანში, რატომღაც, გამოტოვებულია, რუსულ და ინგლისურ თარგმანში კი ისინი თავის ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე, რ. ბედროსიანის და კ. კუციას, თარგმანები კარაპეტ შაჰნაზარიანის 1860 წელს გამოცემულ სომხურ ტექსტს ეყრდნობა, მათ ტექსტებში სხვაობა აშკარაა, რასაც ქვემოთ არაერთხელ ვაჩვენებთ. ვინაიდან რობერტ ბედროსიანის თარგმანი უფრო სრულია, თოვმა მეწოფეცის თხზულების დამოწმებისას უპირატესად მას გამოვიყენებთ.

[19] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-8, 72, 164-6.

შაჰის შემოსევის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით, 1430 წელს ჯაჰანს ქალაქი ლორე დაუკავებია.[20]

ქართულ და სომხურ წყაროებში დადასტურებულ ჯაჰან შაჰის 1430 წლის შემოსევას ყურადღება მიაქცია დავით ნინიძემაც. ალ. აბდალაძის მსგავსად, დავით ნინიძეც ფიქრობს, რომ ჯაჰან შაჰის ეს შემოსევა შაჰრუხის დავალებით უნდა მომხდარიყო.[21] თუმცა, როგორც ცნობილია, 1433/4 წლამდე ჯაჰანი მისი ძმის, ისკანდერის ერთგულია და მხოლოდ ამ წელს გადადის შაჰრუხის მხარეს.[22] ჯაჰან შაჰი რომ ამ დროს ისკანდერის ერთგული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ 1429 წლის სექტემბერს სალმასთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, შაჰრუხის მხარეს გადასული ისკანდერის და ჯაჰანის კიდევ ერთი ძმა, აბუ საიდი, ჩაღათაელთა ყაენის ჰერათში დაბრუნების შემდეგ (1430 წლის გაზაფხული-ზაფხული), ისკანდერმა შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა 1431 წელს.[23] აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოუვიდოდა ჯაჰან შაჰს, მასაც რომ ეღალატა ისკანდერისთვის, მით უფრო, რომ შაჰრუხის მიერ აზერბაიჯანის მმართველად დამტკიცებულ აბუ საიდი გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ვანის ტბის ირგვლივ მცირე სამფლობელოების მფლობელი ჯაჰანი. ამგვარად, 1430 წლის ლორეს სამხედრო აქცია ისკანდერის მიერ უნდა ყოფილიყო ინიცირებული, ხოლო მისი შესრულება მის უმცროს ძმას, ჯაჰანს დაევალა.

ალექსანდრე აბდალაძემ გამოაქვეყნა ცხრა სომხური ანდერძ-მინაწერის ცნობა 1440 წელს საქართველოში ჯაჰან შაჰის ლაშქრობის შესახებ.[24] ყველა ეს ანდერძ-მინაწერი ძვირფას მონაცემებს იძლევა საქართველოსა და შავბატკნიან თურქმანთა დაპირისპირების შესახებ. სწორედ ამ ანდერძ-მინაწერების ანალიზმა გვიბიძგა გადაგვეხედა ჯაჰან შაჰის 1440 წლის საქართველოში ლაშქრობის დეტალებისთვის. ყველაზე თვალში საცემი აღნიშნულ ანდერძ-მინაწერებში ის არის, რომ ისინი არაფერს გვამცნობენ ჯაჰან შაჰის მიერ საქართველოს სამეფოს დედაქალაქის, თბილისის, დაცემის შესახებ.[25] ამის გამო, საჭირო გახდა გადაგვეხედა ჯაჰან შაჰის საქართველოში ლაშქრობის ისტორიისთვის და დაგვედგინა შავბატკნიანთა ლაშქრობის მიზეზები, კონკრეტული დეტალები და შედეგები.

---

[20] იქვე, 46, 146.

[21] იქვე, 146-8; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 14-5.

[22] The Encyclopaedia of Islam, vol. 4, 587.

[23] John E. Woods, *The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire*, revised and expanded edition (Salt Lake Sity, 1999), 53; *The Encyclopaedia of Islam*, vol. 4, 587.

[24] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-8, 72.

[25] იქვე.

საკითხის შესწავლა დავიწყეთ იმის გარკვევით, დაეცა თუ არა ქალაქი თბილისი 1440 წელს. ამ პრობლემას, მიუხედავად ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისისა, რომელიც ძირითადად თოვმა მეწოფეცის ცნობას ემყარება, ჩვენ მაინც ვსვამთ. ეჭვის გამოთქმის საფუძველი საკმაოდ რეალურია, რადგან, როგორც ვარკვევთ, საქმე გვაქვს ავტორის მიერ ისტორიის შეგნებულ დამახინჯებასთან. თოვმა მეწოფეცის ინფორმაციის საპირისპიროდ, არცერთი ქართული წყარო, იქნება ეს ავთენტური თუ მოგვიანო ხანის, არაფერს აღნიშნავს 1440 წელს თბილისის დაცემის შესახებ; უფრო მეტიც, ჩვენს ხელთ არსებული ქართული მასალები საერთოდ გვერდს უვლიან ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობას. თოვმა მეწოფეცის გარდა, არცერთი ცხრა სომხური ანდერძ-მინაწერის ავტორთაგანი და, ასევე, სომეხი მემატიანე კირაკოზ რშტუნელი არაფერს წერენ უშუალოდ ქალაქ თბილისის დაცემაზე, მაშინ როდესაც, ყველა მათგანი აღნიშნავს სამშვილდის დაცემას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ეს ავტორი ამ მოვლენის უშუალო თანამედროვე და თვითმხილველია. რაც შეეხება აღმოსავლურ წყაროებს, აქ ჰასან რუმლუს ბუნდოვანი ცნობის გარდა, რომელიც თავის დროზე კარლო კუციამ გამოაქვეყნა, ჩვენს მიერ მოძიებული ოთხი ირანული საისტორიო წყაროდან, არცერთი არ მიუთითებს თბილისის დაცემის შესახებ 1440 წელს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი თითოეული ამ საისტორიო წყაროს ანალიზია.

ქართულ წყაროებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ როგორც ვახუშტის, ასევე სხვა ქართული ნარატივის ავტორებს არ მოეპოვებოდათ არანაირი ცნობა 1440 წელს ჯაჰან შაჰის ლაშქრობის შესახებ.[26] რა მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე? ჩვენი აზრით, შესაძლო პასუხი ამ შეკითხვაზე სამია:

1) შესაძლოა, ქართულმა წყაროებმა შეგნებულად დამალეს 1440 წლის თბილისის კატასტროფა;

2) არცერთმა ქრონიკამ თუ საისტორიო ნარატივმა არ აღნიშნა სამშვილ-დისა და თბილისის დაცემა;

3) სამშვილდისაგან განსხვავებით, თბილისის დაცემა არ მომხდარა.

შევაფასოთ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები სათითაოდ:

1. ვარაუდი, რომ ქართულმა წყაროებმა საგანგებოდ დამალეს 1440 წლის თბილისის დაპყრობა, არ მიგვაჩნია დასაბუთებულად, ვინაიდან თბილისის თითქმის ყველა, ჩვენთვის ცნობილი დაცემა ქართულ წყაროებში მკაფიოდ დასტურდება.[27]

---

[26] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 38.

[27] ტბელი აბუსერისძე, „სასწაული წმიდისა გიორგისნი“, *ქართული პროზა*, ტ. III (თბილისი, 1982), 14; ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი

2. ძნელი წარმოსადგენია, ქართულ წყაროებში არ ასახულიყო ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის, თბილისის დაცემა. თუ ეს ამბავი XVI-XVIII საუკუნეების ავტორებს შეიძლება გამორჩენოდათ, ნაკლებ სავარაუდოა, იგივე დამართოდათ ალექსანდრე დიდის მწიგნობრებს. არსებობს ალექსანდრე დიდის 1440, 1441, 1442 წლების სიგელები, ასევე, ალექსანდრეს ტახტიდან გადადგომის (1442) შემდეგ გაცემული არაერთი სიგელ-გუჯარები; არცერთი მათგანი თბილისის დაცემას არ ადასტურებს.[28]

3. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ სამშვილდეზე განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც ქალაქისთვის სავალალოდ დასრულდა, არ მოხვედრილიყო არცერთ ქართულ წყაროში, ვინაიდან, თბილისთან შედარებით, ქალაქი სამშვილდე არ წარმოადგენდა ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრს, რომ მისი დაცემა საგანგებოდ აღენიშნა ანდა გამოეკვლია რომელიმე მემატიანეს. ამავე დროს, ძალიან ძნელია იგივე ითქვას თბილისის შესახებ – ეს უკანასკნელი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი და დედაქალაქი გახლდათ. ამდენად, თბილისის დაცემის შემთხვევით გამორჩენა ნაკლებ დამაჯერებელია. ასეთი რამ მართლაც რომ მომხდარიყო 1440 წელს, ვფიქრობ, ქართული წყაროები ამ ფაქტს უთუოდ დაადასტურებდნენ.

აღმოსავლური წყაროებიც, რომლებიც აღწერენ ჯაჰან შაჰის სამხედრო კამპანიებს, თითქმის არაფერს უთითებენ თბილისის აღების შესახებ.[29] ძნელი წარმოსადგენია, რომ თბილისი, რომელსაც მუსლიმები წლების მანძილზე ისლამის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ,[30] მუსლიმ მბრძანებელს აეღო და ეს წარმატება აღმოსავლურ წყაროებში სათანადოდ არ ასახულიყო. ჩვენ მოვიპოვეთ ოთხი საისტორიო წყარო, რომლებიც დაწერილია ჯაჰან შაჰის

დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 175-8; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 202-4, 264, 385; ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 328, 342; „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 450-1, 462-3, 478.

[28] ეს სიგელ-გუჯრები არაერთხელ არის გამოქვეყნებული სხვადასხვა მკვლევარების მიერ. მათ შორის იხ. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 126-9; ტ. III (თბილისი, 1970), 186-7.

[29] აღმოსავლურ, სახელდობრ, სპარსულ წყაროებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ. ჯაჰან შაჰის სამხედრო კამპანიებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. "Jahan Shah," The New Encyclopaedia Britannica, vol. 6, 15th edition (2007), 471; *The Cambridge History of Iran*, vol. 6, 163-8.

[30] გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 54.

შემოსევის ახლო ხანებში (XVI-XVII სს.). ამ ტექსტებში საუბარია მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაზე, მაგრამ არ არის მითითებული თბილისის აღების შესახებ. აღნიშნული ავტორები ირანში მოღვაწობდნენ და შესაბამისად კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული ჯაჰან შაჰის პოლიტიკური აქტიობის შესახებ. ეს ავტორებია: იაჰია იბნ აბდ ალ ლატიფ ყაზვინი (გარდ. 1555), ყაზი აჰმედ ღაფარი ყაზვინი (გარდ. 1567), ჰაფეზ ჰუსეინ კარბალაი თავრიზი (გარდ. 1590)[31] და მუჰამედ იუსუფ ვალეჰ ისპაჰანი (XVII ს.).[32] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ზემოთ დასახელებული ავტორი ირანის აზერბაიჯანში მოღვაწეობდა (ქალაქები ყაზვინი და თავრიზი), შესაბამისად, მათი ცნობები ამავე რეგიონის მმართველი ჯაჰან შაჰის შესახებ მნიშვნელოვანი და სარწმუნოა.[33] მიუხედავად იმისა, რომ სპარსელი ავტორები ცდილობენ გადმოსცენ მხოლოდ ჯაჰან შაჰის სამხედრო წარმატებები ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში და მათთვის დამახასიათებელია გაზვიადება, ამ ცნობებში არ შეიმჩნევა რაიმე სახის ისტორიული მოვლენის ფაბრიკაცია.[34] აღნიშნული სპარსული საისტორიო

---

[31] ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოღვაწე ირანელი ისტორიკოსების შესახებ კარგი მასალა აქვს შეკრებილი ჯონ ვუდსს თავის მონოგრაფიაში; იქვე ნახეთ ბიბლიოგრაფიული ცნობარი. Woods, *The Aqquyunlu: Clan, Confederation*, 303-5.

[32] ა. სუდავარი მას ცნობილი ირანელი მინიატურისტის რიზა აბასის (1565-1635) თანამედროვე ისტორიკოსად ასახელებს, იხ. Abolala Soudavar, "Le chant du monde: A Disenchanting Echo of Safavid Art History," *Iran (Jounal of the British Institute of Persian Studies)*, 46 (2008), 264.

[33] ჩვენთვის საინტერესო ავტორების ერთი ნაწილის შესახებ მითითებას ვხვდებით დავით კაციტაძის წერილში: ესენია იაჰია ყაზვინი და ყაზი აჰმედ ღაფარი. დავით კაციტაძე, X-XIII(XVIII) საუკუნეთა საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროები (ზოგადი მიმოხილვა), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, III (2002), 315-6 (გამოცემისას გაიპარა ბეჭდური შეცდომა, სათაურში გვხვდება „XIII" ნაცვლად „XVIII"-ისა). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დ. კაციტაძე ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ ავტორთა შესახებ, ჯაჰან შაჰის საქართველოში ლაშქრობაზე არსებულ ცნობებს ის არ განიხილავს. ასევე, აჰმედ ღაფარო ყაზვინის ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნა ნანა გელაშვილმა, თუმცა მასში არ შესულა ის ცნობები, რომელიც „თარიხ-ე ჯაჰან არა"-შია დაცული XV საუკუნის საქართველოს შესახებ. იხ. *სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ*, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1990), 26-8; ნანა გელაშვილი, *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.)* (თბილისი, 1995), 19-20. ნ. გელაშვილის მონოგრაფიაში ვხვდებით მონაცემებს კიდევ ერთი, ჩვენთვის საინტერესო ისტორიკოსის, იაჰია ყაზვინის შესახებ. წიგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში წარმოდგენილი ცნობები XVI საუკუნეს ეხება და არაფერია აღნიშნული საქართველოში ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობაზე. იხ. ნანა გელაშვილი, *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.)*, 22-3.

[34] აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადო ჩემ ირანელ მეგობარს და კოლეგას, ისტორიის დოქტორს, ალირეზა სულეიმანზადეს, რომელმაც მოიძია ოთხივე

წყაროები XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება და მათი ინფორმაცია XV საუკუნის შესახებ მეტწილად კომპილაციური უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ავტორები ირანის აზერბაიჯანში მოღვაწეობდნენ, ვფიქრობ, რომ მათი ცნობები პირველწყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს და ისინი უდავოდ ყურადსაღებია.

ზემოთ განხილული საისტორიო მასალებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ყაზი აჰმედ ღაფარი ყაზვინის ცნობა ჯაჰან შაჰის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. ავტორი XVI საუკუნის, სეფიანთა ხანის ისტორიკოსია.[35] ყაზი აჰმედ ღაფარი ყაზვინის ცნობით ჯაჰან შაჰს ულაშქრია საქართველოში და გაუმარჯვია. თუმცა, მემატიანე არაფერს წერს თბილისის აღების შესახებ. ამ ცნობის ჩვენთვის საინტერესო ნაწილის თარგმანი შემდეგი სახისაა:

„აზერბაიჯანში ვერ გადარჩა ვერცერთი მისი [ჯაჰან შაჰის] მოწინააღმდეგე და 851 წელს [1447 წ.] მან ილაშქრა საქართველოში და გამარჯვება მოიპოვა. 851 წელს ის წავიდა დიარბაქირში თავისი ძმიშვილის, ალვანდ იბნ ისკანდერის წინააღმდეგ საბრძოლველად და დაიპყრო გარკვეული ტერიტორიები“.[36]

ყაზი აჰმედ ღაფარი ყაზვინის ცნობაში რამდენიმე მომენტია გამოსაყოფი. პირველი ის, რომ მისი თარიღი შესაბამისობაში არ მოდის სომხური და სხვა აღმოსავლური წყაროების ცნობებთან. სომხური წყაროების ზუსტი მითითების საფუძველზე დგინდება, რომ ჯაჰან შაჰმა საქართველოში 1440 წლის აღდგომის პერიოდში ილაშქრა და არა 1447 წელს. ამასთან, ერთ-ერთი სომხური წყაროს მითითებით ჯაჰან შაჰი სამშვილდის აღების შემდეგ უკან გაბრუნდა აზერბაიჯანში (უფრო ვრცლად იხილეთ ქვემოთ). ამ ცნობიდან ისე ჩანს, თითქოს, საქართველოში ბრძოლის შემდეგ ჯაჰან შაჰი ახალ ლაშქრობას აწყობს, ამჯერად, დიარბაქირის მხარეში. სინამდვილეში, დიარბაქირში ლაშქრობა მოხდა არა საქართველოში ჯაჰან შაჰის შემოჭრის წელს, როგორც ეს აჰმედ ყაზვინის თხზულებიდან ჩანს, არამედ გაცილებით გვიან.[37] ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტექსტში შეცდომაა გაპარული, რომელიც შესაძლოა ავტორისგან ან გადამწერისგან მომდინარეობდეს. ამას გვიდასტურებს ჰაფეზ ჰუსეინ კარბალაის ინფორმაცია იმავე მოვლენების შესახებ, რომლის ნარატივი სიტყვასიტყვით იმეორებს აჰმედ ყაზვინის

წყარო და სათანადო თარგმანებითა და სამეცნიერო აპარატის დართვით მოგვაწოდა. აღნიშნული წყაროების წარმოდგენის დროს, ჩვენ სწორედ ალირეზა სულეიმანზადეს თარგმანით ვსარგებლობთ.

[35] Pirous Mojtahed-Zadeh, *Small Players of the Great Game: The Settlement of Iran's Eastern Borderlands and The Creation of Afghanistan* (London, 2004), 48.

[36] ყაზი აჰმად ღაფარი ყაზვინი, *თარიხ-ე ჯაჰან-არა* (თეჰრან, 1964), 278.

[37] Woods, *The Aqquyunlu: Clan, Confederation*, 74.

ცნობას ჯაჰან შაჰის ლაშქრობის შესახებ. ერთადერთი სხვაობა ის არის, რომ საქართველოში ლაშქრობის თარიღად მას 1440 წელი აქვს დასახელებული, 1447 წლის ნაცვლად. როგორც ჩანს, აჰმედ ყაზვინის და ჰაფეზ ჰუსეინ კარბალაის რაღაც საერთო წყარო მოეპოვებათ 1440 და 1447 წლების მოვლენების გადმოსაცემად. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთმანეთის ტექსტითაც სარგებლობდნენ.

ჰაზეფ ჰუსეინ კარბალაის წყაროს ჩვენთვის საინტერესო ნაწილის თარგმანი ასეთი სახისაა:

„აზერბაიჯანში ვერ გადარჩა ვერცერთი მისი [ჯაჰან შაჰის] მოწინააღმდეგე და 844 წელს [1440 წ.] მან ილაშქრა საქართველოში და გამარჯვება მოიპოვა. 851 წელს [1447 წ.] ის წავიდა დიარბაქირში თავისი ძმიშვილის, ალვანდ იბნ ისკანდერის წინააღმდეგ საბრძოლველად და დაიპყრო გარკვეული ტერიტორიები“.[38]

აჰმედ ყაზვინისა და ჰაფეზ ჰუსეინ კარბალაის ნაწარმოებები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათი ინფორმაცია ჯაჰან შაჰის საქართველოში ლაშქრობის შესახებ შედარებით მოკრძალებულია და ახლოსაა იმ სომხურ საისტორიო წყაროებთან, რომლებიც დაახლოებით იმავეს გადმოგვცემენ 1440 წლის სამხედრო კამპანიის შესახებ. ირანელ ავტორთა ცნობების მიხედვით, ჯაჰან შაჰს 1440 წელს საქართველოში ულაშქრია და გამარჯვება მოუპოვებია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა სახის იყო ეს წარმატება. ამის შესახებ უკვე სომხური წყაროებიდან ვიგებთ, რომლებსაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება სხვა ირანელ მწერლებს, მათთვის დამახასიათებელია გაზვიადება. მათი ცნობების მიხედვით, ჯაჰან შაჰმა საქართველო არამხოლოდ დალაშქრა, არამედ დაიპყრო კიდეც, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ერთი ასეთი ავტორი, რომელიც ჯაჰან შაჰის მიერ საქართველოს დაპყრობაზე წერს არის, იაჰია იბნ აბდ ალ ლატიფ ყაზვინი, რომელმაც თავისი ნაშრომი „ლუბ ალ-თავარიხ“-ი 1542 წელს დაასრულა.[39] თემურისა და მისი მემკვიდრეების ისტორიის აღწერასთან ერთად, ის ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობაზეც გვაწვდის ცნობებს. იაჰია ყაზვინის მიხედვით ჯაჰან შაჰი საქართველოში 1440 წელს შეიჭრა ღაზავათისთვის, რაც საღვთო ომს ნიშნავს და დაიპყრო იგი. ცნობაში ვკითხულობთ:

„1440 წელს ის [ჯაჰან შაჰი] გაემართა საქართველოში ღაზავათისთვის და

---

[38] ჰაფეზ ჰოსსეინ კარბალაი, *როზათ ოლჯენან ვაჯანათ ოლჯენან* (ტომი 2), რედ. ჯაფარ სოლთან ალღარრაეი (თეჰრან, 1971), 52.

[39] David J. Roxburgh, *Prefacing the Image: The Writing of Art History in Sixteenth-century Iran* (Leiden, 2000), 87, n. 15.

დაიპყრო. მისი ძმის, ემირ სინანის სიკვდილის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში ის ძარცვავდა ერაყს".[40]

ამის მსგავსია XVII საუკუნის სეფიანთა ხანის კიდევ ერთი ისტორიკოსის, მუჰამედ იუსუფ ვალეჰ ისპაჰანის ცნობები. ირანელი ისტორიკოსის ცნობაში ვკითხულობთ: *„სხვა მოვლენები, რაც მას [ჯაჰან შაჰს] შეემთხვა აზერბაიჯანში იყო საქართველოს დაპყრობა 844 წელს [1440 წ.]".*[41]

როგორც ვხედავთ, იაჰია ყაზვინის და ვალეჰ ისპაჰანის ცნობები, რომლებიც გადმოგვცემენ ჯაჰან შაჰის 1440 წლის სამხედრო კამპანიას, მნიშვნელოვნად აზვიადებენ შავბატკნიანთა წარმატებას საქართველოში. კონკრეტული ტერიტორიის აღნიშვნის ნაცვლად, რომელიც რეალურად დაიკავეს თურქმანებმა, ამ ავტორების მიხედვით, ჯაჰან შაჰის მეომრებს საქართველო მთლიანად დაუპყრიათ, რაც, როგორც უკვე ვთქვით, გაზვიადებას წარმოადგენს.

კიდევ ერთი, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი აღმოსავლური წყარო, რომელშიც ჯაჰან შაჰის 1440 წლის სამხედრო კამპანიაზე არის საუბარი, გახლავთ ჰასან რუმლუს ცნობა, რომელიც დაცულია მის ფუნდამენტურ ნაშრომში „აჰსან ათ-თავარიხ" (საუკეთესო ისტორიათა შორის). ეს ნაწარმოები შეიცავს საინტერესო ცნობას, რომელშიც საუბარია თბილისისა და შაქის მხარეების დალაშქვრაზე.[42] ერთი შეხედვით, ცნობაში თითქოს საუბარია ქალაქ თბილისის აღებაზე, მაგრამ ინფორმაციას თუ კარგად დავუკვირდებით, მასში ჩანს, რომ ავტორი აქცენტს აკეთებს არა უშუალოდ ქალაქ თბილისზე, არამედ თბილისის მხარეზე ანუ თბილისის ვილაიეთზე.[43] მეტი თვალსაჩინოებისთვის

---

[40] იაჰია იბნ აბდ ალ ლატიფ ყაზვინი, *ლუბ ალ-თავარიხ,* რედ. მ. ჰაშემ მოჰადდი (თეჰრან, 2007), 246.

[41] მოჰამად იუსეფ ვალეჰ ესფაჰანი ყაზვინი, *ხოლდ-ე ბარინ* (ნაწილი VI და VII), რედ. მ. ჰაშემ მოჰადდი (თეჰრან, 2001), 708.

[42] აღნიშნული წყარო ჯერ კიდევ 1966 წელს ვ. ფუთურიძემ გამოაქვეყნა. იხ. ვლადიმერ ფუთურიძე, *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 1966). 1979 წელს მისი ცალკეული ნაწილები, რომელიც არ შევიდა აღნიშნულ გამოცემაში, კარლო კუციამ ცალკე დაბეჭდა. კ. კუციას მიერ გამოქვეყნებული მასალები ჰასან რუმლუს იმ ცნობებს ასახავს, რომელიც მემატიანეს სხვადასხვა ისტორიკოსთა თხზულებებიდან ჰქონდა ამოღებული; ამდენად, რუმლუს ცნობების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი თითქმის მთლიანად კომპილაციური ხასიათისაა. იხ. კარლო კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის" ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ", *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები,* ტ. II (1979), 75-7.

[43] გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჰასან რუმლუს დროს საქართველო დაყოფილი იყო სამ პოლიტიკურ ერთეულად, ხოლო ამათგან ერთ-ერთს – ქართლის სამეფოს, აღმოსავლური წყაროები თბილისის ვილაიეთად, ხოლო მის მმართველს თბილისის ხანად

მოვიყვანოთ პასაჟი წყაროდან, რომელშიც 1440 წელს მომხდარი ამბები არის გადმოცემული:

„ამ წელს ფადიშაჰი ჯაჰან შაჰი აზერბაიჯანიდან საქართველოსკენ დაიძრა, სამი დღე ყარსის ველზე გაჩერდა, (შემდეგ) შაქი და თბილისი დალაშქრა და ოცდაათი ათასი ტყვე საქართველოდან გამოიყვანა და აზერბაიჯანში წავიდა“.[44]

აღნიშნული ცნობის მიხედვით, ჯაჰან შაჰი ყარსის ველიდან დაიძრა საქართველოსკენ. აქვე ნათქვამია, რომ მას თბილისი და შაქი დაულაშქრია. ეს უკანასკნელი საქართველოსთან მოკავშირეობის გამო უნდა მოხვედრილიყო ჯაჰანის თვალსაწიერში, აგრეთვე, იმ დაუმორჩილებლობის გამო, რასაც მისი მმართველები იჩენდნენ შავბატკნიანთა მიმართ.[45] შაქის ქვეყანა გახდა კიდეც ჯაჰან შაჰის აგრესიის ობიექტი, თუმცა რამდენად შეეხო მისი ლაშქრობა უშუალოდ ქალაქ შაქს, წყაროში არ ჩანს. საინტერესოა ისიც, რომ თბილისი მოხენიებულია შაქის გვერდით, ანუ იმ ტერიტორიის, რომელიც წარმოადგენდა არამარტო ქალაქს, არამედ დამოუკიდებელ მხარეს, ამავე სახელწოდების ქვეყანას. ამდენად, თბილისის მოხსენიება შაქის ქვეყნის გვერდით იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ავტორი მასში არა უშუალოდ ქალაქს, არამედ თბილისის მხარეს ანუ ვილაიეთს უნდა გულისხმობდეს. ამასთან, პოლიტიკური ვითარება ქალაქ შაქისა და ქალაქ თბილისის დასაჭერად, ამ ქალაქების ყარა-ყოიუნლუს შემადგენლობაში სტაბილურად ინტეგრაციისათვის, ჯაჰან შაჰს ხელს არ უწყობდა. შავბატკნიანები მყარად ვერ აკონტროლებდნენ მხარეების სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს. ჰასან რუმლუსთან თბილისი რომ ხშირად ვილაიეთად იხსენიება, ეს 1470 წლის ცნობის ქვეშაც ჩანს, სადაც გარკვევით წერია, რომ უზუნ-ჰასანმა თბილისისა და სომხეთის ქვეყნის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, რათა ისინი დაემორჩილებინა. ჰასან რუმლუს ტექსტში ვკითხულობთ:

მოიხსენიებდნენ. Эвлия Челеби, *Книга путешествия, Земли Закавказья и сопредельных областей Малой Азии и Ирана*, Вып. 3, под ред. А. Д. Желтякова (Москва, 1983), 14-5; Шараф-хан Бидлиси, *Шараф-наме*, пер. Е. И. Васильевой, Т. 2 (Москва, 1976), 237. გურჯისტანის ანუ საქართველოს ვილაიეთად თურქი ავტორები იმერეთის სამეფოს თვლიდნენ. ამით ხაზს უსვამდნენ მათი გავლენის სფეროს უპირატესობას სხვა ქართულ სამეფოებთან შედარებით, რომლებიც ირანის სახანოებად ითვლებოდა. იხ. Эвлия Челеби, *Книга путешествия*, 10, 189-90, пр. 46.

[44] კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 80.

[45] მეფე ალექსანდრე დიდის დროს საქართველოსა და შაქის მოკავშირეობა 1423 წელს, შარვანის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში გამოჩნდა, როდესაც ამ ორი ქვეყნის მმართველი შარვანშაჰ ჰალილულაჰს დაუპირისპირდნენ. საქართველოსთან მოკავშირეობას შაქის საამირო გაძლიერებული მეზობლების ექსპანსიისგან თავის დასაცავად იყენებდა. საქართველოსა და შაქის პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობის შესახებ იხ. კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 78.

„[უზუნ ჰასანმა] მოჰამედ ბეგი, სულეიმან ფურნაქი და ბაინდურ ბეგი, ორი ათასი მხედრით თბილისისა და სომხეთის ქვეყნისკენ გაგზავნა, რათა ის ვილაიეთი დაპყრობისა და დამორჩილების სფეროში მოექციათ“.[46]

ზემოთ მოყვანილი ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ქალაქი თბილისი სომხეთის ვილაეთის შემადგენელი ნაწილი იყოს. აქ საუბარია ორი ქვეყნის, თბილისის (უნდა იგულისხმებოდეს ქართლის ვილაიეთი) და სომხეთის დამორჩილებაზე. ამდენად, ჰასან რუმლუსთან მოხსენიებული შაქისა და თბილისის დალაშქრა, სავარაუდოდ, ეხება არა აღნიშნული ქალაქების დაკავებას, არამედ იმ მხარეების დარბევას, რომელთა პოლიტიკურ ცენტრებსაც აღნიშნული ქალაქები წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაში, თბილისის ვილაიეთში ქართლი ან ზოგადად აღმოსავლეთ საქართველო უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო შაქში – ის ტერიტორია, რომელიც საქართველოსა და შარვანს შორის იყო მოქცეული.

აღმოსავლურ საისტორიო ნარატივთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია სომხური ცნობები. სომხური წყაროების მონაცემები ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობასთან დაკავშირებით არ ემთხვევა სომეხი მემატიანის თოვმა მეწოფეცის ცნობას და არ ადასტურებს თბილისის დაცემას. საქართველოში ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის შესახებ ცხრა ანდერძ-მინაწერი მოგვითხრობს.[47] სათითაოდ გავეცნოთ ყველა მათგანს:

1) 1440 წელს მაღარდის მონასტერში გადაწერილ კირილე იერუსალიმელის კატეხიზმოს მინაწერში შემდეგ ინფორმაციას ვაწყდებით:

„პძთ“ (1440) წელს ... იმ დროს, როდესაც ბოროტმა და შეჩვენებულმა, ბილწმა ჯიჰანშა იმირზამ აიღო საქართველო და მრავალი ქრისტიანი ხმლით გაწყვიტა“.[48]

ანდერძის ავტორის, ვინმე მკაზმავი მხითარის მიერ გაკეთებული მინაწერი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც ამ ლაშქრობის შესახებ ცნობები მოიპოვება. მხითარი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი პროვიდენციალიზმით, შავბნელ ფერებში აღწერს ყველაფერს, ვითომ ჯაჰან შაჰს მთელი საქართველო აეღო და *„არც ერთ ენას არ ძალუძს მოუთხროს კაცთა და ქალთა, ყრმათა და ჭაბუკთა ურიცხ სიმრავლეზე, რომელნიც რწმენისა და ქრისტიანობისათვის, ქრისტეს სიყვარულისა და წმ. სასუფევლის იმედით დაიხოცნენ“*-ო.[49] რა თქმა უნდა, ჯაჰან შაჰს მთელი საქართველო არათუ არ დაუპყრია, არც დაულაშქრავს, რაშიც ქვემოთ არაერთხელ დავრწმუნდებით.

---

[46] იქვე, 80.

[47] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-8, 72.

[48] იქვე, 60.

[49] იქვე, 60.

2) 1440 წელს გადაწერილი კიდევ ერთი ჰიშატარაკანის მიხედვით დაკონკრეტებულია ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის სამიზნე. ანდერძის ავტორის, კირაკოზის მიხედვით, ჯაჰანს ქალაქი სამშვილდე აუღია. ცნობაში ვკითხულობთ:

„პძთ“-ს (1440) ჯანშანშემ აიღო სამშვილდე და გაწყვიტა სამი ათას ზე მეტი [სული], ტყვედ წაასხა ცხრა ათას ზე მეტი და დიდად დაამწუხრა ქრისტიანები“.[50]

ამ ცნობაში, ისევე როგორც მომდევნო ცნობებში, არაფერია ნათქვამი თბილისის აღებაზე.

3) 1441 წელს ჰაღპატის მონასტერში გადაწერილი სახარების მინაწერი:

„ამ წელს თავრიზის ხანი ჯაჰანშა იმირზა, ყარა მაჰმადის ძის თურქმენ [ი] უსუფის ძე დაიძრა დიდძალი ლაშქრით, მაჰმადიანთა ურიცხვი მხედრობით და მოვიდა საქართველოში, თავს დაესხა ქართველებს, რადგან ქართველთა ნათესავი არ ემორჩილებოდა თავრიზის ხანს. როდესაც მოვიდა ტაჭიკთა ნათესავი, ლტოლვილი ქართველები შევიდნენ აფხაზეთში, ხოლო საქართველოში მოსული და დამკვიდრებული სომხები დარჩნენ ურჯულოთა ხელთ... „გ“ (3) თვე, გარს ერტყნენ სამშვილდის ციხეს და რაჟამს მზაკვრობით აიღეს ეს სიმაგრე, მაშინვე დაიტაცეს ქონება“.[51]

როგორც წყაროდან ჩანს, შავბატკნიანებს ქალაქ სამშვილდისთვის სამი თვე უბრძოლიათ და საბოლოოდ, ღალატით აუღიათ კიდეც. დახოცილთა რიცხვი, სომეხი ავტორის მიხედვით, 5 000 სული ყოფილა.[52]

4) 1441 წელს ვანში გადაწერილი სვინაქსარის მინაწერი შემდეგ ცნობას შეიცავს:

„ჯჰანშაჰის პარონობისას, რომელიც ბოროტებით აღსავსე წავიდა საქართველოში... და აიღო სამშვილდის ციხე; ცხრა ათას სულზე მეტი ქრისტიანი მღვდლებთან ერთად ამოჟლიტეს, ქალები და ბავშვები დაატყვევეს“.[53]

5) 1441 წელს სანაინის მონასტერში გადაწერილი სახარების მინაწერი ანალოგიურ ინფორმაციას შეიცავს:

„ჯაჰანშაჰ ამირზამ აიღო სამშვილდე, [მცხოვრებნი] დაატყვევა და გაწყვიტა“.[54]

6) ოჰანეს თმოქეცის (თმოგველის) მიერ 1442 წელს დაწერილ ანდერძ-მინაწერში მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული. ოჰანესის წყარო

---

[50] იქვე, 61.
[51] იქვე, 61-2.
[52] იქვე, 61.
[53] იქვე, 62.
[54] იქვე, 63.

გამოირჩევა ცნობების სიუხვით და დიდი გულისტკივილით იმის გამო, რაც ქართველებსა და სომხებს დაატყდა თავს ჯაჰან შაჰის 1440 წლის შემოსევის დროს. ტექსტში ვკითხულობთ:

„იმავე ხანებში მოხდა სამშვილდის უცოდველი ქრისტიანების ჟლეტა, რომლებიც ეწამნენ ქრისტესათვის და გახდნენ მარტვილნი, რამეთუ სატანამ აღძრა სკვითთა ნათესავი, ჯაჰანშაჰ მირზა, რომელმაც იახლა მრავალი ლეგიონი და გარს შემოერტყა ციხეს „დ“ (4) თვე, შეავიწროვა ციხეში მყოფნი, ისე რომ ბევრი მოკვდა ტანჯვით. ურჯულოებმა შეფიცეს ცხოველ ღმერთს, რომ ციხეში მყოფთ არაფერს ავნებდნენ. ისინი მიენდვნენ მათ ცრუ ფიცს და გახსნეს ციხის კარები; ურჯულოები შევიდნენ შიგ, იშიშვლეს მახვილი და შეუბრალებლად გაწყვიტეს „ვ“ (3000)-ზე მეტი [სული]. მოთქმა და ვაება, უბედურება და ტანჯვა არ შემიძლია აღვწერო, რამეთუ ზოგი ხმლით დაკლეს, ზოგი ჩაქოლეს, ზოგი კეტებით დალეწეს, ზოგიერთებს თავები მოკვეთეს და „გ“ (3) მინარეთი ააშენეს... ტყვეთა რიცხვმა „ქ“-ს (9000) გადააჭარბა, ისინი გაინაწილეს ერთმანეთში“.[55]

ამ ცნობაში კარგად ჩანს ის დიდი წინააღმდეგობა და თავდადება, რომელიც მეციხოვნეებმა გასწიეს მტერთან ბრძოლაში. საბოლოოდ, უკიდურესმა გაჭირვებამ, გაუთავებელი ალყის და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო, მოსახლეობის ნაწილი აიძულა, ციხე მტრისათვის ჩაებარებინათ უვნებლობის პირობით. შავბატკნიანთა ფადიშაჰი პირობაზე დათანხმდა, თუმცა, ქალაქში შესვლისას სიტყვა აღარ შეასრულა და, როგორც წყაროებიდან ჩანს, მოკლულთა და ტყვეთა საერთო რიცხვმა 12 000-ს გადააჭარბა. ოჰანესს სანუგეშოდ ლოცვა-ღა დარჩა, მისივე განცხადებით, *„რწმენით ვევედროთ მას [უფალს], რომ უკან დააბრუნოს ტყვეები, ვითარცა ძველი ისრაელები“.*[56] ოჰანეს თმოგველის გულისტკივილი როგორც სომეხი, ასევე ქართველი ტყვეებისა და დახოცილი მოსახლეობისადმი არანაირ ეჭვს არ იწვევს. ოჰანეს თმოგველის ცნობაში ამ ისტორიის ის ვერსიაა გადმოცემული, რომელიც საქართველოში ყოფილა გავრცელებული. სამშვილდეში აყვანილი ტყვეების განაწილების შესახებ მოთხრობილი ისტორიის შემდეგ ოჰანეს თმოგველი აღწერს იმ ტრაგედიას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას დაატყდა თავს.[57] ოჰანესის თქმით: *„ზოგი მათგანი წაიყვანეს აღმოსავლეთში, ხორასანში, ზოგი დასავლეთში, რუმში, ზოგიერთი სამხრეთში, არაბსტანში, ზოგიც ჩრდილოეთში, ლაკსტანში“*,[58] მთელი ეს მოსახლეობა ქვეყნიერების ოთხივე

---

[55] იქვე, 65.

[56] იქვე, 66.

[57] იქვე, 65.

[58] იქვე, 65-6.

მხარეში დაფანტეს. არანაირი მინიშნება იმის შესახებ, რომ ჯაჰან შაჰმა ტყვეების აყვანის შემდეგ კამპანია გააგრძელა, არ ჩანს. ოჰანეს თმოგველის ცნობით ისე ჩანს, რომ ჯაჰან შაჰი, ოთხთვიანი გარემოცვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მზაკვრობითა და პირობის დარღვევით იღებს ციხე-ქალაქს, ჯერდება დიდი ოდენობით ტყვეებისა და ალაფის აღებას და უკან ბრუნდება ნადავლით კმაყოფილი.

7) 1442 წელს მწიგნობარ გალუსტის მიერ გადაწერილ კურთხევაში შემდეგი ინფორმაცია არის დაცული ჯაჰან შაჰზე და მის მიერ სამშვილდის აღებაზე:

„დაჯდა წინანდელ, ქვეყნის აღმაშენებელ და კეთილგონიერ ხანთა ტახტზე, დაიწყო რბევა, დააქცია მრავალი ქალაქი და გავარი, გააუდაბურა და გააკაცრიელა ისინი, არავის ძალუძს აღწეროს მისი ბოროტება, მეტადრე – რაც თავს დაატეხა ქართველთა ქვეყანას, ქალაქ სამშვილდეს, რამეთუ მზაკვრობით აიღო ის და ყველანი ხმლით ამოწყვიტა“.[59]

გალუსტ მწიგნობრის ცნობები ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ მისი წყარო შედარებით მოკლე და ლაკონურია.

8) კიდევ ერთი, ჩვენს ხელთ არსებული სომხური ჰიშატაკარანის ცნობა დაცულია ქალაქ ბაღეშში გადაწერილი სვინაქსარზე და განეკუთვნება 1442 წელს, გადამწერი არის ვინმე ჰოვანისი. ამ წყაროს მიხედვით ჯაჰან შაჰს სამშვილდე აუღია და 2 000 კაცი დაუტყვევებია, მრავალი კი დაუხოცია:

„შევიდა საქართველოში და ბევრი რამ დაანგრია, რამეთუ აიღო სამშვილდის ციხე და მრავალი ამოხოცა, ხუცესნი გაათოკვინა და ჩააქოლვინა, ყველა დანარჩენისთვის ბოროტად თავები წააცლევინა. ქალები და ბავშვები, „ბრ“ (2000) სული, დაატყვევა, ყოველივე ეს ცოდვათა ჩვენთა გამო მოხდა“.[60]

ჯაჰან შაჰის შემოსევის თანადროული, 1440-42 წლების რვავე ანდერძ-მინაწერის ცნობები რომ შევაჯამოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელი ჯაჰან შაჰი 1440 წელს, როგორც თოვმა მეწოფეცი იტყობინება, აღდგომის პერიოდში, 27 მარტს შემოიჭრა საქართველოში.[61] მან ალყა შემოარტყა ქალაქ სამშვილდეს და სამი თუ ოთხთვიანი ბრძოლის შემდეგ, ივნისის ან ივლისის თვეში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმების საფუძველზე დაეუფლა მას. ქალაქის დაუფლებისთანავე ჯაჰან შაჰი არღვევს პირობას და მოსახლეობის დიდ ნაწილს ხოცავს. მოკლულთა რიცხვი

---

[59] იქვე, 67.

[60] იქვე, 68.

[61] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 100; *თბილისის ისტორია*, I, 191.

დაახლოებით 2-3 000 იყო, ხოლო ტყვეთა რიცხვმა 9 000-ს გადააჭარბა.[62]

თბილისის დაცემის შესახებ არ გააჩნია ინფორმაცია არც კირაკოზ რშტუნელს – თანადროულ ავტორს. მისი ქრონიკა ასახავს 1386-1443 წლებს შორის მომხდარ ამბებს. აქაც, მსგავსად ჰიშატაკარანებისა, მხოლოდ სამშვილდის აღებაზეა საუბარი.[63] ამ ცნობების გარდა არსებობს კიდევ ერთი, რიგით მეცხრე, ჰიშატაკარანის ცნობა ჯაჰანის შემოსევასთან დაკავშირებით. სომეხი მკაზმავი თუმა აღწერს ჯაჰან შაჰის ლაშქრობებს და წერს იმის შესახებ, რომ ჯაჰანი 1440 წელს საქართველოში შემოიჭრა. ავტორის ცნობით, ჯაჰანმა 12 000-ზე მეტი სომეხი მოკლა ან ტყვედ წაასხა, ხოლო მოგვიანებით ქალაქები ბაღდადი, ერზინკა, ასევე ხლათისა და ბაღეშის ქვეყნები დაიპყრო და ააოხრა. ცნობაში ვკითხულობთ:

„პძთ (1440) წელს ჯჰანშა ამირზა შევიდა საქართველოში, ფრიად ააოხრა ქვეყანა, ეკლესიები დააქცია და სომეხთაგან „ჟბრ“-ზე (12000) მეტი მოკლა ან ტყვედ წაასხა. „პ“ და „ღე“ (1446) წელს ბაღდადი აიღო“.[64]

მკაზმავი თუმა არაფერს წერს თბილისის აღებაზე, მას არც სამშვილდის აღებაზე აქვს გამახვილებული ყურადღება, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ 1451 წლისათვის, როდესაც მისი ცნობა დაიწერა, სამშვილდე კვლავ ქართველების ხელში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობა ოდნავ გვიან, 1451 წელს არის დაწერილი, იქ მოტანილი მასალა უდავოდ ყურადსაღებია.[65]

აქვეაღსანიშნავია XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის (გარდ. 1670 წ.) ცნობები 1440 წლის მოვლენებთან დაკავშირებით. არაქელის „ისტორიათა წიგნის“ მიხედვით, რომელის ბოლო მონაკვეთში მოცემულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენის ამსახველი ქრონოლოგია, ასეთ ცნობას ვხვდებით: *„1439 წელს [ჯაჰანშაჰმა] აიღო სამშვილდე, 3000 კაცი ამოწყვიტა და 2000 ტყვედ წაიყვანა“.*[66] ამ ცნობის გარდა, არაქელს სამშვილდის აღება იმავე ჯაჰან შაჰის მიერ 1428 წლის ქვეშაც აქვს მოცემული.[67] ორივე ეს ცნო-

---

[62] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 61, 65-6, 68.

[63] იხ. თინათინ ევდოშვილი, „XIV-XV საუკუნეების სომხური წყაროების ცნობები თემურ-ლენგის პირველი შემოსევების შესახებ საქართველოში“, *ქართული დიპლომატია*, XI (2004), 587.

[64] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 72.

[65] იქვე, 71-2.

[66] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი (თბილისი, 1974), 54.

[67] იქვე.

ბა მას სხვადასხვა კოლოფონებიდან უნდა ჰქონდეს აღებული, რომლებმაც ჩვენამდე, სავარაუდოდ, არ მოაღწია. მიუხედავად თარიღების ცთომილებისა (ორივე შემთხვევაში უნდა იყოს 1440 წელი), არაქელის ცნობებიდან ჩანს, რომ სომეხი ავტორის პირველწყაროში, რომლითაც ის სარგებლობდა, არაფერი იყო ნათქვამი თბილისის აღებაზე და მხოლოდ სამშვილდის დაპყრობაზე იყო აღწერილი.

ამგვარად, არსად, არცერთ ჰიშატაკარანში, ასევე, თანადროულ თუ მოგვიანო ხანის სომეხ მემატიანეთა (კირაკოზ რშტუნელი, არაქელ დავრიჟეცი) ცნობებში გაკვრითაც არ არის ნახსენები თბილისის აღება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი სამშვილდე თბილისისკენ მიმავალ გზაზე იყო და არ არის გამორიცხული, ჯაჰან შაჰი სამშვილდეს აღებით თბილისსაც უმიზნებდა. თუმცა, სამ-ოთხთვიანმა ბრძოლებმა სამშვილდესთან, კარგად დაანახა ყარა-ყოიუნლუს შაჰს, რომ ქართველები ადვილად არცერთ ციხე-ქალაქს არ დათმობდნენ. თუკი სამშვილდე ჯაჰან შაჰმა სამ-ოთხ თვეში ძლივს აიღო, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენ ხანს მოანდომებდა ის უკეთესად დაცული თბილისის აღებას.

თუ თოვმა მეწოფეცი მართალია და 1440 წელს თბილისი მართლაც დაეცა, რითი უნდა აიხსნას სხვა სომხურ წყაროების მიერ ამ ფაქტის უგულებელყოფა? ფაქტია, რომ თბილისის საკითხისადმი გულგრილობას სომხურ წყაროებს ვერ დავწამებთ. ძნელი წარმოსადგენია, თბილისის დაცემის შემთხვევაში სომეხ მწერლებს მხოლოდ სამშვილდის აღებაზე გაემახვილებინათ ყურადღება და არაფერი არ დაეწერათ თბილისის შესახებ, მითუმეტეს რომ, სომხური მოსახლეობა თბილისშიც საკმაოდ იყო. სომხურ ანდერძ-მინაწერებში 1476-77 წლებში უზუნ-ჰასანის მიერ თბილისის დაპყრობა სათანადოდ არის ასახული და სომხური ჰიშატაკარანების ავტორები ქალაქის დაცემის შესახებ პირდაპირ მიუთითებენ. ეს განსაკუთრებით მათ ეხება, ვინც ვრცლად აღწერს უზუნ-ჰასანის ამ ლაშქრობას.[68]

ერთადერთი საისტორიო წყაროს ავტორი (თუ არ ჩავთვლით იმ ავტორებს, რომლებიც მას ემყარებიან), რომელიც თბილისის დაცემაზე წერს არის თოვმა მეწოფეცი – თანადროული ავტორი, რომელსაც ამბების აღწერისას შეუძლებელია შეცდომა მოსვლოდა. ის, ან განგებ ამახინჯებს ისტორიას ანდა სიმართლეს ჰყვება, რაც როგორც ზემოთ ვუჩვენეთ ძალზე საეჭვოა. მაშ რაშია საქმე? ნუთუ ავტორი მცდარ ცნობას იძლევა?

თოვმა მეწოფეცის ცნობით, ჯაჰან შაჰი აღდგომისას დაესხა თავს

---

[68] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ,* 87-88, 90-1.

საქართველოს, როდესაც ხალხი მოუმზადებელი იყო და არავინ ელოდა თავდასხმას.[69] ავტორისვე ცნობით, შაჰს 1 664 მოჭრილი თავისგან მინარეთი აუგია და კარიბჭის წინ დაუდგამს. ტყვეთა საერთო რიცხვი 9 400-ს უდრიდა, რაც დაახლოებით ემთხვევა ანდერძ-მინაწერების ინფორმაციას მძევლების რაოდენობასთან დაკავშირებით. თოვმა წერს:

„მთელი მსოფლიო – ეგვიპტე, ხორასანი, ბაღდათი, და ტაჭიკისტანი აივსო გოდებით იმ ტყვეებისა, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ იქ გვარიან ფასად გასაყიდად“.[70]

ტყვეების ფასი 1 000 თანგი იყო. ავტორის თქმით, ქვეყანა ისე გაღარიბდა, არათუ მძევალთა ნათესავების, არამედ სოფლებისა და ქალაქების მიერ აკრეფილ თანხას არ შეეძლო დატყვევებულთა გამოსყიდვაო.[71] სწორედ ამის შემდეგ გაემართა ჯაჰან შაჰი თბილისის ანუ ფაიტარაკანის (როგორც სომხები უწოდებდნენ ხოლმე თბილისს) წინააღმდეგ; თოვმა მეწოფეცის ცნობით, მომხდურებს აუღიათ ქალაქი, დაუნგრევიათ პირველ მეფეთა მიერ აგებული ძველი თუ ახალი ეკლესიები და დაუხოციათ ხალხი. ამის შემდეგ თოვმა წერს:

„და ლაჩარი, განცხრომის მოყვარული, ლოთი, ლაპატუმის–მჭამელი,[72] *ქართველი ერი, რომელიც მუდმივად თვრება და ტრაბახობს, რომ ისინი გაიმარჯვებენ ყველა ხალხზე, იმის თავიც არ აღმოაჩნდა, რომ ისრით განეგმირა თუნდაც ერთი მეომარი“.*[73]

შემდეგ სომეხი ისტორიკოსი აცხადებს, რომ ქართველები თურქმანების დანახვისთანავე გარბოდნენ, ტოვებდნენ რა საკუთარ შვილებს ურწმუნოთა ხელშიო.[74] ასევე შეატოვეს ქართველებმა თურმე დედაქალაქი, თბილისი

---

[69] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 37.

[70] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 101; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 65.

[71] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 37-8; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors,* 101-2.

[72] ლაპატუმი, რ. ბედროსიანის განმარტებით, მცენარეა, რომელსაც გულის ასარევად, პირღებინებისათვის იყენებენ. სხვების მსგავსად, ამ ეპითეტს თოვმა მეწოფეცი ქართველების დასამცირებლად იყენებს. ამ ტერმინს თოვმა მეწოფეცის რუსული თარგმანის ავტორები, კურდღლის მჭამელად თარგმნიან, თუმცა, კონტექსტის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ ბედროსიანის თარგმანი უფრო ზუსტი უნდა იყოს. რაც შეეხება თოვმა მეწოფეცის ქართველ მთარგმნელს, კარლო კუციას, მას ეს მონაკვეთი საერთოდ არ უთარგმნია. მთელი რიგი პასაჟების გამოტოვების გამო, მიგვაჩნია, რომ თოვმა მეწოფეცის ტექსტი, მისივე თხზულების ხელნაწერთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემის შემდეგ, უმჯობესია ხელახლა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

[73] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 102. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მონაკვეთი არ გვხვდება კ. კუციას თარგმნაში.

[74] იქვე, 102-3.

მტრებს, თან ისე, რომ ისრით ერთი მეომარიც კი ვერ დასცეს ძირს. მახვილსა და შუბს თოვმა მეწოფეცი საერთოდ არ ახსენებს, თითქოს მათი გამოყენება ქართველებს არც კი ეცადოთ თურქმან მეომრებთან მიახლოების შიშისა და ძრწოლვის გამო.[75]

წარმოუდგენელია ქართველებს, რომელთაც ისე დაიცვეს ქალაქი სამშვილდე ოთხი თვის მანძილზე, რომ შავბატკნიანებს არ მისცეს საშუალება ქალაქი ბრძოლით აეღოთ, თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, მტრისათვის ისე დაენებებინათ, რომ მისი ერთი მეომარიც კი ვერ მოეკლათ, ანდა თავად გაქცეულიყვნენ და საკუთარი შვილები თურქმანებისთვის შეერჩინათ. სრულიად აშკარაა, რომ თოვმას ქართველებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არც ლოთებად მოიხსენიებდა და არც ლაჩრებად.

სხვათაშორის, თოვმა მეწოფეცის ამ ცნობას, თბილისის აღების შესახებ, ეხმაურება ვინმე ჰოვანესის ცნობებიც ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის შესახებ. ამ ჰოვანესის მიერ 1458 წელს გადაწერილ სვინაქსარში დაცულია 1440 წელს დაღუპული სამშვილდის მოსახლეობის სულთა მოსახსენებელიც.[76] ეს ცნობა ალექსანდრე აბდალაძემ გამოაქვეყნა. ალ. აბდალაძის შეფასებით, მასში არის ისეთი მონაცემები, რაც სხვა საისტორიო წყაროებში არ გვხვდება. ასეთია მონაცემები ჯაჰან შაჰის არმიის რაოდენობის შესახებ, რომელიც ჰოვანესის მიხედვით 20 000 ყოფილა.[77] მიუხედავად იმისა, რომ სვინაქსარის გადამწერი ჰოვანესი ისეთ მასალას იძლევა, რომელიც სხვა სომხურ წყაროებში არ გვხვდება, თბილისის აღებაზე მისი ცნობები, სავარაუდოდ, თოვმა მეწოფეცისგან უნდა მომდინარეობდეს. ამაში გვარწმუნებს თოვმა მეწოფეცისა და ჰოვანესის ცნობების შედარება თბილისის აღებასთან დაკავშირებით.

თავდაპირველად გავეცნოთ ჰოვანეს გადამწერის წყაროს თბილისის აღებასთან დაკავშირებით. ცნობაში ვკითხულობთ:

„ისინი [ჯაჰან შაჰის მეომრები] მიადგნენ ქალაქ ტფილისს, დაანგრიეს, ააოხრეს და ცეცხლს მისცეს ქალაქი, ყველა ეკლესია დააქციეს და დაბრუნდნენ უკან. ალყაში მოაქციეს ქალაქი სამშვილდე „ხ“ (40) დღის მანძილზე, გარს შემოერტყა მას შეჩვენებული, ურჯულო ჯჰანშა ბზობის დღესასწაულიდან ჩვენი ღმერთის ქრისტეს ამაღლებამდე, სასწაულის [მოხდენის] კვირაში. ქრისტიანები იმედოვნებდნენ, რომ მათი წყეული მეფე

---

[75] იქვე, 102-3.

[76] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 161-3.

[77] იქვე, 162.

[ალექსანდრე I დიდი] მოვიდოდა, მიეშველებოდა და გაანთავისუფლებდა მათ ურჯულოთა შევიწროებისაგან. მან უგულებელყო ისინი, ამჯობინა საკუთარი თავი გადაერჩინა, ვიდრე ქრისტიანთა წარწყმედის გამო [დაფიქრებულიყო]; მხდალი და უძლური გამოდგა, [მტრის] ერთ კაცსაც კი ვერაფერი ავნო".[78]

ის რომ ჰოვანესის ცნობა თბილისის აღებაზე მთლიანად ემყარება თოვმა მეწოფეცის ინფორმაციას, ამას ორივე ტექსტში არსებული ფაქტოლოგიური მსგავსებები ადასტურებს, კერძოდ: 1. სამშვილდის 40 ან 50 დღიანი ალყა ბზობის კვირიდან ქრისტეს ამაღლების კვირამდე; 2. ყველა, ძველი და ახალი ეკლესიების დანგრევის აღნიშვნა; 3. ერთი კაცის მოკვლის უუნარობა; 4. ალექსანდრე მეფისა და ქართველების სიმხდალისა და უძლურების აღნიშვა.[79] მიუხედავად ამ პრინციპული მსგავსებებისა, რომელიც ამ ორივე ავტორის ტექსტებს გააჩნია, არსებობს განსხვავებებიც. ჰოვანესის მიერ გადაწერილი სვინაქსარი ორიგინალური ცნობის შემცველიცაა, რაც მას სხვა წყაროებიდან ჰქონია ამოწერილი. თუმცა, ინფორმაციის დალაგებისას ჰოვანესს გარკვეული შეცდომები მოსდის: თბილისის აღება წინ უსწრებს სამშვილდის დაპყრობას, ეს მაშინ, როდესაც ყველა სხვა, სომხური წყაროს მონაცემებით ცნობილია, რომ ლაშქრობა ჯაჰან შაჰმა სწორედ აღდგომის კვირას დაიწყო სამშვილდეზე შეტევით.[80] რაც შეეხება სამშვილდის აღების 40 დღიან ამბავს (თოვმასთან 50 დღეა), ამას უფრო სიმბოლური სახე აქვს. ჰოვანესმა წმინდანად შერაცხული სამშვილდის მოსახლეობის წამება და მკვლელობა ქრისტეს ამაღლების დღესასწაულს დაუკავშირა, რაც ერთის მხრივ სიმბოლიზმია, ხოლო მეორეს მხრივ, იმის ჩვენება, რომ მათი დაღვრილი სისხლი ღვთის ნება და ქრისტესთვის თავდადების სამაგალითო საქციელი იყო, რომლებიც ამგვარად ამაღლდნენ ზეცაში და ღვთის თვალში ამაღლების ბრწყინვალე დღეს. ამგვარად, ორივე ავტორი, თოვმა მეწოფეცი და ჰოვანესი, ერთი და იმავე სახის ინფორმაციას გადმოგვცემს მცირედი განსხვავებით. ჰოვანესის ცნობები თბილისის აღებაზე მთლიანად ემყარება თოვმა მეწოფეცის ტექსტს. თუმცა, თბილისის დაცემის თომასეული ისტორია ჰოვანესს კონტექსტიდან ამოგლეჯილად და სამშვილდის მოსახლეობის წამებასთან დაკავშირებულ სხვა მონაცემებთან შეჯერებით აქვს მოცემული.

ამგვარად, თოვმა მეწოფეცის მიერ ისტორიული ფაქტის გაყალბებამ, რომ თითქოს თბილისი 1440 წელს დაეცა, სხვა საისტორიო წყაროებშიც იჩინა თავი.

---

[78] იქვე, 162.

[79] იქვე, 161-2; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 99-103.

[80] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-8, 72, 161; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 100.

თოვმას სიყალბე გასცდა მისი ნაშრომის ფარგლებს და იმავე, XV საუკუნეში ამ ინფორმაციას უკვე სხვა ავტორიც იმეორებს.

მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? რატომ შეეცადა თოვმა მეწოფეცი გაეყალბებინა ისტორიული ფაქტი თავის ნაწარმოებში და წარმოეჩინა ქართველების სრული უუნარობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში? უპირველეს ყოვლისა, ეს იყო რელიგიური განსხვავება. სწორედ ის განსაზღვრავდა იმ უარყოფით დამოკიდებულებას, რომელსაც ქართველები და სომხები ერთმანეთის მიმართ იჩენდნენ.[81] ქართველები თუ დიოფიზიტები იყვნენ, სომხები მყარად იდგნენ მონოფიზიტურ მრწამსზე. შუა საუკუნეებში რელიგიური კუთვნილება მარტო რწმენას არ განსაზღვრავდა, ის ნაციონალურ კუთვნილებასაც უჩვენებდა და ქართველისათვის მონოფიზიტი აღმსარებლობის პიროვნება სომეხთან იგივდებოდა.[82] ანალოგიური შეიძლება ითქვას სომხების დამოკიდებულებაზე ქართველებთან მიმართებაშიც.[83]

აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების საქართველოში რელიგია არა მარტო მრწამსს, არამედ ეროვნულ კუთვნილებასაც განსაზღვრავდა. ვინაიდან წირვა-ლოცვა ქართულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებში ქართულ

---

[81] ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა სიმონ დე სენ-კვენტინის (XIII ს.) ცნობა, რომელიც საუბრობს ქართველებისა და სომხების ურთიერთდამოკიდებულებაზე; ის შენიშნავს – *„იმდენად დიდია სიძულვილი სომხებსა და ქართველებს შორის, რომ ქართველი ამბობს: „თუ რომელიმე ჩვენგანს, სომხური ეკლესიის წინ მიმავალს, ფეხში ეკალი შეერჭობა, უნდა აიტანოს, არ უნდა შეეცადოს ეკლის ამოღებას და ამ მიზნით არ უნდა დაიხაროს, რათა ვინმეს არ ეგონოს, რომ რომელიმე ჩვენგანი ქრისტიანი თავს იხრის სომხური ეკლესიის წინაშე“*. დ. ნინიძე, „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ [ასცელინის ელჩობა]“, *ქართული დიპლომატია*, XI (2004), 480. თოვმას უარყოფით დამოკიდებულება ქართველების მიმართ და ამის რელიგიური მოტივით ახსნა მოცემული აქვს კ. კუციასაც. იხ. თოვმა მეწოფეცი, *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*, 15-6, 97.

[82] სომხებისა და ქართველების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ პიროვნება, რომელიც იყო მონოფიზიტი ითვლებოდა სომეხად, ხოლო ის, ვინც მიეკუთვნებოდა დიოფიზიტურ ანუ ქართულ მრწამსს, იყო მცხეთის საპატრიარქოს სამწყსო და ითვლებოდა ქართველად. მაგალითისთვის ისიც საკმარისია, რომ ქართველები თანამოსაუბრის ეროვნების გასაგებად შემდეგი კითხვით მიმართავდნენ *„რა რჯულის ხარ შენ“* პასუხად კი იღებდნენ – *„ქართველი“*. იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 291-2.

[83] როდესაც სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი აღწერს ზაქარია მხარგრძელის ძმის, ივანეს მიერ სჯულის შეცვლას, მისი ნარატივიდან კარგად სჩანს, რომ ავტორი ივანეს უკვე სომეხად აღარ მიიჩნევს; მისთვის ივანე მხარგრძელი „ურჯულოა“ და ამდენად არა თვისტომი. იხ. ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2003), 156. 1225 წლის მოვლენების აღწერისას ივანე მხარგრძელს *„ქართველ მხედართმთავარს“* უწოდებს XIII-XIV სს. მიჯნაზე მცხოვრები სომეხი მემატიანე სებასტაცი (*სებასტაცი* აღნიშნავს არა სახელს, არამედ ქალაქ სევასტიის მცხოვრებს). იხ. Себастаци, Летопись, *Армянские источниклето о монголах*, пер. А. Г. Галстяна (Москва, 1962), 24-5.

ენაზე აღესრულებოდა, ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართული ენის გავრცელების კუთხითაც.

სწორედ რელიგიაზე დაფუძნებული ნაციონალიზმი იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც ასეთი უკმაყოფილება გამოიწვია თოვმა მეწოფეცში. თოვმა თავადაც სამღვდელო პირი იყო, ამდენად ეს დაპირისპირება მისთვის გასაკუთრებით აქტუალური იყო.[84] XV საუკუნეში სომხებს არ ჰქონდათ სახელმწიფო და სომხების საკმაოდ დიდი ნაწილი ქართული ჯარისა და ქართველების იმედად იყო დარჩენილი. ამას ვერც თოვმა მეწოფეცი უარყოფს. იგი პირდაპირ არ აღნიშნავს, მაგრამ ფაქტია, რომ სომეხი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს იმისათვის, რომ მუსლიმ მომხდურთაგან თავი დაეცვა, არამარტო ქართველების იმედად ყოფნა, არამედ ქართულ-მართლმადიდებლურ მრწამსზე გადასვლაც უწევდა. ამ მხრივ საქართველოს მხარე ქმედით ღონისძიებებს მიმართავდა, რაშიც, ბუნებრივია, სომხური მხარის წინააღმდეგობას აწყდებოდა.[85]

შესაბამისად, თბილისის ჰიპოთეტურ დაცემას თოვმა მეწოფეცი კარგად იყენებს იმისათვის, რომ სომხებს აჩვენოს ქართველების მარცხი, წარუმატებლობა და მტრისათვის წინააღმდეგობის უუნარობა:

„გარდა ამისა ჩვენ [სომხები] ყოველთვის ვამყარებთ ჩვენს იმედებს ქართველებზე და ვტრაბახობთ მათით ურწმუნოთა შორის, და ამის შემდეგ ვიყავით გაწბილებული და შერცხვენილი ურწმუნოთა წინაშე“.[86]

ამ პათეტიკის შემდეგ თოვმა ხალხს მოუწოდებს ენდონ არა ქართველებს, არამედ ღმერთს. თბილისის დაცემა ამ შემთხვევაში თოვმა მეწოფეცს დასჭირდა არა მხოლოდ ქართველთა გასაქიქებლად რელიგიური წინააღმდეგობის გამო, არამედ, პირველ რიგში, მათი „ლაჩრული“ სულის საჩვენებლად: რადგან ისინი საკუთარ თავს ვერ იცავენ და ჩვენ (სომხებს) როგორ დაგვიცავენო. თოვმას მიზანს სომხებისათვის ქართველების სისუსტის ჩვენება წარმოადგენდა. მისი სურვილი იყო სომხებს დაეკარგათ ქართული სახელმწიფოს იმედი, რაც ამცირებდა სომხების მიერ მართლმადიდებლობის მიღების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მათ გაქართველებას.

ამდენად, თოვმა მეწოფეცი ტენდენციურია და მისი ცნობები თბილისის დაცემასთან დაკავშირებით, ისევე როგორც, ქართველების ლაჩრობასთან და

---

[84] თოვმა მეწოფეცის ბიოგრაფიის შესახებ იხ. თოვმა მეწოფეცი, *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა*, 11-3.

[85] ალექსანდრე აბდალაძე, „XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (თბილისი, 1976), 80-1.

[86] T'ovma Metsobets'i',*History of Tamerlane and His Successors*, 103.

სისუსტესთან მიმართებაში, გაზვიადებულია და არ შეესაბამება სიმართლეს. ქართველებმა სამი-ოთხი თვე იბრძოლეს სამშვილდის დასაცავად და იმ პირობით ჩააბარეს ჯაჰან შაჰს, რომ ის ქალაქს არაფერს არ ავნებდა და არც მოსახლეობას დაუშავებდა რაიმეს, რაც ჯაჰანმა არ შეასრულა. ასე თუ ისე, სამშვილდე შავბატკნიანებმა მხოლოდ მოლაპარაკების გზით აიღეს და ისიც, რამდენიმე თვიანი ბრძოლის შემდეგ, რაც ქართველების სისუსტეზე ნამდვილად არ მეტყველებს.

ქალაქის დაცემის ძირითადი მიზეზი, როგორც ამას ოჰანეს თმოგველი მიუთითებს, ციხეში მყოფთა შევიწროვება იყო, რაც სურსათ-სანოვაგის შემცირებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ყველა შემთხვევაში, ციხის კარის გაღება შეცდომა იყო და თუ ის მართლაც მოსახლეობამ თავად გაუღო მტერს გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, ისინი გვარიანად დაისაჯნენ კიდეც. 3 000 კაცი მტრის მახვილს შეეწირა, ხოლო 9 000 ტყვედ წაიყვანეს.[87]

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, არ ჩანს თუ რა შედეგით დასრულდა საქართველოსა და ყარა-ყოიუნლუს თურქმანების ომი.[88] თოვმა მეწოფეცის ცნობით, არდებილის სულთანს ჯაჰან შაჰისთვის დამორჩილებულ მოსახლეობაზე დიდი ხარკის დადება შეუთავაზებია, რათა ქრისტიანულ მოსახლეობას ის ვერ გადაეხადა და მუსლიმურ მრწამსზე გადასულიყო.[89] თოვმა არ წერს, ეს ხარაჯა იქნა თუ არა დადებული.

ალექსანდრე მეფის 1440, 1441, 1442 წლების სიგელები ხარაჯაზე არაფერს მიუთითებს.[90] სამაგიეროდ საქართველოს მიერ მუსლიმთათვის 400 000 დინარის გადახდა დაფიქსირებული აქვს ალ-მაზანდარანს.[91] ადრე ამ ცნობას 1348/49 წლით ათარიღებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ხარკი დავით IX-ს (1346-60) უნდა გადაეხადა ნომინალური ყაენის, ანუშირვანისთვის.[92] ეს დათარიღება სამართლიანად არის გააკრიტიკებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. როგორც ირკვევა, თანხა საქართველოს მმართველებს არა XIV საუკუნეში, არამედ 1440 წელს შავბატკნიანთა შემოსევის შემდეგ უნდა გადაეხადათ.[93]

---

[87] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 65.

[88] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 38.

[89] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 103-4.

[90] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, რედ. მზია სურგულაძე, ჯუმბერ ოდიშელი (თბილისი, 1991), 215; *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, ტ. II (ტფილისი, 1897), 247-54; *ქართული სამართლის ძეგლები*, II, 126-9; III, 186-7.

[91] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 628; კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 87-91.

[92] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 668.

[93] კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 88-91.

ამდენად, საქართველოს მართალაც მოუწია ხარკის გადახდა, თუმცა, როგორც ცნობაშია აღნიშნული, თანხა არამარტო აღმოსავლეთიდან, არამედ დასავლეთ საქართველოდანაც იქნა აკრეფილი. ეს მაშინ, როდესაც ჯაჰან შაჰი მხოლოდ ქვემო ქართლსა და სომხეთის ტერიტორიებს ლაშქრავს. აქედან ჩანს, რომ ხარკი თავად ალექსანდრეს უნდა აეკრიფა.[94] ეს არ იყო ყოველწლიური ხარაჯა, რომლის შემოღებისკენაც არდებილის სულთანი აქეზებდა ჯაჰან შაჰს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წლიური გადასახადი, ისე იქნებოდა მოხსენიებული ალექსანდრეს მიერ გაცემულ სიგელებში, მაგრამ იქ მსგავსი არაფერია აღნიშნული. ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ერთჯერადი კონტიბუცია.

აქვე აღსანიშნავია ალექსანდრე I დიდის 1440 წლის სიგელი მალის ამოკვეთის შესახებ, რომელიც ხარკისა და მალის დაწესებას აუქმებს საქართველოს ტერიტორიაზე:

„ვინცა შემდგომად ჩვენსა, ვინცა მეფენი და პატრონნი იყუნენ მათთუის მალი არავინ აიღოს.

და თუ ულუსი მოვიდეს და თათართაგან ძალი დაემართოს, რაცა ციხეთა და საყდართა დაუქცევლობისა და თემთა ქუეყანათა ამოუწყვედლობისა და დაუტყუებლობისათვის არ მოკრიფონ მათთუის, სხუად მოსაჴმარებლად მალი არავინ აიღოს“.[95]

ამგვარად, ალექსანდრე ბრძანებას იძლეოდა მალის საბოლოო ამოკვეთის შესახებ და მის გადახდას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა მართებულად, თუ მტერი რომელიმე თემს ან მხარეს განადგურებით ემუქრებოდა. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის დასაცავად მალის აკრეფა დაშვებული იყო. სწორედ ასეთი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამშვილდეში. ამრიგად, ალექსანდრეს ამ სიგელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხარკის გადახდა მოსახლეობისა თუ სახელმწიფოს მიერ, ისეთი საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ჯაჰან შაჰის შემოსევის დროს შეიქმნა, გამართლებული იყო.

ხარკი, რომელიც ამ შემთხვევაში ალექსანდრემ გადაიხადა, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ტყვეების ერთი ნაწილისა და ქალაქის გამოხსნისათვის,

---

[94] იქვე, 90.

[95] *ქართული სამართლის ძეგლები*, II, 127; ალექსანდრე აბდალაძე „სათათრო მალის“ ამოკვეთის მიზეზად ჯაჰან შაჰის შემოსევას მიიჩნევდა. აბდალაძე, „XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან“, 83. მიუხედავად ამ გადასახადის არაქართული წარმოშობისა, მალს მოსახლეობა ქართველ მეფეებს უხდიდა და ის, როგორც სწორად შენიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, დაწესებული იყო ქვეყნის აღდგენა-განახლებისთვის, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ალექსანდრე თავის სიგელში. ამდენად, მალის ამოკვეთა აღდგენითი სამუშაოების ერთი ეტაპის დასრულების დამადასტურებელია და მას ჯაჰან შაჰის შემოსევასთან კავშირი არა აქვს. იხ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, IV, 34-6; *ქართული სამართლის ძეგლები*, II, 126.

ვინაიდან სამშვილდე მოგვიანებით ქართველთა ხელში იყო და არანაირი ინფორმაცია, თუნდაც ირიბი, არ ადასტურებს მისი ბრძოლით გამოხსნის ფაქტს. ჯაჰანს რომ საქართველოზე ყოველწლიური ხარაჯის დადება გაუჭირდებოდა, ეს თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგებიდანაც ჩანს. თუ ისეთ მრისხანე მბრძანებლს, როგორიც თემურ-ლენგი იყო, საქართველოს დასამორჩილებად 17 წელიწადი დასჭირდა,[96] ძნელი დასაჯერებელია, რომ იგივე ოთხი თვის განმავლობაში მოეხერხებინა ჯაჰან შაჰს და ისიც მისი უზენაესი ხელისუფლის, თემურ-ლენგის მემკვიდრის – შაჰრუხის სამხედრო დახმარების გარეშე.

შავბატკნიანთა 1440 წლის შემოსევის მიზეზების გარკვევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უფრო ადრინდელი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი, სახელდობრ, ჯაჰან შაჰის პატრონის და მწყალობელის, შაჰრუხის ურთიერთობის განხილვა საქართველოს სამეფო კართან. აღსანიშნავია, რომ ჩაღათაელთა მბრძანებელი შაჰრუხი საქართველოსთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1435 წელს შემოიჭრა. ვახუშტის ცნობით ალექსანდრეს ამ ფაქტთან დაკავშირებით სამეფო დარბაზი მოუწვევია. მასზე შემდეგი საკითხი განუხილავთ, „*ბრძოლა ანუ ზავი*“, დარბაზმა მხარი ზავს დაუჭირა და ამასთან დაუმატებია *„უკეთუ არა ინებოს, მერმე ვბრძოთ შეწევნითა ღუთისათა“.* სამშვიდობო მისიის შესასრულებლად დიმიტრი (დემეტრე) ბატონიშვილი გაგზავნეს დიდი ძღვენით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, სამშვიდობო მისია ასე დასრულებულა:

„ხოლო შარუხ სიხარულითა შეიწყნარა და პატივ-სცა ძისაებრ დიმიტრის. შემდგომად ანიჭა ნიჭნი დიდ-დიდნი, წარმოუვლინა მამასვე მშვიდობით ზავისა მყოფელმან და თუით შარუხ უკუნ-იქცა და წარვიდა“.[97]

ამდენად, ზავი დაიდო. მაგრამ რა პირობებზე? ამაზე ვახუშტი არაფერს წერს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დემეტრე დიდი ძღვენით ეახლა შაჰრუხს და იმასაც, რომ 1436 წელს შაჰრუხმა ჯაჰან შაჰი დაამტკიცა აზერბაიჯანის მმართველად,[98] რომლის მბრძანებელსაც ტრადიციულად ევალებოდა ამიერკავკასიის კონტროლი, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ალექსანდრე დათანხმდა ხარკის გადახდას.

---

[96] თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ დაწვრილებით იხ. ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*; კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*; თინათინ ევდოშვილი, „სომხური წყაროები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (თბილისი, 2006).

[97] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 281.

[98] Фасих Ахмад ибн Джалал ад-Дин Мухаммад ал-Хавафи, *Фасихов свод* (Ташкент, 1980), 213; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 16-7.

შაჰრუხისა და ალექსანდრე მეფის მოლაპარაკებების შესახებ ძვირფასი ცნობებია დაცული ფასიხ ხავაფის ქრონიკაში. ავტორის ცნობით, შაჰრუხი ყარაბაღის საზამთრო სადგომში 1435 წლის 12 ნოემბერს მოსულა, რასაც სომხური წყაროების ცნობით მოჰყვა კიდეც ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება.[99] საქართველოსთან მოლაპარაკებები ნოემბერშივე დაიწყო. ჩაღათაელთა მხრიდან დიალოგს შაჰრუხის ნდობით აღჭურვილი პირი მავლანა მუჰამედ დაშთი აწარმოებდა. მავლანა მუჰამედ დაშთმა, ხავაფის ცნობით, საქართველოდან წამოიყვანა მეფის უფროსი ძე დიმიტრი,[100] რომელსაც შაჰრუხთან ფეშქაში და ნისარი მიუტანია. მოლაპარაკებების შედეგად ქართველებმა ყაენის მოციქულს ჰამზა მუჰამედ ფაზლალაჰს ტყვე მუსლიმები ჩააბარეს, ხოლო, როგორც სომხური წყაროებიდან ჩანს, ქართველებმა სომეხი ქრისტიანები გამოიხსნეს.[101] ფასიხ ხავაფის ცნობით, მუსლიმების გამოხსნის შემდეგ, დიდი ძღვენით მოსული დიმიტრი უკანვე დააბრუნეს. ფასიხის ცნობით, ეს ამბავი 1436 წლის 16 თებერვალს მოხდა, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა ზავი ალექსანდრესა და შაჰრუხს შორის.[102] მეფის შვილის დიმიტრის ფეშქაშითა და ნისარით მისვლა, უკვე მორჩილების გამოხატულება იყო ჩაღათაელთა ყაენისადმი,[103] თუმცა განსხვავებით შარვანის, შაქის, მუღანისა და სხვა ქვეყნების მმართველებისგან, ალექსანდრე პირადად არ ხლებია ყაენს, არამედ მისი მეორე ვაჟი, დიმიტრი, გაგზავნა, რომლის შესახებაც ფასიხ ხავაფის პრეტენზია აქვს, რომ იგი მეფის უფროსი შვილი და მემკვიდრე იყო.[104] ალექსანდრე დიდმა დაახლოებით იმავე სახის პატივი მიაგო ჩაღათაელთა მბრძანებელს, როგორიც 1403 წელს გიორგი VII-მ

---

[99] Фасих ал-Хавафи, *Фасихов свод*, 213-4; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 89.

[100] სინამდვილეში, დიმიტრი ალექსანდრე მეფის რიგით მეორე ვაჟიშვილი იყო.

[101] სომხურ წყაროები ტყვეების გამოხსნის ამბავში ქართველთა მონაწილეობაზე არ მიუთითებენ და ამ საქმის შესრულებას ბეშქენ ორბელიანს მიაწერენ. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ტყვეების საქმე მოლაპარაკების გზით უნდა გადაჭრილიყო და არა ბეშქენის მამაცობით. ბეშქენის სამხედრო პოტენციალი უმნიშვნელო იყო შაჰრუხთან შედარებით. ბეშქენის აქტივობის შესახებ იხ. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51-2; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 97-9.

[102] Фасих ал-Хавафи, *Фасихов свод*, 213.

[103] ის რომ ფეშქაშის და ნისარის მირთმევა მორჩილების გამოხატულება იყო, ამას ფასიხ ხავაფი სხვა მონაკვეთში პირდაპირ აღნიშნავს, როდესაც წერს, რომ შაჰრუხს ყარაბაღის და ნახჭევნის მხარეში *„ფეშქაში და ნისარი მიართვეს მორჩილების ნიშნად“*. იხ. Фасих ал-Хавафи, *Фасихов свод*, 203-4.

[104] Фасих ал-Хавафи, *Фасихов свод*, 213.

შაჰრუხის მამას, თემურ-ლენგს.[105] უნდა ვიფიქროთ, რომ შეთანხმების დროს მხარეები გაითვალისწინებდნენ და აღადგენდნენ 1403 წლის ზავის პირობებს, შესაძლოა, საქართველოსთვის უფრო მომგებიან გარემოებებში, ვინაიდან შაჰრუხს უშუალოდ არ დაულაშქრავს ალექსანდრეს სამეფოს შიდა მხარეები.

გამოზამთრების შემდეგ, შაჰრუხი რანის ყარაბაღიდან აზერბაიჯანში დაბრუნდა. ხავაფის ცნობით, ეს 1436 წლის 2 მაისს მოხდა.[106] ზავის დადებითა და ხარკის გადახდით ქართველებმა ჩაღათაელთა აგრესია აიცილეს თავიდან, ხოლო მირთმეული ძღვენი, რომელიც ხარკში ჩაითვალა, მომდევნო გადასახადისაგან დაახლოებით 2 წლით ანთავისუფლებდა ქართველებს. 1438 წლის 23 ოქტომბერს შაჰრუხი უკვე ჰერათში იყო.[107] აზერბაიჯანისა და მისი მიმდგომი ქვეყნების მმართველობა ჯაჰან შაჰს ჩააბარეს.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში ხარკის აკრეფა ჯაჰან შაჰს დაევალა, როგორც შაჰრუხის ვასალს და ირანის ჩრდილოეთით მდებარე პროვინციების გამგებელს. ჯაჰან შაჰი თავად შაჰრუხის მიერ იქნა დამტკიცებული აღნიშნული პროვინციების გამგებლად და შაჰრუხის გარდაცვალებამდე (1447) მისი ვასალია.[108] ეს იყო სწორედ ის გადასახადი, რომელსაც ჯაჰან შაჰი უშედეგოდ ითხოვდა ქართველებისგან 1438-40 წლებში. ჯაჰანის მიერ ხარკის მოთხოვნა, თოვმას გარდა, სომხური ანდერძ-მინაწერების ცნობებიდანაც დასტურდება.[109]

უნდა აღინიშნოს, რომ 1436 წლის თებერვალს დადებული შეთანხმებიდან გამომდინარე, ამ მოთხოვნას ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა. დიმიტრის მიერ მირთმეული ძღვენი შაჰრუხს თავიდანვე ხარკში უნდა ჩაეთვალა, ხოლო მომდევნო წლების გადასახადი ირანის ჩრდილოეთში დანიშნულ მის ვასალს – ჯაჰან შაჰს უნდა აეკრიფა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, უშედეგოდ ცდილობდა აღთქმული ხარკის მიღებას. ამდენად, ჯაჰან შაჰი დაწესებულ გადასახადს მოითხოვდა, რისი აშკარა იგნორირებაც მოახდინა მეფე ალექსანდრემ.

ამას გარდა, არსებობდა აღნიშნული ლაშქრობის გამომწვევი მეორე მიზეზიც. როგორც თოვმა მეწოფეცის ცნობიდან ვიგებთ, 1438 წელს ბეშქენ

---

[105] 1403 წლის ზავის შესახებ იხ. ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, 207-11; კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, 158-60; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, 701-12.

[106] Фасих ал-Хавафи, *Фасихов свод*, 213.

[107] იქვე, 216.

[108] *The Cambridge History of Iran*, vol. 6, 163.

[109] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 103-4; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 61; *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, II, 36-7.

ორბელიანს სივნიეთის ტერიტორიები მთელი მისი მოსახლეობის ჩათვლით ალექსანდრე I დიდის სამფლობელოებისთვის დაუმორჩილებია და თურმე, საქართველო შაჰრუხისგან გაუნთავისუფლებია.[110]

ბეშქენ ორბელიანის ბრძოლას ჩაღათაელთა წინააღმდეგ სხვა სომხური წყაროებიც ადასტურებენ. ბეშქენ ორბელიანის გააქტიურება შაჰრუხის წინააღმდეგ 1435 წელს იწყება. ამის დამადასტურებელი ცნობა მოცემულია ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში, რომელიც 1437 წელს არის გადაწერილი საქართველოში, სანაინის მონასტერში. მინაწერილს ავტორი წერს:

„სანაინის მონასტერში, წმ. ღვთისმშობლის მფარველობით... სომხური წელთაღრიცხვის „პძზ“ (1437) წელს, საქართველოში ღვთისმსახური ალექსანდრეს მეფობისას, ამ მხარეში ერისთავთა მთავრის, ორბელიანთა მოდგმის პარონ ბეშქენისა და მისი ვაჟის, ჩემი სულიერი შვილის, პარონ რუსტამის მთავრობისას... სასოწარკვეთილი ვარ დროის სისასტიკისა და სომეხთა ქვეყნის მრავალი ვაებისა და აოხრების გამო, რამეთუ მოვიდა შეჩვენებული, ბოროტი მძლავრი და ანტიქრისტეს წინამორბედი, ძე სატანისა შაჰრუხი, ლანგ-თემურის შვილი, ტომით სპარსი, იგი სამხრეთიდან დაიძრა დიდი ლაშქრით, ურიცხვი მხედრობით, მოვიდა და დააქცია ჩვენი ქვეყანა, გაძარცვა და დაატყვევა ყოველივე, აოტა ჩვენი ქვეყნის მპყრობელი, სახელად ასკანდარი, ძე იუსუფისა, თოგორმის ნათესავი... ჩვენი ძმობის წევრები გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში, ჩვენს ღვთივმომადლებულ მთავართან, ყოვლად კურთხევის ღირს პარონთა პარონ ბეშქენთან, წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად. ამ მიზეზის გამო დავმკვიდრდით სანაინის ამ წმ. მონასტერში“.[111]

როგორც ალექსანდრე აბდალაძე აღნიშნავს, შაჰრუხს სივნიეთი (სიუნიქი) 1435-36 წლებში დაურბევია, რის გამოც 60 000 ოჯახს (თოვმა მეწოფეცის ზოგ ხელნაწერებში 6 000) დაუტოვებია სომხური მიწები და ლორეს მხარეში წამოსულა.[112] ბეშქენის აქტიური გამოსვლა ჩაღათაელთა წინააღმდეგ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ყარაბაღში დაბანაკებული შაჰრუხი და მისი მარბიელი რაზმები ყველაზე მეტად სწორედ მის სამფლობელოებს აწუხებდნენ სივნიეთში, რაც გახდა კიდეც საბაბი ბეშქენ ორბელიანის გააქტიურებისა.[113]

---

[110] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 97-8.

[111] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51.

[112] იქვე, 150.

[113] ამასთან დაკავშირებით იხ. ჰიშატაკარანები, რომლებშიც გადმოცემულია ბეშქენის აქტიური სამხედრო მოქმედება და ტყვეთა განთავისუფლება. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51-2. ბეშქენ ორბელიანის შესახებ, ასევე, იხ. T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 97-9.

სომხური ანდერძ-მინაწერების მიხედვით ბეშქენს აქტიური სამხედრო მოქმედებების გარდა, მრავალი სომეხი ტყვე გამოუხსნია მტრისაგან.[114] ჩვენი აზრით, ტყვეთა გამოხსნა მოლაპარაკების გზით უნდა მომხდარიყო, რომელსაც უფლისწული დიმიტრი და სხვა წარჩინებულები აწარმოებდნენ შაჰრუხთან, მათთან ერთად, შესაძლოა, ბეშქენიც. როგორც ზემოთ ითქვა, 1436 წლის თებერვლის შეთანხმებიდან გამომდინარე, ქართველები მუსლიმ ტყვეებს ათავისუფლებენ, რასაც შედეგად შაჰრუხის ქრისტიანი ტყვეების გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. 1436 წლის თებერვლის შემდეგ, შაჰრუხის ჰერათში გამგზავრებამდე, ბეშქენ ორბელიანს უნდა შეეწყვიტა ყოველგვარი ანტიმუსლიმური სამხედრო ქმედებები.

როგორც ჩანს, შაჰრუხის ჰერათში წასვლის შემდეგ, 1438 წლის გვიან შემოდგომაზე ბეშქენს შაჰრუხთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი თურქმანები განუდევნია სივნიეთიდან, რასაც მოჰყვა ამ ტერიტორიებზე ქართველთა კონტროლის აღდგენა. თოვმა მეწოფეცი ალექსანდრე მეფის მიერ ხარკის გადაუხდელობას ამ წარმატებას მიაწერს.[115] ალექსანდრეს მიერ ხარკის გადახდაზე უარის თქმის რეალური მიზეზი, არა ბეშქენის მამაცობა, არამედ ირანის ჩრდილო-დასავლეთში შაჰრუხის სამხედრო აქციის დამთავრება უნდა ყოფილიყო. ბეშქენ ორბელიანი, რომელსაც თავის დროზე ლორე და მისი შემოგარენი ჰქონდა ალექსანდრე მეფისგან ბოძებული,[116] სივნიეთის შემოერთებით თავად იმყარებს პოზიციებს საქართველოში. ის მნიშვნელოვნად იფართოებს თავის სამფლობელოებს და საქართველოს სამეფოში შემავალ, პრაქტიკულად, ყველა სომხურ სამფლობელოს ეუფლება. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, ბეშქენი დააპირისპირა ალექსანდრე მეფესთან. სწორედ ამის გამო, თოვმა მეწოფეცი ბეშქენის მოწამლვას და მკვლელობას ალექსანდრეს აბრალებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ბევრ მოღალატე სომეხ მთავარს შურდა ბეშქენ ორბელიანის წარმატებებისო.[117]

თოვმა მეწოფეცის ამგვარი პოზიცია არც არის გასაკვირი. სომეხი ისტორიკოსი ქართველ მეფეს ბრალს დებს ყველა ბოროტებაში. იმავე თოვმას ცნობით, თურმე ამ სიბინძურეების გამო მეფე ღმერთს დაუსჯია

---

[114] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51-2.

[115] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 97.

[116] იქვე, 98. სომხური კოლოფონების ჩვენების საფუძველზე ბეშქენი ლორეს მხარის ერისთავთა მთავრად უკვე 1437 წლის ანდერძში იწოდება. ეს სამფლობელო ბეშქენს სამართავად უკვე 1435-36 წლებში უნდა მიეღო, როდესაც აქ ჩამოვიდა მრავალრიცხოვან სომეხ ლტოლვილებთან ერთად. იხ. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51.

[117] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 98-9.

და მომდევნო, 1439 წელს, ალექსანდრე კეთრით დაავადდა, რის გამოც მას ძლიერი ტკივილები ტანჯავდა.[118] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე მეფეს განსაკუთრებით დაუახლოვებია და მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავს ცნობილი მწერალი და ექიმი ზაზა ფანასკერტელი, რაც, ჩვენი აზრით, 1439 წელს მეფის ავადმყოფობას უნდა უკავშირდებოდეს. ამ ფაქტმა საქართველოს სამეფო კარზე ფანასკერტელების კვლავინდებურად დაწინაურებას შეუწყო ხელი.[119] ხოლო ალექსანდრე I-ის გადადგომა საქართველოს სამეფო ტახტიდან 1442 წელს, სწორედ მის გართულებულ ჯანმრთელობას უნდა უკავშირდებოდეს და არა საოჯახო კონფლიქტს, როგორც ეს არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში.

შაჰრუხის ჰერათში გამგზავრებისა და სივნიეთის მხარის შემოერთების შემდეგ ალექსანდრე I დიდი არ თვლიდა თავს ვალდებულად ხარკი ეხადა ჩაღათაელთა ვასალი შავბატკნიანთა ფადიშაჰისთვის. სივნიეთი და მისი მიმდგომი ქვეყნები, რომელიც 1438 წლის მიწურულს შემოუერთდა საქართველოს, აქამდე სწორედ შავბატკნიანთა სამფლობელოს წარმოადგენდა.[120] ამდენად, ამ ქვეყნებზე ჯაჰან შაჰი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოთქვამდა პრეტენზიას. ამასთან, ალექსანდრე მეფეს ზავი შაჰრუხთან ჰქონდა გაფორმებული და არა ჯაჰან შაჰთან, შესაბამისად, საქართველოს მეფე არც აპირებდა მისთვის რაიმე ხარკის გადახდას.

ალექსანდრე I დიდის შეუვალმა პოზიციამ გამოიწვია შავბატკნიანი ფადიშაჰის, ჯაჰან შაჰის ლაშქრობა საქართველოში. ჯაჰანი საქართველოში აღდგომა დღეს, 1440 წლის 27 მარტს შემოიჭრა.[121] მტრის შემოჭრა მოულოდნელი აღმოჩნდა. თურქმანებმა შეტევა სამშვილდეზე მიიტანეს. ზუსტი მარშრუტი უცნობია, თუმცა გარკვეული დეტალების დადგენა მაინც ხერხდება. როგორც ჰასან რუმლუს ცნობიდან ვგებულობთ, ჯაჰან შაჰმა საქართველოში ლაშქრობა

---

[118] იქვე, 99-100.

[119] ფანასკერტელთა გვარის შესახებ იხ. დევი ბერძენიშვილი, „ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან“, *ნარკვევები* (თბილისი, 2005), 5-25; სოკრატ სალუქვაძე, *წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე* (თბილისი, 1987), 303-29.

[120] ერთ-ერთი სომხური ჰიშატაკარანის ავტორის მიხედვით, „ჩვენი ქვეყნის“ ანუ სივნიეთის მპყრობლად, 1435-36 წლებში, შაჰრუხის შემოსევის დროს, სწორედ ყარა-ყოიუნლუს შადიშაჰი ისკანდერია დასახელებული. იხ. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 51. შაჰრუხის ლაშქრობის შემდეგ ამ მიწებს ისაკანდერის ძმა, ჯაჰან შაჰი დაეუფლა. სწორედ მას წაართვა ეს ტერიტორიები 1438 წელს ბეშქენ ორბელიანმა. იხ. T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 97-8.

[121] *თბილისის ისტორია*, I, 191.

ყარსის (კარი) ველიდან დაიწყო, სადაც სამი დღის მანძილზე იყო დაბანაკებული[122] და სავარაუდოდ ჯარებს აგროვებდა. ამის შემდეგ, როგორც ჰასან რუმლუ წერს, ჯაჰანმა შაქისა და თბილისის წინააღმდეგ ილაშქრა.[123] თავდაპირველად ჯაჰან შაჰი შაქის წინააღმდეგ ლაშქრობს. ამ მხარის დასამორჩილებლად მას სომხური პროვინციები უნდა გაევლო, რომელიც 1438 წელს ალექსანდრეს დაუმორჩილა ბეშქენ ორბელიანმა. თუმცა, ჯაჰანის ლაშქრობის დროს ამ ტერიტორიაზე შერყეული იყო ქართველთა მმართველობა, ხოლო სომხები ადვილად დამორჩილდნენ ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1441 წელს სომეხი დიდებულებისა და სამღვდელოების კრება, ჯაჰან შაჰის თანხმობით, აირარატის ცენტრში ვაღარშაპატში (ეჩმიაძინი) შეიკრიბა. ჯაჰანის ადგილობრივმა მოხელემ, იაყუბ ბეგმა, არამხოლოდ მიიღო, არამედ დიდი მასპინძლობა გაუწია კრების ყველა მონაწილეს.[124] ჯაჰან შაჰს, მსგავსად მისი ძმა ისკანდერისა, ესაჭიროებოდა სომხების მხარდაჭერა, რაც გარკვეულწილად მიიღო კიდეც. სომეხ მთავრებს მან გარკვეული ტერიტორიებიც კი უბოძა სამართავად.[125] ამდენად, სომხური პროვინციების დამორჩილება ორივე მხარისთვის ნაკლები დანაკარგებით უნდა მომხდარიყო. სომხური პროვინციებიდან რანის გავლით ჯაჰანი შაქს იმორჩილებს. ამით მან ყველა ის ქვეყანა დაიქვემდებარა, რომლებიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ამას ადასტურებს ირანელი ისტორიკოსების ჰაზეფ ჰუსეინ კარბალაის და აჰმედ ყაზვინის ცნობები. ამ ავტორების მიხედვით ჯაჰან შაჰი საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ ლაშქრობს, რაც ის აზერბაიჯანს იმორჩილებს. ირანელი ისტორიკოსების ცნობით, ამ ტერიტორიაზე არ დარჩა ჯაჰან შაჰის არც ერთი მოწინააღმდეგე, რომელიც მან ვერ დაიქვემდებარა.[126] ამის შემდეგ, აზერბაიჯანის მოსაზღვრე რანიდან მას საქართველოში უნდა ელაშქრა. რანი (არანი, არრანი), როგორც ცნობილია XV-XVI საუკუნეებში

---

[122] კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 80.

[123] იქვე.

[124] *The Armenian People From Ancient to Modern Times*, Vol. II (Foreign Domination to Statehood: The Fifteenth Century to The Twentieth Century), Ed. by Richard G. Hovannisian (Macmillan, 1997), 36-7.

[125] იქვე, 6. ამერიკაში მოღვაწე წარმოშობით სომეხი მკვლევარის, დიქრან კუიმჯიანის მიხედვით, ჯაჰან შაჰს 1440 წელს თბილისი აუღია და 8 000 ადამიანი დაუხოცია, ხოლო 9 000 მონებად წაუყვანია. იქვე, 6. სამწუხაროდ, მეცნიერი არ უთითებს წყაროს, საიდანაც აქვს მას ეს ინფორმაცია ამოღებული. დასახელებული ტყვეთა რაოდენობის მიხედვით (9 000) თუ ვიმსჯელებთ, ეს ინფორმაცია უფრო სამშვილდის დატყვევებული მოსახლეობის რაოდენობას შეესაბამება, რომელიც ჰიშატაკარანებშია მოცემული და ნაკლებ სავარაუდოა მას თბილისთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.

[126] ყაზი აჰმად ღაფარი ყაზვინი, *თარიხ-ე ჯაჰან-არა*, 278; ჰაფეზ ჰოსსეინ კარბალაი, *როზათ ოლჯენან ვაჯანათ ოლჯენან*, 52.

აზერბაიჯანის მხარესთან იყო დაკავშირებული და იქ ხშირად ირანის აზერბაიჯანის მმართველთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.[127] ამას არაპირდაპირ სომხური წყაროებიც ადასტურებენ; მათი ცნობით, ეს უბედურება სწორედ ქართველთა ქვეყანას დაატყდა თავს და არა სომხურ გავარებს (მხარეებს).[128] ამასთან, როგორც ცნობილია, რანის გარდა, ყაზახის მხარე საქართველოს ალექსანდრეს მეფობისთვის უკვე დაკარგული ჰქონდა.[129] შესაბამისად, რანის და ყაზახის გზა, რომელიც ყარაიას ველზე გადიოდა და მდინარე ქციის ხეობით სამშვილდისკენ მიდიოდა[130] იყო ყველაზე მოკლე და გაშლილი სივრცე ჯაჰან შაჰის მრავალრიცხოვანი ურდოსთვის. ხანგრძლივი ალყის შემდეგ, 1440 წლის ივლისის თვისათვის, ყარა-ყოიუნლუს თურქმანებმა სამშვილდე მუხანათობით, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით აიღეს.[131] თუმცა, მოსახლეობისთვის მიცემული პირობა დაარღვიეს და ქალაქში სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს, 2-3 000-მდე კაცი დახოცეს, დანარჩენი კი ტყვედ წაასხეს. ტყვეების საერთო რაოდენობა, სხვადასხვა წყაროების მონაცემებით, 9-30 000-მდე იყო.[132] ჯაჰან შაჰის მიერ ქალაქისთვის მიცემული პირობის დარღვევა შეიძლება იმ ხარჯის დაფარვის სურვილით აიხსნას, რომელიც შავბატკნიანთა ფადიშაჰმა გაიღო ამ სამხედრო ოპერაციის წარმოებისთვის. ჯაჰანი ხვდებოდა, რომ ალექსანდრე დიდი ხარკის გადამხდელი არ იყო, ხოლო სამშვილდის აღების გართულებულმა ოპერაციამ დაარწმუნა იმაში, რომ ლაშქრობის გაგრძელება უპერსპექტივო იყო. სომხური ანდერძ-მინაწერების არაპირდაპირი მითითებით, ქალაქის აღებისა და ტყვეების წაყვანის შემდეგ ჯაჰან შაჰი უკან გაბრუნდა. ოჰანესი წერს: *„ტყვეთა რიცხვმა „ქ“-ს (9000) გადააჭარბა, ისინი გაინაწილეს ერთმანეთში...ზოგი მათგანი წაიყვანეს აღმოსავლეთში, ხორასანში, ზოგი დასავლეთში, რუმში, ზოგიერთი სამხრეთში, არაბსტანში, ზოგიც ჩრდილოეთში, ლაკსტანში...*“[133] როგორც ვხედავთ, საერთოდ არაფერია მოთხრობილი შემდგომ ოპერაციებზე. არ არსებობს მიზეზი, რომ არ ვენდოთ ოჰანეს

---

[127] ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 27-8.

[128] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 60-2, 67-8.

[129] *საქართველოს ისტორიის ატლასი*, რედ. დავით მუსხელიშვილი (თბილისი, 2003), 38-9.

[130] იქვე.

[131] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 65-7.

[132] T’ovma Metsobets’i’, *History of Tamerlane and His Successors*, 101; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 61, 65-6, 68; კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 80.

[133] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 65.

თმოგველის ამ ცნობას. ტექსტის მიხედვით, ჯაჰანი ტყვეების აყვანის შემდეგ უკან ბრუნდება. ოჰანეს თმოგველი თოვმა მეწოფეცისგან განსხვავებით ობიექტურად გადმოგვცემს 1440 წლის ბრძოლების მიმდინარეობას და მისი ინფორმაცია უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება.

ჯაჰან შაჰის მიერ აყვანილი ტყვეები ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეებში წაიყვანეს გასაყიდად,[134] თუმცა მათი გამოსყიდვის საშუალება ქართველებს და სომხებს მაინც მიეცათ. ადგილობრივ მოსახლეობას, ალბათ, გააჩნდა იმის საშუალება, რომ მოეგროვებინა გარკვეული თანხა ტყვეების გამოსყიდვის მიზნით. თუმცა, თოვმა მეწოფეცის თქმით, ისინი იმდენად გაჭირვებულები იყვნენ, რომ მთელ ქალაქს ან სოფელს არ შეეძლო თუნდაც, ერთი ტყვის გამოსყიდვა,[135] რაც აშკარად გაზვიადებულია. ყველაზე დიდი ამაგი ტყვეების გამოხსნაში მაინც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა შეეტანა. როგორც ალ-მაზანდარანის ცნობიდან ვარკვევთ, საქართველოს მეფე იძულებული გახდა 400 000 დინარი გადაეხადა.[136] ჩანს, ეს ერთჯერადი გადასახადი იყო და ყოველწლიურ ხარკთან არაფერი აქვს საერთო. საქართველოს რომ ყოველ წელს ხარაჯა ეხადა ჩაღათაელთა ვასალისათვის, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა ჯაჰან შაჰის კიდევ ერთი – 1444 წლის შემოსევა, რომელიც, როგორც სომხური ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, ახალციხის წინააღმდეგ იყო მიმართული.[137] ვახუშტის მიხედვით, ამავე ქალაქთან მომხდარ ბრძოლაში, ქართველებმა მტერი შეაჩერეს და აიძულეს საქართველო დაეტოვებინა.[138]

---

[134] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 101; *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 65-6.

[135] T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*, 101-2.

[136] კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 87-91.

[137] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ*, 70.

[138] ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 282-3.

Jahan Shah's Invasion in Georgia in 1440

Leri Tavadze

Summary

Many historical records are relating the story about Kara-Koyunlu (Black Sheep Turkmans) ruler Jahan Shah's (1438-67) invasion in Georgia (1440). We possess the Armenian and the Oriental sources about that event. The traditional view about Jahan Shah's military campaign holds an opinion that Kara-Koyunly ruler invaded Georgia in 1440, captured city of Samshvilde and, soon after, capital city – Tbilisi, and imposed the heavy tribute on the Georgian population. The whole story is based on the account of Armenian historian T'ovma Metsobets'i's (d. 1446) "History of Tamerlane and His Successors". T'ovma Metsobets'i had influenced his contemporary authors, namely, Hovannes the Scribe, who wrote synodikon about the Armenian martyrs of Samshvilde, massacred during Jahan Shah's incursion in 1440. Alongside with the description of seizure of Samshvilde Hovannes informs us about the capture of Tbilisi, which is based on the account of T'ovma Metsobets'i.

As for the other Armenian and the Oriental historical sources, they relate nothing concerning the fall of Tbilisi in 1440 but the majority of them mentions the capture of Samshvilde. T'ovma Metsobets'i places the harsh and wrong judgement on the Georgian population and their monarch, Alexander I the Great (1412-42), and criticizes them for their ineffectiveness in the struggle against foreign invaders. T'ovma Metsobets'i also makes offensive remarks towards the Georgians and their monarch. The result of T'ovma Metsobets'i hate towards the Georgians was a forgery of his own story about Jahan Shah's invasion in Georgia. Such was the fictional seizure of Tbilisi in 1440. The reason for that forgery was the religious difference between the Georgians and the Armenians. T'ovma was an Armenian priest who hated the Georgians and their royal power for their attempt to convert the Armenian population into the Chalcedonian creed. T'ovma Metsobets'i wrote: *"we [Armenians], always placing hopes on the Georgians and boasting of them among the infidels, were thereafter (After the fictional fall of Tbilisi and the realistic failure of Georgian to protect city of Samshvilde – L.T.) disappointed and confounded in the infidels' presence"*. As the Armenians had no state at that time many of them had placed their hope on the Georgians and many changed their faith. T'ovma's goal was to demonstrate the weakness of Georgian state in the eyes of every Armenian who sought the protection from Georgians. Hence, he provides the false information about Tbilisi.

Besides the T'ovma Metsobets'i we possess the nine contemporary Armenian

colophons written in 1440-42 by the different Armenian authors. According to their accounts, only Samshvilde was seized by Jahan Shah in 1440 after 3 or 4 months of siege. The same story is related by the other Armenian authors, among them the contemporary writer, Kirakos Rshtuni, who also relates about downfall of Samshvilde, but without any hint concerning the fall of Tbilisi.

The Oriental sources, written by the Persian authors from Iranian Azerbaijan in the 16th and 17th centuries (that was the region ruled by Jahan Shah in the 15th c.) such as Qazi Ahmad Qaffari Qazvini (d. 1567), Hafez Hossein Karbalai (d. 1590), Yahya b. Abd al Latif Qazvini (d. 1555), Mohammad Yusef Valeh Esfahani Qazvini (17th c.), also recorded the Jahan Shah's military campaign in 1440, but they did not mention the fall of Tbilisi. The only author, who mentions campaign against Georgia and Tbilisi with it, was Hasan Rumlu (16th c.). According to his records, Jahan Shah *"moved from Azerbaijan to Georgia. He stayed three days in the valey of Kars, [then] attacked into Shaki and Tbilisi."* As we see from Hasan Rumlu's work, he mentions Shaki and Tbilisi, as well as the entire Georgia. After the close analysis of his records we came into conclusion that under the terms Shaki and Tbilisi he did not mean the cities, but the provinces (*vilayet*) with the same designation.

As for the Georgian sources, they relate nothing about Jahan Shah's military campaign in 1440. The royal charters of Alexander issued in 1440, 1441, 1442 and those after his abdication (1442) are totally silent about Kara-Koyunlu incursion. The reason was the fact that Black Sheep Turkmans captured city of Samshvilde only, which was not as important as Tbilisi, the capital of Georgia. Consequently, this information is absent from the Georgian records.

According to Persian and Georgian sources, in 1436 Alexander was obliged to pay tribute to Chaghatayid ruler Shah Rukh (1405-47). After the end of Shah Rukh's third Azerbaijanian military campaign (1434-38), he left the Kara-Koyunlu leader Jahan Shan in charge of Iranian Azerbaijan and surrounding provinces. Hence, Jahan Shah was asking the tribute from Georgian monarch on the basis of the agreement reached between Georgia and Chaghatay horde. Alexander refused to pay the tribute to Jahan Shah, as he had no agreement with Kara-Koyunly state. That very fact caused the invasion of Jahan Shah in 1440 which resulted in seizure of Samshvilde. According to Al-Mazandarani's manuscript (which was written during the author's life or even composed after his death) in approx. 1440 Georgian ruler was obliged to collect 400 000 dinar and to pay it as a tribute to the certain ruler of the East, the most probably it was Jahan Shah. As we think, the tribute was sent to liberate the several thousand captives from Samshvilde. The payment has nothing to do with the annual tribute demanded by Jahan Shah prior to his invasion in Georgia. The text of Alexander's royal charter about the abortion of *mali* issued in 1440 leads us to this hypothesis.

III

ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ისტორიის საკითხები

ნიკა ხოფერია

ვახტანგ გორგასალი გვიანანტიკური ხანის იბერიის უკანასკნელი ძლიერი მონარქია. როგორც აკად. მარიამ ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს დიდი სახელმწიფო მოღვაწე მეფე ვახტანგ I. ამ პერიოდის ქართლის ისტორიის ძირითადი მოვლენები ვახტანგ გორგასალის სახელთანაა დაკავშირებული და ამდენად ამ ეპოქას შეიძლება ეწოდოს ვახტანგ გორგასლის ეპოქა“.[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ვახტანგის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს.[2] ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგ გორგასალის ეპოქის სამხედრო ასპექტები, რომლებიც შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი.

ვახტანგის მეფობის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების შესასწავლად რამდენიმე წყარო შეგვიძლია გამოვიყენოთ. პირველ ყოვლისა, ესაა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომლის ავტორად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი მინაწერის მიხედვით, მიჩნეულია ჯუანშერი. ჩვენი მატიანეს უძველეს ნუსხებში არის ასეთი მითითება: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან“.[3] ეს არჩილი ქართლის ერისმთავარია, რომელიც VIII ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და

---

[1] მარიამ ლორთქიფანიძე, *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში* (თბილისი, 1979), 3.

[2] ლორთქიფანიძე, *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში*; ვახტანგ გოილაძე, *მეფე ვახტანგ გორგასალი* (თბილისი, 2008); მისივე, *გორგასალი და მისი ისტორიკოსი* (თბილისი, 1991); სარგის კაკაბაძე, *ვახტანგ გორგასალი* (თბილისი, 1959); მისივე, *ვახტანგ გორგასლის ხანა* (თბილისი, 1994).

[3] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 248.

ამდენად, აღნიშნული მინაწერის ჯუანშერს, რომელიც რეალური პიროვნება ჩანს და, მართლაც, იხსენიება „არჩილის ცხოვრებაში“, VIII ს-ში უნდა დაეწერა ეს თხზულება,[4] მაგრამ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ტექსტი ზოგიერთ ისეთ რეალიებს შეიცავს, რომლებიც მის გვიანდელობაზეც მიუთითებს.[5] ამის გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორი XI ს-ის პირველი ნახევრის გასულისა და მეორე ნახევრის დამდეგის მოღვაწე უნდა იყოს.[6] კახა კაციტაძე ჯუანშერს VII-VIII საუკუნეების მოღვაწედ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში ის ვერ დაწერდა მძიმე, კატაფრაქტული ტიპის კავალერიის არსებობის შესახებ ქართლში, რადგან XI საუკუნეში ასეთი მხედრობის შესახებ აღარავის ახსოვდა, რაინდული კავალერია ევროპაში მხოლოდ იბადებოდა და ქართველ ავტორს ასეთი კატაფრაქტების შესახებ არაფერი ეცოდინებოდა.[7] ეს არგუმენტი ნამდვილად ვერ გამოდგება ჯუანშერის მოღვაწეობის ხანის დასადგენად, რადგან კატაფრაქტების ტიპის ცხენოსანი ჯარი ბიზანტიაში ჯერაც არ იყო გამქრალი და წარმოადგენდა ბიზანტიურ ელიტურ მხედრობას შემდგომ საუკუნეებშიც. საქართველოში ასეთი ცხენოსანი ჯარის არსებობას XI საუკუნეში მოწმობს გიორგი I-ს მიერ თოროსანი კავალერიის გამოყენება ბიზანტიის იმპერატორ ბასილი ბულგართმმუსვრელის წინააღმდეგ ომში. „XI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი მიხეილ ატალიატე მოგვითხრობს, რომ

---

[4] Stephen H. Rapp Jr, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts* (Louvain, 2003), 114-5.

[5] თუმცა, შესაძლოა ამ რეალიების არსებობა გადამწერების დამსახურებაა, რომელთაც VIII საუკუნეში დაწერილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ XI საუკუნეში გადაწერეს ამავე პერიოდის ტერმინოლოგიით. გ. ანჩაბაძე თვლის, რომ XI საუკუნეში ისტორიკოსი სახელით ჯუანშერი არ არსებობს და თუ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას“ დავათარიღებთ XI საუკუნით, მაშინ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მისი ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანია. გიორგი ანჩაბაძე, „ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 4 (1987), 184-8.

[6] დავით მუსხელიშვილი, *საქართველო IV-VIII საუკუნეებში* (თბილისი, 2004), 139; David Braund, *A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC-AD 562* (Oxford, 1994), 283. მანანა სანაძე ჯუანშერის თხზულებაში XI საუკუნის რეალიებს გადამწერებს აკუთვნებს. იგი თვლის, რომ ჯუანშერის თხზულება დაიწერა VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ერისმთავარ ჯუანშერის მიერ (586-590 წწ.), დამამტკიცებელ საბუთად კი ასახელებს VI საუკუნის მეორე ნახევრის სასანურის მინაბაძ ქართულ მონეტას წარწერით „ჯო“ – ჯომბერ/ჯუანშერ და შემდგომი საუკუნეების გადამწერი მემატიანის შეცდომას, რომელსაც სავარაუდოდ ერთმანეთში აერია მეფე არჩილი და წმინდა არჩილი და ჯუანშერის მოღვაწეობა ამ უკანასკნელის პერიოდს დაუკავშირა. მანანა სანაძე, „ჯუანშერ ჯუანშერიანი და მისი მოღვაწეობის ხანა“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 338 (2001), 123-8.

[7] კახა კაციტაძე, „კატაფრაქტები ძველ იბერიაში“. [ელ-ვერსია: www.kalmasoba.com]

ბიზანტიელებთან 1021-1022 წლების ომში ქართველთა „სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყოველი მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ“.[8]

VIII საუკუნიდან, როდესაც უზანგი ფართოდ შემოვიდა ხმარებაში და აღჭურვილობა კიდევ უფრო დამძიმდა,[9] კატაფრაქტების გაქრობა ნამდვილად არ იყო მოსალოდნელი და ეს ტენდენცია უფრო მათ სასარგებლოდ მეტყველებს. უზანგის გარეშე გრძელი შუბებით მებრძოლი კატაფრაქტები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ, უზანგების დახმარებით კი მათი საქმე უფრო გაადვილდებოდა და შუბის გამოყენებაც უფრო მოსახერხებელი გახდებოდა.

ზოგადად, ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება ძირითად წყაროდ ითვლება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ადგილები ზღაპრული და მეტისმეტად ლეგენდარული შინაარისაა.[10] ნოდარ ლომოური აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ჯუანშერის მონათხრობის უდიდესი ნაწილი არ იძლევა საფუძველს მისდამი ნდობისა. ჩვენ მოგვიხდა ამ წყაროს რამდენჯერმე გაანალიზება და სხვა სპეციალისტთა მიერ ამ თხზულების სანდოობის მტკიცების გაბათილება“.[11]

მართლაც, ჯუანშერთან აღწერილი ფაქტების უმეტესი ნაწილი არასანდოა – პირველ რიგში ეს ეხება ირან-ბიზანტიის ომს, რომელიც ჯუანშერს თუ დავესესხებით, მძაფრად მიმდინარეობდა V საუკუნეში, ბიზანტიას კი აქტიური აღმოსავლური პოლიტიკა ჰქონდა. V საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში მეტად რთული სიტუაციაა. იმპერატორ ზენონის დროს (474-91) იყო გაუთავებელი შიდა კონფლიქტები იმპერიის სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ დაჯგუფებათა შორის, რამაც არაერთხელ გამოიწვია აჯანყებები და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის იმპერიას არ შეეძლო აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა აღმოსავლეთის საზღვრებზე. პირიქით, მისთვის ხელსაყრელი იყო და აუცილებელიც ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება.[12] ამას გარდა, 460 წლისთვის ირანის

---

[8] მამუკა წურწუმია, „ცხენის აბჯარი შუა საუკუნეების საქართველოში“, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 5 (2012), 89.

[9] მამუკა წურწუმია, „შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია“, *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, 7 (2013), 102.

[10] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II (თბილისი, 1970), 19.

[11] ნოდარ ლომოური, *საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა*, ნაწ. I (თბილისი, 2011), 41-2.

[12] ლომოური, *საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა*, 115.

აქტიურობის ზონად კავკასიაში რჩება ალბანეთი, რომელიც აჯანყებულია, მაგრამ არა ქართლი,[13] ჯუანშერთან კი შაჰი პეროზი ამ დროს დიდი ლაშქრით შემოდის ქართლში და ვახტანგ გორგასალთან სისხლისმღვრელ და ხანგრძლივ ბრძოლებს აჩაღებს. ამ და სხვა ბევრი ფაქტის არასანდოობის გამო, ჯუანშერის მატიანეს ვერ ჩავთვლით სანდო წყაროდ. მისი გამოყენება მხოლოდ კრიტიკული გააზრების შემდეგაა შესაძლებელი.

ვახტანგის შესახებ ცნობები შემონახული აქვს მის თანამედროვე, V ს-ის მეორე ნახევრის სომეხ ისტორიკოსს, ლაზარ ფარპეცის. ეს ცნობები სავსებით რეალისტულია და სანდო, მაგრამ საკმაოდ მწირია და თანაც მხოლოდ 80-იანი წლებითაა შემოფარგლული.[14] მისი ცნობებიდან ირკვევა 482 წელს იბერიისა და სომხეთის აჯანყების დეტალები – ვახტანგ გორგასლის მიერ ამბოხის წამოწყება და სომხებთან დაკავშირება, ჰუნების გადმოყვანის მცდელობა, ბრძოლა ჭარმანიანის ველზე, აჯანყების მარცხი და მეფის ქვეყნიდან გაქცევა. ფარპეცის ცნობების საფუძველზე შეგვიძლია სათანადოდ გავაანალიზოთ ამ ამბოხის გარშემო მომხდარი მოვლენები, ქართლისა და სომხეთის მდგომარეობა V საუკუნის ბოლოს, ვახტანგ გორგასლის, როგორც სარდლის და როგორც მეფის მოღვაწეობა, მისი სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმედება, ქვეყანათა სამხედრო პონტენციალი, ბრძოლის წესები, საბრძოლო ხერხები, დიპლომატიური წარმატება თუ წარუმატებლობა, სომეხთა და ქართველთა ურთიერთობა, ირანის ჩრდილო-დასავლურ ოლქთა მმართველების მოქმედება და სასანიანთა მდგომარეობა პეროზის მეფობის ბოლო წლებში. ეს მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო ჯერ კიდევ 70-იან წლებში თარგმნა და გამოსცა ლ. ჯანაშიამ.[15]

გუგარეთის საპიტიახშოსა და არშუშა პიტიახშზე, თუმცა არა ვახტანგ გორგასალზე, საინტერესო ცნობები მოიპოვება მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“.[16] მიუხედავად ამისა, ის მაინც მნიშვნელოვანი წყაროა V საუკუნის შუა წლების კავკასიის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. ვახტანგის ეპოქის შესასწავლად ზოგიერთი მკვლევარი ფართოდ იყენებს ადრეული შუა საუკუნეების აგიოგრაფიულ ნაწარმოებებსაც, მაგალითად, რაჟდენისა და შუშანიკის ცხოვრებას, სირიელ მამათა ცხოვრებას, აბოს ცხოვრებასა და გობრონის ცხოვრებას.[17]

ზემოაღნიშნული მასალები ქართველი ისტორიკოსების განხილვის საგანი

---

[13] Klaus Schippmann, “Fīrūz,” *Encyclopaedia Iranica*, Vol. IX, Fasc. 6 (1999), 631-2.

[14] მუსხელიშვილი, *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, 143.

[15] ლ. ჯანაშია, *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 1962).

[16] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, 24.

[17] იქვე, 33.

ხშირად გამხდარა, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ჯუანშერისეულ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას. V საუკუნის II ნახევრის იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესწავლისთვის აღსანიშნავია ვახტანგ გოილაძისა და სარგის კაკაბაძის მონოგრაფიები. აქ აღარ შევეხებით ვახტანგის მეფობის დათარიღებასთან და სხვა, სამხედრო საქმისთვის ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებიც ამ წიგნებშია მიმოხილული. ორივე ავტორი ასახელებს ლაზარ ფარპეცის ცნობებსაც, თუმცა მისი დეტალური მიმოხილვა სამხედრო თვალსაზრისით არ გვაქვს. ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით ისტორიკოსები აღნიშნავენ ვახტანგის ომს პეროზ შაჰთან 460 წელს, ბიზანტიის იმპერატორ ლეონის დამხმარე ძალების ჩამოსვლას, ქართველთა გალაშქრებას ირანის აღმოსავლელი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან და ინდოეთშიც კი; ასევე კავად I-ს ჯარების შემოჭრას V საუკუნის ბოლოსთვის და გორგასლის დაღუპვას მათთან ომში. ამ ფაქტების დიდი ნაწილი დღეს საეჭვოდ და დაუჯერებლად ჟღერს. 460 წლისთვის პეროზის ლაშქრობა იბერიაში არ აღინიშნება, თუმცა ამ პერიოდისთვის სასანიანებს პრობლემები ჰქონდათ ალბანეთში, იბერიის მოსაზღვრე ქვეყანაში, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ირანთან და იბრძოდა დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის.[18] ბიზანტია-ირანს შორის V საკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი სამხედრო კონფრონტაცია არ იკვეთება და არც იბერიისა და ბიზანტიის ურთიერთობებია გამოკვეთილი.[19] ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ინდოეთში ასევე საეჭვო და ნაკლებ სარწმუნო ფაქტია და უფრო ჯუანშერის ფანტაზიას უნდა მივაწეროთ, ვიდრე რეალობას. მიუხედავად ამისა, გოილაძისა და კაკაბაძის ნაშრომები მნიშვნელოვანი და საყურადღებოა და ბევრ საინტერესო ფაქტსა თუ მოსაზრებას შეიცავს არამარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ სოციალურ თუ რელიგიურ საკითხებზე.

მიუხედავად სამხედრო ისტორიის ასპექტებისადმი ნაკლები ყურადღებისა, ქართლის ისტორიის სხვა პრობლემების შესასწავლად უაღრესად საინტერესოა დავით მუსხელიშვილის „საქართველო IV-VIII საუკუნეებში“ და მარიამ ლორთქიფანიძის „ქართლი V საუკუნის II ნახევარში“.

ვახტანგ გორგასლის ომები ჩრდილოკავკასიელ ტომებთან, ბიზანტიასა და ირანთან მოითხოვდა კარგი არმიისა და ძლიერი მოკავშირეების ყოლას.

---

[18] Schippmann, “Fīrūz,” 631-2.

[19] მთელი V საუკუნის მანძილზე ბიზანტიასა და ქართლს შორის არავითარი რეალური პოლიტიკური ურთიერთობა არ არსებობდა, მაგრამ 70-80-იან წლებში თითქოს ეს ურთიერთობა ისახება. ლომოური, *საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა*, 114.

ეს უკანასკნელი საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან V საუკუნის იბერიას ნამდვილად არ გააჩნდა ისეთი სამხედრო პოტენციალი, რომ წინააღმდეგობა გაეწია მეზობელი ძლიერი იმპერიებისთვის. იბერიის ჯარზე გავლენას ახდენდა ირანული და ბიზანტიური სამხედრო სისტემა, განსაკუთრებით პირველი მათგანი, რაც იბერიაში სასანიანთა ძლიერი პოზიციისა და მის გარშემო არსებული სპარსული სამარზპანოების არსებობით იყო განპირობებული. თავად ვახტანგიც სასანიანთა ვასალი გახლდათ და სავარაუდოდ, მონაწილეობა უნდა მიეღო ირანის მიერ წარმოებულ ომებში. ეს საშუალებას მისცემდა მას დაენახა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმჟამად სპარსული სამხედრო ძალები საუკეთესოდ ითვლებოდა ახლო აღმოსავლეთში. „სასანური ირანის მხედრობამ გავლენა მოახდინა ბიზანტიის სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. ირანის ჯარის სამხედრო შეიარაღება და წყობა სანიმუშო გახდა ევროპული სახელმწიფოებისთვის. ცხენოსან ბარბაროსებთან რამდენიმე დამარცხებამ დააფიქრა ევროპა ახალი არმიის შეიარაღებასა და წყობაზე. ნაწილი ისტორიკოსებისა შუა საუკუნეების რაინდს მიიჩნევს ირანის მხედართა სამხედრო ტექნიკისა და ხელოვნების მემკვიდრედ“.[20]

წინამდებარე სტატიაში განხილულია ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ორგანიზაციისა და ქართული ლაშქრის შემადგენლობის ისეთი საკითხები, როგორიცაა: მძიმე და მსუბუქი კავალერია, ქვეითი ჯარი, ჯარების რიცხოვნობა და ე.წ. სამხედრო ეკონომიკა.

მძიმე კავალერია. აღმოსავლური ტიპის მძიმე კავალერიის მხედრებს კატაფრაქტები (κατάφρακτος) ეწოდებოდა. ბერძნულად ეს სიტყვა „სრულად დაცულს“ ნიშნავს. მართლაც, კატაფრაქტები მთლიანად დაცული იყვნენ ბრინჯაოს ან რკინის ქერცლოვანი ტიპის აბჯრით (*scale armour*)[21] ან ჯაჭვის პერანგით, ხოლო ე.წ. ლამერალურ აბჯარს (*lamellar armour*)[22] უფრო ბიზანტიური ტიპის კატაფრაქტები იყენებდნენ. ამიანე მარცელინუსი ირანულ კატაფრაქტებზე წერს: „ყოველ მხედარს მთელი ტანი დაფარული აქვს მცირე ფირფიტებით. სახე დაცულია ნიღბით. მთელ სხეულზე არც ერთ ისარს არ შეუძლია შეაღწიოს აბჯარში, თუ არ მოხვდა თვალის წინ დატოვებულ მცირე საჭვრეტს, ასევე მცირე ჭუჭრუტანას ნესტოებთან, რომლითაც

[20] Ж. Флори, *Идеология меча* (СПБ, 1999), 34.

[21] ასეთი ტიპის აბჯარი ძირითადად ტყავზე დამაგრებული მეტალის ფირფიტებისგან შედგებოდა. ეს ფირფიტები უმთავრესად U-ფორმის იყო და ზემოდან ქვემოთ იყო მიმართული. Mamuka Tsurtsumia, “The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium: Lamellar and Scale Armour in the 10th-12th Centuries,” *Byzantina Symmeikta*, 21 (2011), 67.

[22] ლამელარული აბჯარი წარმოადგენდა ერთმანეთზე დამაგრებულ ასობით ლითონის მართკუთხა ფირფიტას. Tsurtsumia, “The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium,” 69.

მეომარი გაჭირვებით სუნთქავს. შუბებით შეიარაღებულ მეომართა ნაწილი იდგა უძრავად, ისე რომ, კაცს ეგონებოდა, თითქოს ისინი რკინის ჯაჭვებით იყვნენ დაბმულნი. მათ გვერდით იყვნენ განლაგებულნი მშვილდოსნები".[23] კატაფრაქტები ატარებდნენ გრძელ, კონტოსის ტიპის საკავალერიო შუბებს, საბრძოლო, ბუნიკიან კვერთხებსა და მახვილებს. უფრო მსუბუქი კატაფრაქტები მშვილდ-ისარსაც იყენებდნენ. კატაფრაქტების ერთიან, მასიურ იერიშს გაშლილ ველზე მოწინააღმდეგისთვის სასიკვდილო დარტყმის მიყენება შეეძლო. შემდეგ ბრძოლაში ქვეითი ჯარი ერთვებოდა, მტრის არეულ რიგებს უკან ახევინებდა და ბრძოლის ველს იკავებდა. გაქცეულ მოწინააღმდეგეს მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი მისდევდა, რომელიც ბრძოლის დროსაც ერთვებოდა მოქმედებაში – ძირითადად ისრებს უშენდა მტერს. შეიძლება გავიხსენოთ კარეს ბრძოლა ძვ.წ. 53 წელს პართელებსა და რომაელებს შორის, სადაც პართელებმა სწორედ კავალერიის მანევრებით გაიმარჯვეს და მცირე მსხვერპლის ფასად გაანადგურეს მარკუს კრასუსის ჯარები. გასათვალისწინებელია, რომ კატაფრაქტები მხოლოდ ერთ, მთლიან რაზმად მოქმედებისას იყვნენ ეფექტურები.[24] ყველა იმ ბრძოლაში, სადაც გაიმარჯვეს, ისინი სწორედ ასეთი ტაქტიკით მოქმედებდნენ.

ეს მძიმე კავალერია აღმოჩნდა ცხენოსანი ჯარის ერთადერთი სახეობა, რომელსაც პირისპირ ბრძოლაში შეეძლო წინ აღდგომოდა რომაულ ლეგიონს, არა ეპიზოდურად, არამედ ყოველთვის. „თუ ლეგიონი იყო ანტიკური სამხედრო ხელოვნების უმაღლესი მიღწევა ქვეით ჯარში, იგივეს წარმოადგენდა კავალერიაში კატაფრაქტები".[25]

რაც შეეხება რომაულ არმიაში აღმოსავლური ტიპის მძიმე კავალერიის გამოჩენის საკითხს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად რომაელი მხედრები ხელშუბებითა და მოკლე შუბებით იბრძოდნენ, IV საუკუნიდან კი სარმატებისა და ალანების გავლენით აითვისეს გრძელი, საძგერებელი შუბების გამოყენება.[26] პირველი რომაული კატაფრაქტებიც სარმატული მძიმე კავალერიის მსგავსად იყვნენ შეიარაღებულები. იყენებდნენ სეგმენტურ მუზარადსა და ქერცლოვან აბჯარს, იბრძოდნენ გრძელი

---

[23] Ammianus Marcellinus, *Roman Antiquities*, Book XXV (Cambridge, 1940), 477.

[24] პართელი კატაფრაქტები კარეს ბრძოლაში საბრძოლო ხაზებად იყვნენ განლაგებულები და თითქოს ცხენოსან ფალანგას ქმნიდნენ. მათ შეუტიეს მოწინააღმდეგეს, გაარღვიეს ორ ნაწილად და ამით თითქმის გადაწყვიტეს ბრძოლის ბედი (*Plut., Crass. 25*). А. Хазанов, "Катафрактарии и их роль в истории военного искусства," *Вестник древней истории*, 1 (1968). [ელ-ვერსია: *www.xlegio.ru*].

[25] იქვე.

[26] David Nicolle*, European Medieval Tactics,* vol 1, *The Fall and Rise of Cavalry 450-1260* (Oxford, 2011), 17.

შუბებით, რომელიც ორივე ხელში ეჭირათ, ამიტომ პირველ რომაულ კატაფრაქტებს ფარები არ ჰქონდათ. მოგვიანებით ჯარის ეს სახეობა უფრო ირანულს დაემსგავსა. დასავლეთ რომის იმპერიაში შედარებით მსუბუქად შეიარაღებული კატაფრაქტთა რაზმები იყო, ხოლო აღმოსავლეთში, სადაც რომაელებს ბრძოლა უწევდათ სასანური ირანის თავით ფეხებამდე შეჭურვილ კავალერიასთან, მძიმე *Clibanarii* შენაერთები ჩამოყალიბდა, რომელიც შედარებით განსხვავდებოდა დასავლეთ რომაული კატაფრაქტებისგან. მიუხედავად განსხვავებისა, ამიანე მარცელინუსი ორივე სახელს ერთსა და იმავე კონტექსტში მოიხსენიებს. ამას გარდა, *Clibanarii*-ს უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა რომის ჯარში, ვიდრე კატაფრაქტებს.

რომის ჯარში იყო *Equites Sagittarii Clibanarii* – ირანელთა მძიმე ცხენოსან-მშვილდოსანთა მსგავსი შენაერთიც. როგორც *Notitia Dignitatum*[27] გადმოგვცემს, V საუკუნის დასაწყისისთვის რომის ჯარში მშვილდოსანთა 67 შენაერთიდან – 54 ცხენოსანი იყო. პოპულარული გახლდათ კავალერიის სახეობა *Hippo-Toxotai* – მხედრები, რომელთაც ჰქონდათ მშვილდ-ისარიცა და შუბიც. *Notitia Dignitatum*-ში იმპერიის ყველა მხარეში მომსახურე ცხენოსან-მოისართა რაზმებია დასახელებული, თუმცა მათი უმეტესობა მაინც აღმოსავლეთის გარნიზონებში[28] მსახურობდა.[29]

აღსანიშნავია, რომ IV საუკუნიდან რომაელმა ქვეითებმა ოსტატურად ისწავლეს კატაფრაქტებთან ბრძოლა. ეს ტაქტიკა ჩანს იმპერატორ იულიანე განდგომილის ირანული ლაშქრობის იმ ბრძოლაში, სადაც თვითონ იულიანე მძიმედ დაიჭრა: „ცენტრს და მარცხენა ფლანგს მძიმე კავალერიამ და სპილოებმა მძაფრად შეუტიეს. რომაელებმა ამ მასის მოგერიება შეძლეს გაწვრთნილი მსუბუქი ქვეითებით, რომლებიც ზურგში ურტყამდნენ და ხელშუბებს უყრიდნენ მძიმედ შეჭურვილ მხედრებს, სპილოებს კი ფეხებზე ჩხვლეტდნენ“.[30] მავრიკიოსის „სტრატეგიკონში“ წერია: „არცერთი ტიპის ჯარი არ არის დაუმარცხებელი. მთავარი არ იყო

---

[27] *Notitia Dignitatum* – ძველი რომაული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია IV-V საუკუნის პერიოდის იმპერიის სამხედრო და ადმინისტრაციული სტრუქტურა. *Notitia Dignitatum* ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა იმ პერიოდის დიდი ბრძოლების შესასწავლადაც. მიუხედავად იმისა, რომ ის ადრიანოპოლის ბრძოლის შემდეგ წლებშია დაწერილი, ისტორიკოსებს დიდი დახმარება გაუწია ამ ბატალიაში რომაელთა არმიის შემადგენლობისა და სტრუქტურის შესწავლის საქმეში. Simon MacDowall, *Adrianople AD 378: the Goths crush Rome's legions* (Oxford, 2001), 17.

[28] აღმოსავლეთ იმპერიის საველე არმიებში ფეხოსან მშვილდოსანთა რაზმები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ცხენოსანი-მშვილდოსნები.

[29] Nicolle, *European Medieval Tactics*, 7.

[30] Edward Gibbon, *The History of the Decline and Fall of the Roman Empire* (London, 2000), 310.

ის, იყვნენ თუ არა კატაფრაქტები დაუმარცხებლები, არამედ ის, რომ ისინი წარმოედგინათ დაუმარცხებლებად და მათი სურვილიც იყო, რომ ასეთებად წარმოჩენილიყვნენ“.[31]

მძიმე აღჭურვილობიდან გამომდინარე, კატაფრაქტები უტევდნენ მჭიდრო რიგებად, რითიც იყენებდნენ თავიანთ უპირატესობას და ფარავდნენ ნაკლს – ნაკლებ მანევრულობას და შეზღუდულ მოძრაობის უნარს. იერიშზე გადასული კატაფრაქტთა რაზმები, წინ მომარჯვებული შუბებით, კარგად იყვნენ დაცულნი მტრის ხელშუბებისა და ისრებისგან, ასევე, ხმლებისა და შუბებისგან, ამიტომაც მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ. ძველი ავტორები მოგვითხრობენ სხვადასხვა ხერხებზე კატაფრაქტთა დასაშლელად (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რომაელთა საბრძოლო ხერხი კატაფრაქტებთან ბრძოლისთვის).[32] განცალკევებული კატაფრაქტები უფრო ადვილი ნადავლი ხდებოდნენ მოწინააღმდეგისთვის, განსაკუთრებით თუ მას ცხენიდან ჩამოაგდებდნენ. კატაფრაქტების ერთ-ერთი წარუმატებელი ბრძოლა იყო ახ.წ. 69 წელს მეზიაზე თავდასხმის დროს როქსოლანი კატაფრაქტების დაპირისპირება რომაელებთან. მსუბუქად შეიარაღებული რომაელი ჯარისკაცები განცალკევებულ როქსოლან მხედრებს ხელშუბებითა და გრძელი შუბებით უტევდნენ და ხმლებით ჩეხდნენ მათ.[33]

ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში არის მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იბერიელთა და სპარსელთა ჯარის ალან-ოსებთან და მათ მოკავშირეებთან ბრძოლას უკავშირდება: „ხოლო სპანი იგი წარემართნენ განმზადებულნი, ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მხედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა ხოლო ოვსნი

---

[31] Маврикий, *Стратегикон* (С.-Петербург, 1903). [ელ-ვერსია: www.libgen.org].

[32] ლუკულუსის ქვეითებმა ტიგრანოკერტთან ბრძოლაში ზურგიდან მოუარეს სომეხ კატაფრაქტებს და უკნიდან დაარტყეს, სადაც ისინი ნაკლებად იყვნენ დაცულები. რომაელები მათ ზურგში შუბებსა და ხმლებს უყრიდნენ და ხოცავდნენ (*Plut., Luc. 26*). პუბლიუს კრასუსის გალი მხედრები კატაფრაქტთა გრძელ შუბებს ეჭიდებოდნენ და მათ ცხენიდან ჩამოგდებას ცდილობდნენ ან მათი ცხენის ქვეშ ძვრებოდნენ და მუცელს უფატრავდნენ (*Plut., Crass. 25*). 357 წელს ალემანებისა და რომაელების ომისას, ალემანებმა შეუმჩნევლად სცადეს ჩასაფრებოდნენ რომაულ კლიბანარებს და ზურგიდან დაერტყათ (*Amm. Marc., XVI, 12, 22*). ძირს ჩამოვარდნილი მხედარი შედარებით უმწეო ხდებოდა და ეს ხერხი ყველაზე გავრცელებული იყო. ამას აღნიშნავს ჰელიოდორეც. *Гелиодор (IX, 15*). Хазанов, „Катафрактарии и их роль в истории военного искусства.”

[33] *Tac., Hist. I, 79*. სწორედ როქსოლანი კატაფრაქტების მარცხმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. თოვლის დნობამ კიდევ უფრო გაუადვილა რომაელებს საქმე, ხოლო როქსოლანებს გაქცევაში შეუშალა ხელი. *Heliod., IX, 15; Amm. Marc., XVI, 12, 38*. Хазанов, “Катафрактарии и их роль в истории военного искусства.”

წარმოდგეს ქარაფსა ზედა და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძლავრი“.[34]

ჯუანშერისეული ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ გორგასლის არმიის მეომრები იყვნენ „ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი“ – ანუ როგორც მხედარი, ისე ცხენი აბჯრით იყო დაფარული და საქმე გვაქვს ირანული ტიპის კატაფრაქტებთან, რომლის მსგავსი უნდა ჰყოლოდათ სომხებს, ალბანელებს და იბერებს.[35] ეს ცხენოსნები მეფის გვარდიიდან ან ვარაზ-ბაკურის სპარსული ჯარიდან უნდა ყოფილიყვნენ: „და გამოგზავნა ვარაზ-ბაკურ სპანი თვისნი თორმეტი ათასი მხედარი“.[36]

კ. კაციტაძე აღნიშნავს, რომ კატაფრაქტები იბერიის სამეფოში ფარსმან I-სა და ამაზასპის დროსაც უნდა ყოფილიყვნენ და რომ, იბერიელები მათ I-VI საუკუნეებში იყენებდნენ. ასევე, სტრაბონის ცნობას ალბანელთა აღჭურვილობის შესახებ (რომელთა მსგავსი, ბერძენი ავტორის გადმოცემით, იბერიელებსაც ჰქონდათ) მიიჩნევს იმის დასტურად, რომ იბერიაში მძიმე კავალერია უნდა არსებულიყო. ამასთანავე, პლუტარქეს მიერ ლუკულუსისა და ტიგრან II-ს ბრძოლაში დასახელებულ იბერიელ შუბოსნებსაც თვლის მხედრებად და მიიჩნევს, რომ ისინიც კატაფრაქტები უნდა ყოფილიყვნენ. ამის მიზეზად მოჰყავს „მარდთა“ მოისარი ცხენოსანი ჯარი, რომელთა გვერდით იდგნენ იბერები, ყველაზე „ბრძოლისჟინიანები“ ტიგრანის არმიაში; რადგან მარდები მსუბუქი მხედრები იყვნენ და ეს დაზუსტებულია, იბერებს, რომლებიც შუბოსნებად არიან დასახელებულები, მძიმე კავალერიად მიიჩნევს.[37] სტრაბონის ზემოთ დასახელებული ცნობის მიხედვით არც გ. გამყრელიძე გამორიცხავს I-II საუკუნეებში ქართლსა და ალბანეთში კატაფრაქტების გამოყენებას.[38]

მიუხედავად ამ არგუმენტებისა, მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს პლუტარქეს ტექსტის იმ ფრაგმენტს, სადაც ის წერს: „მათ [რომაელების] წინ მოწინააღმდეგის კავალერიის და რჩეული მეომრების უზარმაზარი მასა აღიმართა“. ამ ეპიზოდში არსადაა დაკონკრეტებული, რომ იბერები აუცილებლად შუბოსნები არიან. რჩეული მეომრები კი სულაც არ არის აუცილებელი მხედრები ყოფილიყვნენ. ამას გარდა, სავსებით შესაძლებელია ცხენოსანი მარდების გვერდით ქვეითი და არა მხედარი იბერიელი შუბოსნების ყოფნა. ქვეით ჯარს ყოველთვის სჭირდება კავალერიის

---

[34] ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა* (თბილისი, 1955), 10.

[35] Хазанов, “Катафрактарии и их роль в истории военного искусства.”

[36] ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 8.

[37] კახა კაციტაძე, *კატაფრაქტები ძველ იბერიაში.* [ელ-ვერსია: www.kalmasoba.com].

[38] *Страбон* (XI, 4, 4-5). ვრცლად ძველი იბერიისა და კოლხეთის შეიარაღებაზე იხ. გელა გამყრელიძე, *ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში* (თბილისი, 2010).

დახმარება, რომელიც ფლანგებიდან და ზურგიდან იცავს მას. ცხენოსან-მოისარ მარდებს კი მოწინააღმდეგის დაცხრილვა, დაფანტვა და შეწუხება შეეძლოთ. როგორც ცნობილია, რომაელებს ძალიან უჭირდათ ასეთი ტიპის კავალერიასთან ბრძოლა, რაც პართელებთან და სასანელებთან ომებში კარგად გამოჩნდა. ტიგრანაკერტის ბრძოლის ეპიზოდში საგანგებოდაა გამოყოფილი ტიგრანის მძიმე, კატაფრაქტული კავალერიაც, რომელიც სომხეთის არმიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, მაგრამ მსგავსი რამ იბერიელების დასახელებისას არ გვხვდება. საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ეპიზოდის მიხედვით არ ჩანს, რომ ტიგრანაკერტთან ბრძოლაში იბერიელი კატაფრაქტები მონაწილეობდნენ.

როგორც არქეოლოგიური და დოკუმენტური მასალიდან ჩანს, ქართველებში მოკლე (სატყორცნი) და გრძელი შუბი ანტიკური ხანიდან ძირითადი იარაღი გახლდათ.[39] ამას ადასტურებს ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, პლუტარქე, გომის სასმისის გამოსახულება და სხვა არქეოლოგიური აღმოჩენები.[40] შეგვიძლია ასეთად ჩავთვალოთ სტრაბონის ცნობა იბერიელ შუბოსნებზე. აშკარაა, რომ უფრო მეტი საფუძველი გაგვაჩნია ვიმსჯელოთ ტიგრანაკერტის ბრძოლაში იბერიელი მეომრების ქვეითად და არა მხედრად მონაწილეობაზე.

მ. წურწუმიამ დაუკავშირა ქართული *თორნი* ტერმინ *თორნ*-ეს, ისევე როგორც კლიბანარიების სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან *Clibanus* (ღუმელი). მისი სინონიმი არსებობს სპარსულშიც – ტანურიგ, რაც ღუმელს ნიშნავს, სიტყვა-სიტყვით კი „ღუმელის კაცს“: „ცხადია, რომ „თორნი“ შინაარსობრივად იგივე კონსტრუქციაა, რაც კლიბანარი და ტანურიგი. ამავე დროს ტერმინის სიძველე მიუთითებს საქართველოში ცხენის შეჯავშნის ხანგრძლივ ტრადიციაზე, რომელიც სათავეს იბერიის სამეფოში იღებს“.[41] როგორც ჯუანშერი აღწერს, თავად მეფის ცხენიც აბჯრითაა შემოსილი – „აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა“.[42] „ჯავ-შანი სპარსული წარმოშობისაა და სხეულის, მკერდის აბჯარს ნიშნავს. ჯავ-შანი, ჩვეულებრივ, ლამერალური კონსტრუქციის კირასას აღნიშნავდა. ლამერალური აბჯარია იგივე თორნი. ჯუანშერის „ცხენ-თოროსანიც“

---

[39] ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე ჩანს, რაც იმის ნიშანია, რომ იმ დროს შუბი ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. გამყრელიძე, *ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში*, 142.

[40] იქვე, 144.

[41] წურწუმია, „ცხენის აბჯარი შუა საუკუნეების საქართველოში“, 88.

[42] ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 9.

ლამერალური ტიპის აბჯრით დაფარულ ცხენს უნდა აღნიშნავდეს“.[43] ის, რომ მძიმე შეიარაღება იმდროინდელ საქართველოში რეალურად არსებობდა, ამას არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალაც ადასტურებს. ცხენის აკაზმულობა, რკინის ჯაჭვის პერანგი, რკინის მუზარადი I-II საუკუნეებშია არქეოლოგიურად დადასტურებული. ლითონის ფირფიტოვანი აბჯრის ფირფიტები ელინისტური ხანის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების დროსაა ნაპოვნი. მაგალითად, ვანისა და საირხის ნაქალაქარზე (ძვ.წ. IV ს.), მაგრამ ზოგადად ამ ტიპის ნივთები მეტად მწირია, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ჯავშანი ძირითადად სელის ან ტყავის იყო და ამიტომ ვერ შემოინახა მიწამ.[44] აბჯრის ნაწილები ურბნისის ნაქალაქარზეც აღმოჩნდა, იმ დამწვარ და განადგურებულ ნაგებობებში, რომელთა დაქცევის თარიღად V-VI საუკუნეების მიჯნაა მიღებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ურბნისის ეს „დაწვა და დანგრევა“ V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში ირანელთა ქართლში შემოსვლისა და მათთან ქართლის ლაშქრის ბრძოლის დროს მოხდა. ამ დროს საომარი ოპერაციები უმთავრესად შიდა ქართლში მიმდინარეობდა და სწორედ სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის ჯაჭვის პერანგი შემოგვინახა მიწამ.[45] თუმცა, ეს არ არის ცხენის აბჯარი და ვერ გამოდგება კატაფრაქტთა არსებობის დასადასტურებლად. სავარაუდოდ, ეს ქვეითის აღჭურვილობის ნაწილი უნდა იყოს. ცხენის საშუბლე – ლითონის დამცავი ფირფიტა, რომელიც ცხენის თავს იცავდა, აღმოჩენილია ბაღლანში, ასევე, ვანის ნაქალაქარში. ასეთი ტიპის საშუბლეები უფრო მეტად გავრცელებული იყო ირანში (აღმოჩენილია ბაბაჯანში, ლურისტანში, ზივიეში), მაგრამ, სავარაუდოდ, ბაღლანში აღმოჩენილი საშუბლე ელინისტურ ხანას განეკუთვნება, ამიტომ გურამ კვირკველია მას პერგამონის ათენა ნიკეფოროს პოლიასის ტაძრის ფრიზზე გამოსახულ საშუბლეს ადარებს. აღმოსავლეთში მსგავს ცხენის საშუბლეებს უფრო საბრძოლო ეტლებისთვის განკუთვნილი ცხენებისთვის იყენებდნენ, ბერძნულ სამყაროში კი კავალერისტების აღჭურვილობაში შედიოდა. ზოგადად, ვანისა და ბაღლანის აღმოჩენები მეტყველებს დასავლეთ საქართველოში ასეთი აღჭურვილობის არსებობის შესახებ ელინისტურ პერიოდში.[46] სხვა არქეოლოგიური აღმოჩენებიდან სამხედრო

---

[43] წურწუმია, „ცხენის აბჯარი შუა საუკუნეების საქართველოში“, 91.

[44] გამყრელიძე გელა და სხვ., *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები* (თბილისი, 2005), 142-3.

[45] ლორთქიფანიძე, *ქართლი V საუკუნის II ნახევარში*, 56-7.

[46] გურამ კვირკველია, „ანტიკური ხანის ცხენის საშუბლე ბაღლანიდან“,

თვალსაზრისით საინტერესოა თაგილონი[47], კლდეეთი[48], საირხე[49] და სხვ.[50]

ცხადია, რომ მძიმე აბჯარ-საჭურვლისა და კარგი შეიარაღების ქონა მხოლოდ მდიდარს და მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელს შეეძლო. ქართლის ჯარში მძიმე კავალერია უნდა გამოსულიყო „წარჩინებულთაგან“, რომელნიც თავისთავად საკმაოდ დიფერენცირებულნი იყვნენ („სეფე-წულებად“, „მთავრებად“, „ერისთავებად“ და სხვ.[51]) და აზნაურთა კლასს ქმნიდნენ. ამათგან ყველაზე მაღალი წრის წარმომადგენლები და მეფის უახლოესი პირები გვარდიაში – „რჩეულ მხედრებში“ შედიოდნენ.[52] ამ სამხედრო არისტოკრატიის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ სპასპეტი ანუ შიდა ქართლის ერისთავი და სამეფოს მთავარსარდალი და დანარჩენი ერისთავები, რომლებიც სპასპეტს ემორჩილებოდნენ,[53] ეს უკანასკნელი კი მეფისგან მონიჭებული უფლებით სარგებლობდა.[54] ერისთავები ცალკეული საერისთავოების ჯარებს ხელმძღვანელობდნენ და ომის დროს სპასპეტის[55]

ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, დამატებანი IV (2001), 55-9.

[47] თაგილონში აღმოჩენილია ჯაჭვის პერანგისა და მუზარადის ნაწილები, მახვილის (ან სატევრის) ვადის ოქროს გარსაკრავები, რკინის ლაგამი, სარტყლის ან ცხენის ავშარის შესამკობელი. რ. ხვისტანი, „საბეჭდავი თაგილონიდან“, *ძეგლის მეგობარი*, 62 (1983), 36-8.

[48] კლდეეთის სამაროვანში აღმოჩენილია ახ.წ. II საუკუნის ბრინჯაოს კვერთხი, ჯაჭვის პერანგის ნაშთები, რკინის სამფრთიანი ისრისპირები, შუბისპირი, სატევრები, ცული და მახვილი, რომლის კოტას ოქროს ბუდეში ჩასმული სარდიონის გემა ამშვენებს. გ. ლომთათიძე, *კლდეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა* (თბილისი, 1957).

[49] საირხეში აღმოჩენილი ნივთები – ცულისპირები, ისრისპირები, შუბისპირები თარიღდება ძვ.წ. II - ახ.წ. II საუკუნეებით. ჯ. ნადირაძე, „არქეოლოგიური ძეგლები საირხეში“, *საბჭოთა ხელოვნება*, 7 (1964), 52-5.

[50] გამყრელიძე, *ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში*, 11-2.

[51] ძველქართული და ძველსომხური წყაროებიდან ჩანს, რომ ფეოდალურ წყობაზე გადასვლის პერიოდში, IV-VI საუკუნეებში, ქართლის უმაღლესი ფენის აღმნიშვნელი ბევრი ტერმინი გაჩნდა: „ერისთავნი“ (სომხ. „ნახარარები“), „მთავარნი“ (სომხ. „იშხანები“), „მამასახლისნი“ (სომხ. „ტანუტერები“), „პიტიახშნი“, „სეფეწულნი“, „აზნაურნი დიდ-დიდნი“, „წარჩინებულნი“ და ა.შ. Георгий Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959), 470.

[52] მუსხელიშვილი, „სოციალური ვითარება IV-V საუკუნეების ქართლში“, *ანალები*, 1 (2002), 10.

[53] Меликишвили, *К истории древней Грузии*, 459.

[54] სპარსული წოდება პიტიახში საქართველოში ერისთავთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული. პიტიახშებს ჯერ პართია, შემდეგ კი სასანური ირანი ნიშნავდა, მაგრამ V საუკუნეში ჩანს, რომ ქართლში ადგილობრივი პიტიახშებიც არიან, მაგალითად, არშუშა და ვარსქენი ქართლის სამეფოს ერისთავები იყვნენ და სამხედრო ვალდებულებაც ექნებოდათ. Меликишвили, *К истории древней грузии*, 459-60.

[55] სამეფო დინასტიის წევრები და ნათესავები („სეფეწულნი“) უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდნენ. იქვე, 470.

ხელმძღვანელობით იკრიბებოდნენ. „ერისთავი“ როგორც სოციალური, ისე სამხედრო თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, რადგან ძველქართული ტერმინი „ერი“, აღნიშნავს როგორც „ხალხს“, ისე „ჯარსაც“. თითოეული ერისთავი მიუძღვის თავის საერისთავოში შეკრებილ სამხედრო შენაერთს. ამას გარდა, გ. მელიქიშვილი თვლის, რომ პლინიუსის ცნობა სომხეთში არსებული 120 პრეფექტურის – „სტრატეგიების“ შესახებ, გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ იგივე ტიპის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად ქართლში არსებული „ხევები“, რომელთა შორის ძველი ისტორიული წყარობის მიხედვით ზოგჯერ დიდი ტერიტორიული ოლქებიც – კლარჯეთი, კახეთი, ეგრისი, შავშეთი, სამცხე, არტაანი მოიხსენიება.[56] „ქართლის ცხოვრებაში“ ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობის ხანიდან ჩანს საერისთავოების ჩამოყალიბება, შემდეგში კი ვხედავთ, რომ თითოეული საერისთაო ზოგჯერ რამდენიმე ხევს აერთიანებს.[57] ასეთი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით უფრო პატარა ნაწილებად იყოფოდა. ერისთავებს ემორჩილებოდნენ მათ მიერ სხვადასხვა ადგილას დანიშნული სპასალარები და ათასისთავები. კასპში ასეთი სპასალარის არსებობის შესახებ ჯუანშერის თხზულებაში წერია. მას გასაზრდელად აძლევენ ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვან დას (ვახტანგის აღმზრდელი შიდა ქართლის სპასპეტი უნდა ყოფილიყო). ეს წვრილი არისტოკრატია შესაძლოა თვითონაც ატარებდა ერისთავის ტიტულს, რასაც შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთი ტიტულების გაჩენა, როგორიცაა ერისთავთ-ერისთავი და ერისმთავართ ერისმთავარი – ანუ უფროსი ერისთავი. დიდ ერისთავებს ემორჩილებოდნენ ერისთავები, ციხისთავები, მამასახლისები, შესაძლოა კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობი წოდების ხალხი.[58] ზოგადად, ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართლში არსებობდა ადმინისტრაციულ-სამხედრო ტერიტორიული ერთეულები, თითოეულ მათგანს გამოჰყავდა ჯარი, რომელშიც არისტოკრატული, მძიმე ცხენოსანი ნაწილების გარდა, იყო მსუბუქი მხედრობა და ქვეითთა რაზმები. სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ გვაროვნული საზოგადოება წარმოადგენს „სამხედრო დემოკრატიას“. ხალხი და ჯარი აქ ერთმანეთისაგან განუყრელნი არიან. ყოველი ერის კაცი, ყოველი „სახლისშვილი“ იმავე დროს მეომარია. „ერის კაცი“ ჯარისკაცსაც ნიშნავს“.[59]

ქართლის სამეფოში უნდა ყოფილიყო რეგულარული სამხედრო

---

[56] იქვე, 464.

[57] იქვე, 464-5.

[58] იქვე, 465-6.

[59] სიმონ ჯანაშია, *შრომები*, II (თბილისი, 1952), 131. Меликишвили, *К истории древней грузии*, 459-62.

დანაყოფიც –მეფის გვარდია, რომელიც შესაძლოა მოქირავნე უცხოური ელემენტისგან, მაგალითად, ალანებისგან ყოფილიყო დაკომპლექტებული. გიორგი მელიქიშვილი ფარსმან II-თვის რომის იმპერატორ ადრიანეს მიერ გამოგზავნილი 50 ლეგიონერის ადგილსაც სწორედ სამეფო გვარდიის შემადგენლობაში ხედავს. გვარდიაში იყვნენ მეფის ახლობელი პირები და ნათესავები – „სეფეწულები". ისინი ამ შენაერთის შემადგენელი რაზმების მეთაურებად მსახურობდნენ.[60]

როგორც ვხედავთ, ჩვენ არ შეგვიძლია საკმარისი არქეოლოგიური თუ დოკუმენტური მასალის მოყვანა ქართლის ჯარში კატაფრაქტული კავალერიის არსებობის დასამტკიცებლად, მაგრამ არსებული მწირი ინფორმაციისა და მეზობელ ქვეყანათა სამხედრო სისტემებთან შედარებით ლოგიკურად მიგვაჩნია მისი არსებობა.

ქვეითები. ირანული სამხედრო სისტემის მსგავსად, როგორ ჩანს, V საუკუნიდან ფეხოსნები არც იბერიის ჯარში არ ასრულებდნენ წამყვან როლს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კავალერიის მიღწეული შედეგი მათ უნდა განემტკიცებინათ, დაეკავებინათ პოზიციები. ასევე, ფეხოსნები იღებდნენ მტრის ციხე-სიმაგრეებსაც. მათ შორის უმეტესობა მსუბუქად იყო შეიარაღებული, რადგან აბჯარ-საჭურველი ძვირი ჯდებოდა, ხოლო ღარიბებს არ შეეძლოთ დიდებულთა მსგავსად აღჭურვილიყვნენ. თუმცა, შედარებით მარტივი, მსუბუქი საჭურველი და მუზარადები ქვეით ჯარში გამორიცხული არ არის.[61] იქნებ, ამასთან დაკავშირებით უწოდა მათ ჯუანშერმა „მკვირცხლი ერისაი". მსუბუქი ქვეითი ჯარი ძირითადად შეიარაღებული იყო ხელშუბებით, მშვილდ-ისრებით, შურდულებით, შუბებითა და ფარებით.

---

[60] Меликишвили, *К истории древней грузии*, 467. მოსე ხორენელი წერს იბერიელ „სეფეწულებზე", რომლებიც შედიოდნენ მეფის გვარდიაში „გუნდში" და სამაგიეროდ ღებულობდნენ თავიანთ მფლობელობაში სოფლებსა და მამულებს. ფავსტოს ბუზანდი კი IV საუკუნის ქართლში მიმდინარე რეპრესიების შესახებ, რომელსაც სომეხთა სარდალი მუშეგი წარმართავდა, აღნიშნავს, რომ ეს რეპრესიები „ფარნავაზიანებს", „ნახარარებსა" და „აზატებს" შეეხო. აქედან ვხედავთ სამ პრივილეგირებულ ფენას – ფარნავაზიანებს ანუ სამეფო დინასტიის წევრებს (იგივე სეფეწულები), სამხედრო არისტოკრატიის უმაღლეს წარმომადგენლებს – ერისთავებს (სომხ. ნახარარი) და სამხედრო ფენას – აზატებს ანუ აზნაურებს. *История Армении Фавстос Бузанда*, Перевод и коментарии М.А. Геворгяна (Ереван, 1953), 162-3. Меликишвили, *К истории древней грузии*, 468.

[61] იბერი მეომრებისათვის მუზარადი თავდაცვითი შეიარაღების აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს, რომ ელინისტურ ხანაში იბერია-კოლხეთში ქვეითთა ლითონის მუზარადები გამოიყენებოდა, ისტორიული წყაროების მიხედვით ძველ კოლხეთში ხის მუზარადებსაც იყენებდნენ, პომპეუსთან ბრძოლის დროს კი იბერიელებს ტყავის მუზარადები ეხურათ. გამყრელიძე, *ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში*, 142.

ქვეითი ჯარი რიცხოვნობით ცხენოსანს ჭარბობდა, რადგან ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ჯარი ხალხის ფართო მასებისგან გამოდიოდა, სადაც ყოველი მამაკაცი სამხედროვალდებულად განიხილებოდა.[62]

V საუკუნეში იმ სოციალური ფენის აღსანიშნავად, რომლისგანაც ქვეითი ჯარი და შეიძლება ნაწილობრივ მსუბუქი მხედრობაც გამოდიოდა, შეგვიძლია გამოვიყენოთ ჯუანშერის „წურილი ერი“. ასეთ „წურილ ერისაგანთ“ პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ, ისევე როგორც, სამამულე უფლებანი სათემო თუ კერძო მფლობელობის სახით; ისინი უზენაეს ხელისუფალს, მეფეს დამორჩილებული წვრილი მიწათმფლობელები არიან, ქონებრივად საშუალო და წვრილი მესაკუთრენი. „წურილი ერისგან“ სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად აღზევებული „მსახურნი“ კი, როგორც ჩანს, მსუბუქ ცხენოსან ჯარში იბრძოდნენ („სიმრავლე მხედართა“).[63] დაბალი ფენის მეომართა რაოდენობა, ბუნებრივია, აღემატებოდა მცირერიცხოვან დიდებულთა ფენას და შესაბამისად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ვახტანგ გორგასლის სამხედრო კამპანიებში.[64]

სასანური ირანის ქვეით ჯარზე პროკოპი კესარიელი აღნიშნავს: „საცოდავ გლეხთა ბრბო, რომელიც ბრძოლაში ისეთი მიზნებისთვის თუ ერთვება, როგორიცაა კედლის საძირკვლის გამოთხრა და მკვდრების გაძარცვა, მათი მთავარი დანიშნულება კი მეომართა (ე.ი ცხენოსნის) მსახურებაა“.[65] სასანიანთა ქვეითი ჯარის დიდ ნაწილს შეადგენდა პაიგანი – სახალხო ლაშქარი, შუბებითა და დიდი ფარებით აღჭურვილი. მათ შენაერთებს მეთაურობდნენ პაიგან-სალარები. პაიგანები იცავდნენ აღალს, საჭურველთმტვირთველებად ემსახურებოდნენ სავარანის (ელიტური შენაერთი) მხედრებს. ქვეითები ბრძოლის დროს მჭიდრო რიგებად იბრძოდნენ. მათი სამხედრო მომზადების დონე და საბრძოლო მორალი დაბალი იყო, რადგან ისინი არ იყვნენ რეგულარულ სამხედრო სამსახურში და მათ რიცხობრივ ოდენობასაც სამხედრო კამპანიის მასშტაბები წყვეტდა. პაიგანები განსაკუთრებით საჭირო იყვნენ ქალაქების ალყის დროს. გამორჩეულად ძლიერ ფეხოსან ნაწილებს შეადგენდნენ მიდიელები, რომლებიც ჯერ კიდევ აქემენიდების დროიდან განთქმულნი

---

[62] წურწუმია, „შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია“, 95. სიმონ ჯანაშიას მიხედვით, მონათმფლობელურმა წყობილებამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა და ვერ ჩამოყალიბდა ფორმაციად. გვაროვნული წყობილება აქ ფეოდალიზმმა ჩაანაცვლა. ჯანაშია, *შრომები*, II, 131.

[63] მუსხელიშვილი, „სოციალური ვითარება IV-V საუკუნეების ქართლში“, 12.

[64] არმიის ძირითადი კონტიგენტი იყო სახალხო ლაშქარი – თავისუფალი მიწათმოქმედები ომში საკუთარი აღჭურვილობით გადიოდნენ. Меликишвили, *К истории древней грузии*, 466.

[65] Procopius, *History of the Wars: Persian War*, Book I, XIV (London, 1924), 22-30.

იყვნენ ქვეითი ჯარით, მეშურდულეებითა და ხელშუბოსნებით. ირანის არმიაში მსახურობდნენ ჰეფთალითები, ქუშანები, დაილამელები, ქურთები, ანატოლიელები, ალბანელები, ასევე სომხები და იბერიელები.[66] სასანიანთა დროს ირანს ჰყავდა მძიმედ აღჭურვილი ქვეითი ჯარიც. ამიანე მარცელინუსი მათ შეიარაღებას „გლადიატორებისას“ ადარებს, ზოგადად კი მათ „დურა-ევროპოსის“ ტიპს მიაკუთვნებენ.[67] მათ ემოსათ ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ჰქონდათ ფარები, მახვილები და შუბები. ირანელები განსაკუთრებით გაწაფულები იყვნენ მშვილდოსნობაში და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას შორიდან ისრის ტყორცნას ამჯობინებდნენ.

იბერიელ ქვეითებს ვერ შევადარებთ რომაულ-ბიზანტიურ რეგულარულ ქვეით სამხედრო ნაწილებს, რომლებიც რომის ჯარის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. ისინი კარგად იყვნენ აღჭურვილები, მაღალი საბრძოლო ღირებულებაც გააჩნდათ და პირველხარისხოვანი სამხედრო ამოცანებისთვის იყვნენ განკუთვნილნი, მიუხედავად იმისა, რომ IV საუკუნიდან იმპერიის არმიაში მნიშვნელოვანი ადგილი ცხენოსანმა ნაწილებმა დაიკავეს, რაც მძლავრი კავალერიის მქონე ბარბაროსებთან ბრძოლისთვის იყო საჭირო.

მსუბუქი მხედრობა. „სიმრავლე მხედართა“, რომელიც ჯუანშერის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ჯარის არიერგარდს შეადგენს ალანებთან ომში, მსუბუქ კავალერიას წარმოადგენდა. მათ შორის შეიძლება ვივარაუდოთ როგორც მოკავშირე მომთაბარე მხედრები, ასევე ქართლის საშუალო ფენიდან გამოსული მეომრები, რომლებსაც არ გააჩნდათ ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობები, როგორიც დიდებულთა ფენას ჰქონდა. ისინი

---

[66] ირანის ჩარევა ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში თანდათანობით აქტიურდებოდა. საკუთარი კურსის განხორციელება ირანმა ახალი სახის სამხედრო ბეგარით დაიწყო და V საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ქართლიდან და ალბანეთიდან ცხენოსანი რაზმები გაიწვია. ამ სამხედრო ძალას ირანის ხელისუფლება უმთავრესად შუა აზიაში წარმოებულ ბრძოლებში იყენებდა. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სამხედრო რაზმების გაყვანა, გარდა ირანის შესაძლებლობათა გაზრდისა, საკუთრივ სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის სამხედრო პოტენციალის შემცირებას და შესაბამისად, სასანიანთა წინააღმდეგ შესაძლო გამოსვლების შესუსტებას ისახავდა მიზნად. ირანის ხელისუფლების ცდა, გაევრცელებინა მაზდეანობა იმ სამხედრო რაზმებში, რომელნიც შუა აზიაში სასანიანთა მეტოქეებს ებრძოდნენ, მარცხით დასრულდა. მ. ლორთქიფანიძე, „ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან“, *ქართული დიპლომატია*, 1 (1994), 79-80.

[67] დურა-ევროპოსი იყო ქალაქი სირიაში. ძვ.წ. II საუკუნიდან დაპყრობილი ჰქონდა პართიას. 165 წელს რომაელებმა დაიკავეს. 256 წელს ქალაქი სასანიანებმა აიღეს. დურა-ევროპოსის ტაძრებისა და სასახლის კედლებზე საინტერესო მოხატულობები გვხვდება, ასევე, აქ ჩატარებულია არქეოლოგიური გათხრები, რამაც საშუალება მისცა ისტორიკოსებს ემსჯელათ როგორც ქალაქის ისტორიაზე, ასევე რომაელებისა და ირანელების საბრძოლო შეიარაღებაზე. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი, რადგან ირანელ ქვეითთა აღჭურვილობაზე არცთუ მდიდარი მასალა გაგვაჩნია.

უნდა ყოფილიყვნენ ძირითადად მსახურთა ფენიდან. მსუბუქ კავალერიაში იქნებოდა როგორც მშვილდოსან მხედართა ნაწილები, ასევე ხელჩართული ბრძოლის იარაღებით აღჭურვილნიც.

ჯუანშერი ალანებთან ბრძოლისთვის მომზადების შესახებ აღნიშნავს – „მუნ მიერთნენ ყოველნი მეფენი კავკასიანნი“.[68] საინტერესოა, ვინ იყვნენ „მეფენი კავკასიანნი“. სავარაუდოდ მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ქართლის სამეფოს მთის თავისუფალი ტომები, რომელთაც ხარკის გადახდასთან ერთად სამხედრო ვალდებულებაც გააჩნდათ.[69] ამაზე მეტყველებს ისიც, რომ როდესაც ჯუანშერი ვახტანგის ჩრდილოკავკასიურ ლაშქრობაზე წერს, „მეფენი კავკასიანნი“ მეფის ჯარს კამპანიის დასაწყისში (თიანეთში) უერთდებიან ანუ ისინი არ მოდიან ჩრდილოეთ კავკასიიდან და ქართველი მთიელები არიან.

ამავდროულად ჯუანშერი მიუთითებს, რომ „მეფენი კავკასიანნი“ მხედრობას ახმარენ ვახტანგს – „ორმოცდაათ ათას მხედარს“. რა თქმა უნდა, რიცხვი გაზრდილია, მაგრამ ჩანს, რომ საქმე ცხენოსან ჯართან გვაქვს, თუმცა მარტო ამ წყაროზე დაყრდნობით ძნელია ვიმსჯელოთ ამ ლაშქრის შემადგენლობაზე. თუ მათ შორის მოვიაზრებთ მოქირავნე და ირანის მოკავშირე მომთაბარეებს, რომლებიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარაზ-ბაკურის შეკრებილები შეიძლება ყოფილიყვნენ, მაშინ უფრო ადვილი იქნება „კავკასიელ მეფეთა“ ჯარზე იმის თქმა, რომ მათი დიდი უმრავლესობა მხედრობა იყო, მაგრამ ეს პრობლემატური საკითხია და ასეთი მსჯელობის საფუძველი თითქმის არ გვაქვს. ჯუანშერის მიხედვით უფრო ჩანს, რომ ისინი მთიელები იყვნენ, რომელთაც სამხედრო სამსახურისთვის გამოჰყავდათ მეომრები, მაგრამ ისინი უფრო ქვეითებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, ვიდრე ცხენოსნებად.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წარმატებული ის ქართველი მეფეები იყვნენ, რომლებიც ახერხებდნენ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებას.[70] იბერიელთა და მოქირავნე-მოკავშირე სარმატთა და სხვა ჩრდილო-კავკასიელ ტომთა ერთობლივი, წარმატებული მოქმედების ნიმუშად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაქსისპირეთში ფარსმან I-ს მიერ პართელების დამარცხება, სადაც იბერთა მეფეს თავისი სამეფოს ჯარის გარდა სარმატი, ჩრდილოკავკასიელი და ალბანელი მეომრები ჰყავდა.[71]

---

[68] ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 8.

[69] Меликишвили, *К истории древней грузии*, 466-7.

[70] გიული ალასანია, *ქართველები და ისლამამდელი თურქები* (თბილისი, 2008), 22.

[71] ტაციტუსი, *ანალები*, VI, 34. გამყრელიძე, *ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში*, 168.

ცხენოსან-მოისართა დანაყოფები არსებობდა ამ პერიოდის ბიზანტიურ ჯარშიც. *Sagittarii*, რაც ადრე ქვეით მშვილდოსნებს ნიშნავდა, ახლა ცხენოსან მოისართა სახელწოდებაც გახდა. ასეთი კავალერიის არსებობა აუცილებელი იყო ირანისა და ჩრდილოელი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ომებში. საგიტარები შეიარაღებულები იყვნენ კომპოზიტური მშვილდებით.[72] VI საუკუნის სამხედრო ტრაქტატი – მავრიკიოსის „სტრატეგიკონი" აღწერს, თუ რა უნარებს უნდა ფლობდეს და როგორ უნდა მოქმედებდეს რომაული ცხენოსან-მოისართა ჯარი: „აუცილებელია მშვილდოსანი ფლობდეს რომაული ან სპარსული მეთოდით ისრის სწრაფად ტყორცნას, რაც მხედრისთვისაც საჭიროა. ცხენოსანს უნდა შეეძლოს გაჭენებული ცხენიდან ისრის ზუსტად სროლა სწრაფად და მიყოლებით, საჭიროებისას მშვილდის ჩადება კაპარჭში და შუბის მომარჯვება.[73] ამისთვის მათი მუდმივი ვარჯიში აუცილებელია".[74] პროკოპი კესარიელის მიხედვით კომპოზიტური მშვილდით შეიარაღებული ასეთი მხედარი იმ დროის იდეალური მეომარი იყო.

ჯარების რიცხოვნობა და „სამხედრო ეკონომიკა". ჯუანშერი ასახელებს ვახტანგის არმიის რაოდენობას – „ხოლო ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისადა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა: და იყო ასი ათასი მხედარი[75] და სამოცი ათასი ქუეითი", რასაც ემატება ვარაზ ბაკურის თორმეტი ათასი და „კავკასიის მეფეთა" ორმოცდაათი ათასი მხედარი.[76] ეს რიცხვები არ შეესაბამება არც ანტიკურობის და არც შუა საუკუნეების არმიების საშუალო და თუნდაც

---

[72] J. C. Coulston, "Roman Archery Equipment," in *The Production and Distribution of Roman Military Equipment*, Proceedings of the Second Roman Military Equipment Seminar, ed. M.C. Bishop (Oxford, 1985), 220-366.

[73] ეს ტექსტი შეესაბამება რომაული ჰიპო-ტოქსოტების აღწერილობას, რომლებსაც მშვილდ-ისრის გარდა შეიარაღებაში შუბიც ჰქონდათ.

[74] Маврикий, *Тактика и Стратегия*, Книга первая, глава I: Как следовало бы вести одиночное обучение воинов (С.-Петербург, 1903). [ელ- ვერსია: www.libgen.org].

[75] ცნობისთვის, ირანის არმიის მხოლოდ 1/10 იყო მძიმე კავალერია. Франко Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства.* [ელ-ვერსია: www.libgen.org]. ეს მონაცემები ეწინააღმდეგება კ. კაციტაძის რიცხვსაც, რომელიც თვლიდა, რომ იბერიის ჯარში 4-5 ათასი კატაფრაქტი იქნებოდა. კახა კაციტაძე, *კატაფრაქტები ძველ იბერიაში*. სასანიანთა ირანს თავისი ძლიერების ზენიტში 12 000-მდე ცხენოსანი ჯარი უგროვდებოდა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს კატაფრაქტები წარმოადგენდნენ, მაგრამ 4-5 ათასი კატაფრაქტი პატარა და მცირერიცხოვანი ელიტის მქონე ქვეყნისთვის დიდ რიცხვად ჩანს.

[76] ამ რიცხვებს გაზვიადებულად თვლის ჯ. შარაშენიძეც, თუმცა ფიქრობს, რომ ეს მონაცემები მნიშვნელოვანია, რადგან კარგად ჩანს ამ ეპოქაში საგარეო ომებში ცხენოსანთა რაოდენობრივი სიმრავლე ქვეითებთან შედარებით. ჯემალ შარაშენიძე, *ომებიადა* (თბილისი, 2011), 170.

მაქსიმალურ სტანდარტებს. როგორც მოსახლეობის, ისე იმდროინდელი არმიების რიცხოვნობის გამოანგარიშება რთული საქმეა. ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ფაქტორიც. პროფესორი ჯ. რასელი შუა საუკუნეების დემოგრაფიის კარგად შესწავლის შედეგად დაახლოებით ასახელებს ბალკანეთის, აპენინის, პირენეის ნახევარკუნძულების, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების, სლავებისა და უნგრელების მოსახლეობის რიცხოვნობას, რაც V საუკუნის ბოლოსთვის ერთიანობაში 27,5 მილიონს ძლივს აღწევს.[77] ევროპის მოსახლეობის შემცირება განსაკუთრებით ანტონინუსების დინასტიის დროს შავი ჭირის გავრცელებას, კიპრიანის ჭირსა და III საუკუნის კრიზისს[78] უკავშირდება. კარლოს დიდის მეფობის პერიოდში ევროპელთა რიცხვი 25-დან 30 მილიონამდე მერყეობს.[79]

ჰანს დელბრუკი წერდა: „ძალიან რთულია დიდი რაოდენობის ხალხის ზუსტი რიცხოვნობის დადგენა. ეს არც მთავარსარდლისთვის არის ისეთი ადვილი, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ. თითქოს ჩანს, რომ უმცროსი მეთაურების მოხსენებების მიღების შედეგად შეიძლება მეთაურისთვის თავისი ლაშქრის ზუსტი რაოდენობის გაგება, მაგრამ აქ ჩნდება კითხვაც – სწორია კი ეს მოხსენებები? მეტად რთულია განსაზღვრო და მუდამ წესრიგში გქონდეს ინფორმაცია მწყობრში მყოფ, დაჭრილ, დაღუპულ თუ დათხოვილ სამხედროებზე“.[80] შუა საუკუნეების ავტორთა ციფრების სანდოობისა და იმდროინდელი არმიების რეალური სიდიდეების შესახებ ისტორიოგრაფიაში უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს. ამ საკითხს ჰანს დელბრუკის შემდეგ მრავალი მკვლევარი შეეხო, რომელთა ნაშრომებშიც შუა საუკუნეების ქრონიკების „საერთო ავადმყოფობის“, არმიათა სიდიდის გაზვიადების

---

[77] Josiah C. Russell, “The Middle Ages: Population in Europe,” in *The Fontana Economic History of Europe*, ed. Carlo M. Cipolla, vol. I (Glasgow, 1972), 25-71. ბალკანეთი – 5, იტალია – 4, ესპანეთ-პორტუგალია – 4, საფრანგეთი (და დას. ევროპის მცირე ქვეყნები) – 5, ბრიტანეთის კუნძულები – 0,5; გერმანია-სკანდინავია – 3,5; სლავები – 5, უნგრეთი – 0,5 მილიონი.

[78] მესამე საუკუნის კრიზისი – პერიოდი, როდესაც რომის იმპერიაში ერთდროულად მოხდა მრავალი დამანგრეველი მოვლენა – შავი ჭირი, სამოქალაქო ომები და ბარბაროსების შემოსევები. კრიზისის საწყისად ითვლება იმპერატორ ალექსანდრე სევერუსის (222-35) მკვლელობა, რასაც 50 წლიანი შინაომლობა მოჰყვა, რადგან ამ დროში 20-25 პრეტენდენტი იბრძოდა საიმპერატორო ძალაუფლებისთვის. ამავე დროს იმპერიას გამოეყო გალია და ბრიტანეთი პოსტუმუსის (260-69) მეთაურობით, ასევე პალმირა – სირიის, ეგვიპტისა და პალესტინის პროვინციებით. იმპერატორმა ავრელიანემ (270-75) კვლავ გააერთიანა იმპერია, კრიზისს კი ბოლო დიოკლეტიანეს რეფორმებმა (285-305) მოუღო.

[79] Russell, “Population in Europe,” 25-71.

[80] Г. Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, Том I (Санкт-Петербург, 2001), 1688.

ტენდენციის არსებობა არაერთხელ აღინიშნა. ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში ასეთი გაზრდილი რიცხვები მრავლად გვხვდება. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ტრებელიუს პოლიონის, ამიანე მარცელინუსის და სხვა ისტორიკოსთა მონაცემები.[81]

სოსო მარგიშვილი ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატებისა და თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსთა გამოთვლების მიხედვით ადგენს, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი, 200 000-იანი ჯარი მოძრაობისას სამასამდე კილომეტრზე გაიშლება.[82] იმ დროის სამხედრო მართვის სისტემასა და კომუნიკაციებს თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ ასეთი არმიის მართვა წარმოუდგენელი იქნებოდა.[83] ცხენოსანი ჯარის შემთხვევაში სამარშო კოლონის სიგრძე კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რადგან მარშის დროს ორ მხედარს შორის მინიმუმ 4 მეტრის დაშორება მაინც უნდა ყოფილიყო[84]. ამას დაემატებოდა წარჩინებულ ცხენოსან მეომართა საზიდრები, რომელთა რაოდენობა ღარიბი ქვეითი ჯარის ჯარისკაცებისგან განსხვავებით დიდი იყო. მივიღებთ უზარმაზარ მანძილზე გაჭიმულ ჯარს. ასეთ დროს სწრაფი კომუნიკაცია შეუძლებელია, უცხო ქვეყანაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში სურსათის შეგროვება და არმიის მომარაგება თითქმის გამორიცხულია; ღრმად შეჭრის დროს ჯარის დიდი ნაწილი აუცილებელია საკომუნიკაციო გზების დასაცავად. თავს იჩენს უამრავი პრობლემა, მათ შორის დიზინტერიისა და სხვა დაავადებებისა, რომელიც ყველაზე ხშირად მრავალრიცხოვან არმიებში ჩნდებოდა. ამას გარდა, არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რაც წარმოუდგენელს ხდის ვახტანგის არმიის მრავალრიცხოვნობის რეალურობას. გასათვალისწინებელია, რომ იბერიის სამეფოს პოტენციალი, რომელიც ხშირად ხდებოდა მომთაბარე ტომებისა და მეზობელი იმპერიების რეიდების მსხვერპლი, იმ დროისთვის საკმაოდ უნდა ყოფილიყო შემცირებული. ამას გამოაკლდებოდა ის მეომრებიც, რომლებიც სამეფოს დასაცავად იყვნენ საჭირონი და მუდამ გარნიზონებად უნდა მდგარიყვნენ თავდაცვით პუნქტებში.[85]

გვიანდელი ხანის რომაული არმიის რიცხოვნობის დასადგენად ორგვარ

---

[81] იქვე.

[82] 100 ათასი ქვეითის და 100 ათას ცხენოსნის კოლონა 137-150 კილომეტრზე გაიჭიმებოდა, არმიის საზიდრების გათვალისწინებით კი სამარშო კოლონის სიგრძე 267-300 კმ მიაღწევდა. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 244.

[83] იქვე.

[84] იქვე.

[85] ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელები, ეგრისის საზღვარი, ირანის ხელში მყოფი ალბანეთის სასაზღვრო ზოლი.

შესაბამის მონაცემებს ვიყენებთ – იმ რიცხვებს, რომელსაც ლიტერატურული წყაროები გვაწვდიან და ცნობებს არმიის შენაერთების შესახებ *Notitia Dignitatum*-დან, რითაც ვცდილობთ არმიის რაოდენობის საერთო სურათის წარმოდგენას და ზოგადი მონაცემების დადგენას.[86] როდესაც რომის იმპერატორი იულიანე განდგომილმა თავისი კამპანია დაიწყო სასანიანთა წინააღმდეგ და დაგეგმა მათი დედაქალაქის – ქტესიფონის დაკავება, 70-80[87] ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი და ესეც საკმაოდ გაზრდილ რიცხვად მოჩანს. თუ რომის იმ დროინდელ მდგომარეობას განვიხილავთ, იმპერატორი ვალდებული იყო დაეტოვებინა დიდი რაოდენობით გარნიზონები, რათა მისი სპარსული კამპანიის პერიოდში საზღვრები დაცული ყოფილიყო. IV საუკუნის რომის იმპერიას კი, რომელიც ძირითადად თავდაცვაზე იყო გადასული და ძლივს აკავებდა ბარბაროსთა შეტევებს, უწევდა მუდმივად ყოლოდა *Limitanei*-ს ანუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესაზღვრეთა ლეგიონები, იმპერატორი კი ლაშქრობებში *Comitatenses* იყენებდა. ადრიანოპოლის დიდ ბრძოლაში 378 წელს იმპერატორ ვალენსის ხელქვეით მყოფი აღმოსავლეთ რომაული არმიის რიცხოვნობა 15-20[88] დან 25-30[89] ათასამდე მერყეობს.[90] ჰანს დელბრუკი ეჭვის ქვეშ აყენებს *Notitia Dignitatum*-ში დასახელებულ არმიათა რიცხოვნობებს და თვლის, რომ მათი სახელწოდება და რაოდენობა ამ დროისთვის მხოლოდ ქაღალდზეღა არსებობდა, რეალურად კი ბევრად მძიმე მდგომარეობა იყო, განსაკუთრებით ლიმიტანებში, რომელთა დიდი ნაწილი გაითქვიფა და გარდაიქმნა ადგილობრივ მოსახლეობად, რომელთაც სამხედრო კამპანიის წარმოებისას და ლაშქრობებისას ვეღარ გამოიყენებდნენ.[91] III საუკუნეში რომის იმპერიის მეომართა სრული რიცხვი სახმელეთო ძალების 350 000 მეომარი და 40 000 მეზღვაური იყო, ხოლო დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს დროს ნახევარ მილიონამდე მიაღწია. თუმცა ერთდროულად, ერთი კამპანიისათვის გაცილებით ნაკლები რიცხვის ჯარისკაცების თავმოყრა ხერხდებოდა. ჯარის დასახელებული რაოდენობა იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიისათვის რეალურია, მაგრამ კონკრეტული სამხედრო კამპანიის

---

[86] A. D. Lee, *War in Late Antiquity: A Social History* (Oxford, 2007), 74.

[87] G. W. Bowersock, *Julian the Apostate* (Cambridge, 1978), 108. ა. ლი იულიანეს არმიის რაოდენობას 65 000 მეომრით განსაზღვრავს. Lee, *War in Late Antiquity*, 76.

[88] MacDowall, *Adrianopole*, 59. IV საუკუნისთვის საველე არმიები 15-დან 30 ათასამდე მეომარს მოიცავდნენ. Lee, *War in Late Antiquity*, 76.

[89] Stephen Williams, J. G. P. Friell, *Theodosius: The Empire at Bay* (New Haven, 1995), 177.

[90] ვალენსმა შეკრიბა საუკეთესო არმია, რაც კი შეიძლებოდა გამოეყვანა. მიუხედავად ამისა, დამარცხდა ამ ქაოტურ ბრძოლაში და გარდაიცვალა. John Keegan, *A History of Warfare* (New York, 1993), 185.

[91] Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, Том I, 1713-4.

საწარმოებლად ბევრად ნაკლები ძალის მობილიზება იყო შესაძლებელი. 50 000 მეომარი უზარმაზარ არმიას წარმოადგენდა და რომის იმპერატორებს ძალიან უჭირდათ ასეთი ძალის თავმოყრა. უკვე IX-X საუკუნეებში კი ბიზანტიაში სტანდარტული საიმპერატორო არმია 24 200 მეომრისგან შედგებოდა.[92] სომხებსა და სასანიანებს შორის ავარაირთან მომხდარ ბრძოლაში, ბევრი წყარო ზღაპრულად დიდ რიცხვებს[93] გვაწვდის, მაგრამ თანამედროვე გამოკვლევების შედეგად ეს რიცხვები შემცირდა და რეალურს მიუახლოვდა.[94] პროკოპი კესარიელი წერდა, რომ ირანული წესის მიხედვით ომში მიმავალი არმია მეფის წინ ჩაივლიდა, რომლის წინაც ბევრი კალათა იდგა. თითოეული ჯარისკაცი ერთ ისარს აგდებდა კალათში, რის შემდეგაც კალათებში ჩაყრილ ისრებს თვლიდნენ. როდესაც ჯარი ბრუნდებოდა ლაშქრობიდან, ისევ ჩაივლიდა მეფის წინ დალაგებულ კალათებთან და თითოეული ერთ ისარს ამოიღებდა. დარჩენილი ისრების რაოდენობით საზღვრავდნენ სამხედრო დანაკარგებს. ჯარის რიცხოვნობის გამოთვლის ეს წესი დელბრუკმა ფანსტასტიკად და არარეალურად მიიჩნია.[95] ირანული არმიების რაოდენობრივი მაჩვენებლები არცთუ ბევრი გვაქვს და უმეტესობა VI საუკუნისა და VII საუკუნის პირველი ნახევრისაა, როდესაც სასანელები ისლამურ ხალიფატს ებრძოდნენ. ბიზანტიის წინააღმდეგ სატალასთან გამართულ ბრძოლაში მერმეროეს 30 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდა.[96] ვალაჯის გადამწყვეტ ბრძოლაში 633 წელს ირანელებს 40 ათასი მეომარი უნდა ჰყოლოდათ.[97] ირანელთა დაუძინებელი მტრების, ჰეფთალითებისა და კიდარიტების სამხედრო ძალები სხვადასხვა,

---

[92] *Два Византийских Военных Трактата конца X века* (СПб, 2002), 237. X-XI საუკუნეებში ბიზანტიამ მხოლოდ ერთხელ, მანასკერტის ბრძოლის დროს შეძლო უფრო დიდი არმიის ორგანიზება, რომლის რაოდენობაც 40-60 ათასი მეომრის ფარგლებში ივარაუდება. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 240; John France, *Victory in the East: A Military History of the First Crusade* (Cambridge, 1994), 152.

[93] თითქოს 120 000 სასანიანი მეომარი საბრძოლო სპილოებით და 20 000 სომეხი მოკავშირე ებრძოდა 66 000 აჯანყებულ სომეხს, რომელთაც ვარდან მამიკონიანი სარდლობდა. Егише, *О Вардане и войне армянской*, перевод с древнеармянского акад. И.А. Орбели, подготовка к изданию, предисловие и примечания К.Н. Юзбашяна (Ереван, 1971), гл. 5.

[94] Simon Payaslian, *The History of Armenia: From the Origins to the Present* (New York, 2007), 44. სასანურ ირანს ამ დროისთვის 12 000-იანი ჯარი ჰყავდა, 578 წელს კი საერთო ჯამში 58 000-მდე მეომრის გამოყვანის პოტენციალი გააჩნდა, რაც გამორიცხავს ბრძოლის ველზე ერთბაშად ამდენი მეომრის თავმოყრას. A. Sh. Shahbazi, "Army i. Pre-Islamic Iran," *Encyclopaedia Iranica*, Vol. II, Fasc. 5 (1986), 489-99.

[95] Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, Том I, 1688-9.

[96] Geoffrey Greatrex and Samuel N. C. Lieu, *The Roman Eastern Frontier and the Persian Wars*, Part II: AD 363-630 (London, 2002), 88-91.

[97] A. I. Akram, *The Sword of Allah, Khalid bin al-Waleed: His Life and Campaigns* (Karachi, 1970), 62.

მათ შორის ჩინური წყაროების მიხედვით დაახლოებით 6 ათას მეომარს უტოლდებოდა, მაგრამ ასეთი რაოდენობის ჯარი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სასტიკად გაენადგურებინა სასანიანი შაჰები იეზდიგერდ II და პეროზი.[98]

რთულია ადრეფეოდალური პერიოდის მომთაბარე ტომთა ჯარის რაოდენობის განსაზღვრაც, რომლებთანაც ქართველებსაც ხშირად უწევდათ დაპირისპირება. ისტორიული წყაროები მათ უზარმაზარ რიცხვზე საუბრობენ, მაგრამ როგორც ჩანს, არც ეს შეესაბამება სიმართლეს. ავართა მომთაბარე ტომისა და ბიზანტიის ჯარს შორის ბრძოლა ვიმინაციუმთან 599 წელს ავართა სასტიკი მარცხით და თითქმის სრული განადგურებით დასრულდა და მათ 28 000 მეომრამდე დაკარგეს.[99] მომთაბარეთა რიცხოვნობების შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ ყველა მოზრდილი მომთაბარე მეომარი ან პოტენციური მეომარი იყო, როდესაც ცივილიზებულ სამყაროში სამხედრო საზოგადოება მთელი მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდა. ერთიანი რაოდენობით მომთაბარეები ბევრად ჩამორჩებოდნენ მუდმივმოსახლე ხალხებს, მაგრამ პროცენტულად სამხედრო მობილიზაციისას მეტი მეომრის გამოყვანა შეეძლოთ.[100] გადამწყვეტია ცხენების ფაქტორიც: მესაქონლე მომთაბარეებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ისეთ ტერიტორიაზე დასახლება, სადაც კარგი საძოვრები იყო – ასეთი კი სტეპები გახლდათ.

ჯარის გამოსაყვანად და მის შესანარჩუნებლად გვიან ანტიკურ ხანაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ისტორიულ ეპოქაში, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სახსრები, კომუნიკაციის სისტემა და მომარაგება იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ მეომარი ძირითადად თავად იმარაგებდა იარაღს, ტანისამოსს და ზოგჯერ მცირეოდენ სურსათსაც, ხანგრძლივ კამპანიებს ერთიანი მომარაგება და დიდი ფინანსური სახსრები სჭირდებოდა. მეომართა შესანახად გარკვეულ როლს თამაშობდა სამხედრო ნადავლი, ადგილზე შეგროვებული სანოვაგე და მტრის დამარცხების შემთხვევაში ფულადი კონტრიბუცია.

მტრისგან სარგებლის მიღების ყველაზე გავრცელებული ფორმა ნადავლის სახით წაღებული სიმდიდრე იყო, რაც იმ ეპოქაში როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ რესურსებს გულისხმობდა. ომის გზით ეკონომიკური რესურსების მიღების უფრო ხანგრძლივი გზა კი ტერიტორიების დაპყრობა და დაპყრობილი ხალხებისთვის გადასახადების დაწესება გახლდათ, თუმცა

---

[98] E. Chavannes, *Documents sur Les Tou-kiue (Turcs) occidentaux* (Paris, 1903), 223.

[99] J. B. Bury, *A History of the Later Roman Empire, From Arcadius to Irene, 395 A.D. to 800 A.D.* (London, 1889), 140-1.

[100] Hugh Kennedy, John Keegan, *Mongols, Huns and Vikings: Nomads at War* (London, 2002), 18-9.

ასეთ შემთხვევაში დამატებითი თანხების გაღება გახდებოდა საჭირო იმ გარნიზონებისთვის, რომელთაც დაკავებული მიწის დაცვა და შენარჩუნება ევალებოდათ.[101] მომთაბარე ჰუნები, ალანები და სხვა ტომები ნადავლის სახით მოპოვებულ სიმდიდრეს ანიჭებდნენ უპირატესობას, რადგან მათი მომთაბარული ცხოვრების წესი, თავდაცვითი არქიტექტურის წინააღმდეგ ბრძოლის არცოდნა და ძლიერ პოზიციებზე მდგარ, მომზადებულ მტერთან შეტაკება არცთუ სახარბიელოდ ეჩვენებოდათ. მათი ტაქტიკა გულისხმობდა მოულოდნელ, სწრაფ თავდასხმას დაუცველ ადგილებზე, ძარცვას, ნადავლის მოგროვებას და შემდეგ თავიანთ სტეპებში ისე დაბრუნებას, რომ მტერს არ მოესწრო არმიის შეკრება და მათი ბრძოლაში ჩათრევა. სპარსელები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ მტრის ტერიტორიიდან რაც შეიძლება დიდი ნადავლის წაღებას, ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ კი დიდი რაოდენობით ტყვეების აყვანას, რომელთაც ირანში ასახლებდნენ სამშენებლო და სხვა სახის საქმიანობაში გამოსაყენებლად.

საბოლოოდ, რა შეგვიძლია ვთქვათ ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდის ქართლის სამხედრო პოტენციალზე? სამწუხაროდ არც არქეოლოგიური და არც დოკუმენტური მასალა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამ საკითხზე ფართოდ ვიმსჯელოთ. ჯუანშერთან დასახელებული ფანტასტიკური რიცხვები ამისთვის არ გამოგვადგება, ლაზარ ფარპეცთან კი ჩანს, რომ ქართლს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავს. ვახტანგ გორგასალი მხოლოდ ჰუნებისა და სომხების იმედზეა და ვერ ბედავს ირანელ სარდლებთან მიჰრანსა და არტნარსეჰთან შებრძოლებას. ფარპეცის მიხედვით ვაჰან მამიკონიანი მხოლოდ იმიტომ თანხმდება ვახტანგის წინადადებას აჯანყების ერთობლივად დაწყებასთან დაკავშირებით, რომ ქართლის მეფე პირდება ჩრდილოეთ კავკასიიდან ჰუნების მრავალრიცხოვანი ჯარის გადმოყვანას. „ცალკე ქართლი სუსტი ქვეყანაა და მხედრობით მცირერიცხოვანი,“[102] – ასე აფასებს ქართლის ძალას ლაზარ ფარპეცი. გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, ეკონომიკურად არცთუ კარგი მდგომარეობა – ხარკი ირანისთვის, ჰუნებისა და ალანების შემოსევები, საერთაშორისო ვაჭრობის შეწყვეტა, მონეტის მოჭრის შეჩერება და სხვა. ფარპეცის წყაროდან ნათლად ჩანს, რომ გავლენიან დიდებულთა ნაწილი არ ემორჩილება ვახტანგის ძალაუფლებას, განსაკუთრებით გოგარენეს პიტიახშები[103] ქმნიდნენ ამგვარ

---

[101] Lee, *War in Late Antiquity*, 102.

[102] ჯანაშია, *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, 246.

[103] გოგარენე ქართლის სამეფოს შემადგენელი ვრცელი ტერიტორია იყო და მისი მმართველი პიტიახშები უძლიერესებად ითვლებოდნენ ერისთავთა შორის. ქართლის სამხედრო პოტენციალს ძალიან დაასუსტებდა გოგარენეს განდგომა. ქართლის დასუსტების

პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ V საუკუნის 80-იან წლებში ვახტანგი ახერხებს ვარსქენ პიტიახშის თავიდან მოცილებას, დაწყებული აჯანყების სასტიკი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი არამარტო ჰუნების გადმოყვანის უშედეგო მცდელობა იყო, არამედ დიდებულების ღალატიც. ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია ქართლის მეფე მძლავრი ლაშქრის სათავეში. თუ მეფეს ჰყავდა საკუთარი გვარდია, ეს მისი საუკეთესო ძალები უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეგულარულად ასეთი შენაერთის შენახვა ეკონომიკურად დასუსტებულ სახელმწიფოს გაუჭირდებოდა. ქვეითები შედარებით დიდი რაოდენობით იქნებოდნენ წარმოდგენილნი, მაგრამ მათ ნაკლები საბრძოლო ღირებულება გააჩნდათ, ვიდრე მძიმედ აღჭურვილ დიდებულებს.

ლ. ჯანაშიას მიხედვით ამ დროისთვის ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი ფენა „ტაძრეულები“ (სპარს. *Tacara* – სასახლე) – მსახურეულის პრივილეგირებული ფენა,[104] რომელთაც ქვეითებზე უკეთესი შეიარაღება ჰქონოდათ და ცხენოსან ჯარში მსახურობდნენ, თუმცა V საუკუნეში მხოლოდ მათი გენეზისი მიმდინარეობდა. რაც შეეხება მოქირავნე ჯარს, ეს დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ V საუკუნეში იბერია არცთუ ძლიერი გახლდათ, ამიტომ მრავალრიცხოვან მოქირავნე ნაწილებს ვერ ვივარაუდებთ. ჯუანშერის აღწერილ ჩრდილოკავკასიურ ლაშქრობაშიც კი, მიუხედავად მისი ნახევრადზღაპრულობისა, იკვეთება, რომ ვახტანგის ძალების საკმაოდ დიდ ნაწილს ვარაზ-ბაკურის ირანული ნაწილები და მოკავშირე „მეფენი კავკასიანნი“ შეადგენენ. ფარპეცი ასახელებს ვახტანგის მოკავშირე სამასამდე ჰუნს. ეს ჯარი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის რომ, როდესაც ისინი დროებით სომხებს გაუგზავნა, რათა დაერწმუნებინა ისინი დანაპირები ჰუნების გადმოყვანაში, მალევე მოითხოვა მათი უკან დაბრუნება. მოყვანილი ფაქტებით შეგვიძლია განვსაზღვროთ ქართლის სამხედრო პოტენციალი, როგორც საკმაოდ მცირერიცხოვანი. ასე რომ, ლაზარ ფარპეცის მიერ ქართლის მხედრობის სისუსტის აღნიშვნა, თითქმის ზუსტად მიგვაჩნია. თუ ზემოთ აღნიშნულ რიცხოვნობებს და ეპოქის შესაბამის ჯარის გამოყვანის სისტემებს გადავხედავთ, შეგვიძლია ქართლის სამხედრო პოტენციალი დაახლოებით 15-20 ათას მებრძოლამდე ვივარაუდოთ.

ხანაში ძვ.წ. II - ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში სომხეთის სამეფოთა დამაარსებლებმა არტაქსიამ და ზარიადრემ იბერიას სამხრეთი პროვინციები ხორზენე და გოგარენე წაართვეს; მანამდე, აპოლოდორის ცნობით, სომხეთ-საქართველოს არაქსი ჰყოფდა. ჯანაშია, *შრომები*, II, 176.

[104] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, 108.

Army Organization and Administration in the Early Medieval Georgia: The Era of Vakhtang Gorgasali

Nika Khoperia

Summary

King Vakhtang Gorgasali was the last great ruler of Iberia and the most influential political and military figure in the southern Caucasia in the second half of the fifth century. Precise dates of Vakhtang's reign are still debated, with Ivane Javakhishvili assigning them to c. 449-502, Vakhtang Goiladze referring to Vakhtang's death in 482 and Cyril Toumanoff suggesting 447-522.

Vakhtang Gorgasali's era remains popular with researchers and hence the numerous works on this period. Yet, very few existing studies concentrate on military history, which remains largely ignored. One of the challenges of studing military history of this period lays in the absense of sufficient archeological and primary sources. Existing foreign sources are not always helpful in understanding local realitiy in Iberia. Nevertheless, in this paper, we have attempted to gather and reconcile all available evidence and sources related to the fifth century military history of Iberia. Among these sources the most important is Juansher's *Life of Vakhtang Gorgasali* (LVG). Juansher's work contains numerous details on Vakhtang's campaigns, including his conquest of North Caucasus and campaigns against the Byzantines and the Sassanids. Yet it also contains numerous flaws and exaggerations and requires careful textual analysis.

Another important source is the fifth century Armenian chronicler Ghazar Parpetsi's *History of Armenia*, which contains interesting insights about the rebelion of Iberia and Armenia against the Sassanid Empire in 482. Vakhtang Gorgasali led this rebellion and Parpetsi offers a fascinating portrait of the Iberian king, his diplomacy and relationships with Armenians and Huns, as well as details about Iberia's military potential and the course of the anti-Sassanid rebellion. We have also consulted other medieval chronicles, including Moses of Chorene's *History of Armenia* and Georgian hagiographies – *Martyrdom of Saint Shushaniki*, *Life of Assyrian saints*, *Martyrdom of Abo Tfileli* and *life of Gobron* that do not directly discuss military events but contains crucial details pertaining to political history of the early medieval Iberian kingdom.

For the study of military history in antiquity and the early medieval ages and to compare Persian, Byzantine and nomad people (Alans, Huns and etc.) warfare to Iberian, we have used primary and archeological sources, for example Emperor Maurice's *Strategikon*,

Procopius's *De Bellis*, Ammianus Marcellinus, *Res Gestae*, Yeghishe Vardapet's *History of Vardan and the Armenian War* for the episodes of Armenian military history. All that works are very important to understand the art of war in the late antiquity period.

In examining Iberian armament of late antiquity, we must rely on archeological evidence from Kldeeti, Balghani, Tagiloni, etc. that include a variety of spears, swords, arrows and other weapons employed by Iberian infantrymen and horsemen. Yet, there still remains a challenge of exploring heavy cavalry equipment, most notably that of the Iberian cataphracts.

The use of cataphracts in Iberia is a subject of continues debate because there are no reliable evidence to support it. In describing Vakhtang Gorgasali's campaign in North Caucasus, LVG offers a sufficiently detailed account of battle against the Alans, which describes armour and tactics of the first line of the Iberian army that resemble those of the Cataphracts. Horse armour and some types of mail and lamellar armour had been discovered in various parts of Georgia. This type of armour was used mainly by the Iberian aristocracy (*Pitiakhshi*, *Sepetsuli, Spaspeti, Eristavi* and etc.) because it was too expensive for levies (*Tsurili eri*) and servants (*Msakhureuli*), who served as light infantry and light cavalry. According to medieval chronicles, heavy cavalry was the main attacking power of the Iberian army and fought in the first ranks. This tactic resembles Roman and Sassanid cataphract tactics which were used in many battles of early medieval age. Kings of Iberia also had a royal guard – *Rcheuli Mkhedrebi*. According to G. Melikishvili, members of the royal family – *Sepetsuli* must be a commanders of royal guard.

Other units of Iberian army – light horseman (*Simravle Mkhedarta*) and infantry (*Mkvirckhli erisai*) were armed only with slings, spears, daggers, axes and bows. They wore no armour except shields, probably of round or quadrangular shapes. According to Juansher, light infantry fought in the second rank of Iberian army and attacked in the wake of heavy cavalry, whose mission was to penetrate and break enemy lines; light cavalry was probably used to protect flanks. Infantry represented the largest part of the Iberian army, followed by the *msakhureuli* light cavalry, while heavy cavalry accounted for a smallest share.

According to LVG, Vakhtang Gorgasali's forces counted more than 160 thousand soldiers but this claim is clearly exaggerated. Iberian state faced major logistical and communication challenges and according to Ghazar Parpetsi Iberia was a weak realm with limited military potential. In contemplating rebellion against Iran, Vakhtan was compelled to solicit help of the Huns and Armenians and the former's failure to arrive to the battlefield resulted in the defeat of the combined Armeno-Iberian forces.

In conclusion, if we analyse all of the historical data what we have about 4th-6th centuries AD and military systems of Early Middle Ages, we can get full military potential of Iberia between 15-20 thousand soldier.

IV

ამბავი ერთი მამლუქისა
ჟან შაჰინის ცხოვრება და მოღვაწეობა[1]

ალექსანდრე მიქაბერიძე

1801 წლის აგვისტოს მიწურულს ბრიტანულმა ესკადრამ აბუკირის ნავსაყუდელი დატოვა და საფრანგეთისკენ გაემართა. მის მიზანს ეგვიპტეში მყოფი ფრანგული არმიის ნაშთების სამშობლოში დაბრუნება წარმოადგენდა – 1798 წელს ფრანგული არმია ეგვიპტეში შეიჭრა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. ოთხწლიანი ბრძოლის შემდეგ ფრანგები ბრიტანელებსა და ოსმალებს დაუზავდნენ და შეთანხმების ერთ-ერთი პირობა სწორედ ეგვიპტეში დარჩენილი ჯარის ნაწილების დაბრუნება იყო.[2] ასე აღმოჩნდნენ ფრანგი ჯარისკაცები ბრიტანულ გემებზე. ფრანგებთან ერთად გაემგზავრნენ სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებიც, რომლებითაც ნაპოლეონმა ეგვიპტეში შეავსო საფრანგეთის შეთხელებული არმიის რიგები. მათ გარდა გაემგზავრნენ აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც თანამშრომლობდნენ ფრანგებთან და აღარ მოისურვეს ეგვიპტეში დარჩენა.

მგზავრობა მშვიდად წარიმართა, თუმცა ეგვიპტის დატოვებიდან რამდენიმე დღეში ფრანგები და ბრიტანელები საინტერესო ამბის თვითმხილველები აღმოჩნდნენ. საღამო ხანს ფრეგატ „პალასზე“ ქალების ქვითინი და გლოვა გაისმა – იაკუბ ჰანა, ეგვიპტელი კოპტი და ფრანგული არმიის პირველი „ეგვიპტელი“ გენერალი, რომელმაც კოპტების ლეგიონს (Légion Copte) ჩაუყარა საფუძველი,[3] სიკვდილის პირს იყო. მის ოთახში

---

[1] სტატიას საფუძვლად უდევს მოკლე ნარკვევი, რომელიც 2012 წელს გამოვაქვეყნე ფეისბუქში: „ამბავი ერთი მამლუქისა: ჟან შაჰინის მოღვაწეობა“. http://www.facebook.com/notes/alexander-mikaberidze/ambavi-erti-mamluqisa/10150470316995849%20=EF=BB=BF. მადლობას მოვახსენებ პროფ. გოჩა ჯაფარიძეს, რომელმაც მისი განვრცობა და გამოქვეყნება მირჩია.

[2] შეთანხმებას 1801 წლის 27 ივნისს მოაწერეს ხელი. შეთახმების სრული ტექსტი იხ. Georges Rigault, "Le général Abdallah Menou et la dernière phase de l'expédition d'Égypte," Clément de la Jonquière, *L'expédition d'Égypte, 1798-1801*, T. VI (Paris, 2003), 345-6.

[3] იხ. Anwar Louca, "Ya'qub, General," *The Coptic Encyclopedia*, ed. Aziz Atiya (New York, 1991), 2350. იაკუბ ჰანას მეტად საინტერესო პოლიტიკური მიზნები გააჩნდა ეგვიპტესთან

შეკრებილიყვნენ ოჯახის წევრები და ახლობლები, რომლებიც თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთს წარმოადგენენ. ზოგიერთი წარმოშობით პალესტინა-სირია-ლიბანიდან იყო, სხვები – სუდანიდან და სამხრეთ ეგვიპტიდან, რამდენიმე კი – კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან. მათ საერთო ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ყველანი ერთ მიზეზმა გააერთიანა – თითოეულმა მათგანმა გადაწყვიტა დაეტოვებინა სამშობლო მხარე, გაჰყოლოდა იაკუბ ჰანას ემიგრაციაში და საფრანგეთში ეძია ბედნიერება.[4] ერთ-ერთმა მათგანმა, ნემირ ეფენდიმ, აღნიშნა, „ფერმწერისთვის წარმოუდგენელია უფრო ტრაგიკული სანახაობა, ვიდრე ის ამბავი, რაც მაშინ ხდებოდა. მის წინ გადაიშლებოდა ადამიანთა განცდების სრული სპექტრი წარმოიდგინეთ [იაკუბის ოჯახის] სასოწარკვეთილება, სახე-მშვენიერი ჩერქეზებისა და ქართველების მწარე ცრემლები, კოპტებისა და თურქების გოდება... თითქოს ბუნებასაც სურდა ამ სევდიან მოვლენაში მონაწილეობის მიღება – მოშორებით ჭექა-ქუხილი ისმოდა და ელვა აპობდა ზეცას“.[5]

იაკუბ ჰანას გარდაცვალება მძიმე ამბავი იყო ეგვიპტელი ლტოლ-ვილებისთვის, რომელთაც უცხო ქვეყანაში მისი დახმარებით და წინამძღოლობით ახალი ცხოვრების დაწყების იმედი ჰქონდათ. საფრანგეთის ომის მინისტრისადმი მიწერილ წერილში, იაკუბ ჰანას მრჩეველი ნემირ ეფენდი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია ეგვიპტელი ლტოლვილების სამ კატეგორიად დაყოფა. პირველ კატეგორიაში შედიოდნენ „დოვლათიანი ვაჭრები“ და მათი ოჯახები, რომლებიც ითხოვდნენ თავშესაფარს საფრანგეთში მხოლოდ იმისთვის, რომ მშვიდად განეგრძოთ თავისი საქმიანობა.[6] მეორე კატეგორიაში შედიოდნენ პირები, რომელთაც ნემირი აღწერს როგორც infortunés ანუ

მიმართებით. საფრანგეთში წასვლა მას დროებით მოვლენად ესახებოდა. იგი ფრანგების დახმარებით უკან დაბრუნებას და ეგვიპტეში დამოუკიდებელი ხელისუფლების შექმნას აპირებდა, რისთვისაც მან საინტერესო გეგმაც შეიმუშავა. Shafiq Ghurbal, “Le général Ya‘qub, le chevalier Lascaris et le projet de l’indépendance de l’Égypte en 1801,” tr.. Iman Farag, *Égypte/Monde arabe*, 1 (1999), 179-203; George A. Haddad, “A Project for the Independence of Egypt, 1801,” *Journal of the American Oriental Society*, 90 (1970), 169-83. ასევე იხ. Georges Douin, *L’Égypte indépendante, projet de 1801: Documents inédits recueillis aux Archives du Foreign Office à Londres* (Cairo, 1924).

[4] ფრანგული სამხედრო საბუთების მიხედვით, ეგვიპტელ ლტოლვილთა საერთო რიცხვი 2000-ს აღწევდა. მაგალითად, გენერალ ოგუსტენ დანიელ ბელიარდის საბოლოო მოხსენებაში საუბარია 752 კაცზე (438 კოპტი, 221 ბერძენი და 93 მამლუქი), მაგრამ მათ რიცხვში შეტანილი არ არის მათი ოჯახის წევრები. იხ. Anwar Louca, “Quels Mamelouks?” *L’Orient des Provençaux dans l’histoire* (Marseille, 1984), 345.

[5] ნემირ ეფენდის წერილი (ეგვიპტური მისიის სახელით) საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს. 1 vandémiaire an 10, Archives Nationales F17 1100 (Commission d’Égypte).

[6] ნემირ ეფენდის მოხსენება საფრანგეთის ომის მინისტრს. Auriant, *La vie du chevalier Théodore Lascaris, ou L’imposteur malgré lui* (Paris, 1940), 76.

გაღატაკებულებს, რომელთაც არ გააჩნდათ არანაირი სახსრები და სავსებით დამოკიდებულები იყვნენ ფრანგულ ხელისუფლებაზე.[7] მესამე კატეგორიაში ნემირ ეფენდი ასახელებს ეგვიპტელ ჯარისკაცებს, რომელთა შორის იყვნენ მამლუქები.[8] საფრანგეთში ჩასულ ასობით ეგვიპტელ ლტოლვილს შორის სწორედ ამ კატეგორიამ მიიპყრო ფრანგული საზოგადოების ყურადღება; სულ მალე ისინი ფრანგული არმიის ელიტურ ქვედანაყოფად იქცნენ.

პარიზულმა საზოგადოებამ მამლუქები პირველად ჯერ კიდევ 1799 წლის შემოდგომაზე იხილა, როდესაც ეგვიპტიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა თან რამდენიმე მამლუქი ჩამოყვანა, რითაც საზოგადოება გააოცა და მამლუქებზე ერთგვარ ხიბლნარევ წარმოდგენას დაუდო საფუძველი;[9] 1801 წლის მიწურულს ნაპოლეონმა გადაწყვიტა ეგვიპტელი ლტოლვილებისაგან ცალკე ქვედანაყოფი შეექმნა, მაგრამ პირველივე შემოწმებამ ცხადყო, რომ საფრანგეთში ჩასულ ეგვიპტელ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი ხანშიშესული და ფრანგული სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი იყო.[10] თვით

---

[7] გაღატაკებულ ეგვიპტელთა შესახებ მარსელში იხ. Laurent Lautard, *Esquisses historiques: Marseille depuis 1789 jusqu'en 1815, par un vieux Marseillais* (Marseille, 1844), II, 361; Léon Gozlan, "Les refugiés égyptiens à Marseille," *Revue contemporaine*, 149 (1866), 32-4; Georges Reynaud, "Les données de l'état civil," *L'Orient des Provençaux dans l'histoire* (Marseille, 1984), 368.

[8] ნემირ ეფენდი ასევე იხსენიებს სირიელ არაბებს, ბერძნებსა და კოპტ ლეგიონერებს. Auriant, *La vie du chevalier Théodore Lascaris*, 76.

[9] პარიზის მაღალ საზოგადოებაში მალე გავრცელდა სტილი à la mameluck: ქალები ახლო აღმოსავლური ყაიდის დოლბანდს და განიერ კაბებს ატარებდნენ და ბავშვებს პატარა მამლუქებივით აცვამდნენ. ხიბლთან ერთად შიშიც იყო. პარიზის პოლიციის მოხსენებების და თანამედროვეების მოგონებები ცხადყოფენ, რომ მამლუქებსა და ქალაქის მოსახლეობას შორის არაერთი შეხლა-შემოხლა მოხდა. მაგალითად, პარიზში ახლად ჩამოსული მამლუქი იბრაჰიმის აღმოსავლურმა ტანისამოსმა და შეიარაღებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პარიზელებში, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა მას სტვენა და დაცინვა დაუწყო. საპასუხოდ, მამლუქმა იარაღის გასროლით ადგილზევე მოკლა ორი მამაკაცი და ხმლით ხელში დაედევნა დანარჩენებს. მხოლოდ პოლიციამ შესძლო განრისხებული მამლუქის დაკავება. ამ ამბავმა თვით პირველი კონსული ნაპოლეონ ბონაპარტის ყურამდე მიაღწია და იძულებული გახადა ჩარეულიყო. როდესაც იბრაჰიმს ასეთი ქცევის მიზეზი ჰკითხეს, მან მშვიდად მიუგო, რომ ეგვიპტეში მამლუქები ასე ექცეოდნენ ყველას, ვინც მათ გზაზე გადაეღობებოდა. Jacques Jourquin, ed., *Souvenirs du Commandant Parquin* (Paris, 1979), 294-5. ალფონს ოლარის მრავალტომეულ ნაშრომში *Paris sous le Consulat* დაცულია პოლიციის რამდენიმე მოხსენება მამლუქებსა და პარიზელებს შორის შეხლა-შემოხლის თაობაზე. მაგალითისთვის, იხილეთ პარიზის პოლიციის პრეფექტურის 1802 წლის 12 ივლისის და 1803 წლის 26 ოქტომბრის მოხსენებები. *Paris sous le Consulat. Recueil de documents pour l'histoire de l'esprit public a Paris*, t. 3-4 (Paris, 1906), III, 150; IV, 453.

[10] მამლუქთა ნაკადი არ შეწყვეტილა 1801 წელს და შემდგომ წლებშიც შეიმჩნევა თითო-ოროლა მამლუქის ჩამოსვლა საფრანგეთში. როგორც წესი, ისენი ხანდაზმულები იყვნენ. მაგალითად, 1811 წელს ეგვიპტელ ლტოლვილთა შესახებ მომზადებულ მოხსენებაში ჩამოთვლილია სხვადასხვა პირთა ვინაობები, რომელთა შორის აღსანიშნავია 99 წლის (!)

ნემირ ეფენდი აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთში ორასი ან სამასი ჯარისკაცი თუ ჩამოვა, უმეტესად რიგითი ჯარისკაცი, რომლებიც უფრო შესაფერისი იქნებიან კარგი არაბული კავალერიის შესაქმნელად, ვიდრე ფრანგულ ყაიდაზე გასაწვრთნელად“.[11] ჯარისკაცების კულტურული, ლინგვისტური და ეთნიკური განსხვავების გათვალისწინებით, ნემირ ეფენდი ურჩევდა ფრანგულ ხელისუფლებას, ახლად შექმნილი ქვედანაყოფისთვის ზოგადი (და მეტად მოუხერხებელი) სახელი ეწოდებინა: „ეგვიპტელი მხედრების არაბული ტომი“ ან „მოხეტიალე მხედრები“ (Tribu arabe de Cavaliers Égyptiens ou Cavaliers Errants).[12] ბუნებრივია, ფრანგულმა ხელისუფლებამ უგულებელყო ეს შეთავაზება. ნაპოლეონმა გადაწყვიტა ქვედანაყოფისათვის ეწოდებინა „მამლუქთა ესკადრონი“, რაც საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ სამი წლით ადრე, ნაპოლეონი ლანძღვას არ აკლებდა მამლუქებს და მათ „სიძუნწეზე, უსამართლობაზე და მტარვალობაზე“ საუბრობდა.[13] მაშ რა საჭირო იყო ამ „მჩაგვრელი და მოღალატე“ მამლუქების სახელობის ქვედანაყოფი რევოლუციის სამშობლოში? საქმე ისაა, რომ საფრანგეთში მამლუქებმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინეს, ვინაიდან ნაპოლეონმა ისინი თავისი პროპაგანდის ნაწილი გახადა. მამლუქთა ესკადრონის შექმნა საზოგადოების თვალში ეგვიპტეში წარუმატებელი ლაშქრობის გამარჯვებად გარდასახვას და ნაპოლეონის ძლევამოსილ მხედართმთავრად და წინამძღოლად წარმოჩენას ემსახურებოდა.

1801 წლის მიწურულს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა განკარგულებას შექმნილიყო „მამლუქთა ესკადრონი“, რომელსაც სათავეში თავისი ერთგული ადიუტანტი ჟან რაპი ჩაუყენა.[14] მამლუქთა ესკადრონს თავიდანვე განსაკუთრებული პირობები შეუქმნეს. საფრანგეთის ხელისუფლებამ ეგვიპტელი ლტოლვილების უმეტესი ნაწილი მარსელში დაასახლა, მაგრამ მამლუქთა ესკადრონის (და მათი ოჯახის) წევრები დასახლდნენ პარიზთან

მამლუქი დაუდ ქურჯი (Daoud Kourgy). Relevé nominatif des militaires compris dans les Troisiéme et Quatriéme Classes, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36.

[11] Auriant, *La vie du chevalier Théodore Lascaris*, 76.

[12] Ibid., 79.

[13] ნაპოლეონის მანიფესტი, 1798 წ. ივლისი. ქართული თარგმანი იხ. ბენიამინ სილაგაძე, *ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, 1798-1807 წლებში* (თბილისი, 1984) 12-4.

[14] Extrait des Registrer des Délibérations des Consuls de la République, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36, Garde Impériale Chasseurs à cheval et Mamelouks.

ახლოს მდებარე ქალაქ მელუნში. 1802 წლის იანვარში ნაპოლეონმა მამლუქთა ესკადრონის შემადგენლობა 150 კაცით განსაზღვრა. იმავე წლის აპრილში მან დაამტკიცა ესკადრონის ორგანიზაციული სტრუქტურა, შეიარაღება, სამოსი და ანაზღაურება. ესკადრონი შედგებოდა ორი ასეულისაგან (თითოეულში 5 ოფიცერი და 76 მამლუქი მსახურობდა), რომელთაც ფრანგი და მამლუქი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. 1802 წლის 14 ივლისს, ბასტილიის დაცემისა და რევოლუციის დაწყების მეცამეტე წლისთავზე, გაზეთი Journal des débats აღნიშნავდა, რომ მაყურებლები აღტაცებული დარჩნენ მამლუქთა გამოჩენით, „ამ სანახაობის სიახლით და მამლუქთა უჩვეულო სამოსით". 1804 წელს, ნაპოლეონის ბრძანებით, მამლუქთა ესკადრონი საიმპერატორო გვარდიის ნაწილად გამოცხადდა და მას მამლუქთა ასეულის (125 კაციანი შემადგენლობით) სტატუსი მიენიჭა. თავდაპირველად, მამლუქთა ესკადრონში მეტწილად სირიელი და ეგვიპტელი არაბები, კოპტები, სომხები და ბერძნები მსახურობდნენ, მაგრამ მოგვიანებით, ესკადრონის შემადგენლობა საფუძვლიანად შეიცვალა, რადგანაც ბევრი მამლუქი პენსიაზე გავიდა ან ბრძოლაში დაიღუპა (განსაკუთრებით ესპანეთსა და რუსეთში ლაშქრობების დროს). ნაპოლეონის ომების მიწურულს, ასეული თითქმის მთლიანად ფრანგებით იყო დაკომპლექტებული.

ნაპოლეონის მამლუქებზე საუბრისას, მყისვე მისი პირადი მცველის რუსტამ რაზას[15] სახელი წამოიჭრება, თუმცა, ამ მამლუქის გარდა, ფრანგულ ჯარში კიდევ რამდენიმე ქართველი მამლუქი მსახურობდა, რომლებმაც, რუსტამისგან განსხვავებით, ბრძოლის ველზე მოიხვეჭეს სახელი. ამ მამლუქებს შორის იყო მამლუქი ჰასანი, წარმოშობით სამეგრელოდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონის თითქმის ყველა კამპანიაში და, იმპერიის დაცემის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ჟანდარმერიაში. სამეგრელოდან იყო, ასევე, მამლუქი მუსაჰა გიორგი, ხოლო თბილისში იყო დაბადებული მამლუქები დაუდ გურჯი, გურჯი რუსტამ და გიორგი ჩერქესი.[16] ქართველი იყო, ასევე, მამლუქი

---

[15] რუსტამთან დაკავშირებით იხ. *ნაპოლეონის მამლუქი: რუსტამ რაზას მემუარები*, ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ, (თბილისი, 2012); აგრეთვე, გოჩა ჯაფარიძე (რეც.) „როგორ იმსხვრევა მითები: ნაპოლეონის მამლუქი. რუსტამ რაზას მემუარები", *საისტორიო კრებული*, 2 (თბილისი, 2012), 386-99.

[16] 1804 წლის სიაში საყურადღებოა მამლუქთა სახელები, რომლებშიც შედის „გუირგუეს" ან „გიურგუეს" (გიურგი/გურჯი?), თუმცა, ეს სახელები თავისთავად არ განაპირობებს ამ მამლუქების ქართველობას: გიურგი/გურჯი ამუტი (N59), გიურგი/გურჯი ელ ბაჩი (N61), გიურგი/გურჯი ფესალი (N65), გიურგი/გურჯი ბარონე (N66), გიურგი/გურჯი კური (N68), დაუდ გიურგი/გურჯი (N72), გიურგი/გურჯი მასერია (N77), გიურგი/გურჯი აბუკარ (N98),

ანანია (საბუთებში – Hanna Nia) რომელმაც თავი გამოიჩინა ესპანეთში 1810-11 წწ.[17]

ეგვიპტელ მამლუქთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სამხედრო კარიერა ჰქონდა თბილისელ მამლუქს ჟან შაჰინს, რომლის სახელი ათეული წლების განმავლობაში თავზეხელაღებულ სიმამაცესთან იყო გაიგივებული.[18] შაჰინის განცხადებით, იგი დაიბადა და მოინათლა თბილისში 1776 წ. 14 ივლისს.[19] სამწუხაროდ, უცნობია შაჰინის თავდაპირველი სახელი და გვარი. ზოგიერთი მკვლევარი აცხადებს, რომ შაჰინი თბილისელი სომეხი იყო, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთი არ მოჰყავს.[20] შაჰინის თბილისელობა არ

გიურგი/გურჯი ჰაბი (N108), და სხვ. Extrait des Registres... Garde des Consuls. Etat nominatif des Réfugies personnes à la Suite de la Compagnie de Mamelouks, 13 Pluviôse an 12 (3 თებერვალი 1804 წელი), Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36.

[17] Garde Impériale. Chasseurs à Cheval - Mameluks. Registre de Matricule, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2 Yb 79.

[18] მაგალითად, 1889 წლის 7 აგვისტოს პარიზულ გაზეთში *Le Temps* გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც საფრანგეთის უახლეს სამხედრო ისტორიას მიმოიხილავს, ფრანგი გენერალი თუმასი შაჰინის (Chaim) სახელსაც იხსენიებს და მის ვაჟკაცობას უსვამს ხაზს. 1902 წლის 28 ნოემბერს გაზეთში *Le Petit Parisien* გამოვიდა ჟან ფროლოს სტატია „სამშობლოსათვის", რომელშიც ავტორი საფრანგეთისათვის მებრძოლ წარსულ გმირებს იხსენიებს და ერთ-ერთ მაგალითად შაჰინსაც ასახელებს.

[19] Dossier d'officier Chahin, Archives du Ministère de la Guerre, Vincennes, 2Ye carton 734; Dossier LH/467/102, Archives Nationales, Dossiers de titulaires de la Légion d'Honneur (1800-1976).

[20] მაგალითად, გ. ბეი-მამიკონიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში მამლუქთა ისტორიის შესწავლაში, აცხადებდა რომ შაჰინი სომხური წარმოშობის იყო, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთი არ დაუსახელებია. გ. ბეი-მამიკონიანი, „ქართველი მამლუქები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში", *მნათობი*, 9 (1967), 130. მსგავსი შეხედულების იყო სომეხი მკვლევარი ბ. კასპარიან-ბრიკუ, რომელმაც 1988 წელს პარიზში გამოსცა თავისი წიგნი *L'Odyssée mamelouke a l'ombre des armées Napoléoniennes,* თუმცა ვერც მან დაასაბუთა შაჰინის სომხური წარმოშობა. თავის ნაშრომში *Армяне – сподвижники Наполеона: история и мифы* (Ереван, 2009), თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ვ. პოგოსიანი შაჰინს (Шаген) სომეხ მამლუქთა შორის იხსენიებს, მაგრამ წყაროდ მხოლოდ კასპარიან-ბრიკუს ნაშრომს ასახელებს. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ჟან სავანის ვარაუდით, შაჰინი სომეხი იყო, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთი მასაც არ მოჰყავს. ამავე დროს, ფრანგი ისტორიკოსი მორის დერიბერი შაჰინს ქართველად თვლიდა. J. Savant, *Les mamelouks de Napoléon* (Paris, 1949), 133; Maurice Deribéré, Les "Georgiens dans le corps des mamluks de l'Empire," *Bédi Kartlisa revue de kartvélologie*, 37 (1979), 230-1. შაჰინის წარმოშობა განხილულია, აგრეთვე, გ. ჯაფარიძის სტატიაში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „შაგინ", უფრო სწორედ „შაჰინ," არაბულად შევარდენს ნიშნავს; ის ამ მამლუქისათვის ეგვიპტეში შერქმეული სახელია და მის სომხურ წარმომავლობას სრულიადაც არ ნიშნავს. ვიდრე მისი სომხობის მტკიცე საბუთი არ გაგვაჩნია, მე მას ქართველად განვიხილავ". გოჩა ჯაფარიძე, „იყვნენ ქართველები ნაპოლეონის არმიაში?", *ჩვენი მწერლობა*, 8 (2011), 4-5.

ნიშნავს მის სომხობას, ვინაიდან თავისუფლად შესაძლებელია, რომ თბილისი ზოგადად იყოს დასახელებული და შაჰინი რომელიმე მიმდებარე სოფლიდან ყოფილიყო მოტაცებული. ასევე დაუსაბუთებელია ვარაუდი, რომ „შაჰინი“ მოდის სომხური გვარიდან (შაჰინიანი, შაგინიანი)[21], ვინაიდან სიტყვა „შაჰინი“ არაბულია[22] (იხ. შენ. 20). თვით „შაჰინი“ ფრანგულ დოკუმენტებში სხვადასხვა ფორმით: Chahim, Chahine, Chain, Chaim გვხვდება.[23]

სამწუხაროდ, უცნობია, თუ როგორ და რა ასაკში მოხვდა შაჰინი ეგვიპტეში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა მამლუქების მსგავსად, ის ჯერ კიდევ ბავშვობაში მოიტაცეს, ოსმალეთში გადაიყვანეს და მონად გაყიდეს. ეგვიპტის ქართველი მამლუქები (მათ შორის, მურად ბეი და იბრაჰიმ ბეი) აქტიურად ყიდულობდნენ ქართული წარმოშობის მონებს და შაჰინიც, ალბათ, ერთი იმათგანი იყო, ვინც რუსტამ რაზას მსგავსად, რომელიმე ქართული წარმოშობის მამლუქი ბეის ამალაში აღმოჩნდა. ამ დროისათვის იგი უკვე გამუსლიმებული იქნებოდა და ახალ სახელსაც ატარებდა.

1798 წლის 1 ივლისს ეგვიპტეში ფრანგები გადასხდნენ, ქალაქი ალექსანდრია დაიკავეს და შემდეგ კაიროსკენ დაიძრნენ. მტრის შემოჭრიდან ოთხი დღის თავზე (5 ივლისი)[24] შაჰინმა ზურგი შეაქცია მამლუქებს და ფრანგებს შეუერთდა. ბუნებრივია, ეს მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება იყო და ის გარემოება, რომ შაჰინმა ის ასე სწრაფად, მტრის შემოჭრიდან სულ ოთხ დღეში, მიიღო, მიუთითებს იმაზე, რომ შაჰინი არ იყო კმაყოფილი თავისი მდგომარეობით მამლუქთა შორის, მომავლის პერსპექტივას ვერ ხედავდა და ფრანგთა სამსახურში უკეთესის იმედი ჰქონდა. მისდა საბედნიეროდ, 22 ივლისს ფრანგებმა კაიროს მიდამოებში მამლუქებზე ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს, ეგვიპტის დედაქალაქი დაიკავეს და ქვეყნის მართვა-

---

[21] ასეთი მოსაზრებები განსაკუთრებით გავრცელებულია მოყვარულ მკვლევართა შორის. მაგალითად, რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის მკვლევარი ს. ჟაგატ-დადიანი, რომელიც შაჰინს სომეხად თვლის, ფრჩხილებში უთითებს მის გვარს – შაგინიანს. S. Zhagat-dadian. Мюрат не был армянином. http://zhagat-dadian.livejournal.com/2434.html. გაურკვეველია, რის საფუძველზე მოხდა ასეთი დასკვნის გაკეთება.

[22] Hans Wehr, *A Dictionary of Modern Written Arabic* (Beirut, 1980), 450.

[23] მაგალითად, შაჰინის პირადი დოსიეს თავფურცელზე მინიშნებაა: „გვარი: შაჰიმი [Chahim], ასევე იწერება შაჰინი [Chahine].“ საკონსულო გვარდიის ოფიცერთა რეესტრში კი შაჰინის სახელი მოცემულია როგორც Chaim. ასევე Fastes de la Légion d'Honneur, რომელშიც შეტანილია საპატიო ლეგიონით დაჯილდოვებული ყველა პირის ბიოგრაფია, შაჰინის სახელი აღნიშნულია როგორც Chaim. *Fastes de la Légion d'Honneur. Biographie de Tous Les Décorés*..., V (Paris, 1847), 65. ასევე, იხ. P. Descaves, *Historique du 13e régiment de chasseurs et des chasseurs à cheval de la Garde* (Béziers, 1891), 288, 310, 313, 342, 344, 354, 374, 375.

[24] ზოგიერთი ფრანგული სამხედრო საბუთი უფრო გვიანდელ თარიღსაც (15 ივლისი) უჩვენებს.

გამგეობას შეუდგნენ. შაჰინი მალე დაწინაურდა ფრანგთა სამსახურში და 1799 წლის ნოემბერში მან უკვე უნტერ-ოფიცრის (maréchal des logis) წოდება მიიღო.[25] ეგვიპტიდან ნაპოლეონის გაქცევის შემდეგ, შაჰინმა მონაწილეობა მიიღო ოსმალების, მამლუქებისა და ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლაში და 1800 წლის 20 მარტს თავი გამოიჩინა ჰელიოპოლისთან ბრძოლაში, სადაც განსაცვიფრებელი სიმამაცე უჩვენა – თურქებით გარშემორტყმულმა მან განაგრძო ხმლით ბრძოლა და 35 ჭრილობა მიიღო, რომელთაგან ორი ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო 33 ხმლით და შუბით მიაყენეს. ბრძოლის ველზე მიტოვებულ ცოცხალმკვდარ შაჰინს შემთხვევით მიაკვლიეს ფრანგმა ჯარისკაცებმა და უმალ ბანაკში გადაიყვანეს, სადაც ფრანგმა ექიმებმა შეძლეს მისი ჭრილობების მოშუშება,[26] თუმცა, შაჰინს ცხოვრების ბოლომდე უჭირდა მარჯვენა ხელის გამოყენება. ბრძოლაში გამოჩენილმა მამაცობამ მას ლეიტენანტის წოდება მოუპოვა (1800 წ. 20 ივნისი).[27]

1801 წლის მიწურულს შაჰინი, სხვა ეგვიპტელ ლტოლვილებთან ერთად, საფრანგეთში ჩავიდა და მალე მამლუქთა ესკადრონში მეორე ლეიტენანტის წოდებით ჩაირიცხა.[28] ამ ახლად დაარსებულ ქვედანაყოფში უკვე შეიმჩნეოდა უთანხმოება სხვადასხვა წარმოშობის მამლუქებს შორის, რაც ასახავდა ეგვიპტეში არსებულ ვითარებას. ესკადრონი თავდაპირველად კოპტებისა და სირიელების[29] დაქვემდებარებაში მოექცა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ, სომეხ და ბერძენ მამლუქებს შორის. 1802 წლის ივნისში შაჰინი იყო ერთ-ერთი იმ მამლუქი ოფიცრებიდან, რომლებმაც პირადად მიწერეს გენერალ რაპს და აუწყეს ესკადრონში არსებული ვითარება; ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ „წინამძღოლებს არ ესმოდათ ფრანგული

---

[25] Dossier d'officier Chahin, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2Ye carton 734.

[26] შაჰინის გადარჩენის ამბავი და ჭრილობები აღწერილია სახელგანთქმული ფრანგი ქირურგის დომინიკ ლარეის წერილში, რომელიც შაჰინის პირად დოსიეშია შეტანილი.

[27] Dossier d'officier Chahin, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2Ye carton 734.

[28] შაჰინი ესკადრონში 1802 წლის აპრილში ჩირიცხა. Garde des Consuls. Escadron de Mamelouks. Registre des Services des Officiers, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2 Yb 4. ასევე, Garde du Gouvernement. Controle des Officiers des Chasseurs à Cheval et des Mameloucks, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2 Yb 76.

[29] მაგალითად, სირიელი იყო იუსეფ ჰამაიუ, რომელიც მამლუქთა ესკადრონს მეთაურობდა. ფრანგული საბუთები აღნიშნავენ, რომ ფრანგების მიერ ეგვიპტის ოკუპაციის დროს, ჰამაიუ ე.წ. „სირიელ იანიჩართა" ქვედანაყოფს ხელმძღვანელობდა. იხ. Dossier Hamaouy, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XL 37 d [Mamelouks, Réfugiés égyptiens].

სამხედრო საქმე".[30] ამ მამლუქებმა უფროსობის გადაყენება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობებიდან გადადგომით იმუქრებოდნენ. მათი მოთხოვნები დააკმაყოფილეს და ახლად რეორგანიზებულ ესკადრონში კავკასიელმა მამლუქებმა მაღალი თანამდებობები დაიკავეს.[31]

მომდევნო ორი წლის განმავლობაში შაჰინი წარმატებით მსახურობდა მამლუქთა ასეულში. 1804 წლის 14 ივნისს იგი დაჯილდოვდა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოთი, საპატიო ლეგიონის ორდენით (შევალიეს რანგი).[32] მომდევნო წელს მან მონაწილეობა მიიღო მესამე კოალიციასთან ომში და 2 დეკემბერს, აუსტერლიცთან ბრძოლის დროს, წინ წარუძღვა მამლუქთა იერიშს; ბრძოლაში შაჰინმა სიკვდილს გადაარჩინა გენერალი ჟან რაპი, სამჯერ დაიჭრა ხიშტით, მაგრამ ხელთ იგდო რუსული ქვემეხი, რისთვისაც 1806 წლის 14 მარტს მიენიჭა საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცრის რანგი. 1806-1807 წლებში იგი წარმატებით მსახურობდა პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ კამპანიებში. 1807 წლის 8 თებერვალს, ეილაუსთან ბრძოლაში, იგი კვლავ ბრძოლის ეპიცენტრშია – მას ჯერ ცხენი მოუკლეს, შემდეგ კი თავად დაჭრეს მკერდში, მაგრამ თავი ისახელა და უფროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო (1807 წ. 16 თებერვალი).[33]

1808 წელს შაჰინი თავის ესკადრონთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა. 24 მარტს ფრანგებმა ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი დაიკავეს და ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრები მძევლად აიყვანეს. ამ ცნობის გავრცელებასთან ერთად, ქალაქში მდგომარეობა დაიძაბა. ვითარება კიდევ უფრო გაართულა აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილ მამლუქთა ასეულის მადრიდის ქუჩებში გამოჩენამ, რამაც მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ესპანელებს წარსულის მოგონებები გაუღვიძა. 1808 წლის 2 მაისს, როდესაც ფრანგებმა ესპანეთის სამეფო ოჯახის მადრიდიდან წაყვანა განიზრახეს, ნაბათის ზარმა მოსახლეობას ამბოხისკენ მოუწოდა. ათასობით ესპანელი ქუჩებში გამოვიდა და მტერს დაერია. ესპანელთა რისხვა განსაკუთრებით იყო მიმართული მამლუქებზე და კალე დე ალკალას

---

[30] *L'Orient des Provençaux dans l'histoire* (Marseille, 1984), 337.

[31] Extrait des registres, 13 pluviose an 12, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XAB 35 [Chasseurs à Cheval et Mameloucks]; Controle, An XII, Garde des Consuls, Corps des Mameloucks, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36.

[32] Dossier LH/467/102, Archives Nationales, Dossiers de titulaires de la Légion d'Honneur (1800-1976).

[33] Dossier d'officier Chahin, Archives du Ministère de la Guerre, Vincennes, 2Ye carton 734; Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Etat Nominatif des Officiers..., November 1806-September 1807, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36.

ქუჩაში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტვა გაიმართა. მამლუქები ქალაქიდან გაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ყოველი კარ-ფანჯრიდან თუ კუთხიდან მათ თავს ესპანელები ესხმოდნენ. სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი ესპანელი მხატვრის ფრანცისკო დე გოიას სახელგანთქმულ ტილოზე „1808 წლის 2 მაისი მადრიდში“, რომელიც „მამლუქთა იერიშის“ სახელითაცაა ცნობილი და ასახავს მამლუქთა ერთი ნაწილის გააფთრებულ ბრძოლას ესპანელების წინააღმდეგ. შაჰინი ამ ხოცვა-ჟლეტვის შუაგულში იყო და ხმლით გაიკაფა გზა მეამბოხე ესპანელთა შორის; ერთ მომენტში ესპანელები გენერალ პიერ დომენილს დაედევნენ, მოუკლეს ცხენი და თვით გენერალსაც მოუღებდნენ ბოლოს რომ არა შაჰინი, რომელიც გადაეღობა მათ და ხმლით განგმირა მეამბოხეები; შაჰინი რამდენჯერმე დაიჭრა, მათ შორის სახის არეში და თავში და ბრძოლის დასასრულს, სახეზე სისხლით დაფარული, ძლივს ხედავდა. განრისხებულმა მამლუქებმა სასტიკი შური იძიეს ესპანელებზე და ქალაქის ზოგიერთ ნაწილში, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ათეულობით ადამიანი ამოხოცეს; ყველაზე გახმაურებული ხოცვა-ჟლეტვა მოხდა კალე სან ჟერონიმოსთან,[34] სადაც მამლუქებმა თავიანთი თანამებრძოლების დასახიჩრებული გვამები იპოვეს და საპასუხოდ, ახლომდებარე შენობებში მყოფი ყველა ადამიანი, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, გაჟლიტეს.

მაისის ამბოხების შემდეგ მამლუქთა ასეული მხოლოდ 86 კაცს ითვლიდა. ქვედანაყოფის შევსების მიზნით ნაპოლეონმა ნება დართო ასეულში ფრანგი ჯარისკაცები ჩაერიცხათ. ამასობაში შაჰინმა განაგრძო სამსახური და მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში მედინა დელ რიო სეკოსთან (14 ივლისი), სადაც ფრანგმა მარშალმა ბესიერმა ესპანელთა ჯარები დაამარცხა. სექტემბერში მამლუქთა ასეულის ახალ მეთაურად დაინიშნა ესკადრონის შეფი ფრანსუა ანტუან კირმანი, რომელმაც თავის ერთ-ერთი თანაშემწედ შაჰინი აირჩია. 1808 წლის მიწურულს ფრანგული არმია პორტუგალიიდან შემოჭრილ სერ ჯონ მურის ბრიტანულ ჯარს დაედევნა. ფრანგების ავანგარდში იყო საიმპერატორო გვარდიის ცხენოსან ეგერთა სამი ესკადრონი და მამლუქთა ასეული, რომლებიც შეუპოვრად მისდევდნენ ბრიტანელებს ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ლა კორუნიასკენ. მაგრამ 29 დეკემბერს დაბა ბენავენტესთან ბრიტანულმა შენაერთმა, ლორდ პაჟეს მეთაურობით, წარმატებით განახორციელა მოწინააღმდეგეზე საფარიდან თავდასხმა და დიდი ზიანი მიაყენა მას. ფრანგებმა დაკარგეს 165 კაცი (550-დან), მათ შორის ბევრი მამლუქიც.[35] შაჰინი ჩვეული სიმხნით ჩაება ბრძოლაში.

---

[34] ის ხშირად შეცდომით იხსენიება სანტა მარია დე ატოჩას მონასტრად.

[35] დაიღუპა რამდენიმე კავკასიელი მამლუქიც, მათ შორის 21 წლის ლეიტენანტი აზარია უმცროსი (Azaria le Petit, წარმოშობით სომხეთიდან), რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა;

მდინარე ესლას ნაპირზე ხელჩართულ ბრძოლაში მას ცხენი მოუკლეს, თუმცა მტრის რიგებიდან გზის გაკაფვა და მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა მაინც მოახერხა.

1809 წლის დასაწყისში მამლუქთა ასეული საფრანგეთში გაიწვიეს. მამლუქები, მათ შორის შაჰინი, დაბა მელუნში დაბრუნდნენ და რამდენიმე კვირა დასვენებასა და ასეულის მწყობრში მოყვანას მოანდომეს. აპრილში ახალი ომი დაიწყო, ამჯერად ავსტრიის წინააღმდეგ და მამლუქები კვლავ წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს ე.წ. მეხუთე კოალიციის ომში და თავი ისახელეს გადამწყვეტ ბრძოლაში ვაგრამთან. ბრძოლის შემდეგ შაჰინი საფრანგეთში დაბრუნდა და 1809 წლის 24 ივლისს ცოლად შეირთო იაკუბ ჰაბიბის თექვსმეტი წლის ქალიშვილი მარი-ანა.[36] თაფლობის თვე ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინაიდან შემოდგომაზე შაჰინის ასეული უკვე პირენეების გადაღმა, ესპანეთში იმყოფებოდა.

ესპანეთში შაჰინმა კიდევ ორი წელი გაატარა.[37] რეგიონში პარტიზანული ომი მძვინვარებდა და ორივე მხარე დიდი სისასტიკით უსწორდებოდა ერთმანეთს. მამლუქებს ხშირად უწევდათ სოფლების პატრულირება და გამუდმებით განიცდიდნენ დანაკარგებს; 1812 წლისათვის ასეულში მხოლოდ 55 კაცი ირიცხებოდა. მრავალწლიანმა სამხედრო სამსახურმა და, რაც მთავარია, უამრავმა ჭრილობამ დიდი გავლენა მოახდინა შაჰინის ჯანმრთელობაზე (განსაკუთრებით თავის ტკივილი აწუხებდა). 1811 წლის მიწურულს იგი იმდენად დასუსტდა, რომ ესპანეთის არმიის მთავარმა ექიმმა დაუყონებლივ ჯარიდან წასვლა და მელუნში დასვენება უბრძანა. სწორედ ამიტომ მან ვერ მიიღო მონაწილეობა რუსეთში ლაშქრობაში, რომელმაც ათობით მამლუქის სიცოცხლე შეიწირა. ამ დროს შაჰინი მელუნში იმყოფებოდა, სადაც მამლუქთა რეზერვების დაკომპლექტებით იყო დაკავებული.[38] 1813 წელს ის გერმანიაში მეექვსე კოალიციასთან ომში მონაწილეობს და 13 აგვისტოს კაპიტნის წოდებას

სერჟანტი ჰოვანეს სომეხი (Hovhannès Arménie), რომელსაც აუსტერლიცის ბრძოლაში თავში მოხვდა ტყვია, ისევ დაიჭრა თავის არეში – ამჯერად ოთხი ჭრილობა მიიღო დაშნით.

[36] ამ ქორწინებასთან დაკავშირებით იხ. Dossier d'officier Chahin, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XI 37 d. მარი-ანი დაიბადა 1793 წლის 15 სექტემბერს დაბა შაფაბუსში (Schafambus) სირიაში. Bulletin des Lois du Royaume de France. Pensions civiles et militaires, France, 1836 à 1862 (Paris, 1839) t. 5, 71. იგი გარდაიცვალა ქალაქ მელუნში (17 Rue du château) 1876 წლის 8 ივნისს.

[37] Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Contrôle Nominatif de Messieurs les Officiers du Corps, March-November 1811, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 36.

[38] Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Contrôle Nominatif de Messieurs les Officiers du Corps, January-December 1812, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 35-36.

მოიპოვებს.[39] „ეს არის ნიჭიერი და მამაცი ოფიცერი, რომელმაც მტერთან გამართულ ყველა შეტაკებაში გამოიჩინა თავი“, აღნიშნულია შაჰინის კაპიტნად დანიშვნის ბრძანებაში.[40] მან თავი გამოიჩინა ალტენბურთან (29 სექტემბერი) ბრძოლაში. შემდეგ მონაწილეობდა ლეიპციგთან (16-19 ოქტომბერი) და ჰანაუსთან (30 ოქტომბერი) ბრძოლებში.[41] იმავე წლის მიწურულს შერყეული ჯანმრთელობის გამო შაჰინი იძულებული გახდა ჩამოშორებოდა აქტიურ სამხედრო ასპარეზს. ომის დასრულებამდე იგი მსახურობდა საიმპერატორო გვარდიის შტაბის (l'État major) კაპიტან-ინსტრუქტორად (capitaine instructeur) და საშტაბო საქმიანობით და უნტერ-ოფიცრების და ახლად დანიშნული ოფიცრების მომზადებით იყო დაკავებული.[42]

1814 წლის გაზაფხულზე, პარიზში მოკავშირეების შესვლისა და ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, შაჰინის 15 წლიანი საბრძოლო კარიერა დასრულდა. ამ დროისათვის ის „მთელ ფრანგულ ჯარში ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცი მეომრის სახელს“[43] ატარებდა, ხოლო მისი სახე და სხეული ორმოცზე მეტი ნაიარევით იყო დასერილი. ნაპოლეონის გადადგომის შემდეგ, შაჰინი დასახლდა დაბა მელუნში, სადაც მეუღლის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.[44] ოჯახური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან 1815 წლის მარტში ნაპოლეონი დაბრუნდა საფრანგეთში და კვლავ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. ივნისში შაჰინი დაუბრუნდა სამხედრო ასპარეზს და თავისი ძველი ნაცნობის, გენერალ ლეფევრ-დენუეტის ადიუტანტი გახდა, თუმცა ამ თანამდებობაზე მან მხოლოდ ორი თვე გაატარა.[45]

---

[39] Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Contrôle Nominatif de Messieurs les Officiers du Corps, May-November 1813, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 35.

[40] Dossier d'officier Chahin, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2Ye carton 734.

[41] Dossier d'officier Chahin, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2Ye carton 734; Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Contrôle Nominatif de Messieurs les Officiers du Corps, October-November 1813, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 35.

[42] Garde Impériale, Chasseurs à Cheval. Contrôle Nominatif de Messieurs les Officiers du Corps, March-May 1814, Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 35.

[43] დახასიათება 1818 წლის 14 თებერვლის მოხსენებიდან. Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, Xab 35.

[44] 1815 წლის 1 თებერვალს შაჰინს პენსია გაუნახევრდა და ათასობით სხვა ფრანგი ვეტერანივით, „დემი-სოლდი“ გახდა. Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, 2 Yb 78.

[45] იხ. ლეფევრ-დენუეტის წერილი მარშალ ლუი ნიკოლა დავუს, 1815 წ. 9 ივნისი; სახელმწიფო კომისიის განკარგულება, 1815 წლის 6 ივლისი. Dossier d'officier Chahin,

ვატერლოოსთან ნაპოლეონის დამარცხება და ბურბონთა დინასტიის დაბრუნება შაჰინისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1815 წლის 1 აგვისტოს მან კვლავ დატოვა სამხედრო სამსახური. მამაცი მამლუქი, რომელმაც საფრანგეთს თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები შეალია, მომჭირნედ ცხოვრობდა მელუნში.[46] საბედნიეროდ, 1818 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონის ყოფილი გენერლების ხელშეწყობით მან მოახერხა საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება. „საფრანგეთისათვის გაწეული სამსახურისა და საპატიო ლეგიონის დამსახურების გათვალისწინებით, ამ ოფიცერს გააჩნია უცილობელი უფლება მიიღოს ამ ქვეყნის მოქალაქეობა“, ნათქვამი იყო შაჰინის ერთ-ერთ რეკომენდაციაში.[47] 1818 წლის 11 მარტს მეფე ლუი მეთვრამეტემ ხელი მოაწერა განკარგულებას ჟან შაჰინისათვის საფრანგეთის მოქალაქობის მინიჭებაზე.[48] მოქალაქეობას მოჰყვა კაპიტნის წოდების (ესკადრონის შეფის რანგით) აღდგენა, რის შედეგად შაჰინს დაენიშნა სამხედრო პენსია.[49]

მომდევნო ოცი წელი შაჰინმა მელუნში გაატარა, სადაც მშვიდად ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად.[50] ქალაქში მამლუქთა მოზრდილი სათვისტომო არსებობდა, რომლის წევრთა შორის შაჰინის რამდენიმე თანამებრძოლიც იყო.[51] ჩანს, შაჰინი კარგად ერკვეოდა აღმოსავლურ იარაღში,

---

Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XI 37 d.

[46] 1818 წლის მოხსენების მიხედვით, ამ დროს შაჰინის შემოსავალი იყო 3 ფრანკი დღეში. შედარებისათვის, მუშის დღიური ხელფასი შეადგენდა 1.5-2 ფრანკს, რაც შიმშილის ზღვარს წარმოადგენდა. თავის წიგნში Cavaliers de Napoléon ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფრედერიკ მასონი აღნიშნავს, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ბევრი მამლუქი ლუკმაპურის გარეშე აღმოჩნდა და სიდუხჭირეში ცხოვრობდა. 1817 წლის 26 ნოემბერს რამდენიმე მამლუქმა ოფიცერმა, შაჰინის (Chaim) თაოსნობით, ხელისუფლებას მიმართა წერილით, სადაც ისეთი სიდუხჭირე აღწერეს, რომ მასონის თქმით, „წაკითხვისას თვალები ცრემლებით აგევსება“. Frédéric Masson, *Cavaliers de Napoléon* (Paris, 1921), 350.

[47] 1818 წლის 14 თებერვლის მოხსენება. Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XI 37 d.

[48] “No. 5631 Ordonnance du Roi qui accorde des Lettres de declaration de naturalité au Jean Chahin,” *Bulletins des Lois du Royaume de France* (Paris, 1819), 810.

[49] 1820 წლის აპრილში მეფე ლუის XVIII-ის განკარგულებით შაჰინს დაენიშნა 2,000 ფრანკის ოდენობის პენსია. Service Historique de la Défense, Archives du Ministère de la Guerre, Château de Vincennes, XI 37 d.

[50] ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ ჩანს ჰყავდა თუ არა შაჰინს შვილები. ქალაქ მელუნის არქივში დაცულია მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1818 წლის აგვისტოსთვის შაჰინს შვილები არ ჰყავდა.

[51] მათ შორის იყო აბდალა დასბონი, ბეთლემში დაბადებული მამლუქი, რომელმაც შაჰინის მსგავსად თავი გამოიჩინა ჰელიოპოლისთან ბრძოლაში და შემდეგ წარჩინებით მსახურობდა დიდი არმიის რიგებში. აბდალა დასბონის ხელმოწერა ერთვის შაჰინის გარდაცვალების ცნობას, რომელიც ქალაქ მელუნის არქივშია შემონახული. Acte Déces de Jean Chahin, Archives de Melun.

ვინაიდან სწორედ მას დაუკავშირდა ცნობილი ფრანგი მკვლევარი ონორე თეოდორ დ'ალბერტი, ლიუნეის ჰერცოგი, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა აღმოსავლურ იარაღს და დამასკური ფოლადის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობდა. 1844 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ლიუნეის ჰერცოგი აღნიშნავს, რომ „საიმპერატორო გვარდიის მამლუქთა ესკადრონის შეფმა შაჰინმა" მას მიაწოდა მოხსენება ახლო აღმოსავლეთში არსებული დამასკური ფოლადის სახეობების შესახებ.[52]

1830 წელს საფრანგეთის მეფემ შარლ X ბურბონმა ომი გამოუცხადა ალჟირის დეის და ჩრდილო აფრიკაში საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა. საექსპედიციო ძალებში მიიწვიეს მამლუქებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ფლობდნენ არაბულ ენას და ფრანგულ ჯარს ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. მიწვეულ მამლუქთა შორის იყო 54 წლის შაჰინიც, რომელმაც 1830 წლის 25 მაისს დატოვა საფრანგეთის ნაპირი და მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მიერ ალჟირის დაპყრობაში. იგი ერთი წლის განმავლობაში მეორე რანგის თარჯიმნის და მრჩევლის სტატუსით მსახურობდა ფრანგულ გენერალურ შტაბში.[53] შაჰინი მონაწილეობდა ქ. ორანში ზუავების კორპუსის ჩამოყალიბებაში, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, მალე დაემშვიდობა სამხედრო ასპარეზს და სახლში დაბრუნდა.

ალჟირის ომის შემდეგ შაჰინმა კიდევ რვა წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1838 წლის 12 მაისს მელუნში.[54] ის დაასაფლავეს ქალაქის მუნიციპალურ სასაფლაოზე, საიდანაც, მეუღლის მოთხოვნით, 1862 წელს გადაასვენეს ქალაქის ახალ სასაფლაოზე. სამწუხაროდ, სადღეისოდ, მელუნის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია შაჰინის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ.

---

[52] Honoré Théodoric d'Albert de Luynes, *Mémoire sur la fabrication de l'acier fondu et damassées* (Paris, 1844). წიგნის ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში http://acier.damas.free.fr/f_damas/f_quest/f_wsteel/luynes.htm#note1.

[53] Laurent-Charles Féraud, *Les Interprètes de l'armée d'Afrique* (Alger, 1876), 56, 184-5.

[54] Acte Déces de Jean Chahin, Archives de Melun; Certificat de décès, Dossiers de titulaires de la Légion d'Honneur (1800-1976), dossier LH/467/102, Archives Nationales.

The Tale of a Mameluk: Life and Military Career of Jean Chahin

Alexander Mikaberidze

Summary

This article explores the life and career of Jean Chahin, chef d'escadron of the Mamluk (Mameluk) Company of Emperor Napoleon's Imperial Guard. Born in Tbilisi, Chahin seems to have been kidnapped as a child and sold at slave markets, eventually finding himself serving as a mamluk in Egypt. In 1798, just days after the start of the French invasion of Egypt, the twenty two year old Chahin abandoned the Mamluk cause and joined the French, quickly advancing through the ranks. In 1801, he migrated to France where he continued his military service for fourteen years, serving with distinction in most of Napoleon's campaigns, twice receiving the much-admired Legion d'Honneur (ranks of légionnaire and officer) and earning a reputation of "one of the bravest man in the Grande Armée."

V

ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ ქრისტიანულ არაბულ წყაროებში

კარსტენ-მიქაელ ვალბინერი, მარიამ ნანობაშვილი

არაბულენოვან ქრისტიანებსა და ქართველებს ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ VIII-XIII საუკუნეებში. ქრისტიან არაბებს აინტერესებდათ ქართლის მოქცევის საკითხები. ეს თემატიკა კარგად აისახა ცნობილი ანტიოქიელი მოღვაწის, ნიკონ შავმთელის (XI ს.) შრომაში „ქრისტესმიერ საყვარელი ქართველი სულიერი მამებისა და ძმების შესახებ“, რომელიც შექმნისთანავე, ბერძნულიდან არაბულად თარგმნის შემდეგ, მეტად პოპულარული გახდა ქრისტიან არაბთა შორის. ის მრავალ ხელნაწერშია გადანუსხული.

ჩვენს სტატიაში სათანადო ყურადღება ეთმობა იმ წყაროების შესწავლას, რომლებიც გამოიყენა ნიკონ შავმთელმა თავისი ნაშრომისათვის. ასევე განხილულია მისი დამოკიდებულება ეფრემ მცირის ცნობილ თხზულებასთან – „უწყებაᲲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“; გაანალიზებულია ის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, რომელშიც ეს ნაშრომები აღმოცენდა, კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რომელიც იმხანად აქტიურად განიხილებოდა ბიზანტიაში. ირკვევა, რომ როგორც ბერძენთა, ასევე ქრისტიან არაბთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დისპუტში საქართველოს უჭერდა მხარს.

სტატიის ბოლო ნაწილი ეხება ქრისტიანულ არაბულ სამყაროში ქართლის მოქცევის საკითხებით დაინტერესებას უფრო მოგვიანო პერიოდში, კერძოდ, XVII საუკუნეში, როდესაც ანტიოქიის პატრიარქებმა, მელეთიოს კარმამ და მაკარი იბნ აზ-ზაიმმა, საფუძვლიანად შეისწავლეს XI საუკუნის წყაროები ამ თემატიკასთან დაკავშირებით. საერთოდ, მიჩნეული იყო, რომ ეფრემ მცირის, ნიკონ შავმთელისა და მაკარი ანტიოქიელის თხზულებები სრულიად დამოუკიდებლად აღმოცენდა, მაგრამ მათი შედარება და გამოყენებული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ შორის აშკარა კავშირი არსებობდა.

ქრისტიანულ არაბულ ტრადიციაში საქართველოს გაქრისტიანება

მნიშვნელოვანი თემა იყო როგორც ადრეულ, ასევე მოგვიანო პერიოდში.

ნაშრომს თან ახლავს ნიკონ შავმთელის თხზულების არაბული ვერსია ქართული თარგმანითურთ. გამოცემა ემყარება ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის ხელნაწერს Vat. Ar. 76.

ნიკონის შრომები ქრისტიანულ არაბულ ტრადიციაში

XI საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქიასთან ახლოს მდებარე მონასტრებში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბერი ნიკონი, რომელსაც სახელი შავი ანუ საკვირველი მთის მიხედვით ეწოდა. ის კონსტანტინოპოლელი ბერძენი იყო. ნიკონ შავმთელმა სახელი გაითქვა, როგორც სამი მასშტაბური წიგნის ავტორმა. აღნიშნული წიგნები მან თავის მშობლიურ, ბერძნულ ენაზე დაწერა.[1] მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომები ძირითადად რელიგიური ხასიათისაა, ისინი შეიცავს ძვირფას ცნობებს აღმოსავლური ქრისტიანობის ისტორიისა და მდგომარეობის შესახებ ავტორის მოღვაწეობის პერიოდში. ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ არარის ზედმიწევნით და სისტემატურად შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე დიდი ხანია ერთობ სასურველადაა მიჩნეული ბიზანტინისტიკაში.[2]

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, გარკვეული წვლილი შეიტანოს ნიკონის შრომების შესწავლაში; განვიხილავთ მის ერთ-ერთ თხზულებას, ასევე გავაანალიზებთ იმ წყაროებს, რომლებსაც ნიკონი იყენებდა და დავაკვირდებით, თუ როგორ მიიღეს მისი ნაშრომი მოგვიანო თაობებმა.

ნიკონის შრომები მალე გახდა ხელმისაწვდომი ბერძნულის გარდა სხვა ენებზეც. ისინი ითარგმნა არაბულად, საეკლესიო სლავურად და ეთიოპურად (გეეზზე) XIII და XVI საუკუნეებს შორის.[3] მათი არაბული ვერსიები XIII საუკუნეში გამოჩნდა და იქცა ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ნაწილად. ნიკონის ნაწერები გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა აღნიშნული პერიოდის მელქიტთა შორის, რაც შემონახულ ხელნაწერთა შედარებით დიდი რაოდენობიდან ჩანს.[4] ისინი მონოფიზიტ მკითხველთა

---

[1] ნიკონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იხ. J. Nasrallah, *Histoire du Mouvement littéraire dans l'Eglise Melchite du Ve au XXe siècle,* vol. III/1 (Louvain, 1983), 110-22; Id., "Un auteur antiochien du Xe siècle: Nicon de la Montagne-Noire," *Byzantion,* 24 (1954), 131-40; J. Thomas, A. C. Hero (ed.), *Byzantine Monastic Foundation Documents: A Complete Translation of the Surviving Founders' Typika and Testaments*, Dumbarton Oaks Studies, 35 (Washington, 2000), 377-8, 383-4.

[2] H.-G. Beck, *Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich* (München, 1959), 600.

[3] J. Nasrallah, *Histoire*, 113-5.

[4] იქვე, 114.

შორისაც კი იყო მიღებული.[5] როგორც ჩანს, შემდგომში ნიკონის შრომების არაბული თარგმანები მეტ-ნაკლებად დავიწყებას მიეცა. მათი „ხელმეორედ აღმოჩენა“ XVII საუკუნეში მელეთიოს კარმასა და მაკარი იბნ აზ-ზაიმის, ორი გამოჩენილი მელქიტი საეკლესიო მოღვაწისა და სწავლულის დამსახურებაა. ისინი შემთხვევით წააწყდნენ ნიკონის წიგნების ძველ ასლებს და მათი გადანუსხვა შეუკვეთეს; ამ ნაშრომებს ეყრდნობოდნენ საკუთარი კვლევისას და მათ გამოსაყენებლად რეკომენდაციას აძლევდნენ მოსწავლეებსა და სხვა მკითხველებს.[6] ამრიგად, XVII-XIX საუკუნეებში მელქიტთა შორის ნიკონის შრომებმა ერთგვარი რენესანსი განიცადა, როგორც ეს შეიძლება დავასკვნათ ამ პერიოდში გადანუსხული ხელნაწერების რაოდენობიდან.[7] შემდგომში, ქრისტიან არაბთა ინტერესმა ნიკონის შრომების მიმართ ისევ იკლო.

ნიკონის შრომების არაბულ ვერსიებთან დაკავშირებით აქამდე ერთი ვრცელი გამოკვლევაც კი არ შექმნილა, არც ერთი მათგანი არ არის სრულად გამოქვეყნებული. ამ მხრივ, არაბული თარგმანები იზიარებენ ბერძნული ორიგინალებისა და ეთიოპური თარგმანების ბედს, ვინაიდან ისინიც გამოუქვეყნებელია. მხოლოდ სლავური თარგმანი გამოვიდა ბეჭდური სახით XVIII საუკუნის ბოლოს.[8]

ნიკონის შრომა ქართველთა მოქცევის შესახებ

ნიკონის ერთ-ერთი თხზულება, რომელსაც ორიგინალში *ტაქტიკონი* ჰქვია, არაბულში ცნობილი გახდა, როგორც *Tībīkūn* (ტიპიკონი), ვინაიდან იწყება ორი ტიპიკონით (წესით) სამონასტრო საზოგადოებებისათვის.[9]

---

[5] მათ კითხულობდნენ კოპტები, ეთიოპიელები და ასევე, შესაძლოა, იაკობიტები. შდრ. J. Nasrallah, *Histoire*, 114-5, 117.

[6] Macarius ibn az-Zaʿīm, [*Kitāb an-Naḥla*] Ms. Homs, Greek Orthodox Metropolitanate, 28, fol. 35b.

[7] J. Nasrallah, *Histoire*, 114, 119.

[8] იქვე, 115; Thomas, Hero, *Byzantine Monastic Foundation Documents*, 378; *Книга преподобнаго и богоноснаго отца нашего Никона, игумена Черныя горы* (Почаев, 1795). იგივე ტექსტი XVI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გაკეთებული განსხვავებული წაკითხვებით 1888 წელს გამოვიდა მოსკოვში (единоверческая типография при Троицко-Введенской церкви); პანდექტებისა და ტაქტიკონის სლავური თარგმანების ნაწყვეტები მოცემულია სხვადასხვა გამოცემაში, რომელთაგან შეიძლება ზოგიერთი დავასახელოთ: Варлаам, архим. *Обозрение рукописей собственной библиотеки преподобного Кирила Белозерского*, кн. 2, ЧОИДР (1869), 45-65; А. Попов, *Историко-литературный обзор древнерусских полемических сочинений против латинян, XI-XV в.* (Москва, 1875), 289-96. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნიკონ შავმთელის თხზულებების სლავური თარგმანების თანამედროვე აკადემიური გამოცემა არ არსებობს.

[9] az-Zaʿīm, Ms. Homs, 28, fol. 35b.

მთელი შრომა 40 თავს მოიცავს სხვადასხვა რელიგიური და ისტორიული საკითხის შესახებ. ორიგინალი XI საუკუნის ბოლოსაა დაწერილი,[10] არაბული თარგმანი კი 1286 წლამდე უნდა იყოს დასრულებული.[11]

37-ე თავში „საყვარელი ქართველი სულიერი მამებისა და ძმების შესახებ", რომელიც დაიწერა, როგორც წერილი ვინმე ბერი გერასიმესადმი, ნიკონი ეხება ქართველთა მოქცევას ქრისტიანულ რწმენაზე და მათი ეკლესიის ისტორიას,[12] საკითხს, რომელიც აქტიურად განიხილებოდა XI საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქიასა და მის შემოგარენში. შესავალი ნაწილი ცხადყოფს, რომ ნიკონის შრომა ამ დისკუსიასთან კავშირში უნდა დავინახოთ. ნათელია ისიც, რომ მას სურს, მხარი დაუჭიროს თავის „იბერიელ ძმებსა" და „ქართველ სულიერ მამებს" და დაიცვას ისინი რამდენიმე ბრალდებისაგან.[13] ამ კონფლიქტს, როგორც ჩანს, ბიძგი მისცა რეგიონში ქართველი ბერების დიდმა რაოდენობამ და იმ დამოუკიდებლობამ, რომლითაც ისინი ადგილობრივი ბერძნული იერარქიის წინაშე სარგებლობდნენ. მხოლოდ წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანეში შავ მთაზე, იმ მონასტერში, რომლის წინამძღვარიც გარკვეული პერიოდი ნიკონი ყოფილა, 1057 წლისათვის ბერძენთა გვერდით დაახლოებით სამოცი ქართველი ბერი ცხოვრობდა. სხვა მონასტრები მთლიანად ქართველთა მიერ იყო დასახლებული. ეს ქართველი ბერები ცხოველ სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მუდმივი

---

[10] გერმანელ ბიზანტინისტს, კ.-პ. ტოდტს, მიაჩნია, რომ წერილი გერასიმესადმი ქართველთა შესახებ (იხ. ქვემოთ) დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1090 წელს. K.-P. Todt, *Region und griechisch-orthodoxes Patriarchat von Antiochia in mittelbyzantinischer Zeit und im Zeitalter der Kreuzzüge (969-1204)*, vol. 2, Habilitation Thesis (Wiesbaden, 1998), 825.

[11] J. Nasrallah, *Histoire*, 115-8; Thomas, Hero, *Byzantine Monastic Foundation Documents*, 378.

[12] 37-ე თავის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეკლესიასა და ანტიოქიასთან მის ურთიერთობას ეხება, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან Vat. Ar. 76 გამოქვეყნებული და გერმანულად თარგმნილია კ.-მ. ვალბინერის სადოქტორი დისერტაციაში: C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen des griechisch-orthodoxen Patriarchen Makarius ibn az-Zaʿīm von Antiochia (1647-1672) über Georgien nach dem arabischen Autograph von St. Petersburg* (Leipzig, 1995), 269-73. წინამდებარე სტატიას ჩვენ ვურთავთ სრულ არაბულ ტექსტს ქართული თარგმანითურთ და შემდგომში ყოველი დამოწმება სწორედ ამ დანართიდან გვექნება მოცემული. შედარებით მოკლე ნაწილი, რომელიც შეესაბამება დანართის 7-20 პარაგრაფებს, გამოქვეყნებული აქვს მ. თამარაშვილს. იხ. M. Tamarati, *L'Eglise Géorgienne des origines jusqu'à nos jours* (Rome, 1910), 174-5; აგრეთვე, ამ მონოგრაფიის ქართული თარგმანი: მ. თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* (თბილისი, 1995), 407-8. 37-ე თავის ბერძნული ტექსტი წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერის Codex Sinaiticus Graecus 441 მიხედვითაა გამოქვეყნებული, იხ. V. Benešević, *Catalogus Codicum Manuscriptorum Graecorum Qui In Monasterio Sanctae Catharinae In Monte Sina Asservantur*, t. 1 (Hildesheim, 1965), 596-601 (პეტერბურგის 1911 წლის გამოცემის ხელმეორე გამოცემა, იხ. В.Н. Бенешевич (Ред.), *Описание греческих рукописей монастыря святой Екатерины на Синае*, Т. 1, (СПБ, 1911).

[13] დანართი, § 3.

ურთიერთგაცვლა ჰქონდათ თავიანთ გარშემო მყოფ ბერძნებთან. მათ შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი ავტორები და მთარგმნელები, როგორებიც არიან გიორგი ათონელი და ეფრემ მცირე.[14]

ანტიოქიის იურისდიქციისაგან ამ ქართულ საზოგადოებათა დამოუკიდებლობამ წინააღმდეგობა გამოიწვია ბერძნული სამღვდელოების გარკვეულ წრეებში. ამდენად, გიორგი ათონელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვა მოუხდა ზოგიერთი ბერძენი მაღალი სასულიერო პირის თავდასხმებისგან. დაახლოებით 1057 წელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იგი დისპუტში ჩაერთო ანტიოქიის პატრიარქთან და ძირითადად ბერძნული წყაროების დამოწმებით საკუთარი ეკლესიის უფლებები განამტკიცა.[15] ცოტა უფრო მოგვიანებით ეფრემ მცირემ, რომელიც გარკვეული პერიოდი შავ მთაზე ცხოვრობდა, სპეციალური თხზულება დაწერა ამავე საკითხზე.

ეფრემ მცირე და მისი თხზულება ქართველთა მოქცევის შესახებ

ეფრემ მცირე კარგად იყო ცნობილი არა მხოლოდ ქართველთა, არამედ ბერძენთა შორისაც, როგორც გამორჩეული მეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და მთარგმნელი. სავარაუდოდ, ის კონსტანტინოპოლში დაიბადა ან, ყოველ შემთხვევაში, იქ მცირეწლოვანი წაიყვანეს, როდესაც ქართველ დიდგვაროვანთა ერთმა ნაწილმა ბიზანტიას მიაშურა. ეფრემმა საფუძვლიანი ბერძნული განათლება მიიღო და XI საუკუნის 60-იან წლებში ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე დამკვიდრდა, სადაც მეტად წარმატებული სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სწავლულ ბერებთან და თვით ანტიოქიის მართლმადიდებელ პატრიარქთან. თავდაპირველად წმ. სვიმეონის მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ დაახლოებით 1091 წელს კასტანას მონასტრის წინამძღვარი გახდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწეობდა.[16]

---

[14] ქართველების და მათი კულტურული და სულიერი ცხოვრების შესახებ ანტიოქიაში იხ. W. Djobadze, *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes*, CSCO 372, Susb. 48 (Louvain, 1976); ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. 2 (თბილისი, 1980), 152-67.

[15] შდრ. კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 1 (თბილისი, 1980), 217, 252, 263.

[16] ეფრემის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე იხ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 250-69; ი. ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი პირველი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V-XVIII* (თბილისი, 1921), 145-69; ე. ხინთიბიძე, *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის* (თბილისი, 1982), 163-79, 182-86; მ. კახაძე, *ქართველები*

ეფრემ მცირის შრომები საეკლესიო ლიტერატურის თითქმის ყველა დარგს მოიცავს,მათშორის–ბიბლიოლოგიას,ეგზეგეტიკას,დოგმატიკას,პოლემიკას, ასკეტიკას, ჰაგიოგრაფიასა და ისტორიას. მან ახალი მთარგმნელობითი თეორია შეიმუშავა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი თხზულება მხოლოდ ორიგინალური ვერსიიდან უნდა ითარგმნოს დამატებებისა და შემოკლებების გარეშე, სათაურის შეცვლაც კი მიუღებელია. მაგრამ ადეკვატური თარგმანი ერთი ენიდან მეორეში სიტყვების ზედმიწევნით გადატანას კი არ ნიშნავს, არამედ გულისხმობს ორიგინალის ტექსტის სწორ გაგებას და მის ზუსტ ასახვას თარგმანში.[17] ეფრემმა შემოიტანა ქართულში პუნქტუაციის სისტემა. ის არა მხოლოდ რედაქტირებას უკეთებდა უკვე არსებულ თარგმანებს, არამედ ხშირად ხელმეორედ თარგმნიდა და დეტალურ კომენტარებს წერდა, რათა თანამემამულეთათვის მაქსიმალურად გაეიოლებინა ბერძნული ლიტერატურის იმ ძეგლების აღქმა, რომლებსაც ქართველ მკითხველს სთავაზობდა.[18] მაგალითად, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ეფრემისეული თარგმანები ნათლად უჩვენებს ქართველი ბერის ზედმიწევნით სამეცნიერო ფილოლოგიურ სამუშაოს.[19] მეტიც, მან ძალიან ღრმად იცოდა ფილოსოფია, განსაკუთრებით არისტოტელიზმი და ნეოპლატონიზმი. მისი დამსახურებაა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მრავალი ძეგლის გავრცელება საქართველოში. ეფრემმა უაღრესად ძვირფასი ცნობები დატოვა ბიზანტიაში ჰაგიოგრაფიის განვითარების შესახებ.[20] დაბოლოს, მისი ორიგინალური ლექსები და ჰიმნები უდავოდ საინტერესო პოეტურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.[21]

ამდენად, თავისი ფართო ცოდნითა და ბერძნულ ლიტერატურასთან

ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში (თბილისი, 1954), 57-9, 66-72.

[17] ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ იხ. მ. ნიკოლაძე, *ეფრემ მცირე – მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი* (ქუთაისი, 1959); ხინთიბიძე, *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის*, 163-79, 182-86.

[18] დ. თვალთვაძე, *ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი*, საკანდიდატო დისერტაცია (თბილისი, 1997).

[19] M. Raphava, B. Coulie, "Les colophons d'Ephrem Mtsire et les traductions géorgiennes de Grégoire de Nazianze," *Le Muséon*, 104 (1991), 109-37; იხ. აგრეთვე მ. რაფავა, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1-4 (1998), 129-37, და მასში დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურა. ეფრემის ზოგიერთი თარგმანი გამოქვეყნებულია ევროპაში ე. მეტრეველის მიერ, იხ. H. Metreveli *et al.* (ed.), *Sancti Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, I. Orationes I, XLV, XLIV, XLI, Corpus Christianorum. Series Graeca,* 36. *Corpus Nazianzenum*, 5 (Turnhout, 1998).

[20] К. Кекелидзе, "Симеон Метафраст по грузинским источникам," *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. 5 (თბილისი, 1957), 212-26.

[21] თ. კუკავა, *ეფრემ მცირის იამბიკოები* (თბილისი, 1988).

სიახლოვით სწორედ ეფრემი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელსაც იოანე კვირიკემ, ქართველთა წინამძღვარმა შავ მთაზე, დაავალა დაეწერა თხზულება, რომელშიც ქრისტიანობაზე ქართველთა მოქცევის შესახებ მხოლოდ ბერძნული წყაროებიდან იქნებოდა ცნობები დამოწმებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიკური საფუძველი დისპუტის საგანს წარმოადგენდა ანტიოქიაში. ზოგიერთ ბერძენ სასულიერო თუ საერო პირს არ სურდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, სხვა მიზეზთა გვერდით ალბათ იმიტომაც, რომ მოცემულ პერიოდში დაპირისპირებამ ქართველთა და ბერძენთა შორის ტაო-კლარჯეთისათვის კულმინაციას მიაღწია და რამდენიმე ბრძოლაც მოხდა.[22] ეფრემს მოწინააღმდეგეთა ყველა არგუმენტი უნდა გაებათილებინა და ამისათვის იგი იძულებული იყო მხოლოდ ბერძნულ თხზულებებს დაყრდნობოდა, ვინაიდან ბერძნები არ ენდობოდნენ ქართულ წყაროებს, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, მათი შესაძლო ტენდენციურობის გამო. სწორედ ამ ვითარებაში დაწერა მან ნაშრომი სათაურით – „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. ის თავის წყაროებად ასახელებს თეოდორიტე [კვირელს], ანტიოქიურ ქრონიკას (ქრონოგრაფს), რომელსაც უფრო დეტალურად აღარ აზუსტებს და ევაგრეს, VI საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსს.[23]

იოანე კვირიკეს მიერ ამ თხზულების შეკვეთა გიორგი ათონელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის ზემოთ ხსენებულ დისპუტთან პირდაპირ კავშირში უნდა დავინახოთ, თუმცა ცხადი არ არის, ეს კონფლიქტის უშუალო ნაწილი იყო თუ მისი ანარეკლი და მასთან დაკავშირებული საკითხების შემდგომი გააზრება და ანალიზი. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ქართველთა არგუმენტები საკმარისად ცნეს, ანტიოქიის პატრიარქმა და თვით ბიზანტიის იმპერატორმაც კი, რომელიც ასევე ჩაერთო საქმეში, აზრი შეიცვალეს და დადებითი პოზიცია დაიკავეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან მიმართებაში. ამით ისინი საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ ძლიერებასაც აღიარებდნენ იმ პერიოდში, როდესაც მართლმადიდებლობას მრავალი სირთულის გადატანა უწევდა. ქართველი

---

[22] კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 250-1.

[23] ტექსტის გამოცემა: თ. ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების* (თბილისი, 1959), 3-12. ეფრემის თხზულების სრული ტექსტის ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მ. ნანობაშვილს და გამოქვეყნებულია ბელგიაში, იხ. C.-M. Walbiner, M. Nanobashvili, "Nicon's Treatise on the Conversion of the Georgians in Christian Arabic Literature and Its Possible Georgian Source," *Le Muséon*, 121 (2008), 437-61; საკუთრივ ინგლისური თარგმანი: 449-53. ეფრემის თხზულების ნაწილის ინგლისური თარგმანი მოცემული აქვს ვ. ჯობაძეს. W. Djobadze, *Materials*, 59-62 (გვ. 8-10 ბრეგაძის გამოცემაში).

ბერები ისევ მძლავრ ნაკადად მიედინებოდნენ ანტიოქიის რეგიონში, სადაც ისინი შედარებით მშვიდად ცხოვრობდნენ და პატრიარქის განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდნენ.[24]

ეფრემის თხზულებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ქართულ ლიტერატურაში. „უწყებაჲ“ ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შექმნისას XX საუკუნის ჩათვლით. მათ შორის შეიძლება რამდენიმე დავასახელოთ: არსენისეული (XII ს.) „წმ. ნინოს ცხოვრება“;[25] რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტები, შედგენილი იმავე არსენის მიერ;[26] „ქართლის ცხოვრება“;[27] ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“;[28] ანტონ პირველის (XVIII ს.) ქართული გრამატიკა;[29] დაბოლოს, კალისტრატე ცინცაძე, რომლის ძალისხმევითაც 1927 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა (მოგვიანებით, 1932-1952 წლებში იგი პატრიარქი იყო), ეფრემის თხზულებას ეყრდნობა საკუთარი არგუმენტების განსამტკიცებლად.[30]

ეფრემისა და ნიკონის შრომათა ურთიერთმიმართება

ნიკონმა ქართველთა მოქცევას ეფრემის შრომის შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიაქცია ყურადღება. იგი მათ მეგობრებად მოიხსენიებს. ნიკონი და ეფრემი ერთმანეთს იცნობდნენ და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც

---

[24] მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 152-67.

[25] *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. 3 (თბილისი, 1971), 7-51.

[26] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. 2 (ტფილისი, 1897), 58.

[27] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1 (თბილისი, 1955), 226.

[28] *საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაელ) საბინინის მიერ* (პეტერბურგი, 1832), 69-118.

[29] თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერები Q881 (fol. 183r) და A531 (fol. 178r); ამ ხელნაწერების ტექსტი არ მისდევს ანტონ I-ის „ქართული ღრამმატიკის“ 1885 წ. გამოქვეყნებულ ტექსტს და მისგან განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს. ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. *ანტონ I-ის „ღრამმატიკა“*, რედ. რ. ერისთავი (ტფილისი, 1885); *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია*, რედ. ი. აბულაძე, ტ. II (თბილისი, 1958), 289-93; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, რედ. ე. მეტრეველი ტ. II_2 (თბილისი, 2004), 119-20.

[30] К. Цинцадзе, *Автокефалия церкви грузинской* (Тбилиси, 1905), 7-11; იხ. ასევე მისი მონოგრაფია: *Историческая справка по вопросу об автокефальности грузинской церкви* (Тбилиси, 1906), 4-8. კ. ცინცაძის შესახებ იხ. ნ. პაპუაშვილი, „კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა“, *მრავალთავი*, 13 (1986), 96-113.

ფაბრიციუსზე დაყრდნობით გვაუწყებს კ. კეკელიძე.[31] მათ ერთმანეთი რომ არც ცნობოდათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკონს ეცოდინებოდა ქართველი ბერის მიერ ქართველთა მოქცევის თაობაზე დაწერილი თხზულების შესახებ, ვინაიდან ორივე ავტორი ერთსა და იმავე სამონასტრო არეალში ცხოვრობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ეფრემის მოღვაწეობის დროსა და მისი თხზულების შექმნის მოტივაციას, შეიძლება დავასკვნათ, რომ „უწყებაჲ“ ცნობილი იყო ბერძნული წრეებისთვისაც. არ არის გამორიცხული, რომ ნაშრომს ბერძნულად ეარსება. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, დაფუძნებული იმ ფაქტზე, რომ XI საუკუნეში ქართველები თარგმნიდნენ თხზულებებს ქართულიდან ბერძნულად და ზოგჯერ პირდაპირ ბერძნულადაც წერდნენ.[32]

ამის მიუხედავად, მიჩნეულია, რომ ეფრემი და ნიკონი დამოუკიდებლად მუშაობდნენ და მიმართავდნენ ერთსა და იმავე წყაროებს.[33] თუმცა ამ წყაროების დამთხვევა და ურთიერთშეთანხმებულობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნიკონმა, რომელმაც თავისი თხზულება ეფრემზე უფრო გვიან დაწერა, ამ უკანასკნელის შრომიდან ისესხა მონაცემები.[34] მართალია, ორივე ავტორს შეეძლო ესარგებლა წმ. სვიმეონის მონასტრის ბიბლიოთეკის ფონდებით,[35] მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ორი დამოუკიდებელი კვლევა ერთი და იმავე წყაროების გამოყენებით ამოწურულიყო და თანაც საბოლოო ჯამში მოეცა ორი ნაშრომი, რომელიც ასეთ გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს შინაარსობრივად და მასალის დალაგების თვალსაზრისითაც (იხ. ქვემოთ). სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ბერძენ მეცნიერს კონსულტაცია მიეღო ქართველი სწავლული ბერისაგან, რომელიც ახლოს ცხოვრობდა და იმ საზოგადოებას ეკუთვნოდა, რომელიც ნიკონს მეგობრებად მიაჩნდა. სავარაუდოა, რომ ეფრემმა ნიკონს ზედმიწევნითი ინფორმაცია მიაწოდა საკუთარი კვლევის შედეგების შესახებ, რომელთაც თავი მოუყარა „უწყებაჲ“-ში. მართლაც, როდესაც ნიკონის შრომას

---

[31] კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 252.

[32] ხინთიბიძე, *ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის*, 207-372; კახაძე, *ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში*, 89-95; იხ. ასევე S. H. Griffith, “Greek into Arabic in the Monasteries of Palestine (IX c.) ,” *Byzantion*, 56 (1986), 117-38.

[33] К. Цинцадзе, *Автокефалия*, 12-3; ი. ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი*, 166; კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 252; ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 014.

[34] Todt, *Region und griechisch-orthodoxes Patriarchat von Antiochia*, 825.

[35] კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, 252. ცნობა იმის შესახებ, რომ ეფრემს ანტიოქიის პატრიარქისაგან ჰქონდა მინიჭებული ბიბლიოთეკის გამოყენების უფლება; რა თქმა უნდა, ამ ბიბლიოთეკით ისარგებლებდა ნიკონიც, რომელიც იქ ცხოვრობდა.

ვკითხულობთ, რომელიც უფრო მოკლეა და ცნობებს ერთგვარად შეკვეცილი და კომპაქტური ვერსიის სახით წარმოგვიდგენს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ბერძენმა ავტორმა ინფორმაცია ზეპირად მიიღო, საფიქრებელია, თავად ეფრემისაგან, თუმცა, შესაძლოა, სხვა ქართველი ბერებიც დახმარებოდნენ, რომელთაგან ბევრი თავისუფლად ფლობდა ბერძნულ ენას.

ორი ტექსტის შედარება იოლად გვიჩვენებს მათ ურთიერთმიმართებას:

ეფრემი	ნიკონი
1. მოციქულები ანდრეა და ბართლომე საქართველოში;	1. ქართველთა მოქცევა წმინდა ნინოს მიერ, დამყარებული თეოდორიტესა და „სხვა საისტორიო წიგნზე“;
2. ქართველთა მოქცევა წმინდა ნინოს მიერ, დამყარებული თეოდორიტეს „საეკლესიო თხრობათა წიგნის“ 24-ე თავზე.	2. ანტიოქიის პატრიარქის ევსტათეს მისია საქართველოში;
3. ანტიოქიის პატრიარქის ევსტათეს მისია საქართველოში;	3. საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ, „სხვა საისტორიო წიგნის“ მიხედვით;
4. საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ „ანტიოქიური ქრონოგრაფის“ მიხედვით;	4. საქართველოს შემოწირულობების გადაგზავნა (გადატანა) იერუსალიმის პატრიარქისათვის;
5. საქართველოს შემოწირულობების გადაგზავნა (გადატანა) იერუსალიმის პატრიარქისათვის;	5. საქართველოში წმინდა მირონის მომზადების ნებართვა (ეფრემის პუნქტი 7);
6. ეგზარქოსის გამოგზავნა საქართველოში XI საუკუნეში;	6. ეგზარქოსის გამოგზავნა საქართველოში XI საუკუნეში (ეფრემის პუნქტი 6);
7. საქართველოში წმინდა მირონის მომზადების ნებართვა;	7. ქართველი კათოლიკოსის კურთხევა ანტიოქიის პატრიარქის თეოდორეს მიერ, წმ. სვიმეონის მონასტერში დაცული ზოგიერთი წერილის მიხედვით;
8. აფხაზთა მოქცევა, აღწერილი ევაგრეს მიერ.	8. ნაწყვეტი წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის ცხოვრებიდან, რომელიც ეხება პილიგრიმებს საქართველოდან.

ამ შედარების საფუძველზე შეიძლება გარკვეული დამაჯერებლობით ვივარაუდოთ, რომ ნიკონი საკუთარი შრომისათვის საფუძვლად ეფრემის თხზულებას იყენებდა, ოღონდ მისი რევიზია მოახდინა. ამდენად, გამოტოვა წმ. ანდრეასა და წმ. ბართლომეს ამბავი, რომელსაც ეფრემი გადმოგვცემს.[36] შესაძლოა, მას სანდოდ არ მიაჩნდა საქართველოს ეკლესიის მოციქულებრივი წარმოშობა. რაც შეეხება წმ. ნინოს მისიას „სხვა საისტორიო წიგნის" მიხედვით,[37] ნიკონმა ის საგრძნობლად შეამოკლა;[38] შემდეგ მას გამოტოვებული აქვს ეფრემის მიერ დამოწმებული ევაგრეს ცნობა აფხაზთა მოქცევის შესახებ,[39] ალბათ, იმიტომ, რომ არ იცოდა, რა კავშირი იყო აფხაზეთსა და ქართლს (იბერიას) შორის; დაბოლოს, მან დაამატა გარკვეული ინფორმაცია უფრო გვიანი პერიოდიდან[40] და ნაწყვეტი წმ. სვიმეონ მესვეტის ცხოვრებიდან.[41] ამ პუნქტების გარდა, ორ ნაშრომს შორის შესაბამისობა იმ ნაწილში, რომელიც ქართველთა მოქცევასა და მათი ეკლესიის შემდგომ ისტორიას ეხება, კომპოზიციისა და შინაარსის თვალსაზრისით, გასაოცარია.

აღსანიშნავია, რომ ეფრემი თავის წყაროებს ნათლად მიუთითებს, პირდაპირ ასახელებს თავებს თეოდორიტესა და ევაგრეს საეკლესიო ისტორიებიდან[42] ან აზუსტებს სხვა შრომას, რომელიც გამოიყენა, კერძოდ, „ანტიოქიურ ქრონოგრაფს".[43] ამის საპირისპიროდ, ნიკონი უფრო გაურკვევლად და უზუსტოდ ასახელებს თავის წყაროებს – იმ ორ შრომას, რომელსაც ეყრდნობა, ერთიანად უწოდებს „სხვა საისტორიო წიგნს"[44] და არც თეოდორიტეს ისტორიის თავს უთითებს მისი დამოწმებისას.[45] ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ნიკონი მეორად ინფორმაციას იყენებდა, რომელიც მას, შესაძლოა, ზეპირად გადაეცა.

---

[36] ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 4 (სტრიქონები 1-8).

[37] დანართი, § 10.

[38] შდრ. დანართი, § 9-17 და ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 4 (19)-8 (12).

[39] ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 11 (1-15).

[40] დანართი, § 32-34.

[41] დანართი, § 36-40.

[42] ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 4 (16-18), 11 (1-3); შდრ. L. Parmentier (ed.), *Theodoret Kirchengeschichte* (Leipzig, 1911), 74-6; A. Güldenpenning, *Die Kirchengeschichte des Theodoret* (Halle, 1889), 26-7; L. Heiser, *Die georgische orthodoxe Kirche und ihr Glaubenszeugnis* (Trier, 1989), 21; ს. ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. III (ტფილისი, 1936), 297.

[43] ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 8 (28-29).

[44] დანართი, § 10, 22.

[45] დანართი, § 7-10; შდრ. ბრეგაძე, *უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, 4 (16-18).

ნიკონისა და ეფრემის შრომების მიღება მაკარი იბნ აზ-ზაიმის (-1672) მიერ

როგორც ზემოთ ითქვა, ეფრემის „უწყებაᲘ“ მეტად პოპულარული გახდა სხვადასხვა პერიოდის ქართველ ავტორთა შორის. მაგრამ არის მისი კვალი ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში, პირდაპირი გზით თუ ნიკონის ადაპტაციით? უკვე აღვნიშნეთ, რომ ნიკონის შრომების არაბული თარგმანები (XIII ს.) ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი XVII საუკუნეში ანტიოქიელი პატრიარქების, მელეთიოს კარმასა (1572-1635) და მაკარი იბნ აზ-ზაიმის (ზეობდა 1647-72) მიერ. განსაკუთრებით მაკარი იყო დაინტერესებული ყველაფრით, რაც საქართველოს ეხებოდა.[46] ეს შეიძლება მის დროს ანტიოქიისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ისტორიულად არსებული ურთიერთობების ხელახალი გააქტიურებით აიხსნას. პატრიარქმა პირადად იმოგზაურა საქართველოში.[47] ნიკონის თხზულება, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი წყარო იყო, რომელიც საქართველოში გამომგზავრებამდე ჰქონდა ხელთ მაკარის.[48] აქ ყოფნისას (1664-66)[49] კი მან საგრძნობლად გაიფართოვა ცოდნა საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ და მის მიერ ახლად მოპოვებული ინფორმაცია აისახა რამდენიმე ნაწარმოებში, რომელიც მაკარიმ საქართველოში შექმნა. პატრიარქ იოანე III-ის (996-1021) ბიოგრაფია, რომელიც „ანტიოქიის პატრიარქთა ისტორიის“ ნაწილს წარმოადგენს,[50] შეიცავს ქართველთა მოქცევის დეტალურ აღწერას, როგორც ეს მაკარიმ ნახა „ჩაწერილი ქართულ ენაზე“.[51] ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს წერილობითი წყარო, სავარაუდოდ, ეფრემის თხზულება უნდა იყოს. ძირითადი შინაარსი და მოვლენათა თანამიმდევრობა ძალიან

---

[46] ამ ინტერესთა შესახებ, რომლებიც ასახულია მაკარის შრომებში, იხ. C.-M. Walbiner, “Accounts on Georgia in the works of Makāriyūs ibn al-Zaʿīm,” in *Actes du I^um^ Symposium Syro-Arabicum (Kaslik, septembre 1995),* II: *Études arabes chrétiennes* (1) = *Parole de l’Orient*, ed. S. Kh. Samir 21 (Kaslik, 1996), 245-55; თ. მარგველაშვილი, მაკარი ანტიოქიელის თხზულების, „ცნობები საქართველოს შესახებ“, თარგმანი არაბულიდან ქართულად, *არმაღანი*, 3 (1982), 88-122; П. Жузе, *Грузия в XVII столетии по изображению Патриарха Макария* (Казань, 1905).

[47] ამ ურთიერთობათა შესახებ იხ. C.-M. Walbiner, “Die Beziehungen zwicshen dem griechisch-orthodoxen Patriarchat von Antiochia und der Kirche von Georgien vom 14. bis zum 18. Jahrhundert,” *Le Muséon,* 114 (2001), 437-55.

[48] C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 93-5.

[49] საქართველოში მაკარის ვიზიტის შესახებ იხ. C.-M. Walbiner, “Die Beziehungen,” 444-8; Id., *Die Mitteilungen*, 19-22.

[50] Macarius ibn al-Zaʿīm, *Asāmī baṭārikat Anṭākiya min Buṭrus al-rasūl ila l-ān, Kitāb majmūʿ yashtamil ʿala akhbār wa-maʿānī kathīra,* Ms. St. Petersburg, Institute for Oriental Studies, B1227, 123-90, აქ: 170-172; შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 249-54.

[51] al-Zaʿīm, *Asāmī,* 172; შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 251-54.

ჰგავს ეფრემის შრომას „უწყებაᲲ“, თუმცა მცირე ცვლილებებით,[52] რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მაკარის ზეპირად უთარგმნიდნენ ქართულიდან არაბულად ან ბერძნულად, ვინაიდან მან ქართული არ იცოდა.[53] თავის თხრობას მაკარი ურთავს გარკვეულ შენიშვნებს, რომლებიც „დაწერა წმინდა ნიკონმა, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრის წინამძღვარმა და *al-Ḥāwī al-Kabīr*-ის ავტორმა“,[54] რაც უდავოდ ქართველთა მოქცევის შესახებ ნიკონის შრომიდანაა აღებული.[55]

კიდევ უფრო საინტერესოა მაკარის სხვა შრომა, რომელიც ეხება საკუთრივ „ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ქართველი ხალხის გადასვლის მიზეზს...“[56] ეს პატარა ნაშრომი ჩაფიქრებულია, როგორც შესავალი წიგნისა *Akhbār Bilād al-Kurj,* ასევე დაწერილი 1665 წელს მაკარის ყოფნის დროს საქართველოში.[57] ეფრემის თხზულებასთან შედარებას გასაოცარ შედეგამდე მივყავართ. ორივე შრომის სტრუქტურა და შინაარსი თითქმის იდენტურია. არა მხოლოდ საქართველოში მოციქულთა მისიაა აღნიშნული,[58] არამედ ევაგრეცაა დამოწმებული[59] – მონაცემები, რომლებიც მოცემულია ეფრემის თხზულებაში, მაგრამ გამოტოვებულია ნიკონთან. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მაკარის შრომა სხვა არაფერია, თუ არა ეფრემის პერიფრაზირება. აღინიშნება ეფრემის ტექსტისაგან მცირე სხვაობები, უფრო სწორად, დამატებები. აქედან აღსანიშნავია ორი – მტკიცება იმისა, რომ დელეგაცია, რომელიც ანტიოქიაში პატრიარქ თეოფილაქტეს დროს ჩავიდა, გაგზავნილი იყო „დავითის, აფხაზთა მეფის, მიერ“; და ის, რომ ქართველმა კათოლიკოსმა, რომელიც ამ დროს იქნა ხელდასხმული ანტიოქიის პატრიარქის მიერ, თავისი

---

[52] გამოტოვებულია დამოწმება ევაგრეს ნაშრომიდან.

[53] შდრ. არაბული გამოცემა და გერმანული თარგმანი: C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 249-54, თ. ბრეგაძის გამოცემის ეფრემისეულ ტექსტს.

[54] al-Zaʿīm, *Asāmī*, 172; შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 252/254; *al-Ḥawī al-Kabīr* ნიკონის პანდექტების არაბული სათაურია.

[55] შენიშვნები ეხება ანტიოქიის პატრიარქ თეოდორეს, რომელმაც წარმომადგენელი გაგზავნა საქართველოში, რათა იქ წესრიგი დაემყარებინა, აგრეთვე ამავე პატრიარქის მიერ ქართველი კათოლიკოსის, იოანეს, კურთხევას. ორივე მოვლენა ნახსენებია ნიკონის მიერ თავის თხზულებაში. იხ. ზემოთ ეფრემისა და ნიკონის მე-6 და მე-7 პუნქტების შედარება.

[56] Macarius ibn al-Zaʿīm, *Khabr mukhtaṣar yūḍaḥ fīhi sabab intiqāl ummat al-Kurj ila al-īmān bi-l-masīḥ wa-kaifa kānū fī ṭāʿat baṭriyark Anṭākiya awwalan wa-kaifa akhīran ʿamalū lahum kathūlīk wa-ṣārū bi-ruʾūsihim,* Ms. St. Petersburg, Institute for Oriental Studies, B1227, 191-92; გამოცემა და თარგმანი: C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen,* 144-47, 190-92.

[57] ამ ნაშრომის შესახებ იხ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen,* 39-143.

[58] al-Zaʿīm, *Khabr mukhtaṣar*, 191 (შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen,* 144/190).

[59] al-Zaʿīm, *Khabr mukhtaṣar*, 192 (შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen,* 147/192).

რეზიდენცია „აფხაზთა მიწაზე“ დააფუძნა.[60] ორივე ცნობა აშკარად იმ მიზანს ემსახურება, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებელი ტრადიცია განუმტკიცოს. შესაძლოა, ეს დამატებები მაკარის ქართველი თანამოსაუბრეების მიერაა შექმნილი, როდესაც ისინი მაკარის უთარგმნიდნენ ეფრემის თხზულებას, რათა დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობისათვის ისტორიული საფუძველი მიეცათ.

ამრიგად, ეფრემ მცირის „უწყებაᲘ“ საუკუნეთა მანძილზე მიჩნეული იყო უტყუარ ავტორიტეტულ წყაროდ ქართველთა მოქცევისა და მათი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ. როდესაც ეფრემის მიგნებები მაკარიმაც შეიტანა თავის შრომაში, ქართველთა გაქრისტიანების საკითხი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მელქიტური ლიტერატურის მიმოქცევაში, 500 წლის შემდეგ, რაც ეფრემის თხზულება ნიკონმა გამოიყენა და ამ უკანასკნელის შრომა არაბულად ითარგმნა.

არაბულენოვან ქრისტიანთა დაინტერესება ქართლის მოქცევით ბუნებრივია, ვინაიდან ჯერ კიდევ VIII-X საუკუნეებში სინურ-პალესტინურ არეალში ქართველებს მათთან ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ, რაც საბოლოოდ ლიტერატურულ ურთიერთობებში გადაიზარდა და არაერთი ქრისტიანული სასულიერო ძეგლის თარგმანი შესრულდა არაბულიდან ქართულად.[61] მიუხედავად იმისა, რომ X საუკუნის შემდეგ არაბულიდან ქართულად მთარგმნელობითი საქმიანობა აღარ გრძელდებოდა, არაბულენოვან ქრისტიანებსა და ქართველებს შორის ცოცხალი კონტაქტები მაინც არსებობდა. ამაზე მეტყველებს სინას მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების არაბული მინაწერები XIII საუკუნის ჩათვლით.[62] როგორც ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქოს არაბიზაციის ფაზაში ქართველი ბერები მუდმივად იმყოფებოდნენ მონასტრებში არაბულენოვანი ბერების გვერდით.

---

[60] al-Zaʿīm, *Khabr mukhtaṣar*, 192; შდრ. C.-M. Walbiner, *Die Mitteilungen*, 146/191.

[61] არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ იხ. შემდეგი ზოგადი ხასიათის სტატიები და მათში დასახელებული სამეცნიერო შრომები: B. Outtier, “À propos des traductions de l’arabe en arménien et en géorgien,” *Parole de l’Orient*, 21 (1996), 57-63; M. Nanobashvili, “The development of literary contacts between the Georgians and the Arabic speaking Christians in Palestine from the 8th to the 10th century,” *Aram,* 15 (2003), 269-74; S. Griffith, “The monks of Palestine and the growth of Christian literature in Arabic,” *The Muslim World,* 78 (1988), 15-6; ლ. მენაბდე, „ქართულ-ახლოაღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობანი“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 2 (1993), 15-31; ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია* (თბილისი, 2004), 99-115; მ. ნანობაშვილი, „რომანოზ ახლის წამება“ არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში“, *აღმოსავლეთმცოდნეობა*, 1 (2012), 64-72.

[62] რ. გვარამია, „ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები“, *მრავალთავი*, 9 (1981), 75-83.

ნიშანდობლივია, რომ უფრო გვიან, XVII საუკუნეში ლიბანის ტერიტორიაზე მდებარე ბალამანდის მონასტერში მნიშვნელოვან არაბულ ხელნაწერებზე გვხვდება ქართული მინაწერები,[63] რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს გამორჩეულ ინტელექტუალურ ცენტრებში იმხანად ქართველებიც მოღვაწეობდნენ. ოსმალთა ბატონობის ხანაში ქრისტიანებს მრავალი სირთულის გადალახვა უწევდათ. სწორედ დახმარების საძებნელად მიაშურა მაკარი ანტიოქიელმა ქრისტიანულ ქვეყნებს, მათ შორის – საქართველოს. ამდენად, როგორც ვხედავთ, ქართლის მოქცევით დაინტერესებას ქრისტიანულ არაბულ სამყაროში თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნდა როგორც ადრეულ, ისე გვიან პერიოდში.

---

[63] ბალამანდის მონასტრის ხელნაწერთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს XVII საუკუნის 7 ნუსხა, რომელიც ახალი აღთქმის ნაწილების თარგმანებს შეიცავს. მაგალითად, ამ ჯგუფში შედის იუსუფ ალ-მუსაუუირის, სახელგანთქმული სირიელი ხატმწერის მიერ შემკული სახარება-ოთხთავი (Ms. Balamand Ar. 3 / 505). მისი გადამწერია იბნ ალ-ხური ჰაურანი ჰამადან, მელეთიოს კარმას ძმა. სხვა ხელნაწერიც (Ms. Balamand Ar. 6 / 499) გვთავაზობს სახარება-ოთხთავის სრულ ტექსტს. გადამწერის ვინაობა არ არის მითითებული. სწორედ ეს ხელნაწერი შეიცავს არაბულ, ბერძნულ და ქართულ მინაწერებს. სამწუხაროდ, ორივე ეს ხელნაწერი მონასტრიდან გაიტაცეს ლიბანის სამოქალაქო ომის დროს და ამჟამად ისინი დაკარგულია. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ამ ქართული მინაწერების შესწავლა, იმის დადგენა, თუ როდის და ვის მიერ გაკეთდა ისინი, იყვნენ თუ არა იმხანად ქართველები ბალამანდის მონასტერში ან სირიის სხვა ინტელექტუალურ ცენტრებში. მეტად ნიშანდობლივია, რომ მაკარი ანტიოქიელს, საქართველოში მოგზაურობამდე, უკვე საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქართველი წმინდანების შესახებ. ბალამანდის მონასტრის ხელნაწერების შესახებ იხ. Souad Slim et al., *The Arabic Manuscripts in the Antiochian Orthodox Monasteries in Lebanon,* Vol. 2, *Monastery of Our Lady Balamand* (University of Balamand, 1994) (არაბულ ენაზე).

დანართი

ნიკონ შავმთელის თხზულების არაბული ვერსია[64]

ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის ხელნაწერი Vat. Ar. 76, fol. 364a-367a

[fol. 364a] وله سبعه وثلثين. الي ولده الروحاني الراهب جراسمس في الابا والاخوه الروحانيين المحبوبين الجرجان.

[1] قد سبق اليك، يا ولدنا الروحاني، مكاتبات من بطريرشيون انطاكيه ومن رييس دير القديس سمعان العجايبي ومني مضمنه شهادات من الكتب محققه في معني اخوتنا المعروفين بالزاتي، شهاده لهم ببراه الساحه بحمد الله من كل تهمه مما يتعلق بالامانه والديانه والانشقاقات والاجتماعات الخراجه عن النظام. [2] اذ كانوا بريين انقيا من جميع ذلك مستعليين عن كل ظنه مشبهه وتهمه. [3] (...) الان [fol. 364b] ايضا في معني اخوتنا الايبيرين وابهاتنا الروحانيين الجرجان: فمما الهمنا هو الله نظمناه والفناه من الكتب المقدسه ورسلنا به اليك لاجل محبه الله ومحبه القريب. [4] وانت تشعر به غيرك لتصير منفعته عامه مشهوره بينه وتوضح ما كان من قديم الازمنه في الكتب مذخوراً ومكتوماً لتواني من يطلبه او يبحث عنه. [5] ولذلك انا نيقن الادني ابوك الروحاني بمعونه الله اتعبت نفسي ورسلت اليك في معني اخوتنا الابزاتي. [6] وكذلك فعلت والان في معني هولا الجرجان اذ كنت انا وهولآ جميعهم من قديم الزمان متخصصين بعض ببعض وموتلفين بنعمة الروح القدسي متممين شروط المحبه قولاً وفعلاً جهدنا.

[7] وثاوذوريطس السعيد يقول عن هولآء الابا الجرجان انهم رجعوا الى معرفه الحق من عباده الاوثان. [8] كذا شرح هذا ثاوذوريطس اسقف قورس عنهم في الشرع البيعي من مصنفاته. [9] وحكا عن تلك الحرمه السعيده الفاضله نونا وكيف استيسرت من بلد الروم وردت امه الجرجان من عبادة الاوثان الى الشريعه المسيحيه.

[10] وفي [fol. 365a] كتاب تاريخ اخر يقول ان في ايام قسطنطين الكبير الملك العظيم انتقلت امة الجرجان الي مذهب السيد المسيح. [11] وصاروا نصاري لما مرض ابن الملك مرضاً مميتاً وشفته من مرضه حرمه الملك. وصح ذلك مع الملك تنصر هو والجماعه كلها. [12] والتمست ان تعمر هيكلاً، واما

---

[64] ჩვენ სრულად გვაქვს დაცული ქრისტიანული არაბული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი და ორთოგრაფიული თავისებურებანი, არც შეცდომები გაგვისწორებია. აკადემიურ გამოცემებში ეს აპრობირებული პრაქტიკაა. ამ თავისებურებათა შესახებ იხ. J. Blau, *A Grammar of Christian Arabic based mainly on South-Palestinian texts from the first millennium,* CSCO, Vol. 267, Subsidia, T. 27, Fasc. I (Louvain, 1966).

الملك حسن عنده ما صنع بحرمته ولم يشا عماره الهيكل. [13] ولما عبر علي ذلك زمان ما خرج يتصيد فغشا عليه غشاوه بغته ولم يمكنه يتقدم الي قدام. [14] واما من كان معه في التصيد فكانوا يستمتعوا بشعاعات الشمس وهو فقط وحده عادمها. [15] فلما حار من ذلك وجد سبيل خلاص وانتقلت ظلمته في الحال الى ضيآ. [16] فاستدعي ببسالاليل رييس النجارين الحكيم الحاذق، وتقدم اليه بصنعه هيكل؛ فشرع في ذلك وحفر وعمر. [17] ولما تم الهيكل اخذوا في تطلب كاهن، والحرمه العجيبه فتحت باباً في ذلك واقنعت سلطان الامه ان يكتب الى ملك الروم ملتمساً منه معلم حسن العباده.

[18] فاما الملك قسطنطين سارع الي ذلك [fol. 365b] بهشاشه وانفذ اليهم اسطاثيوس بطريرك انطاكيه بكرامه كبيره. [19] ولما مضي الي هناك عمد الكل مع ملكهم، وقدس الهيكل المعتمر، وسام قاثوليق جعله من تحت يد بطريرك انطاكيه. [20] فاما ملك الجرجان واصحاب دولته فرسم علي نفسه لبطريرك انطاكيه لما يحتاجه في عمل الميرون المقدس الف ضيعه في بلد الجرجان يحمل مستغل كل ضيعه وينفق فيما يحتاج عمل الميرون. [21] لان الرسم كان مستمراً ان صاحب انطاكيه يتولي عمل الميرون دون غيره، ومنها — اعني انطاكيه — كان يفرق في جميع البلاد، وما يقدس في غير انطاكيه.

[22] ووجدت في كتاب تاريخ اخر ان في ايام قسطنطين الملك الزبلي الاسم القبرونيمس وكان بانطاكيه بطريرك اسمه ثاوفيلقطس وصل من بلد الجرجان راهبان اخبراه ان النصاري الذين هناك في شده لعدمهم الجاثليق. [23] لان من ايام انسطاسيوس بطريرك انطاكيه الشهيد السعيد ما صلب لهم علي جاثليق لحده الطريق وخوف المسلمين. [24] فجمع هذا البطريرك سينودسه وكتب... [fol. 366a] براي السينودس ان يشرطنوا لهم جاثليق الاساقفه الذين في ديارهم. [25] وبعد ان ينتدبوه ويقع الرضي عليه يعملوا قرعه، وعلي من وقعت القرعه سيم جاثليق. [26] وكتب لهم بذلك جسلاً، وشرطن احداً الراهبين الواصلين اليه واسمه يويانا. [27] ورسم علي الالف ضيعه التي يحمل مغلها الي بطريرك انطاكيه حسب ما تقدم بالقول فينفق في حوايج الميرن رسم ان يحمل الف ديناراً تصرف في ذلك. [28] والي ايام ابا يوحنا المنيح بطريرك انطاكيه كانت تحمل هذه الالف ديناراً. [29] فوهبها هو لبطريرك اورشلام في ايام اورستس بطريرك اورشلام، وقد توجه رسولاً الي بسيل ملك الروم. [30] وبقي لبطريرك انطاكيه في بلد الجرجان الانافورا فقط، وينفذ اكسرخس مشرفاً علي الاراسس ويكشف عن الغلطات النفسانيه، وياخذ قانونيقا الضياع. [31] ونجد فيما عملته سينودس خلكذونا قد رسم ان يقدس الميرن في كل موضع ، وقبل ما كان مطلقاً تقديسه الا لبطريرك انطاكيه وحده، فلما قيل انه يباع ويشتري بثمن اطلق عمله في كل موضع.

[32] وفي انطاكيه [fol. 366b] الملك قسطنطين المونوماخس وثاذرس بطريرك انطاكيه بلغ في بلد الجرجان بعض الاساقفه يزرع بها زوانا. [33] فكتب المنيح ثاوذرس البطريرك رسايل كثيره وانفذها مع

فقليس له الي بلد الجرجان ليصلح جميع ما فسد هناك بمنه الله وقوته، وتغيره الاساقفه الذين هناك. [34] وهذه الرسايل موجوده في دير ابينا سمعان العجايبي عند الرييس ابا يوحنا، وفيها يذكر ان قام ثاوذرس بطريرك انطاكيه ووضع يديه علي جاثليق الجرجان الذي كان في ذلك الزمان، واسمه يوحنا.

[35] هذا يا ولدي الروحاني ما امكنني معرفته، فكتبته اليك في هذا الباب.
[36] وفي سيره القديس سمعان العجايبي صاحبي راي: وقد شده عليه خليقه كثيره رجال ونسوان صاعدين اليه من المشرق بليتي باعوث وصلبان مسبحين الله والروح القدسي تظلل الجميع وتسير معهم. [37] فلما دنوا من الدير المقدس قال الروح القدسي لعبده سمعان: ''اتعرف من هم هولآ القادمين اليك؟ هولآ هم امه الجرجان محبوك لاجل اسمي وسيقدمون اليك في كل وقت بامانه [fol. 367a] عزيزه ويقين صحيح. واذا صح معهم بالتجربه قوه الاشفيه التي منحتها ينادون باسمك في كورتهم جمعا ويشدون بك عمران المومنين بها. وبعضهم يسكن مسكنك الضوي ويظهر منهم منفعه وامانه.''

[38] وبعد عبور ايام قلايل لهذا المنظر صعد اليه كثره كثيره من الجرجان علي الصفه المذكوره. [39] وشفا كثيرين منهم من امراض مختلفه وخلص قوماً منهم من الشياطين. [40] فطلب فريق منهم ان يسكنوا ديره لما شاهدوه من المعجزات. فقبل طلبتهم ومكنهم من ذلك لعلمه انه عن مشيته الله وارادته. وسكنوا عنده ملازمين السيره الرهبانيه.

[41] هذه بحثنا نحن عليها، ولما وجدناها مكتتبه كتبنا بها اليك لتعلمها . [42] وتطلب لنا صفح اثامنا بشفاعات السيده الطاهر الثاوطوقس وكافه القديسين، امين.

ნიკონ შავმთელის თხზულების არაბული ვერსიის ქართული თარგმანი

[fol. 364a] და [აი] მისი (resp. მას აქვს) ოცდამეჩვიდმეტე[65] [თავი]. მისი[66] სულიერი ძის, ბერი გერასიმესადმი, საყვარელი ქართველი[67] სულიერი მამებისა და ძმების შესახებ.

[1] შენამდე უკვე მოაღწია, ჰოი, ჩვენო სულიერო ძეო, იმ წერილებმა ანტიოქიის საპატრიარქო საყდრიდან, წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრის წინამძღვრისაგან და ჩემგან, რომელთა შინაარსიცაა მოწმობანი წიგნებიდან, აღიარებული ჩვენი ძმების შესახებ, რომელნიც ცნობილი არიან, როგორც წათი,[68] მოწმობა მათზე ღვთის დიდებით სრული უდანაშაულობის შესახებ ყოველგვარი ეჭვისაგან, რაც უკავშირდება რწმენას, რელიგიას, მწვალებლობებსა და კანონგარეშე კრებებს. [2] ვინაიდან უდანაშაულონი იყვნენ, სუფთანი ყოველივე ამისაგან, ზემდგომნი ყოველგვარ გაუგებარ ეჭვსა და ბრალეულობაზე.

[fol. 364 b] [3] (...) და ახლა // აგრეთვე ჩვენი იბერიელი ძმებისა და ქართველი სულიერი მამების საკითხთან დაკავშირებით: დაიქიდან, რაც შთაგვაგონა ღმერთმა, მოვაწესრიგეთ და შევადგინეთ წმინდა წიგნთაგან და მოგწერეთ შენ ის ღვთის სიყვარულისა და მოყვასის (resp. ახლობლის) სიყვარულის გამო. [4] და შენ აუწყე მის შესახებ სხვებს, რათა მისი სიკეთე (სარგებელი) საერთოდ ცნობილი გახდეს

---

[65] ქრისტიანულ არაბულ ტექსტებში საგრძნობია სასაუბრო ენის გავლენა; ამ კონკრეტულ შემთხვევაში რიგობითის მაგიერ რაოდენობითი რიცხვითი სახელის ხმარება აღინიშნება.

[66] გადამწერს სათაურში მესამე პირში ჰყავს მოხსენიებული ნიკონი.

[67] ამ თხზულების არაბულ ტექსტში „ქართველებს“ შეესაბამება სახელი „ალ-ჯურჯან“. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. იხ. გოჩა ჯაფარიძე. „ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები“, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინოლოგია* (თბილისი, 1993), 126-28.

[68] ამ სახელით (სომხ. ծաղ ծաթ, ბერძნ. Τζάτοι) სომხურ და ბერძნულ წყაროებში მოიხსენიებიან სომეხი ქალკედონიტები. მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება სომხურიდან მომდინარეობს და „არასრულს“, „არასრულყოფილს“ ნიშნავს, არ არის გაზიარებული, ვინაიდან ცნობილია, რომ თვითონ სომეხი ქალკედონიტებიც ასე უწოდებდნენ საკუთარ თავს. ეს დასტურდება როგორც ნიკონ შავმთელის თხზულებაში, ისე სხვა წყაროებში. სახელის წარმომავლობასთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. იხ. Д.М. Бартикян, “О Византийской аристократической семье Гаврас, часть II, Гаврасы Малой Азии и Западной Армении (XI-XIII вв.), Еще раз о цатах (армянах-халкедонитах),” *Историко-филологический журнал*, 4 (1987), 181-93; В.А. Арутюнова-Фиданян, *Армяне-халкедониты на восточных границах Византийской империи (X в.)* (Ереван, 1980); Н. Адонц, “О происхождении армян-цатов,” *Журнал Министерства народного просвещения* (1911), 239-40; Н.Я. Марр, “Аркаун, монгольское название христиан; В связи с вопросом об армянах-халкедонитах,” *Византийский временник*, 12 (1905), 32-41; Н.О. Эмин, *О цадах; Исследования по армянской мифологии, археологии, истории и истории литературы (за 1858-1884 гг.)*, Изд. второе (Москва, 1896), 137-46.

მათ შორის და გაცხადდეს ის, რაც ძველი დროიდან წიგნებში იყო თავმოყრილი და შეფარული იმათი ძალისხმევის შესამსუბუქებლად (resp. გადაღლილობისათვის), ვინც მას ითხოვს ან ეძებს. [5] და ამიტომაც მე, ყოვლად მდაბალმა ნიკონმა, შენმა სულიერმა მამამ, ღვთის შეწევნით თავი დავიღალე და მოგწერე ჩვენი ძმების, წათთა, საკითხზე. [6] და ასევე ვქმენი ახლაც ამ ქართველთა შესახებ, ვინაიდან მე და ისინი ყველანი ძველი დროიდან ვართ ერთმანეთთან განსაკუთრებულად დაკავშირებულნი, შეხმატკბილებულნი სულიწმინდის მადლით, ვიღვწით რა სიყვარულის პირობათა შესასრულებლად სიტყვითა და საქმით.

[7] ნეტარი თეოდორიტე ამ ქართველი მამების შესახებ ამბობს, რომ ისინი ჭეშმარიტების ცოდნაზე კერპთაყვანისმცემლობიდან მოექცნენ (resp. მობრუნდნენ). [8] ასე განმარტა ეს მათ შესახებ თეოდორიტემ, კვიროსის ეპისკოპოსმა, საეკლესიო კანონში თავის ერთ-ერთ თხზულებაში. [9] და მოგვითხრო იმ წმინდა, ნეტარი, აღმატებული ქალის, ნუნას, შესახებ, და როგორ წამოვიდა ბიზანტიის ქვეყნიდან და ქართველთა ერი კერპთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანულ კანონიერებაზე მოაქცია.

[fol. 365a] [10] და // ისტორიის სხვა წიგნში ნათქვამია (resp. ამბობს), რომ ქართველთა ერი უფალი იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე გადავიდა კონსტანტინე დიდის, ძლევამოსილი მეფის დროს (resp. დღეებში). [11] და გაქრისტიანდნენ, როდესაც მეფის ძე სასიკვდილო სენით დაავადდა და იგი მისი ავადმყოფობისაგან მეფის ცოლმა განკურნა. და ეს მართალი (სარწმუნო) აღმოჩნდა მეფის წინაშე, გაქრისტიანდა იგი და მთელი ჯგუფი. [12] და მან (დედოფალმა) მას სთხოვა, ტაძარი აეშენებინა, ხოლო რაც შეეხება მეფეს, მას მოეწონა, რაც იქმნა მისი ცოლის მიერ, [მაგრამ მაინც] არ სურდა ტაძრის აშენება. [13] და, როდესაც ამის შემდეგ განვლო გარკვეულმა დრომ, სანადიროდ გავიდა და უეცრად თვალთ დაუბნელდა და ველარ შეძლო წინ წასვლა. [14] ხოლო, რაც შეეხება მათ, ვინც მასთან იყო სანადიროდ, თავისდა სასიკეთოდ ჭვრეტდნენ მზის სხივებს (resp. სარგებლობდნენ მზის სხივებით), მხოლოდ იგი იყო მათ (სხივებს) მოკლებული. [15] შეშფოთდა იმით (იმ მდგომარეობით), პოვა გზა ხსნისა და მისი სიბნელე მაშინვე სინათლედ იქცა. [16] და მან უხმო ბეცალიელს,[69] ბრძენ, დახვეწილი ხელობის ხუროთმოძღვართუხუცესს, და

---

[69] არაბულ ტექსტში ამ საკუთარ სახელს თავზე აწერია الجديد *(ახალი)*, რაც უფრო ნათელს ხდის იმ აზრს, რომ ქართველთა მიერ მოხმობილი ხუროთმოძღვარი ბიბლიური ბეცალიელის მსგავსი იყო თავისი ნიჭით, რომელიც მას ღმერთმა მოუვლინა, იხ. გამ. 41, 1-6. ეფრემ მცირე ამ შემთხვევაშიც უფრო მკაფიოდ აყალიბებს სათქმელს, შდრ. „ხოლო რომელმან იგი აღავსო ბესელიელ სიბრძნითა ხუროთმოძღურებისაჲთა, ესეცა მასვე ღირს ყო მადლსა ვიდრემდის საღმრთოჲ დაუსახა მათ ტაძარი“, ბრეგაძე, 7 (11-15). ეფრემი აქ თავად წმ. ნინოს გულისხმობს და არა ხუროთმოძღვარს.

უბრძანა ტაძრის აგება. და მანაც დაიწყო ეს საქმე, გამოკვეთა და ააშენა. [17] და, როდესაც ტაძარი დასრულდა, დაიწყეს მღვდლის ძებნა და საოცარმა წმინდა ქალმა გახსნა კარი ამ საქმეშიც (resp. ამაშიც) და დაარწმუნა ერის მეფე, რომ წერილი მიეწერა ბიზანტიის მეფისათვის და მისგან ეთხოვა ჭეშმარიტი (resp. კარგი) ღვთისმსახურების (resp. თაყვანისცემის) მასწავლებელი.

[fol. 365b] [18] ხოლო, რაც შეეხება კონსტანტინე მეფეს, მან სიხარულით მსწრაფლ აღასრულა ეს საქმე და მათთან დიდი პატივით გაგზავნა ევსტათე, ანტიოქიის პატრიარქი. [19] და, როდესაც იქ ჩავიდა, მონათლა ყველა მათ მეფესთან ერთად და აკურთხა აგებული ტაძარი და ხელი დაასხა კათოლიკოსს (აკურთხა კათოლიკოსი), რომელიც ანტიოქიის პატრიარქის განმგებლობის ქვეშ დაადგინა. [20] ხოლო, რაც შეეხება ქართველთა მეფესა და მისი სახელმწიფოს თავკაცებს, მან თავს იდო, გამოეყო ანტიოქიის პატრიარქისათვის იმასთან დაკავშირებით, რაც მას სჭირდებოდა წმინდა მირონის მოსამზადებლად, ათასი მამული (მიწის ნაკვეთი) ქართველთა ქვეყანაში, რათა მიეღო შემოსავალი თითოეული მამულიდან და ის დაეხარჯა იმაზე, რაც საჭირო იყო მირონის მოსამზადებლად, [21] ვინაიდან ძალაში რჩებოდა (resp. გრძელდებოდა) განგება (წესი), რომ ანტიოქიის საყდრის საჭეთმპყრობელს ჰქონდა უფლება მირონის კეთებისა სხვათა გარეშე, და იქიდან – ვგულისხმობ ანტიოქიას – ნაწილდებოდა ყველა ქვეყანაში და არ იკურთხებოდა არსად, გარდა ანტიოქიისა.

[22] და ისტორიის სხვა წიგნში ვიპოვე, რომ ბინძური სახელის მქონე მეფის, კონსტანტინე კოპრონიმეს დროს ანტიოქიაში იყო პატრიარქი, სახელად თეოფილაქტე. ქართველთა ქვეყნიდან ჩამოვიდა ორი ბერი და ამცნო, რომ ქრისტიანები, ვინც იქ (საქართველოში) იყვნენ, შეჭირვებაში იმყოფებოდნენ იმის გამო, რომ კათოლიკოსი არ ჰყავდათ, [23] ვინაიდან ანტიოქიის ნეტარი მოწამე პატრიარქის, ანასტასის, შემდეგ არ კურთხეულა მათთვის კათოლიკოსი გზის სირთულისა და მუსლიმთა შიშის გამო. [24] და შეკრიბა ამ პატრიარქმა სინოდი და დაწერა (...) [fol. 366a] სინოდის აზრით, მათთვის კათოლიკოსი უნდა დაედგინათ იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც მათ მიწებზე არიან. [25] მას შემდეგ, რაც [კანდიდატს] უფლებამოსილებით აღჭურვავდნენ და თანხმობა მიეცემოდა, კენჭს უყრიდნენ და, კენჭისყრის შედეგად ვინც გამოვლინდებოდა, ის იქნებოდა დადგენილი კათოლიკოსად. [26] და დაუწერა მათ ამის შესახებ დოკუმენტი და ჩამოსული ორი ბერიდან ერთ-ერთი აკურთხა და მისი სახელია იოანე (არქიმანდრიტი). [27] და დაადგინა იმ ასი მამულის შესახებ, რომლის შემოსავალიც ანტიოქიის პატრიარქთან მიდიოდა, თანახმად ზემოთქმულისა, და მას ხარჯავდა მირონის საჭიროებათათვის, რომ უნდა მიეღო ათასი დინარი ამისათვის. [28] და აწ განსვენებული მამა იოანეს, ანტიოქიის პატრიარქის

დრომდე მოდიოდა ეს ათასი დინარი. [29] ხოლო მან ის ორესტის, იერუსალიმის პატრიარქის დროს უბოძა იერუსალიმის პატრიარქს და მოციქული გაგზავნა ბიზანტიის მეფესთან. [30] და ანტიოქიის პატრიარქს ქართველთა მიწაზე დარჩა მხოლოდ ანაფორა, და მიდის ეგზარქოსი მწვალებლობებზე ზედამხედველად და ამოწმებს სულიერ ცდომილებებს და კანონიერებას ამყარებს სოფლებში. [31] და ვპოვებთ იმაში, რაც ქმნა ქალკედონის კრებამ, რომ დაადგინა, მირონი კურთხეულ იქნას ყოველ ადგილას. მანამდე მისი კურთხევა საერთოდ არ შეიძლებოდა, თუ არა მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქისათვის, ხოლო, როდესაც ითქვა, რომ მას ყიდიან და ყიდულობენ გარკვეული [მაღალი] საფასურით, თავისუფლად გახდა შესაძლებელი მისი კეთება ყოველ ადგილას.

[fol. 366b] [32] და ანტიოქიაში // მეფე კონსტანტინე მონომახამდე და ანტიოქიის პატრიარქ თეოდორემდე მიაღწია [ამბავმა], რომ ქართველთა ქვეყანაში ზოგიერთი ეპისკოპოსი [მწვალებლობის] სარეველას თესავდა. [33] და დაწერა აწ განსვენებულმა პატრიარქმა თეოდორემ ბევრი წერილი და გაგზავნა ისინი თავისი კუბუკლესიოსის მეშვეობით ქართველთა ქვეყანაში, რათა ღვთის წყალობითა და ძალით გამოესწორებინა ყოველივე ის, რაც გაფუჭდა იქ, და შეუცვალა მას ეპისკოპოსები, რომლებიც იქ იყვნენ. [34] და ეს წერილები არის ჩვენი მამის, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში წინამძღვარ მამა იოანესთან და მათში აღნიშნულია, რომ ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ადგა და ხელი დაასხა ქართველთა კათოლიკოსს, რომელიც იყო იმ დროს, და მისი სახელია იოანე. [35] აი, ეს არის, ჩემო სულიერო ძეო, რაც შევძელი, შემეტყო, და ის შენ მოგწერე ამ თავში.

[36] და წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის ცხოვრებაში ჩემმა მეგობარმა იხილა [შემდეგი]: და უხვად შეიკრიბა მის გარშემო ბევრი ხალხი, კაცები და ქალები, რომლებიც მასთან აღმოსვლეთიდან ამოვიდნენ აღდგომის მეორე დღის ლიტანიითა და ჯვრებით, ადიდებდნენ რა ღმერთს, და სულიწმინდა დაადგა ყველას ჩრდილად და მათთან ერთად მოდიოდა. [37] და, როდესაც მოუახლოვდნენ წმინდანის მონასტერს, წმინდა სულმა თავის მონა სვიმეონს უთხრა: „იცი, ვინ არიან ესენი, შენთან მომავალნი? ისინი ქართველთა ერი არიან, შენი მოყვარულნი ჩემი სახელის გამო, და მოვლენ შენთან ყოველთვის კეთილი რწმენითა [fol. 367a] და სწორი ღრმა ცოდნით (დარწმუნებულობით). და, როდესაც მართლად გამოვლინდება მათთან გამოცდილება კურნების ძალისა, რომელიც მე გიბოძე შენ, შენი სახელით მოუწოდებენ თავიანთ მხარეში [ხალხის] ჯგუფს და იქ განგიმტკიცებენ მორწმუნეთა [უხვ] თემს. ზოგიერთი მათგანი შენს ნათელ საცხოვრისში იცხოვრებს და მათგან გამობრწყინდება მადლი და რწმენა“.

[38] და მას შემდეგ, რაც ამ ხილვიდან მცირედმა დღეებმა ჩაიარეს, მასთან ავიდა

ქართველთა სიმრავლე სიმრავლისა ისე, როგორც იყო აღნიშნული. [39] და განკურნა ბევრი მათგანი სხვადასხვა სენისაგან და მათ შორის იხსნა ხალხი ეშმაკთაგან. [40] და მათგან ერთ-ერთმა ჯგუფმა ითხოვა, ეცხოვრა მის მონასტერში, როდესაც იხილეს სასწაულთაგანი. და მიიღო მათი თხოვნა და მისცა ამის საშუალება, რადგანაც იცოდა, რომ ეს იყო ღმერთის ნებისა და სურვილის თანახმად. და ცხოვრობდნენ მასთან, განუხრელად მისდევდნენ რა სამონასტრო ყოფას.

[41] ეს არის ის, რასაც ვეძებდით, და, როდესაც ვნახეთ დაწერილი, მოგწერეთ შენ, რათა გცოდნოდა. და ითხოვე ჩვენთვის ცოდვათა შენდობა უბიწო დედუფლის, ღვთისმშობლის, და ყოველთა წმიდათა მეოხებით, ამენ.

Accounts on the Conversion of Kartli (Iberia) in Christian Arabic Sources

Carsten-Michael Walbiner (Bonn) and Mariam Nanobashvili (Tbilisi)

Summary

The Greek monk Nicon who flourished in the second half of the 11th century in the region of Antioch and was hence surnamed of the Black or Miraculous Mountain belongs to the important authors of Melkite medieval literature. He left three voluminous books which have not yet been studied thoroughly and systematically. By examining his treatise "On the beloved Georgian spiritual fathers and brothers", which deals with the conversion of the Georgians to the Christian faith and the history of their church, the present article is intended as a modest contribution to the further study of Nicon's works. Special emphasise is given to the sources Nicon used and the way his work was perceived by later generations. A comparison between Nicon's treatise on the Georgians and a "Report" on the same subject written by his Georgian contemporary Ephrem Mcire (the minor) reveals Nicon's heavy dependence on Ephrem as there are striking correspondences between the two works concerning composition and content. Thus the thesis that both authors worked independently can not be maintained any longer.

By translation Nicon's works became soon available for Arabic readers too. Mostly forgotten by the end of the Middle Ages, they owed their rediscovery in the 17th century to Meletius Karma and Macarius ibn az-Zaʿīm, two prominent Melkite church leaders and men of letters. As the latter developed a keen interest in everything concerning Georgia, Nicon's treatise became a valuable source for several tracts in which Macarius touched the issue of Georgian church history.

Attached to the article is an edition and translation of Nicon's treatise based on Ms. Vatican, Apostolic Library, Vat. Ar. 76.

VI

აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოᲂს" (H-1328) ანდერძი დასავლეთ საქართველოს მეფის ჯონსტანტინე I-ის მოხსენიებით და საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

თემო ჯოჯუა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექციაში 1328-ე ნომრით დაცულია ეტრატის გრაგნილი (სურ. 1), რომლის აღწერილობაც ქრისტინე შარაშიძესა და ვახტანგ ბერიძეს შემდეგი სახით აქვთ შედგენილი: ქრისტინე შარაშიძე – „გრაგნილი; 325X19; ეტრატი; ნუსხური... დაზიანებული: დასაწყისი წახეული; ხუთი კეფი (ძაფით გაკერილი)... ორი კეფის verso დაუწერელია";[1] ვახტანგ ბერიძე – „გრაგნილის ზომაა 325X19 სმ. ერთი მხარე მთლიანადაა დაწერილი, მეორე – ნაწილობრივ. ტექსტი ნუსხურია, შავი მელნით ნაწერი, ძალიან მკაფიო, საკმაოდ ლამაზი ხელით. საზედაო ასოები უმეტესად მელნითვეა გამოყვანილი, მაგრამ, აქა-იქ სინგურის ასოებიც ურევია".[2]

ეტრატის გრაგნილი, უპირველეს ყოვლისა, ფილოლოგიური თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას: ხელნაწერში წარმოდგენილია თავნაკლული აპოკრიფული ტექსტი „საკჳრაოᲂ", რომელიც, სავარაუდოდ, ლათინურიდან არის ნათარგმნი და რომელმაც, ჩვენამდე მხოლოდ ერთი, H-1328-ე ხელნაწერში დაცული ნუსხის სახით მოაღწია[3]. „საკჳრაოᲂს" ტექსტი ქრისტინე შარაშიძეს შემდეგი სახით აქვს დახასიათებული: „ხელნაწერის ტექსტი აპოკრიფულია: „ჰრომის" პატრიარქის ათანასეს და საქრისტიანო კულტის სხვა მრავალრიცხოვან მსახურთა (მღვდელ-დიაკვანთა) კრებულს

---

[1] *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1948), 268.

[2] ვახტანგ ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები* (თბილისი, 1967), 12.

[3] ენრიკო გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია*, 4, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები (თბილისი, 2009), 430-1.

ქ. რომში, 48000 მორწმუნის თანადასწრებით, მოევლინებათ ყინულის ფიცრებზე ქრისტეს საკუთარი ხელით დაწერილი მცნებანი. ერთი საათით მზის დაბნელებისა და სხვ. დამაშინებელი ზომების შემდეგ ყინულის „წიგნი“ გადაეცემა მორწმუნეთ, „სულთქმით გარდათარგმნილი“ „ასთხუთმეტ ქორონიკონს“ დაწერილიო, ამბობს ავტორი: „აწ მომივლენია ქორონიკონსა ორას და ოთხსა“. ქრისტე მოუწოდებს ერს, რათა მოიქცენ, „რომელმი ზრახვენ მღ˜დელთათვის – პატივისცემით მოეპყრან სამღვდელოებას, ვინაიდან მღვდელნი არიან „მარილნი სოფლისანი“. იგივე წიგნი მოუწოდებს მორწმუნეთ, რათა შესწირონ ეკლესიას „მონაგებისაგან თჳსისა“. ასეთ შემთხვევაში ქრისტე ჰპირდება გადახდას ზეცას და „აწცა საწუთო“-ს, „ნაცვლად ერთისა წილ ოცდაათი, სამოცისა წილ – ასი“. და თუ ვინმე თავის „ვეცხლს“ ნათესავს მისცემს, ღვთის რისხვას დაიმსახურებს. „წიგნში“ არის აგრეთვე მოწოდება ობოლთა, ქვრივთა, დავრდომილთა და გლახაკთა განგკითხვისათვის. განსაკუთრებით სასტიკ სასჯელს ემუქრება „წიგნი“ კვირა დღის დაუცველობისათვის: „დაიმარხეთ დღე, რომელსა ეწოდების კჳრიაკე, დღე აღდგომისა ჩემისა და წმიდად პარასკევი [+ოთხშაბათი]“-ო. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება სისხლის ღვრის, ქვის სეტყვის, მკალისა და მუმლის მივლენას. „წიგნი“ ჰგმობს აგრეთვე იმათ, „ვინც განიშოროს ცოლი თჳისი და სხვაჲ შეირთოს“. ამათ თავზე მდუღარე წყლის დადენას ემუქრება. „ეკლესიათა კიდექცევისათვის“ მორწმუნეთ წარღვნის განმეორება მოელის. განსაკუთრებით დაჟინებით იხსენიება „წიგნში“ კვირის დამარხვის მოთხოვნა – „შაბათის ცხრაჲ ჟამითგან ვიდრე ორშაბათ მზისა აღმოსვლამდე“. ტექსტში სხვადასხვა ადგილას ვხვდებით ქრისტეს „საკუთარი ხელით“ ყინულზე დაწერილი წიგნის ნამდვილობის მტკიცებას“.[4]

ეტრატის გრაგნილი და მასზე დაწერილი „საკჳრაოჲს“ ტექსტი არანაკლებ საინტერესოა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც: ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის ხელით დაწერილი ანდერძი, რომელიც საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი და იმავდროულად, სადავო თუ ბუნდოვანი საკითხის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის (სურ. 2 და სურ. 3).

თავდაპირველად წარმოვადგენ ანდერძის ტექნიკურ აღწერილობას, ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და ანდერძის ჩემეულ წაკითხვას.

ანდერძი შესრულებულია გრაგნილის III კეფის verso-ს ბოლო, L-LIX სტრიქონებზე;

---

[4] *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 269.

ათი სტრიქონი; ტექსტის ზომა (საზედაო ასოების ზომების გარეშე): 8,5X12,5 სმ; ნუსხური; სამი საზედაო ასო (I სტრიქონის პირველი გრაფემა (კ) და VII სტრიქონის მეოთხე სიტყვის პირველი ორი გრაფემა (დ და ა) – ასომთავრულით; მანძილი სტრიქონებს შორის: 0,1-0,2 სმ; მანძილი სიტყვებს შორის: 0,2 სმ; ყველაზე დიდი ნუსხური გრაფემის (ქ) სიმაღლე: 0,8 სმ; ყველაზე პატარა ნუსხური გრაფემის (ი) სიმაღლე: 0,3 სმ; შავი ფერის მელანი; პირველი და მეორე საზედაო ასოები (კ და დ) – წითელი ფერის საწერ-საღებავით; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ; ქარაგმად გამოყენებულია პატარა, განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი; მესამე საზედაო ასო (ა) მეორე საზედაო ასოს (დ) მუცელშია შეწიაღებული; ანდერძის რამდენიმე გრაფემა, მელნის გადასვლის გამო, ნაწილობრივ არის დაკარგული. ეს გრაფემები მათი შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მაქვს აღდგენილი; ანდერძი გამოქვეყნებულია სამგზის: 1948 წელს, ქრისტინე შარაშიძის მიერ, დედანზე დაყრდნობით,[5] 1967 წელს, ვახტანგ ბერიძის მიერ, დედანზე დაყრდნობით[6] და ბოლოს, 2007 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, სავარაუდოდ, ვახტანგ ბერიძის პუბლიკაციაზე დაყრდნობით.[7] ანდერძს წინ უძღვის გრაგნილის III კეფის VIII-IX სტრიქონებზე ძირითადი ტექსტის ხელით, შავი ფერის მელნით (პირველი სამი გრაფემა (საზედაო ასოები) – წითელი ფერის საწერ-საღებავით), ნუსხურით (პირველი სამი გრაფემა (საზედაო ასოები) – ასომთავრულით) დაწერილი ორსტრიქონიანი ანდერძი, რომელიც, სავარაუდოდ, „საკჳრაოᲲს“ H-1328-ის ნუსხის დედანს უნდა ეკუთვნოდეს: *„ესე წიგნი რომით მოვიდა. დაუკლე|ბელად დაგჳწერია“*.[8] გარდა ამისა, ანდერძს მიჯრით მისდევს გრაგნილის III კეფის verso-ს X-XIII სტრიქონებზე ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, შავი ფერის მელნით (პირველი გრაფემა (საზედაო ასო) – წითელი ფერის საწერ-საღებავით), ნუსხურით (პირველი გრაფემა (საზედაო ასო) – ასომთავრულით) დაწერილი ოთხსტრიქონიანი მინაწერი, რომლის რამდენიმე გრაფემაც, მელნის გადასვლის გამო, აღარ განირჩევა: *„ზენაჰარ შეინახეთ, რომე [გაცე]|[მ]ული არა შეიქნას დიაკონ[ისა] [მ(იე)რ]. [უ]|მეცარსა კ(ა)ცსა, რომე წიგნისა პატ{ი}ვ[ი] | არ იცოდეს, მ(ა)თიმცა ჴელი ნუ შე{ე}ხებ[ის]“*[9].

ϟ r e b u l no R˜Tisano. m˜mano
e se sakK r aoY me a b r a h am

---

[5] იქვე.

[6] ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 11-2.

[7] „აბრაჰამ სავანი“, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი* (თბილისი, 2007), 14.

[8] შდრ. მინაწერის ტექსტის სხვა პუბლიკაციები: 1. *„ეს წიგნი რომით მოვიდა. დაუკლებელად დაგჳწერია“. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 269; 2. *„ეს წიგნი რომით მოვიდა. დაუკლებლად დაგჳწერია“*. ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 11; და 3. *„ესე წიგნი რომით მოვიდა, დაუკლებელად დაგჳწერია“*. „აბრაჰამ სავანი“, 14.

[9] შდრ. მინაწერის ტექსტის სხვა პუბლიკაციები: 1. *„ზენაარ [!] ! შეინახეთ! რა მ..... მული არა შეიქნას დიაკონ..... [უ]მეცარსა კაცსა, რომე წიგნისა პატივ<ი> არ იცოდეს, მათიმცა ჴელი ნუ შე<ე>ხების“. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 269; და 2. *„უმეცარსა კაცსა, რომე წიგნისა პატივი არ იცოდეს, მათიმცა ჴელი ნუ შეეხების“*. ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 12.

sa v anman. ga r damo v iwe
r e. ka r gi d e d o Y amisi wig
ni v naxe. da mekeTa v inca
SendobY sT q u aT. T˜q nca Se
gin d os R˜T n amin:. ȣCiwe r a
q r onikonsa ocdaoTxsa m f ˜ba
sa R˜T v gK r gKnsnisa kosta
n tinessa.

„კრებულნო ღ(მრ)თისანო, მ(ა)მანო, | ესე „საკჳრაოᲲ“ მე, აბრაჰამ | სავანმან, გარდამოვიწე|რე. კარგი დედოᲲ ამისი წიგ|ნი ვნახე და მეკეთა. | ვინცა შენდობ{ა}Ჲ სთქუათ, თქ(უე)ნცა შე|გინდოს ღ(მერ)თ(მა)ნ, ამინ. დაიწერა | ქრონიკონსა ოცდაოთხსა (24+1312=1336 წ.), *მ(ე)ფ(ო)ბა|სა ღ(მრ) თ(ი)ვ გჳრგჳნ{ო}სნისა კოსტა|ნტინესსა“.*[10]

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ „საკჳრაოᲲს“ ანდერძი საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი და სადავო საკითხის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის. ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავ ამ საკითხებს.

1. „საკჳრაოᲲს“ გადაწერის თარიღი, მის ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინეს“ იდენტიფიკაცია და დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

ამ ქვეთავის სათაურში ჩამოთვლილი სამი საკითხი: 1. „საკჳრაოᲲს“ გადაწერის თარიღის დადგენა, 2. მის ანდერძში მოხსენიებული „მეფე

---

[10] შდრ. ანდერძის ტექსტის სხვა პუბლიკაციები: 1. *„კრებულნო ღთისანო, მამანო! ესე საკჳრიაოᲲ მე აბრაჰამ სავანმან გარდამოვიწერე. კარგი დედოᲲ ამისი წიგნი ვნახე და მეკეთა. ვინცა შენდობაᲲ სთქუათ, თქნცა შეგინდოს ღ˜თმან. ამინ. დაიწერა ქრონიკონსა ოცდა ოთხსა [!], მეფობას ღთივ გჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა“.* ხელნაწერთა აღწერილობა. *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 269; 2. *„კრებულნო ღვთისანო, მამანო! ესე საკჳრიაოᲲ მე აბრაჰამ სავანმან გარდამოვიწერე. კარგი დედოᲲ [ე. ი. დედანი, ვ(ახტანგ) ბ(ერიძე)] ამისი წიგნი ვნახე და მეკეთა. ვინც შენდობაᲲ სთქუათ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან. ამინ. დაიწერა ქრონიკონსა ოცდაოთხსა, მეფობას ღვთივ გჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა“.* ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 11-2; და 3. *„კრებულნო ღვთისანო მამანო, ესე საკვირაოᲲ მე აბრაჰამ სავანმან გარდამოვიწერე. კარგი დედოᲲ (ე.ი. დედანი) ამისი წიგნი ვნახე და მეკეთა. ვინც შენდობაᲲ სთქუათ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ. ქორონიკონსა ოცდაოთხსა, მეფობისა ღვთივ გჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა“.* „აბრაჰამ სავანი“, 14.

კოსტანტინეს“ იდენტიფიკაცია და 3. დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის განსაზღვრა, მათი აზრობრივი მხარის გათვალისწინებით, ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული. შესაბამისად, ამ სამ საკითხს მეც ერთად ვაჯგუფებ და წინამდებარე ქვეთავის ფარგლებში, მათ სინქრონულად, ერთიმეორესთან კავშირში განვიხილავ.

„საკჳრაოჲს“ გადაწერის თარიღის და მის ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინეს“ ვინაობის საკითხებს პირველად ქრისტინე შარაშიძე შეეხო. მკვლევარმა ანდერძში მითითებული თარიღი – 1336 წელი, რაიმე დასაბუთების მოტანის გარეშე, მცდარად მიიჩნია. ამის შემდეგ ქრისტინე შარაშიძემ „საკჳრაოჲს“ გადაწერის ქრონოლოგია, აგრეთვე, რაიმე არგუმენტაციის მოხმობის გარეშე, XV საუკუნით განსაზღვრა და ამით ირიბად მიანიშნა, რომ ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინე“ XV საუკუნეში მოღვაწე, სახელი „კონსტანტინეს“ მატარებელი ერთ-ერთი ქართველი მეფე უნდა ყოფილიყო.[11]

„საკჳრაოჲს“ გადაწერის თარიღისა და მის ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინეს“ ვინაობის საკითხებს, ქრისტინე შარაშიძის შემდეგ, ვახტანგ ბერიძე შეეხო. მკვლევარმა, ანდერძში მითითებული თარიღი – 1336 წელი, ქრისტინე შარაშიძის მსგავსად, რაიმე დასაბუთების მოტანის გარეშე, მცდარად მიიჩნია. ამის შემდეგ ვახტანგ ბერიძემ, აგრეთვე, რაიმე არგუმენტაციის მოხმობის გარეშე, გამოთქვა მოსაზრება, რომ ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინე“ XIV-XV საუკუნეებში მოღვაწე, სახელი „კონსტანტინეს“ მატარებელი სამი ქართველი მეფიდან – დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I, საქართველოს მეფე კონსტანტინე I და ქართლის მეფე კონსტანტინე II, ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო და ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, „საკჳრაოჲს“ გადაწერის დრო XIV-XV საუკუნეებით განსაზღვრა.[12]

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში „საკჳრაოჲს“ გადაწერის დროის შესახებ რაიმე სხვა მოსაზრება გამოთქმული არ არის და ამიტომ მკვლევართა ერთი ნაწილი ქრისტინე შარაშიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს (XV ს.) იზიარებს,[13] ხოლო მეორე ნაწილი ვახტანგ ბერიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს (XIV-XV სს.) უფრო მართებულად მიიჩნევს.[14]

---

[11] *ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 268-9.

[12] ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 11-2.

[13] გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია*, 430-1.

[14] „აბრაჰამ სავანი“, 14.

„საკჳრაოჲს“ გადაწერის თარიღისა და მის ანდერძში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინეს“ ვინაობის საკითხებით რამდენიმე წლის წინ დავინტერესდი, თუმცა ხელნაწერის შესწავლა მხოლოდ 2013 წელს მოვახერხე.

ხელნაწერზე მუშაობამ, პირველ რიგში, მაჩვენა, რომ „საკჳრაოჲს“ ანდერძში მითითებული თარიღის წაკითხვა, ტექნიკური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, არანაირ ეჭვს არ იწვევს: ანდერძის შესაბამისი ფრაგმენტი სრულებით დაუზიანებელია და „ქრონიკონი ოცდაოთხი“, რომელიც, ქრისტეშობიდან 1336 წელს გვაძლევს, გარკვევით იკითხება. გარდა ამისა, ანდერძში თარიღი სიტყვებით არის გადმოცემული და არა რიცხვითი მნიშვნელობის მქონე გრაფემებით (მაგ. „ქრონიკონი კდ (24)“), რაც, გადამწერის მიერ გრაფემების უნებლიედ აღრევისა და ამ მიზეზის გამო, ანდერძში თარიღის შეცდომით მითითების შესაძლებლობას a priori გამორიცხავს.

შედარებით უფრო რთული და წინააღმდეგობრივი სურათი მომცა „საკჳრაოჲს“ ანდერძის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითმა ანალიზმა. როგორც გაირკვა, ხელნაწერის 1336 წლით დათარიღებას ერთი ანგარიშგასაწევი გარემოება ეწინააღმდეგება: ანდერძის მიხედვით, მის ტექსტში მოხსენიებული „მეფე კოსტანტინე“ „საკჳრაოჲს“ გადაწერის დროს ანუ 1336 წელს უეჭველად ცოცხალი იყო, საქართველოს XIV საუკუნის I ნახევრის ისტორია კი სახელ „კონსტანტინეს“ მატარებელ მხოლოდ ერთ მეფეს – დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I-ს იცნობს, რომელიც, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, 1327 წელს ანუ „საკჳრაოჲს“ ანდერძში მითითებულ თარიღზე (1336 წ.) 9 წლით უფრო ადრე გარდაიცვალა.

ამ მნიშვნელოვანი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, საგანგებოდ გავეცანი მთელ იმ არგუმენტაციას, რომელზე დაყრდნობითაც სამეცნიერო ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალება 1327 წლით არის დათარიღებული. აღმოჩნდა, რომ XIX-XXI საუკუნეების უკლებლივ ყველა ის ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი, რომელმაც მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების ფაქტი, პირდაპირ თუ ირიბად, 1327 წლით დაათარიღა, რეალურად, მხოლოდ ერთ წერილობით ძეგლს – ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-45 წლებში შედგენილ „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ეყრდნობოდა, რომელშიც, თავის მხრივ, ორგზის არის აღნიშნული, რომ მეფე კონსტანტინე I 1327 წელს გარდაიცვალა. რაც შეეხება დღეისათვის ცნობილ სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით ძეგლებს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ძეგლები მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების კონკრეტული თარიღის შესახებ არანაირ ცნობებს არ გვაწვდის. მოვიტან ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში დაცულ ცნობებს:

1. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: *„მოკუდა მეფე კოსტანტინეცა ქ(ორონიკონ)სა ჩტკზ* (1327 წ.), *ქარ[თულსა] ᲘᲔ* (15+1312=1327 წ.)“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.).[15]

2. „აღწერა სამეფოსა საქართველოსასთვის“ დართული ქრონოლოგიური ცხრილი: *„[ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი] 1327* (1327 წ.), *[ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი] ᲘᲔ* (15+1312=1327 წ.). *მოკუდა ძე ნარინ დავითისა მ(ე)ფე კოსტანტინე“* (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩემია – თ. ჯ.).[16]

როგორც ვხედავთ, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ დღეისათვის დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების თარიღის შესახებ მხოლოდ ორი წერილობითი ძეგლი გვაწვდის ცნობებს: 1. 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოᲲს“ ანდერძი, რომელიც გვაუწყებს, რომ მეფე კონსტანტინე I 1336 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; და 2. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-45 წლებში შედგენილი თხზულება, რომელიც გვამცნობს, რომ მეფე კონსტანტინე I 1327 წელს გარდაიცვალა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ამ ორი წერილობითი ძეგლის ურთიერთ-გამომრიცხავი ხასიათის ცნობებს შორის რომელს უნდა მიეცეს უპირატე-სობა?

ჩემი დაკვირვებით, ამ შემთხვევაში უპირატესობა ცალსახად „საკჳრაოᲲს“ ანდერძს უნდა მიეცეს. ამგვარი დასკვნისაკენ ორი ძირითადი გარემოება მიბიძგებს: 1. „საკჳრაოᲲს“ ანდერძი განსახილველი მოვლენების თანადროულად არის დაწერილი და სინქრონული პერიოდის წერილობით ძეგლს წარმოადგენს, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება კი, პირიქით, სინქრონული პერიოდის წერილობითი ძეგლი არ არის და ის აღწერილი მოვლენებიდან ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ არის შედგენილი; და 2. „საკჳრაოᲲს“ ანდერძის ცნობის მართებულობაში ეჭვის შეტანისათვის რაიმე საფუძველი, ჯერჯერობით, არ არსებობს, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის შესახებ მოწოდებული ცნობები კი, როგორც ეს სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, მაინცადამაინც სანდო არ არის და ხშირ შემთხვევაში, მცდარია.

ამგვარად, თუ ჩემი მსჯელობა სწორია, გამოდის, რომ „საკჳრაოᲲს“ ანდერძის ცნობა, რომლის თანახმადაც ხელნაწერი 1336 წელს არის გადაწერილი, არათუ წინააღმდეგობაში არ მოდის დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების რეალურ ქრონოლოგიასთან,

---

[15] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 801.

[16] იქვე, 894.

არამედ პირიქით, თავად განსაზღვრავს ამ ისტორიული ფაქტის მართებულ თარიღს.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. აპოკრიფული „საკჳრაოჲს“ ტექსტის შემცველი ეტრატის გრაგნილი (H-1328) 1336 წელს არის გადაწერილი და არა ზოგადად XV საუკუნესა თუ XIV-XV საუკუნეებში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული.

2. 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოჲს“ ანდერძში დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I-ია მოხსენიებული და არა XV საუკუნესა თუ XIV-XV საუკუნეებში მოღვაწე, სახელი „კონსტანტინეს“ მატარებელი სხვა ქართველი მეფე, როგორც ამას ქართველი მკვლევრები აქამდე ფიქრობდნენ.

3. დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I 1336 წლის შემდგომ პერიოდში გარდაიცვალა და არა 1327 წელს, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით, იყო დამკვიდრებული.

2. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების 1336 წლის შემდგომი პერიოდით დათარიღებას საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში არაერთი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური ხასიათის კორექტივი შეაქვს. ამ საკითხებიდან, პირველ რიგში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ქრონოლოგიის საკითხს განვიხილავ.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო 1330 წელს, მეფე კონსტანტინე I-ის უმცროსი ძმის, მეფე მიქელის გარდაცვალების შემდეგ შემოიერთა.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს დაწვრილებით შევისწავლე მთელი ის არგუმენტაცია, რომელზეც აღნიშნული მოსაზრებაა დამყარებული. აღმოჩნდა, რომ განსახილველი მოსაზრება ექვს წერილობით ძეგლზეა დამყარებული. ესენია: 1. სებასტოპოლისის (ცხუმის) კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსის პეტრე გერალდის მიერ კენტერბერის არქიეპისკოპოსისა და ინგლისის სამეფოს სხვა ეპისკოპოსებისათვის გაგზავნილი 1330 წლის ლათინური ეპისტოლე; 2. ვენეციელი მოგზაურის მარინო სანუტო უფროსის

მიერ ოსტიისა და ველეტრის ეპისკოპოსის ბერტრანისათვის გაგზავნილი 1330 წლის ლათინური ეპისტოლე;[17] 3. იმავე მარინო სანუტო უფროსის საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-სათვის გაგზავნილი 1334 წლის ლათინური ეპისტოლე; 4. XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ შედგენილი ე.წ. „ასწლოვანი მატიანე"; 5. ე.წ. „სწავლულ კაცთა კომისიის" მიერ XVIII საუკუნის I მეოთხედში ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანისათვის" ბოლოში დართული ჩანართი-შენიშვნა; და 6. ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ უკვე ნახსენები „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მოვიტან ამ წერილობითი ძეგლების შესაბამის ფრაგმენტებს.

1. ეპისკოპოს პეტრე გერალდის 1330 წლის ეპისტოლე: *„ქრისტეს მამათა შორის პატივცემულო, უფალო კენტერბერის (კენტის) არქიეპისკოპოსო, ღვთის მადლით მთელი ინგლისის სამეფოში უპირველესო, ამ სამეფოს დანარჩენო არქიეპისკოპოსებო და ეპისკოპოსებო! (მოგმართავთ) ამავე სამეფოს თანამოძმე პეტრე, ღვთის ნებით სენასტოპოლისის ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში... ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზადყოფნაშია მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად გასალაშქრებლად. იგი ასე იქცევა: რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა; აქაურ კათოლიკეებს სასაფლაოც მისცა. მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს (ზოგიერთი) ჩვეულებისა (აქ) გარდაცვლილ კათოლიკეს არ ანსხვავებენ სქიზმატიკოსისაგან, მაგრამ (თვით) კათოლიკენი ვერ შეეგუენ სქიზმატიკოსებს და (მიცვალებულებს მათი) სასაფლაოს გარეთ მარხავენ... (მოგმართავთ) თქვენ (დასავლეთის ქრისტიანებო), რომლებიც სტკბებით უზრუნველი კეთილდღეობით, შეიბრალეთ აღმოსავლეთის ქრისტიანები, რომლებიც იჩაგრებიან და (თავიანთ) მძიმე გაჭირვებაზე ტირიან. თქვენთვის ადვილია, რომ ქვეყნიერებიდან სრულიად ამოაგდოთ მაჰმადიანთა და სარკინოზთა მათრახი... დაწერილია ქალაქ სებასტოპოლში, ქვემო საქართველოს სამეფოში, ინგლისის მეფის ს. ედუარდის სახელწოდების დღესასწაულზე. უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს".*[18]

---

[17] მართალია, მარინო სანუტო მოგზაური იყო, მაგრამ იგი საქართველოში არ ყოფილა და ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობებს, სავარაუდოდ, მისიონერების, ვაჭრებისა და გემის მეპატრონეებისაგან აგროვებდა. ვაჟა კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები", *მნათობი*, 3 (1983), 161.

[18] ვაჟა კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ", *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 243 (1983), 101-3. შდრ. ვაჟა კიკნაძე. „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან", *მნათობი*, 9 (1982), 156-7. ლათინური ეპისტოლის ქართული თარგმანი ბეჟან გიორგაძეს, ხოლო ტექსტის დაზუსტება და აღდგენები ფრჩხილებში ვაჟა

2. მარინო სანუტოს 1330 წლის ეპისტოლე: *„არის იქ... აგრეთვე ქართველთა ორი სამეფო, რომელთაც ივარები||იბერები... ეწოდებათ. ისინი თავს უწოდებენ დავითისაგან მომდინარეებს. ისინი ერთგვარად მორჩილებენ სათათრეთს (მაგრამ) მეორე მხრივ, სინამდვილეში არც (ემორჩილებიან მას)“.*[19]

3. მარინო სანუტის 1334 წლის ეპისტოლე: *„არის იქ... აგრეთვე ქართველთა ორი სამეფო, რომელთაც ივარები||იბერები, ხოლო სხვებს გიხები||ზიხები ეწოდებათ. ისინი თავს უწოდებენ დავითისაგან მომდინარეებს. ისინი ერთგვარად მორჩილებენ სათათრეთს (მაგრამ) მეორე მხრივ, სინამდვილეში არც (ემორჩილებიან მას)“.*[20]

4. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“: *„ვითარცა ესმა მამასა მისსა, მეფესა დავითს* (დასავლეთ საქართველოს მეფე დავით VI ნარინი (1249/59-93), *სიკუდილი სასურველისა და ყოველთა მიერ შეყუარებულისა ძისა მისისა ვახტანგისი* (აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ II (1289-92), *უზომოთა ტკივილთა და მწუხარებათა მოიცვეს, რამეთუ შეუძლებელ არს მითხრობად თჳთოეულისა. გარნა ესოდენ მოიცვა მწუხარებამან, რომელ ვერღარა პოვა ლხინება. და შემდგომად მცირეთა წელთა მანცა შეისუენა, პატიოსნითა სიბერითა აღსავსე[მან] და დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდრემე კოსტანტინე, და მეორე მიქელ და უმრწამესი ალექსანდრე, რომელი უშვა დედოფალმან, დიდისა პალიალოღოსის ასულმან კოსტანტინეპოლისამან და საბერძნეთისა მპყრობელ[ისა]მან. ხოლო მიიღო მეფობა კოსტანტინე, პირმშოებისა ძლით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, რომელთა საქმენი არა მოჴსენებულ არიან, და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან. ხოლო ჩუენ პირველივე გზა აღვლოთ მცირედ კერძო გარდამბიჯებელთა“.*[21]

5. „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართი-შენიშვნა: *„ამის გიორგი მეფის ცხოვრება რაც არ სწერია, ამისგან კიდე ვერ ვპოეთ; ესოდენ გვეუწყა: ამის გიორგი მეფის ჟამში ჩინგიზ ყეენთა მტერობა აღუჩნდათ და წახდენ, და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანერთზედ აღდგენ, და რა დრო დაიცა*

კიკნაძეს ეკუთვნის. კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 101.

[19] იქვე, 98. შდრ. კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, 161. ლათინური ეპისტოლის ციტირებული ფრაგმენტის ქართული თარგმანი ვაჟა კიკნაძეს ეკუთვნის. კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 98.

[20] იქვე. შდრ. კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, 161. ლათინური ეპისტოლის ციტირებული ფრაგმენტის ქართული თარგმანი ვაჟა კიკნაძეს ეკუთვნის. კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 98.

[21] ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 295-6.

მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელ[ნ]იც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივ ზედ მოაწვივა და ამოსწყუტა, იმერნი და ამერნი გაიერთა, და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო".[22]

6. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას" I ფრაგმენტი: *„ხოლო შემდგომად მოკუდა კოსტანტინეცა და არა დაუტევა ძე, არცა ასული და დაჯდა მის წილ მეფედ ძმა მისი მიქელ. მოკუდა მიქელცა და დაუტევა ძე ყრმა ბაგრატ. ამან ბაგრატ სიყრმით თჳსით და დაუმორჩილებლობითა მთავართა ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არღარა მოერთნენ ერისთავნი. მაშინ იხილა ესევითარება იმერთა ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და ეზრახა იმერთა. ხოლო ამისთჳს სათნო იჩინეს მათცა მეფობა მისი, ვინაჲთგან განძლიერდებოდა. მერმე შემოიკრიბნა სპანი თჳსნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა სპითა და ამისი მხილველნი იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა. ხოლო ბაგრატ ძე მიქელ მეფისა შეიყვანეს აღმზრდელთა და ერთგულთა მისთა ქუთათისს და განამაგრეს ციხე. მცნობი გიორგი მეფე მოადგა ქუთათისს. მაშინ ბაგრატ ვერღარა წინააღმდგომი და შემჭირვებული რაოდენსამე ჟამსა ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რაჲ ავნოს სიკუდილითა ანუ პატიმრობითა და სცეს სარჩო იმერეთსავე მეფემან, მივიდის წინაშე მისსა და მისცეს ყოველნი ციხენიცა იმერეთისანი მეფესა, ვინაჲთგან მოგცა ღმერთმან ძლევა. ამისმან მსმენელმან მეფემან განიხარა და აღუთქუა ყოველნივე აღსრულებად საწადელნი მისნი. მსმენელი პირისა ამის გამოვიდა ბაგრატ და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველნი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი. ხოლო გიორგი მეფემან პატივ-სცა, ვითარცა მონათესავესა თჳსსა, და შეიწყნარა იგი ფრიად სიყუარულითა და აღიხუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი ქ(ორონიკონ)სა ᲩᲦᲚ* (1330 წ.), *ქართულსა ᲝᲨ* (18+1312=1330 წ.), *და დასხნა ერისთავნი თჳსნი; ხოლო ბაგრატს მისცა საერისთო შორაპნისა და ჰყო მუნ ერისთავად"* (ქარაგმის გახსნა, აქაც და ქვემოთაც, ჩემია – თ. ჯ.).[23]

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას" II ფრაგმენტი: *„და მოკუდა დავით მეფე ქ(ორონიკონ)სა ᲩᲡᲫᲨ* (1293 წ.), *ქარ(თულსა) ᲤᲘᲨ* (513+780=1293 წ.). *და შემდგომად ნარინ მეფისა დაჯდა მეფედ ძე დავითისა უხუცესი კოსტანტინე... ამას კოსტანტინეს წინააღუდგა ძმა თჳსი მიქელ და არა უტევებდა მეფობად და პყრობად იმერეთისა და მიქელ დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგუეთი და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა-*

---

[22] იქვე, 325.

[23] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 257-8.

შლილობა და შფოთი და ჴდომა ურთიერთთა და იყო ოჴრება ქუეყნისა. ამისთჳს შეიჭირვებდენ დიდებულნი ამის სამეფოსანი და ვერა რითა ყვეს ზავი მათ შორის. იხილა დადიანმან გიორგიმ ესევითარება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თჳთ სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და განიმკჳდრეს თჳსად და არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქ(ორონიკონ)სა ჩტკგ (1323 წ.), *ქარ(თულსა) ია* (11+1312=1323 წ.) *და დაჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში. შემდგომად ამ შფოთებასა შინა მოკუდა მეფე კოსტანტინეცა ქ(ორონიკონ)სა ჩტკზ* (1327 წ.). *ქარ(თულსა) იე* (15+1312=1327 წ.)... *და შემდგომად მისა გამეფდა ძმა მისი მიქელ. ამან იღუაწა კუალად შეერთებად და დამორჩილებად პირველისაებრ მათ მთავართა და ერისთავთა. არამედ წართმევითა და ცვალებითა ვერღარა შეუძლო. გარნა დაიმორჩილნა კუალად ხარკის მოცემითა და მოლაშკრედ თჳსად. და სხუასა ვერღარა რაისა ეწია, რამეთუ მოკუდა წელსა ქ(ორონიკონ)სა ჩტკთ* (1329 წ.), *ქარ(თულსა) იზ* (17+1312=1329 წ.). *და ამას მეფესა მიქელს დაშთა ძე მხოლოდ ბაგრატ, რომელსა არა ძალ-ედვა მეფობა სიმცირითა და არცაღა მოერთნენ მთავარნი იგინი წინათქმულნი, არამედ იყო ქუთათისს და მიიტაცებდიან მთავარნი ქუეყანათა და განირყვნებოდიან ყოველნი წესნი იმერთანი. ხოლო განძლიერდა რა ბრწყინვალე გიორგი მეფე, ამან გიორგიმ განხილნა ესევითარნი იმერთა საქმენი, ეზრახა იმერთა მეფობისა თჳსისათჳს. მაშინ იმერნი, ვინაჲთგან შეიწრებულ იყვნენ ჴდომითა და ოჴრებითა და არცა გიორგი იყო შორეული მემკჳდრე იმერეთისა, ამისთჳს მისცეს პირი მტკიცე, ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი მეფემან გიორგი სრულიად ქ(ორონიკონ)სა ჩტლ* (1330 წ.), *ქარ(თულსა) ია* (18+1312=1330 წ.). *და იყო მის ქუეშე და შემდგომად მისთა იყო ერთ სამეფოდ ქართლისა თანა".*[24]

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსასთვის" დართული ქრონოლოგიური ცხრილი: *„[ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1293, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი ფიგ* (513+780=1293 წ.)*]: მ(ე)ფე ნარინ დავით მიიცვალა... [ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1327, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი იე* (15+1312=1327 წ.)*]: მოკუდა ძე ნარინ დავითისა მ(ე)ფე კოსტანტინე და გამ(ე)ფდა ძმა მისი მიქელ იმერეთს. [ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1329, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი იზ* (17+1312=1329 წ.)*]: მოკუდა მ(ე)ფე იმერთა მიქელ და დაუტევა ძე მცირე ბაგრატ. [ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1330, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი ია* (18+1312=1330

[24] იქვე, 801-2.

ნ.)*]: ბრწყინვალემ გიორგი მ(ე)ფ(ემა)ნ იმერეთი დაიჭირა, ქუთათისი აღიღო. ბაგრატ გამოიყვანა“.*[25]

განვიხილოთ სათითაოდ ექვსივე წერილობითი ძეგლის ციტირებულ ფრაგმენტებში დაცული ცნობები. დავიწყოთ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლით. ამ დოკუმენტში დაცული ცნობები, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების კუთხით, საგანგებოდ შეისწავლა ვაჟა კიკნაძემ. მკვლევარმა თავდაპირველად ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეპისტოლეში „ქართველთა ორი სამეფოა“ მოხსენიებული და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეპისკოპოსი პეტრე გერალდი ამ ფრაზას არა პოლიტიკური, არამედ გეოგრაფიულ-ეთნიკური შინაარსით იყენებდა: „ეპისკოპოსი პეტრე გერალდი ერთგან ასახელებს ქართველთა ორ სამეფოს („ქართველთა ორი სამეფოს ზოგიერთი...“). ეს თითქოს უარყოფს ვახუშტის ცნობას საქართველოს გაერთიანების შესახებ. მაგრამ თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ ამ ცნობას, მაშინ სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვახუშტის მიხედვით საქართველოს გაერთიანება სწორედ 1330 წელს მოხდა... ასე, რომ ტრადიციული წარმოდგენა საქართველოს ორ სამეფოდ დაყოფის შესახებ მაშინვე ვერ აღმოიფხვრებოდა. აქ, როგორც ქვემოთ გახდება ნათელი, უნდა ვიგულისხმოთ გეოგრაფიულ-ეთნიკური და არა პოლიტიკური შინაარსი“.[26]

ციტირებული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ ვაჟა კიკნაძემ ყურადღება უკვე ეპისტოლის იმ ფრაგმენტზე გაამახვილა, რომელშიც ეპისკოპოსი პეტრე გერალდი აღნიშნავს, რომ „ამ ქვეყნის მბრძანებელი მთელი საქართველოს მხედართმთავარიც არის“. მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეპისტოლის ავტორი აქ გულისხმობდა ცნობილ ისტორიულ პირს, „ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელს“ მამია დადიანს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს გიორგი V ბრწყინვალეს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს შემოერთების შემდეგ, ამირსპასალარად უნდა დაედგინა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს მხედართმთავრად უნდა განეწესებინა. საბოლოოდ, ვაჟა კიკნაძემ, მის მიერ გამოთქმულ, ზემოთ ციტირებულ ორ მოსაზრებაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლე კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ დაცული იმ ცნობის მართებულობას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველოს სამეფო 1330 წელს შემოიერთა: „პეტრე გერალდი ერთგან ასე აღნიშნავს: „ამ

---

[25] იქვე, 894.

[26] კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 98.

ქვეყნის ბრძანებელი მთელი საქართველოს მხედართმთავარიც არის“-ო (qui est princeps militiae in tota Georgiania). უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში ნახმარი ლათინური სიტყვა Princeps ფართო მნიშვნელობისაა და ნიშნავს, როგორც წინამძღოლს, ბელადს, მბრძანებელს, ასევე მეფესაც. ამგვარად, აქ შეგვეძლო გვეგულისხმა მთლიანი საქართველოს მეფე – ე. ი. გიორგი V (1318-46); მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე, რადგან წერილში მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე და სოხუმზეა ლაპარაკი, უფრო სწორი ჩანს ამ ტერმინში (Princeps) „მეფე“ კი არა, „მბრძანებელი“ ვიგულისხმოთ. წერილის თარგმანშიც ეს ტერმინი ვამჯობინეთ. რაც შეეხება „ამ ქვეყანას“ ე.ი. დასავლეთ საქართველოს მბრძანებლის ვინაობას, უნდა ვიფიქროთ, აქ იგულისხმება ცხუმის საერისთაოსა და ოდიშის მფლობელი მამია დადიანი, რომელიც ვახუშტის ცნობით 1323-დან 1345 წლამდე მთავრობს... ჰეიდის (იგულისხმება ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის პირველმკვლევარი ვილჰელმ ჰეიდი – თ. ჯ.) აზრითაც აქ მამია დადიანი იგულისხმება... მაგრამ საინტერესოა, რომ ამავე დროს იგი მთელი საქართველოს მხედართმთავარიც ყოფილა, ანუ ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ტერმინოლოგიით – ამირსპასალარი. ეს კი ჩვენთვის უცნობი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტია. უცნობი იმიტომ, რომ ვახუშტის მიხედვით ამ პერიოდში ამირსპასალარობა ჯაყელთა გვარშია. XIV ს. 20-იან წლების ბოლოს, მისი სიტყვით, გიორგი V-მ, ამირსპასალარობა სარგის ჯაყელს მიუბოძა. ვახუშტის მიხედვით, ისე გამოდის, რომ ეს სახელო სარგისს გარდაცვალებამდე (1334 წ.) ჰქონდა, რაც წინააღმდეგობაშია ჩვენი წყაროს ცნობასთან. მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ვახუშტის მიხედვით 1334 წელს, სარგისის სიკვდილის შემდეგ, მის ძეს ყვარყვარეს, გიორგი V-მ მხოლოდ ათაბაგობა უბოძა... გარდა ამისა, უთუოდ უნდა გაესვას ხაზი შემდეგ გარემოებას: სახელდობრ, თუ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარის ძლიერი და თითქმის დამოუკიდებელი მმართველი – სამეფო კარის ამირსპასალარის წოდებას ატარებს, ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ვახუშტის ცნობის სიმართლეს იმის შესახებ რომ 1330 წელს გიორგი V-მ დასავლეთ საქართველო შემოიერთა და დასავლეთ საქართველოს სხვა განმგებლებთან ერთად მას „მოერთო ნიჭითა დიდითა დადიანი მამია“... ჩანს მამია დადიანს (ფორმალურად მაინც) მეფის ვასალად უღიარებია თავი და სანაცვლოდ მეფემ მას ამირსპასალარის სახელო უბოძა“.[27]

როგორც ვხედავთ, ვაჟა კიკნაძის მიერ შემოთავაზებული საბოლოო დასკვნა, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის შედგენის დროს ანუ 1330 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები უკვე ერთ

---

[27] იქვე, 98-9. შდრ. ვაჟა კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989), 103-4.

სახელმწიფოდ იყო გართიანებული, რეალურად, მკვლევრის მიერ გამოთქმულ ორ მოსაზრებაზეა დამყარებული: 1. ეპისტოლეში დადასტურებული ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“ არა პოლიტიკურ, არამედ გეოგრაფიულ-ეთნიკურ შინაარს ატარებს; და 2. ეპისტოლეში დაცული ცნობა, რომ „ამ ქვეყნის მბრძანებელი“ ანუ „ცხუმის საერისთაოსა და ოდიშის მფლობელი“ მამია დადიანი, იმავდროულად, „მთელი საქართველოს მხედართმთავარი“ ანუ ამირსპასალარიც იყო.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მე განსხვავებული მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში დაცული ცნობების თანახმად, 1330 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით არსებობდა.

დავიწყოთ იმით, თუ რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში დადასტურებულ ფრაზას „ქართველთა ორ სამეფოს“ არა პოლიტიკური, არამედ გეოგრაფიულ-ეთნიკური შინაარსი აქვს. ჩემი დაკვირვებით, ეპისტოლეს ტექსტი უფრო იმ მოსაზრებისაკენ გვიბიძგებს, რომ კათოლიკე მღვდელთმთავარმა განსახილველი ფრაზა პოლიტიკური მნიშვნელობით გამოიყენა. მართლაც, ეპისკოპოს პეტრე გერალდმა წერილის ძირითად ტექსტში ჯერ ზოგადად დაასახელა „ქართველთა ორ სამეფო“ ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები, ხოლო ეპისტოლეს ბოლო ნაწილში კონკრეტულადაც მიუთითა, რომ მან წერილი ამ ორი სახელმწიფოდან ერთ-ერთში – „ქვემო საქართველოს სამეფოში“, იგივე დასავლეთ საქართველოს სამეფოში დაწერა.

თუმცა, მეორე მხრივ, ვინაიდან, ეპისტოლის განსახილველი ფრაზის გააზრება, ძირითადად, მაინც მკვლევრის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, ჩემი მოსაზრების მართებულობის კატეგორიული მტკიცებისაგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ და აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში დადასტურებული ორი ფრაზის – „ქართველთა ორი სამეფოსა“ და „ქვემო საქართველოს სამეფოს“ გააზრება, როგორც გეოგრაფიულ-ეთნიკური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობით, თანაბარი წარმატებით არის შესაძლებელი.

შესაბამისად, იმისათვის, რათა ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში მოტანილი ორი ფრაზის – „ქართველთა ორი სამეფოსა“ და „ქვემო საქართველოს სამეფოს“ აზრობრივი მნიშვნელობა საბოლოოდ გავარკვიოთ, საჭირო, ამავე ეპისტოლეში დაცული სხვა ცნობებიც გავაანალიზოთ და ამ ანალიზის საფუძველზე, განსახილველი ფრაზების ორი შესაძლო ინტერპრეტაციიდან ერთ-ერთის მართებულობა არგუმენტირებულად დავადასტუროთ.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა კიკნაძემ აღნიშნული გარემოება იმთავითვე გაითვალისწინა, მის მიერ გამოთქმული პირველი მოსაზრების შემაგრება დამატებითი არგუმენტაციის მოტანით სცადა და ამ მიზნით, ყურადღება მიაქცია ეპისტოლის იმ ფრაგმენტს, რომელშიც ეპისკოპოს პეტრე გერალდის მიერ ნახსენები „ამ ქვეყნის მბრძანებელი", იმავდროულად, „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავრადაც" არის მოხსენიებული. მკვლევარმა ეს, სახელის გარეშე მოხსენიებული „მბრძანებელი", XIX საუკუნის უცხოელი მკვლევრის ვილჰელმ ჰეიდის მსგავსად, „ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელ" დიდ ლიხთიმერელ ფეოდალთან, მამია დადიანთან გააიგივა, ამ უკანასკნელის „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავრობა" საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ამირსპასალარობის მნიშვნელობით გაიაზრა და გამოთქვა მოსაზრება, რომ მამია დადიანს ეს სახელო აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველოს სამეფოს შემოერთების შემდეგ უბოძა.

ვაჟა კიკნაძის მიერ მოტანილი მსჯელობა, ერთი შეხედვით, სავსებით მართებული და მისაღებია. თუმცა, დამატებითი მასალის შესწავლა აჩვენებს, რომ 1330 წელს მამია დადიანი, მკვლევრის მოსაზრების საპირისპიროდ, საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ამირსპასალარი ვერანაირად ვერ იქნებოდა.

სწორედ ამგვარი დასკვნისაკენ მიბიძგებს 1323 და 1337 წლებში გადაწერილი ორი სომხური ხელნაწერი სახარების (?) ანდერძები (ჰიშატაკარანები), რომლებიც ერთხმად გვაუწყებს, რომ მათი დაწერის დროს ანუ 1323 წლიდან 1337 წლამდე პერიოდში, „საქართველოსა და დიდ სომხეთში მეფე გიორგის" ანუ მეფე გიორგი V ბრწყინვალის მმართველობის ჟამს, „სომეხთა და ქართველთა დიდი მხედარმთვარისა" და „სპასპეტის" ანუ ამირსპასალარის სახელოს ბურთელ ორბელიანი ფლობდა.

1. 1323 წლის სახარების ანდერძი: *„...[წიგნი დავაწერინე] იაფეტური წელთაღრიცხვის „ჩჰბ"-ს (1323), დიდი თვითმპყრობელის, [ა]ბუსაიდად სახელდებული ხანის მიერ ქვეყნის ფლობისას, სომხებზე კილიკიის ტახტზე მჯდომი ლევონის, საქართველოსა და დიდ სომხეთში მეფე გიორგის მეფობისას, სიუნიქში დიდი ერისთავთა მთავრის, ყოვლად ღვთისმსახური, მამაცი და მარად ძლევამოსილი ბურთელის განმგებლობისას... დაიწერა ეს [წიგნი] სიუნიქის გავარში, ვიწრო სადგომში, ზემოაღნიშნული დიდი ერისთავთა მთავრისა და ძლევამოსილი სპასპეტის ბურთელის მთავრობისა და განმგებლობისას..."*[28]

---

[28] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები*

2. 1337 წლის სახარების (?) ანდერძი: *„...[წიგნი დაიწერა] სისაკანში სომეხთა და ქართველთა დიდი მხედართმთავრის, მეფური წარმომავლობის მთავრის ბურთელის მბრძანებლობისას, აგრეთვე მისი ნათელმოსილ, ძოწითშობილ, ახოვან, გმირ ნაშიერთა ბეშქენისა და ივანეს [განმგებლობისას], რომელნიც ყოველმხრივ გავდნენ ღვთისმსახურ მამას, სახელდობრ, სიბრძნითა და ქვეყნისა და ლაშქრის წინამძღოლობით, აგრეთვე სამეფო კარზე დაწინაურებითა და განდიდებით, რამეთუ პატივი მიაგო მათ უფალმა“.*[29]

როგორც ვხედავთ, სომხური ხელნაწერი წიგნების ციტირებული ანდერძებიდან ირკვევა, რომ 1323 წლიდან 1337 წლამდე პერიოდში, უფრო ზოგადად კი, 1320-30-იან წლებში მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელმწიფოში, რომელშიც ან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ან კიდევ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო უნდა ვიგულისხმოთ, ამირსპასალარის სახელოს სივნიელი ორბელიანების ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბურთელ ორბელიანი ფლობდა და არა „ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის მფლობელი“ მამია დადიანი, როგორც ამას ვაჟა კიკნაძე ფიქრობდა.[30]

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სრულიად აშკარაა, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში დადასტურებული ტერმინი „მთელი საქართველო“, რომლის „ჯარის მხედართმთავარიც“ 1330 წელს ვინმე ლიხთიმერელი „მბრძანებელი“ იყო, უეჭველად დასავლეთ საქართველოს სამეფოს გულისხმობდა, ვინაიდან იმავე 1330 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში (თუკი ეს სახელმწიფო 1330 წელს ჯერ კიდევ არსებობდა) ან საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში (თუკი ეს სახელმწიფო 1330 წელს უკვე შექმნილი იყო) ამირსპასალარის თანამდებობა სულ სხვა ისტორიულ პირს, ბურთელ ორბელიანს ეკავა. შესაბამისად, განსახილველ 1330 წელს ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში მოხსენიებული ლიხთიმერელი „მბრძანებელი“ ვერც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოსა და ვერც საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ამირსპასალარი ვერ იქნებოდა და იგი მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სამეფოს ჯარის მხედართმთავარი შეიძლება ყოფილიყო.

საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ (თბილისი, 1978), 20.

[29] იქვე, 23-4.

[30] საგულისხმოა, რომ ქართველ მკვლევრებს ამირსპასალარის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას 1323 და 1337 წლების სომხური სახარებების ანდერძებში დაცული ცნობებისათვის აქამდე ყურადღება არ მიუქცევიათ. შესაბამისად, ბურთელ ორბელიანის სახელი, რომელიც, ამირსპასალარის თანამდებობას, დაახლოებით 1320-30-იან წლებში ფლობდა, ამირსპასალართა დღეისათვის დადგენილ არც ერთ ქრონოლოგიურ რიგში შეტანილი არ არის.

ცალკე მსჯელობის საგანია ის საკითხი, თუ რატომ მოიხსენია ეპისკოპოსმა პეტრე გერალდმა თავის ეპისტოლეში დასავლეთ საქართველოს სამეფო „მთელ საქართველოდ“, ხოლო დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარი „მთელი საქართველოს მხედართმთავრად“. ჩემი დაკვირვებით, კათოლიკე მღვდელთმთავარი, რომლის მდგომარეობაც მთლიანად ხსენებული ლიხთიმერელი „მბრძანებლის“ კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, ამ უკანასკნელის რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ სტატუსსა და შესაძლებლობებს მიზანმიმართულად განადიდებდა და აზვიადებდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ლიხთიმერელი „მბრძანებლის“ განდიდება-გაზვიადების სურვილით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ეპისტოლეში, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც დასავლეთის ქრისტიანების მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოწოდება იყო, ქართული სახელმწიფოს პირველი პირი – მეფე საერთოდ არ არის ნახსენები და იმავდროულად, საქართველოს მხრიდან ჯვაროსნული ლაშქრობაში მონაწილეობის უმთავრეს ინიციატორად და მთელი ქართული ჯარის მხედართმთავრად ვინმე ლიხთიმერელი „მბრძანებელია“ დასახელებული: *„ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, მზადყოფნაშია მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად გასალაშქრებლად“*. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკვნი, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ცნობა, რომ ეპისტოლეში მოხსენიებული ლიხთიმერელი „მბრძანებელი“ 1330 წელს „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარი“ იყო, საკმაოდ გადაჭარბებულია: ეს უკანასკნელი, რეალურად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ჯარის მხედართმთავარი იყო და მისი იურისდიქცია აღმოსავლეთ საქართველოს ჯარზე არ ვრცელდებოდა, რომელსაც 1330 წელს მეფე გიორგი V ბრწყინვალის ერთ-ერთი ვაზირი, ამირსპასალარი ბურთელ ორბელიანი ხელმძღვანელობდა.

მაშასადამე, ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის განხილული ფრაგმენტის დეტალური ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს ფრაგმენტი, სინამდვილეში, იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ 1330 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები უკვე ერთ სახელმწიფოდ იყო გაერთიანებული, არამედ, ამის საწინააღმდეგოდ, გვაუწყებს, რომ 1330 წელს ეს სამეფოები ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული, ისინი კვლავინდებურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით არსებობდა და თითოეულ მათგანს საკუთარი სამხედრო საქმეთა განმგე ვაზირი ჰყავდა: აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს – ამირსპასალარი ბურთელ ორბელიანი, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამეფოს – ეპისტოლეში სახელის გარეშე მოხსენიებული ლიხთიმერელი „მბრძანებელი“.

მიღებული დასკვნის შემდეგ, ვფიქრობ, შემიძლია, თამამად დავუბრუნდე იმ საკითხს, თუ სახელდობრ რა მნიშვნელობით გამოიყენა ეპისკოპოსმა პეტრე გერალდმა თავის ეპისტოლეში ფრაზები – „ქართველთა ორი სამეფო“ და „ქვემო საქართველოს სამეფო“. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ეს ორი ფრაზა თანაბარი წარმატებით შეგვიძლია გავიაზროთ როგორც გეოგრაფიულ-ეთნიკური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობით. ამასთან, იქვე, დამატებით შევნიშნე ისიც, რომ განსახილველი ფრაზების ორი შესაძლო ინტერპრეტაციიდან ერთ-ერთის მართებულობის სამტკიცებლად აუცილებელია, ეს მტკიცება ეპისტოლეში დაცული სხვა ცნობების ანალიზის შედეგებით იყოს არგუმენტირებული. ახლა, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის ბოლოს განხილული ფრაგმენტის თანახმად, 1330 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული, ავტომატურად ირკვევა ისიც, რომ კათოლიკე მღვდელთმთავარმა თავისი ეპისტოლის სხვა ფრაგმენტებში ფრაზები – „ქართველთა ორი სამეფო“ და „ქვემო საქართველოს სამეფო“ ცალსახად პოლიტიკური მნიშვნელობით გამოიყენა და არა გეოგრაფიულ-ეთნიკური მნიშვნელობით, როგორც ამას ვაჟა კიკნაძე ფიქრობდა.

ამგვარად, დგინდება, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის 1330 წლის ეპისტოლეში დაცული ცნობების მიხედვით, ეპისტოლის შედგენის დროს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული და ისინი კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით არსებობდა.

პეტრე გერალდის ეპისტოლის განხილვის შემდეგ მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპისტოლეების განხილვაზე გადავალ. ამ ეპისტოლეებში, ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის მსგავსად, „ქართველთა ორი სამეფოა“ მოხსენიებული: 1330 წლის ეპისტოლე – *„არის იქ... აგრეთვე ქართველთა ორი სამეფო, რომელთაც ივარები... ეწოდებათ. ისინი თავს უწოდებენ დავითისაგან მომდინარეებს“*; და 1334 წლის ეპისტოლე: *„არის იქ... აგრეთვე ქართველთა ორი სამეფო, რომელთაც ივარები, ხოლო სხვებს გიხები ეწოდებათ. ისინი თავს უწოდებენ დავითისაგან მომდინარეებს“*.

მარინო სანუტოს ცნობები, ისევე როგორც ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში დაცული ცნობები, საგანგებოდ განიხილა ვაჟა კიკნაძემ. მკვლევარმა, ამჯერადაც, გამოთქვა მოსაზრება, რომ ვენეციელმა მოგზაურმა ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“, ეპისკოპოს პეტრე გერალდის მსგავსად, ტრადიციულ-გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოიყენა: „მარინო სანუტოს წერილი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს. საყურადღებოა, რომ ამ წერილში საქართველოს ორი სამეფოა დასახელებული. ვახუშტი

ბაგრატიონის და ქართლის ცხოვრების ერთი ჩანართ-შენიშვნის მიხედვით კი, ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ ხანებში ამერ-იმერი გაერთიანდა. ამგვარად, აქ თითქოს წინააღმდეგობას ვაწყდებით. სინამდვილეში, ვფიქრობთ, აქ საქმე შემდეგნაირად აიხსნება. ჯერ ერთი, მ. სანუტო, 1330 წელს (1334 წ. წერილი პირველის სიტყვასიტყვითი გამეორებაა) ერთბაშად ვერ შეიტყობდა საქართველოს გაერთიანებას, მით უფრო, თუ საქართველოში თვითონ არც ყოფილა. მეორეც, აქ სანუტო უნდა გულისხმობდეს საქართველოს ტრადიციულ, გეოგრაფიულ და არა პოლიტიკურ დაყოფას. ამას მოწმობს მის მიერ ნახმარი ფრაზა, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს იბერია ეწოდება, დასავლეთს კი – ჯიქეთი (აფხაზეთი)“.[31]

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც ეპისკოპოსი პეტრე გერალდის ეპისტოლის შემთხვევაში, განსხვავებული მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ ვენეციელმა მოგზაურმა თავის ეპისტოლეებში ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“ არა ტრადიციულ-გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობით გამოიყენა. ჩემი დაკვირვებით, სწორედ ამგვარი მოსაზრებისაკენ უნდა გვიბიძგებდეს მარინო სანუტოს ეპისტოლეების ის ფრაგმენტი, რომელშიც, „ქართველთა ორ სამეფოზე“ საუბრის კონტექსტში, აღნიშნულია, რომ „ისინი“ საკუთარ თავს ბიბლიური მეფე დავითის ჩამომავლებად მიიჩნევენ: *„ისინი თავს უწოდებენ დავითისაგან მომდინარეებს“*. ჩემი დაკვირვებით, ვენეციელი მოგზაური მესამე პირის ნაცვალსახელის „ისინი“-ს ქვეშ არა ზოგადად ქართველებს, არამედ კონკრეტულად, ქართველ ბაგრატიონ მეფეებს უნდა გულისხმობდეს, რომლებიც, ტრადიციულად, სწორედ ბიბლიური მეფე დავითის ჩამომავლებად ითვლებოდნენ. თუ ჩემი ეს დაკვირვება სწორია და თან მარინო სანუტოს ეპისტოლეებში „დავითისაგან მომდინარე“ ქართველი მეფეების მრავლობით რიცხვში მოხსენიებაც („ისინი“) შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ, შეგვძლია დავუშვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ ვენეციელი მოგზაურის ეპისტოლეებში, ერთდროულად ორი ქართველი ბაგრატიონი ხელმწიფე, ერთი მხრივ, „ივარების სამეფოს“ ანუ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, ხოლო, მეორე მხრივ, „გიხების სამეფოს“ ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეა მოხსენიებული; ამ ვარაუდზე დაყრდნობით კი, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპისტოლეების მიხედვით, ამ პერიოდში აღმოსავლეთ და საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული.

მეორე მხრივ, ვინაიდან ჩემი ვარაუდი მარინო სანუტოს ეპისტოლეებში

---

[31] კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, 162. შდრ. კიკნაძე, „ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ“, 98.

ერთდროულად ორი ბაგრატიონი მეფის მოხსენიების შესახებ, მისი ჰიპოთეტური ხასიათის გამო, მაინცადამაინც მყარი არგუმენტი არ არის, თავად ეპისტოლეებში დადასტურებული ფრაზის „ქართველთა ორი სამეფოს“ გააზრება კი, ძირითადად, მაინც მკვლევრის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, ამ მოსაზრების მართებულობის კატეგორიული მტკიცებისაგან, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ და მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპისტოლეების ფრაზის „ქართველთა ორი სამეფოს“ გააზრება, როგორც გეოგრაფიულ-ეთნიკური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობით, თანაბარი წარმატებით არის შესაძლებელი.

ამგვარად, დგინდება, რომ მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპისტოლეებში დაცული ცნობები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის განსასაზღვრად არ გამოდგება, ვინაიდან ამ ცნობების ორი შესაძლო ინტერპრეტაციიდან ერთი რომელიმესათვის უპირატესობის მიცემა, შესაბამისი საკონტროლო მასალის არარსებობის გამო, ჯერჯერობით, შეუძლებელია.

XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ შედგენილი „ასწლოვანი მატიანე“, ეპისკოპოს პეტრე გერალდის 1330 წლისა და მარინო სანუტოს 1330-1334 წლების ეპისტოლეების მსგავსად, სინქრონული ხასიათის წერილობით ძეგლს წარმოადგენს, თუმცა ის, ისევე როგორც ხსენებული ლათინური ეპისტოლეები, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ რაიმე პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის. აღნიშნულ ნაკლოვანებას ერთგვარად ავსებს ჟამთააღმწერლის მოკლე მონათხრობი, რომელიც „ასწლოვან მატიანეში“ 1290-იანი წლების მოვლენებს შორის, წინმსწრებად, არის ჩართული და რომლიდანაც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ისა და მისი უმცროსი ძმის მიქელის გარდაცვალების დროისათვის დასავლეთ საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მოვიტან ჟამთააღმწერლის მონათხრობის ძირითადი თეზების ჩამონათვალს მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით:

1. აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვახტანგ II-ის უეცარი გარდაცვალება.

2. „მცირედთა წელთა შემდგომად“ მეფე ვახტანგ II-ის მამის, დასავლეთ საქართველოს მეფის დავით VI ნარინის გარდაცვალება.

3. დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე მეფე დავით VI ნარინის მეორე ვაჟის, მეფე კონსტანტინე I-ის ასვლა.

4. მეფე დავით VI ნარინის მესამე ვაჟის, მიქელის მიერ უფროსი ძმის, მეფე კონსტანტინე I-ის წინააღმდეგ გამოსვლა და რაჭასა და არგვეთში გაბატონება.

5. მეფე კონსტანტინე I-ისა და მიქელის ხანგრძლივი ურთიერთდაპირის-პირება.

6. მეფე კონსტანტინე I-ისა და მიქელის გარდაცვალება.

ამგვარად, დგინდება, რომ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის და მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ მეფე კონსტანტინე I-ისა და მისი ძმის მიქელის გარდაცვალების დროისათვის დასავლეთ საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო.

„სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანისათვის“ დართული ჩანართი-შენიშვნა, რომელიც XVIII საუკუნის I მეოთხედში ანუ განსახილველი მოვლენებიდან, დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ არის შედგენილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ მეტისმეტად ზოგადი ხასიათის ცნობას გვაწვდის. ეს ჩანართი-შენიშვნა, რომლის პირველწყაროც, ჯერჯერობით, დაუდგენელია, გვამცნობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ ხელსაყრელი საშინაო და საგარეო ფაქტორებით, მათ შორის, დასავლეთ საქართველოს მეფე დავით VI ნარინის შვილებს შორის ატეხილი ბრძოლითაც, ისარგებლა და „რა დაიცა დრო“, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა: *„ამის გიორგი მეფის ცხოვრება რაც არ სწერია, ამისგან კიდე ვერ ვპოეთ; ესოდენ გვეუწყა: ამის გიორგი მეფის ჟამში... იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანერთ ზედ აღდგენ, და რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ... იმერნი და ამერნი გაიერთა, და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო“.*

როგორც ვხედავთ, „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართ-შენიშვნაში არათუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების დრო არ არის პირდაპირ მითითებული, არამედ მისი ტექსტიდან გარკვევით ისიც კი არ ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველოს სამეფო მეფე დავით VI ნარინის შვილების ანუ მეფე კონსტანტინე I-ისა და მისი ძმის მიქელის სიცოცხლეში შემოიერთა თუ მათი გარდაცვალების შემდეგ.

ამგვარად, დგინდება, რომ „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართი-შენიშვნა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის და მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ამ ისტორიულ მოვლენას აღმოსავლეთ საქართველოს მეფის გიორგი V ბრწყინვალის სიცოცხლეში ჰქონდა ადგილი.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც,

1742-45 წლებში ანუ განსახილველი მოვლენებიდან, „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართი-შენიშვნის მსგავსად, დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ არის შედგენილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების თარიღს პირდაპირ გვაუწყებს და გვამცნობს, რომ ამ ისტორიულ მოვლენას 1330 წელს ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, ვახუშტი ბაგრატიონი დამატებით, რამდენიმე ისეთი მოვლენის ზუსტ თარიღსაც გვაწვდის, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების ფაქტს ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა. მოვიტან ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში დაცული შესაბამისი ქრონოლოგიურ-ფაქტოლოგიური მონაცემების ჩამონათვალს:

1. 1393 წელი – დასავლეთ საქართველოს მეფის დავით VI ნარინის გარდაცვალება და სამეფო ტახტზე მისი მეორე ვაჟის, კონსტანტინე I-ის ასვლა.

2. მეფე დავით VI ნარინის მესამე ვაჟის, მიქელის მიერ უფროსი ძმის, მეფე კონსტანტინე I-ის წინააღმდეგ გამოსვლა და რაჭაში, ლეჩხუმსა და არგვეთში გაბატონება.

3. მეფე კონსტანტინე I-ისა და მიქელის ხანგრძლივი ურთიერთ-დაპირისპირება (ბრძოლა, დაზავების უშედეგო მცდელობები, ბრძოლა და ა. შ.).

4. 1327 წელი – დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალება და სამეფო ტახტზე მისი უმცროსი ძმის მიქელის ასვლა.

5. 1329 წელი – დასავლეთ საქართველოს მეფის მიქელის გარდაცვალება და ლიხთიმერელი დიდებულების მიერ მისი ვაჟის ბაგრატის მეფედ ცნობაზე უარის თქმა.

6. 1329 წელი – დასავლეთ საქართველოს მეფის მიქელის გარდაცვალება და ლიხთიმერელი დიდებულების მიერ მისი ვაჟის ბაგრატის მეფედ ცნობაზე უარის თქმა.

7. 1330 წელი – აღმოსავლეთ საქართველოს მეფის გიორგი V ბრწყინვალის დასავლეთ საქართველოში გადასვლა, ქუთაისის ციხეში გამაგრებული ბაგრატ მიქელის ძის მიერ მისთვის მორჩილების გამოცხადება და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანება.

ამგვარად, დგინდება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი წერილობითი ძეგლია, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების თარიღს პირდაპირ გვამცნობს და გვაუწყებს, რომ ეს ისტორიული ფაქტი 1330 წელს მოხდა.

ჩემი დაკვირვებით, დღეიდან ზემოთ განხილულ ექვს წერილობით

ძეგლს კიდევ ერთი წერილობითი ძეგლი – აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოჲს“ ანდერძი უნდა დაემატოს. მართალია, „საკჳრაოჲს“ ანდერძში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების თარიღი პირდაპირ არის მითითებული, მაგრამ, სამაგიეროდ, მის ტექსტში დაცულია ერთი ძვირფასი ცნობა, რომელსაც განსახილველი საკითხის გარკვევისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ანდერძში აღნიშნულია, რომ „საკჳრაოჲს“ გადაწერის დროს ანუ 1336 წელს „მეფე კოსტანტინე“ ანუ დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: *„დაიწერა ქრონიკონსა ოცდაოთხსა* (1336 წ.), *მეფობასა ღმრთივ გჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა“*. იმავდროულად, ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ცნობით, მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების დროისათვის დასავლეთ საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. შესაბამისად, თუკი „საკჳრაოჲს“ ანდერძისა და ჟამთააღმწერლის ამ ცნობებს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების ფაქტს 1336 წლის შემდგომ ხანებში ჰქონდა ადგილი.

მაშასადამე, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ პირდაპირ ცნობასა თუ ირიბ მითითებას სულ შვიდი ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლი გვაწვდის. თავად ეს შვიდი წერილობითი ძეგლი, მათი ცნობების გათვალისწინებით, სამ ნაწილად იყოფა:

1. წერილობითი ძეგლების I ნაწილს მხოლოდ ერთი ძეგლი – ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-45 წლებში შედგენილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მიეკუთვნება, რომელიც გვაუწყებს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ 1330 წელს გაერთიანდა.

2. წერილობითი ძეგლების II ნაწილს ორი ძეგლი – აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოჲს“ ანდერძი და ჟამთააღმწერლის მიერ XIV საუკუნეში შედგენილი „ასწლოვანი მატიანე“ მიეკუთვნება, რომელთა ცნობების შეპირისპირება აჩვენებს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ 1336 წლის შემდგომ ხანებში გაერთიანდა.

3. წერილობითი ძეგლების ბოლო, III ნაწილს ოთხი ძეგლი – ეპისკოპოს პეტრე გერალდის მიერ 1330 წელს შედგენილი ეპისტოლე, მარინო სანუტოს მიერ 1330 და 1334 წლებში დაწერილი ორი ეპისტოლე და „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ XVIII საუკუნის I მეოთხედში შედგენილი ჩანართი-შენიშვნა

მიეკუთვნება. ეს წერილობითი ძეგლები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების დროის შესახებ იმდენად ზოგად ცნობებს გვაწვდის, რომ ეს ცნობები, განსახილველი მოვლენის როგორც 1330 წლით, ისე 1336 წლის შემდგომი ხანებით დათარიღებას აბსოლუტურად თანაბარი წარმატებით უჭერს მხარს:

ა) ეპისკოპოს პეტრე გერალდის 1330 წლის ეპისტოლე გვაუწყებს, რომ მისი შედგენის დროს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეპისტოლე ცალსახად „საკჳრაოჱს“ ანდერძისა და ჟამთააღმწერლის ცნობების მართებულობას ადასტურებს, რომელთა მიხედვითაც, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები 1336 წელს კვლავინდებურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო. თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანება ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის დაწერის თანადროულად ანუ 1330 წელს მოხდა. შესაბამისად, თუკი დავუშვებთ, რომ 1330 წელს მომხდარი ამ ორი მოვლენიდან ერთ-ერთი, ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლის შედგენა, მეორე მოვლენას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას რამდენიმე თვით უსწრებდა წინ, მაშინ გამოვა, რომ ეპისტოლე უკვე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას უჭერს მხარს.

ბ) მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპისტოლეების ცნობების გააზრება ორგვარად არის შესაძლებელი: 1. ეპისტოლეების დაწერის დროს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო და ამიტომ ვენეციელმა მოგზაურმა მათ მიმართ პოლიტიკური შინაარსის მქონე ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“ გამოიყენა; და 2. ეპისტოლეების შედგენის ჟამს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები უკვე გაერთიანებული იყო და მათ მიმართ მარინო სანუტომ ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“ გეოგრაფიულ-ეთნიკური შინაარსით გამოიყენა. ამ ინტერპრეტაციებს, მოცემულ ვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან პირველი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, გამოდის, რომ ეპისტოლეები „საკჳრაოჱს“ ანდერძისა და ჟამთააღმწერლის ცნობების მართებულობას ადასტურებს, ხოლო, მეორე ინტერპრეტაციის შემთხვევაში, გამოდის, ეპისტოლეები უკვე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას უჭერს მხარს.

გ) „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართი-შენიშვნის ცნობით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ მეფე გიორგი

V ბრწყინვალემ გააერთიანა. იმავდროულად, ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ მეფე გიორგი V ბრწყინვალე 1346 წელს გარდაიცვალა. შესაბამისად, თუ ამ ორ ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიურ მონაცემს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მეფე გიორგი V ბრწყინვალეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება 1346 წლამდე შეეძლო. ანუ გამოდის, რომ „სწავლულ კაცთა კომისიის“ ჩანართი-შენიშვნა თანაბარი წარმატებით უჭერს მხარს, ერთი მხრივ, „საკჳრაოᲲს“ ანდერძისა და ჟამთააღმწერელის ცნობებს, რომელთა თანახმადაც გაერთიანება 1336 წლის შემდგომ პერიოდში მოხდა, ხოლო, მეორე მხრივ, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომლის მიხედვითაც გაერთიანების ფაქტს 1330 წელს ჰქონდა ადგილი.

ამით საბოლოოდ ვასრულებ იმ ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლების განხილვას, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების დროის შესახებ პირდაპირ ცნობებსა თუ ირიბ მითითებებს გვაწვდის.

აღნიშნული განხილვის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა – რომელ წერილობით ძეგლსა თუ ძეგლებს უნდა მიეცეს უპირატესობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ქრონოლოგიის საკითხის გადაწყვეტისას – აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოᲲს“ ანდერძსა და ანონიმი ჟამთააღმწერლის მიერ XIV საუკუნეში შედგენილ „ასწლოვან მატიანეს“, რომელთა ცნობების შეპირისპირებაც აჩვენებს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ 1336 წლის შემდგომ ხანებში გაერთიანდა თუ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-45 წლებში შედგენილ „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“, რომელიც გვაუწყებს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება 1330 წელს მოხდა?

ჩემი დაკვირვებით, მოცემულ შემთხვევაში, უპირატესობა ცალსახად „საკჳრაოᲲს“ ანდერძსა და ჟამთააღმწერლის თხზულებას უნდა მიეცეს. ამგვარი დასკვნისაკენ, ამჯერადაც, ისევე, როგორც ზემოთ, წინამდებარე ნაშრომის პირველ ქვეთავში, მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ორი ძირითადი გარემოება მიბიძგებს: 1. „საკჳრაოᲲს“ ანდერძი და ჟამთააღმწერლის თხზულება განსახილველი მოვლენების თანადროულად, ამ მოვლენების უშუალო მომსწრეთა თუ თვითმხილველთა მიერ არის დაწერილი და სინქრონული პერიოდის წერილობით ძეგლებს წარმოადგენს, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება კი, ამის საპირისპიროდ, სინქრონული

პერიოდის წერილობითი ძეგლი არ არის და ის აღწერილი მოვლენებიდან, დაახლოებით ოთხი საუკუნის შემდეგ არის შედგენილი; და 2. „საკჳრაოჲს“ ანდერძისა და ჟამთააღმწერლის თხზულების ცნობების მართებულობაში ეჭვის შეტანისათვის რაიმე საფუძველი, ჯერჯერობით, არ არსებობს, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ საქართველოს XIV საუკუნის ისტორიის შესახებ მოწოდებული ცნობები კი მაინცადამაინც სანდო არ არის და ხშირ შემთხვევაში, მცდარია.

თუ ეს მსჯელობა სწორია და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები მართლაც 1336 წლის შემდგომ პერიოდში გაერთიანდა, მაშინ დღის წესრიგიდან ავტომატურად იხსენება მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ეპიტოლეებში დაცული ცნობების ორმაგი ინტერპრეტაციის საკმაოდ პრობლემატური საკითხიც. ირკვევა, რომ ვენეციელმა მოგზაურმა, ეპისკოპოს პეტრე გერალდის მსგავსად, თავის ეპისტოლეებში ფრაზა „ქართველთა ორი სამეფო“ არა გეოგრაფიულ-ეთნიკური მნიშვნელობით, არამედ პოლიტიკური შინაარსით გამოიყენა, რადგან ეპისტოლეების დაწერის დროს ანუ 1330-34 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ნამდვილად ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები არსებობდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები ერთ სახელმწიფოდ 1336 წლის შემდგომ პერიოდში გაერთიანდა და არა 1330 წელს, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით, იყო დამკვიდრებული.

2. სებასტოპოლისის (ცხუმის) კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსის პეტრე გერალდის მიერ 1330 წელს შედგენილ ლათინურ ეპისტოლეში სახელის გარეშე მოხსენიებული ლიხთიმერელი „მბრძანებელი“ დასავლეთ საქართველოს სამეფოს ჯარების მხედართმთავარი იყო და არა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ამირსპასალარი, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული[32].

3. ეპისკოპოს პეტრე გერალდის 1330 წლის ეპისტოლესა და ვენეციელი მოგზაურის მარინო სანუტოს 1330 და 1334 წლების ორ ლათინურ ეპისტოლეში შემდეგი ფრაზები — „ქართველთა ორი სამეფო“, „ქვემო საქართველოს

---

[32] აქვე აღვნიშნავ, რომ ეპისკოპოს პეტრე გერალდის ეპისტოლეში მოხსენიებული ლიხთიმერელი „მბრძანებლის“ ვინაობისა და სამოხელეო წოდების შესახებ ვილჰელმ ჰეიდისა და ვაჟა კიკნაძისაგან განსხვავებული მოსაზრება მაქვს. თუმცა კი, ამ მოსაზრების გამოთქმისაგან წინამდებარე ნაშრომში თავს შევიკავებ და მას ჩემ სხვა ნაშრომში წარმოვადგენ.

სამეფო“, „ივართა სამეფო“ და „გიხების სამეფო“ პოლიტიკური შინაარსით არის გამოყენებული და არა გეოგრაფიულ-ეთნიკური მნიშვნელობით, როგორც ამას ქართველი მკვლევრები აქამდე ფიქრობდნენ.

3. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის გარდაცვალების 1336 წლის შემდგომი პერიოდით დათარიღებას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების ქრონოლოგიის გარდა, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული საისტორიო თხზულების, ანონიმი ჟამთააღმწერლის მიერ შედგენილი „ასწლოვანი მატიანის“ ქრონოლოგიის საკითხშიც მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს.

ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“, რომლის ბოლო ნაწილიც XVIII საუკუნის I მეოთხედისათვის უკვე დაკარგული იყო, თხრობა საქართველოს მეფის გიორგი IV ლაშას (1210-23) მმართველობისდროინდელი ამბებით იწყება და 1310-იანი წლების მოვლენებზე მოულოდნელად წყდება. სამწუხაროდ, თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტი არც მისი შედგენის თარიღისა და არც მისი ავტორის ვინაობის შესახებ რაიმე მკაფიო მითითებას არ გვაწვდის. „ასწლოვანი მატიანის“ ბოლონაკლულ ტექსტზე დაკვირვება მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ჟამთააღმწერელი საქართველოს მეფის გიორგი V ბრწყინვალის მმართველობისდროინდელ ამბებს კარგად იცნობდა და ზოგიერთ ამ მოვლენას (მაგ. მეფე გიორგი V-ის მიერ ქართლში დამკვიდრებული ოსების ქვეყნიდან „განსხმასა და აღფხვრას“) თავის თხზულებაში წინმსწრებად იმოწმებდა კიდეც.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ შედგენის დროის თაობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ასე, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი თხზულებას ზოგადად XIV საუკუნით ათარიღებს,[33] პავლე ინგოროყვა – XIV საუკუნის შუაწლებით,[34] ვაჟა კიკნაძე – 1330 წლამდე პერიოდით,[35] ხოლო რევაზ კიკნაძე – XIV საუკუნის I ნახევრით.[36] ჩამოთვლილი მეცნიერებისა და სხვა მკვლევრების მიერ ჟამთააღმწერლის

---

[33] ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგნ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.) (თბილისი, 1977), 246-8.

[34] პავლე ინგოროყვა, *თხზულებათა კრებული*, ტ. I, რუსთველიანა (თბილისი, 1963), 119.

[35] კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში*, 173-5.

[36] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1987), 13.

„ასწლოვანი მატიანის“ შედგენის დროის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებისა და შესაბამისი არგუმენტების განხილვისაგან აქ თავს შევიკავებ, ვინაიდან ეს ამოცანა წინამდებარე ნაშრომის ინტერესების სფეროს მნიშვნელოვნად სცილდება. თუმცა კი, შევცდები, რომ აბრაჰამ სავანის მიერ 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოჲს“ ანდერძზე დაყრდნობით „ასწლოვანი მატიანის“ დათარიღების საკითხში გარკვეული კორექტივი შევიტანო და თხზულების შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი განვსაზღვრო.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“ დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინესა და მისი უმცროსი ძმის, მიქელის გარდაცვალების ფაქტი პირდაპირ არის დასახელებული: *„ხოლო მიიღო მეფობა კოსტანტინე, პირმშოებისა ძლით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, რომელთა საქმენი არა მოჴსენებულ არიან, და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან“*. გარდა ამისა, ზემოთ, 1336 წელს გადაწერილი „საკჳრაოჲს“ ანდერძზე დაყრდნობით, გავარკვიე ისიც, რომ ამ ხელნაწერის გადაწერის დროს დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე I ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: *„დაიწერა ქრონიკონსა ოცდაოთხსა* (1336 წ.), *მეფობასა ღმრთივგჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა“*. შესაბამისად, ამ ორი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური მონაცემის ერთმანეთთან შეპირისპირება აჩვენებს, რომ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“, რომელშიც მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალების ფაქტი პირდაპირ არის დასახელებული, მხოლოდ და მხოლოდ 1336 წლის შემდეგ შეიძლება ყოფილიყო შედგენილი.

სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მწირი მასალა არ მაძლევს იმის საშუალებას, დაბეჯითებით ვთქვა, მეფე კონსტანტინე I-მა 1336 წლის შემდეგ კიდევ რამდენ ხანს იცოცხლა. თუმცა კი, იმის გათვალისწინებით, რომ მან დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტი 1293 წელს დაიკავა, ნაკლებ მოსალოდნელია, იგი 1340-იან წლებზე უფრო გვიან გარდაცვლილიყო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არც იმის თქმა არ შემიძლია, მეფე კონსტანტინე I უფრო ადრე გარდაიცვალა თუ მისი ძმა მიქელი: ჟამთააღმწერლის თხზულება მათი გარდაცვალების თანამიმდევრობის შესახებ მკაფიო მითითებას არ გვაწვდის, ვახუშტი ბაგრატიონის იმ ცნობას კი, რომლის თანახმადაც, მიქელი მეფე კონსტანტინე I-ის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1329 წელს გარდაიცვალა, ცხადია, სანდო არ არის. შესაბამისად, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის კიდევ უფრო მეტად დაზუსტებას, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებ და ამიტომ თხზულების შედგენის თარიღს, მეფე კონსტანტინე I-ის ცოცხლად მოხსენიების ბოლო

ფაქტის გათვალისწინებით, 1336 წლის შემდგომი პერიოდით განვსაზღვრავ.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ქართველი ანონიმი ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ 1336 წლის შემდგომ პერიოდში იყო შედგენილი და არა, ზოგადად, XIV საუკუნესა თუ XIV საუკუნის I ნახევარში, ან კიდევ, XIV საუკუნის შუაწლებსა თუ 1330 წლამდე პერიოდში, როგორც ამას ქართველი მკვლევრები აქამდე ფიქრობდნენ.

4. „საკჳრაოჲს“ შემცველი ხელნაწერი ნუსხის (H-1328) წარმომავლობასა და მისი გადამწერის ზედწოდებასთან („სავანი“) დაკავშირებული საკითხები.

წინამდებარე ნაშრომის ბოლო ქვეთავში „საკჳრაოჲს“ შემცველი ხელნაწერი ნუსხის (H-1328) წარმომავლობასა და მისი გადამწერის ზედწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავ.

„საკჳრაოჲს“ ანდერძში მისი გადაწერის ადგილი, გადაწერის თარიღისაგან განსხვავებით, მითითებული არ არის. აღნიშნული გარემოების გამო ხელნაწერის წარმომავლობა, ჯერჯერობით, გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ, რომ XX საუკუნის დასაწყისში „საკჳრაოჲ“ სვანეთში ინახებოდა და ის 1916 წელს (?) თბილისში ექვთიმე თაყაიშვილმა ჩამოიტანა. ეს ბოლო ცნობა თავად ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის, რომელმაც 1916 (?) წელს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერი წიგნების კოლექციის დავთარში „საკჳრაოჲს“ შესახებ შემდეგი ჩანაწერი შეიტანა: „აპოკრითული მოთხრობანი, ეტრატზე, გრაგნილად, ხუცური. სვანეთიდან“. „ექვთიმე თაყაიშვილისაგან“.[37] სამწუხაროდ, სვანეთის იმ ეკლესიისა თუ მონასტრის დადგენა, საიდანაც ექვთიმე თაყაიშვილმა „საკჳრაოჲ“ ჩამოიტანა, ჯერჯერობით, ვერ მოვახერხე.

ხელნაწერის ანდერძში გადამწერის სახელი და ზედწოდება, მისი მომგებლის ვინაობისაგან განსხვავებით, პირდაპირ არის მითითებული – აბრაჰამ სავანი. „საკჳრაოჲს“ გადამწერი, რომელიც საკმაოდ გაწაფული კალიგრაფი იყო, ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ სხვა წერილობით ძეგლში მოხსენიებული არ არის. აბრაჰამთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს მისი ზედწოდება – სავანი იწვევს. „საკჳრაოჲს“ გადამწერის ზედწოდებას ყურადღება საგანგებოდ მიაქცია ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხელნაწერი სვანეთიდან არის ჩამოტანილი და გამოთქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, სიტყვა „სავანში“ მეორე გრაფემა ა

---

[37] *ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, 269.

ანმეტობის შედეგად იყო გაჩენილი და აბრაჰამი, რომელიც წარმომავლობით სვანეთიდან იყო, საკუთარ თავს არა „სავანს“, არამედ „სვანს“ უწოდებდა: „გრაგნილი სვანეთიდანაა ჩამოტანილი. იქნებ „სავანიც“ ანმეტობის შედეგია და აბრაჰამიც სვანი იყო“.[38]

ჩემი დაკვირვებით, სიტყვა „სავანის“ „სვანის“ მნიშვნელობით წაკითხვა და გააზრება მართებული არ არის. ამგვარი დასკვნისაკენ ორი გარემოება მიბიძგებს: 1. „საკჷრაოჲს“ ანდერძი, საერთო ჯამში, ოცდაათ სიტყვას შეიცავს და არც ერთ ამ სიტყვაში, ისევე როგორც ხელნაწერის მთელი ძირითადი ტექსტის ასეულობით სიტყვაში, ანმეტობა არ დასტურდება; და 2. „საკჷრაოჲ“ 1336 წელს ანუ XIV საუკუნეშია გადაწერილი, ამ პერიოდის ტექსტებში კი სიტყვა „სვანი“, როგორც წესი, „სუანის“ ფორმით არის გადმოცემული. ასე, რომ „საკჷრაოჲს“ გადამწერის ზედწოდება ნამდვილად „სავანი“ იყო და ამიტომ აბრაჰამი წინამდებარე ნაშრომში სწორედ „სავანის“ ზედწოდებით მყავს მოხსენიებული. დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ სიტყვა „სავანის“ სემანტიკა და მნიშვნელობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

[38] ბერიძე, *ძველი ქართული ოსტატები*, 12.

Testament to the Sakuiraoi (H-1328) Copied by Abraham of Savani in 1336, in which Constantine I, King of West Georgia is Mentioned, and Several Issues of the 14th Century History of Georgia

Temo Jojua

Summary

In the present article testament to the apocryphal "*Sakuiraoi*" copied by Abraham of Savani in 1336 (H-1328, National Center of Manuscripts) has been studied. In conducting this research, the historical and source study methods were used. The following observations were made:

1. Constantine I, the king of West Georgia is mentioned in the testament, not other Georgian king with the same name who reigned in 15th or 14th-15th century, as it was supposed earlier by Georgian scholars.

2. Constantine I, the king of West Georgia died after 1336, not in 1327, as it was accepted earlier in Georgian historiography, based on the accounts by Vakhushti Bagrationi.

3. Kingdoms of East and West Georgia united after 1336, not in 1330 as it was accepted earlier in Georgian historiography, based on the accounts by Vakhushti Bagrationi.

4. The Likht-Imeretian "princeps", whom Peter Geraldi, Bishop of Sebastopolis (Tskhumi) mentioned without name in his Latin Epistle of 1330, was the commander of the army of West Georgia, not the Commander-in-chief of all Georgia, as it was accepted earlier by the scholarship.

5. The phrases "two kingdoms of Georgia", "the lower kingdom of Georgia", "kingdom of Ivars" and "kingdom of Gikhs" mentioned in the Epistle of 1330 by Peter Geraldi and in two other Latin Epistles of 1330 and 1334 by Marino Sanuto, the Venetian traveler, have political and not geographical-ethnic meaning, as it was considered earlier by Georgian scholars.

6. "A Centennial Chronicle" by anonymous Georgian chronicler was compiled after 1336, not in 14th century in general, or in the first half of the 14th century, nor in mid-14th century or prior to 1330, as it was considered earlier by Georgian scholars.

1



სურ. 1 ეტრატის გრაგნილი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1328.

2

3



სურ. 2 „საკჳრაოს“ ძირითადი ტექსტის ბოლო ფრაგმენტი, გადამწერის ანდერძი და გვიანდელი მინაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1328, III კეფის verso.

სურ. 3 „საკჳრაოს“ გადამწერის ანდერძი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1328, III კეფის verso.

VII

ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის

მამუკა წურწუმია

საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის ადრეული (IV ს.) გავრცელებისა და დასაფლავების ქრისტიანული წესის დამკვიდრების გამო ფეოდალური ეპოქის სამარხების ინვენტარი საკმაოდ მწირია.[1] განსაკუთრებით ეს ეხება იარაღს, რომელსაც საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ მაღალი ფასის[2] და სოციალური პრესტიჟის გამო.

ორიოდე გამონაკლისის გარდა, რომელთაც ქვემოთ განვიხილავ, საქართველოს შუა საუკუნეების სამარხებში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი შეტევითი (სხვადასხვა ტიპის ხმლები) თუ თავდაცვითი (მუზარადი, ფარი, აბჯარი) იარაღის მნიშვნელოვანი ნიმუშები, რაც მეტად ართულებს თანადროული ქართული შეიარაღების კვლევის საკითხს.

ამ ფონზე მოულოდნელ გამონაკლისს წამოადგენს ვანისა და ზურტაკეტის სამარხები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ საბრძოლო იარაღის მრავალფეროვნებითა და მაღალი წილით სამარხეულ ინვენტარში. ეს სამარხები ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის განიხილებოდა ქართული შეიარაღების კონტექსტში და მათი ქართული წარმომავლობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, ყოველ შემთხვევაში, განსხვავებული მოსაზრებაც არავის გამოუთქვამს.[3]

მადლობას ვუხდი რუს არქეოლოგ ევგენი კრუგლოვს სასარგებლო რჩევებისა და საინტერესო მსჯელობისათვის, რომელიც არაერთხელ გვქონდა განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

[1] ცნობილი რუსი არქეოლოგი ა. არციხოვსკი პირდაპირ წერს, რომ უმეტეს შემთხვევებში ქრისტიანული სამარხები სრულიად უსარგებლოა არქეოლოგიისათვის. А.В. Арциховский, “Русское оружие X-XIII вв.,” *Доклады и сообщения исторического факультета МГУ*, вып. 4 (Москва, 1946), 5.

[2] А.Ф. Медведев, “Оружие Новгорода Великого,” *Материалы и исследования по археологии СССР*, 65 (1959), 121.

[3] იხ. “Из архива Н.В. Хоштариа,” *ვანი IV: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ

წინამდებარე სტატიაში, სამარხეული ინვენტარის განხილვის ფონზე, ორივე სამარხის წარმომავლობისა და დათარიღების საკითხი ახლებურად არის დაყენებული, ხოლო მიღებული შედეგი განსხვავდება აქამდე არსებული თვალსაზრისისგან და მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის.

ვანის სამარხი

1957 წელს ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით ვანში გაითხარა ე.წ. „მეომრის“ სამარხი, რომელიც X საუკუნით დათარიღდა (სურ. 1). ვანის სამარხი აღმოჩენილია ყველაზე მაღალი გორის[4] სამხრეთ ნაწილში, ბუნებრივი ფლატიდან 1.1 მეტრში. სამარხის სიღრმეა 0.45 მ, სიგანე – 0.75 მ, სიგრძე კი დაახლ. 1.5 მ. სამარხი ორიენტირებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით ანუ მიცვალებულის თავი დასავლეთითაა.[5] დაკრძალულის ძვლები ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ ყველა მათგანი ადგილზეა. დაკრძალულის ქვედაყბა სამხრეთ-დასავლეთის კუთხეშია. სამარხი ძლიერ არის შელახული შუა ნაწილში, სადაც 0.5 მ დიამეტრის და 1 მ სიღრმის ორმოა ამოთხრილი და შემდეგ შევსებულია ქვებით, რომლებიც თავდაპირველად საფლავს ხურავდა.[6]

დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი (დგრ)

ვანის სამარხის სწორი ატრიბუციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლო წლების რუსული არქეოლოგიის მიღწევების გათვალისწინებას, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობაში *დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი* (*დგრ*) (*обряд обезвреживания погребенных* (*оопг*) გამოავლინა. ამ რიტუალის დადგენაში და მის სამეცნიერო აღიარებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის რუს არქეოლოგ ვ. ფლიოროვს.

აღნიშნული მოვლენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ევრაზიის

ლორთქიფანიძე (თბილისი, 1979), 133; ოთარ ჯაფარიძე, „1962-1963 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“, *თსუ შრომები*, 107 (1964), 70; В.Е. Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии* (Тбилиси, 1976), 125, 170; ლევან ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი* (თბილისი, 1964), 96; ლევან ჭრელაშვილი, „ქართული იარაღის ისტორიიდან: ხმალი“, *მნათობი*, 5-6 (1998), 129-30; ირაკლი ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV (2011), 65, შენ. 19.

[4] ზღვის დონიდან 170 მ, როდესაც ქ. ვანი ზ. დ-დან 60 მ-ზეა.

[5] “Из архива Н.В. Хоштариа,” 133. თუ დავაზუსტებთ, დაკრძალული დამხრობილია სეზონურად სამხრეთ-დასავლეთით, ანუ დასავლეთის ორიენტაციით და სამხრეთის სეზონური გადახრით.

[6] “Из архива Н.В. Хоштариа,” 133.

სივრცეებზე დაკრძალვის შემდეგ მიცვალებულის გაუვნებლების მიზნით ტარდებოდა გარკვეული რიტუალი, რომლის დროსაც ხდებოდა დაკრძალულის ჩონჩხის ფიზიკური ხელყოფა. ეს რიტუალი მის ჩამტარებელთა უსაფრთხოებას ემსახურებოდა. დგრ, რომელიც თანამედროვე ადამიანისათვის უცხო და უცნაურია, აუცილებელი იყო ძველთათვის და მათი უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენდა.[7] დგრ-ს წარმოქმნას ასაზრდოებდა ღრმა რწმენა, რომ გარდაცვლილები საიქიოში ცხოვრობდნენ და შეეძლოთ ცოცხლების საქმეში ჩარეულიყვნენ.[8] ეთნოგრაფიულ მასალებში ნათლად ჩანს ის შიში, რომელსაც გარდაცვლილთა მიმართ განიცდიან შამანისტური რელიგიის მიმდევრები.[9] უფრთხოდნენ არა მხოლოდ მიცვალებულის სულს, არამედ უშუალოდ მის სხეულს, რომელსაც „შეეძლო“ სამარიდან ამოსულიყო ზიანის მისაყენებლად.[10] დგრ ადრეული რწმენისათვის დამახასიათებელი პრაგმატიზმით გამოირჩეოდა: ყოველ რიტუალურ ქმედებას კონკრეტული შედეგი მოჰქონდა. ქრისტიანისაგან განსხვავებით, წარმართი ღმერთისაგან კი არ ელოდა ხსნას, არამედ თავად, როგორც რეალურ მოწინააღმდეგეს, ისე უმკლავდებოდა „საშიშ“ მიცვალებულს.[11] დგრ შეიძლება გამოვლინდეს მიცვალებულის ფეხების შეკვრით, ძვლების გადაადგილებით, ჩონჩხის მთლიანობის დარღვევით ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამარიდან ძვლების ამოღებით.[12] დაკრძალულის ჩონჩხის დანაწევრება (თავის ქალის მოშორება, მკერდის და ხელ-ფეხის ძვლების დაზიანება) მიზნად ისახავდა გარდაცვლილის მატერიალური ნეშტის განადგურებას და მასთან დაკავშირებული ფიზიკური ფუნქციების ნეიტრალიზაციას. დგრ-ს ყველაზე ნათელი შემთხვევაა, როდესაც ჩონჩხი არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად არის დაზიანებული, რაც დაკრძალულის გაუვნებელყოფის სრული გარანტია იყო.[13] სანამ გვამი გარდაცვლილის სახეს ინარჩუნებდა, მას არ ეხებოდნენ. დაკრძალულის სხეულის ხელყოფას ადგილი ჰქონდა რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც რბილი ქსოვილები უკვე გახრწნილი იყო და ჩონჩხი

---

[7] В.С. Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата* (Волгоград, 1993), 42.

[8] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 53.

[9] В.С. Флёров, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.* (Москва, 2007), 193.

[10] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 44.

[11] В.С. Флеров, “Розыскания по обряду обезвреживания погребенных в раннесредневековой Восточной Европе,” *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 1 (Донецк, 2000), 62.

[12] Е.В. Круглов, “Печенеги и огузы: некоторые проблемы археологических источников,” *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 3 (Донецк, 2003), 28.

[13] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 46.

რჩებოდა.[14] დაკრძალულის ჩონჩხის დაზიანებას ახორციელებდნენ მისივე ნათესავები, ისინი, ვინც გარდაცვლილს სიცოცხლეშივე იცნობდა და მის დაკრძალვაშიც მონაწილეობდა.[15] გამორიცხული არ არის, რომ სამარხის გახსნისას რიტუალის გამოყენების ხარისხს ადგენდნენ გარკვეული ნიშნების, ძვლების შენახულობის, სისუფთავის, ფერის და სხვ. მიხედვით.[16] დგრ-ს ახორციელებდნენ ნებისმიერი სქესისა და ასაკის დაკრძალულის მიმართ.[17]

სადღაც I-IV საუკუნეებში დგრ უკვე თავს იჩენს დაკრძალვისას. ჩამოყალიბებული ფორმით ეს რიტუალი გვხვდება V-VIII საუკუნეებში. შესაძლოა, მას უფრო ადრე, სკვითების ეპოქაშიც (ძვ. წ. V-IV სს.) ჰქონდა ადგილი.[18] შუა საუკუნეებში დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი და გარდაცვლილთა ნეშტებზე ძალისმიერი ზემოქმედება გავრცელებული იყო ევრაზიის ხალხთა უმეტესობაში.[19] დაკრძალულთა გაუვნებლება მათი ჩონჩხის დაზიანების გზით ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდ ნაწილშიც.[20] დგრ გვხვდება აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სულ მცირე, გვიანსარმატული პერიოდიდან, ავართა შორის, ხაზართა ხაკანატში, ყირიმში, ყუბანში, დაღესტანში, ქვემო დონზე, დნეპრის, ბუგის და დნესტრისპირეთში, ვოლგისპირეთში და ურალში, ქრისტიანობამდელ ბულგარეთში.[21] დგრ ფართოდ იყო გავრცელებული ოღუზებშიც, რომელთაც ეს რიტუალი ხაზართა ხაკანატის მოსახლეობისაგან უნდა გადაეღოთ.[22]

დგრ-ს მრავალი ავტორი აღწერს და არც კი ეჭვობენ, რომ ამ წესთან აქვთ საქმე.[23] ამ რიტუალის არსის არცოდნა იწვევს დაზიანების „ახსნას“

---

[14] იქვე, 44.

[15] Флеров, “Розыскания по обряду обезвреживания погребенных в раннесредневековой Восточной Европе,” 56.

[16] Флёров, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.*, 126.

[17] იქვე, 126; Круглов, “Печенеги и огузы: некоторые проблемы археологических источников,” 53.

[18] Флёров, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.*, 122, 126, 179-80.

[19] Круглов, “Печенеги и огузы: некоторые проблемы археологических источников,” 58.

[20] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 43.

[21] ვრცელი გეოგრაფიული არეალის მიმოხილვა, სადაც ეს რიტუალი იყო გავრცელებული იხ. Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 53-60; მისივე, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.*, 170-92.

[22] Е.В. Круглов, “Погребальный обряд Огузов Северного Прикаспия 2-й пол. IX - 1-й половины XI в.,” *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 2 (Донецк, 2001), 405-17.

[23] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 53.

საფლავთა გაძარცვით, მღრღნელების მოქმედებით და სხვ., რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.[24] ასეთი ვითარება გვაქვს ვანშიც, როდესაც გათხრების მონაცემებით ეჭვმიუტანლად შეგვიძლია დავადგინოთ დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი. ნ. ხოშტარია პირდაპირ უთითებს, რომ დაკრძალულის ყველა ძვალი ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ ყველა მათგანი ადგილზეა.[25] ადგილი აქვს დაკრძალულის უვნებელყოფის ყველაზე ნათელ შემთხვევას, როდესაც მისი სრული გაუვნებლება ხდება.[26] აღსანიშნავია, რომ ქვედაყბის მოცილება და გადაადგილება დაკრძალულის გაუვნებლების მნიშვნელოვან ნიშნად ითვლება.[27] ვანის სამარხშიც, დაკრძალულის ქვედაყბა ჩონჩხს მოცილებულია და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში არის გადაადგილებული.[28] დგრ-ს კიდევ ერთი ნიშანია სამარხში საკმაოდ მსხვილი ქვების არსებობა, რომლებიც იქ შემთხვევით ვერ მოხვდებოდნენ.[29] ეს ნიშანიც გვხვდება ვანის სამარხში, რომლის შუა ნაწილში საგანგებო ორმოა ამოთხრილი და იგი ქვებითაა შევსებული.[30]

ეჭვგარეშეა, რომ ვანის სამარხში დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი მომთაბარის მიერ არის ჩატარებული. ეს რიტუალი მომთაბარეთა სედენტარიზაციას უკავშირდება და პირდაპირ აჩვენებს მათ გადასვლას ბინადარი ცხოვრების წესზე. მომთაბარეს ნაკლები კავშირი აქვს თავის გარდაცვლილებთან, რომელთა სამარხები მომთაბარეობის მარშრუტის გასწვრივ ან სეზონური „ბინადრობის“ ადგილებზე არის მიმოფანტული. ბინადრულ ცხოვრებაზე გადასვლისას მდგომარეობა იცვლება. სამარხები საცხოვრებელ ადგილებთან ახლოსაა განლაგებული და ყოფილ მომთაბარეს უწევს პრევენციული ზომების მიღება „საშიშ მიცვალებულთაგან“ თავის

---

[24] იქვე, 43.

[25] “Из архива Н.В. Хоштариа,” 133.

[26] Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 46.

[27] Флёров, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.*, 122, 127.

[28] “Из архива Н.В. Хоштариа,” 133.

[29] Флёров, *Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э.*, 129.

[30] “Из архива Н.В. Хоштариа,” 133. ბუნებრივია, ამ პროცედურის შედეგად სამარხი ზიანდება, მაგრამ მისი ინვენტარის ნაწილობრივი დაკარგვის ეჭვი საფუძველს მოკლებულია. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 65. როგორც წესი, დგრ-ს დროს სამარხიდან ნივთებს არ იღებდნენ. Флёров, Постпогребальные обряды Центрального Предкавказья в I в. до н.э. - IV в. н.э. и Восточной Европы в IV в. до н.э. - XIV в. н.э., 130-6. ვანის სამარხის საკმაოდ მრავალფეროვანი ინვენტარიც ადგილზეა.

დასაცავად.[31] ამ და სხვა, ქვემოთ დაწვრილებით განხილული ნიშნების გათვალისწინებით, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ვანის სამარხი ბინადრობაზე გადასული ყივჩაღის მიერ შესრულებული დგრ-ს ტიპური მაგალითია. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს მემატიანის ცნობამ ყივჩაღთა გაქრისტიანების შესახებ.[32] ისინი ძალდატანების გარეშე ინათლებოდნენ, მაგრამ ქრისტიანები არ ხდებოდნენ. სხვა ქვეყნების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ყივჩაღთა გაქრისტიანების პროცესს საუკუნეები სჭირდებოდა.[33] ცხადია, ახლადმონათლული ყივჩაღები თავიანთ ძველ წეს-ჩვეულებებს, მათ შორის, დაკრძალვის წესსაც, ასე სწრაფად და ადვილად ვერ შეელეოდნენ.[34] ახლადმოქცეული ყივჩაღები რელიგიური სინკრეტიზმით ხასიათდებოდნენ, ქრისტიანული რელიგია არ ანაცვლებდა, არამედ მხოლოდ ემატებოდა მათ მსოფლმხედველობას. ყივჩაღების ქრისტიანობა, პირველ ხანებში მაინც, ფორმალური იყო და ისინი ძველ რწმენასაც ინარჩუნებდნენ.[35]

ვანის სამარხში დადასტურებული დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ ვანის რაიონში ყივჩაღები სახლობდნენ და ეს შემთხვევითი სამარხი არ არის. დგრ ტარდება დაკრძალვიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ დაკრძალულის სახლეული ვანში იყო დაფუძნებული და საშუალება ჰქონდა გარკვეული დროის შემდეგ ისევ მიემართა სამარხისათვის. ეს რიტუალი ასევე მეტყველებს ყივჩაღთა გადასვლაზე ბინადარი ცხოვრების წესზე. ბუნებრივია, რომ სედენტარიზაციის პროცესს გარკვეული ხანი დასჭირდებოდა.

სამარხის ორიენტაცია

დაკრძალვისას მიცვალებულის დამხრობა და დედამიწის მხარეების განსაზღვრა ხდებოდა მზის საშუალებით, რამაც წარმოშვა სეზონური

---

[31] Флеров, "Розыскания по обряду обезвреживания погребенных в раннесредневековой Восточной Европе," 65-6.

[32] „და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 337.

[33] С.А. Плетнева, *Половцы* (Москва, 1990), 143; М.П. Мургулия, В.П. Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках* (Москва, 1998), 121, 181.

[34] მაგალითისათვის, XIII საუკუნეში რუბრუკი აღწერს ქრისტიანულად მონათლული ყივჩაღის დაკრძალვას წარმართული წესით, რისი მოწმეც თავად გახდა. Гильом де Рубрук, *Путешествие в Восточные страны* (Москва, 1957), 102.

[35] Я.В. Пилипчук, "Католицизм у кыпчаков," *Мировозрение населения Южной Сибири и Центральной Азии в исторической перспективе*, вып. VI (Барнаул, 2013), 66, 69.

ორიენტაცია, როდესაც გადახრა დაკავშირებულია წელიწადის დროსთან, როდესაც მოხდა დაკრძალვა. ცის კამარაზე მზის მოძრაობა და მისი ჩასვლა-ამოსვლის წერტილები წელიწადის დროების მიხედვით საგრძნობი გადახრებით ხასიათდება. შედეგად, სამარხის ორიენტაციის (დასავლეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი) ღერძი გადახრილია 1-დან 90 გრადუსამდე, რომლის მიხედვითაც წელიწადის იმ დროის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) გამოთვლაც კი შეიძლება, როდესაც დაკრძალვა მოხდა.[36]

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში დაკრძალულთა აღმოსავლური ორიენტაციის დამკვიდრება ყივჩაღებს მიეწერება, ეს ხელს არ უშლის ვანის სამარხის ყივჩაღურ ატრიბუციას. ვოლგასა და დონს შორის ყივჩაღური პერიოდის სამარხების დიდი ნაწილი (სულ მცირე, ნახევარი მაინც) ინარჩუნებს დასავლეთის ორიენტაციას. ამ მოვლენას ყივჩაღურ გარემოში შემორჩენილი პაჭანიკურ-ღუზური მოსახლეობის გავლენით ხსნიან.[37] ტ. პოტემკინას აზრით, აღმოსავლური დამხრობა დამახასიათებელი იყო ე.წ. „ყვითელი“ ყივჩაღებისათვის (*შარი, სარი*), რომელთა გარშემო გაერთიანებულ მომთაბარეთა მრავალფეროვან კონგლომერატს განსხვავებული დამხრობა ახასიათებდა.[38]

დასავლური ორიენტაციით ხასიათდებიან კუბინის 1-ელ ყორღანის,[39] პიატიგორსკის[40] და სტანიცა როგოვსკაიას[41] ჩრდილოკავკასიური ყივჩაღური სამარხებიც. ყუბანში აღმოჩენილია ყივჩაღთა 21 სამარხი დასავლური ორიენტაციით.[42] საინტერესოა, რომ ი. ზელენსკი ასეთი ორიენტაციის საფლავების ერთ ნაწილს ათრაქას ურდოს აკუთვნებს და საქართველოში გადასახლებისას მათ მიერ დატოვებულად მიიჩნევს.[43]

---

[36] И.А. Дружинина, В.Н. Чхаидзе, Е.И. Нарожный, *Средневековые кочевники в Восточном Приазовье* (Армавир, 2011), 225.

[37] Плетнева, *Половцы*, 38-9; А.Г. Атавин, “Погребальный обряд и имущественно-социальная структура кочевников лесостепной и степной зоны Юга России в конце IX - первой половине XIII вв. (печенеги, торки, половцы),” *Древности Юга России* (Москва, 2008), 90.

[38] Т.М. Потемкина, “Иерархия половецкой знати (по погребениям со статусными предметами),” *Степи Европы в эпоху средневековья*, Т. 10 (Донецк, 2012), 33.

[39] Т.М. Минаева, “К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным,” *Материалы по изучению Ставропольского края,* вып. 11 (Ставрополь, 1964), 168-9.

[40] Минаева, “К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным,” 174.

[41] Ю.В. Зеленский, “Половецкие погребения из Прикубанья и Закубанья,” *Древности Кубани*, Вып. 6 (Краснодар, 1998), 18.

[42] Ю.В. Зеленский, “Погребальный обряд у половцев степного Прикубанья и Восточного Закубанья,” *Древности Кубани*, Вып. 16 (Краснодар, 2000), 40.

[43] იქვე, 41.

ხმალი

ვანის სამარხში ნაპოვნი ხმლის სიგრძე 110 სმ-ია, ტარის სიგრძე –14.1 სმ, პირის უდიდესი სიგანე კი – 4 სმ[44] (სურ. 2). ვანის ხმალი ძლიერ არის დაჟანგული, მცირედ მოხრილია და ყუასთან ახლოს ორმხრივ გასდევს ღარი. მისი ნახევარმთვარისებური, პირისკენ დახრილი ვადის ბოლოები ორივე მხარეს ჩამომტვრეულია. ტარი ბოლოვდება 3 სმ დიამეტრის ბურთულის ფორმის ქუდით.

ნახევარმთვარისებურად მოხრილი ვადა XI-XII საუკუნეების ქართული მახვილისათვის არის დამახასიათებელი.[45] ის ხშირად გვხვდება XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის გამოსახულებებზე. იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესიაში, ჩრდილოეთის კედელზე ვხედავთ მეფის მხატვარ თევდორეს მიერ 1096 წელს შესრულებულ მიქელ მთავარანგელოზს, რომლის მახვილს ნახევარმთვარისებური ვადა აქვს.[46] ასეთი მახვილი გვხვდება წმ. ივლიტას თავისკვეთის სცენაში ლაგურკას წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესიის სამხრეთის კედელზე, რომელიც 1111 წელსაა შესრულებული.[47] დახრილვადიანი მახვილებითაა წარმოდგენილი წმ. თევდორე ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე (მეფის მხატვარი თევდორე, 1130 წ.)[48] და წმ. გიორგი მაცხვარიშის დასავლეთ კედელზე (მხატვარი მიქელ მაღლაკელი, 1140 წ.).[49] რაც მთავარია, ვანის ხმლის ტარი, ფორმითა და კონსტრუქციით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული, ხევსურეთიდან ჩამოტანილი XI-XII საუკუნეების მახვილის სრულ ანალოგიას წარმოადგენს.[50]

ამრიგად, ჩვენს წინაშეა მომთაბარეთა ტიპური იარაღი – ხმალი, რომელსაც ყივჩაღი ატარებდა და რომელსაც, ამავე დროს, ქართული მახვილისათვის დამახასიათებელი სწორი ტარი აქვს.[51] ამ, ერთი შეხედვით,

---

[44] შდრ. "Из архива Н. В. Хоштариа," 133.

[45] ი. ზელენსკის მოწმობით, ყივჩაღთა სამარხებში არ გვხვდება ხმლები ძირს დაშვებული ვადის ბოლოებით. Ю.В. Зеленский, "К вопросу об этнической принадлежности погребений Убинского могильника в западном Закубанье," *Древности Кубани*, вып. 21 (Краснодар, 2003), 23.

[46] *ზემო სვანეთი: შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა*, ალბომის შედგენა, ტექსტი და თარგმანი მარინე ყენიასი (თბილისი, 2010), 61.

[47] *ზემო სვანეთი*, 72.

[48] იქვე, 93.

[49] იქვე, 112.

[50] ამ ორი იარაღისა და მათი ევოლუციის შესახებ გამოკვლევას უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ.

[51] ეს მეტად საყურადღებო გარემოება ი. ბაქრაძემაც შეამჩნია, თუმცა ამის ახსნა ადგილობრივი, ქართული ხმლის ევოლუციის პროცესით სცადა. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 69-70.

ანომალიის ამოხსნა ადვილად არის შესაძლებელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ვიცით, რომ მეფემ ყივჩაღები „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“.[52] ეს არც არის გასაკვირი, თუკი ყივჩაღთა მარშრუტს მივადევნებთ თვალს. თავდაპირველი განსახლების ადგილიდან (სევერსკი დონეციდან) კავკასიის მთისწინეთამდე მისაღწევად ათრაქას ურდომ გრძელი გზა – 750 კმ გაიარა.[53] ამას მოჰყვა კონფლიქტი ოსებთან და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ბინადარ მოსახლეობასთან, შემდეგ კი – რთული გადასვლა კავკასიონზე და საქართველოში დაბინავება, რომლის დროსაც მომთაბარეთა მფლობელობაში მყოფი, მათი მეურნეობისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი საქონლის გადმოყვანა სრულად ვერ მოხერხდებოდა. ასე რომ, საჭურვლისა და ცხენების დანაკლისს ყივჩაღები უდავოდ განიცდიდნენ. მემატიანე შენიშნავს, რომ იმ დროისათვის ყივჩაღნი გამოირჩეოდნენ „უპოვარებითა“.[54] ესეც რომ არა, ბუნებრივია, რომ საქართველოში, სადაც არმიის ბირთვს ფეოდალური მძიმედ შეჭურვილი ცხენოსნები წარმოადგენდნენ, მომთაბარე ყივჩაღთა შეიარაღება არასაკმარისად „მძიმე“ მოჩვენებოდათ და შესაბამისი ზომები მიეღოთ. ყივჩაღთა ძირითადი მასა მსუბუქ ცხენოსან მოისრად დარჩებოდა და მათ შესაიარაღებლად ხმალი და მშვილდი სრულიად საკმარისი იქნებოდა. ამავე დროს, განსაკუთრებული ძალისხმევა იქნებოდა მიმართული მონასპის შემადგენლობაში შემავალ ყივჩაღთა აღსაჭურვად, რომელთა სრულფასოვნად შესაიარაღებლად შეტევითი და თავდაცვითი აღჭურვილობაც იყო საჭირო.

ვანის ხმალი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი მჭედლის ნაკეთობა, სახელმწიფო არსენალის პროდუქტი, რომელიც მომთაბარე ყივჩაღის შეკვეთით შესრულდა და მის მოთხოვნათა (სწრაფი და მანევრული ბრძოლის) დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული.

ლ. ჭრელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვანის სამარხში გადატეხილი ხმლის არსებობა, შესაძლოა, დაკრძალვის რიტუალთან ყოფილიყო კავშირში.[55] თუ ასეა, აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია სამარხის ყივჩაღისათვის მიკუთვნების სასარგებლოდ: სამარეში ჩატანებული იარაღის

---

[52] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 337.

[53] Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках*, 72.

[54] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 336. ამ ვითარებაზე უთითებენ პ. გოლდენიც და გ. ანჩაბაძეც. Peter B. Golden, “Cumanica I: The Qipčaqs in Georgia,” *Archivum Eurasiae Medii Aevi*, IV (Wiesbaden, 1984), 71; Г.З. Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии* (Тбилиси, 1990), 108-9.

[55] ჭრელაშვილი, „ქართული იარაღის ისტორიიდან: ხმალი“, 129. ეს მოსაზრება შემდგომში ი. ბაქრაძემაც გაიმეორა. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 66.

შეგნებული გაფუჭება, სწორედაც რომ, ახალმოქცეული წარმართისთვისაა დამახასიათებელი.[56] ხმლის გადატეხვა, შეიძლება, დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალთანაც იყოს დაკავშირებული და გარდაცვლილის განიარაღებას ნიშნავდეს.[57]

ისრები

ვანის სამარხში სხვადასხვა ტიპის რამდენიმე ისრისპირია აღმოჩენილი[58] (სურ. 3). ქვემოთ მოცემულია მათი ჩამონათვალი და აღწერილობა:[59]

რომბისებური ისრისპირი (57:316):[60] რკინის, ბრტყელი, დაქანებული მხრებით, ქვედა მესამედში გაფართოებით, კუთხოვანი ყუნწით. საერთო სიგრძე – 17 სმ, პირის სიგრძე – 8.3 სმ, სიგანე 4 სმ.[61]

წაგრძელებული რომბისებური ისრისპირი (57:318): რკინის, ბრტყელი, დაქანებული მხრებით, ქვედა ნაწილში გაფართოებით, კუთხოვანი ყუნწით. საერთო სიგრძე – 11.7 სმ, პირის სიგრძე – 8.4 სმ, სიგანე 2.2 სმ.[62]

დაკარგული ისრისპირი (57:320): რკინის, წაწვეტებული, მასიური და სქელი პირით, ყუნწიანი. სიგრძე – 5 სმ, სიგანე 1.5 სმ, სისქე 1 სმ.[63]

---

[56] А.Н. Кирпичников, "Древнерусское оружие. Вып. 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," *Археология СССР* (Ленинград, 1966), 65.

[57] გარდაცვლილის განიარაღების შესახებ იხ. Флёров, *Погребальные обряды на севере Хазарского каганата*, 47-8.

[58] აქამდე მიაჩნდათ, რომ სამარხში 5 ცალი ისრისპირი მოიპოვებოდა. "Из архива Н. В. Хоштариа," 133; ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 65, 79. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სამარხში 6 ისრისპირის არსებობა დასტურდება.

[59] ვანის ისრისპირების ტიპოლოგიის დასადგენად ვიყენებ ა. მედვედევის კლასიკურ სქემას; ამავე დროს, ვითვალისწინებ მის ნაკლს – მეტად ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და გარკვეულ მოძველებულობას, რის გამოც ახალგამოვლენილი ისრისპირები მისეულ სქემაში ვეღარ ჯდება და დაზუსტებას კ. რუდენკოს ბოლოდროინდელი ტიპოლოგიით ვახდენ.

[60] ვანში აღმოჩენილი რომბისებური ისრისპირების დიდი ზომის გამო, ისინი ნ. ხოშტარიამ შუბისპირებადაც კი მიიჩნია. "Из архива Н. В. Хоштариа," 133.

[61] შეესაბამება მედვედევის 41-ე ტიპს, რომელიც IX-XIV საუკუნეებში გვხვდება. А.Ф. Медведев, "Ручное метательное оружие: лук и стрелы, самострел, VIII-XIV вв.," *Археология СССР* (Москва, 1966), 65. რუდენკოს მიხედვით, ეს არის Б42б ტიპი, რომელიც XI-XII სს. იყო გავრცელებული. К.А. Руденко, *Железные наконечники стрел VIII-XV вв. из Волжской Булгарии (Исследование и каталог)* (Казань, 2003), 99.

[62] ახლოსაა მედვედევის 46-ე და 47-ე ტიპებთან, რომლებიც X-XIV საუკუნეებში გვხვდება. Медведев, "Ручное метательное оружие," 67-8. შეესაბამება რუდენკოს А11 ტიპს, რომელიც XI-XIV საუკუნეებით თარიღდება და ყველაზე მეტად XI ს. მეორე ნახევარში და XII ს. არის გავრცელებული. Руденко, *Железные наконечники стрел VIII-XV вв. из Волжской Булгарии*, 78-9, 138.

[63] ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1957 წლის საველე-სააღრიცხვო დავთარი №1, 46.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, ისარი ჯავშანგამტანი უნდა ყოფილიყო.

ორკაპა ისრისპირი (57:314): რკინის, ბრტყელი, წამახული, მჭრელი შიდა კიდით და კუთხოვანი ყუნწით. სიგრძე – 22 სმ; სიგანე 5 სმ;[64]

ორკაპა ისრისპირი (57:315): რკინის, ბრტყელი, წამახული, მჭრელი შიდა კიდით და კუთხოვანი ყუნწით; ერთი კაპი მოტეხილია. საერთო სიგრძე – 15.2 სმ, პირის სიგრძე – 7.7 სმ;

ორკაპა ისრისპირი (ნომრის გარეშე): რკინის, ბრტყელი, მჭრელი შიდა კიდით, ყუნწი მოტეხილი. პირის სიგრძე 8.7 სმ, სიგანე 4.7 სმ. მიიჩნეოდა შტანდარტის ნაწილად, რისი რეკონსტრუირებაც მოცემული ისრისპირით არ ხერხდება.[65]

ვანის სამარხში აღმოჩენილი ისრისპირების ანალოგები კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით შეგვიძლია მოვიძიოთ. ყუბანის ყივჩაღთა სამარხებში ნაპოვნ ისრისპირებში ი. ზელენსკიმ გამოყო ცხრა ტიპი, რომლებშიც ადვილად იძებნება ვანის საისრე კომპლექტის ანალოგიები – რომბისებური, ფოთლისებური და ორკაპა ისრისპირები. ისევე როგორც ვანის რომბისებური ისრებისათვის, მათთვისაც დამახასიათებელია ისრის პირის გაფართოება ქვედა მესამედში, ორკაპა ისრები კი დაუხვეწავი, არაპროპორციული ფორმისაა.[66]

მსგავს ისრისპირებს ვპოულობთ ზმეისკის კატაკომბებშიც,[67] რომელიც

---

[64] საველე-სააღრიცხვო დავთარი, 45. ვანის ორკაპა ისრები ერთი ტიპისაა და შეესაბამება მედვედევის 60-ე ტიპის 3-ე ვარიანტს, გავრცელებულს XI-XIV საუკუნეებში. Медведев, "Ручное метательное оружие," 72. რუდენკოს მიხედვით, ისინი Б55 ტიპს ეკუთვნიან, რომელიც XI-XIII სს. გვხვდება. Руденко, *Железные наконечники стрел VIII-XV вв. из Волжской Булгарии*, 105.

[65] დაწვრილებით, იხ. ქვემოთ.

[66] ასეთია დიდი რომბისებური ისარი (ტიპი VIII) პირის გაფართოებით ქვედა მესამედში და მოუხეშავი ფორმის ორკაპა ისარი (ტიპი VI). Ю.В. Зеленский, "Типология сопроводительного инвентаря из половецких погребений степного Прикубанья и Восточного Закубанья," *Древности Кубани*, вып. 13 (Краснодар, 1998), 33, рис. 2.7-8. რომბისებური ისრები პირის გაფართოებით ქვედა ნაწილში ნაპოვნია კრასნოდარის მხარეში, ანაპის მეხუთე ყორღანში XII საუკუნის ყივჩაღის სამარხშიც. С.А. Плетнева, "Печенеги, торки и половцы в южнорусских степях," *Материалы и исследования по археологии СССР*, 62 (1958), 179, рис. 15.4.

[67] ზმეისკის სამაროვანი მდებარეობს სტრატეგიულ გზაზე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას დარიალის ხეობასთან აკავშირებს. В.А. Кузнецов, "К вопросу о позднеаланской культуре Северного Кавказа," *Советская археология*, 2 (1959), 116. ისრისპირების ეს მსგავსება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფართო კონტაქტებს, რომელიც (წერილობითი წყაროების ცნობებით) იმ პერიოდში ჰქონდა საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან და, კერძოდ, ალანებთან. ამასვე მოწმობს ზმეისკის კატაკომბებში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, რომელიც ამიერკავკასიური, და კერძოდ, ქართული წარმოშობის უნდა იყოს. იქვე, 102; Е.И. Крупнов, "Новые источники по древней и средневековой истории Северного

XI-XII საუკუნეების ალანთა სამარხებს წარმოადგენს.[68] ამ სამარხებში ნაპოვნია რკინის ყუნწიანი ბრტყელი რომბისებური და ორკაპა ისრები.[69] სულ გათხრილია 56 კატაკომბა, რომელთაგან თხუთმეტში ისრისპირებია ნაპოვნი. აქედან ორკაპა ისარი ექვსჯერაა წარმოდგენილი ისრის კომპლექტებში და ექვსჯერვე ერთადერთი ეგზემპლარის სახით.[70]

ყუბანის ყივჩაღურ და ზმეისკის ალანურ ისრებს ვანის ისრებთან ბევრი საერთო აქვთ: რომბისებური ისრისპირები ფორმით ერთნაირია და ისრის პირის გაფართოება მის ქვედა ნაწილშია, განსხვავებით მონღოლური ეპოქისაგან, როდესაც ისრისპირი ზედა ნაწილშია გაფართოებული; ორკაპა ისრებს აქვთ დაუხვეწავი, არაპროპორციული ფორმა, პირი მდოვრედ, თანდათან გადადის ყუნწში, მჭრელი კიდეები არ არის გამოხატული და ისრები არ არის მასიური, რაც უფრო გვიანი ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ერთადერთი, რაც მკვეთრად გამოარჩევს ვანის საისრე კომპლექტს ჩრდილო კავკასიური კომპლექტებისაგან, არის ორკაპა ისრების დიდი პროცენტული შემცველობა. ვანის მეომრის კაპარჭში ორკაპა ისრების დიდი წილი (50%) ადგილობრივ თავისებურებაზე უნდა მიუთითებდეს. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიასთან შედარებით, საქართველოში ორკაპა ისარი უფრო ადრე არის გავრცელებული. VIII-IX საუკუნეების წებელდის კანკელზე უკვე ჩანს ასეთი ისრით შეიარაღებული წმ. ევსტათე პლაკიდა. ორკაპა ისრის ნამტვრევი ნაპოვნია ურბნისის ნაქალაქარის გათხრებისას.[71] სავარაუდოდ, ის აქ უნდა მოხვედრილიყო VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს მიერ ურბნისის დანგრევის დროს, რის შემდეგაც ურბნისმა, როგორც ქალაქმა, შეწყვიტა არსებობა.[72] ვ. კუზნეცოვის მოწმობით, ჩრდილოეთ კავკასიაში ორკაპა ისრები

Кавказа," *Краткие сообщения Института истории материальной культуры*, 78 (1960), 117.

[68] Крупнов, "Новые источники по древней и средневековой истории Северного Кавказа," 115; В.А. Кузнецов, *Аланские племена Северного Кавказа* (Москва, 1962), 26.

[69] Кузнецов, "К вопросу о позднеаланской культуре Северного Кавказа," 104; Кузнецов, *Аланские племена Северного Кавказа*, 37, рис. 8.4-6.

[70] მესამე, მეექვსე და მეთხუთმეტე კატაკომბებში რამდენიმე ბრტყელი რკინის ისარი და თითო-თითო ორკაპაა; მერვე, მეცხრე, მეათე და მეთოთხმეტე კატაკომბებში – მხოლოდ ბრტყელი რკინის ისრებია. В.А. Кузнецов, "Змейский катакомбный могильник (по раскопкам 1957)," *Материалы по археологии и древней истории Северной Осетии*, т. 1 (Орджоникидзе, 1961), 71, 75, 77, 79, 80, 84, 92, рис. 8.1-4. ბრტყელი რკინის ისრებია კატაკომბებში 31, 41, 50, 52, 53; კატაკომბებში 36, 48, 55 კი ბრტყელ რკინის ისრებთან ერთად თითო ორკაპაც გვხვდება. В.А. Кузнецов, "Исследования Змейского катакомбного могильника в 1958 г.," *Материалы и исследования по археологии СССР*, 114 (1963), 10, 16, 22, 27, 30, 33, 35-6, рис. 12.4-6.

[71] ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, 125, სურ. 55.11.

[72] ლევან ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში* (თბილისი, 1970), 65-6.

მხოლოდ X საუკუნეში ჩნდება.[73] ამ აზრს სხვა მკვლევრებიც იზიარებენ, რომლებიც თვლიან, რომ ჩრდილო კავკასიაში ორკაპა ისრები X საუკუნემდე არ გვხვდება.[74]

შტანდარტი (დროშის თავი)

სამარხში ნაპოვნია გრძელყუნწიანი რკინის ნივთი ჰორიზონტალური ტიხრით, რომელიც დროშის თავად არის მიჩნეული[75] (სურ. 4). მისი საერთო სიგრძეა 28.7 სმ, ყუნწის სიგრძე – 18.7 სმ, სიგანე – 7.4 სმ.

აღნიშნული საგანი, ჩანს, მართლაც, შტანდარტის ტიპის დროშის თავია. ამასთან, მიგვაჩნია, რომ აქამდე მისი არასწორი რეკონსტრუქცია ხდებოდა[76] (სურ. 5).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ასეთი რეკონსტრუქციით მიღებული შტანდარტის ნაწილებს განსხვავებული პროპორციები გააჩნიათ. შტანდარტის ე.წ. თავი ანუ ზედა ნაწილი უფრო განიერია, ვიდრე ქვედა, რაც კონსტრუქციის პრინციპებს ეწინააღმდეგება; ამასთანავე, „შტანდარტის ზედა ნაწილის“ ფორმები მომრგვალებულ-რკალოვანია, მაშინ როდესაც თავად შტანდარტი მართი და კუთხოვანია; გარდა ამისა, „შტანდარტის ზედა ნაწილს“ შიდა კიდეები მჭრელი აქვს, რაც ისრისთვისაა დამახასიათებელი და ეტყობა, რომ ბოლო (ანუ ყუნწი) მოტეხილი აქვს, ე.ი. ის ისარია და არა დროშის დაბოლოება.

ჩანს, უნდა დავუშვათ, რომ ვანის შტანდარტს არ ჰქონდა დასრულებული რომბის ფორმა, არ იყო თავშეკრული და ღია, წვერისკენ გახსნილი იყო. სწორედ ასეთი წვერგახსნილი დროშებით ვხედავთ ყივჩაღ მომთაბარეებს რუსულ მატიანეში. რაძივილის მატიანის მინიატურებზე გამოსახული ყივჩაღთა დროშის თავები წააგავს ვანის სამარხში ნაპოვნ შტანდარტს. 232v, 233r_a (ზედა), 233r_b (ქვედა) და 242v მინიატურებზე გამოსახული ყივჩაღური დროშები მკვეთრად განსხვავდება რუსული დროშის თავებისაგან, რომელთაც შუბისწვერის ან ჯვრის ფორმა აქვთ.[77] ყივჩაღური დროშის თავები

---

[73] Кузнецов, “Змейский катакомбный могильник (по раскопкам 1957),” 126.

[74] В.Н. Каминский, И.В. Каминская-Цокур, “Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье,” *Историко-археологический альманах*, 3 (Армавир-Москва, 1997), 66. ორკაპა ისრები X საუკუნეში ჩნდება რუსეთშიც, თუმცა აქ ისე არ მოუკიდებია ფეხი, როგორც ციმბირსა ან კავკასიაში. Медведев, “Оружие Новгорода Великого,” 167.

[75] საველე-სააღრიცხვო დავთარი, 45; “Из архива Н. В. Хоштариа,” 133.

[76] იქვე, 133, ტაბ. 8; ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 80, ტაბ. I.

[77] იხ. რაძივილის მატიანის ინტერნეტ-გამოცემა მინიატურებით. http://radzivilovskaya-letopis.ru/index.php. რაძივილის მატიანის მინიატურების მნიშვნელობისათვის იმდროინდელი

კუთხოვანი და ბოლოში გახსნილია, ერთგან – ვერტიკალური შვერილით (232v). განსაკუთრებით საინტერესოა 233r_b მინიატურა, სადაც ყივჩაღთა გამარჯვებაა გამოსახული – მათი დროშა ზეამართული და გაშლილია[78] (სურ. 6). მინიატურაზე აღბეჭდილი დროშის თავი პრაქტიკულად ვანის შტანდარტის იდენტურია (ტიხრის გარეშე).

როგორც მინიატურებიდან ჩანს, შტანდარტი თავისი ყუნწით დროშის ტარში იყო ჩამაგრებული, ისე რომ, მხოლოდ მისი ყუნწზედა ნაწილი ჩანდა. მის ქვემოთ დროშის ტარს ქსოვილის ალამი ემაგრებოდა (სურ. 7).

ბალთები

სამარხში აღმოჩნდა ოქროსფურცელგადაკრული რკინის ორი ჭვირული ბალთა, რომელთაც უკანა მხარეს ნაწილობრივ შერჩენილი სამაგრები აქვთ (სურ. 8). ბალთების ზომებია 4.5X4.55 სმ და 5.1X4.36 სმ.[79]

საერთოდ, ყივჩაღებისათვის დამახასიათებელია ოქროთი დაფარული ბალთების გამოყენება,[80] თუმცა, ვანის ბალთების შესაბამისი ფორმის მოძიება სტეპის ყივჩაღურ სამარხებში ჯერ ვერ მოხერხდა. ამავე დროს, გვიანდელი ანალოგიებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ბალთები საქართველოში ჩრდილოეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი. ამას მოწმობს რუსეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი მომთაბარეთა კაპარჭის თუ მშვილდის ბუდის (ხილიფას) ბალთები. გამოსახულებები თითქმის იდენტურია, განსხვავება მხოლოდ ბალთების სამაგრ სისტემაშია: ვანის ბალთები მანჭვლებით მაგრდება, მათ ანალოგს კი – ღვედი ეყრება[81] (სურ. 9).

საკიდი

სამარხში აღმოჩნდა ოვალური ფორმის, ყუნწიანი, მრგვალგანივკვეთიანი, სავარაუდოდ, ვერცხლის მავთულის საკიდი. მისი სიგრძე 3 სმ, სიგანე კი 1.5 სმ იყო.[82] საკიდმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ყოფის აღსადგენად იხ. А.В. Арциховский, *Древнерусские миниатюры как исторический источник* (Москва, 1944), 4-40.

[78] Плетнева, *Половцы*, 48.

[79] ი. ბაქრაძის აზრით, ეს ბალთები ხმლის ქარქაშის საკიდების მოსართავია. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 68-9.

[80] Ю.В. Зеленский, "Половцы на Кубани," *Древности Кубани*, вып. 10 (Краснодар, 1998), 17-8. იხ. ასევე П.П. Толочко, *Кочевые народы степей и Киевская Русь* (Санкт-Петербург, 2003), 97, рис. 31.2.

[81] http://www.kitabhona.org.ua/index.php/libwarbow/167-kolchan1-1?showall=1.

[82] საველე-სააღრიცხვო დავთარი, 46.

დანა

სამარხში იყო 11 სმ სიგრძის და 1.3 სმ სიგანის რკინის დანა,[83] რომელიც ასევე დაკარგულია.

ზურტაკეტის სამარხი

გომარეთის (ზურტაკეტის) პლატოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ბრინჯაოს ხანის ცხრა ყორღანი. მათ შორის ზომებით გამოირჩეოდა სამი დიდი ყორღანი, რომელთაგან ერთ-ერთში, კერძოდ მეოთხე ყორღანში (სიმაღლე 8 მ, დიამეტრი 80-100 მ) 1962 წელს აღმოჩნდა შუა საუკუნეების ჩაშვებული სამარხი (სურ. 10).[84] ექსპედიციის ხელმძღვანელის ო. ჯაფარიძის მიხედვით, „№4 ყორღანში იქ, სადაც ქვაყრილი მთავრდება და ქვამიწაყრილი იწყება „დასაკრძალავი დარბაზის" ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შიგ ქვაყრილში ვიპოვნეთ ჩაშვებული სამარხი. აღმოჩნდა მხოლოდ ცხენის რამდენიმე კბილი. როგორც ჩანს, აქ მეომრის სამარხი უნდა ყოფილიყო, რომელიც ცხენთან ერთად დაუსაფლავებიათ. ნაპოვნი იყო რკინის ლაგამი, რკინის ჯაჭვის პერანგის ნატეხები, რკინის ისრის პირი და რაღაც კაუჭის მაგვარი ნივთი; აქვე ნაპოვნი იყო სამად გაჭრილი ბიზანტიური ოქროს მონეტა კონსტანტინე X (1059-1067 წწ.)".[85]

სამწუხაროდ, უცნობია სამარხის ორიენტაცია, დაკრძალვის რიტუალი თუ სხვა რაიმე მონაცემი სამარხის შესახებ. როგორც ო. ჯაფარიძის მონათხრობიდან ირკვევა, ქვაღორღში მოქცეულ სამარხში „ძვლები ცუდად იყო შენახული და სამარხის დამხრობა და დამარხვის წესი ვერ დადგინდა".[86]

ცხენის კბილები

სამარხში ნაპოვნია ცხენის ნაშთი (კბილები), რაც ნიშნავს, რომ მიცვალებული ცხენთან ერთად იყო დაკრძალული. ეს კი მეტყველებს სტეპის

---

[83] იქვე, 46.

[84] О.М. Джапаридзе, "Археологические раскопки в Триалети в 1959-1962 гг.," *Советская археология*, 2 (1964), 107, рис. 11; ოთარ ჯაფარიძე, *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში* (თბილისი, 1969), 14, 39, 42-3.

[85] ოთარ ჯაფარიძე, „1962-1963 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები", *თსუ შრომები*, 107 (1964), 70. იმავეს ვკითხულობთ რამდენიმე წლის შემდეგ გამოცემულ მის წიგნშიც: „შიგ ქვაყრილში, იმ ადგილას, სადაც იგი მთავრდება და ქვამიწაყრილიანი ფუძე იწყება, აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი, რომელშიც ნაპოვნია ცხენის რამდენიმე კბილი, რკინის ლაგამი, რკინის ჯაჭვის პერანგის ნატეხები, რკინის ისრის პირი, რაღაც კაუჭის მაგვარი ნივთი და სამად გაჭრილი ბიზანტიური მონეტა კონსტანტინე X (1059-1067 წწ.)". ჯაფარიძე, *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში*, 42-3.

[86] ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, 96.

მომთაბარულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვითაც სამარხში ჩატანებულ ცხენს დაკრძალული მხედარი „გარდაცვლილთა ქვეყანაში“ უნდა მიეყვანა.

ცხენთან ერთად დაკრძალვა ყველაზე უფრო დამახასიათებელია თურქული მომთაბარე ტომებისათვის. ცხენის ხორცს ისინი გამოსათხოვარი სადილისათვის იყენებდნენ, ტყავში გახვეულ თავის ქალას და ფეხთა ძვლებს კი მარხავდნენ.[87]

ლაგამი

ზურტაკეტის სამარხში აღმოჩენილია რკინის ორნაწილედიანი ლაგამი ბოლოებში მოძრავი დიდი ზომის რგოლებით (სურ. 11). ლაგმის პირის სიგრძე 13.3 სმ-ია, ერთი რგოლის შიდა დიამეტრი არის 5.5 სმ (გარე – 6.2-6.35 სმ), მეორის კი – 5.8 სმ (გარე – 7 სმ).

ასეთი დიდ და მოძრავრგოლებიანი ორნაწილედიანი ლაგამი გ. ფიოდოროვ-დავიდოვის კლასიფიკაციით Г2 ტიპს ეკუთვნის.[88] ეს ლაგამი გვხვდება IX-X-დან დაწყებული XIV საუკუნის სამარხებში.[89] ამავე დროს, Г2 ლაგამი ფიოდოროვ-დავიდოვის მიერ შემუშავებულ სქემაში მეორე ქრონოლოგიურ ჰორიზონტს მიეკუთვნება და ყველაზე ხშირად XII საუკუნის ფარგლებში გვხვდება.[90]

ყივჩაღთა სამარხებში არ გვხვდება ერთნაწილედიანი ლაგმები, რაც დამახასიათებელი იყო მათი წინამორბედი პაჭანიკებისათვის. ყივჩაღური ლაგმები ორნაწილედიანია და ბოლოებში მოძრავი რგოლები აქვს. ისინი ორი ტიპისაა – Г1 და Г2, და ერთმანეთისაგან უმთავრესად რგოლების ზომით განსხვავდება (Г1-ის რგოლების დიამეტრი 3-4 სმ-ია, Г2-ის – 6-7 სმ). როგორც დონის, ასევე ყუბანის ყივჩაღთა სამარხებში ნაპოვნი ლაგმები ამ ტიპებს მიეკუთვნება.[91]

ჯაჭვის პერანგი

სამარხში აღმოჩნდა ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები, რომლებიც ძლიერ არის დაზიანებული და გამორიცხავს შემდგომ დეტალურ კვლევას (სურ. 12).

---

[87] Г.А. Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов* (Москва, 1966), 128-9.

[88] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 18, рис. 2. მათი რგოლების დიამეტრი ლაგმის სიგრძის ნახევარს შეადგენს. იქვე, 18.

[89] იქვე, 20.

[90] იქვე, 103-6, 115, სურ. 16.

[91] Ю.В. Зеленский, “Попытка сравнительного анализа половецких древностей Дона и Кубани,” *Проблемы археологии Юго-Восточной Европы*, VII-я Донская археологическая конференция, ТД (Ростов-на-Дону, 1998), 123; მისივე, “Предметы упряжи из половецких погребений Прикубанья и Восточного Закубанья,” *Древности Кубани*, вып. 12 (Краснодар, 1998), 11.

თავისთავად, სამარეში თავდაცვითი აღჭურვილობის (ჯაჭვის პერანგის) არსებობა მძიმედ შეჭურვილ მხედარზე მიუთითებს.

ყივჩაღები იმ მცირერიცხოვან მომთაბარეებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთათვისაც რკინის რგოლებისაგან მოქსოვილი ჯაჭვის აბჯარი იყო დამახასიათებელი. ისინი პრაქტიკულად არ იყენებდნენ ფირფიტოვან (ლამელარულ, ქერცლოვან) აბჯარს.[92] საყურადღებოა, რომ სხვათაგან განსხვავებით, ყივჩაღები სამარეში ატანდნენ ჯაჭვის პერანგს, რაც არ არის დამახასიათებელი კავკასიაში მოსახლე მიწათმოქმედი ხალხებისათვის.[93]

ისარი

სამარხში იყო რკინის ისრისპირიც, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად დაკარგულია. დაკრძალულის აღჭურვილობის კომპლექტში ისრის არსებობა ნიშნავს, რომ მას მშვილდით დისტანციური ბრძოლა შეეძლო.

ქვაბის სახელური

ზურტაკეტის სამარხში აღმოჩნდა რკინის საგანი, რომელიც აღწერილია, როგორც „რაღაც კაუჭის მაგვარი ნივთი“ და მისი რაობა აქამდე არ იყო გარკვეული (სურ. 13). მისი სიგრძეა – 11.3 სმ, მოხრილი ნაწილის სიგრძე – 3 სმ. აღნიშნული საგანის იდენტიფიცირება შესაძლებელია მისი მოკაუჭებული ნაწილის მიხედვით, რომელიც ქვაბის სახელურის ბოლოს წარმოადგენს და რომლითაც ის ქვაბის ყურს ემაგრებოდა.[94] რა მნიშვნელობა ჰქონდა სამარეში ჩატანებულ ქვაბს მამაკაცისა და მეომრისათვის?

მომთაბარეთა შორის ქვაბს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყივჩაღები ანიჭებდნენ. ყივჩაღთა საზოგადოებაში ქვაბი ძალაუფლების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენდა. წარჩინებულ მეომართა სამარხებში ხშირად პოულობენ ქვაბს, რომელსაც მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მისი დანიშნულების მიხედვით გამოყენება შეუძლებელი იყო და რომელსაც, ხანდახან, სწორედ დაკრძალვისათვის აკეთებდნენ სახელდახელოდ.[95] სწორედ ასეთი სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზურტაკეტის სამარხში ქვაბის ნაცვლად მოთავსებულ მის სახელურს.[96]

---

[92] მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის ყივჩაღურ სამარხებში ფირფიტოვანი აბჯარი ერთხელაც არ აღმოჩენილა. Зеленский, “Половцы на Кубани,” 17.

[93] Ю.В. Зеленский, “К вопросу об этнической принадлежности погребений XII-XIII вв. степного Прикубанья и восточного Закубанья,” *Древности Кубани*, вып. 14 (Краснодар, 1999), 30.

[94] სამწუხაროდ, მისი მეორე ბოლო არ არის შემორჩენილი.

[95] Плетнева, *Половцы*, 129-30.

[96] ასეთი შემთხვევა სულაც არ გახლავთ გამონაკლისი. ტ. პოტემკინას მიერ გამოკვლეული

მდიდარი და გავლენიანი მომთაბარის დაკრძალვისას, მას სამარეში ქვაბს ატანდნენ, როგორც გვარის თუ ტომის უფროსის და მარჩენალის ატრიბუტს.[97] ქვაბი იყო მომთაბარეთა გაერთიანების სიმბოლო, ატრიბუტი, რომელიც ხაზს უსვამდა დაკრძალულის მაღალ სოციალურ მდგომარეობას და მის კუთვნილებას გვაროვნული და ტომობრივი არისტიკრატიისადმი.[98] ს. პლეტნევას მიხედვით, ქვაბი მომთაბარეთა გაერთიანებაზე მიუთითებდა, მისი გარდაცვლილი პატრონი კი ამ გაერთიანების უფროსი იყო.[99] რუსი მემატიანე კომპლიმენტის სახით წერდა, რომ ყივჩაღთა ძლევამოსილ ხანს, კონჩაკს შეეძლო საკუთარი მხრებით ქვაბი გადაეტანა მდინარეზე: ქვაბში იგულისხმებოდა მომთაბარეთა დიდი გაერთიანება, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, კონჩაკის ქვაბიდან იკვებებოდა.[100]

როგორც ჩანს, ზურტაკეტის სამარხში დაკრძალულია ყივჩაღთა ერთ-ერთი წინამძღოლი, შესაძლებელია, ხანიც, როგორც ამას ძალაუფლების სიმბოლო – ქვაბი მიანიშნებს.

ოქროს მონეტა

სამარხში ნაპოვნია ბიზანტიური ჩაღრმავებული ოქროს მონეტა (სურ. 14). საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდის დავთარში ის 11154-ე ნომრითაა გატარებული. მონეტის შუბლი: ქრისტე ჯვრიანი შარავანდედით (nimbus cruciger) პირდაპირ ზის ოთკუთხა ტახტზე, ხელთ სახარება უპყრია. ორმაგი არშია; წარწერა: + IhI XIC RCX [R]CINANTIhM. ზურგი: წვერიანი იმპერატორი (კონსტანტინე) დგას პირდაპირ მთელი ტანით, ჯვრიანი გვირგვინით და ლოროსით, ხელთ უპყრია ბურთულებიანი ლაბარუმი და სფერო (globus cruciger). ორმაგი არშია; წარწერა: + KωN RACA [ODOUKA]C.

მოცემული ეგზემპლარი მიეკუთვნება კონსტანტინე X დუკას ოქროს მონეტების I(b) კლასს.[101] მონეტა სამადაა გაჭრილი და ამ მდგომარეობაში

ქვაბის შემცველი 49 ყივჩაღური სამარხიდან, 4 მათგანში მხოლოდ ქვაბის სახელური იყო წარმოდგენილი. Потемкина, "Иерархия половецкой знати (по погребениям со статусными предметами)," 19.

[97] М.Л. Швецов, "Котлы из погребений средневековых кочевников," *Советская археология*, 2 (1980), 200.

[98] Швецов, "Котлы из погребений средневековых кочевников," 201; Потемкина, "Иерархия половецкой знати (по погребениям со статусными предметами)," 8; Дружинина, Чхаидзе, Нарожный, *Средневековые кочевники в Восточном Приазовье*, 147.

[99] С.А. Плетнева, *Кочевники южнорусских степей в эпоху Средневековья (IV-XIII века)* (Воронеж, 2003), 163.

[100] Плетнева, *Половцы*, 130.

[101] *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore*

3.99 გრამს იწონის.[102] ერთ ნაწილზე, ჩაჭრისას მაკრატლის კვალი ორგანაა დაჩნეული; ეს ნაწილი ყველაზე დაზიანებული და გაბრტყელებულია (ალბათ, ჭრის პროცესში).[103]

როგორც აღვნიშნეთ, ზურტაკეტის ოქროს მონეტა კონსტანტინე X დუკას (1059-67) მიერ არის მოჭრილი და ის ჰისტამენონ ნომისმას წარმოადგენს.[104] XI-XIII საუკუნეების საქართველოში უცხოური, კერძოდ კი ბიზანტიური ოქროს მონეტა ფართოდ იყო გავრცელებული და ანგარიშსწორების უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენდა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ბიზანტიური ოქროს ნომისმა, მუსლიმურ დინართან ერთად, მსოფლიო ფულის როლს ასრულებდა. ოქროს მონეტის როლი განსაკუთრებით გაიზარდა XI-XII საუკუნეების ვერცხლის საერთაშორისო კრიზისის დროს. XI საუკუნეში, ბიზანტიის აღმავლობის შედეგად, ნომისმა ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.[105] სხვადასხვა ხარისხის ნომისმების მიმოქცევამ ბიზანტიურ ოიკუმენაში მონეტების ზედსახელები წარმოშვა, რაც მოსახერხებელი იყო მათი ზუსტი იდენტიფიკაციისათვის.[106] ერთი ასეთი ქართული ზედსახელია *დუკატი*, რომელიც კონსტანტინე X დუკას ოქროს მონეტას შეესაბამება.[107] აღსანიშნავია, რომ *დუკატი* დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა მიმოქცევაში საქართველოში და გვხვდება XI-XIII საუკუნის

Collection, ed. by Alfred E. Bellinger and Philip Grierson, vol. 3, part 1, 2nd ed. (Washington, 1993), 764.

[102] მისი შესაბამისი ნომინალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თავდაპირველი წონა 4.20-4.30 გრამი იქნებოდა.

[103] ზურტაკეტის მასალის პუბლიკაციისას ი. ბაქრაძემ კონსტანტინე დუკას მონეტის ნაცვლად გამოაქვეყნა რომანოს IV-ის (1068-71) ე.წ. ექვსთავიანი (*ექუსთავი*) მონეტა, რომელიც სინამდვილეში სამუზეუმო მულაჟს წარმოადგენს და არაფერი აქვს საერთო ზურტაკეტის სამარხთან. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 97, ტაბ. III.3.

[104] ნიკიფორე ფოკას (963-69) რეფორმის შემდეგ ბიზანტიაში ორი სახის ოქროს ნომისმა იჭრებოდა: ჰისტამენონ ნომისმა (სრულწონიანი) და ტეტარტერონ ნომისმა (შემსუბუქებული). იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში ჰისტამენონ ნომისმა ტრიალებდა, რომლის ამოცნობაც შედარებით ადვილია, რადგან მიხეილ IV-ის (1034-41) დროიდან ჰისტამენონი ჩაღრმავებულია. გოჩა ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (1976), 89.

[105] ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია“, 84-5, 88.

[106] იქვე, 90.

[107] *დუკატის* იდენტიფიკაციისათვის იხ. Robert P. Blake, Some Byzantine Accounting Practices Illustrated from Georgian Sources, *Harvard Studies in Classical Philology*, vol. 51 (Cambridge, 1940), 25-6; ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია“, 91.

მრავალ ისტორიულ საბუთში და საეკლესიო წარწერაზეც.[108] ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოხსენიება დავით აღმაშენებლის ანდერძში, სადაც მეფე ატენის და სხვა („ზემონი და ქუემონი“) საჭურჭლეებში შენახულ ბიზანტიურ ოქროს მონეტებს ჩამოთვლის (*დრაჰკანნი კონსტანტი, დუკატი* და *ბოტინატი*).[109] ცხადია, რომ კონსტანტინე X-ის ნომისმა აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს სამეფო კარის მიერ. ამის მატერიალურ დადასტურებას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბიზანტიურ სამონეტო განძებში ვპოულობთ.[110] ჩემი ანგარიშით, ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების განძების ფონდის ოქროს მონეტების სპეციალური აღრიცხვის დავთარში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კონსტანტინე X დუკას 31 ოქროს მონეტაა აღრიცხული.[111]

არ უნდა გვეუცხოოს, რომ კონსტანტინე X დუკას მონეტებს მისი მოჭრიდან სამოცი წლის შემდეგაც იყენებდნენ საფასედ. მაგალითისათვის, მიხეილ IV-ის (1034-41) მონეტებს მრავალი წლის შემდეგ, XII საუკუნეში ალექსი I კომნენოსი რეგულარულ საგადასახადო საშუალებად იყენებდა. მიიჩნევენ, რომ ასეთ დროს მონეტები საგანგებოდ დაბეჭდილ ქისებში[112] ინახებოდა.[113] საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ზურტაკეტის მონეტის ზურგზე, მარჯვენა მხარეს წარწერები პრაქტიკულად არ იკითხება, რადგანაც სიქა დარტყმის დროს გაცურებულია. ზუსტად ასეთი, კონსტანტინე X დუკას

---

[108] თავის ნაშრომში გ. ჯაფარიძეს დამოწმებული აქვს *დუკატის* დასახელება XI საუკუნის ნიკორწმინდის დაწერილში, დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში, ვაჰანის ქვაბთა განგებაში (1204-1234), XIII საუკუნის შუახანების გრიგოლ სურამელის დაწერილში და სხვ. ჯაფარიძე, „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია“, 91. დუკატების სახითაა შეწირულება აღნიშნული თევდორეწმინდანის ეკლესიის XIII საუკუნის წარწერაზეც. ვალერი სილოგავა, „ქვემო ქართლის წარწერები“, *დმანისი*, 2 (2000), 235, 249.

[109] „ანდერძი დავით მეფისა“, *ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), 62.

[110] საქართველოში ნაპოვნი ბიზანტიური მონეტებისათვის იხ. თამარ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები* (თბილისი, 1965); მისივე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (1966-1984 წწ.)* (თბილისი, 1989).

[111] ამ ჩამონათვალში არ ვითვალისწინებთ მუზეუმში დაცულ კონსტანტინე X-ის დეპასპორტიზებულ ოქროს მონეტებს.

[112] დაბეჭდილ ქისებში შენახული ოქროს მონეტები ანგარიშსწორების დროს შემოწმებისა და აწონვის ხანგრძლივ პროცესს განმეორებით აღარ საჭიროებდნენ. Michael Hendy, *Studies in the Byzantine Monetary Economy c.300-1450* (Cambridge, 1985), 338.

[113] *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection*, vol. 3, part 1, 60-1. ადრე მოჭრილი და ქისებში შენახული მონეტების მრავალი წლის შემდეგ გამოყენების ფაქტს აღნიშნავს მ. ჰენდიც. Hendy, *Studies in the Byzantine Monetary Economy*, 343-4.

სიქაგაცურებული კიდევ ოთხი (!) მონეტა აღმოჩნდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მუზეუმის ნუმერაციით – 259, 404, 409 და 11022).[114] ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ზურტაკეტის მონეტების „ტყუპისცალები“ მართლაც იმყოფებოდა საქართველოს ხაზინაში.[115]

ოქროს ურდოს ხანამდე მომთაბარეების სამარხებში მონეტები მხოლოდ შემთხვევათა 4%-ში გვხვდება.[116] სამარხებში ოქროს მონეტის ჩატანება რუსეთის სტეპების მომთაბარეებიდან ხაზარებისა და ყივჩაღებისათვის იყო დამახასიათებელი, თუმცა ეს მათთანაც იშვიათობას წარმოადგენდა.[117] მონღოლებიდან დაწყებული, ოქროს ურდოს ხანის სამარხებში ძირითადად ვერცხლის (და მცირე ოდენობით სპილენძის) მონეტებს ვხვდებით.[118] ზურტაკეტში დაკრძალული ყივჩაღის მძიმე აღჭურვილობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენს წინაშეა ელიტარული მებრძოლი, შესაძლოა ყივჩაღთა ერთ-ერთი ხანიც კი, როგორც ამას მიუთითებს ქვაბი, ოქროს მონეტა და ყორღანში დაკრძალვა. სამარხში აღმოჩენილი ოქროს მონეტა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აქტიურად იყენებდა საანგარიშსწორებო საშუალებად, შესაძლოა, სწორედ სამეფო კარის მიერ იყოს გაცემული ჯილდოს ან ჯამაგირის სახით.[119] საყურადღებოა, რომ მონეტა კარგ მდგომარეობაშია, არ არის გაცვეთილი, არ ჰგავს ხელიდან-ხელში გადასულს და მიმოქცევაში დიდხანს მყოფს. მონეტის კარგი მდგომარეობა ხაზინიდან გაცემულ, დაბეჭდილი ქისიდან ახლად ამოღებულ ეგზემპლარზე უნდა მიუთითებდეს.

რითი შეიძლება ავხსნათ ის, რომ მონეტა სამად არის გაჭრილი? სამად

---

[114] აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები*, 101, ტაბ. XXIII.

[115] ერთი სიქით ერთნაირად მოჭრილი მონეტების ერთ ქისაში ყოფნის შესაძლებლობაზე უთითებს მ. ჰენდი. Hendy, *Studies in the Byzantine Monetary Economy*, 342.

[116] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 214.

[117] მაგალითისათვის, დონსა და ვოლგას შორის 269 ყივჩაღურ სამარხში მხოლოდ ერთი, ოქროს ბიზანტიური მონეტა აღმოჩნდა. Атавин, “Погребальный обряд и имущественно-социальная структура кочевников,” 96.

[118] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 215.

[119] არ არის გამორიცხული, რომ დაკრძალული წარჩინებული ყივჩაღი მონასპაში მსახურობდა და მისი ერთ-ერთი მეთაურიც იყო. როგორც ვიცით, დავით აღმაშენებელმა გაქრისტიანებული ყივჩაღებისაგან დააკომპლექტა რჩეული, გვარდიული ტიპის ნაწილი – მონასპა: „მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 337; ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II (თბილისი, 1983), 200, 215. გაქრისტიანებული უცხოტომელებისაგან შემდგარი მონასპა, როგორც ყველა გვარდიული ნაწილი, შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მუდმივ ჯამაგირს საჭიროებდა.

გაჭრა ანგარიშსწორების საშუალებად, საფასედ უნდა გავმორიცხოთ, რადგან მონეტა უხეშად არის არათანაბარ ნაწილებად დაყოფილი. ასეთ დაყოფას მხოლოდ რიტუალური და სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. შესაძლოა, მონეტას მნიშვნელობას სძენდა ფაქტი, რომ ის მეფის ჯილდოს წარმოადგენდა და თავად დავით აღმაშენებლის ხელიდან იყო მიღებული.

სამარხების ატრიბუცია

ვანისა და ზურტაკეტის სამარხებს ბევრი რამ აქვთ საერთო: ორივე სამარხი მომთაბარეს ეკუთვნის, ორივეგან მიწაყრილში ქვები გვხვდება, ორივე სამარხი შემაღლებულ ადგილზეა: ზურტაკეტის – გამორჩეულ ყორღანში, ვანის კი – გორის მწვერვალზე.[120] ორივე სამარხში საბრძოლო იარაღის ფართო არჩევანია მდიდრულ ნივთებთან ერთად და არც ერთში არ გვხვდება კერამიკული ნაკეთობები.

უკვე არსებული ყორღანების გამოყენება საკუთარი სამარხებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო ყივჩაღებისათვის. მაგალითად, ა. ატავინის მიერ განხილული 235 ყორღანის შემთხვევაში, 164 უკვე არსებულ ყორღანში ჩაშვებული სამარხი იყო და მხოლოდ 71 იყო ახლად შექმნილი.[121]

ს. პლეტნევას მიერ დადგენილია ყივჩაღური სამარხებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაც ვანსა და ზურტაკეტშიც ვხვდებით. ასეთია ქვის პერანგის, ქვის გადახურვის ან უბრალოდ ქვების არსებობა ყორღანის მიწაყრილში; ცხენის ჩატანება; დაკრძალულის ორიენტაცია თავით აღმოსავლეთით ან დასავლეთით (სეზონური გადახრებით). ამასთან, სამარხში ქვების არსებობა მხოლოდ ყივჩაღთათვის დამახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული.[122] მას ეთანხმება გ. ფიოდორ-დავიდოვიც, რომელიც თვლის, რომ ყორღანებში დაკრძალვისას ქვის გამოყენება და რუსეთის სტეპებში ქვაყრილიანი ყორღანების გავრცელება სწორედ ყივჩაღებთანაა დაკავშირებული.[123] ქვაყრილით დაფარულ სამარხს, ცხენის ძვლებს და კერამიკის არარსებობას, როგორც ყივჩაღთათვის დამახასიათებელ

---

[120] შესაძლოა, ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასის შემაღლება ყივჩაღებმა ყორღანად ჩათვალეს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. Зеленский, "Половецкие погребения из Прикубанья и Закубанья," 18.

[121] Атавин, "Погребальный обряд и имущественно-социальная структура кочевников," 88. პლეტნევას აზრით, ეს ორი გარემოებით იყო განპირობებული: ყივჩაღები ცდილობდნენ სამარხის რაც შეიძლება მაღლა აწევას მიწის დონიდან და, ამავე დროს, უცხო თვალისათვის მის შენიღბვასაც. Плетнева, *Кочевники южнорусских степей в эпоху Средневековья (IV-XIII века)*, 160.

[122] Плетнева, "Печенеги, торки и половцы в южнорусских степях," 173.

[123] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 145.

თვისებებს, აღნიშნავს ტ. მინაევაც.[124] ი. ზელენსკის დაკვირვებით, როგორც დონის, ასევე ყუბანის ყივჩაღთა სამარხებში კერამიკა ძალიან იშვიათია.[125]

ამასთან ერთად, ყივჩაღური ატრიბუციის სასარგებლოდ მეტყველებს ვანის სამარხში გამოვლენილი დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი და ისრების ტიპოლოგია; ზურტაკეტის სამარხის ლაგამი და დაკრძალული ცხენი, მომთაბარის ჯაჭვის პერანგი, ოქროს მონეტისა და ქვაბის ჩატანების წესი. ყველა ამ ნიშნების ერთობლიობა ეჭვს არ ტოვებს, რომ ჩვენ წინაშეა ათრაქას ურდო, საქართველოში ჩამოსახლებულ მომთაბარე ყივჩაღთა XII საუკუნის სამარხები.

ისღა დაგვრჩენია გავარკვიოთ, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ და რა სტატუსი ჰქონდათ ვანში და ზურტაკეტში დაკრძალულებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ყივჩაღთა 73 სამარხის ინვენტარის განხილვის საფუძველზე ი. ზელენსკიმ სცადა დაედგინა ამ მომთაბარული არმიის სტრუქტურა. მკვლევარმა გამოყო სამი ჯგუფი, რომლებიც შეიარაღების სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. პირველ ჯგუფს წარმოადგენს წარჩინებული, მძიმედ შეიარაღებული მხედრები, რომელთაც აბჯარიც და ხმალიც გააჩნდათ; მეორე ჯგუფს ქმნის საშუალო შესაძლებლობის, ხმლით შეიარაღებული მეომრები. უმეტეს შემთხვევაში მათ დისტანციური იარაღიც აქვთ; მესამე ჯგუფის მხედრები კი მხოლოდ მშვილდით არიან შეიარაღებულნი და მსუბუქ მოისრეებს წარმოადგენენ.[126] სამარხებში აღმოჩენილი იარაღის მიხედვით ყივჩაღთა საბრძოლო ორგანიზაცია შესწავლილი აქვს ა. ატავინსაც, რომელიც ოდნავ უფრო დეტალურ სქემას იძლევა. ყივჩაღთა 269 სამარხის განხილვის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ თითქმის ყველა მამაკაცი იარაღითაა დამარხული, თუმცა იარაღის კომპლექტი ერთმანეთისაგან განირჩევა. ა. ატავინის აზრით, ეს პირველ რიგში ასახავს არა სოციალურ დიფერენციაციას, არამედ ყივჩაღთა სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც ოთხ კლასად იყოფა: 1) მძიმედშეჭურვილი მხედრობა ლითონის აბჯრით; 2) უფრო მსუბუქი უაბჯროდ, მაგრამ დისტანციური და მკვეთელი იარაღის სრული კომპლექტით (ამ ორი კლასის სამარხებში სამკაულიც გვხვდება); 3) იგივე შეიარაღებით, რაც მეორე კლასი, მაგრამ სამკაულის გარეშე; 4) მსუბუქი ცხენოსნები, რომლებიც ძირითადად დისტანციური ბრძოლის იარაღით (მშვილდ-ისარი) იყვნენ შეიარაღებულნი.[127]

---

[124] Минаева, "К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным," 171.

[125] Зеленский, "Попытка сравнительного анализа половецких древностей Дона и Кубани," 123.

[126] Ю.В. Зеленский, "Структура войска у половцев Предкавказья," *Магистериум*, вып. 2 (Краснодар, 2004), 56-9.

[127] Атавин, "Погребальный обряд и имущественно-социальная структура кочевников," 93-6.

ზემოთმოყვანილ კლასიფიკაციათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვანში დაკრძალულ მეომარს ყივჩაღთა მხედრობაში მეორე რიგის ადგილი ეკავა, ზურტაკეტში დაკრძალული კი პირველ რანგის მებრძოლად უნდა ჩავთვალოთ. ამავე დროს, ვანის სამარხის მდებარეობა[128] და მასში აღმოჩენილი შტანდარტი დაკრძალულის გამორჩეულობაზე მეტყველებს, რომელსაც ყივჩაღთა ურდოში ან ქართულ ჯარში საპატიო მდგომარეობა უნდა სჭეროდა. როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაწინაურებული იყო ზურტაკეტში დაკრძალული, რომლის სამარხში ქვაბის არსებობა ყივჩაღთა ერთ-ერთ წინამძღოლზე და, შესაძლოა, ხანზეც კი მიუთითებს.[129]

ყივჩაღთა განსახლება და შემდგომი ბედი

1118 წელს საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა კავკასიის რეგიონში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში თურქ-სელჩუკებზე გადამწყვეტი უპირატესობის მოსაპოვებლად ჩრდილოეთიდან მოიწვია ყივჩაღები.[130] ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ყივჩაღთა ნაწილი დათანხმდა ამ მოწვევას და ათრაქა შარაღანის ძის მეთაურობით, რომლის ასულიც ცოლად ჰყავდა დავით IV-ს, საქართველოში გადმოსახლდა.[131] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ორჯერ მოგვითხრობს საქართველოში ყივჩაღთა დასახლებაზე. 1118 წელს, გადმოსახლებისთანავე, მეფემ გადმოყვანილი „ყივჩაყნი დააყენნა

---

[128] გარდაცვლილი დაკრძალულია საპატიო ადგილას, გორის მწვერვალზე, რაც ხაზს უსვამს მის გამოჩენილ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

[129] ზურტაკეტში დაკრძალულის მაღალი სოციალური მდგომარეობა (ქვაბი, ოქროს ფული) თავისთავად განაპირობებდა მის კარგ შეიარაღებას. ის კარგად იქნებოდა აღჭურვილი მეფის გვარდიაში სამსახურის შემთხვევაშიც. ამ გარემოებაზე სავსებით მართებულად მიუთითებს ს. მარგიშვილი, რომელიც თვლიდა, რომ მონასპის წევრი ყივჩაღები „მძიმედ შეიარაღებული მეომრები უნდა ყოფილიყვნენ“ და მათ „აუცილებლად უნდა ჰქონოდა როგორც დისტანციური, ასევე ხელჩართული ბრძოლის წარმოების უნარიც“. სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ* (თბილისი, 2006), 119. ზურტაკეტში დაკრძალულის შეიარაღებაში ჯაჭვის აბჯრის (ხელჩართული ბრძოლის იარაღი) და ისრის (დისტანციური ბრძოლის იარაღი) არსებობა სწორედ ასეთ შეიარაღებაზე მეტყველებს და მისი პატრონის ადგილი ელიტურ შენაერთში ელიტურ პოზიციაზე იქნებოდა.

[130] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 335-6.

[131] ეს ამბავი ასახულია რუსულ მატიანეშიც. ვოლინელი მემატიანე, რომლის თხზულება დაცულია იპატის ნუსხაში, გვიამბობს ყივჩაღთა საქართველოში წასვლაზე, რასაც ვლადიმერ მონომახის მიერ მათ დამარცხებას უკავშირებს. მემატიანე ასევე მოგვითხრობს 1125 წლის შემდეგ, ძმის (სირჩანის) მიწვევით, ყივჩაღთა მთავრის ოტროკის (ათრაქა შარაღანის ძის) უკან დაბრუნებაზე რუსეთის სტეპებში. *Ипатьевская летопись*, Полное собрание русских летописей, т. 2 (Санкт-Петербург, 1908), 716; იასე ცინცაძე, *ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს)* (თბილისი, 1956), 189-94.

ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა“.[132] მეორედ, 1124 წელს „ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთროდ სადგური“.[133] როგორც ვხედავთ, მემატიანე არც ერთხელ არ ასახელებს რაიმე კონკრეტულ ადგილს.

ყივჩაღთა განსახლების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერდა, რომ „ასეთი დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი გამოურკვეველია“.[134] იგი ყივჩაღთა დასახლებას შემოსევებისაგან აოხრებულ და მოსახლეობაშეთხელებულ ქართლში ვარაუდობს.[135] შ. მესხია იზიარებს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ ყივჩაღთა ჩასახლება ძირითადად ქართლში და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოხდა, თუმცა, უჭირს დაჯერება, რომ ისინი თავიდანვე სასაზღვრო რეგიონებში დაასახლეს და საზღვრების დაცვა მიანდეს.[136] ნ. ბერძენიშვილიც თვლის, რომ ყივჩაღები ქართლში დაასახლეს.[137] რ. მეტრეველიც იზიარებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს, რომ ყივჩაღები უმთავრესად თურქთა მძლავრობის დროს დაცარიელებულ ქართლში დაასახლეს.[138]

ქ. ჩხატარაიშვილი უარყოფს ყივჩაღთა დასახლებას ქართლში და ს. ერემიანის მიერ გამოქვეყნებული ჰარიჭისა და ჰაღარწინის წარწერების საფუძველზე, რომლებშიც, სავარაუდოდ, გიორგი III-ის და შემდგომი ეპოქის ყივჩაღური სახელები მოიხსენიება, ფიქრობს, რომ ყივჩაღების ძირითადი მასა აღმაშენებელმა ახლადდაპყრობილ ჩრდილო სომხეთის ტერიტორიაზე დაასახლა. ჰერეთის რაიონის ტოპონომიკის გათვალისწინებით (სოფელი *ყივჩაღი*, მდინარე *ყივჩაღ-ჩაი*) მკვლევარი მიიჩნევს, რომ ყივჩაღების დარჩენილი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ოლქებში ჩაასახლეს.[139] იმავეს ფიქრობს გ. ანჩაბაძეც, რომელიც თვლის, რომ ყივჩაღებს

---

[132] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, *ქართლის ცხოვრება*, 337.

[133] იქვე, 345.

[134] ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, ტ. II, 209.

[135] იქვე, 209. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება დავითის ისტორიკოსის არასწორად ინტერპრეტირებულ ერთ ცნობას ეყრდნობა, რომელიც მართებულად გააკრიტიკა გ. ალასანიამ. იხ. მისი, „ყივჩაყები საქართველოში“, *ქართველები და ისლამამდელი თურქები* (თბილისი, 2008), 173.

[136] შოთა მესხია, *ძლევაჲ საკვირველი* (თბილისი, 1972), 43.

[137] ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. IX (თბილისი, 1979), 93, 97.

[138] როინ მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი* (თბილისი, 1965), 70.

[139] ქველი ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, *საქართველო რუსთაველის ხანაში* (თბილისი, 1966), 168-75. უნდა ითქვას, რომ ს. ერემიანის და ქ. ჩხატარაიშვილის დასკვნები კრიტიკულად არის შეფასებული მკვლევართა მიერ. იხ. მესხია, *ძლევაჲ საკვირველი*, 41-2; ჯემალ სტეფნაძე, „სად წავიდნენ ყივჩაყები?“, *მნათობი*, 8 (1984), 153; Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках*, 163-4, 173.

მიწები გამოუყვეს სახელმწიფოს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან (ჰერეთი, მტკვრისა და იორის ნაპირები, ჩრდილოეთ სომხეთი).[140] ჯ. სტეფნაძეს აზრით, ყივჩაღთა უდიდესი ნაწილი ქართლში და ჰერეთში ჩასახლდა, მცირე კი – ჩრდილოეთ სომხეთში.[141] მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, ყივჩაღები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, დაცარიელებულ შიდა ქართლში დაასახლეს, ასევე სასაზღვრო ზოლში, ჩრდილო სომხეთსა და ჰერეთში.[142]

მ. მურღულიასა და ვ. შუშარინის აზრით, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები გაანაწილა თურქმენ მომთაბარეთაგან გამოთავისუფლებულ საზამთრო სადგომებზე (ავჭალა, დიღომი, მტკვრისა და იორის ველები და ა.შ.).[143] იმავეს იმეორებს ს. მარგიშვილი, რომ ყივჩაღები სასაზღვრო რაიონებში განასახლეს და თურქმენთაგან გაწმენდილი საძოვრები დაუთმეს.[144] ყივჩაღებს სასაზღვრო რაიონებში დასახლებულად მიიჩნევს გ. ალასანიაც.[145]

ცალკე აღნიშვნის ღირსია თურქი ისტორიკოსის ფაჰრ ად-დინ კირზი-ოღლუს შეხედულებები საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლების შესახებ. მისი ვერსიით, ყივჩაღთა ჩამოსახლება დავით IV-მ დაიწყო და ეს პროცესი უწყვეტად გრძელდებოდა მისი მემკვიდრეების მიერ,[146] ხოლო ყივჩაღთა

---

[140] Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 108.

[141] სტეფნაძე, „სად წავიდნენ ყივჩაყები?“, 154.

[142] მარიამ ლორთქიფანიძე, „საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III (თბილისი, 1979), 227.

[143] Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках*, 150. ვ. სტეპანენკო, რომელმაც რეცენზია დაწერა მურღულიასა და შუშარინის ნაშრომზე, ფიქრობს, რომ ავტორთა მოსაზრება, ყივჩაღთა განსახლების ადგილების შესახებ, სრულიად დასაშვებია. В.П. Степаненко, “Рецензия, М.П. Мургулия, В.П. Шушарин, Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках,” *Христианский восток*, 2 (2001), 483.

[144] მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 48-9, 102-3.

[145] ალასანია, „ყივჩაყები საქართველოში“, 174.

[146] ასევე ფიქრობდა ზ. ანჩაბაძეც, რომლის დასკვნით „ყივჩაღების გადმოსახლება საქართველოში მიმდინარეობდა სისტემატურად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში“. З.В. Анчабадзе, “Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV веков,” *Материалы научной сессии по проблеме происхождения балкарского и карачаевского народов* (Нальчик, 1960), 119. უნდა ითქვას, რომ თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად, მკვლევრის მიერ მოყვანილი ფაქტები სიზუსტით არ გამოირჩევა. გიორგი III-ის (1157-84) დროს საქართველოში არ გადმოსახლებულა რამდენიმე ათეული ათასი ოსი და ყივჩაღი, როგორც ამას წერს ზ. ანჩაბაძე. იქვე, 119. მემატიანის მიხედვით, გიორგი III-ის მეფობაში „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან...“ „ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 367. მემატიანე აქ მხოლოდ მოქირავნეთა წესით მომსახურე რამდენიმე ათას ოს-ყივჩაღზე მოგვითხრობს და არა – ათეულ ათასობით გადმოსახლებულებზე. ავტორი კიდევ უფრო უცნაურ შეცდომას

დასახლების ადგილებად ასახელებს თბილისს, არტაანს, ახალციხეს, მტკვრისა და ჭოროხის აუზს, ოლთისისა და ისპირის რაიონებს. ავტორის აზრით, სამცხე-საათაბაგოში ყივჩაღები სახლობდნენ და ჯაყელებიც, სინამდვილეში ჩორჩანელ-ბაჰლაუნდიანთა ძველი ქართული გვარების XI საუკუნის შტო, ყივჩაღური წარმოშობის დინასტიაა. კირზიოღლუს ეს დებულებები სამართლიანადაა გაკრიტიკებული ქართველ მკვლევართა მიერ.[147] ახლახანს, კირზიოღლუს მოსაზრება ჯაყელების ყივჩაღური წარმოშობის შესახებ უარყო და გააკრიტიკა ე. პიკოკმაც.[148]

როგორც ვხედავთ, მკვლევრები ვერ თანხმდებიან ყივჩაღთა განსახლების ადგილის შესახებ. ერთნი (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, რ. მეტრეველი) თვლიან, რომ ყივჩაღები ქართლში დაასახლეს, მეორენი (ქ. ჩხატარაიშვილი, გ. ანჩაბაძე, მ. მურღულია და ვ. შუშარინი, ს. მარგიშვილი) კი მათ ადგილს მეტწილად სასაზღვრო რეგიონებში უჩენენ. განსხვავებულია მკვლევართა შეხედულება ყივჩაღთა შემდგომი ბედის შესახებაც. ივ. ჯავახიშვილის, შ. მესხიას, ნ. ბერძენიშვილის და რ. მეტრეველის აზრით, ყივჩაღები საქართველოში დარჩნენ და ასიმილაცია განიცადეს,[149] ქ. ჩხატარაიშვილი კი მათ არმენიზაციას ვარაუდობს.[150] ვოლინელი მემატიანის ცნობის საფუძველზე, ი. ცინცაძე ფიქრობს, რომ ყივჩაღთა მთავარი ათრაქა შარაღანის ძე სამშობლოში მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით დაბრუნდა, დარჩენილი ყივჩაღები

უშვებს, როდესაც დავით აღმაშენებელი (1089-1125) ეშლება დავით VIII-ში (1293-1311) და XIII საუკუნის მიწურულის მოვლენები, – ჟამთააღმწერელის მიერ აღწერილი დავით მეფის და „საზაფხულოდ“ მიმავალ ყივჩაღთა ეპიზოდი, – რეტროსპექტულად XII საუკუნის დასაწყისში გადმოაქვს. Анчабадзе, “Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV веков,” 121.

[147] ნოდარ შენგელია, კარლო ჩეჩელაშვილი, „თურქი ისტორიკოსის მ. ფაჰრ ად-დინ კირზიოღლუს „ყარსის ისტორია“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1976), 172-3; ლევან ურუშაძე, „ქართველთა ეთნიკური წარმომავლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2 (1988), 39-41; ნოდარ შენგელია, „XI-XIII სს. საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში“, *თსუ შრომები*, 290 (1989), 156-8, 165; მისივე, „ფაჰრედდინ კირზიოღლუს მონოგრაფიები“, *ქართული დიპლომატია*, 8 (2001), 259-64.

[148] Andrew Peacock, “Between Georgia and the Islamic World: The Atabegs of Samc’xe and the Turks,” in *At the Crossroads of Empires: 14th-15th Century Eastern Anatolia*, Proceedings of the International Symposium held in Istanbul, 4th-6th May 2007, ed. by Deniz Beyazit (Paris, 2012), 62.

[149] ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, ტ. II, 215-6; მესხია, *ძლევაჲ საკვირველი*, 43; ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. IX, 126; მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი*, 70.

[150] ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, 175.

კი გაქართველდნენ.[151] ჯ. სტეფნაძე თვლის, რომ ყივჩაღთა აბსოლუტური უმრავლესობა დაბრუნდა უკან.[152] ამავე აზრის არიან მ. მურღულია და ვ. შუშარინიც, რომელთა მიხედვითაც ყივჩაღები საქართველოში არ დარჩენილან და ათრაქას მეთაურობით დაბრუნდნენ სტეპებში.[153] გ. ალასანიას აზრითაც, საქართველოში მხოლოდ ერთეულები დარჩნენ.[154] ს. პლეტნევა ფიქრობს, რომ ათრაქამ თან მხოლოდ თავისი გვარი და მცირერიცხოვანი მეომრები წაიყვანა, ყივჩაღთა დიდი ნაწილი კი საქართველოში დარჩა.[155] ს. მარგიშვილი ვარაუდობს, რომ დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ათრაქა შარაღანის ძესთან ერთად უკან დაბრუნდა ყივჩაღთა ის ნაწილი, რომელთაგანაც მონასპა კომპლექტდებოდა.[156] პიტერ გოლდენი თვლის, რომ ყივჩაღთა ძირითადი ნაწილი სტეპებში დაბრუნდა, თუმცა დარჩენილთა რაოდენობასაც საგრძნობლად მიიჩნევს.[157]

ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია საკითხსაც ახლებურად შევხედოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ყივჩაღების განსახლების არეალი ფართო იყო და მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ (ზურტაკეტი), ისე დასავლეთ (ვანი) საქართველოსაც. დასავლეთ საქართველოში ყივჩაღთა ნაწილის განსახლების ფაქტს მოწმობს 1621 წელს შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოსო მოსაკრებელის დავთარიც, სადაც ჩხარს მცხოვრები გლეხი *დემეტრა ყიფჩაყიძე* მოიხსენიება.[158] გვარი *ყიფჩაყიძე* ეთნიკონიდან წარმოშობილი ჩანს. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა

---

[151] ცინცაძე, *ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან*, 200. ამ მოსაზრებას არგუმენტირებულად არ იზიარებენ ჯ. სტეფნაძე, მ. მურღულია და ვ. შუშარინი. სტეფნაძე, „სად წავიდნენ ყივჩაყები?“, 154-6; მისივე, „საქართველო-ყივჩაყეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, *ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში*, 1 (1985), 77-8; Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках*, 187. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ათრაქას უკან დაბრუნებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუკი ის თავისიანთა მნიშვნელოვან ნაწილს წაიყვანდა.

[152] სტეფნაძე, „სად წავიდნენ ყივჩაყები?“, 156; მისივე, „საქართველო-ყივჩაყეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, 79.

[153] Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках*, 167-8, 194.

[154] ალასანია, „ყივჩაყები საქართველოში“, 182.

[155] Плетнева, *Половцы*, 97.

[156] მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 103.

[157] Golden, "Cumanica I: The Qipčaqs in Georgia," 65.

[158] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III (თბილისი, 1970), 400. ეს ცნობა პირველად ქ. ჩხატარაიშვილმა მოიყვანა, თუმცა მისი განზოგადება მკვლევარს არ უცდია. ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, 174.

ყივჩაღები კურენების (გვარების) მიხედვით დაყო[159] და სამეფოს სხვადასხვა კუთხეშიგაანაწილა.ამასმემატიანისცნობაცადასტურებს,სადაცგანსახლების ადგილი მრავლობით რიცხვშია მოხსენიებული („დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა“).[160] ადვილი შესაძლებელია, ის რთული ურთიერთობა, რომელიც მეფესა და მომთაბარეებს შორის ჩამოყალიბდა,[161] ყივჩაღთა დანაწილებითაც ყოფილიყო გამოწვეული. ცნობილია, რომ უნგრეთში მიგრირებული ყივ-ჩაღების სხვადასხვა ადგილას განსახლების ცდამ მათი სერიოზული უკმა-ყოფილება გამოიწვია 1239-41 წლებში.[162] არადა, დავით IV-ს ყივჩაღები შედა-რებით კომპაქტურად, ერთი რეგიონის ფარგლებში რომ დაესახლებინა, მათზე კონტროლისათვის კონფლიქტს საკუთარ სიმამრთან ვერ გაექცეოდა. კომპაქტურად დასახლებული ყივჩაღები თავიანთ წინამძღოლად კვლავ ათრაქა შარაღანის ძეს იგულებდნენ, სხვადასხვა რეგიონში გადანაწილებული ყივჩაღები კი იძულებული იქნებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას („სპასალარებს და მმართებელთ“) დამორჩილებოდნენ.

ზურტაკეტში ყივჩაღთა დამკვიდრება დმანისის აღების ანუ 1124 წლის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. მართალია, გომარეთის პლატოზე საუკეთესო საზაფხულო საძოვრები არსებობდა, მაგრამ აქ დასახლებულ ყივჩაღებს საზამთრო საძოვრებიც დასჭირდებოდათ,[163] რომლებიც ქვემო ქართლის ვაკესა (გარდაბნისა და გარეჯის სტეპები, მარნეულის და სოღანლუღის დაბლობი)[164] და კახეთ-ჰერეთისაკენ უნდა ვიგულოთ. ალბათ, სწორედ ამ პროცესს (თრიალეთელი ყივჩაღებისათვის საზამთრო საძოვრების ადგილის მიჩენა) აღწერს დავითის ისტორიკოსი, როდესაც მოგვითხრობს, რომ მეფემ „ყივჩაყთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური“. ეს ამბავი 1124 წლის მიწურულს, ალბათ, შემოდგომაზე მოხდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ყივჩაღები ზურტაკეტში (თრიალეთში) ახალი დასახლებული არიან

---

[159] „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 337.

[160] ამ გარემოებას ჯერ კიდევ შ. მესხიამ მიაქცია ყურადღება. მესხია, *ძლევაჲ საკვირველი*, 40.

[161] იმ დიდი მიღწევების და მრავალ გამარჯვებათა მიუხედავად, რაც დავითსა და ყივჩაღებს ერთად ჰქონდათ მოპოვებული, მემატიანე მათ შორის კონფლიქტებზეც მიუთითებს: „რაოდენ-გზის ყივჩაყთა თჳსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მჴნენი, რომელნიმე ჴრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 362.

[162] Мургулия, Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках*, 181.

[163] ამ საზაფხულო საძოვრებით 4-5 თვის მანძილზე შეიძლებოდა სარგებლობა. ჯაფარიძე, *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში*, 12.

[164] იქვე, 12.

და 1124-25 წლების ზამთრისათვის ისინი უკვე საზამთრო საძოვრებსაც საჭიროებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაღთა ნაწილი ათრაქა შარაღანის ძის მეთაურობით მართლაც დაბრუნდა სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ჩანს, რომ საქართველოშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩენილა.[165] ამაზე მიუთითებს ყივჩაღთა ახლადიდენტიფიცირებული ორი სამარხიც.[166] გაქრისტიანებულ ყივჩაღთა წრიდან იყვნენ გამოსულნი ამირსპასალარი ყუბასარი და მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი,[167] რომელთაც საქართველოს სამეფო კარზე უმაღლესი თანამდებობები ეკავათ. კიდევ უფრო მეტი ყივჩაღი იქნებოდა მეორე რიგის მოხელეებში. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში დარჩენილ ყივჩაღთა რიცხვი მნიშვნელოვანი იყო. თავის მხრივ, რუსეთის სტეპებში დაბრუნებული ათრაქაც ვერაფერს მიაღწევდა, თან რომ თანატომელთა მნიშვნელოვანი რიცხვი არ ხლებოდა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ ყივჩაღთა დაახლოებით ნახევარი საქართველოში დარჩა, მეორე ნახევარი კი უკან დაბრუნდა.

---

[165] ყივჩაღთა დაბრუნებას გაართულებდა საქართველოს ტერიტორიაზე მათი დანაწილებული, გაფანტული სახლობა. მართალი არ უნდა იყოს ათრაქასთან ერთად რუსეთის სტეპებში მონასპის დაბრუნების შესახებ მოსაზრებაც. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 103. თავისთავად, მონასპის მასობრივად გაყოლა გულისხმობს, რომ ათრაქა მათი უფროსი იყო და თანაც, დავით აღმაშენებლის მიერ დანიშნული, რაც გამორიცხულია. პირადი გვარდიის ლოიალურობის „გაყოფას“ მეფე არასგზით არ დაუშვებდა. მით უმეტეს, რომ მონასპის ინსტიტუტი დავითის შემდეგ არ მოშლილა (რაც უცილობლად მოხდებოდა მათი მასობრივი წასვლის შემთხვევაში) და ჩანს გიორგი III-ის მეფობაშიც. 1161 წელს ანისთან ბრძოლისას მეფეს თან ახლავს „სიმრავლე [...] აზნაურთა ლომთა და მონათა“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 9.

[166] იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყივჩაღთა სამარხები მიზანმიმართულად არავის უძებნია, ორი სამარხის აღმოჩენა საგულისხმო მოვლენაა.

[167] *ყუბასარ*-ისა და *ყუთლუ-არსლან*-ის ეტიმოლოგიისათვის იხ. Golden, “Cumanica I: The Qipčaqs in Georgia,” 78, 80, nn. 105, 111.

Vani and Zurtaketi Burials as a Source for the History of Medieval Georgia

Mamuka Tsurtsumia

Summary

The present article discusses the medieval burials from Vani and Zurtaketi, which attract the attention by its weapon diversity and high share in the grave inventory. In the article, both the origin and dating of the burials are interpreted in a new way and the result proves to be different from the hitherto accepted viewpoint and important for the history of medieval Georgia.

The examination of the grave goods and burial rite revealed that both burials belong to the nomads, particularly to the Qipchaqs who were brought to Georgia by the king David IV the Builder in the 12th century;

Social role and status of the persons buried is established and determined that they belonged to the higher strata of Qipchaq society;

On the basis of newly interpreted archaeological data the area of Qipchaq settlements is established, which was broad enough to include both Eastern and Western regions of the country;

The further fate of the nomads has also been revealed: it seems that about half of the Qipchaqs remained in Georgia while the second half returned to the Russian steppes.

1



სურ. 1 ვანის სამარხი ხოშტარიას მიხედვით.

2

3

სურ. 2 ვანის სამარხში აღმოჩენილი ხმალი.

სურ. 3 ვანის სამარხში ნაპოვნი ისრები.

4

5



სურ. 4 შტანდარტი ვანის სამარხიდან.

სურ. 5 შტანდარტის არასწორი რეკონსტრუქცია: 1. ზედა და ქვედა ნაწილის განსხვავებული სიგანეები, 2. განსხვავებული ფორმები – ქვედა კუთხოვანი და ზედა მომრგვალებული, 3. მჭრელი პირი, 4. ჩამოტეხილი ყუნწი.

5

6



8

9

სურ. 6 რაძივილის მატიანის 233r-b (ქვედა) მინიატურა ყივჩაღთა დროშით (მარჯვნივ).

სურ. 7 ყივჩაღთა დროშის რეკონსტრუქცია ვანის შტანდარტისა და რაძივილის მატიანის მიხედვით.

სურ. 8 ვანის სამარხის ბალთები.

სურ. 9 რუსეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი მომთაბარეთა ბალთები. კიტაბ-ხონას მიხედვით.

10



11

სურ. 10 ზურტაკეტის მეოთხე ყორღანი: 1. ჭრილი, 2. გეგმა. ჯაფარიძის მიხედვით.

სურ. 11 ზურტაკეტის სამარხში აღმოჩენილი ლაგამი.

12

13

14

სურ. 12 ზურტაკეტის სამარხის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი.

სურ. 13 ქვაბის სახელური ზურტაკეტის სამარხიდან.

სურ. 14 ზურტაკეტის სამარხში ნაპოვნი ბიზანტიური ოქროს მონეტა: შუბლი და ზურგი.

VIII

გიორგი ლაშას მეფედ ყურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა

მაია პატარიძე, ირაკლი ფაღავა

ქართველი ერის შუასაუკუნოვანი ისტორიის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია ისეთი მატერიალური არტეფაქტები, როგორიც მონეტებია. უნდა ითქვას, რომ ქართული ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა დავით აღმაშენებლიდან რუსუდანის ჩათვლით არცთუ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მისი მასობრიობა – ამ ეპოქაში გამოშვებული ამა თუ იმ ტიპის დღემდე შემონახული ცალების რაოდენობა ძალიან დიდია.[1] ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ კვლევის რაოდენობრივი, სტატისტიკური მეთოდები.[2]

ამავე დროს, უნიკალური ან უკიდურესად იშვიათი მონეტების (სამონეტო ტიპების) კვლევაც გვაწვდის ეპოქის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას და იძლევა საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას;[3] ეს მიგნებები, ბუნებრივია, ეფუძნება შესაბამის სამონეტო ტიპებზე შემონახული ლეგენდებისა და მათი შინაარსის, გამოსახულებისა და მისი ცალკეული ელემენტების ანალიზს. ამასთანავე, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ნუმიზმატიკური მასალის მიერ შემონახული ინფორმაციის დამუშავება-გაანალიზების პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მონეტებში დაშიფრული ისტორიული

---

[1] ჯერ კიდევ 1955 წლისთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ინახებოდა ამ პერიოდის 11 ათასი ქართული მონეტა. Давид Капанадзе, *Грузинская нумизматика* (Москва, 1955), 30. ავტორებს, თავის მხრივ, სხვა საჯარო თუ კერძო კოლექციებში დამატებით კიდევ რამდენიმე ათასი აქვთ დათვალიერებული.

[2] ვგულისხმობთ შემდეგი საინფორმაციო კომპლექსის დამუშავებას: ცალკეული აღმოჩენების ტერიტორიული განაწილება, მეტროლოგიის კვლევა, სიქების შეფარდება.

[3] დავით აღმაშენებლიდან და რუსუდანამდე პერიოდისთვის ბოლო წლების შრომებიდან შეიძლება აღინიშნოს, მაგალითად, Irakli Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah," *3rd Assemani Symposium on Islamic Coins*, Roma, 23-24 September 2011, Proceedings, eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone (Trieste, 2012), 220-61; Severiane Turkia, and Irakli Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia," *Journal of Oriental Numismatic Society*, 200 (2009), 9-12; ირაკლი ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები – კომპლექსური ანალიზი", *საისტორიო კრებული*, 1 (2011), 291-343.

და, განსაკუთრებით, ისტორიულ-კულტურულოგიური გზავნილების ამოხსნას თავისებური „კოდის“ შერჩევა ჭირდება. ამისთვის კი, ტრადიციული ნუმიზმატიკური მეთოდების გარდა, ზოგჯერ, სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის[4] და სათანადო პარალელური მასალის მოშველიება ხდება აუცილებელი.

მკვლევართა თაობების მრავალწლოვანი ძალისხმევის მიუხედავად, ქართული ნუმიზმატიკის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევა დღემდე ვერ მოხერხდა. გოჩა ჯაფარიძის მოსწრებული გამონათქვამის თანახმად,[5] ქართული მონეტები უფრო ხშირად ახალი ისტორიული გამოცანების წინაშე გვაყენებს, ვიდრე უკვე არსებულის ამოხსნაში გვეხმარება.

ამ მოსაზრებას სავსებით შეესაბამება გიორგი ლაშას ზეობის ნუმიზმატიკური ისტორია. წესიერი ჭედვის მონეტები „ჯავახთ უფლის“ წოდებით, რომელსაც ნუმიზმატიკური პრეცედენტები და გვიანდელი ანალოგიები არ გააჩნია;[6] უწესო ჭედვის (არასტანდარტული ზომა-ფორმა-წონის) მონეტები, რომელსაც ზოგჯერ თევზისა და სხვა ობიექტის ფორმას აძლევდნენ და რომელიც იმავე თარიღს ატარებს, რაც თამარის მრავალ მონეტაზეა (ქართული ქორონიკონის 430 = 1210 წ.);[7] უნიკალური მონეტა გიორგი ლაშას გამოსახულებით – ყველა ამ ქართველი მონარქის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას მიეკუთვნება; სამივე ჯგუფის მონეტები მეტად ორიგინალურია და მათ გაჩენასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დღემდე ამოუხსნელი რჩება.

ჩვენ **მიზანს** სწორედ გიორგი ლაშას გამოსახულებიანი, ჯერჯერობით უნიკალური, სპილენძის მონეტის შესწავლა წარმოადგენს (სურ. 1ა,ბ). ძირითად ამოცანად დავისახეთ მოგვეხდინა ამ საფასის შუბლზე გამოსახული სცენის ანალიზი (ჩვენი აზრით, მონეტაზე გიორგი IV-ის მეფედ კურთხევის ფაქტის სიმბოლური ასახვაა წარმოდგენილი).

თამარისა და გიორგი ლაშას ზეობათა ქრონოლოგიის გაურკვევლობის

---

[4] საგულისხმოა, რომ მონეტები თავადაც შეიძლება სახელოვნებათმცოდნეო ინფორმაციის წყარო გახდეს. შდრ. В. Потин, “Нумизматика и средневековое искуство,” *Труды государственного Эрмитажа*, XII (1971), 130-6.

[5] პატივცემულმა მკვლევარმა ეს მოსაზრება ერთ-ერთ ავტორთან პირად საუბარში გამოთქვა.

[6] ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები“. სამწუხაროდ, ამ ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ავტორისთვის მიუწვდომელი იყო გვანცა აბდალაძის ნაშრომი, სადაც მოყვანილია ავტორის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც. იხ. გვანცა აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა (1206-1223)“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2005), 14, 16, 99-101.

[7] Irakli Paghava, “Minting Fishes: Irregular Coinage of Giorgi IV, King of Georgia,” (Typescript).

გათვალისწინებით, ვცადეთ გიორგი IV-ის *დათარიღებული* (მონეტა ხომ თარიღიანია) *კურთხევის* სცენის არსებობის ფაქტი ეპოქის ქრონოლოგიის მკვლევართათვის დამატებითი არგუმენტის მისაწოდებლად გამოგვეყენებინა.

გარდა ამისა, აღნიშნული გამოკვლევა წარმოადგენს მცდელობას კიდევ ერთი, შედარებით უჩვეულო რაკურსიდან განგვეხილა გიორგი ლაშას ზეობა: კურთხევის სცენისთვის შერჩეული სიმბოლოების ანალიზის საფუძველზე შევხებოდით ამ ქართველი მონარქის – ღვთისწორობაზე პრეტენზიის მქონე ბაგრატიონების ერთ-ერთი მეტად არაორდინალური წარმომადგენლის – საჯაროდ გაცხადებულ პოლიტიკურ-თეოლოგიურ კრედოს; და, ამ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, გვემსჯელა, საზოგადოდ, ამ პერიოდის საქართველოში კომერციული სულისკვეთების წარმოჩენაზე.

გიორგი IV-ის ამ უნიკალურ მონეტაზე დაყრდნობით, მოკლედ შევეხებით აგრეთვე ე.წ. ოქროს ხანის (დავით აღმაშენებლიდან რუსუდანამდე) საქართველოში მემორიალურ-დონატიური მონეტების გამოშვების საკითხ-საც.

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებლად მივიჩნიეთ მიგვემართა კვლ-ევის სახელოვნებათმცოდნეო, ზოგად-ისტორიული და ვიწრო-ნუმიზმატიკური მეთოდებისთვის; მონეტაზე მოყვანილი გამოსახულების სემანტიკური დატვირთვის გარკვევისთვის გამოვიყენეთ *შედარებითი ანალიზი*, რისთვისაც მოვიხმეთ პარალელური იკონოგრაფიული (ფერწერული და მოზაიკური კედლის მხატვრობა, მონეტები) მასალა – ქართული, ბიზანტიური, სომხური, დასავლეთევროპული, ისლამური.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა, პირველ რიგში, თავად მონეტაზე მოყ-ვანილი გამოსახულების შესწავლას, რამაც აქამდე დაუდგენელი არაერთი იკონოგრაფიული ელემენტის (შარავანდი, „ზეციდან გამოწვდილი ხელები“) გამოვლენამდე მიგვიყვანა; უკვე გათვალისწინებული ელემენტების ხელახალ გააზრებას (მონარქის სამოსი, გვირგვინი მის თავზე, *აპოკომბიონი*[8] და არა *აკაკია/ანექსიკაკია*[9] მის მარცხენა ხელში); და ყველა ცალკეული კომპონენტის

---

[8] ვრცლად იხ. ქვემოთ.

[9] აკაკია (ἀκακία) ან, როგორც მას ასევე უწოდებდნენ, ანექსიკაკია (ἀνεξικακία), წარ-მოადგენდა ცილინდრული ფორმის ობიექტს – დახვეულ ქსოვილს, რომელშიც მტვერი იყო ჩაყრილი. ის იმპერატორის ერთ-ერთ ინსიგნიას წარმოადგენდა, მოწოდებულს იმის შესახსენებლად, რომ მონარქიც მოკვდავი იყო (გარდა ამისა, სააღდგომო პროცესიის მონაწილეების ხელში ის მოციქულების მიერ ახალი აღთქმის ცხოველ ტექსტებს განასახიერებდა). Michael Hendy, *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection: Alexius I to Michael VIII, 1081-1261,* Vol. 4, Pt. 1, *Alexius I to Alexius V (1081-1204)* (Washington, 1999), 169-70; Philip Grierson, *Catalogue of the Byzantine*

ერთიან ანალიზს, რასაც მივყავართ გამოსახული სცენის გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის სუჟეტად ინტერპრეტაციამდე.

სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის გარდა, გიორგი IV-ის *იდეოლოგიურ-პოლიტიკური პროგრამის* განხილვისას, ბუნებრივია, ვეყრდნობით ამ ქართველი მონარქის ზეობისა და პიროვნების შესახებ დაგროვილ ისტორიულ ინფორმაციას. მსგავსად ამისა, პერიოდის ქრონოლოგიაზე მსჯელობისას ვითვალისწინებთ სამეცნიერო პერიოდიკაში წარმოებული დისკუსიის ფარგლებში გამოქვეყნებულ ფაქტებსა და მოსაზრებებს.

გიორგი ლაშას გამოსახულებიანი მონეტის ამ ეპოქის საქართველოსა და, საზოგადოდ, რეგიონის ნუმიზმატიკური ისტორიის ზოგად კონტექსტში მოსათავსებლად აუცილებელი ხდება მეტ-ნაკლებად პარალელური ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა-ანალიზიც.

საკვლევი მასალის ზოგადი მიმოხილვა

ძირითადი საკვლევი მასალა, ბუნებრივია, თავად უნიკალური მონეტაა. მას ქვემოთ განვიხილავთ.

გარდა ამისა, შესადარებლად მოვიშველიებთ პარალელურ მასალას; ეს უკანასკნელი შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს –

1) ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლები;

ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ, პირველ რიგში, კურთხევისა და, უფრო კონკრეტულად, მეფედ კურთხევის (ხშირად ეს „გვირგვინდებაა“) სიუჟეტის ამსახველ მონეტებს და მათ ლოკალურ ვარიანტებს – ბიზანტიურს, სომხურს, ისლამურს; ამ მხრივ იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარ შესადარებელ მასალას გვაწვდის ბიზანტიური საფასე[10]; განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კურთხევის სცენაში *აპოკომბიონის* (მის მნიშვნელობაზე იხ. ქვემოთ) წარმოჩენის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ნუმიზმატიკური პრეცედენტი იოანე ციმისხის მონეტაზე (სურ. 14). საინტერესოა ასევე კილიკიის სომხური სახელმწიფოს იშვიათ სამონეტო

Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection: Leo III to Nicephorus III (717-1081), Vol. 3 (Washington, 1973), 133-4; Paul A. Underwood, and Lawrence J. Majewski, "Notes on the Work of the Byzantine Institute in Istanbul: 1957-1959; The Conservation of a Byzantine Fresco Discovered at Etyemez, Istanbul," *Dumbarton Oaks Papers*, vol. 14 (1960), 214.

[10] Vangelis Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage: A Case of Christian Political Theology (10th-Mid 11th C.)," *Acta Musei Varnaensis*, VII-1, *Numismatic, Sphragistic and Epigraphic Contributions to the History of the Black Sea Coast, International Conference in the Memory of Dr. Milko Mirchev, Varna, September 15th-17th, 2005* (Varna, 2008), 342-60; Ioannis Touratsoglou, Petros Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," *Revue Numismatique*, 6e serie Tome 19 (1977), 68-76.

ტიპზე გამოსახული კურთხევის სიუჟეტიც (იხ. სურ. 12). არ არის ინტერესს მოკლებული ნაჯმ ად-დინ ალფის (ჰ. 547-572 / 1152-76) ისლამური საფასე ბიზანტიური ნუმიზმატიკიდან ნასესხები მონარქის კურთხევის სცენით (სურ. 11).

ქართველი მონარქის *ნუმიზმატიკური* იკონოგრაფიის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური მონეტა დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ფიგურით (სურ. 2);[11] ცნობილი მონეტა, რომელზედაც ფეხმორთხმით მჯდომი გიორგი III (1157[12]-1184) არის გამოსახული (სურ. 4);[13] ასევე, XIII საუკუნის მონეტები დავით გიორგის ძის (1247-1270) და დავით რუსუდანის ძის (1245-1293) გამოსახულებებით (სურ. 9-10).[14]

ნუმიზმატიკური ანალიზისთვის პარალელურ მასალას წარმოადგენს, ბუნებრივია, ეპოქის ქართული (სპილენძის) საფასე, განსაკუთრებით კი გიორგი ლაშას სხვა სამონეტო ტიპებიც[15] (სურ. 6-7).

2) საეკლესიო და საერო იკონოგრაფია (ქართული და ბიზანტიური, ასევე, ნაწილობრივ, დასავლეთევროპული); ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო მონარქის კურთხევის სცენებს, არამედ, საზოგადოდ, ზეციურ ძალებთან მის დამოკიდებულებას და ამის ამსახველ ხელოვნების ნიმუშებსაც.

ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ორი ბიზანტიური მოზაიკური პანო კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძრიდან, რომელთაგან თითოეულზე გამოსახულია იმპერატორი და დედოფალი, ამასთანავე იმპერატორს ორივე შემთხვევაში ხელში უკავია *აპოკომბიონი* (სურ. 17-18).

ყურადღებას იპყრობს კურთხევის ისეთი „დასავლეთევროპული“ სცენაც,[16]

---

[11] David Lang, “Notes on Caucasian Numismatics,” *Numismatic Chronicle*, Sixth Series, XVII (1957), 144-5.

[12] დღეისთვის უკვე შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ გიორგი III გამეფდა 1157 და არა 1156 წელს. თემო ჯოჯუა, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“, *ოჩხარი. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი*, რედ. დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 2002), 508-19.

[13] Евгений Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970), 82-3; Antony Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia* (Pennsylvania, 1998), 91-2.

[14] თამარ ლომოური, „XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, X (1940), 123-31. შდრ. დავით კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი, 1969), 88-9.

[15] Пахомов, *Монеты Грузии*, 96-101.

[16] რომლის კავშირიც ბიზანტიურ ხელოვნებასთან ეჭვს არ იწვევს. დასავლეთევროპულ ხელოვნებაში (მეფედ) კურთხევის იკონოგრაფიის მოკლე მიმოხილვისთვის იხ. Т. Вирсаладзе, “Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши,” *Ars Georgica*,

როგორიცაა მარტორანას ტაძრის მოზაიკა როჯერ II-ისა (1130-1154) და იესო ქრისტეს გამოსახულებით (სურ. 19).

ქართული კულტურული მემკვიდრეობიდან ჩვენი შრომისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფედ კურთხევის იმ გამოსახულებებს, რომლებიც ქართულ ფრესკებზეა აღბეჭდილი: მაცხვარიშის ეკლესიის ფრესკას დემეტრე I-ის კორონაციის დინამიკური სცენით (სურ. 20); გიორგი ლაშას (*მეფედ?*) კურთხევის (ჯერ კიდევ დედის სიცოცხლეში) ამსახველ, საკმაოდ დაზიანებულ გამოსახულებას[17] გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ეკლესიაში[18] (სურ. 22); ვარძიის ანანაურის ეკლესიის დასავლეთი სათავსის[19] შედარებით ცუდად შენახულ ფრესკას, რომელზეც, სავარაუდოდ, სწორედ გიორგი IV-ის კურთხევა არის სიმბოლურად ასახული (სურ. 26); შედარებით გვიანი პერიოდის ფრესკას გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭის მოხატულობის ქვედა ფენაზე, რომელზეც იმერეთის მეფის (ბაგრატ III) და დედოფლის კურთხევაა ასახული.[20]

პარალელური ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ჩვენამდე შემონახული გიორგი ლაშას პორტრეტებიც (უკვე ნახსენები ნათლისმცემლისა და ანანაურის გარდა, უნდა აღინიშნოს ბეთანიის მონასტრის მთავარი ტაძრის,[21]

---

4 (Тбилиси, 1955), 179; Гаяне Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1979), 74.

[17] ზაზა სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, *საბჭოთა ხელოვნება*, 11 (1983), 96-110; მისივე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, *საბჭოთა ხელოვნება*, 3 (1987), 108-13. 2005 წელს მარინე ბულიამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ინფორმაცია ამ ფრესკაზე გიორგი ლაშას თავზე გვირგვინის დაშვების შესახებ. მარინე ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, *საქართველოს სიძველენი*, 7-8 (2005), 186-8.

[18] შემდგომში, შემოკლებით, *ნათლისმცემელი*.

[19] შემდგომში, შემოკლებით, *ანანაური*.

[20] ანი კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში“, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 3 (1991), 161, 170-1, 185-6; Вирсаладзе, “Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши,” 174-6; ანანაურის ფრესკაზე გამოსახული მამაკაცის ვინაობის აღმნიშვნელი ზედწერილის ნიშანკვალი არსადაა. მიუხედავად ამისა, ანი კლდიაშვილის არგუმენტები, რომელთა თანახმად ეს გიორგი ლაშას პორტრეტია – დამაჯერებლად გვეჩვენება. Анна Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури в Вардзиа. Ктиторский портрет,” *Пещеры Грузии. Спелеологический сборник (спелеистические исследования)*, 12 (1988), 61-70; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 186-8.

[21] შემდგომში, შემოკლებით, *ბეთანია*.

ყინცვისის მონასტრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის,[22] გარეჯის მრავალმთის ბერთუბნის მონასტრის მთავარი ეკლესიის[23] მოხატულობა, სადაც გიორგი ლაშა დედის და პაპის გვერდით არის გამოსახული (სურ. 22-26).[24]

გიორგი ლაშას მონეტა, წარმომავლობა და აღწერილობა

ეს უნიკალური საფასე, სამწუხაროდ, დეპასპორტიზებულია. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ თავის დროზე მას ვინმე მოქალაქე მედვედევი ფლობდა, რომლისგანაც მონეტა (შეძენის გზით) ტფილისის თავადაზნაურობის კოლექციაში მოხვდა.[25] წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის ჟამს, 1921 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა ის საფრანგეთში გაიტანა (ეროვნულ საგანძურთან ერთად), საიდანაც შემდგომში ისევ სამშობლოში დაბრუნდა[26] და ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებში ინახება.

მოვიყვანთ ამ, ჯერჯერობით მაინც, უნიკალური[27] მონეტის ახლებურ აღწერილობას (სურ. 1ა,ბ):

წონა 5.60 გ;[28] კვეთა 23-24 მმ.

შუბლი: შედარებით თხელი ადამიანის (მამაკაცის) სრულტანიანი გამოსახულება. თავის ირგვლივ ჩანს *შარავანდის* ნაშთები. მარჯვენა ხელში

---

[22] შემდგომში, შემოკლებით, *ყინცვისი*.

[23] შემდგომში, შემოკლებით, *ბერთუბანი*.

[24] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 43-6; კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 161-86.

[25] Пахомов, *Монеты Грузии*, 100.

[26] С. Джанашиа (Ред.), *Опись Грузинских Музейных Ценностей, вывезенных бывшим меньшевистским правительством за границу в 1921 г. и возвращенных из Парижа в Грузию в 1945 г., составленная приемочной комиссией снк ГССР* (Тбилиси, 1946), 18.

[27] ბოლო დროის მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური აღმოჩენები იმედს გვაძლევს, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდება სხვა ეგზემპლარებიც.

[28] წინამდებარე ნაშრომში ავტორებს არა აქვთ მიზნად დასახული გიორგი IV-ის გამოსახულებიანი საფასის მეტროლოგიის საფუძვლიანი შესწავლა; ეს შეუძლებელიც იქნებოდა – ერთადერთი ეგზემპლარის საფუძველზე რაიმე მყარი დასკვნის გაკეთება გამართლებული არ არის. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გიორგი ლაშას წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების (*ჯავახთ უფლის* ტიტულით) საშუალო წონა შეადგენს 5.95 გ-ს (მედიანა – 5.68 გ, სტანდარტული შეცდომა (SE) 0.21, სტანდარტული გადახრა (SD) 1.12; ექსცესის კოეფიციენტი 0.77, ასიმეტრიის კოეფიციენტი +1.06). ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები“, 320. 5.60 გ-იანი უნიკალური მონეტა გიორგი ლაშას გამოსახულებით შესანიშნავად უდგება ზემოთ მოყვანილ ციფრებს. ჩნდება ცდუნება, დავუშვათ ვარაუდი (საბოლოო დასკვნების გაკეთება ნამდვილად შეუძლებელია), რომ ორივე ტიპის მონეტები ერთი და იგივე წონითი სტანდარტის მიხედვით იჭრებოდა.

მას გრძელბუნიანი ნივთი უკავია, მარცხენაში *აპოკომბიონი*; ამასთანავე, აპოკომბიონს ეხება (იჭერს, ან, საფიქრებელია, *აწვდის* მონარქს) ზეციდან გადმოწვდილი ორი ხელი.

(გიორგი ლაშას) ფიგურის მარცხნივ მისი სახელის აღმნიშვნელი ორასოიანი მონოგრამაა – **ᲬᲜ**, იქვე, თამარ მეფესთან ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სიტყვა – **ᲫᲬ**, წარწერა გრძელდება ფიგურის მარჯვნივ, სადაც თამარის სახელია დაქარაგმებული – **ᲩᲨ**, ოღონდ ნაწილობრივ ის ახალ სტრიქონშია გადატანილი, კვლავ ფიგურის მარცხნივ – [**Შ?]ᲡᲜ**. **Შ** ცუდად მოჩანს, შესაბამის ადგილას მონეტის ზედაპირის კოროზიის გამო, მაგრამ მისი არსებობა აღნიშნულ ადგილას სავსებით ლოგიკურია გიორგი IV-ის უწესო ჭედვის მონეტებთან ანალოგიით, სადაც იგივე ლეგენდაა ორ სტრიქონად[29] (იხ. სურ. 7):

გ[იორგ]ი ძე
თ[ა]მ[ა]რ[ი]ს[ა]ი
ᲬᲜ ᲫᲬ
ᲩᲨᲨᲡᲜ

მარჯვნივ კი, მარცხენა მკლავზე გადმოფენილი დიადიმას ბოლოს ქვემოთ მოჩანს ასო **Ჩ**-ის ზედა ნაწილი, რომელიც თარიღის შემორჩენილ ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს (მონეტის თარიღზე და მის მნიშვნელობაზე იხ. ქვემოთ).

ზურგი: წერტილებისგან შემდგარი ხაზებით გამოყვანილი ფიგურა („ვარდული“), რომელიც სივრცეს ოთხ ნაწილად – კვადრანტად ყოფს; კვადრანტებში საერთო ლეგენდის ფრაგმენტებია, რომელიც შემდეგნაირად აღდგება (ლეგენდის ვარაუდით აღდგენილი ნაწილები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული; ვარდულის შესაბამისად ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მკლავებს შემდეგი პირობითი აღნიშვნები განასახიერებს – □ და ===):

ملک □ الم[لوک]
کیور□کی [بن]
==========
تامار □ ح[سام]
المسیح □

სრულად აღდგენილი ლეგენდის თარგმანი ქართულ ენაზე შემდეგნაირია (თითოეულ სტრიქონში წაკითხვა, არაბული წესით, მარჯვნიდან უნდა იწყებოდეს):

---

[29] Пахомов, *Монеты Грузии*, 96-9.

მეფეთა მეფე
[ძე] (გი=)ქი ქიურ (=გიორ)-
==========
მახვილი თამარისაი
 მესიისა

მონეტის ზურგის ზედაპირის გაცვეთილობის გამო გაურკვეველია, თუ რა იყო (თუკი იყო რამე) გამოსახული მარცხენა ქვედა კვადრანტის ქვედა ნაწილში. ამ ადგილის თავისუფლად დატოვება ზურგის გაფორმების თვალსაზრისით გაუგებარია. ამასთან, კალიგრაფიის თვალსაზრისით, ლეგენდები, ჩვენი აზრით, საკმაოდ ულაზათოდ არის შესრულებული, ასე რომ, საფიქრებელია, ლეგენდის განაწილების კომპოზიციაც (საზოგადოდ, მონეტის ესთეტიკური მხარე) ხელოსნისათვის ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იყო.

„ვარდულის“ ოთხ სეგმენტში თარიღის მაუწყებელი ფორმულის შემადგენელი სიტყვებია:

ვარდულის ზედა ნაწილში (ვერტიკალურად): **ماية** (-ასს)

მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში: **ست** (ექვსსა)[30] / **سنة** (წელსა)

ქვედაში (ვერტიკალურად): **و ست** (და ექვს-)

რაც უნდა შეჯამდეს როგორც მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ ქვევიდან ზევით წაკითხული ლეგენდა:

سنة ست و ست ماية

წელსა ექვსას ექვსსა

ირგვლივ ხაზოვანი რკალის ნაშთებია 2-4 სთ-ზე?

მონეტის ცალკეული ელემენტების განხილვა

უნიკალური ისტორიული ძეგლის მნიშვნელობისა და ინფორმაციული დატვირთვის შესაფასებლად აუცილებლად გვეჩვენება მონეტის ყველა პარამეტრის სათითაოდ განხილვა. ეს პარამეტრები (ინფორმაციული კომპონენტები) შემდეგნაირია:

1) გამოსახულება და მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტები;

2) ლეგენდები – მათი შინაარსი და სხვა მახასიათებლები (მაგ. კალიგრაფია).

---

[30] სიტყვის თავზე თითქოსდა რაღაც გაურკვეველი მოჩანს, რაც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც რამდენიმე გაცვეთილი სიმბოლო, შესაძლოა – **عشر** – ანუ, ათი, რაც თარიღს (606) 616-ად გადააქცევდა (= 1219/20). Пахомов, *Монеты Грузии*, 101. თუმცა, ვეთანხმებით ე. პახომოვს, რომ თარიღზე მაინც 606 და არა 616 არის აღნიშნული.

მონეტის შუბლის დომინანტი – **ადამიანის ფიგურა** – მონარქი, როგორც ჩანს, რეალისტურად არის გადმოცემული: ჩვენს წინაშე აშკარად შედარებით თხელი, სავარაუდოდ, ახალგაზრდა პიროვნების, ჭაბუკის გამოსახულებაა; *ქართულ სამონეტო ხელოვნებაში*[31] მოწიფული მამაკაცის გამოსახულებისთვის იხ. გიორგი III-ის წესიერი ჭედვის საფასე (სურ. 4).

საზოგადოდ, ქართულ ნუმიზმატიკაში მონარქის გამოსახვის[32] საკმაოდ იშვიათ მაგალითებს რომ გადავხედოთ, ცხადი ხდება, რომ ფეხმორთხმით მჯდომი გიორგი III და ფეხზე მდგომი გიორგი ლაშა რეალისტურად არიან გამოსახულნი,[33] ხოლო წინამორბედი ეპოქის დავით IV-ის ფეხზე მდგომი ფიგურა მის უნიკალურ მონეტაზე (სურ. 2), ისევე როგორც მონღოლთა მოვლენის პერიოდის დავით რუსუდანის ძისა და დავით გიორგის ძის ამსახველი მხედრები (სურ. 9-10) ადამიანისა და ცხენის ფიგურების ბევრად უფრო სქემატური და პირობითი გამოსახულებებია (განსაკუთრებით, დავით აღმაშენებლის ფიგურა).

გიორგი IV-ის ახალგაზრდა მამაკაცად გამოსახვა რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს – მონეტა ხომ 1210 წლით არის დათარიღებული და, სავარაუდოდ სწორედ იმ წელს იყო მოჭრილი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ), როდესაც გიორგი ლაშა ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო (ის, სავარაუდოდ, 1192 თუ 1193 წ. დაიბადა[34]).

ამ მონეტის გარდა, დღეისთვის გიორგი ლაშას სულ ხუთი[35] გამოსახულება გაგვაჩნია:[36] 1) ნათლისმცემლის, 2) ბეთანიის, 3) ყინცვისის, 4) ბერთუბნის, 5) ანანაურის.

---

[31] შდრ. Потин, "Нумизматика и средневековое искуство," 130-6.

[32] შდრ. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 99.

[33] ადამიანის სხეულის გამოსახვის რეალიზმი ამ შემთხვევაში აღმაშენებლის მიერ საქართველოს გაერთიანების შემდგომ პერიოდში (მონღოლების-დროინდელ დამცრობამდე) ქართული ხელოვნებაში რეალიზმის მძლავრი ტალღის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

[34] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 13.

[35] სამწუხაროდ, სამუდამოდ დაიღუპა ფრესკული გამოსახულება ცაგერის საკათედრო ტაძარში (მასზე ვაჟიშვილთან ერთად თამარიც იყო გამოსახული), რომელიც, თავის დროზე, დიმიტრი ბაქრაძეს ქონდა ნანახი (ექვთიმე თაყაიშვილმა მის ნარჩენებსაც კი ვეღარ მიუსწრო). Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи*, 15; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 46.

[36] Алибегашвили, *Светский портрет*, 20-9; Клдиашвили, "Роспись западного придела церкви Ананаури," 161-86; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 43-6. საყურადღებოა ანი კლდიაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ვარძიის, ბერთუბნის, ყინცვისისა და ბეთანიის ფრესკებზე გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი ლაშას ერთად გამოსახვა (ვარძიის ფრესკაზე, როგორც ცნობილია, გიორგი ლაშა არ არის გამოსახული) მათი თანამოსაყდრეობით იყო განპირობებული. კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის", 184. ეს მოსაზრება საკამათოდ გვეჩვენება, ყოველ შემთხვევაში, გიორგი III და გიორგი IV ერთმანეთის თანამოსაყდრეები არ ყოფილან, თუმცა კი, ორივე გარკვეული დროის განმავლობაში თამარის თანამოსაყდრე იყო.

1) ნათლისმცემლის მონასტერში მეტად დაზიანებულ, მაგრამ მაინც, ჩვენამდე მოღწეულ ფრესკაზე (სურ. 22) გიორგი ლაშა დედ-მამასთან[37] ერთად არის გამოსახული (სამივე საიმპერატორო სამოსელშია და კვერთხი უჭირავს).[38] ის ჯერ კიდევ ბავშვი თუ მოზარდია (ბევრად

---

[37] საინტერესოა, რომ დავით სოსლანი ამ შემთხვევაში მეფეთა მეფის ტიტულს ატარებს. სხირტლაძე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 111; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 137. შდრ. მარინე ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, *საქართველოს სიძველენი*, 7-8 (2005), 184.

[38] სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 96-110; სხირტლაძე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 108-13; Zaza Skhirtladze, “Les portraits de l’église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja,” *Zograf*, 23 (1993-1994), 5-14; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 137-41; მარინე ბულია, „თამარის ხანის მოხატულობათა ერთი იკონოგრაფიული თავისებურება“, *საქართველოს სიძველენი*, 12 (2008), 192-212; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 168-203; *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, რედ. მარინე ბულია, ანელი ვოლსკაია, დიმიტრი თუმანიშვილი, თეიმურაზ ჯოჯუა (თბილისი, 2010), 12, 51; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 45-6. იქვე სხვა ქართველი მონარქებიცაა გამოსახული, ბაგრატ IV (ზაზა სხირტლაძის აზრით) თუ ბაგრატ III (მარინე ბულიას მიხედვით), დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარი და დავით სოსლანი. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 96-110; მისივე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 108-113; მისივე, “Les portraits de l’église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja,” 5-14; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 168-203; *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, 12. ფრესკაზე ხაზგასმულია ბაგრატიონ მონარქთა ნათესაური კავშირი, მათი ხელისუფლების მემკვიდრეობითობა. Skhirtladze, “Les portraits de l’église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja,” 13; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 183. მარინე ბულიას აზრით, გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის გამოსახულებები იმიტომ არ არის წარმოდგენილი, რომ მათ ზეობაში დავით-გარეჯა ბაგრატიონთა ხელში არ იყო (კახეთ-ჰერეთის მეფეები ფლობდნენ); დავით V-ის შემთხვევაში კი შეგნებულ ცენზურას ქონდა ადგილი. ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 183. გიორგი II-ისა და და დავით V-ის გამოსახულებათა არგამოსახვას შეეხო ზაზა სხირტლაძეც. მისი აზრით, სწორედ მეფე ბაგრატ IV-ის დროს მოხდა მონასტრის აღდგენა-განახლება, რის გამოც გამოსახულების თანმხლებ ფრესკულ წარწერაში იგი „პირველ მაშენებლად“ იწოდება. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 96-110. ენტონი ისტმონდი ვარაუდობს, რომ გიორგი II-ისა და და დავით V-ის გამოსახულებათა გამოტოვება მათი წარუმატებლობით იყო განპირობებული, რის გამოც ისინი თამარისა და მისი ოჯახისთვის ლეგიტიმიზაციის წყაროდ ვერ გამოდგებოდნენ; ავტორის აზრით, ნათლისმცემლის აღნიშნული გალერეა ხელისუფლების მიერ წარსულის ოფიციალური, თუ ოფიციალურად რეკომენდებული ინტერპრეტაციის (“the officially approved view of the past”) ერთადერთი შემონახული მაგალითია (თუ არ ჩავთვლით ქართლის ცხოვრების

უფრო დაბალია, ვიდრე მისი მშობლები) და ამ ასაკში გიორგი ლაშას გამოსახვის თვალსაზრისით უნიკალურია. ამ ფრესკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან მასზე წარმოდგენილია გიორგი ლაშას კურთხევის ჩვენამდე მოღწეული ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი სცენა[39] – ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერების მიხედვით, ფრესკაზე გიორგი ლაშას გვირგვინდება იყო გამოსახული (დღეისთვის, სამწუხაროდ, ფრესკის დაზიანების გამო, მისგან არაფერია დარჩენილი).[40] მარინე ბულიას გამოთქმული აქვს საკმაოდ დამაჯერებელი ჰიპოთეზა, რომ ფრესკაზე თამარს ქმარ-შვილიანად მაცხოვარი აკურთხებს;[41] მისივე აზრით, „ლაშა გიორგის თავს ზემოთ, მართლაც არსებობდა მედალიონი უფლის გამოსახულებით, რომელიც სამეფო გვირგვინს ადგამდა უფლისწულს“, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მისი მოუხსენიებლობა მეტყველებს იმაზე, რომ 1913 წლისთვის გამოსახულება უკვე დაზიანებული იყო.[42] მარინე ბულიას მიხედვით, გიორგი ლაშას ასაკიდან გამომდინარე, საფიქრებელია, გამოსახულია მისი პირველი კურთხევა, ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეში, დაახლოებით 1205-1206 წწ.[43] არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: ზაზა სხირტლაძის აზრით,[44] ამ შემთხვევაში არ არის გამოსახული გიორგი ლაშას (თანამოსაყდრე) მეფედ კურთხევა — ნაჩვენებია მისი ღვთივგვირგვინოსნობა, მისი

არჩევითობას წარუმატებელი მეფეების მიმართ). Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 138.

[39] საყურადღებოა, რომ, როგორც მთლიანად ეკლესიის მოხატულობისათვის, ისე კერძოდ სამეფო საქტიტორო გამოსახულებებში უხვადაა გამოყენებული ისეთი ძვირადღირებული მასალა, როგორიცაა ლაჟვარდი და ოქრო. საგულისხმოა, რომ ოქრო სრულად ფარავდა გიორგი ლაშას ხელებს. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 102, 106; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები “ნათლისმცემლის” მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 198.

[40] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 186-8; *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, 12.

[41] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 181, 184.

[42] იქვე, 187.

[43] იქვე, 186-8; *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, 12. საინტერესოა, რომ ნათლისმცემელში ერთ დარბაზში ბაგრატიონ მონარქთა პორტრეტულ გალერეაში გამოსახულია როგორც გიორგი IV-ის მეფედ კურთხევა, ასევე, პაპამისის, გიორგი III-ის კურთხევაც. ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 188.

[44] რომელიც მან წინამდებარე სტატიის რედაქტირების პროცესში ავტორებს გაუზიარა (ვსარგებლობთ შესაძლებლობით ამ და მრავალი სხვა რჩევისთვის ბ-ნ ზაზა სხირტლაძისადმი ჩვენი ღრმა მადლიერება გამოვხატოთ).

(სამომავლო) ძალაუფლების ლეგიტიმურობა. საზოგადოდ, ქრისტიანული ხელოვნებაში ცნობილია სამეფო ოჯახის ღვთივკურთხეულობისა თუ ღვთივგვირგვინოსნობის გამოსახვის სხვა მაგალითებიც.[45] ნათლისმცემლის ფრესკის შემთხვევაში, ამის სასარგებლოდ მეტყველებს გიორგი ლაშას, როგორც პატარა ბავშვის (არა უმეტეს 10 წლისა[46]), გამოსახვა. ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ თანმხლებ ფრესკულ წარწერაში (რომელიც საარქივო მასალებით არის ცნობილი) მომავალი გიორგი IV *ლაშას* სახელით არის აღნიშნული, და, ამასთანავე, მეფედ არ მოიხსენიება,[47] რაც მეფედ კურთხევის სცენისთვის რამდენადმე უცნაურია, თუმცა კი, ლაშას სახელით ამ ბაგრატიონის მოხსენიება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვა წყაროებითაც არის ცნობილი.[48] უფრო საკვირველია ტიტულის გარეშე მისი აღნიშვნის ფაქტი.[49] საინტერესოა ენტონი ისტმონდის[50] ინტერპრეტაციაც – ის გარემოება, რომ სამივე ფიგურას „ლაბარუმი“[51] უჭირავს და სამეფო სამოსელშია გამოწყობილი, მხატვრული საშუალებებით სამივე პერსონაჟის სწორუფლებიანობაზე მიუთითებს; წარმოაჩენს გიორგი ლაშას – *ჯერ კიდევ [ამა თუ იმ] კორონაციამდე* (“before any coronation”) – და ამზადებს საზოგადოებას შემდგომში ხელისუფლების უმტკივნეულოდ გადაცემისთვის (რასაც, საფიქრებელია, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა

---

[45] ზაზა სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში* (თბილისი, 2000), 15-8.

[46] გვანცა აბდალაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს ფრესკა დაახლოებით 1200 წლისთვის შეიქმნა, ვინაიდან მასზე გამოხატული გიორგი ლაშა 6-8 წლის ბავშვია. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 45-6.

[47] სხირტლაძე, “სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში”, 106-7; სხირტლაძე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 109-111; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 186-8.

[48] ოთხმეზური გიორგი, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო* (თბილისი, 1981), 20-1, 72-5.; სხირტლაძე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 110; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 45.

[49] მარინე ბულიას მიხედვით, ტიტულ *მეფის* გამოტოვება შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ ზედწერილებმა XX საუკუნემდე შერყვნილი სახით მიაღწია. იქვე, 188-9.

[50] 1998 წელს გამოცემულ თავის ცნობილი წიგნზე (*Royal Imagery in Medieval Georgia*) მუშაობისას მას, ბუნებრივია, ჯერ არ ექნებოდა გაცნობილი მარინე ბულიას მიერ 2005 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი.

[51] ფრესკის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით რთულია მსჯელობა, გამოსახული კვერთხები სწორედ ლაბარუმებია თუ არა. თუმცა კი, ეს, ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია.

იმჟამინდელი შიდაპოლიტიკური კრიზისების გათვალისწინებით: დემეტრე I-ის, დავით V-ისა და გიორგი III-ის ურთიერთობა, დემნა ბატონიშვილის აჯანყება, ოპოზიცია თამარის ზეობის პირველ წლებში, გიორგი რუსის აჯანყებები).[52] ენტონი ისტმონდამდე ეს აზრი მოკლედ ჩამოაყალიბა ნათლისმცემლისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ შრომაში ზაზა სხირტლაძემ.[53] გამოსახულების პოლიტიკური გზავნილი, პრაქტიკულად, იგივენაირად შეაფასა მარინე ბულიამაც (რომელიც, სცენას გიორგი ლაშას მეფედ კურთხევად თვლიდა); მან ჩათვალა, რომ „სცენის მთავარი, საკვანძო პირი სწორედ ლაშა გიორგია".[54] მკვლევარი აღნიშნავს, რომ მოხატულობაში წარმოდგენილ მავედრებელთა შორის მხოლოდ გიორგი ლაშაა მიმართული პირდაპირ საკურთხევლისკენ, ხოლო მისი მშობლები კი ოდნავ ცენტრისკენ, ანუ ვაჟიშვილისკენ არიან შემობრუნებულნი – შესაბამისად, მაყურებლის მზერაც სწორედ გიორგი ლაშას თუნდაც მცირე ზომის ფიგურაზე ჩერდება;[55] მეფეთა რიგის ერთობლიობაზე დაკვირვება იგივენაირი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: „მოხატულობაში წარმოდგენილ იმხანად გარდაცვლილ თუ დღეგრძელ საქართველოს ხელმწიფეთა შორის ლაშა გიორგი ყველაზე ახალგაზრდაა. დინასტიის ისტორია თითქოს მცირეწლოვან ტახტის მემკვიდრეზე შეყოვნდა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლაშა გიორგის მრავალრიცხოვანი შარავანდმოსილი პაპები და შორეული წინაპრები, სწორედ მისი სამეფო ძალაუფლების კანონიერებისა და მემკვიდრეობითობის დასტურად არიან გამოსახულნი".[56]

2) ქრონოლოგიურად მომდევნო გამოსახულება, რომელზეც უკვე ჭაბუკობაში შესული გიორგი ლაშა გვხვდება, ბეთანიის ფრესკაა[57]

---

[52] Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 137. რამდენადმე არალოგიკურად გვეჩვენება ავტორის მოსაზრება, რომ მმართველი ბაგრატიონები ნაკლებად მონაწილეობდნენ ფრესკის შინაარსის განსაზღვრაში და დაფინანსებით შემოიფარგლებოდნენ, ხოლო გადაწყვეტილებას გამოსახულების თაობაზე თავად ბერები იღებდნენ. იქვე, 140. ძმობის მიერ ფრესკებში პოლიტიკური გზავნილების დამოუკიდებლად ჩართვა, ჩვენი აზრით, ნაკლებად არის დამაჯერებელი.

[53] Skhirtladze, "Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja," 13, n. 43.

[54] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 183.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] Алибегашвили, *Светский портрет*, 20-2; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 154-69; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 43-4.

(სურ. 23), სადაც გიორგი ლაშა პაპასთან და დედასთან ერთად არის გამოსახული. გიორგი ლაშას გამოსახულება მათზე უფრო მცირე ზომისაა – მისი ტერფები თამარისა და გიორგი III-ის ერთ დონეზე მყოფ ტერფებზე უფრო მაღლაა. არცერთს არ ამკობს შარავანდი. გიორგი ლაშა ძალიან ახალგაზრდაა – ამას, საფიქრებელია, ხაზს უსვამს მისი ფიგურის ერთგვარი სინაზე (ისევე, როგორც უნიკალურ მონეტაზე?); საყურადღებოა, რომ გიორგი ლაშა უწვერულიცაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის უკვე ნაკურთხია – ამას მოწმობს გვირგვინი მის თავზე და ქამარზე დამაგრებული მახვილი.[58] ამ სამეფო ინსიგნიების ფლობის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დროისთვის მისი მეფედ პირველი კურთხევა (თამარის სიცოცხლეშივე) უკვე მომხდარი ფაქტია (1207 წ., გ. ალიბეგაშვილის აზრით).[59] ბეთანიის ფრესკა შესრულებულია გიორგი ლაშას პირველსა და მეორე კურთხევას შორის დროის შუალედში – მეორე კურთხევის შემდეგ ის ერთპიროვნული მმართველი ხდება და, ასეთ შემთხვევაში, თუნდაც ახალგაზრდა მონარქი არ იქნებოდა ფრესკაზე ესოდენ დაკნინებულად გამოსახული;

3) ყინცვისშიც (სურ. 24) გიორგი ლაშა გიორგი III-სა და თამართან ერთად არის გამოსახული:[60] მისი პორტრეტი თამარსა და გიორგი III-ზე უფრო მეტად არის დაზიანებული. შეიმჩნევა შარავანდის კვალი (ის გიორგი ლაშას დედასა და ბაბუასაც ამკობს). თავზე გვირგვინი ადგას. აქვს მოკლე, თხელი წვერი, რომელიც მხოლოდ სახის ოვალს შემოსდევს. გიორგი ლაშას ხმალი, როგორც ჩანს, შემორტყმული არა აქვს.[61] ფიგურის ზომებით თუ ვიმსჯელებთ, გიორგი ლაშა ამ ფრესკაზე დედასა და პაპასთან მიმართებაში ნათლისმცემლისა და ბეთანიის ფრესკებზე ასახულ რეალობასთან შედარებით უფრო დაკაცებულია; საფიქრებელია, ბეთანიისა და, მით უფრო, ნათლისმცემლის ფრესკების შექმნის დროსთან შედარებით უფრო მაღალი სტატუსითაც სარგებლობს;

4) ბერთუბანში (სურ. 25) გიორგი ლაშა მხოლოდ დედასთან ერთად არის

---

[58] Алибегашвили, *Светский портрет*, 22; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 161.

[59] იქვე. შდრ. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 43.

[60] Алибегашвили, *Светский портрет*, 23-4; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 141-54; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 44.

[61] ამის საფუძველზე ენტონი ისტმონდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ის ჯერ ნაკურთხი არ არის. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 144. ჩვენი აზრით, ეს ასე არ უნდა იყოს, ვინაიდან გიორგი ლაშა ატარებს მახვილსა და გვირგვინს უკვე ბეთანიის ფრესკაზე, სადაც ის ჯერ კიდევ ჭაბუკად არის გამოსახული. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მახვილი არ წარმოადგენდა ნაკურთხი მონარქისთვის იკონოგრაფიულად სავალდებულო რეგალიას.

გამოსახული.[62] ორივეს შარავანდი ადგას.[63] გიორგი ლაშა ატარებს გვირგვინს, ხმალს და წვერით არის გამოსახული. მისი პორტრეტი, საზოგადოდ, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მოწიფული მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრესკა თამარის სიცოცხლის ბოლო წლებშია შესრულებული, დედა-შვილის თანამოსაყდრეობის პერიოდში (გიორგი ლაშას I კურთხევიდან[64] II-მდე)[65] – არგუმენტად მოყვანილია შემონახული ასომთავრული წარწერები: „თამარ, მეფეთა მეფე“ და „გიორგი, მეფეთა მეფე, ძე თამარისი“, რაც, მკვლევართა თვალსაზრისით, მიუთითებს იმაზე რომ თამარი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალია.[66] ჩვენი აზრით, ეს

---

[62] Георгий Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи: Очерк по истории искусства Грузии: Илл. по акварелям и рисункам академика живописи Е.Е. Лансере по чертежам обмеров с натуры и по фотографиям* (Тбилиси, 1948), 68; Анели Вольская, “Гареджийская живописная школа. Росписи Бертубани,” *Средневековое искусство. Русь. Грузия* (Москва, 1978), 96-7, 100; Алибегашвили, *Светский портрет*, 25-6; Заза Схиртладзе, *Роспись пещерного храма в Бертубани (Исследование по истории грузинской монументальной живописи начала XIII века): Автореф. канд. искусствоведения* Тбилиси, 1987; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 169-81; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 44-45; *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, 94, 101.

[63] Алибегашвили, *Светский портрет*, 25.

[64] ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები“, 299-300. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში თანამოსაყდრეობის დანერგვის უპირველესი მიზეზი „მეფის მიერ თავისი მემკვიდრისთვის „მეფის კურთხევის“ ცერემონიალის ზოგიერთი არასასიამოვნო რიტუალის (დიდებულების მიერ მეფისთვის ინვესტიტურის ნიშნების გადაცემა) თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 14-5. ეს არგუმენტი საკმაოდ ლოგიკურად გვეჩვენება, მაგრამ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ მაცხვარიშის ფრესკის მიხედვით დემეტრე I-ის კურთხევაში, რომელსაც მამამ, დავით აღმაშენებელმა „დაადგა თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა“ (*ცხორება ... მეფეთ-მეფისა დავითისი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ (თბილისი, 1992), 223), მაინც მონაწილეობენ ფეოდალები, რომლებიც მეფეს მახვილს არტყამენ. Вирсаладзе, “Фресковая роспись в Мацхваришн,” 174-6. თინათინ ვირსალაძე არ გამორიცხავდა, რომ მემატიანის სიტყვები მხოლოდ რიტორიკულ ფორმულას წარმოადგენდა. იქვე, 180-2. აღსანიშნავია ენტონი ისტმონდის მოსაზრება, რომ მაცხვარიშის გამოსახულება შეიძლება არც ასახავდეს რეალურად მომხდარ სცენას, არამედ, უბრალოდ, არისტოკრატიის იდეალს წარმოადგენდეს. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 73-83. ამაზე დამატებით იხ. ქვემოთ.

[65] Алибегашвили, *Светский портрет*, 27. ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ რომ თამარის ხელისუფლება უკვე იმდენად გამყარებულია, რომ მას არ ჭირდება ლეგიტიმიზაცია მამამისის გამოსახვის გზით. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 174-6. ავტორი იხილავს ორივე შესაძლებლობას: ფრესკის შექმნას თამარის სიცოცხლეშივე და გარდაცვალების შემდეგაც.

[66] Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, 60; Вольская, “Гареджийская живописная школа. Росписи Бертубани,” 96; Алибегашвили, *Светский портрет*, 27.

არგუმენტაცია არ არის მყარი: „მეფეთა მეფედ“ იწოდება, მაგალითად, გიორგი III ბეთანიის ფრესკაზე; არადა, იმავე ფრესკაზე უკვე ჭაბუკად ქცეული გიორგი ლაშას გამოსახვა[67] მიუთითებს იმაზე, რომ გიორგი III ცოცხალი აღარაა; მიუხედავად ამისა, მას მაინც მოიხსენიებენ ამ ტიტულით. სავსებით დასაშვებია, რომ ბერთუბნის ფრესკის შექმნის დროისთვის თამარი აღარ იყოს ცოცხალი, მაგრამ ის მაინც გამოესახათ, სათანადო ტიტულის თანხლებით.[68] 1210 წლით დათარიღებულ მონეტაზე (1210 წელი ამ შემთხვევაში არის terminus ante quem non ამ მონეტის მოჭრისთვის) გიორგი ლაშას სახე თითქმის მთლიანად არის წარხოცილი, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ წვერს ახალგაზრდა მეფე ან არ ატარებს, ან ის ბერთუბნის გამოსახულებაზე დაბალია. ეს, ჩვენი აზრით, არაპირდაპირი, თუმცა დამატებითი მონაცემია იმის სავარაუდოდ, რომ ბერთუბნის ფრესკა 1210 წლის შემდეგ შეიქმნა, სხვა სიტყვებით – თამარის გარდაცვალების შემდეგ.[69] ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ფრესკებზე მუშაობა უეცრად შეწყდა, და აღარ გაგრძელებულა,[70] რაც, საფიქრებელია, მტრის შემოსევას მოყვა. გიორგი IV-ის ზეობაში ქართული სახელმწიფოს სიღრმეში, გარეჯამდე მტრის შემოსევა, სავარაუდოდ, მონღოლების პირველ გამოჩენას თუ დაუკავშირდება ანუ თამარის გარდაცვალების შემდგომ მოხდებოდა.

5) ანანაურის საკმაოდ დაზიანებულ ფრესკაზე[71] (სურ. 26) გამოსახული გიორგი IV მარტოა. მას შარავანდი ადგას. ზევით რთულ მოძრაობაში გამოსახულია ანგელოზი, რომელიც ზეციდან ეშვება, ხელები გადაჯვარედინებული აქვს, მარცხენათი მეფეს გვირგვინს ადგამს (ანგელოზი *ეხება* გვირგვინს), მარჯვენათი კი შედარებით გრძელბუნიკიან ნივთს (კვერთხს?) აწვდის. ანა კლდიაშვილი

---

[67] იქვე, 20; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 43-4.

[68] თუკი თამარი უკვე გარდაცვლილია, მაშინ, ენტონი ისტმონდის თანახმად, იმ დროისთვის „მოწყვლადი დედოფალი, რომელსაც ეჭვით უყურებდნენ და ღია მტრობასაც აწყდებოდა, იქცა დადებით [ნომინალურ] სახედ, რომლისთვისაც გვიანდელ მმართველებს შეეძლოთ მიემართათ“ [“Tamar had developed from a vulnerable queen, who was treated with suspicion and faced open hostility, to a positive figurehead to whom later rulers could appeal”]. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 174-6.

[69] ეკლესიის და მისი დასავლეთი სათავსის ფრესკების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე იგივეს ვარაუდობს ზაზა სხირტლაძეც. იხ. მისი, „მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში. მასალები შესაძლო გაიგივებისათვის“, *თსუ ჰუმანიტარული კვლევები*, 2 (2011), 244, სქ. 29.

[70] Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи*, 102.

[71] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 161-86.

გამოსახულ სცენას საკმაოდ დამაჯერებლად გიორგი ლაშას კურთხევად განმარტავს.[72]

როგორც ვხედავთ, გიორგი IV-ის *სამონეტო პორტრეტი*, რომელიც, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ადრეულია, ცუდად შენახულობის მიუხედავად, ორგანულ ადგილს იკავებს მის გამოსახულებათა არცთუ მრავალრიცხოვან რიგში[73] და არსებითად ამდიდრებს ქართველი მონარქების იკონოგრაფიულ გალერეას.

გამოსახული მონარქის **სამოსი**, როგორც ჩანს, საიმპერატორო *ბისონია*.[74] გიორგი ლაშა *მანიაკსაც* ატარებს,[75] რომლისგანაც დიადიმა[76] ეშვება (ამ შემთხვევაში მანიაკი, მართალია, ბისონისგან განსხვავებული ქსოვილის უნდა იყოს, მაგრამ კავშირშია დიადიმასთან, მისი ნაწილია[77]); დიადიმის ვერტიკალურად ჩამოშვებული ბოლო, როგორც ჩანს, წელზე შემორტყმული დიადიმის ქვეშაა გატარებული, შემდეგ კი მარცხენა მკლავზე გადაიფინება.

მსგავსად არის გამოწყობილი თამარიც ნათლისმცემლისა და ბეთანიის ფრესკებზე, ოღონდ დიადიმა არა აქვს წელზე შემოხვეული (სურ. 22-23). ყინცვისისა (სურ. 24) და ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის[78] (სურ. 21) ფრესკებზეც მის სამოსს დიადიმა ახლავს, ოღონდ ის უშუალოდ არ უკავშირდება მანიაკს – ორივე შემთხვევაში დიადიმის ნაწილი წელზეა შემოხვეული.

დიადიმა მარცხენა ხელზეა გადაფენილი გიორგი III-ის გამოსახულებებზეც – ვარძიის (სურ. 21), ყინცვისისა (სურ. 24) და ბეთანიის (სურ. 23) ფრესკებზე. ოღონდ ამ შემთხვევაში მანიაკი არ ჩანს, სამაგიეროდ დიადიმის ბოლოები მკერდზე არის გადაჯვარედინებული;[79] დიადიმა, როგორც ჩანს, უშუალოდ არ უკავშირდება მანიაკს. იგივენაირ სამოსს ატარებს დავით სოსლანიც ნათლისმცემლის ფრესკაზე (სურ. 22) (ისევე როგორც როჯერ II მარტორანას მოზაიკურ პანოზე, სურ. 19).

თავად გიორგი ლაშა პაპის მსგავს სამოსს (მანიაკის გარეშე) ატარებს ნათლისმცემლის (სურ. 22) და ანანაურის (სურ. 26) ფრესკებზე. ბეთანიაში,

---

[72] იქვე.

[73] თუმცა კი, შემონახულ გამოსახულებათა ეს რაოდენობაც საკმაოდ შთამბეჭდავია და გიორგი III-ისა და თამარის პორტრეტების რიცხვს თუ შეედრება.

[74] ნინო ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.)* (თბილისი, 1964), 72-5.

[75] იქვე, 77, 104-5.

[76] იქვე, 75-8; კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 164-5; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 48.

[77] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 77.

[78] შემდგომში, შემოკლებით, *ვარძია*.

[79] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 77.

ყინცვისსა და ბერთუბანში (სურ. 23-25) ის სულ სხვაგვარად არის შემოსილი.[80]

რთული სათქმელია, რატომ ითვლებოდა მისაღებად, ფრესკებსა თუ მონეტებზე (გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტას ვგულისხმობთ) მონარქის სემანტიკურად აშკარად განსხვავებულ ტანისამოსში გამოსახვა. ენტონი ისტმონდის აზრით, *კაბა* თავისი ცერემონიალური სტატუსით არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურ საიმპერატორო სამოსს; მისი გამოჩენა ბაგრატიონების მიერ შემოღებული უფრო ეროვნულ ყაიდაზე გარდაქმნილი საკარისკაცო ცერემონიალის ასახვაა – დავით აღმაშენებლის შემდგომ ეპოქაში თავის თავში დარწმუნებული ბაგრატიონები ცდილობენ ერთგვარად გაეცალონ ბიზანტიურ საიმპერატორო იკონოგრაფიას.[81] კაბის წარმოჩენა მეფეთა ფრესკებზე მმართველი ელიტის გარკვეული ორიენტალიზაციის მაგალითადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის *სამივე* სცენაში ის ბისონშია გამოწყობილი. თინათინ ვირსალაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული; ის თვლიდა, რომ *კაბა*, რომელსაც კურთხევის ცერემონიაზე ატარებს დიმიტრი I მაცხვარიშის ფრესკაზე, ხმლით შემორტყმის (როგორც მეფედ კურთხევის შემადგენელი ნაწილის) ცერემონიას უკეთ უხდებოდა; მისი აზრით, შემთხვევითობა როდი იყო, რომ ბეთანიაში, ყინცვისსა და ბერთუბანში ხმლითა და გვირგვინით (ანუ, უკვე მეფედ კურთხევის შემდგომ) გამოსახული გიორგი ლაშა სწორედ კაბას ატარებს.[82] ისახება ერთგვარი კანონზომიერება – ხმლით გამოსახული გიორგი ლაშა ყოველთვის კაბას ატარებს, ხოლო იმ ფრესკებზე, სადაც კურთხევაა გამოსახული, ის პირიქით (თინათინ ვირსალაძის მოსაზრების-და საპირისპიროდ) ხმალს არ ატარებს და ბისონშია გამოწყობილი.

აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ საკვლევ მონეტაზე გიორგი ლაშას სამოსელი საკმაოდ გამორჩეულია (მანიაკის არსებობით კი უნიკალურია დღეისთვის ცნობილ მის გამოსახულებათა შორის), რაც კარგად ესადაგება ამ მონეტის განსაკუთრებულობას.

მონეტაზე გამოსახული ფიგურის თავი და **გვირგვინი** ცუდად არის შენახული. სხვა შემთხვევებში, შემორჩენილ გამოსახულებებზე (ბეთანიისა

---

[80] იქვე, 78-83.

[81] Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 194-5. ზაზა სხირტლაძის ნაშრომში გაჟღერებულია ვერსია, რომ ფრესკებზე კაბაში მამის მიერ თანამოსაყდრედ ცხებული პირებია გამოსახული: დემეტრე I მაცხვარიშის ფრესკაზე, გიორგი III – ნათლისმცემელში. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 102.

[82] Вирсаладзе, “Фресковая роспись в Мацхвариши,” 184-5.

და ბერთუბნის ფრესკები, სურ. 23, 25) გიორგი ლაშას ორივეგან შედარებით მაღალი გვირგვინი ადგას, მაგრამ გამოსახული გვირგვინები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია. ბეთანიაში ის დაკბილულია, ზედა ბოლოებიდან თითო-თითო უბრალო საკიდი აქვს დაშვებული; თავისთავად ეს გვირგვინი საკმაოდ სადაა, იქვე გამოსახულ თამარისა და გიორგი III-ის გვირგვინებთან შედარებით.[83] ბერთუბნის ფრესკაზე კი გიორგი ლაშას გვირგვინი (ისევე როგორც, თამარის[84]) ბევრად უფრო გაფორმებული და შემკულია, კარგად ჩანს საკიდები, რომელიც სამ-სამი თვლით ბოლოვდება. მონეტაზე გვირგვინისგან პრაქტიკულად მხოლოდ ისეთივე თვლებიღაა შემორჩენილი.[85] ძალაუნებურად იბადება აზრი, ამ შემთხვევაში „ბერთუბნის ტიპის“ გვირგვინს ხომ არ ატარებს გიორგი IV? ამასთანავე, გვირგვინის ფორმის მიხედვით რაიმე ქრონოლოგიური ხასიათის დასკვნების გამოტანა, იქნებ, გაუმართლებელიც იყოს. გასათვალისწინებელია ენტონი ისტმონდის მოსაზრებაც: მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს გვირგვინის ფორმების ცვლილებაზე ერთი და იგივე მონარქის, ისევე როგორც სხვადასხვა მონარქების გამოსახულებებში; მისი აზრით, გვირგვინის, როგორც ინსიგნიის რეალური გადმოცემა თვითმიზანი არ ყოფილა, ვინაიდან ამის არც აუცილებლობა იყო და არც სურვილი – მთავარი იყო ძალმოსილების სიმბოლურად ასახვა, და არა ინსიგნიის დეტალები.[86]

ფიგურის თავზე **შარავანდის** არსებობა (შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტების სახით[87]) მკვეთრად გამოარჩევს გიორგი IV-ის ამ მონეტას XI-XIII სს. სხვა, ზემოთ უკვე მოხსენიებული, საკმაოდ იშვიათი ქართული სამონეტო ტიპებისგან, რომელზედაც აგრეთვე აღბეჭდილია ამა თუ იმ ქართველი მონარქის გამოსახულება (დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი უნიკუმი, გიორგი III-ის წესიერი ჭედვის სპილენძი, დავით გიორგის ძისა და დავით ნარინის მონეტები – იხ. სურ. 2, 4, 9-10); არცერთ სხვა, მონარქის გამოსახულებიან ქართულ მონეტაზე შარავანდი არ დასტურდება.

საყურადღებოა, რომ იმ ეპოქის ფრესკებზეც მონარქი ზოგჯერ შარავანდმოსილია, ზოგჯერ კი არა. ასე მაგალითად, ბეთანიის ფრესკაზე გიორგი III-ს, თამარსა და გიორგი ლაშას შარავანდი არ ადგას[88]; ხოლო ვარძიაში

---

[83] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბეთანიის ფრესკაზე გიორგი ლაშას „თაჯი“, ანუ, „დაბალი, სადა“ გვირგვინი აქვს. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 48. თაჯის შესახებ იხ. ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 148, შენ. 334.

[84] შდრ. *ნათლისმცემელი. ბერთუბანი*, 101.

[85] თედო დუნდუას აზრით, „გვირგვინის მიხედვით, ლაშა ავგუსტეა“. თედო დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი, 1995), 58.

[86] Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 195.

[87] გამოსახულების ამ ელემენტისთვის მკვლევართ ადრე ყურადღება არ მიუქცევიათ.

[88] ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბეთანიის ფრესკაზე მეფეებს

გიორგი III-ც და თამარიც შარავანდმოსილები არიან; ყინცვისშიც (სადაც

შარავანდები იმიტომ არ ადგათ, რომ ეკლესია ორბელთა სამფლობელოში იმყოფება: „ბეთანიის მეფეთა გამოსახულებებს სხვათაგან (ვარძია, ყინცვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი) განსხვავებით არ ერთვის ნიმბები. მსგავსი პრეცედენტი მხოლოდ ორბელთა სამფლობელოში თუ მოხდებოდა“. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 43. ენტონი ისტმონდი დეტალურად იხილავს ბეთანიაში ბაგრატიონ მეფეთა იკონოგრაფიას. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 162-6. მან გაამახვილა ყურადღება შემდეგ თავისებურებებზე:

შარავანდების არარსებობა, რაც, მისი აზრით, ამცრობს სამეფო ოჯახის სტატუსს; მით უფრო, რომ ავტორის [მცდარი] აზრით შარავანდს მხოლოდ მეფეები ატარებდნენ. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 162. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შარავანდი არ წარმოადგენდა ბაგრატიონთა ექსკლუზიურ უფლებას, მას ზოგჯერ დიდგვაროვანი ქტიტორებიც ატარებენ, მაგრამ ეს არ უკარგავს ძალას მის არგუმენტს;

ბეთანიის ფრესკაზე ბაგრატიონების გვერდით, მათ მეოხად წმ. გიორგის გამოსახვა (რაც უჩვეულოა ქართული ხელოვნებისთვის), მაშინ როდესაც ორბელები ეკლესიის მოდელით ღვთისმშობლისა და ყრმის (*ოდიგიტრიის* ტიპის ხატის) წინაშე წარსდგებიან, ასევე აშკარად არღვევს ტრადიციულ სოციალურ იერარქიას (შდრ. ყინცვისს, სადაც ბაგრატიონები ვედრების პოზაში მაცხოვრის წინაშე არიან წარმოდგენილნი, ხოლო ანტონ ჭყონდიდელი კი წმ. ნიკოლოზის წინაშეა). იქვე, 163, სქ. 189.

გარდა ამისა, წმ. გიორგი ფრონტალურად არის წარმოდგენილი, თითქოსდა არ ცნობს მის გვერდით მისკენ სამი მეოთხედით მიბრუნებულ და ვედრების პოზაში მდგომ ბაგრატიონ მონარქებს, მათ შორის არ არის ვიზუალური კონტაქტი. იქვე, 163-4.

მეტად უჩვეულოა თანმხლები წარწერები, კერძოდ, ასომთავრული წარწერა თამარის პორტრეტთან – „მეფე და დედოფალი დედოფალთა“ (*მეფეთა მეფის* მაგიერ). იქვე, 162.

ავტორი ითვალისწინებს, რომ ეკლესიის ინტერიერი რამდენჯერმე გადაკეთდა და რომ, შემონახული ფრესკების ინტერპრეტირებისას მკვლევარს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. განსაკუთრებით საკამათოა თამარის გამოსახულების თანმხლები წარწერა, რომელიც, როგორც ჩანს, XIX საუკუნის ნაყოფია; ამგვარად ტექსტის აუთენტურობა დადასტურებული არაა. იქვე, 164.

ამასთანავე, ფრესკების შინაარსი ბაგრატიონებსა და ორბელებს შორის პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ამსახველია. ისტმონდის აზრით, ბეთანიის ფრესკები ერთგვარი შეთანხმების შედეგია, ხოლო ორბელთა სამფლობელოში ბაგრატიონი მონარქების ფრესკაზე გამოსახვა სამეფო ძალაუფლების სიძლიერეზე მიუთითებს, მათი გამოსახვა (ორბელთა გამანადგურებლის – გიორგი III-ის ჩათვლით) კი მიზნად ისახავდა ამ დიდგვაროვანი ოჯახის *პოლიტიკურ და ვიზუალურ* დათრგუნვას. იქვე, 164-6. ჩვენი აზრით, სწორედ ავტორის მიერ წარმოჩენილი, ზემოთ აღნიშნული თავისებურებები გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამ დასკვნას. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბეთანიაში ორბელთა გარკვეულმა ფრონდერობამ ნამდვილად იჩინა თავი.

საყურადღებოა გაიანე ალიბეგაშვილის აზრიც, რომელიც თვლიდა, რომ შარავანდების არგამოსახვას პოლიტიკური დატვირთვა არ ქონია: ამ ფრესკის შემთხვევაში შარავანდები გამოტოვებულია, როგორც 1) საერო პორტრეტის გამოყოფის მხატვრული ხერხი, 2) საერო და რელიგიური პერსონაჟების დიფერენციაციისთვის (რასაც, ავტორის თქმით, ანალოგიები დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაშიც მოეძებნება). Алибегашвили, *Светский портрет*, 74.

ბეთანიის მსგავსი კომპოზიციაა მოცემული) სამივე თაობის წარმომადგენელს (რომელთაგან გიორგი III ცოცხალი აღარაა) შარავანდი აქვს; ბერთუბანში, უკვე დავაჟკაცებულ გიორგისაც და დედამისსაც, ორივეს ამკობს შარავანდი.[89] შარავანდი გამოსახულია ნათლისმცემლის ფრესკაზეც (ორ ფიგურასთან მაინც).

აღსანიშნავია, რომ შარავანდით გამოისახებიან არა მარტო ქართველი მონარქები, არამედ, ზოგჯერ, დიდებულებიც. მაგ. უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ფრესკებზე (შარავანდით ყველა ქტიტორი როდია შემკული – სახეზეა „გამოსახულთა რანგის დიფერენციაცია“?);[90] ვამეყ დადიანისა და მისი მეუღლის გამოსახულებები ხობის ტაძარში.[91]

შარავანდი გამოხატავს საერო ხელისუფლების ზეციური წარმომავლობის იდეას;[92] მონარქის შემთხვევაში შარავანდი ღვთისწორობის დეკლარაციადაც მიიჩნევა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ფრესკებზე ბაგრატიონები, როგორც წესი, შარავანდით გამოისახებიან, ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში მონარქის შარავანდით მხოლოდ გიორგი ლაშას შემკობა განსაკუთრებით მეტყველ გარემოებად გვეჩვენება, რაც ხაზს უსვამს ამ მონეტის განსაკუთრებულ დანიშნულებას.

ცუდად შემონახულია **გრძელბუნიანი საგანი** მეფის ფიგურის მარჯვენა ხელში. კვერთხი ქართულ თანადროულ ხელოვნებაში, მათ შორის სამონეტო იკონოგრაფიაში, განხილულია ანა კლდიაშვილის მიერ.[93] მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ სამეფო ინსიგნიას ერთიანი, დაკანონებული სახე არ გააჩნდა.[94] ამასთანავე, ამ გრძელბუნიანი ნივთის ზემო ნაწილი, რომელიც, მართალია, მეტად გაცვეთილია, მაგრამ მაინც განირჩევა, გვაფიქრებს, რომ მონეტაზე გამოსახულ გიორგი IV-ეს მარჯვენა ხელში *ლაბარუმი* (λαβαρυμ) უჭირავს.[95]

---

[89] იქვე, 73-4.

[90] იქვე, 41-2.

[91] Инга Лордкипанидзе, “Роспись предела Вамека Дадиани в Хоби,” *Средневековое искусство. Русь. Грузия* (Москва, 1978), 133-5; Алибегашвили, *Светский портрет*, 57.

[92] Алибегашвили, *Светский портрет*, 74.

[93] Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 62-3; იხ. აგრეთვე სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 101.

[94] Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 63.

[95] ასევე თვლიდნენ ნინო ჩოფიკაშვილი, დავით კაპანაძე, გიორგი და თედო დუნდუა, გვანცა აბდალაძე. ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*,149-51; Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 67; დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 9-10; თედო დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი, 1997), 156; გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, I ნაწილი (თბილისი, 2006), 209; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“,

ლაბარუმის გამოჩენა კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირდება, რომელმაც ცაში მოვლენილი ჯვარი თავის სამხედრო ალამზე („შტანდარტზე“) გამოსახა; იგი წარმოადგენდა გრძელ ბუნიკზე (შუბზე) დამაგრებულ პერპენდიკულარულ მკლავს, რომლის თავზეც ქრისტოგრამა იყო დამაგრებული, მისგან კი მეწამული ფერის ძვირფასი თუ ნახევრადძვირფასი ქვებით შემკული ქსოვილის ნაჭერი ეშვებოდა.[96] ბიზანტიურ მონეტებზე ლაბარუმი საკმაოდ განსხვავებულად გამოისახებოდა ხოლმე.[97] ლაბარუმმა, როგორც ჩანს, მალევე დაკარგა კავშირი სამხედრო საქმესთან, და უფრო სკიპტრის ერთ-ერთ სახეობად იქცა.[98] თავად ტერმინი რამდენადმე პირობითია – ძნელი სათქმელია, რას უწოდებდნენ ბიზანტიელები იმას, რასაც ჩვენ ლაბარუმის სახელით ვიცნობთ.[99]

ქართულ წყაროებში ლაბარუმი მოხსენიებული არაა,[100] მაგრამ მონარქის ხელში მისი გამოსახულება გვხვდება შემდეგ არტეფაქტებზე:[101] დავით აღმაშენებლის უნიკალური სპილენძის მონეტა (სურ. 2), მისივე გამოსახულება სინას მთის ერთ-ერთ მონასტერში დაცულ წმ. გიორგის ხატზე,[102] გიორგი III-ის გამოსახულება ბეთანიის ფრესკაზე (სურ. 23). როგორც ვხედავთ, ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ლაბარუმი გვხდება მხოლოდ და მხოლოდ ორ სამონეტო ტიპზე, რაც ხაზს უსვამს მათ საზეიმო ხასიათს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია **მოცულობითი საგანი** გიორგი IV-ის მარცხენა ხელში. მასთან დაკავშირებით მკვლევართ სხვადასხვა აზრი ქონდათ გამოთქმული: ევგენი პახომოვმა ივარაუდა, რომ ეს „გრაგნილი“ იყო;[103] დავით კაპანაძეც არ გამორიცხავდა ამ ნივთის ამგვარ ინტერპრეტაციას;[104] გიორგი და თედო დუნდუებმა კი ის *ანექსიკაკიად*

---

48. დავით კაპანაძე ამ ობიექტს „ალამსაც“ უწოდებდა. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 78-9.

[96] Grierson, *Catalogue of the Byzantine Coins*, vol. 3, 134-8; Hendy, *Catalogue of the Byzantine Coins*, vol. 4, 172; ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*,149-50.

[97] Grierson, *Catalogue of the Byzantine Coins*, vol. 3, 136-7.

[98] იქვე, 138.

[99] იქვე.

[100] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*,149-50.

[101] იქვე.

[102] დარეჯან კლდიაშვილი, „სინას მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით“, *მრავალთავი*, 15 (1989), 117-35.

[103] Пахомов, *Монеты Грузии*, 100.

[104] Капанадзе, *Грузинская нумизматика*, 67. მაგრამ შემდგომში მეტი სიფრთხილე გამოიჩინა, ზუსტი ატრიბუციისგან თავი შეიკავა და „გაურკვეველი საგანი“ უწოდა. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 79.

ჩათვალეს;[105] როგორც ჩანს, ასევე ქონდა ის გააზრებული გ. აბდალაძესაც.[106]

სინამდვილეში ეს არის ე.წ. *აპოკომბიონი* – მონეტაზე კარგად ჩანს, რომ მარცხენა ხელში მონარქს *ტომსიკა* უჭირავს და არა, დავუშვათ გრაგნილი (*აკაკია*) ან *ჯვრიანი სფერო*. ბიზანტიური ტერმინოლოგიით კი ეს *აკოპომბიონია* – X საუკუნის კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიათა წიგნის“ მიხედვით, აპოკომბიონი წარმოადგენდა ქისას, რომელიც 8-50 გირვანქა ოქროს შეიცავდა.[107] ამ ობიექტის სემანტიკურ დატვირთვაზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება მონეტის შუბლზე ***ზეციდან გამოწვდილი ხელების*** გამოსახვა – კარგად ჩანს ცალკეული თითებიც კი. ამ ელემენტისთვის ყურადღება აქამდე, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ მიუქცევიათ, არადა მისი მნიშვნელობა დიდია და გვეხმარება გამოსახულის მნიშვნელობის ამოცნობაში. მასზე ქვევით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, ამ ეტაპზე კი იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ხელები მიმართულია ზემოთ აღწერილი აპოკომბიონისკენ და თითებით მას ეხება კიდევაც – გამოსახულია *საღვთო განგებით* მონარქისათვის აპოკომბიონის გადაცემა.

---

[105] დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 209. წინა პერიოდში თედო დუნდუა ამ ობიექტს გაურკვეველ საგნად, გრაგნილად (კითხვის ნიშნით) მიიჩნევდა. დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 10; მისივე, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 156.

[106] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 48. თავის ტექსტში ავტორი იყენებს ტერმინს *ენქერი*, რომელიც აღნიშნავს რომბისებურ ქსოვილის ნაჭერს, რომელსაც მარცხენა თეძოზე ატარებდნენ და აღმოსავლურ ეკლესიებში მღველმსახურთა სამოსელის ნაწილს შეადგენდა (ἐγχείριον); მოგვიანებით, XII საუკუნეში, თევდორე ბალსამონი მას სხვა სახელს – ἐπιγονάτιον – უწოდებს და ამბობს, რომ ის განასახიერებდა ნაჭერს, რომლითაც ქრისტემ მოციქულთა ფეხები განბანა. Nancy P. Ševčhenko, “Epigonation,” in The Oxford Dictionary of Byzantium, ed. by Alexander P. Kazhdan, vol. 1 (Oxford, 1991), 696, 711. ეს არის „ქსოვილისგან შეკერილი და ძვირფასად მოქარგული ოთხკუთხედი სამკაული, რომელსაც მაღალი სამღვდელო პირები იკიდებენ მარჯვენა მხარეს ღვთისმსახურების დროს“. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, ავტორ-შემდგენელნი ენრიკო გაბიძაშვილი, მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე (თბილისი, 2007), 303. აბდალაძისეული ინტერპრეტაცია („მიწით სავსე ტომსიკა ... მეფეთა ღვთაებრივობის და ძალაუფლების ცვალებადობის სიმბოლო“) ცხადყოფს, რომ მას მხედველობაში სწორედ ანექსიკაკია ქონდა.

[107] Constantinus Porphyrogenitus, *De Cerimoniis Aulae Byzantinae libri duo graece et latine*, e recencsione Io. Iac. Reiskii, vol. I (Bonnae, 1829), 606-7; Michael Hendy, *Studies in the Byzantine Monetary Economy c. 300-1450* (Cambridge, 1985), 197; Brian Pollick, “Sex, Lies, and Mosaics: The Zoe Panel as a Reflection of Change in Eleventh-Century Byzantium,” *ARTiculate*, Vol. 1 (2012), 24. როგორც ჩანს, არსებობდა ერთგირვანქიანი ქისებიც. Grierson, *Catalogue of the Byzantine Coins*, vol. 3, 21.

საყურადღებოა წერტილებისგან შემდგარი ხაზებით შედგენილი ფიგურა – **„ვარდული“ მონეტის ზურგზე** – უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მნიშვნელობის ახსნა ვერ შევძელით, ანალოგიები ვერ ვუპოვეთ და მისი სემანტიკური დატვირთვა კვლავინდებურად უცნობი რჩება;[108] უნდა აღინიშნოს, რომ „ვარდულით“ ზედწერილი ფრაგმენტებად, თითქოსდა, უცნაურად არის დაყოფილი – განსაკუთრებით საყურადღებოა ქვედა მარცხენა კვადრანტის ნაწილობრივი შეუვსებლობა.

მონეტაზე მოცემული **ლეგენდების განხილვა**, უპრიანი იქნებოდა, არაბულენოვანი ზურგით დაგვეწყო (შუბლად, ბუნებრივია, ვთვლით იმ მხარეს, სადაც ემიტენტის – თავად გიორგი IV-ის გამოსახულებაა). ამის მიზეზი კი ისაა, რომ, მიუხედავად მონეტის რევერსზე მოთავსებისა, მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია, და არ ჩამოუვარდება, იქნებ აღემატება კიდევაც, შუბლის ზედწერილებს. საქმე იმაშია, რომ შუბლის წარწერები შედარებით მოკლეა, იუწყება მხოლოდ მონეტის გამოშვების თარიღს და *გიორგის, როგორც თამარის ძის სახელს*; ამასთანავე, ეს მოკლე ლეგენდები ქართულად არის შესრულებული, ცხადია, ადგილობრივი (ქართულენოვანი) მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი და, ჩვენი ვარაუდით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამხმარე მნიშვნელობისაა. მათგან განსხვავებით, ზურგის წარწერები არაბულ ენაზეა – იმ ეპოქისა და რეგიონის lingua franca-ზე, ანუ საერთაშორისო მომხმარებელზეა გათვლილი; თანაც ბევრად უფრო ვრცელია, და *გიორგის (თამარის ძისა)* და თარიღის გარდა, საგულისხმო დამატებით ინფორმაციას შეიცავს.

კერძოდ, ზურგის არაბულენოვან და არაბულგრაფიკიან ლეგენდაში მითითებულია გიორგი ლაშას ამაყი თუ მედიდური წოდებები: „მეფე მეფეთა“

ملک الملوک

და „მახვილი მესიისა“

حسام المسیح.

ისინი ქართულ ნუმიზმატიკურ (და, საფიქრებელია, არა მარტო) ფორმულარში დავით აღმაშენებელმა დანერგა.[109] უნდა აღინიშნოს, რომ „მესიის მახვილი“ წარმოადგენდა ქართულ გამოძახილს ისეთ გავრცელებულ, მეტ-ნაკლებად თანამედროვე ისლამურ წოდებებზე, როგორებიცაა

ისლამის მახვილი (**سیف الاسلام**),
ალაჰის მახვილი (**سیف الله**),
რელიგიის მახვილი (**حسام الدین**).[110]

---

[108] ფუნქციურად ეს ფიგურა ჯვარს მოგვაგონებს, რომლის მკლავებიც შეიცავს თარიღის მაუწყებელი ფორმულის ნაწილებს, და, ამასთანავე, ზურგის ლეგენდას 4 ნაწილად ყოფს.

[109] Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs,” 243, 247.

[110] Oliver Codrington, *A Manual of Musalman Numismatics* (London, 1904), 60, 62; გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ*

მდედრობითი სქესის ბაგრატიონი მონარქების მონეტებზე (თამარისა და რუსუდანის საფასეზე, სურ. 5, 8) მიეთითებოდა მსგავსი ტიტული – „მესიის თაყვანისმცემელი“.[111] ჩვენი აზრით, საინტერესოა, რომ უცხოელი მაჰმადიანი მმართველებიც ასე მიმართავდნენ გიორგი ლაშასაც.[112]

არაბულ ენაზე მოყვანილი *გიორგი ძე თამარისაი*, შეიძლება შუბლის ასომთავრული წარწერის პირდაპირ თარგმანად ჩაგვეთვალა, მაგრამ სინამდვილეში ქართველი მონარქების საფასეზე წინამორბედის ხსენება მიღებული იყო სწორედ არაბულენოვან და არა ქართულენოვან ნუმიზმატიკურ ფორმულარში – XI საუკუნის ე.წ. ქართულ-ბიზანტიური ტიპის ვერცხლის საფასეზე ქართველი მონარქის მამის სახელი არ მიეთითებოდა.[113] *ნასაბის*, ანუ მამის სახელის მითითების ტიპური *ისლამური* ტრადიცია ბაგრატიონთა ნუმიზმატიკურ ტრადიციაში პირველად ჩნდება დავით აღმაშენებლის სპილენძის ექსკლუზიურად არაბულენოვან და არაბულგრაფიკიან სპილენძის ფულებზე – რაც თბილისის მაჰმადიანებისგან გათავისუფლების, და, საფიქრებელია, მაჰმადიანი (თუ არაბულის მცოდნე) ხელოსნებით დაკომპლექტებული ადგილობრივი ზარაფხანის ამოქმედებას (მუშაობის გაგრძელებას) მოჰყვა.[114] ტრადიცია გრძელდებოდა დემეტრე I-ის ადრეული (სავარაუდოდ, ყველაზე ადრინდელი) სამონეტო ტიპის შემთხვევაშიც (სურ. 3);[115] ტრადიცია დროებით შეწყდა შემდეგ წლებში, დემეტრე I-ის ზეობაშივე, ვინაიდან მის დანარჩენ, უფრო გვიანდელ სამონეტო ტიპებზე გაჩნდა (პირველად) მეფის ინიციალი ასომთავრულად, რომელმაც (რამდენადაც საკმაოდ ხშირი, მაგრამ, როგორც წესი, გაცვეთილი და არასაკმარისი ზომის ეგზემპლარებით არის ცნობილი) ჩაანაცვლა მეფის სახელის მითითება არაბულად[116] (დამახასიათებელია, რომ ქართული ნუმიზმატიკური ტრადიციის გათვალისწინებით, ინიციალის დონეზე მეფის სახელის აღნიშვნისას წინამორბედის სახელი საერთოდ აღარ მიეთითებოდა). მოგვიანებით, მონეტებზე მეფის სახელის, ქართულის გარდა, დამატებით კვლავ არაბულ წარწერაში გამოჩენისთანავე, *არაბულ* ლეგენდაში ისევ ჩნდება მამის

მესამედში (თბილისი, 1995), 246. შეადარეთ სიცილიის ნორმანი მეფეების შეუდარებლად უფრო მშვიდობიან ტიტულს – *ნაზარეველთა* [ე.ი. ქრისტიანთა] *დამცველი* **(ناصر النصرانية)**. Codrington, *A Manual of Musalman Numismatics*, 75.

[111] Пахомов, *Монеты Грузии*, 91-2, 94, 105, 107; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 75-6, 81-2.

[112] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 35-6.

[113] Пахомов, *Монеты Грузии*, 52-73.

[114] Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs,” 242-9.

[115] Turkia, Paghava, “A New Coin Type of Dimitri I,” 9-12; Paghava, Turkia, Zlobin, “A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum,” 13-4.

[116] Пахомов, *Монеты Грузии*, 74-9.

სახელიც. ასე, გიორგი III-ის (წესიერი ჭედვის), თამარ მეფის, გიორგი IV-ისა და რუსუდანის ყველა მონეტა იუწყება წინამორბედის სახელს (საინტერესოა ის ფაქტი, რომ გიორგი IV-ისა და რუსუდანის სახელზე მოჭრილ მონეტებზე არაბულ ლეგენდაშიც მოხსენიებული მშობელი არის დედა – თამარ მეფე, და არა მამა – თამარის კონსორტი დავით სოსლანი).[117]

მონეტის შუბლსა და მასზე გამოსახულ ასომთავრულ ლეგენდას რომ მივუბრუნდეთ, მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ გიორგი ლაშას მონეტები ერთადერთია ამ ეპოქის სპილენძის საფასეს შორის, რომელზეც მმართველი მონარქის მშობლის სახელი მითითებულია ქართულენოვან ზედწერილშიც – ასეა გიორგი ლაშას სამივე სამონეტო ტიპზე (სურ. 1ა,ბ, 6-7).[118] ამასთანავე, გიორგი IV-ის დის, რუსუდანის მონეტაზე, რომლის არაბულენოვან ზედწერილში ასევე თამარის სახელია, ასომთავრულად თამარის სახელი მითითებული არაა. გაურკვევალი რჩება, თუ რამ უბიძგა გიორგი ლაშას, გამონაკლისის სახით, ქართულ სამეფო პროტოკოლში *ნასაბის* მითითების არაბული ტრადიციის შეეტანა.[119]

საინტერესოა, რომ მხედრული ანბანი, რომელიც ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიაში პირველად გიორგი ლაშას პაპის, გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტებზე ჩნდება და, ხელრთვის სახით, ჩანს თამარის უკვე *უწესო* ჭედვის საფასზედაც, გიორგი ლაშას სამონეტო ტიპებზე (გამოსახულებიანის ჩართვით) უკვე ქრება დაახლოებით ხუთი საუკუნით (ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სპილენძის საფასის გამოჩენამდე – აფრიანი ხომალდის გამოსახულებით[120]).

მონეტის შუბლზე მოჩანს *ლასის* (**Ъ**) ზემო ნაწილი (რომელიც მეტად დამახასიათებელია,ასერომ,მისი ინტერპრეტაცია ეჭვს არ ბადებს,რაც ჩანახატშიც აისახა). *ლასი* 30-ს შეესაბამება, ანუ, მონეტაზე უნდა იყოს მითითებული თარიღი

---

[117] იქვე, 80-111.

[118] იქვე, 96-101.

[119] ამასთანავე, მშობლის მითითების ტრადიცია არსებობდა ეპოქის ასომთავრულ ფრესკულ წარწერებში, მაგალითად, ვარძიაში. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 106, n. 39. გიორგი ლაშას კურთხევის სცენით დასრულებულ ნათლისმცემლის ფრესკაზე მონარქთა აღმნიშვნელ ასომთავრულ წარწერებში მათი ნათესაური კავშირი ხაზგასმულიც კი არის. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში“, 96-110; სხირტლაძე, „კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ“, 108-13; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 175. საზოგადოდ, გიორგი ლაშა ეროვნულ სამონეტო საქმეში დიდი ნოვატორი იყო. საინტერესოა, მაგალითად, მისი უწესო ჭედვის სპილენძის მონეტებზე *სპარსული* (და არა *არაბული*) ლეგენდის გაჩენა. Пахомов, *Монеты Грузии*, 96-8.

[120] იქვე, 251-3.

430 (ქორონიკონით), და ნაკლულია (ნაწილობრივ მოჩანს ბუნიკის ქვედა ნაწილის მარცხნივ?) ასომთავრული ასოები **Ԧԧ Ч** (ქკ უ, =ქორონიკონი 400[+30]).

მონეტაზე მითითებული არაბულენოვანი და არაბულგრაფიკიანი თარიღი, ჩვენი აზრითაც, არის ჰ. 606 წელი. მონეტის შუბლზე ქორონიკონით მოცემული თარიღის ([400]+30, ანუ 430, ე.ი. 1210 ქრისტეშობიდან) შესაბამისობა სწორედ ჰ. 606 წელთან (= 1209/10), და ამ დროისთვის კურთხევის ამსახველი სამონეტო ტიპის გამოშვების მეტი ალბათობა გვიბიძგებს დავეთანხმოთ ევგენი პახომოვს, რომ ვარდულის შესაბამის სეგმენტში მხოლოდ არაბული სიტყვა „ექვსი“ არის მითითებული, ხოლო ის შედარებით ნათელი ელემენტი, რომელიც თეორიულად შეიძლება 10-ს წარმოადგენდეს, მაინც შემთხვევითია და მონეტის ზედაპირის უწესობით არის გამოწვეული.[121] ჩვენი აზრით, მონეტის ზურგზე ჰ. 616 წელი (ქრისტეშობიდან 1219/20, ქართული ქორონიკონის 439 ან 440 – **ԧԧՀ** ან **ԧՖ**) არ არის მითითებული[122]. მივიჩნევთ რომ მონეტა 1210 წლით არის დათარიღებული. აღნიშნული თარიღების შესაბამისობა ამ ემისიის გამოშვების რეალურ დროსთან ქვემოთ დამატებით გვაქვს განხილული.

აღნიშვნის ღირსია, რომ არაბული ზედწერილების კალიგრაფიული სტილი გიორგი IV-ის გამოსახულებიან მონეტაზე განსხვავდება *ჯავახთ უფლის მონეტების* საკმაოდ დაუდევარი *ქუფისგან* და *ნასხს* წარმოადგენს; ამით გიორგი ლაშას ეს, საფიქრებელია, წესიერი ჭედვის მონეტა ემსგავსება არა *ჯავახთ უფლის* ტიტულით შემკულ სპილენძის დრამებს, არამედ ამავე მონარქის უწესო ჭედვის სპილენძის ფულს (რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ამ უდაოდ *გამორჩეულ* მონეტაზე ნასხი, პირიქით, შედარებით ულაზათოა, უზარმაზარი რაოდენობით გამოშვებულ უწესო სპილენძებთან შედარებითაც კი). ეს არც უნდა იყოს გასაკვირი: წინამდებარე შრომის ერთ-ერთ თანაავტორს უკვე გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ გიორგი ლაშას დაუთარიღებელი მონეტები *ჯავახთ უფლის* ტიტულით მის მეორედ კურთხევამდე მოიჭრა, ჯერ კიდევ თამარის ზეობაში;[123] ის ფაქტი, რომ მათზე არაბული ზედწერილები ქუფით არის შესრულებული, ხოლო 1210 წლით დათარიღებულ მონეტებზე (როგორც უწესო ჭედვის, ასევე მონარქის გამოსახულებიანზე) უკლებლივ ნასხია გამოყენებული, კარგად შეესაბამება ჩვენ ვერსიას ჯავახთ უფლის მონეტების უფრო ადრე გამოშვების შესახებ.[124]

---

[121] იქვე, 101.

[122] რომ აღარაფერი ვთქვათ 1219/20 წ. კურთხევის სცენის მატარებელი მონეტის მოჭრის არალოგიკურობაზე.

[123] ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები“, 298-303.

[124] იქვე.

გამოსახული სცენის გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ინტერპრეტაცია

უაღრესად მნიშვნელოვანია გამოსახულ სცენის ისეთი ელემენტი, როგორიცაა გიორგი IV ლაშასთვის საღვთო განგებით *აპოკომბიონის* გადაცემა. ჩვენი აზრით, ეს გარემოება უცილობლად მიუთითებს იმაზე, რომ აქ ***მეფედ კურთხევის სცენაა*** გამოსახული.

საზოგადოდ, ქართულ ხელოვნებაში არ არსებობდა *მეფედ კურთხევის*[125]

---

[125] მნიშვნელოვანია, რომ *გვირგვინდებაც* კი ყოველთვის ვერ ჩაითვლება *მეფედ* კურთხევად; ის ზოგჯერ შეიძლება მონარქის ტრიუმფად იყოს გააზრებული. Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 176-8; Алибегашвили, *Светский портрет*, 69-70. ქართული ხელოვნების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებში დასტურდება *საზოგადოდ კურთხევის* გამოსახულებები: ასე, მაგალითად, სინას მთის წმ. გიორგის ხატზე დავით აღმაშენებელს მაცხოვარი აკურთხებს. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 75-6. ჩვენი ნაშრომის საგნიდან გამომდინარე, კიდევ უფრო საინტერესოა *ანგელოზის მიერ* კვერთხის *გადაცემის* სცენები ვარძიისა და ნათლისმცემლის ფრესკებზე. სხირტლაძე, „სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში", 101; Skhirtladze, "Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja," 7; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 103; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 178-9. გავიხსენოთ, რომ ვარძიის ფრესკის შესრულების დროისთვის, გიორგი III უკვე გარდაცვლილი იყო. Алибегашвили, *Светский портрет*, 16, 19, Клдиашвили, "Роспись западного придела церкви Ананаури," 64. ბუნებრივია, გიორგი III გარდაცვლილი იყო ნათლისმცემლის ფრესკის შექმნის დროისთვისაც. ანგელოზის მიერ კვერთხის გადაცემასა თუ კურთხევას ამჯერად სულ სხვა დატვირთვა გააჩნია: თამარის ზეობაში შესრულებულ ფრესკებიდან, ვარძიაში მამა და ქალიშვილი ერთად არიან გამოსახულნი, ნათლისმცემელში კი ბაგრატიონი მონარქების მთელი გალერეაა – ორივე შემთხვევაში კვერთხი გიორგი III-ს მიეწოდება, რაც მის მიერ სამეფო ხელისუფლების მიღების კანონიერების, ღმრთისაგან კურთხეულობის გზავნილს წარმოადგენს. გიორგი III-ის ლეგიტიმიზაციის გზით კი საფუძველი ეყრება თამარის ლეგიტიმიზაციასაც. Клдиашвили, "Роспись западного придела церкви Ананаури," 64; Skhirtladze, "Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsémeli à Garedja," 13, n. 43; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 107-9, 126-7; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 178-9, 191. საყურადღებოა, რომ ყინცვისში გიორგი III-ს კვერთხი უკვე თავად უჭირავს – მისი ხელისუფლების ლეგიტიმიზაცია შედგა. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 147. თუ მივაქცევთ ყურადღებას, რამდენად არაერთმნიშვნელოვნად არის გადმოცემული, თუ ვინ არის ანგელოზის მიერ ზეციური განგების აღსრულების ადრესატი ვარძიის ფრესკაზე, მთელი სცენა შეიძლება მივიჩნიოთ მეფის მიერ ღვთისმშობლისადმი თავისი ხელისუფლების სიმბოლოს მიძღვნადაც (ალტერნატიული ინტერპრეტაცია: ღვთისმშობლის მიერ ღვთიური ლეგიტიმურობის სიმბოლოს ბოძება). Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 103. ამრიგად, ვარძიასა და ნათლისმცემელში არ არის გამოსახული *მეფის კურთხევა*, არ არის ასახული მეფედ კურთხევის კონკრეტული ფაქტი – ხაზგასმულია იმჟამინდელი სამეფო ხელისუფლების (რომელსაც სამეფო ინსიგნია – სკიპტრა ანსახიერებს) მემკვიდრეობითობა და ღმრთივკურთხეულობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო თამარის შიდაპოლიტიკური სირთულეების გათვალისწინებით.

გამოსახვის სტანდარტული, ერთიანი იკონოგრაფიული წესი; ჩვენამდე მოღწეულ მეფედ კურთხევის (სხვადასხვა ეპოქის) ოთხივე სცენაზე საკმაოდ განსხვავებული გამოსახულებებია:[126]

მაცხვარიშის ფრესკაზე ანგელოზები მეფეს თავზე გვირგვინს ადგამენ – ერისთავები კი მას წელზე მახვილს არტყამენ;

ნათლისმცემლის ფრესკაზე გიორგი ლაშას თავზე გვირგვინი ეშვება (მას მაცხოვარი ადგამს?)[127] (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში შესაძლოა გიორგი ლაშას *მეფედ* კურთხევა არც იყოს გამოსახული);

ანანაურის ფრესკაზეც ანგელოზი მეფეს თავზე გვირგვინს ადგამს და აგრეთვე კვერთხს / სკიპტრას (?) მიართმევს;[128]

გელათის ტაძარში (უკვე გვირგვინებით) გამოსახულ მეფე-დედოფალს ანგელოზები ძალაუფლების ნიშნებს მიართმევენ – დედოფალს დიადიმასა და გვირგვინს, მეფეს კი, დიადიმასა[129] და გვირგვინთან ერთად, მახვილსა და დისკოში ჩაწერილი ქალაქის გამოსახულებას[130] (ეს უკანასკნელი ზეციური იერუსალიმის განსახიერებაა).[131]

კურთხევის ოთხივე სცენა საკმაოდ განსხვავებულია და, შესაძლოა, ერთგვარი ევოლუციის ნიშნულებსაც წარმოადგენდეს. ოთხიდან სამს აერთიანებს ზეციური არსების, ანგელოზის მონაწილეობა.[132] მაცხოვრის მონაწილეობა კურთხევის სცენაში ივარაუდება ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ეკლესიის ფრესკაზე.[133] მაცხოვარი მონაწილეობს მაცხვარიშის სცენაშიც.[134] საინტერესოა, რომ დღემდე შემონახული ფერწერული თუ ნუმიზმატიკური გამოსახულებების მიხედვით, ბიზანტიური და სომხური

---

[126] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 161; Вирсаладзе, “Фресковая роспись в Мацхвариши,” 174-6, 180-5; Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 63-4; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 186-8.

[127] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 186-8.

[128] Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 161-86; კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 164.

[129] საყურადღებოა, რომ დიადიმა არ არის მოხსენიებული ისეთ წყაროში, როგორიცაა „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“ – კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 164.

[130] იქვე, 163-4.

[131] იქვე, 174-9.

[132] Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 64.

[133] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 187.

[134] Вирсаладзе, “Фресковая роспись в Мацхвариши,” 176.

იკონოგრაფიული ტრადიციისგან განსხვავებით, საქართველოში არ იყო გავრცელებული კურთხევის სცენაში ღვთისმშობლის ან წმ. იოანე ნათლისმცემლის თუ სხვა წმინდანის გამოსახვა.[135]

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ქართულ არტეფაქტებზე ანგელოზი (ან სხვა ზეციური არსება) მონარქს კი არ ლოცავს, არამედ მას რაღაც საგანს გადასცემს – ანგელოზი ამ შემთხვევაში ზეციური წყალობის, ღვთისაგან ბოძებული მეფობის უფლების[136] გადამცემად გვევლინება. ბიზანტიის იმპერიაშიც მონეტებზე (და სხვა არტეფაქტებზეც) „ზეციური გვირგვინის" ქრისტეს მიერ იმპერატორის თავზე დადგმა მიწიერი სუვერენისადმი ზებუნებრივი ძალაუფლებისა და ძალების მისტიურ გადაცემას გულისხმობდა.[137] ზოგიერთი ავტორის თანახმად, ასევე მოიაზრება ღვთისმშობლისა თუ რომელიმე წმინდანის მონაწილეობა კურთხევის სცენებში ბიზანტიურ ნუმიზმატიკასა თუ სახვით ხელოვნებაშიც – ისინი, როგორც საღვთო განგებით ძალაუფლების გადამცემნი, ქრისტეს და მონარქს შორის შუამავლის როლს ასრულებენ.[138]

საყურადღებოა, რომ ჩვენთვის საინტერესო უნიკალურ მონეტაზე გამოსახული მონარქის თავზე არსებული გვირგვინის მხოლოდ საკიდებიღა თუ მოჩანს. გვირგვინის ზემოთ არსებული არე კი მონეტის ფირფიტის საზღვრით არის ჩაჭრილი. ასე რომ, ძნელი სათქმელია, გამოსახული იყო თუ არა ამ შემთხვევაში ანგელოზი (ან სხვა ზეციური არსება) – გავიხსენოთ, რომ *გვირგვინდება* მეფედ კურთხევის ოთხივე ქართული კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია.[139] ის ფიგურირებს როგორც პირველწყაროში – „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა", ისე, მხატვრულად გარდაქმნის შემდეგ – „ვეფხისტყაოსანშიც".[140] ჩვენი აზრით, ის არ არის გამოსახული გიორგი IV-ის

---

[135] Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage," 342-60; Touratsoglou, Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," 68-76; Paul Bedoukian, *Coinage of Cilician Armenia* (Danbury, 1979), 56-7; Armenian Numismatic Page. Last modified January 29, 2010. http://www.forumancientcoins.com/armeniannumismatics/levoncd1.htm.

[136] ვარძიისა და ბეთანიის ფრესკებზე გიორგი III-ს კვერთხს აგრეთვე სწორედ ანგელოზი გადასცემს. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 103; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 178. შდრ. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 147.

[137] Touratsoglou, Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," 68.

[138] იქვე, 69.

[139] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის", 164.

[140] „აღიღოს კათალიკოსმან გვირგვინი და დაარქუას თავსა მეფესა, მერმე აღიღოს პორფირი, ჯუარი დასწეროს და შთააცვას, ამისა შემდგომად აღიღოს სკიპტრა, ჯუარი დასწეროს და მისცეს მარჯვენასა ხელსა". „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა",

უნიკალურ მონეტაზე – ნათელია, რომ ანგელოზისთვის მონეტაზე ადგილი არ რჩება.

ამასთანავე, კურთხევის სცენა, თეორიულად, შესაძლოა, სიმბოლური ხასიათის კომპოზიციას წარმოადგენდეს, ანუ, არ ასახავდეს რაიმე კონკრეტულ ქმედებათა თანმიმდევრობას – არ წარმოადგენს *კურთხევის ცერემონიის ზედმიწევნით ზუსტ ილუსტრაციას* (XIII საუკუნისა და უფრო ადრინდელ ბიზანტიურ მონეტებზეც ქრისტეს მიერ იმპერატორის გვირგვინდება კორონაციის რეალური სცენის აბსტრაქტულ გამოსახვად არის მიჩნეული[141]); ამას ადასტურებს თუნდაც ზემოთ ნახსენები გელათის ფრესკა (მართალია, გვიანდელი პერიოდის), სადაც ანგელოზები გვირგვინებით უკვე გვირგვინდებულ მეფესა და დედოფალს ამკობენ – ფრესკაზე მეფე-დედოფალს უკვე ადგას გვირგვინი, მაგრამ ანგელოზები მაინც მიისწრაფიან მათკენ გვირგვინებით ხელში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მთლიანი კომპოზიციის ზოგადსიმბოლურ ბუნებას (და არა კონკრეტული ფაქტის რეალისტურად ასახვას).[142] ამასთანავე, კარგად არის წარმოჩენილი კურთხევაში ანგელოზების მონაწილეობის მნიშვნელობა.

საზოგადოდ, ანგელოზის ხელით მიწიერი სამყაროს წარმომადგენლისადმი რაიმეს მირთმევას სრულიად ცალსახა (სიმბოლური) მნიშვნელობა აქვს – მაცხვარიშის, ანანაურისა და გელათის ფრესკების ანალიზი ცხადყოფს, რომ ანგელოზისა თუ ანგელოზების მონაწილეობა (მეფედ) კურთხევის განუყოფელი ელემენტია.

გიორგი IV-ის უნიკალურ მონეტაზე ანგელოზი, ან, ყოველ შემთხვევაში, რომელიმე ზეციური არსება თამარის ახალგაზრდა ძეს აპოკომბიონს მიართმევს. ჩვენი აზრით, ეს საკმარისია, რომ გამოსახული სცენა გიორგი ლაშას მეფედ კურთხევად მივიჩნიოთ (მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვირგვინდება გამოსახული, როგორც ჩანს, არ არის).

აქვე დავამატებთ, რომ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ქართული ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული კურთხევის სცენები, თავისი სიმბოლური ხასიათიდან გამომდინარე, არ უნდა მივიჩნიოთ რაიმე *კონკრეტული ფაქტის ასახვად*.[143]

ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ. III (თბილისი, 1945), 53; კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 167; შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი* (თბილისი, 1966), სტრ. 45.

[141] Touratsoglou, Protonotarios, “Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle,” 68.

[142] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 163-4.

[143] იქვე, 164.

აღნიშნული მოსაზრება, ჩვენი აზრით, სადავოა. ის შეიძლება მართებული იყოს ნათლისმცემლის (?), ანანაურისა და გელათის გამოსახულებებისთვის, რომლებიც, დასაშვებია ვიფიქროთ, ზოგადად გადმოცემენ კონკრეტულ იმეფის კურთხევას; მაგრამ ამის თქმა ძნელია მაცხვარიშის სცენაზე – ეს უკანასკნელი ძალაუნებურად ეჭვს ბადებს, რომ მასზე კურთხევის კონკრეტული სცენა, კონკრეტული ფაქტია ასახული – ფრესკაზე ჩანს, რომ ხმლიანი ქამარი უკვე ერტყმის კურთხეულის წელს, მაგრამ ჯერ არ არის შეკრული – სიმბოლური დატვირთვის მქონე ანგელოზისა და მაცხოვრის ჩამატებით.[144] იგივეს თქმა შეიძლება გიორგი ლაშას მონეტაზე ასახულ კურთხევის სცენაზედაც – ის *დათარიღებულია*, ანუ, საფიქრებელია, კონკრეტულ ფაქტს მიესადაგება, რომელიც სიმბოლური საშუალებებითაა ასახული.

გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის სცენის სემანტიკა

ამა თუ იმ მმართველის კურთხევის სცენის შესწავლა არ არის მოკლებული ისტორიულ მნიშვნელობასაც. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ვანგელის მალადაკისის ნაშრომი რამდენადმე უფრო ადრეული პერიოდის (X-XI ს.-ის შუა წლები) ბიზანტიურ საფასეზე გამოსახული კურთხევის იკონოგრაფიის ევოლუციის შესახებ;[145] ასევე, იოანის ტურაცოღლუს და

---

[144] Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 174-6. მკვლევართა აზრით, ის ფაქტი, რომ მეფეს ფეოდალები მახვილს არტყამენ, გამოსახულ სცენას კონკრეტული ცერემონიის მეტ-ნაკლებად ზუსტ ასახვად აქცევს (იქვე, 180-5; Алибегашвили, *Светский портрет*, 46), და არ წარმოადგენს ბიზანტიური და რომანული ხელოვნებისთვის დამახასიათებელ კურთხევის *მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ* ასახვას. Touratsoglou, Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," 68. თინათინ ვირსალაძე, როგორც ჩანს, იმდენად დარწმუნებული იყო სცენის რეალიზმში, რომ შესაძლებლად მიიჩნევდა მის მიხედვით დიმიტრი I-ის კურთხევის წესზე ემსჯელა. Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 181; ხოლო მეფის გვერდით გამოსახული მამაკაცებიდან ერთ-ერთში ერისთავი ვარდანისძე დაენახა. იქვე 184-5. მაცხვარიშის ფრესკასთან დაკავშირებით საყურადღებო და განსხვავებული მოსაზრებები გამოთქმული აქვს ენტონი ისტმონდსაც. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 73-83. მისი აზრით, კვირიკე მამასახლისის თაოსნობით შექმნილი მაცხვარიშის ფრესკა მონარქის პოზიციას კი არ გამოსახავს, არამედ მისი არისტოკრატი ქვეშევრდომებისთვის სასურველ მდგომარეობას, მათ ხედვას – თუ როგორ უნდა მოქმედებდეს სამეფო ხელისუფლება. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 82-3. ამგვარად, ავტორი, კურთხევის ამ სცენას, როგორც ჩანს, სიმბოლურ გზავნილად მიიჩნევს, ოღონდ *ქვეშევრდომთა*, და არა *მონარქის*.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დავითის ისტორიკოსის მიხედვით, დემეტრე I-ს მახვილი მამამ, დავით აღმაშენებელმა შეარტყა: „და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი". *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი*, 223. ფრესკის შექმნის თარიღიც – 1140 წ. (Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 174) – რეალურად მომხდარ მეფედ კურთხევას ქრონოლოგიურად მაინც არის დაშორებული.

[145] Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage," 342-60.

პეტროს პროტონოტარიოსის სტატია, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდის ბიზანტიურ (ნიკეის იმპერიის) კორონაციულ ემისიებს ეძღვნება.[146] ორივე ნაშრომში კურთხევის სცენის ამსახველ მონეტათა ვრცელი რიგია განხილული.

საქართველოს ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობაში ცნობილია ერთადერთი მონეტა კურთხევის სცენით, რაც შეუძლებელს ხდის მის მოთავსებას სემანტიკური ევოლუციის ეროვნულ რიგში, მაგრამ ამ იზოლირებული ნიმუშის ანალიზითაც (უცხოურ ანალოგებთან შედარებით) შესაძლო ხდება საინტერესო დასკვნების გაკეთება.

გიორგი IV-ის გამოსახულებიანი მონეტის სემანტიკურ განხილვას დავიწყებთ ისეთი ელემენტით, როგორიცაა **მახვილი**. ყურადღებას იპყრობს, რომ კურთხევის სცენაში გიორგი ლაშას მახვილი *არ არტყია*.[147] „მესიის მახვილად“, ანუ ქრისტიანობის დამცველად შერაცხულისთვის ეს რამდენადმე უჩვეულოდ გამოიყურება, მით უფრო, რომ „ჴრმალი“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართული სამეფო ინსიგნიაა, რომელსაც საპატიო ადგილი ეკავა კურთხევის ცერემონიალში:[148] მისი მირთმევა-შებმის ქმედება საეკლესიო კურთხევის პარალელური, საქართველოში მიღებული საერო კურთხევის შემადგენელი ნაწილი იყო; მაცხვარიშის ფრესკაზე კარგად ჩანს, თუ როგორ არტყამენ დიდებულები დემეტრე I-ს მახვილს, მაშინ როდესაც ანგელოზი და მაცხოვარი მას გვირგვინს ადგამენ (სურ. 20). მაცხვარიშის ფრესკაზე მახვილი საგანგებო აღნიშვნასაც იმსახურებს შესაბამის ზედწერილში: „ჴრმ[ალსა] / აბმე[ნ] / დავითისს[ა] ერისთავნ[ი]“.[149] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იუწყება, რომ დავით აღმაშენებელმა „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამან-ცა თჳისითა ჴელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი... და დაადგა თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა ჴელთა ძლიერთა მახჳილი, ეჰა, რაბამ სჳანად ჴმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“;[150] ასევე გიორგი მესამემ აკურთხა თამარი

---

[146] Touratsoglou, Protonotarios, “Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle.”

[147] შდრ. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 51.

[148] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 165-6. როგორც ბაგრატიონთა, ასევე დიდებულთა ხმლით წარმოდგენის მნიშვნელობისთვის იხ. ზაზა სხირტლაძის ნაშრომი. სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*, 89-91.

[149] Вирсаладзе, “Фресковая роспись в Мацхвариши,” 176, 185.

[150] „და დაულოცა ცხორებაჲ წარმართებულ და განგრძობაჲ დღეთაჲ ბედნიერობით, თაყაუანის-ცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშჳდობაჲ“. *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი*, 223-4.

– „დაადგა გჳრგჳნი ოქროსა თავსა მისსა“[151]; შემდგომში, უკვე თამარ მეფეს (მეორე კურთხევისას) „ჴრმალი“ ოთხმა ლიხთიმერელმა დიდებულმა მიართვა, მაგრამ ქალი-მონარქისთვის ის არ შემოურტყამთ.[152] აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმპერიისგან განსხვავებით, სადაც იმპერატორის ხელისუფლება რომის კეისართა უშუალო გამგრძელებლად ითვლებოდა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და საქართველოშიც ის განსხვავებულ ნიადაგზე აღმოცენდა.[153] დროთა განმავლობაში, მდგომარეობა, ბუნებრივია,[154] შეიცვალა: XIII საუკუნის წყაროს („წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“) მიხედვით, ხმლის მეფისათვის მირთმევისა (და წელზე შემორტყმის) წესი კვლავ ძალაშია, მაგრამ ამას უკვე დიდგვაროვნები კი არ აკეთებენ, არამედ თავად მეფის მიერ ხელდასხმული *მოხელე* – ამირსპასალარი.[155] საყურადღებოა, რომ თავად ეს წყარო, როგორც ჩანს, სწორედ XIII საუკუნის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს, თამარისა და გიორგი ლაშას პერიოდით – ს. კაკაბაძე მას საგანგებოდ გიორგი ლაშას გამეფებისთვის შექმნილადაც კი თვლიდა.[156] ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მონარქიც *ქალიშვილის* კურთხევისას მას ხმალს როდი შემოარტყამს:

„დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისი ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“.[157]

მით უფრო საყურადღებოა, რომ მახვილი არ ჩანს არც გიორგი IV-ის უნიკალურ მონეტაზე გამოსახულ მის მეფედ კურთხევის სცენაში, და არც ნათლისმცემლისა თუ ანანაურის ფრესკებზე; ამასთანავე, გიორგი ლაშა აღჭურვილია ხმლით ბეთანიისა და ბერთუბნის ფრესკებზე.[158] ეს შეიძლება შემთხვევითი არც იყოს. მართალია, როგორც ანანაურის ეკლესიის

---

[151] „ისტორიანი და აზმანი შარანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 21.

[152] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 165.

[153] იქვე, 166.

[154] სხვათა შორის, საინტერესოა ქართულ ნიადაგზე ბიზანტიური ინსიგნიის – სფეროს ტრანსფორმაცია „ციურ იერუსალიმად“. იქვე, 174-8.

[155] იქვე, 167.

[156] იქვე, 169-70.

[157] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 45.

[158] Алибегашвили, *Светский портрет*, 22, 25-6; აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 47-8. იქვე განხილულია იმ ეპოქაში საქართველოში გავრცელებული ხმლები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეპითეტი „მესიის მახვილი“ საქართველოში დავით აღმაშენებლის შემოღებულია და, აქედან გამომდინარე, არ გვეჩვენება, რომ ფრესკებზე გიორგი ლაშას ხმლით გამოსახვას ესოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს – „ფრესკებზეც ხმლითაა გამოსახული, რაც მის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ზრდის საქრისტიანოს წინაშე“. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 51.

ფრესკის, ისე, მონეტის შემთხვევაში მახვილის შებმის სცენის გამოსახვას, საფიქრებელია, კომპოზიციისთვის განკუთვნილი ადგილის გარკვეული სიმცირე უშლიდა (მაცხვარიშის ფრესკაზე მრავალფიგურიანი კომპოზიცია ვრცელ არეს იკავებს). ამასთანავე, ადგილი, რომელიც არ იქნებოდა საკმარისი მაცხვარიშის ფრესკის მაგვარი მრავალფიგურიანი კომპოზიციის გამოსახვისთვის, სავსებით საკმარისი იქნებოდა უკვე შებმული ხმლის გამოხატვისთვის. ნათლისმცემელში ლაშა, საფიქრებელია, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, რომ ხმალი ქონდეს მიღებული; მით უფრო თვალში საცემია, რომ მახვილი გიორგი ლაშას არა აქვს შებმული არც ანანაურის ფრესკაზე გამოსახულ კურთხევის სცენაში (სადაც ამისთვის მეტი არე არსებობდა).

ზემოთ უკვე დავუთმეთ ყურადღება მონეტაზე შარავანდის არსებობას (რაც უნიკალური მოვლენაა ქართული ნუმიზმატიკისათვის), როგორც ხელისუფლების (ამ შემთხვევაში, მონარქის) ზეციური წარმომავლობის ხატოვან ხაზგასმას. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც დიდებულთა მიერ მეფისათვის ხმლის წელზე შემორტყმის რიტუალის გაუქმება არა მარტო მათი მნიშვნელობის დასაკნინებლად იყო ჩაფიქრებული, არამედ, ამის პარალელურად, ხაზს უსვამდა „მეფის ღვთისწორობის, მისი ხელისუფლების ღვთიურ და მხოლოდ ღვთიურ წარმომავლობას“.[159]

ჩვენი აზრით, ზეციური განგებით მეფისათვის აპოკომბიონის მირთმევის აუცილებლობა მაინც ღვთიური მხარდაჭერის აუცილებლობის ერთგვარი გაცხადებაა, რაც ეწინააღმდეგება *აბსოლუტური* ღვთისწორობის იდეას; მაგრამ, ერთი კი ცხადია – *მხედრული* კომპონენტი სრულად არის ამოღებული გიორგი ლაშას კურთხევის სამივე სცენიდან – როგორც მონეტაზე გამოსახულიდან, ასევე ნათლისმცემლისა და ანანაურის ფრესკებიდანაც; თუმცა, გიორგი ლაშა მახვილითაა გამოსახული ბეთანიისა და ბერთუბნის ფრესკებზე (იხ. სურ. 23, 25). აქ ურიგო არ იქნებოდა გახსენება, რომ კურთხევის სცენა ერთგვარ „შეკვეცილ ფორმულას წარმოადგენს“,[160] რომელშიც ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად ატრიბუტებზეა გამახვილებული.[161] ამრიგად, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება

---

[159] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის“, 168.

[160] იქვე, 171.

[161] „შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ შემდგომ ეპოქებში ქართველი ერის პოლიტიკური მარცხების პარალელურად ძირი ეცლება ქართველი მონარქის ღვთისწორობის იდეასაც, მეფე ნეიტრალური, „ჩვეულებრივი ადამიანური განსაზღვრებებითაა მოხსენიებული“; ამის პარალელურად კი იკონოგრაფიულ ლაკონიზმს ცვლის მხატვრული „მრავალსიტყვაობა“ – ასე, მაგალითად, გელათის კურთხევის სცენაზე (XVI ს. II ნახ.) სამეფო ხელისუფლების ნიშნების სიმრავლეა. იქვე, 172, 179; Клдиашвили, “Роспись западного придела церкви Ананаури,” 65.

უნდა მიენიჭოს. მაცხვარიშის ფრესკის გამოკლებით (დემეტრე I-ის კურთხევა[162]), ქართული სახვითი ხელოვნების სხვა ნიმუშებზე მეფედ კურთხევის სცენას აკლდება საერო-სამხედრო კომპონენტი (მახვილი; დიდებულები); კორონაციის სიმბოლიზმი (ანანაურის[163] და ნათლისმცემლის ფრესკები[164]) ლაკონურად არის გადმოცემული, რაც შეიძლება იმ ფაქტის ასახსნელად გამოდგეს, რომ ანანაურის ფრესკაზე (და მის მონეტაზე) მახვილი მეფეს გარშემორტყმული აღარ აქვს.

ამასთანავე, ეჭვს არ იწვევს, რომ ქართული ხელოვნებისა თუ ნივთიერი კულტურის იმ ნიმუშებზე, რომელიც *ფართო მასებისთვის* იყო განკუთვნილი – *ფრესკები, მონეტები* – კურთხევის სცენა პოლიტიკური პროპაგანდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მიუხედავად საერო (მხედრული) და რელიგიური კომპონენტების თანაფარდობისა. ცნობილია, რა განვითარებას მიაღწია პოლიტიკურ მათეოლოგიამ ბიზანტიის იმპერიაში, სადაც პოლიტიკური ხელისუფლება ეფუძნებოდა მმართველის (თუნდაც არამემკვიდრეობითი მმართველის!) ძალაუფლების ღვთიური წარმომავლობის იდეასაც.[165] ბიზანტიურ ხელოვნებაშიც იმპერატორის კურთხევის იკონოგრაფია გაბატონებული პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსის შემადგენელი და, ამასთანავე, მისი თვალსაჩინოდ ამსახველი მოვლენა გახდა.[166] იგივენაირად შევაფასებდით ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლის საქართველოს მეფედ კურთხევის იკონოგრაფიასაც, დღეისთვის ცნობილი ყველა გამოსახულების ჩათვლით.[167]

განსაკუთრებულ ყურადღებას, ამ მხრივ, ბუნებრივია, იმსახურებს კურთხევის იკონოგრაფია გიორგი IV-ის გამოსახულებიან მონეტაზე. გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური გზავნილი განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება მსგავსი სცენების ამსახველ სხვა (უცხოურ) მონეტებთან შედარებისას.

საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების **ისლამურ**

---

[162] Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 174-6; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 73-83.

[163] Клдиашвили, "Роспись западного придела церкви Ананаури," 161-86.

[164] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 186-8.

[165] Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage," 342.

[166] იქვე. შდრ. E.H. Kantorowicz, "Deus per Naturam, Deus per Gratiam. A Note on a Medieval Political Theology," *Harvard Theological Review*, XLV (1952), 253-77.

[167] კლდიაშვილი, „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის"; Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 174-6; ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლის-მცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში", 186-8.

მონეტებზე[168] კურთხევის სიუჟეტი, როგორც ასეთი, პრაქტიკულად არ გხვდება – ეს, ერთის მხრივ, განსხვავებული რელიგიური პარადიგმითა და, ამასთანავე, ცოცხალი არსებების გამოსახვის (არცთუ მკაცრი) აკრძალვის არსებობას უნდა უკავშირდებოდეს.[169] ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ართუკიანი დინასტის, ნაჯმ ად-დინ ალფის სამონეტო ტიპი, რომლის ერთ მხარესაც ღვთისმშობელი (?) საიმპერატორო ტანისამოსში გამოწყობილ (?) მონარქს აკურთხებს; ტიპი ბიზანტიური ნუმიზმატიკიდან არის ნასესხები, და, ამგვარად, დამოუკიდებელი მნიშვნელობა მას ნაკლებად აქვს.[170]

სამაგიეროდ, ძალიან ინფორმატიულია კურთხევის იკონოგრაფიის შესწავლა ბიზანტიის იმპერიის **ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობაში**, სადაც ის კურთხევის სიუჟეტების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ბიზანტიურ საფასეზე კურთხევის სცენა მაკედონელთა დინასტიამ (867-1056) შემოიღო და მონეტებზე ამ რიტუალის გამოსახვა მტკიცედ დამკვიდრდა იმპერიული პროპაგანდის[171] არსენალში.[172] პირველმა თავისი კორონაცია გამოსახა ალექსანდრემ (912-913),[173] დინასტიის მესამე იმპერატორმა; მის უკიდურესად იშვიათ სოლიდებზე (სურ. 13) იმპერატორს ხელში *globus cruciger* უჭირავს, და მას იოანე ნათლისმცემელი აკურთხებს, გვირგვინდებით.[174] ზეციური მხარდაჭერის საჯარო განცხადება ალექსანდრეს, სავარაუდოდ, ტახტზე თავისი უფლების გასამართლებლად დაჭირდა (კონსტანტინე ჯერ მცირეწლოვანი იყო) – სცენა შეიძლება გავიაზროთ, როგორც იმპერატორის მიერ ამ შემთხვევაში *ქრისტეს*

---

[168] ისლამური ნუმიზმატიკისადმი დამახასიათებელი მონოეპიგრაფიკული სამონეტო დიზაინისგან საგულისხმო გადახრას, როგორც სერია, წარმოადგენს ართუკიანთა და ზენგიანთა მონეტები. Stephen Album, *Checklist of Islamic Coins,* 3rd Ed. (Santa Rosa, 2011), 196-202. უფრო ადრეული პერიოდისთვის ცნობილია ‘აბასიანთა მონეტები ცოცხალ არსებათა გამოსახულებით. Гоча Джапаридзе, Игорь Добровольский, “О некоторых аббасидских монетах с изображениями живых существ в собрании Государственного Эрмитажа,” *Ближний Восток и Грузия* (Тбилиси, 1991), 143-53.

[169] იქვე, 143-4.

[170] თუმცა კი, ძალიან საინტერესოა ბიზანტია-ისლამს შორის კულტურული და იდეოლოგიური კავშირების შესწავლის თვალსაზრისით.

[171] ბიზანტიის იმპერიაში, საზოგადოდ, მონეტების პროპაგანდის მიზნით გამოყენების შესახებ იხ. A.R. Bellinger, “The Coins and Byzantine Imperial Policy,” *Speculum*, 31 (1956), 70-81.

[172] Maladakis, “The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage,” 343-4; Touratsoglou, Protonotarios, “Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle,” 71.

[173] და არა რომანოზ I ლეკაპინოსმა. ავტორი მიუთითებს *რომანოზ II*-ის (920) მონეტებზე. იქვე, 70. ამ შრომის ავტორები 920-1204 წლებისთვის იცნობენ მხოლოდ ოთხი იმპერატორის ემისიას კურთხევის სცენით. იქვე, 70-1.

[174] Maladakis, “The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage,” 344-5.

ადგილის დაკავება,[175] ბიზანტიელი იმპერატორის ღვთისწორობის დეკლარაციის საკმაოდ იშვიათი პრეცედენტი.[176] კურთხევის სცენა გამოსახულია მაკედონური დინასტიის მრავალი სხვა წარმომადგენლის მონეტებზეც.[177] კურთხევის სცენა დიდი პოპულარობით სარგებლობს კომნენოსთა დინასტიაშიც.[178]

XIII საუკუნეში, 1204 წლის კრახის შემდეგ, წინამორბედ პერიოდთან შედარებით ემისიებზე კურთხევის სცენის გამოსახვა გახშირდა და საკმაოდ პოპულარული გახდა ნიკეისა და თესალონიკეს სახელმწიფოებში; მკვლევართა აზრით, ეს დამთხვევა არ იყო – პროვინციული ძალაუფლების ცენტრებში გამაგრებულ მმართველებს იმპერიის რესტავრაციის სურვილი ამოძრავებდათ, რისთვისაც მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი ლეტიგიმურობის, ბიზანტიის ტახტზე უფლებებისა და ზეციური მხარდაჭერის ხაზგასმა და დემონსტრირება – როგორც საგარეო მტრებისთვის, ასევე შინაგანი მოწინააღმდეგეებისა და ქვეშევრდომებისათვის – და ეს ყველაფერი საფასის მეშვეობით.[179]

ამასთანავე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ XIII საუკუნის პირველი მეოთხედი არის დროის ის ერთადერთი მონაკვეთი, როდესაც ქართულ

---

[175] იქვე, 345; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 88. ი. ტურაცოღლუს და პ. პროტონოტარიოსის აზრით, ღვთისმშობელიცა და წმინდანებიც ყოველთვის მხოლოდ შუამავლების როლს თუ თამაშობენ – ქრისტესა და იმპერატორს შორის; ინვესტიტურა კი, გვირგვინის ჩათვლით, ყოველთვის უშუალოდ მაცხოვრისმიერი ძღვენია. Touratsoglou, Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," 69. ალექსანდრეს მონეტის შემთხვევაში მაინც, ეს შეიძლება არც შეესაბამებოდეს სინამდვილეს. გარდა ამისა, იბადება კითხვა: რატომ ხდებოდა საჭირო სიუჟეტში შუამავლის ჩართვა, უშუალოდ მაცხოვრის გამოსახვის მაგიერ? მით უფრო გაუგებარი და მიუღებელია ჩვენთვის ავტორების დასკვნა, რომლის თანახმადაც კურთხევის ჭეშმარიტ სცენებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისინი, რომელშიც ქრისტე უშუალოდ მონაწილეობს და თავზე გვირგვინს ადგამს იმპერატორს. იქვე, 69.

[176] ამის კიდევ ერთი მაგალითია 1120-იან წლებში თეოდორე პროდრომოსის მიერ შექმნილ პოემაში იოანე კომნენოსის მაცხოვართან შედარებაა. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 88.

[177] Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage," 345-1.

[178] საინტერესოა, რომ თამარის მხარდაჭერით დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის სათავეში ჩამდგარ დიდ *კომნენოსთა* დინასტიის მონეტებზე ეს სიუჟეტი პირიქით, არ გვხვდება. Otto Retowski, *Die Münzen der Komnenen von Trapezunt* (Braunschweig, 1974, repr., Moskau, 1910).

[179] Touratsoglou, Protonotarios, "Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle," 71. საყურადღებოა, რომ თეოდორე I-ის სიძის, იოანე III ვატატცის ოქროს ჰიპერპირონები, ასახავს და ამტკიცებს რა მის მიერ მიღწეულ მდგომარეობას, იქნებ შეგნებულად ბაძავს იოანე II კომნენოსის მიერ გამოყენებულ კურთხევის სიუჟეტს („იმ ეპოქაში იმპერიის კეთილდღეობის შესახსენებლად"?); კურთხევის სცენა ასახულია ამ მონარქის სხვა ტიპის (სხვა ლითონში გამოშვებულ) საფასეზედაც. იქვე, 73.

საფასეზე გამოისახება მეფედ კურთხევის სიუჟეტი. თუმცა, ეს შეიძლება სულაც არ იყო ბიზანტიური ნიმუშების მიბაძვა. ქართულ ხელოვნებაში კურთხევის სცენა ჯერ კიდევ დემეტრე I-ის ზეობაშია გამოსახული (მაცხვარიშის ფრესკა).[180] ეს ფრესკა ორიგინალურია და მას ანალოგიები, როგორც ჩანს, არ მოეპოვება.

საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენება, აგრეთვე, კიდევ ერთი აღმოსავლურ-ქრისტიანული ტრადიციის მატარებელი სახელმწიფოს საფასეზე მეფედ კურთხევის უნიკალური სცენა. ვგულისხმობთ კილიკიის სომხური სამეფოს ერთ-ერთი მონარქის, ლევონ I-ის საკმაოდ ორიგინალურ საკორონაციო *ტრამს*.[181] აღნიშნულ მონეტაზე ასახულია სომხური კილიკიის პირველი მეფის კურთხევის სცენა: როგორც ცნობილია, ლევონმა სამეფო გვირგვინი საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსასაგან ითხოვა და მიიღო კიდეც, დაახლოებით 1196 წელს, უკვე გარდაცვლილი ფრიდრიხის მემკვიდრე ჰაინრიხ VI-სგან.[182] საღვთო რომის (გერმანიის) იმპერატორისგან მიღებული გვირგვინი ნიშნავდა, რომ ლევონ I, ნომინალურად მაინც, ჰაინრიხ VI-ის ვასალი გახდა. სომეხი მონარქის დაქვემდებარებული სტატუსი მონეტაზეც არის ასახული: ლევონი (შარავანდის გარეშე) მუხლმოდრეკილია ღვთისმშობლისა თუ მაცხოვრის (ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა[183]) წინაშე ვედრების პოზაში, ზევიდან მასზე გარდამოდის *manus Dei* ანდა *ნათლის სხივი*, ზოგჯერ კი შესაბამის არეს ფრინველის (მტრედის?) ფიგურა ავსებს.[184] მონეტაზე კურთხევაა გამოსახული და ეს სამონეტო ტიპი 1196-99 წწ. უნდა იყოს გამოშვებული[185], გიორგი ლაშას ტახტზე ასვლამდე რამდენიმე წლით ადრე.

---

[180] Вирсаладзе, "Фресковая роспись в Мацхвариши," 174-6.

[181] Bedoukian, *Coinage of Cilician Armenia*, 56-7.

[182] საეკლესიო კურთხევა კი შედგა 1198 წელს, სომხური ეკლესიის კათოლიკოსისა და რომის პაპის ლეგატის, მაინცის არქიეპისკოპოსის თანდასწრებით. Steven Runciman, *A History of the Crusades*, Vol. III: *The Kingdom of Acre and the Later Crusades* (Cambridge, 1988), 90-1.

[183] Armenian Numismatic Page. Last modified January 29, 2010. http://www.forumancientcoins.com/armeniannumismatics/levoncd1.htm

[184] შუბლის ირგვლივი წარწერა სომხური ასოებით (+ԼԵՒՈՆ ԹԱԳԱՒՈՐ ՀԱՅՈՑ) იუწყება „ლევონ, მეფე სომეხთა". ფიგურებს შორის ზოგჯერ ქრისტეს აღმნიშვნელი ასოცაა (Ց). ზურგზე უბრალოდ ერთი ან ორი ლომის გამოსახულებაა, ჯვართან ერთად, და ირგვლივი ზედწერილი (+ԿԱՐՈՂՈՒԹ ԵԱՄԲՆ ԱՍՏՈՒԾՈՑ) „ნებითა ღვთისაითა". Bedoukian, *Coinage of Cilician Armenia*, 56-7.

[185] ბედუქიანის აზრით, მონეტაზე საეკლესიო კურთხევა არის ნაჩვენები, და მისი გამოშვება 1199 წ. უნდა წარმოებულიყო (იქვე, 77), ხოლო 1196 წლიდან 1199 წლამდე კი საღვთო რომის იმპერატორისგან დავალებულ ლევონ I-ს ე.წ. ორმაგი ტრამები, ნახევრიანი ორმაგი ტრამები და მეოთხედი ორმაგი ტრამები უნდა გამოეშვა, რომელთა დიზაინიც ავლენს კავშირს გერმანულ, მათ შორის იმპერატორის მონეტებთან (იქვე, 57). ჩვენი აზრით,

ამასთანავე, თვალში საცემია, თუ რამდენად განსხვავებულად წარმოგვიდგენს თავის თავს ეს ორი მონარქი.

კურთხევის სცენის მატარებელ ბიზანტიურ მონეტებს ერთი თავისებურება ახასიათებთ: სახეზეა მონარქისა და მაკურთხევლის (ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი, წმინდანი, მთავარანგელოზი) ერთგვარი ვიზუალური პარიტეტი, რომელშიც გამოსახული ფიგურების ზომებსა და მათ თანაფარდობას ვგულისხმობთ; ზოგიერთ შემთხვევაში კი, სომხურ-კილიკიური კურთხევის ტიპის მსგავსად, უპირატესობა აშკარად ზეციურ ძალასა აქვს მინიჭებული (ისეთი მხატვრული საშუალების გამოყენებით, როგორიცაა კურთხევის ობიექტად გამოსახული მონარქის მუხლმოდრეკა) (სურ. 12).

განხილული, ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად პარალელური ნუმიზმატიკური მასალისგან განსხვავებით, გიორგი IV-ის კურთხევის სამონეტო ტიპის იკონოგრაფია მეტად ამაყი თუ მედიდურია; გამოსახული კურთხევის სცენის ლაკონიზმიც იგივე დატვირთვის მატარებელია: თვალში საცემია, რომ ბაგრატიონი არა მარტო წინა პლანზეა წამოწეული – მისი ფიგურა პრაქტიკულად ერთადერთია – მონეტის ზედაპირზე ანგელოზის (?), რომელიც გიორგი IV-ეს აპოკომბიონს აწვდის, მხოლოდ ხელებია წარმოდგენილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთგვარი *სიამაყე / მედიდურობა*, საკუთარი მონარქის პირველ პლანზე წამოწევა, საზოგადოდ, დამახასიათებელია აღნიშნული ეპოქის ქართული საზოგადოებისათვის. ეს გარემოება თვალში საცემი ხდება არა მარტო ნუმიზმატიკური, არამედ მხატვრული მასალის განხილვის დროსაც – ვგულისხმობთ ქართული საერო-საეკლესიო მხატვრობის ნიმუშების შედარებას ბიზანტიურ და დასავლეთევროპულ ანალოგებთან. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ქართული ხელოვნების შემადგენელ *შერეულ*იკონოგრაფიულ სცენებში, სადაც ფიგურირებს როგორც საერო ისტორიული პირები, ასევე ზეციური არსებები, უდიდესი ყურადღება სწორედ ამ პირველთ ეთმობა; უფრო მეტიც, მოხატულობაში სწორედ საერო პირთა გამოსახულებათა მნიშვნელობა არის ხოლმე ხაზგასმული.[186] საერო, მით უფრო, სამეფო პორტრეტების მნიშვნელობა ხაზგასმულია სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით.[187]

არ არის გამორიცხული, რომ ლევონ I-ის საკორონაციო ტრამების გამოშვება უკვე 1196 წელს დაწყებულიყო. მათი სიუჟეტი საკმაოდ ზოგადია, და შეიძლება 1196 წლის ამბებსაც უდგებოდეს, ხოლო ლევონის მეფედ გახდომის ნუმიზმატიკური აღნიშვნა, საფიქრებელია, მაშინვე მოეხდინათ და არა 3 წლის დაგვიანებით.

[186] Алибегашвили, *Светский портрет*, 30, 35; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 199-202.

[187] ა) საერო პირების ფიგურების შედარებითი მონუმენტურობით. Алибегашвили, *Светский портрет*, 30, 32, 35-6; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 199. ისტორიული

აშკარაა, რომ მონარქი ყოველთვის ზეციურ არსებაზე წინ არის წამოწეული – ამას მაცხვარიშის, გელათის, და განსაკუთრებით კი ანანაურის ფრესკებისთვის (სურ. 20, 26) ერთი თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს.

სხვაგვარია მდგომარეობა ბიზანტიურ და, როგორც ჩანს, დასავლეთევროპულ ხელოვნებაში, ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიის ზეგავლენით შექმნილ ნიმუშებში.

ბიზანტიასთან შედარებას მივყავართ საინტერესო დასკვნამდე – ამ, ისევე როგორც, უფრო ადრეული ეპოქის (XI-XII სს.) ბიზანტიურ ხელოვნებაში მმართველთა პორტრეტები შედარებით მცირე რაოდენობითაა შემონახული.[188] ეს, ჩვენი აზრით, თავისთავად საყურადღებო მოვლენაა. სამაგიეროდ, ამის წინარე პერიოდში მიწიერი (საერო) და ზეციური ხელისუფლების შედარებით იერარქიაზე მსჯელობა შესაძლოა კონსტანტინოპოლში, წმ. სოფიის ტაძარში შემონახული გამოსახულებით, რომელზეც აღსაყდრებული მაცხოვარის წინაშე ვედრებადაა *მუხლმოყრილი* ლეო VI (886-912) (სურ. 16) – მთელი სცენა მკაფიოდ განასახიერებს მიწიერი ხელისუფლების დაქვემდებარებას ზეციურისადმი.[189] ხორას მონასტრის (ქაჰრიე ჯამე) XIV ს. მოზაიკაშიც თეოდორე მეტოხიტიც მაცხოვარს ტაძრის მოდელს *მუხლმოდრეკილი* მიართმევს.[190]

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის (XII ს. – XIII საუკუნის დასაწყისი) ბიზანტიურ ხელოვნებაში (მათ შორის, კურთხევის ასახვისას) იკონოგრაფიული თვალსაზრისით წინა პლანზე საიმპერატორო და არა ზეციური ხელისუფლებაა, მაგრამ მხოლოდ მინიატურებში, რომელიც შედარებით ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი და ინფორმაციის *საჯაროდ* განცხადების ფუნქციას არ ასრულებდა.[191] როგორც ჩანს, ეპოქის ბიზანტიურსა და ქართულ ხელოვნებას საერო პირთა, მონარქების წარდგენისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა ახასიათებდა.

პორტრეტის მონუმენტალიზაციის ტენდენცია ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია მონღოლთა ბატონობის ხანაშიც. შდრ. Алибегашвили, *Светский портрет*, 53-6; ბ) ტაძრის მოხატულობის სისტემაში საერო პორტრეტების გამორჩეულ ადგილას განლაგებით, (მათ შორის, მათი არქიტექტურული ელემენტებითა თუ ჩარჩოთი გამოყოფით); იქვე, 31-3, 45-6; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 200-2; გ) საერო პირების ფიგურების გამოცალკევებით. Алибегашвили, *Светский портрет*, 30-3; Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 199.

[188] Алибегашвили, *Светский портрет*, 72.

[189] იქვე, 67. Nicolas Oikonomides, "Leo VI and the Narthex Mosaic of Saint Sophia," *Dumbarton Oaks Papers*, Vol. 30 (1976), 151, 153-72.

[190] Алибегашвили, *Светский портрет*, 68.

[191] იქვე, 68-9.

საინტერესოა, რომ საქართველოსგან განსხვავებით, საერო ხელისუფლება *საჯაროდ* თავს უფრო მორჩილად გამოსახავს სამხრეთ ევროპაშიც. ასე მაგალითად, პალერმოს მარტორანას მოზაიკაზე როჯერ II ბისონსა და დიადიმათი არის გამოსახული, მაგრამ იმპერატორი თავმოდრეკილია და *ვედრების პოზაში* მიმართულია მის მარჯვნივ და *ზევით* მოთავსებული მაცხოვრის საგრძნობლად დიდი ზომის ფიგურისკენ, რომელიც აკურთხებს მას თავზე გვირგვინის დადგმით (სურ. 19).

საინტერესოა, რომ საერო პირის პირველ პლანზე წამოწევა ქართულის გარდა, კიევის რუსეთის მართლმადიდებლურ ხელოვნებაშიც შეინიშნება.[192]

მონუმენტურობის გარდა, საინტერესოა ბაგრატიონთა პორტრეტების შემკობა შარავანდებით. ამით შეიძლება მსჯელობა ქართველი მეფეების მიერ საკუთარი თავის (მათ მიერ შეკვეთილ ხელოვნების ნიმუშებში და გიორგი ლაშას მონეტაზე) წარდგენის, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ – *პოზიციონირების*, შესახებ.

ბიზანტიურ მონეტებზე იმპერატორს შარავანდი საკმაოდ იშვიათად ამკობს,[193] მაგრამ მაკურთხეველი პირიქით, უმეტესწილად, შარავანდით გამოისახებოდა. გიორგი IV-ის მონეტაზე მოცემულ კურთხევის სცენაში მონარქის ირგვლივ შარავანდია. უკვე ვახსენეთ, რომ მონარქის შემთხვევაში შარავანდი ღვთისწორობის დეკლარაციაა.

ეჭვს არ იწვევს, რომ XII საუკუნის – XIII საუკუნის დასაწყისის ბაგრატიონ მონარქებს გააჩნდათ შესაბამისი პრეტენზია; საამისოდ თანამედროვე ავტორის პირდაპირი მოწმობა („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) არსებობს: „მეცა ესრეც ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა“,[194] „სამებასა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.[195] როგორც ვხედავთ, თამარ მეფე წმინდა სამების თანაბარ ან მასზე უფრო აღმატებულ წევრადაც კი ცხადდება (sic!). სხვა ადგილას ის ირიბად ღვთისმშობელთან არის შედარებული (ბეთლემში მყოფთან), რომელმან შვა გიორგი ლაშა, „სწორი ძისა ღმრთისა“, რომელიც,

---

[192] იქვე, 71.

[193] მაგალითად, ხერსონესისთვის მოჭრილ მონეტაზე მავრიკის, მისი მეუღლის კონსტანტინასი და მისი ძის თეოდოსის გამოსახულებით (სამივეს შარავანდი ადგია). თამარ აბრამიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები* (თბილისი, 1966), 58.

[194] „ისტორიანი და აზმანი შარანდედთანი“, 2-3.

[195] იქვე, 25.

ამრიგად, თავად მხსნელთან არის გათანაბრებული[196] (sic![197]) – „ტაბაჴმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, და უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თჳსისა გიორგი...“[198] საკმაოდ გაბედულია ახალშობილი გიორგის ახლობლების ახალშობილ იესოსთან მისულ მოგვებთან შედარებაც: „თჳთ დედოფალმა რუსუდან, და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისმან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ჴელ-ყვეს ძრუნებად და მინიჭებად“.[199] გავიხსენოთ, აგრეთვე, თამარის მეტად საინტერესო იამბიკოებიც, განსაკუთრებით იამბიკო „ქალწულებრივი სისხლითა“, რომელშიც თამარი თავის თავს ღვთისმშობელს ადარებს, ხოლო გიორგი ლაშას – მაცხოვარს (sic!).[200]

იგივე გზავნილის მატარებელია ეპოქის მხატვრობაც:[201] პირველ რიგში უნდა ვახსენოთ გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ეკვდერში კამარის ჩრდილოეთი ქანობის მთელს სიგრძეზე გაშლილ საკმაოდ დაზიანებულ ფრესკას; მასზე, როგორც ივარაუდება, სწორედ თამარი უნდა იყოს გამოსახული (შემონახულია გამოსახული პიროვნების ტიტული – მეფეთა მეფე[202]).[203] მრავლისმთქმელია ფრესკისთვის გამოყოფილი ადგილი ეკლესიის

---

[196] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 50. საინტერესოა გ. აბდალაძის მსჯელობა გმირის უმანკოდ ჩასახვის სიუჟეტზე და მის მიმართებაზე გიორგი ლაშას პიროვნებასთან. საყურადღებოა ოსური მითოლოგია, რომლის თანახმადაც „თამარ მეფე ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივისგან დაორსულდა და მისი ვაჟი – მზის შვილი გამეფდა საქართველოში“. სამწუხაროდ, არ არის მოყვანილი ამ საინტერესო ინფორმაციის წყარო. იქვე, 50. საყურადღებოა გიორგი ლაშას სახელის „ნათელ გიორგად“ (*თეთრ გიორგად?*) ინტერპრეტაციაც. მარიამ მამულაშვილი, „თამარის კანონიზაციის საკითხისათვის“, *კულტურის ისტორიის საკითხები*, II (თბილისი, 1996), 46. თამარი კი ფშაურ ფოლკლორში „დიდ დედად“, „ზემდგომ ანგელოზად“ მოიხსენიება. იქვე, 48.

[197] რაოდენ საკვირველი არ უნდა იყოს, მაცხოვართან გათანაბრებულია ეპოქის ერთ-ერთი წარჩინებული მოღვაწე, არა-მონარქი, მწიგნობართუხუცესი ანტონიც: „ქრისტეს სწორმან ანტონ ჭყონდიდელმან დიდითა ღუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოჲთა აღუჰამრავითა...“ ზაზა სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*, 63.

[198] „ისტორიანი და აზმანი შარანდედთანი“, 56-7.

[199] იქვე, 57.

[200] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 50.

[201] მარინე ბულიას აზრით, მხატვრული აზროვნების დეცენტრალიზაციის მიუხედავად, ფრესკების შემქმნელები თამარის სურვილებს მაინც ითვალისწინებდნენ. ბულია, „თამარის ხანის მოხატულობათა ერთი იკონოგრაფიული თავისებურება“, 204-5.

[202] მისი თამართან იდენტიფიკაცია რომც არ მოხერხდეს, ჩვენთვის საკმარისი ისიც იქნებოდა, რომ ამ ტიტულის მქონე პერსონაჟი ბაგრატიონი მონარქია და მას *კამარაში* გამოსახავენ.

[203] სხირტლაძე, „მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში. მასალები შესაძლო გაიგივებისათვის“, 223-55.

ინტერიერში – „კამარა, ზეციური სფერო, ტრადიციულად განკუთვნილი ზესთასოფლიური თემებისთვის“.[204] არანაკლებ საინტერესოა მ. ბულიას მოსაზრება ნათლისმცემლის მოხატულობაში მაცხოვრის წინაპრების (წმ. რობუამ, წმ. ამინადაბ) გამოსახვის დანიშნულებასთან დაკავშირებით; მისი აზრით, ამ საშუალებით „ხაზი ესმევა ბაგრატიონთა საგვარეულოს ბიბლიურ, ღვთივდამკვიდრებულ მეფეთა გვარიდან წარმომავლობას, და, ამდენად, ღმრთივკურთხეულობას“.[205] სხვა ბაგრატიონებისგან, თუნდაც მშობლებისგან – თამარისა და *ეფრემიანი* დავით სოსლანისგან – განსხვავებით, ნათლისმცემელში მხატვრული საშუალებებით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ პატარა გიორგი ლაშას ღმრთივკურთხეულობაა ხაზგასმული.[206]

ღვთისწორობის იდეა რომ ნამდვილად ამ პერიოდის ქართველი მონარქების იდეოლოგიის (და, შესაბამისად, სახელმწიფო პროპაგანდის) შემადგენელი ნაწილი იყო და არა მხოლოდ ზემოთ დასახელებული თხზულების ავტორის გადამეტებული პირფერობა, მოწმობს[207] ისეთი *ოფიციალური წყარო*, როგორიცაა თამარისა და გიორგი ლაშას ცნობილი ჴელი გუნია-ყალადან, სადაც ორივე ღმრთის სწორად არის დახასიათებული, თანაც ორჯერ (კურსივი ჩვენია): „ს(ა)ხ(ე)ლით(ა) ღ(მრთისა)ჲ(თა), ბ(რძანე)ბითა / *(ღმრ)თის სწორთ(ა) თ(ა)მ(ა)რ(ი)ს(ა) / და გ(იორგ)ის(ი)თ(ა)*, ჭ(ყონდიდელი)ს, ზ(ა)ქა/რია, შ(ა)ლვ(ა), ოვს(ი)ყმ(ა) / ვ(ა)ჩესითა, ჯ(ა)ლ(ა)ბ(ა)ჲს / მოჭირვებითა, / ს(ა)ნობ(ა)ჲს ძისა ინ(ა)ჲ/სა ჴ(ე)ლითა დ(ა)ჲს(უ)ა ჴ(ე)ლ/ი ესე *ღ(მრ)თ(ი)ს(ა) სწ(ო)რთა / მ(ე)ფ(ე)თ მ(ე)ფის(ა) გ(იორგ)ჲსი*“.[208]

ეპოქის მხატვრობა და, როგორც ირკვევა, ნუმიზმატიკური მასალა – შესანიშნავად გვისურათებს ამ პერიოდის ქართველ მონარქთა იდეოლოგიას. ღვთისწორობის იდეა, მისი საჯაროდ განცხადების მხატვრული ხერხები (მეფის პერსონის მეტად წარმოჩენა), რისთვისაც ინფორმაციის ისეთი საშუალება გამოიყენება, როგორიც საფასეა – ეს ყველაფერი ძლიერების ზენიტში მყოფი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის შედეგი და, ამავე დროს, გამოხატულებაცაა.

---

[204] იქვე, 242-3, სქ. 24. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 200-2.

[205] ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 184.

[206] იქვე, 183.

[207] ამრიგად, თუნდაც თამარის განღმრთობის პროცესი ნამდვილად გასცდა „სახოტბო პოეზიას... თუ საერთო ისტორიულ ლიტერატურას“. ბულია, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში“, 192-3.

[208] წარწერას ვიმოწმებთ გიორგი ოთხმეზურის მიხედვით. ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო*, 20-1, 72-5.

აპოკომბიონი

როგორც დავინახეთ, მონეტაზე გამოსახულ გიორგი IV-ეს *მახვილი არა აქვს*. სამაგიეროდ, მას მარცხენა ხელში უჭირავს *აპოკომბიონი*. აპოკომბიონის (ἀποκόμβιον), როგორც მონარქის რეგალიის (sic) სემანტიკური დატვირთვა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღებისა და შესწავლის ღირსია.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ ამა თუ იმ ვიზუალური ფორმის, ობიექტის სემანტიკური დატვირთვა არ შემოიფარგლება მხატვრული ასპექტებით – ახალი, აქამდე უცნობი (შესაბამის კონტექსტში პირველად გამოჩენილი) ვიზუალური, იკონოგრაფიული ფორმის პირველად გამოჩენა შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული სოციო-კულტურული ცვლილებების გამოძახილად და მის ასახვად.[209] აქედან გამომდინარე, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ანალოგიების მონახვა ანუ იმ იკონოგრაფიული სცენების მიგნება, სადაც გამოსახულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი *აპოკომბიონია*. ქართულ ხელოვნებაში მსგავსს ვერ მივაკვლიეთ. სამაგიეროდ, საინტერესო პარალელები მოინახა ბიზანტიურ ხელოვნებასა და ნუმიზმატიკაში.

მიუხედავად ლიტერატურაში გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებისა,[210] ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში მოგვეპოვება აპოკომბიონის ასახვის პრეცედენტი: იოანე I ციმისხის (969-976) ერთ-ერთ მეტად იშვიათ ოქროს სამონეტო ტიპზე იმპერატორს, რომელსაც ღვთისმშობელი აკურთხებს მარცხენა ხელში *აპოკომბიონი*[211] უჭირავს (სურ. 14) – იმავე იმპერატორის სხვა ოქროს მონეტებზე თითქმის იდენტური გამოსახულებაა, მაგრამ აპოკომბიონის ადგილს სულ სხვა ინსიგნია იკავებს (სურ. 15).

წმ. სოფიის ტაძრის გაწმენდილ-აღდგენილ ორ მოზაიკაზე[212] გამოსახულია იმპერატორები კონსტანტინე IX მონომაქოსი და ზოია (ე.წ. ზოიას პანო, სურ. 17) და იოანე კომნენოსი და ირენე (ე.წ. იოანეს პანო, სურ. 18). ორივე შემთხვევაში იმპერატორს ხელში აპოკომბიონი უჭირავს, დედოფალს კი – გრაგნილი.[213]

---

[209] Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 23.

[210] იქვე, 27-8.

[211] Maladakis, "The Coronation of the Emperor on Middle Byzantine Coinage," 346-347. აღსანიშნავია, რომ თავად მკვლევარმა *აპოკომბიონი* შეცდომით *აკაკიად* მიიჩნია.

[212] მოზაიკები წმინდა სოფიის ტაძრის იმ ნაწილშია განლაგებული, სადაც შესვლა მხოლოდ პატრიარქს, იმპერატორსა და მათ უახლოეს პირებს შეეძლოთ. Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 24.

[213] ამ ორ მოზაიკურ გამოსახელებას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ჩამოვთვლით მხოლოდ ძირითადებს: Charles R. Morey, "The Mosaics of Hagia Sophia," *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, New Series, Vol. 2, No. 7 (1944), 201-10; Natalia Teteriatnikov, *Mosaics of Hagia Sophia, Istanbul: The Fossati Restoration and the Work of the Byzantine Institute* (Washington, 1998).

გიორგი IV-ის მონეტაზე აპოკომბიონის სემანტიკური მნიშვნელობის გასარკვევად ამ მოზაიკების შესწავლასა და მათი კვლევის პროცესში მიღებული შედეგების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ორივე მოზაიკაზე ქრისტესა თუ ღვთისმშობლისადმი დონაციის აქტია გამოსახული: იმპერატორი მიართმევს ოქროს მონეტებით სავსე ქისას – აპოკომბიონს, იმპერატორი ქალი კი – გრაგნილს, რომელიც, ერთი ვერსიის თანახმად, ზოიას პანოს შემთხვევაში მაინც, *ქრიზობულაა*.[214]

მკვლევართა ყურადღება მიიპყრო საკითხმა – თუ საიდან მოდიოდა საიმპერატორო პორტრეტში აპოკომბიონის გამოსახვის წესი და რასთან იყო ეს დაკავშირებული[215] და განასახიერებდა თუ არა ეს მოზაიკები რაიმე კონკრეტულ შეწირულობას.[216] სხვა ვერსიით, ეს მოზაიკური პანოები საზოგადოდ ასახავდა იმპერატორისა და დედოფლის მიერ ეკლესიის მხარდაჭერას,[217] ანდა იმ ტრადიციულ რიტუალს, რომლის ფარგლებშიც იმპერატორი უნაწილებდა ფულს წმინდა სოფიის ტაძრის მღვდელმსახურებს

---

[214] Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 23-4. ამ უკანასკნელის სემანტიკური და ნოვატორული დატვირთვისთვის იხ. იქვე, 29-31, 36-8; Natalia Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags as a Functional Setting," *Arte Medievale*, II Serie, Anno X, n. 1 (1996), 53. ცნობილია, რომ შეწირულობას ეკლესიებს დედოფლებიც მიართმევდნენ (შეად. თუნდაც წმ. ვიტალეს მოზაიკას თეოდორას გამოსახულებით), მაგრამ წმინდა სოფიის ტაძრისთვის ნაღდი ფულის შეწირვა მხოლოდ იმპერატორის ფუნქციას შეადგენდა. Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 53.

[215] იქვე, 47.

[216] Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 25; Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 48. ასე ფიქრობდა (სცენის უპრეცედენტობის საფუძველზე) რ. კორმაკიც. Robin Cormack, "Interpreting the Mosaics of S. Sophia at Istanbul," *Art History*, Vol. 4, No. 2 (June 1981), 131-49. მას საჭიროდ მიაჩნდა მსგავსი მსხვილი შეწირულობის ფაქტის აღმოჩენა (ლიტერატურული წყაროებიდან) იოანეს პანოს შეკვეთის მიზეზის ასახსნელად. იქვე, 145. ამის სასარგებლოდ თითქოსდა მიუთითებს ადამიანის პორტრეტების შესრულების მეტად რეალისტური მანერაც. Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 47. საყურადღებოა, რომ მაცხოვარიც ზოიას პანოზე საკმაოდ „მიწიერად" არის გამოსახული. Morey, "The Mosaics of Hagia Sophia," 204. აღსანიშნავია იოანე კომნენოსისა და უნგრელი ირინეს გამოსახულების რეალიზმი იოანეს პანოზედაც. იქვე, 205.

[217] იმპერატორთა შეწირულობები ბიზანტიური ხელოვნების სხვა, საკმაოდ იშვიათ ნიმუშებშიც აისახა: იხ. იუსტინიანესა და თეოდორეს მოზაიკები წმ. ვიტალეს ტაძარში რავენაში, რომელზეც მონარქებს მიაქვთ ოქროს ჭურჭელი. ამ შემთხვევაში ასახულია ე.წ. *მცირე შესვლა*, რიტუალი, რომლის დროსაც იმპერატორები ჩვეულებრივ შეწირულობას ურიგებდნენ მღვდელმსახურთ, ჭურჭლისა და ნაღდი ფულის სახით. Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 48. ცერემონიათა წიგნის მიხედვით, იმპერატორი მონაწილოებდა ლიტურგიაში ხუთი დიდი დღესასწაულის (აღდგომა, სამება, ფერისცვალება, შობა, ნათლისღება) დროს, როდესაც ის წმინდა სოფიის ტაძარს შეწირულობას აძლევდა. იქვე, 49.

ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, ხოლო გრაგნილი ქრიზობულა კი არა, იმ მღვდელმსახურთა სიაა, რომელთაც ამა თუ იმ ზომის ქისა უნდა მიეღოთ.[218] ე.წ. დიდი ცერემონიის განმავლობაში იმპერატორი დროდადრო ტოვებდა აპოკომბიონს საკურთხეველთან, ურიგებდა მათ წმინდა სოფიის ტაძრის სხვადასხვა რანგის პერსონალს, რაც სრულდებოდა თავად პატრიარქისთვის 10 გირვანქა ოქროს[219] შემცველი აპოკომბიონის გადაცემით.[220] ამგვარად ბიზანტიის იმპერატორი საქმით გამოხატავდა თავის მხარდაჭერას ეკლესიისადმი; საეკლესიო წარჩინებულთა გარდა, აპოკომბიონები ღარიბებსაც ურიგდებოდათ (იმპერატორის ქველმოქმედების ერთ-ერთი ფორმა[221]).[222] იმპერატორი უგზავნიდა აპოკომბიონებს იპოდრომის ფრაქციებსაც, მათ იღებდნენ დემარქებიც.[223] მცირე ზომის აპოკომბიონები ურიგდებოდათ წარჩინებულებს ცერემონიულ სადილზე.[224]

ამ ტერმინს ნუმიზმატიკური მნიშვნელობაც ქონდა. ბიზანტიის იმპერიაში როგორც ძვირფასი, ასევე არაძვირფასი ლითონის ფულის (მონეტების) დიდი რაოდენობით ოპერირებისას შეინიშნებოდა დალუქული ქისების გამოყენების პრაქტიკა; მათზე მიუთითებდნენ ამგვარად შეკრული მონეტების წონას ან რიცხვს; ცნობილია როგორც 20, ასევე 2 ათასი ნომისმის შემცველი ქისები.[225] დალუქულ ქისებს ისლამური სამყაროც იცნობდა.[226]

საყურადღებოა, რომ, როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერატორი ეკლესიას აპოკომბიონს, დიდი დღესასწაულების გარდა, თავის *კურთხევასთან*

---

[218] Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 26.

[219] ეს თანხა ფიქსირებული იყო და რამდენიმე იმპერატორის არსებობის შეემთხვევაში, მათ შორის ნაწილდებოდა. Zoe Antonia Woodrow, "Imperial ideology in middle Byzantine court culture: the evidence of Constantine porphyrogenitus's de ceremoniis" (Doctoral thesis, Durham University, 2001), 91.

[220] იქვე, 80-1.

[221] იქვე, 100, 230. საყურადღებოა მოწყალების გაცემის ორგანიზაცია. ქველმოქმედებაში ჩართული კარისკაცები ღატაკებს საგანგებო ჟეტონებს ურიგებდნენ, რომელიც შემდეგ უკვე აპოკომბიონებზე იცვლებოდა. იქვე, 231.

[222] ეს ქმედებები პროტოკოლში იყო დაფიქსირებული და, ამგვარად, იმპერატორის ვალდებულებას წარმოადგენდა, მაგრამ მიღებული იყო ხსენებული თანხების დარიგება იმპერატორისგან კეთილი ნების გამოვლინებად წარედგინათ. იქვე, 90. საინტერესოა, რომ იმპერატორის გარდა ოქროს მონეტების (მაგალითად, 72 ნომისმა სტრატეგოსისთვის) შემცველი აპოკომბიონის დატოვება ეკლესიაში წარჩინებულთაც უწევდათ. იქვე, 171.

[223] იქვე,192, 194.

[224] იქვე, 194.

[225] Hendy, *Studies in the Byzantine Monetary Economy c. 300-1450*, 338-2.

[226] Гоча Джапаридзе, "Золотые монеты в Ираке," *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины*, Вып. 2 (1994), 200-26.

დაკავშირებითაც მიართმევდა ხოლმე.[227] ამ დროს იმპერატორი, ისევე როგორც აღდგომაზე, 100 გირვანქა ოქროს გასცემდა ხოლმე.[228] ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იოანეს პანოზე აპოკომბიონი მის ხელში კურთხევასთან დააკავშირებულ შეწირულობას წარმოადგენს.[229]

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნოვატორული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, იმპერატორის ხელში ოქროს მონეტებით გავსებული ქისის გამოჩენა[230] ასახავს ბიზანტიის იმპერიაში ფულის გაზრდილ მნიშვნელობას, მდიდარი სოვდაგრული კლასის მზარდ პოლიტიკურ და სოციალურ ძალაუფლებას.[231]

საინტერესო დამთხვევაა, რომ ზოიას მოზაიკურ პანოზე თავდაპირველად,

---

[227] Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 53.

[228] იქვე, 53.

[229] Cormack, "Interpreting the Mosaics of S. Sophia at Istanbul," 145. თუმცა, სხვა ავტორის მიხედვით, ორივე მოზაიკური პანოს შემთხვევაში ფულის შეწირვა აღდგომასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 54. ფ. გრირსონის მიხედვით, წმ. სოფიის ტაძარში იმპერატორები აღდგომაზე ყვითელ ან წითელ გვირგვინებს ატარებდნენ (Philip Grierson, Alfred Bellinger, *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection: Michael VIII to Constantine XI : 1258-1453,* Vol. 5 (Washington, 1999), 129) და ამ შემთხვევებშიც, კონსტანტინე IX-ის გვირგვინის ფონიც წითელია, ხოლო უფრო გვიანდელ მოზაიკაზე იოანე კომნენოსის გვირგვინის მარგალიტები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ გვირგვინი თეთრია (შდრ. სურ. 17-18).

[230] თავისთავად ფულის იკონოგრაფიულ გამოსახვას შეიძლებოდა ორგვარი სიმბოლური მნიშვნელობა ქონოდა: უარყოფითი, როგორც სიმონიის ცოდვის მატერიალურ სუბსტრატს; და დადებითი, როგორც ქრისტიანული ქველმოქმედების საშუალებას – ასე წარმოგვიდგება ჩვენ ფული ხლუდოვის დავითნის ილუსტრაციების მიხედვით. Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 28.

[231] იქვე, 22-3. ამ პროცესის დათარიღება დამოკიდებულია კონსტანტინე IX-ისა და ზოიას მოზაიკის შექმნის თარიღზე; საქმე იმაშია, რომ მოზაიკა XI საუკუნეშივე გადაკეთდა, კონსტანტინე IX-ის (ზოიას მესამე ქმარი) ადგილას ადრე სხვა იმპერატორი იყო გამოსახული – ზოიას პირველი ან მეორე ქმარი – შესაბამისად რომანოზ III არგიროსი (1028-1034) – ასე თვლიდა, მაგალითად, Robin Cormack. Cormack, "Interpreting the Mosaics of S. Sophia at Istanbul," 131-149 – ან მიხეილ IV პაფლაგონიელი (1034-1041). Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 23, n. 1, 25. უპირატესობა, როგორც ჩანს, მიხეილ IV პაფლაგონიელის ვერსიას უნდა მიენიჭოს. Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 54-7; Lee Francis Sherry, "Appendix: The Inscriptions of the Zoe Panel," *Arte Medievale*, II Serie, Anno X, n. 1 (1996), 66-7. შდრ. Pollick, "Sex, Lies, and Mosaics," 25. ამასთანავე, უკვე X საუკუნის III მეოთხედში საიმპერატორო ინსიგნიებს შორის ოქროთი გავსებული ქისის გარევა (იოანე I ციმისხის მონეტაზე), ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ აპოკომბიონის გამოჩენა უკვე არსებული ნიმუშებიდან ნასესხობას არ წარმოადგენს. იქვე, 27. არ არის გამორიცხული, რომ შესაბამისი სოციო-კულტურული ცვლილებები ბიზანტიის იმპერიაში ნავარაუდევზე უფრო ადრეც კი დაიწყო (და აისახა მონეტაზე).

როგორც ჩანს, მიხეილ IV პაფლაგონიელი იყო გამოსახული, რომელიც წარმოშობით „მდაბიოთა“, სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, კომერციული წრიდან – ზარაფის შვილი თუ თავად ზარაფი იყო (ოჯახი საბანკო და საზარაფო საქმიანობას ეწეოდა – ტრაპეზიტები იყვნენ).[232] მისი ძმა – იოანე პაფლაგონიელი – იმპერიის ხაზინას განაგებდა და სახელმწიფოს შემოსავლის გაზრდას ცდილობდა.[233] იმპერატორად, თუნდაც ქორწინების გზით, ამგვარი ადამიანის გახდომა თავისთავად მიუთითებს კომერციული წრეების წარმომადგენელთა გაზრდილ შესაძლებლობებზე.[234] მაგრამ, მოზაიკაზე რომანოზ III არგიროსიც რომ ყოფილიყო გამოსახული, ბიზანტიის იმპერიის სოციალურ-კულტურული ევოლუციის ზემოთ ჩამოყალიბებული კონცეფცია არ შეიცვლებოდა.[235]

ამასთანავე, იბადება კითხვა, რამდენად რეალურია ვიფიქროთ, რომ ზოიას პანოზე იმპერატორის ხელში აპოკომბიონის გამოჩენა მიხეილ VI პაფლაგონიელის შეგნებული (მისი პირადი წარსულისა თუ აწმყო კავშირების გათვალისწინებით) არჩევანი ყოფილიყო? არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ბ. პოლიკს, რომ ეს დასაშვებია, მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია – მიხეილის პიროვნებასთან აპოკომბიონის, როგორც სიმბოლოს მჭიდრო პირადი კავშირის არსებობის შემთხვევაში, ნაკლებ საფიქრებელია, კონსტანტინე IX-ს დაეტოვებინა ის მოზაიკის გადაკეთების პროცესში.[236]

სავსებით ვეთანხმებით იმ დებულებას, რომ ფულით გავსებული ქისა მიხეილის პირადი სიმბოლო კი არ იყო, არამედ მოზაიკურ პანოზე მის გამოჩენაში ბიზანტიის იმპერიაში ფულის მნიშვნელობა და გაზრდილი როლი აისახა – რაც თავის მხრივ უკავშირდებოდა ხელისუფლებაში (საიმპერატორო კარი, სამოხელეო აპარატი, საზოგადოდ, პოლიტიკური სტრუქტურები, სენატის ჩათვლით) კომერციული წრეების წარმომადგენლების შესვლას.[237] ამასთანავე, ცვლილებები, მხოლოდ საზოგადოების მაღალი წრეებით არ უნდა შემოფარგლულიყო; ფულის როლი იცვლებოდა ფართო ფენებისთვისაც, რაც ბიზანტიის იმპერიის ეკონომიკის მზარდ მონეტარიზაციასთან იყო დაკავშირებული (გადასახადების ნაღდი

---

[232] Teteriatnikov, “Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags,” 54-57; Pollick, “Sex, Lies, and Mosaics,” 25-26, n. 6, 31-3.

[233] Teteriatnikov, “Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags,” 65, n. 75.

[234] იმპერიაში სამხედრო არისტოკრატიისა და ბიუროკრატიული ფენების ჭიდილის პირობებში სამხედრო სიტუაციის სტაბილიზაციის პარალელურად უპირატესობას სწორედ ეს უკანასკნელი იძენდა, რომელიც ამასთანავე უფრო ღია იყო *ახალი ადამიანებისათვის*, და, ამგვარად, ნაწილობრივ მაინც, მერიტოკრატიას წარმოადგენდა. Pollick, “Sex, Lies, and Mosaics,” 31-32.

[235] იქვე, 26-27.

[236] იქვე, 34.

[237] იქვე.

ფულით აკრეფაზე გადასვლა, სამხედრო სამსახურისა და ბეგარის ჩანაცვლება ნაღდი ანგარიშსწორებით, ურბანულ ცენტრებში ბიუროკრატიული აპარატის შენახვა).[238] საყურადღებოა, რომ სწორედ მიხეილ VI პაფლაგონიელმა ჩაატარა ფულის რეფორმა, რომლის მიზანიც მიმოქცევაში მონეტის რიცხვის გაზრდა იყო.[239] ფულის მნიშვნელობის უკეთ გააზრებამ მოახდინა სათანადო კულტურული ზეგავლენა, რაც საბოლოო ჯამში აისახა კიდევაც ისეთი იკონოგრაფიული სიმბოლოს გამოჩენით (იმპერატორის ხელში), როგორიცაა *აპოკომბიონი*.[240]

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, აპოკომბიონი ხელახლა გამოჩნდა იოანე კომნენოსისა და ირენეს მოზაიკურ პანოზედაც. ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ადრე ჩასახული იდეის გამეორებასთან გვქონდეს საქმე.[241] ამასთანავე, დასაშვებია, რომ გარკვეულ როლს სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც თამაშობდა.

ჩვენი აზრით, მსგავსად XI საუკუნის ბიზანტიის იმპერიისა, ქართულ ნუმიზმატიკაში კურთხევის სცენაში *აპოკომბიონის* ანუ მონეტებით გავსებული ქისის გამოჩენა შეიძლება მიუთითებდეს XIII საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს სამეფოში ფულის მნიშვნელობის გაზრდაზე, ასევე, კომერციული კლასის მზარდ პოლიტიკურ და სოციალურ ძალაუფლებაზე.

ივანე ჯავახიშვილი გიორგი IV-ის ზეობისთვის საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყებას ფიქრობდა,[242] ანისის ქართულ ეკლესიაში ეპისკოპოს ეპიფანეს წარწერის საფუძველზე.[243] ჩვენი აზრით, ხსენებული წარწერა არ იძლევა ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. პირიქით, აღნიშნულ პერიოდში საქართველო, თითქოსდა, ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის; ყოველ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს ეკონომიკის გამოხატული მონეტარიზაციაც, რასაც ამ პერიოდის დღემდე მრავლად შემონახული მონეტები გვიდასტურებს.[244] სახელმწიფოს საქმეებში

---

[238] იქვე, 34-5.

[239] იქვე, 35.

[240] იქვე.

[241] Teteriatnikov, "Hagia Sophia: The Two Portraits of the Emperors with Moneybags," 57.

[242] ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებები თორმეტ ტომად*, ტ. III (თბილისი, 1982), 7-8.

[243] Нико Марр, *Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.)* (С.-Петербург, 1910).

[244] თამარისა და გიორგი ლაშას უწესო ჭედვის, ისევე როგორც რუსუდანის წესიერი ჭედვის მონეტები ქართული მონეტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. შენახულ ეგზემპლართა დიდი რაოდენობა ირიბად, მაგრამ მაინც მიუთითებს გამოშვებული მონეტების მაღალ ტირაჟზე. ვერ დავეთანხმებით ივანე ჯავახიშვილის მიერ ევგენი პახომოვის ცნობილი ნაშრომის გაკრიტიკებისას გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შემონახული ცალების რიცხვით შეუძლებელია მსჯელობა გამოშვებული მონეტების ტირაჟზე. Иван Джавахов (Джавахишвили Иванэ), "Рецензия на книгу: "Е.А. Пахомов, "Монеты

საყურადღებო როლს თამაშობენ ვაჭართა წრის წარმომადგენლებიც.[245]

სხვათა შორის, გიორგი IV-ის მონეტაზე ოქროთი გავსებული ქისის გამოჩენა შეიძლება არც უკავშირდებოდეს *აპოკომბიონის* ბიზანტიის იმპერიაში მიღებულ სემანტიკას. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ, ქართველ მეფეთა ხაზინაშიც მათ ზარაფხანაში მოჭრილი თუ უცხოეთიდან შემოტანილი მონეტები (ოქრო? სპილენძიც?) სწორედ დალუქულ ქისებში ინახებოდა,[246] და სწორედ ამგვარი ქისის (მისი ანალოგიის) გამოხატვა გადაწყვიტა ახალგაზრდა მეფემ თუ მისმა ადმინისტრაციამ.

საზოგადოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გიორგი IV-ის გამოსახულებიან უნიკალურ მონეტაზე აპოკომბიონის გამოჩენა სახელმწიფოს სათავეში მდგომ წრეებში გარკვეული მენტალური ცვლილებების ასახვას წარმოადგენს.[247] ქართველი მონარქის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეპოქის უბრწყინვალესი ქართველი რაინდის მეფე გიორგი IV-ის) ფიგურა, საფიქრებელია, სრულიად საქართველოს ფეოდალთა ერთგვარ კვინტესენციას წარმოადგენდა; შესაბამისად, მონარქის სამონეტო იკონოგრაფიაში ისეთი ელემენტის შეტანა, როგორიცაა აპოკომბიონი – ქვეყნის მმართველ ფეოდალურ საზოგადოებაში შესაბამისი ძვრების ამსახველად გვევლინება. აპოკომბიონს ანუ, პრაქტიკულად, ფულს, მონარქს ზეციური ძალა გადასცემს – ამა თუ იმ მიზნით (ქველმოქმედებისთვის? აღმშენებლობისთვის?[248] ჯარის შესანახად?) მოსახმარად, ქრისტიანული სახელმწიფოსა და ერის სასარგებლოდ. მონარქის (თუ მისი ადმინისტრაციის) არჩევანი, თუ რა სახის ზეციური შეწევნა მიიღოს, მეტად სპეციფიკურია; ჯვრის, მახვილის ან სხვა ტრადიციული ატრიბუტის მაგიერ ინსიგნიად ოქროს მონეტებით გავსებული ქისის გამოჩენა, ჩვენი აზრით, კარგად ასახავს საზოგადოების კომერციალიზაციის პროცესს.[249]

Грузии". Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества." IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910)," წიგნში ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებები თორმეტ ტომად*, ტ. IX (თბილისი, 1996), 677.

[245] აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 102.

[246] როგორც ეს ბიზანტიურ და ისლამურ სამყაროში იყო მიღებული. ამ აზრს იზიარებს მ. წურწუმიაც, რომელსაც საბუთად საქართველოში აღმოჩენილი მონეტების მაგალითები მოჰყავს. მამუკა წურწუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", *საისტორიო კრებული*, 3 (2013), ??.

[247] ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება გიორგი ლაშასა და მის თანამოდასეთა მენტალური გამორჩეულობის, გარკვეული წრეებისგან (მხარგრძელები და სხვა დიდებულები) განსხვავებულობის შესახებ. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა", 53. ამასთანავე, არ ვართ დარწმუნებულნი ამ სხვაობის მიზეზების („ვეფხისტყაოსნის" პრინციპებზე გაზრდა) ავტორისეული ინტერპრეტაციის აბსოლუტურობაში.

[248] გიორგი ლაშას აღმშენებლობითი საქმიანობა კარგად არის ცნობილი. იქვე, 76-80.

[249] XIII საუკუნე ევროპაში კომერციული რევოლუციის პერიოდად არის მიჩნეული.

ქვეყნის სათავეში ჩამდგარ ღვთისწორ გიორგი ლაშას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ ფული ჭირდება და *არ ერიდება*[250] ამის საჯაროდ განცხადებას, ისეთი შედარებით მასობრივი[251] „მედიის“ მეშვეობით, როგორიც მონეტაა, თანაც მეტად თვალსაჩინო ფორმით. ჩვენი აზრით, გიორგი IV-ის მონეტაზე ფულის სიმბოლოს – აპოკომბიონის გამოსახვა ერთის მხრივ, მნიშვნელოვან შტრიხს მატებს მეფის ფსიქოლოგიურ პორტრეტს,[252] მეორეს მხრივ კი, არ არის გამორიცხული, გვიაშკარავებს იმ ეპოქის საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ საზოგადოების მსოფლმხედველობის ცვლილებას, მთლიანი საზოგადოების კომერციალიზაციას?

გიორგი ლაშას კურთხევის სცენის ქრონოლოგიური მნიშვნელობა

გიორგი IV-ის აღნიშნული კურთხევის სცენის თარიღის დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონეტის ლეგენდები. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, ჩვენი აზრით, მონეტის 1210 წლით დათარიღება (ორგვარად – ქორონიკონითა და ჰიჯრით) ეჭვს არ იწვევს.[253]

მეტად მნიშვნელოვანია, რომ 1210 წელი თამარის გარდაცვალების და, შესაბამისად, გიორგი ლაშას ერთპიროვნულ მეფედ კურთხევის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო თარიღს წარმოადგენს (1207 წელთან ერთად). ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გრძელდება სამეცნიერო დისკუსია.[254] შესაბამისად, გიორგი ლაშას *კურთხევის* ამსახველი

Peter Spufford, *Money and its Use in Medieval Europe* (Cambridge, 2011), 109-263; Жак Ле Гофф, *Средневековье и деньги, очерк исторической антропологии* (Санкт-Петербург, 2010), 23-111. შეად. Robert Lopez, *The Commercial Revolution of the Middle Ages, 950-1350* (Cambridge, 1976), 56-122.

[250] ავტორების დაკვირვებით, დღევანდელ საქართველოშიც კი *ფულზე* საუბარს ბევრი სათაკილოდ მიიჩნევს და ხმარებაშია ისეთ ევფემიზმები, როგორიცაა „თანხა“, „გასამრჯელო“ და ა.შ.

[251] თუკი ეს მონეტები ნამდვილად დონატიური იყო, როგორც ამას ქვემოთ ვვარაუდობთ, მათი ტირაჟი შეიძლება შედარებით მცირე ყოფილიყო; მაგრამ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, დონატიური მონეტებიც იმ ეპოქისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება უნდა ყოფილიყო.

[252] გიორგი ლაშას შინაგანი სამყაროს შესახებ იხ. აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა“, 50-7.

[253] უცნობია, თუ რატომ მიიჩნევდა ნ. ჩოფიკაშვილი ამ მონეტას 1209 წ. მოჭრილად. იხ. მაგ., ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 77, 104.

[254] იხ. მაგალითად, შემდეგი შრომები, სადაც ვრცელი ბიბლიოგრაფიაც არის მითითებული: თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1 (1974), 151-65; ციალა ღვაბერიძე, „როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX (2009), 97-104; მიხეილ ბახტაძე, „კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*,

და ამ ცერემონიისადმი მიძღვნილი მონეტის თარიღი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მაგრამ, ნიშნავს თუ არა მონეტაზე მითითებული 1210 წელი იმას, რომ მონეტა ნამდვილად ამ წელს მოიჭრა? თეორიულად, შეიძლება დავუშვათ, რომ კონკრეტულად ეს მონეტა 1210-ის შემდგომ წლებშიც გამოეშვათ – ცნობილია, რომ გაერთიანებული სამეფოს პერიოდის ქართულ ნუმიზმატიკაში მიღებული იყო საფასეზე წლების განმავლობაში სამონეტო ტიპის დამტკიცება-მიღების აღმნიშვნელი, ე.წ. ინიციალური თარიღის მითითება.[255] მაგრამ სწორედ აქედან გამომდინარე, სამონეტო ტიპის *დამტკიცება* მაინც 1210 წლით უნდა დავათარიღოთ.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, გიორგი IV-ის უნიკალური მონეტის სახით მისი ტახტზე ასვლის[256] ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო თარიღის (1210), ისევე როგორც კურთხევის სცენისა და მონეტაზე მითითებული თარიღის დამთხვევა შემდგომი ანალიზისთვის ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის. ამ თანხვედრიდან გამომდინარე, შემდეგნაირი ინტერპრეტაციების ალბათობა საკმაოდ მაღალია:

მონეტის გამოშვების დრო – 1210 წლით დათარიღებული მონეტა სწორედ 1210-ში მოიჭრა და არა უფრო გვიან: კურთხევისადმი მიძღვნილი მემორიალური მონეტა, თუნდაც დონატიური მიზნებით, სწორედ კურთხევის წელს უნდა გამოეშვათ, და არა შემდგომ;

მონეტაზე გამოსახული სცენის მეფედ კურთხევად ინტერპრეტაცია – მონეტაზე კურთხევის თარიღის მითითება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეესაბამება იკონოგრაფიული ანალიზის შედეგებს და დამატებით ადასტურებს გამოსახული სცენის ჩვენს ინტერპრეტაციას კურთხევად;

და, რაც მთავარია, *გიორგი ლაშას კურთხევის დათარიღება* – კურთხევის სცენის მატარებელი და 1210 წლით დათარიღებული მონეტის არსებობა, ვფიქრობთ, საგულისხმო არგუმენტს წარმოადგენს კურთხევის 1210 და არა 1207 წლით დათარიღებისთვის. კურთხევა 1207 წელს რომ მომხდარიყო, ბუნებრივია, ამის აღმნიშვნელი მემორიალური მონეტა შემდგომშიც, ნებისმიერ დროს შეეძლოთ გამოეშვათ, მაგრამ ამის ალბათობა, ჩვენი აზრით, მცირეა. უფრო მოსალოდნელია, რომ კურთხევის სცენის ამსახველი

II (2011), 215-27; ჯაფარიძე, „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, 348-62. ქართულ სამეცნიერო დისკურსში ახლახანს შემოტანილი კიდევ ერთი, საკმაოდ სარწმუნო არგუმენტი (კილიკიელი სმბატ სპარაპეტის მოწმობა), ასევე, 1210 წლის სასარგებლოდ მეტყველებს. იქვე, 351-3.

[255] Пахомов, *Монеты Грузии*, 76-7, 84-5.

[256] ბუნებრივია, ვგულისხმობთ გიორგი ლაშას მეორე აღსაყდრებას.

მონეტა სწორედ კურთხევის წელს, დაუყოვნებლივ მოეჭრათ (თუნდაც, დონატიური მიზნებით) და არა 3 წლის დაგვიანებით; მით უფრო, რომ 1210 წელი ისედაც ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო ვერსიაა გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის დათარიღებისთვის.[257] სხვა სიტყვებით, კურთხევა რომ 1207 წელს მომხდარიყო, მონეტაზე სავარაუდოდ ეს წელი იქნებოდა აღნიშნული.

გიორგი ლაშას უნიკალური სამონეტო ტიპის მემორიალური (დონატიური) ბუნება

ზემოთ განხილული არგუმენტების საფუძველზე, როგორც უკვე აღინიშნა, ვამტკიცებთ, რომ გიორგი IV-ის გამოსახულებიან მონეტაზე მისი მეფედ კურთხევის სცენაა აღბეჭდილი. ამასთანავე, დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ ამ სამონეტო ტიპის **მემორიალური** და, შესაძლოა, **დონატიური ბუნება**.

ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ არის მიძღვნილი ქართული მემორიალური თუ საზეიმო მონეტებისადმი, მანანა გაბაშვილს ეკუთვნის.[258] ეს სტატია მეტად ფასეულია, ვინაიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხისადმი მიდგომის პირველ, ჯერჯერობით, ერთადერთ და მეტად საყურადღებო მცდელობას წარმოადგენს. ნაშრომში სწორედ XII-XIII სს. ქართული მონეტებია განხილული (უპირატესად არაბულ-ზედწერილიანი), მაგრამ ყურადღება გამახვილებულია ალ-ფარიკის მიერ მოხსენიებულ დავით აღმაშენებლის არაბულენოვან საფასესა[259] და ერთდროულად თამარისა და გიორგის სახელის მატარებელ ქართულენოვან ემისიაზე.[260] ჩვენთვის საინტერესო სამონეტო ტიპი (გიორგი IV-ის გამოსახულებიანი) სტატიაში განხილულია, მაგრამ მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. ავტორი შემოიფარგლა გაბედული კონცეფციის გადმოცემით, რომლის თანახმადაც გიორგი ლაშას უწესო ჭედვის სპილენძის ფული, ირგვლივ სპარსულენოვანი ზედწერილით საქართველოს სამეფოს აღმოსავლურ პოლიტიკას უკავშირდება, გამოსახულებიანი ტიპი კი – დასავლურს.[261] ნაშრომში ცხადად არ არის გამოკვეთილი ავტორის პოზიცია

---

[257] ჯაფარიძე, „თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“, 348-62.

[258] მანანა გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები (XII ს.)“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, V (2008), 31-49.

[259] ის არაბულენოვანი მონეტები, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოჭრა და, რომელიც, საფიქრებელია, ალ-ფარიკის ცნობაში აისახა, ახლახანს გამოვლინდა. Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs," 220-61.

[260] ავტორი სწორედ ამ მონეტებს თვლის მემორიალურად (მისი აზრით, ეს ემისია გიორგი III-სა და თამარს ეკუთვნის). ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ცდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს.

[261] გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები“, 41-2. მკვლევრის ამ კონცეფციის განხილვა შორს არის ჩვენი ამჟამინდელი ამოცანისგან.

გიორგი ლაშას გამოსახულებიანი მონეტის მიმართ, მაგრამ, ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პატივცემული მკვლევარი მას, უწესო ჭედვის მონეტების მსგავსად, მემორიალურად არ მიიჩნევს.[262]

ჩვენი აზრით, საქართველოში მონარქის გამოსახულებიანი საფასის გამოშვება ქვეყნისა და სამეფო კარის დასავლური (*ბიზანტიური*) ნიმუშებით შთაგონების შედეგია.[263] ვფიქრობთ, რომ გიორგი ლაშას გამოსახულებიანი მონეტა სწორედ რომ მემორიალურ ფულად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი არგუმენტები ასეთია:

1. მონეტის გამორჩეული დიზაინი (მთელი ტანით საზეიმოდ მდგომი მონარქის გამოსახულება, ლაბარუმის გამოსახულება, საზეიმო სამოსი) – ამ პარამეტრებით ეს მონეტა ემსგავსება დავით აღმაშენებლის ცნობილ უნიკუმს ბრიტანეთის მუზეუმიდან (სურ. 2)[264] და განსხვავდება გიორგი III-ს შედარებით გავრცელებული სამონეტო ტიპისგან, რომელზეც გამოსახულია დოინჯშემორტყმული და ფეხმორთხმით მსხდომი მონარქი, რომელსაც ხელზე შევარდენი უზის;[265]
2. მონეტაზე მონარქის ფიგურის განსაკუთრებული დახელოვნებითა და ყურადღებით გამოსახვა (რაც თვალში საცემია ცვეთის მიუხედავად);
3. მონეტაზე კურთხევის სცენის გამოსახვა;
4. მონეტის იშვიათობა (სამონეტო ტიპი ჯერჯერობით წარმოდგენილია უნიკალური ეგზემპლარით) – ეს ირიბად, მაგრამ მაინც მიუთითებს გამოშვებული ცალების იშვიათობაზედაც.

ვთვლით, რომ გიორგი IV-ის მონეტა, რომელზეც ახალგაზრდა მონარქის კურთხევა იყო გამოსახული, ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მემორიალური ემისიაა;[266] ლოგიკურად გვეჩვენება ისიც ვივარაუდოთ, რომ მოჭრილი მონეტები დონატივებს წარმოადგენდა.[267]

---

[262] „ზემოთ განხილული ლაშა-გიორგის ორივე ტიპის მონეტა აშკარად ურთიერთ-დაკავშირებული ჩანს... ლაშა-გიორგის სპარსულ ზედწერილიან მონეტას, მიუხედავად იმისა, რომ მას გარკვეულ ისტორიულ მოვლენასა და თარიღს მივუსადაგებთ, ვერ მივაკუთვნებთ მემორიალურ მონეტათა ტიპს. ზემოთ უკვე ითქვა და კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს: ლაშა-გიორგის ორივე ზემოთ განხილულ მონეტას, სპარსულ და დასავლურ პოლიტიკასთან ურთიერთკავშირში გავიაზრებთ, იმ არაბულ ზედწერილიან მონეტათა რიგში, ლევანტის ვაჭრობის საჭიროებით რომ იყვნენ განპირობებული“. იქვე, 42.

[263] გიორგი ლაშას უწესო ჭედვის მონეტებს ეხება ცალკე ნაშრომი, რომელიც გამოსაქვეყნებლად მზადდება. Paghava, “Minting Fishes: Irregular Coinage of Giorgi IV.”

[264] Lang, “Notes on Caucasian Numismatics,” 144-5.

[265] Пахомов, *Монеты Грузии*, 82-6.

[266] მემორიალურად ჩათვლილია ასევე თეოდორე I ლასკარისის, თეოდორე კომნენოს-დუკას და იოანე კომნენოს-დუკას მონეტებიც. Touratsoglou, Protonotarios, “Les émissions de couronnement dans le monnayage byzantin du XIIIe siècle,” 76.

[267] რამდენადმე საკვირველია, რომ ამ ფუნქციის მქონე საფასე *არაკეთილშობილი* ლითონისგან – სპილენძისგან მოჭრეს; ვეთანხმებით მანანა გაბაშვილს, რომ ამ ეპოქაში

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილი პირველი და მეოთხე კრიტერიუმების ძალით, ასევე, დამატებით, ტიტულების სრული და გაშლილი ჩამონათვალის გათვალისწინებით, მემორიალურად (დონატიურად) უნდა ჩაითვალოს დავით აღმაშენებლის უნიკუმიც ბრიტანეთის მუზეუმიდან. აღსანიშნავია, რომ ისიც *სპილენძის* მონეტას წარმოადგენს.[268]

შეჯამება

შევაჯამოთ კვლევის შედეგები:

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, გიორგი ლაშას გამოსახულებიანი, ჯერჯერობით, უნიკალური მონეტა მემორიალური ხასიათისაა და, შესაძლოა, დონატივის როლსაც კი ასრულებდა.

ვთვლით, რომ მასზე ქართველი მონარქის, გიორგი ლაშას (ერთპიროვნულ) მეფედ კურთხევაა გამოსახული, რასაც ანალოგია არ გააჩნია – გიორგი ლაშას გამოსახულებიანი მონეტა ერთადერთია მთელი ქართული ნუმიზმატიკური მემკვიდრეობიდან, რომელზეც მეფედ კურთხევაა გამოსახული.

გიორგი IV-ის კურთხევისადმი მიძღვნილი მონეტის თარიღი – 1210 წ. – კიდევ ერთ არგუმენტს წარმოადგენს თამარის გარდაცვალების და, შესაბამისად, მისი ვაჟიშვილის გამეფების, სწორედ ამ წლით დასათარიღებლად.

კურთხევის სცენაში ისეთი ინსიგნიის წარმოჩენა, როგორიც *აპოკომბიონია*,

---

მემორიალური მონეტების სპილენძისგან გამოშვება გაბატონებული „ვერცხლის კრიზისის“ პირობებში ლოგიკურიცაა. გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები“, 46-7.

[268] განსხვავებით გიორგი ლაშასა და დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი მონეტებისგან, გიორგი III-ის, დავით ნარინისა და დავით გიორგის ძის გამოსახულებიანი მონეტები მემორიალურად, ჩვენი აზრით, ვერ ჩაითვლება: დავით ნარინის ვერცხლის მონეტაზე მეფე დახასიათებულია, როგორც მონა გუ"უკ ყაენისა. ლომოური, „XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო“, 124. დავით გიორგის ძის სპილენძის მონეტებს საკმაოდ დიდი ტირაჟითა და უხეიროდ უშვებდნენ, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად მოსალოდნელს ხდის მათ მემორიალურ ბუნებას; გიორგი III-ის საკმაოდ ხშირ წესიერი ჭედვის მონეტაზე კი მონარქი ერთის მხრივ საიმპერატორო *სტემით* არის გამოსახული. დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 7, 57. შდრ. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 91-2. ამასთან, ხელზე შევარდენი ყავს დასმული – ჩვენთვის გაუგებარია საფასეზე – მონარქის შევარდნით გამოსახვის სემანტიკური დატვირთვა (გიორგი III-ის პოზა არ არის იმდენად უცნაური და მიუღებელი საზეიმო გამოსახულებისთვის, როგორც ეს შეიძლება დღეს მოგვეჩვენოს; ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკე ნაშრომი მზადდება). მაგრამ ამ მონეტების მემორიალური ბუნება საკამათოდ გვეჩვენება. ასე თუ ისე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ისინი ფულადი მიმოქცევის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ: ჩვენთვის ცნობილია საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვა მონეტებთან ერთად ნაპოვნი გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტების საკმაოდ დიდი რიცხვი – რამდენიმე ათეული მაინც.

გვხვდება ციმისხის ზემოთ ხსენებულ მონეტაზე, რომელზეც ამ ბიზანტიელი იმპერატორის კურთხევა – *გვირგვინდებაა* წარმოდგენილი; მაგრამ გიორგი ლაშას გამოსახულებიან მონეტაზე მონარქს *აპოკომბიონი საღვთო განგებით გადაეცემა*. აპოკომბიონისადმი ამგვარი სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭება უნიკალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ქართული, არამედ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიო ნუმიზმატიკისთვისაც.

მონეტაზე გამოსახული აპოკომბიონი ქართულ ხელოვნებაში, და, საზოგადოდ, ნივთიერი კულტურის ისტორიაში, ამ ობიექტის გამოჩენის ჯერჯერობით მაინც ერთადერთ შემთხვევას წარმოადგენს.

მონეტაზე ერთ-ერთი იკონოგრაფიული ელემენტის სახით *აპოკომბიონის* გამოსახვა, მისი სემანტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლოა, იმ ეპოქის ქართული ფეოდალური საზოგადოების *კომერციალიზაციას*, შუასაუკუნოვანი ქართული მმართველი ელიტის, მათ შორის გიორგი ლაშას მსოფლმხედველობაში მიმდინარე ცვლილებებს იუწყებოდეს. გიორგი ლაშას ხელში აპოკომბიონის გამოსახვა იქნებ ამ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქართველი მონარქის სამოქმედო პროგრამის ერთგვარ დეკლარაციადაც კი ჩაითვალოს.[269]

Numismatic Representation of Giorgi Lasha's Coronation

Maia Pataridze, Irakli Paghava

Summary

Material artifacts like coins constitute the major source of information for researching the medieval Georgian history. The monetary issues of Georgian Kings ruling the united Georgia and subjugated countries in the late 11th – early 13th c. are sufficiently versatile, and provide modern scholar with an outstanding insight into the contemporary political, economical and cultural situation. Despite the centuries-long efforts of varous generations of numismatists, not all the relevant issues have been clarified exhaustively. Georgian numismatic history still harbours many enigmas, including the so far unique copper coin with the effigy of Giorgi IV Lasha, son of Tamar, Georgian king of the first 3rd of the 13th c. (Fig. 1a,b). We have pursued a goal of studying this coin and the scene it represents.

Taking into account the specific nature of our study subject, we have had to employ the

---

[269] თანადგომისა და მხარდაჭერისთვის მადლობას მოვახსენებთ ნინო სიმონიშვილს, გვანცა აბდალაძეს, გიორგი გაგოშიძეს, Arianna D'Ottone-ს, მირიან კილაძეს, თემო ჯოჯუას, ანი კლდიაშვილს.

art historical methods as well as comparative analysis with various contemporary visual media, including the coins proper (Byzantine, Islamic, Cilician Armenian, Georgian), frescoes and mosaics produced in Georgia, the Byzantine Empire or within the cultural influence area of the latter.

Our research initiated with a discovery of the previously unnoticed visual elements on the aforesaid coin of Giorgi IV, namely a *nimbus* around the monarch's head, *heavenly hands* placing *apokombion* into the left hand of this young monarch. Consequently, we have interpreted the depicted scene as a coronation of Giorgi IV.

Naturally, parallel numismatic and iconographical images were paid a particular attention, including the following:

Georgian (Matskhvarishi, Natlismtsemeli?, Ananauri) and Byzantine-influenced "West-European" (Roger II in Martorana) coronation scenes;

Coronation scenes on the Byzantine, Islamic and Cilician Armenian coinage;

Byzantine mosaics featuring the *apokombion*;

A unique Byzantine gold coin of John I Tsimiskes also featuring this insignia;

Georgian frescoes featuring Giorgi Lasha and other members of his family;

Georgian coins representing various members of the Bagrationi royal family.

In our opinion, the coin type with the effigy of Giorgi IV represented by the sole surviving specimen consituted a commemorative and perhaps also donative coinage.

This is a unique case in Georgian numismatic history when the coronation of the monarch was represented on his/her coinage.

The date indicated on the coin: 430 of Georgian Koronikon, i.e. 1210, provides the scholars researching the chronology of the epoch with one more argument in favour of dating the demise of Queen Tamar and power succession with this very year.

To our knowledge, in addition to Giorgi IV's coin, such a specific insignia as *apokombion*, i.e. moneybag (filled with gold coins) was featured on the rare gold nomismata of John I Tsimiskes only. However, its significance on the Georgian coin has been greater: this is the artifact that Giorgi IV receives from *heaven*, whereas in case of Tsimiskes, Mother of God places the *crown* on his head. Such a value attached to *apokombion* seems to be a unique phenomenon for the world numismatic history, not just the Georgian one.

Moreover, this seems to be the only case when *apokombion* is featured in Georgian art altogether.

Taking into account the semantic sense of *apokombion*, its appearance on the coronation coinage of Giorgi IV may be interpreted as heralding the ongoing *commercialization* of the contemporary Georgian society, including the mentality of the ruling elite and its leader, the king Giorgi Lasha. The fact that the *apokombion* and not any other, more traditional insignia, was selected to be received by the monarch from the heaven, would perhaps allow to consider its occurrence as a declaration of the forethought action plan of the young monarch.

1



2

3

სურ. 1 ა. უნიკალური მონეტა გიორგი ლაშას კურთხევის სცენით;
ბ. გრაფიკული მონახაზი.

სურ. 2 უნიკალური მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით.

სურ. 3 დიმიტრი I-ის უადრესი სამონეტო ტიპი მხოლოდ არაბულენოვანი ზედწერილებით.

4

5

6

7

სურ. 4 წესიერი ჭედვის ძოხეტა გიორგი III-ის გამოსახულებით.

სურ. 5 თამარ მეფის უწესო ჭედვის მონეტა.

სურ. 6 გიორგი ლაშას წესიერი ჭედვის მონეტა.

სურ. 7 გიორგი ლაშას უწესო ჭედვის მონეტა.

8

9

10

11

სურ. 8 რუსუდან მეფის წესიერი ჭედვის მონეტა.

სურ. 9 დავით რუსუდანის ძის ვერცხლის დრამა.

სურ. 10 დავით გიორგი ლაშას ძის სპილენძის მონეტა.

სურ. 11 ართუქიანები, ნაჯმ ად-დინ ალფის სპილენძის დირჰემი მონარქის კურთხევის სცენით.

12

13

14

15

სურ. 12 კილიკიის სომხური სახელმწიფო, ლევონ I, ტრამი კურთხევის სცენით.

სურ. 13 ბიზანტია, ალექსანდრე I, სოლიდი კურთხევის სცენით.

სურ. 14 ბიზანტია, ოანე ციმისხი, ნომისმა კურთხევის სცენით, იმპერატორი ხელში აპოკომბიონით.

სურ. 15 ბიზანტია, იოანე ციმისხი, ნომისმა კურთხევის სცენით.

16

17

სურ. 16 ბიზანტია, ლეონ VI, მოზაიკა წმ. სოფიის ტაძარში.

სურ. 17 ბიზანტია, კონსტანტინე IX მონომაქოსი და ზოია, მოზაიკა წმ. სოფიის ტაძარში.

18

19

სურ. 18 ბიზანტია, იოანე კომნენოსი და ირენე, მოზაიკა წმ. სოფიის ტაძარში.

სურ. 19 სიცილიის ნორმანთა სამეფო, როჯერ II, მოზაიკა მარტორანას ტაძარში.

20

21

სურ. 20 დიმიტრი I-ის კურთხევის სცენა, ფრესკა მაცხვარიშის ეკლესიაში.

სურ. 21 თამარ მეფე და გიორგი III, ფრესკა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში.

22

23

სურ. 22 ლაშა, თამარ მეფე და მეფე დავითი (სოსლანი), გიორგი ლაშას კურთხევის სცენა (?), ფრესკა გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ეკლესიაში.

სურ. 23 გიორგი ლაშა, თამარ მეფე და გიორგი III, ფრესკა ბეთანიის მონასტრის მთავარ ეკლესიაში.

24

25

სურ. 24 გიორგი ლაშა, თამარ მეფე და გიორგი III, ფრესკა ყინცვისის მონასტრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

სურ. 25 გიორგი IV და თამარ მეფე, ფრესკა გარეჯის მრავალმთის ბერთუბნის მონასტრის მთავარ ეკლესიაში.

26

სურ. 26 გიორგი ლაშას კურთხევის სცენა, ფრესკა ვარძიის ანანაურის ეკლესიაში.

IX

წმინდა დავით გარეჯელის ქვაბი მთაწმინდის მონასტერში

ზაზა სხირტლაძე

წმინდა დავით გარეჯელის ქვაბი, რომელიც თბილისში, მთაწმინდის მამათა მონასტრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდეა. ასურეთიდან ჩამოსვლისა და ზედაზნის მთაზე თანამოწესეებთან ერთად მკვიდრობის შემდეგ, ღირს მამას, თბილისის სიახლოვეს, მაღალი მთის დამრეც ფერდზე, მისი აღმოსავლეთი კალთის შუა მონაკვეთზე, თავდაპირველ სამყოფელად, კლდოვან ფლატეზე არსებული ბუნებრივი მღვიმე – ე.წ. *პარეხი* შეურჩევია. ქვაბი აღმოსავლეთი მხრიდან იყო გახსნილი და, როგორც ჩანს, მასში იმთავითვე წვეთავდა წყალი. ქალაქთან ახლოს დიდხანს არ დარჩენილა – თავის უპირველეს თანამდგომთან, წმ. ლუკიანესთან ერთად მან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნახევრად უდაბნო მხარეს მიაშურა, იქ დაემკვიდრა და საქართველოსა და კავკასიის ერთ-ერთ უდიდეს სამონასტრო გაერთიანებას დაუდო სათავე.[1] წმ. დავითის ქვაბი, როგორც გამორჩეული სიწმინდით ნიშანდებული ადგილი, საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა მომლოცველთათვის ერთ-ერთ უწმინდეს და წადიერ ადგილად.[2] მთაწმინდაზე წმ. დავითის მკვიდრობამ დასაბამი მისცა

---

[1] Георгий Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид-Гареджи* (Тбилиси, 1948), 23-34.

[2] "Монастырь св. Давида, *Кавказ*", 7 (1846), 25-7; "Мта-цминда или Святая гора," *Кавказ*, 49 (1846), 193-4; Алексей Муравьев, *Грузия и Армения*, ч. III (Санкт-Петербург, 1848), 54-64; Marie-Félicité Brosset, *Papports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie, executé en 1847-1848* (St-Petersbourg, 1851), 41-3; Платон Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе* (Тифлис, 1858), 4-6; Платон Иоселиани, *Описание древностей города Тифлиса* (Тифлис, 1866), 39-53; Протоиерей Иоанн Басхаров, "Тифлисская Мтацминдская церковь," *Кавказ*, 106 (1871), 1-2; Димитрий Бакрадзе, "Кавказ в древних памятниках христианства," *Записки Общества любителей кавказской археологии*, I (Тифлис, 1875), 104-105; Давид Натиев, *Мтацминдская св. Давида церковь в Тифлисе и ее строители* (Тифлис, 1881), 9-14; К. Бегичев, "Мтацминдский монастырь св. Давида Гареджского," *Кавказ*, 108 (1890), 2-3; „მთაწმინდის ტაძარი თბილისში", *მწყემსი*, 4 (1891), 8-9; Протоиерей Георгий Хеладзе, "Церковь св. Давида в Тифлисе," *Духовный Вестник Грузинского Экзархата*, прибавления, 12 (1892), 4-12; მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების* (ტფილისი, 1895), 5-9; მოსე ჯანაშვილი, *საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი* (ქუთაისი, 1899), 171-4.

არამარტო მთის სახელს – *მამადავითი*, არამედ იქ განხორციელებულ საეკლესიო აღმშენებლობას, რომლის შედეგადაც მთის ფერდზე ჯერ მომცრო ეკლესია, შემდეგ კი მამათა მონასტერი დაფუძნდა.[3]

წმინდა მამა დავითის ქვაბი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რამდენჯერმე გადააკეთეს. ამ მხრივ სავალალო აღმოჩნდა XX საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც იგი ჩვეულებრივ სათავსად აქციეს. ამგვარი სახით რჩებოდა იგი ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე.

2002 წლის აპრილ-მაისში, კეთილმოწყობის მიზნით, მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ (ამჟამად მთავარ ეპისკოპოს) ზენონის კურთხევით დაიწყო ღირსი მამის ქვაბის გაწმენდითი სამუშაოები. სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდა არქეოლოგი გივი ბოლქვაძე; მასში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ არქიტექტორი თეიმურაზ ბერიძე და ხელოვნებათმცოდნე ზაზა სხირტლაძე. ქვაბი აზომა არქიტექტორმა მამუკა კიკნაძემ. ქვაბის გახსნაზე მუშაობდა მოქანდაკე ეროდიონ გველესიანი. სამუშაოები რამდენიმე კვირას გაგრძელდა.

სამუშაოების საწყის ეტაპზე, თავდაპირველად, მოიხსნა ტუფის ფილები, რომლებიც სათავსის კედლებს, XX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, მთლიანად ფარავდა (სურ. 4); იატაკიდან აიყარა იმხანადვე დაგებული ბაზალტის საბურველიც.

გახსნის შედეგად, სათავსის უკანა, დასავლეთ კედელზე, მის სამხრეთ ნახევარზე, იატაკიდან 80 სანტიმეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა მომცრო ზომის ვიწრო, შეისრულთაღიანი ღიობი, რომელიც XX საუკუნის შუახანებში, სათავსის კედლების მოპირკეთებისას ბაზალტის მოზრდილი ქვით და აგურის ნამტვრევებით დაუგმანავთ. ღიობის გახსნის შედეგად გამოჩნდა დიდი ზომის ბუნებრივი ქვაბი – წმ. დავით გარეჯელის თავდაპირველი სამყოფელი (სურ. 5-6, 9-10).

ქვაბის წინ მდებარე სათავსის კედლები ძირითადად ე.წ. ქართული აგურითაა ამოყვანილი. სათავსის აღმოსავლეთ ნახევარში აგურთან ერთად უხეშად ნათალი ქვაც არის გამოყენებული.

თავდაპირველად სათავსი, შვეულ ჭრილში, ოვალური ფორმისა ყოფილა. შემდგომში, მისი გამაგრების მიზნით (ზემოდან ჩამოზვავებული კლდისა და მიწის მასის დაწოლის და, ამის შედეგად, კედელ-კამარის დაბზარვის გამო) გვერდითა კედლები ე.წ. რუსული აგურითვე შვეულად ამოუშენებიათ და აქა-იქ ნიშები და მცირე თაღჩებიც დაუტანებიათ (სურ. 13, 15, 16). სათავსის

---

[3] სწორედ წმ. დავითის სამკვიდრებლიდან უნდა მომდინარეობდეს მთის სახელი (შდრ. მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 5) და არა იქ ერთ დროს აგებული ეკლესიიდან, როგორც ამას ვარაუდობდა დეკანოზი გიორგი ხელაძე. იხ. Хеладзе, “Церковь св. Давида в Тифлисе,” 2.

დასავლეთ კედელზე, მის ჩრდილოეთ ნახევარზე გამოჩნდა მცირე ზომის ორი კვადრატული ნიშა, სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში – ერთი პატარა, კვადრატული თაღჩა, ხოლო ჩრდილოეთ კედელში – შედარებით მოზრდილი, სწორკუთხა ნიშა. ყველა მათგანი გამოყვანილია ქართული აგურით, ხოლო ზემოდან თაროდ ადევს ადგილობრივი ქვიშაქვის კვადრები (სურ. 6, 13, 15, 16).

სათავსის ინტერიერის გახსნისას, მის სხვადასხვა მონაკვეთზე შემორჩენილი ბათქაშის ფრაგმენტების მიხედვით ცხადი გახდა, რომ აგურით ამოყვანილი სათავსი კირით ყოფილა შელესილი. ნიშებში დადასტურდა ბათქაშის სამი ფენა, რომლებიც XIX-XX საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა დროს უნდა იყოს შესრულებული.

XX საუკუნის შუახანებში დაგებული ფილების აღების შემდეგ გამოჩნდა, რომ სათავსის იატაკი ძალზე მკვიდრად იყო მოგებული დიდი ზომის, გულდაგულ გათლილი ბაზალტის სქელი ფილებით (სურ. 14).

წმ. დავითის სამყოფელი ქვაბი დღემდე ფაქტობრივად ხელუხლებელი სახითაა მოღწეული. ესაა დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე მიმართული, ოვალური ფორმის, მოგრძო და ფართო, ბუნებრივი გამოქვაბული, რომელსაც თითქმის არ ეტყობა ხელოვნური კვეთის კვალი (სურ. 5 და 6). ქვაბის აღმოსავლეთი კიდე, მასში შესასვლელი, რამდენადმე ვიწროა – ამ მხრიდან მას არც თუ მაღალი ღიობი ჰქონდა (სურ. 5, 8, 10). ღიობთანვე, ქვაბის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში შემორჩა კლდეს გაყოლებული, ქანის კვეთით ხელოვნურად შექმნილი, დაბალი და ვიწრო საფეხური – შესაძლოა, ეს იყო სარეცლისთვის განკუთვნილი თარო (სურ. 8, 10, 11). ეს თარო, ქვაბის გვიანი გადაკეთებისას (სახელდობრ, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთიდან მასში შესასვლელი ამოაშენეს) ნაწილობრივ მოექცა ქვაბისა და წინა სათავსის გამმიჯნავ სქელ, აგურით ამოყვანილ კედელში. კიდევ ერთი, სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული, დაბალი საფეხური გაუყვება ქვაბის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეს – ისიც ნაწილობრივ გვიანი ხანის, გამმიჯნავი კედლის სისქეშია მოქცეული (სურ. 12). წინა მხრიდან ამოშენებისას ქვაბის აღმოსავლეთ კიდეს ჭრილში ჯერ კიდევ ჰქონდა ოვალური ფორმა (სურ. 4, 7, 8).

როგორც აღინიშნა, ღირსი მამის ქვაბში იმთავითვე წვეთავდა წყალი. მისი გამოსავალი, ქვაბში შესასვლელი ღიობი იყო. ქვაბის წინა სათავსში, XX საუკუნის შუახანების იატაკის აღებისას, ქვაბისა და სათავსის გამმიჯნავი კედლის წინ, მის აღმოსავლეთით, მიჯრით, გამოჩნდა სათავსის დასავლეთ კედელთან გამართული, უხეშად გათლილი ქვებით შექმნილი, მომცრო ემბაზი; მასში, ქვაბისა და წინა სათავსის გამმიჯნავ კედელში დატანებული მსხვილი თუჯის მილით ქვაბიდან მომდინარე წმინდა წყალი გროვდებოდა (სურ. 5, 6, 17-19).

ემბაზის წინ, სათავსის თითქმის მთელი პერიმეტრი საკმაოდ ღრმა, მოზრდილ (185X120 სმ), კირის თხელი ფენით გულმოდგინედ მოლესილ, სწორკუთხა აუზს უკავია (სურ. 5-7). სწორედ მასში გროვდებოდა წყალი, რომელიც შემდეგ აუზის აღმოსავლეთ კედელში დატანებული და იქიდან მონასტრის ეზოს ჩრდილოეთ მონაკვეთზე გამავალი მსხვილი კერამიკული მილებით მთის ფერდისკენ მიემართებოდა და ფლატეზე გადადიოდა.

გაწმენდისას წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დადასტურდა ტრაპეზის ნაშთი, სახელდობრ მისი ქვედა ნაწილი (სურ. 5, 6), რომელშიც აღმოჩნდა წმინდა ნაწილი. ყოველივე ეს, თავის დროზე, წმ. დავითის ქვაბის წინ მდებარე სათავსში სამლოცველოს არსებობაზე მიუთითებს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ჩანს XIX საუკუნის პუბლიკაციებში აღბეჭდილი გადმოცემა, რომლის თანახმადაც წმ. დავითს დაუფუძნებია მცირე სამლოცველო (საჯვარე).[4]

მთაწმინდაზე მონასტრის არსებობის შესახებ ადრეულ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ასწლეულთა მანძილზე მრავალგზისი გადაკეთებების გამო, აქ ვერც საეკლესიო აღმშენებლობის ადრეულ ნაშთებს შეხვდებით. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, X საუკუნისათვის ან რამდენადმე უფრო მოგვიანოდ, მონასტერი ათონის წმინდა მთის მეტოქად ჩანს.[5] როგორც ვარაუდობენ, ამაზე უნდა მიუთითებდეს მისი სახელიც – *მთაწმინდა*.[6] საფიქრებელია, რომ ამ სახელში ერთიანდება ადგილის საკრალური მნიშვნელობა, ჯერ კიდევ ღირსი მამა დავითის აქ მკვიდრობის დროიდან რომ მოდის, აგრეთვე ათონის სამონასტრო გაერთიანებასთან მისი კავშირი.[7]

XVI საუკუნის შუახანებში, სახელდობრ 1542 წლიდან, მთაწმინდაზე განახლების ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო. იმ დროისათვის მონასტრის აღმ-

---

[4] მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 6, 7.

[5] Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 44; Хеладзе, "Церковь св. Давида в Тифлисе, 4-5.

[6] Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4.

[7] უცნობია, რა მასალას ემყარება პლატონ იოსელიანის მითითება, რომ მთაწმინდაზე ეკლესია ჯერ კიდევ წმ. დავით გარეჯელის დროს უნდა აეგოთ, IX საუკუნეში კი აშენდა ახალი ეკლესია, რომელიც ივერიის ღმრთისმშობლის ხატის სახელზე ეკურთხა და რომელიც ათონის ქართველთა სავანეს ექვემდებარებოდა. Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 44. ნარკვევში მითითებული თარიღი, სავარაუდოდ, ტიპოგრაფიული ხარვეზი უნდა იყოს, რომელიც იმავე საუკუნის უფრო მოგვიანო პუბლიკაციებში არაერთგზის განმეორდა; როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდეს XI საუკუნე – ათონზე ივერთა მონასტრის დაფუძნების (X საუკუნის მიწურული) შემდგომი პერიოდი, ადგილობრივი ქართული კერის გამორჩეული ძლიერებისა და აღმავლობა-აღმშენებლობის დრო. შდრ. მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 5.

შენებლობისათვის ხელი მიუყვიათ გაბაშვილების წარმომადგენლებს.[8] იქიდან მოყოლებული, ასწლეულების მანძილზე, მთაწმინდას არ მოჰკლებია ყურადღება ქვეყნის უზენაეს საერო და სასულიერო ხელისუფალთაგან, ისევე როგორც წარჩინებულთაგან – იქ მკვიდრობდნენ და იკრძალებოდნენ მეფეები და დიდებულები, იერარქები და მოწესეები, წმინდა ადგილს უხვად სწირავდნენ შესაწირავს და მასზე ზრუნავდნენ როგორც საერო და სასულიერო ხელისუფალნი, წარჩინებულები, ისე სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.[9]

ამგვარი ვითარების ფონზე, უჩვეულოდ ჩანს, რომ დღეისათვის არაფერია ცნობილი მონასტრის თავდაპირველი ეკლესიის შესახებ. ასევე, არ არსებობს მონაცემები წმ. დავითის ქვაბის ისტორიის შესახებ, რომელიც, უდავოა, მთელი ამ ხნის მანძილზე გამორჩეულ სიწმინდედ და მომლოცველთა სალოცავ ადგილად რჩებოდა.

სურათი, რომელიც წმ. დავით გარეჯელის თავდაპირველი სამყოფელი ქვაბის გახსნა-გაწმენდის შედეგად გამოიკვეთა, ფრაგმენტული და არასრულია. მიუხედავად ამისა, ღირსი მამის ქვაბის განახლების სამუშაოთა პროცესში გამოვლენილი მასალები გარკვეული დასკვნებისა და დაკვირვებების საფუძველს მაინც იძლევა.

წმ. დავითის ქვაბის ისტორია პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

პირველი ეტაპი. წმ. დავითის ქვაბი, მთაწმინდის აღმოსავლეთი კალთის შუა მონაკვეთზე, კლდოვან შრეებში არსებულ ბუნებრივ მღვიმეთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ღრმა უნდა ყოფილიყო. მასში, როგორც ჩანს, იმთავითვე წვეთავდა წყალი. ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო მეუდაბნოე მამის მკვიდრობისათვის. ქვაბი გახსნილი იყო აღმოსავლეთი მხრიდან, ამასთან მისი ღიობი ქვაბის საერთო სიგანესთან შედარებით საგრძნობლად ვიწრო

---

[8] 1542 წელს, დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებს კათოლიკოს ნიკოლოზ VI-ის (დაახლ. 1542-47) და ტფილელი ეპისკოპოსის, იოანეს ნებართვით მთაწმინდაზე აუგიათ უდაბნო და მისთვის საქონებელი შეუწირავთ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-526), რის გამოც ადგილობრივ მოწესეთ მათთვის გაუჩენიათ აღაპი და ჟამისწირვა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-11067). შდრ. Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 44; Бакрадзе, "Кавказ в древних памятниках христианства", 105; Хеладзе, "Церковь св. Давида в Тифлисе," 5; მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 7.

[9] Натиев, *Мтацминдская св. Давида церковь в Тифлисе и ее строители*, 10-11; „მთაწმინდის ტაძარი თბილისში", 8-9; მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 7-8, 15-6; ჯანაშვილი, *საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი*, 174.

უნდა ყოფილიყო. ამ მხრიდან მას არხივით გამოსასვლელი ჰქონდა: სამხრეთ მხარეს – საფეხურის ფორმის ჯებირით (როგორც ჩანს, წყლისათვის მიმართულების მისაცემად), ჩრდილოეთ მხარეს – კედელს გაყოლებული დაბალი თაროთი. წყალს, რომელიც ქვაბში წვეთავდა და მისი იატაკის გარკვეულ ნაწილში გროვდებოდა, გასასვლელი აღმოსავლეთიდან უნდა ჰქონოდა. ისევე როგორც აღმოსავლეთის ასკეტთა სამყოფლებში, წმ. დავითის ქვაბის ბუნებრივი პარეხის სახე არ შეცვლილა – ის მცირე გადაკეთებები, რომლებიც აქ უნდა განხორციელებულიყო, სამყოფელისათვის რამდენადმე მისაღები პირობებისათვის იყო გამიზნული.

ღირსი მამის სამყოფელი საგრძნობი გადაკეთების გარეშე, როგორც ჩანს, დიდხანს, XIX საუკუნის დასაწყისამდე, რჩებოდა. გარეჯის უმთავრესი სალოცავის — წმ. დავითის განსასვენებლის მსგავსად, ისიც აღიქმებოდა ასკეტური მოღვაწეობის ხატად და მისი თავდაპირველი, შეძლებისდაგვარად ბუნებრივი სახით შენარჩუნება, მთაწმინდაზე მკვიდრ მოწესეთა უცვლელ განზრახულობად ასწლეულების მანძილზე უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული.[10] ამასთან, წმინდანის სამყოფელის ყოველგვარი გადაკეთების გარეშე არსებობას ისიც განაპირობებდა, რომ გვიანი შუა საუკუნეებისათვის იგი, როგორც ჩანს, მიტოვებული რჩებოდა. სწორედ ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები – *„დასავლით იშიტუტრუკის კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდისა და აწ ცალიერი“*.[11]

მეორე ეტაპი. წმ. დავითის ქვაბზე მზრუნველობის ახალი ეტაპი, ისევე როგორც მისი წინა სათავსის აგება-განახლება, იწყება XIX საუკუნეში, როდესაც აქ ახალი ეკლესია აიგო. განახლებითი სამუშაოები XIX საუკუნის მეორე ათეულში განხორციელდა და შემდგომშიც პერიოდულად გრძელდებოდა.

მთაწმინდაზე ახალ ეკლესიას საფუძველი 1809 წელს, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (1788-1811 წწ.) და თბილელი მიტროპოლიტის არსენის ლოცვა-კურთხევით ჩაეყარა.[12] ტაძრის აგება ქაშვეთის ეკლესიის მღვდელმა თომა

---

[10] წმ. დავითის განსასვენებელი ეკლესიაც, წმ. ილარიონ ქართველის დროის განახლება-გაფართოების შემდეგ, ფაქტობრივად ხელუხლებელი იყო XIX საუკუნემდე; იგი მხოლოდ 1820-იან წლებში ჩანს საგრძნობლად გადაკეთებული. იხ. ზ. სხირტლაძე, „მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია გარეჯის მრავალმთის წმ. დავითის ლავრაში: გახსნის შედეგები“ (იბეჭდება).

[11] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV (თბილისი, 1973), 338.

[12] Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 45; Бакрадзе, “Кавказ в древних памятниках христианства,” 105; Басхаров, “Тифлисская Мтацминдская церковь,” 1; Хеладзе, “Церковь св. Давида в Тифлисе,” 5; მაჭარაშვილი, აღ-

გრიგორიევმა ითავა.[13] მოძღვარს საზოგადოების დახმარებით შეუგროვებია თანხა. ეკლესია 1810 წელს გასრულდა და მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე ეკურთხა.[14] ამ სახელდებაში ბუნებრივად იკვეთება კავშირი გარეჯის მრავალმთის უპირველეს სალოცავთან – მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიასთან, რომელშიც ღირსი მამა დავითის განსასვენებელია.[15] აგურით ნაშენი მომცრო დარბაზული ეკლესია აღბეჭდილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაღებულ ფოტოებზე (მათ შორის ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ყველაზე ადრეული ფოტო, გადაღებული უნდა იყოს მანამდე, ვიდრე მთაწმინდაზე დიდი გუმბათიანი ეკლესია აღიმართებოდა — (სურ. 1).[16]

ეკლესიის აგებასთან ერთად, ჩატარდა სამუშაოები მონასტრის კეთილმოსაწყობად – გაკეთდა მოედანი ეკლესიის გარშემო, გაშენდა ბაღი, გაიჭრა ახალი, ადრინდელზე უკეთესი გზა.[17] ამის გათვალისწინებით სავსებით მოსალოდნელია, რომ მღვდელ თომას წმ. დავითის ქვაბზეც ეზრუნა. როგორც ჩანს, ახალი ტაძრის აგებასთან ერთად, ქვაბის წინა (აღმოსავლეთი) მხარე სწორედ იმხანად იქნა აგურით გატიხრული;[18] ამით ქვაბი ორ არათანაბარ ნაწილად გაიმიჯნა. შიდა, ბევრად უფრო დიდ და ღრმა ნაწილში წყალმა იწყო დაგროვება და მას აუზის ფუნქცია მიენიჭა. მის წინ შეიქმნა სათავსი, რომელსაც, შესაძლოა, თავდაპირველად სამლოცველოს დანიშნულება ჰქონდა. სავარაუ-

---

წერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების, 9. გაზეთში Кавказ 1846 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ სტატიაში შეცდომითაა მითითებული წელი – 1801. იხ. "Монастырь св. Давида," 25.

[13] Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 4-5; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 45; Басхаров, "Тифлисская Мтацминдская церковь," 1; Хеладзе, "Церковь св. Давида в Тифлисе," 5.

[14] მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 10; ჯანაშვილი, *საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი*, 172.

[15] ეს ეკლესია XIX საუკუნის მიწურულის ფოტოებზე ჩანს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოთეკა, დ. ერმაკოვის ფოტონეგატივები №№4210, 6247, და სხვ.

[16] მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია იდგა მონასტრის ცენტრალურ ნაწილში, იქ, სადაც აღმართულია მონასტრის ამჟამინდელი სამრეკლო, აგებული XIX საუკუნის მიწურულს. იხ. „მთაწმინდის წმ. დავითის ეკლესიის სამრეკლოს გამო", *ცნობის ფურცელი*, 240 (1897), 1.

[17] Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 5; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 45-6; მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 9.

[18] ეს უნდა იგულისხმებოდეს პლატონ იოსელიანის მითითებაში, რომ მღვდელმა თომამ: „თაღით გაამაგრა შლადი და ფატარი მთიდან გამომავალი წყარო, რომელიც ერთადერთი სასმელი იყო ეკლესიის მახლობლად მცხოვრებთა და აღთქმის შესაბამისად მისულთათვის" ("укрепил сводом родник, вытекающий из сыпучей и рыхлой горы, который служил единственным питьем для живущих около церкви или временно приезжающих по обету..."). Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 5; Иоселиани, *Описание древностей города Тифлиса*, 45-6.

დოდ, სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს XIX საუკუნის ლიტერატურაში არსებული ცნობა იმის თაობაზე, რომ მონასტრის განახლებისას, მღვდელმა თომა გრიგორიევმა თაღი გადაიყვანა წყაროზე.[19] მონასტერში არის მეორე წყაროც, საიდანაც მონასტრად მისულები დღესაც იღებენ წმინდა წყალს. საინტერესოა, რომ მასალებში, რომლებიც იმხანად მთაწმინდის მონასტრის განახლებააღდგენის სამუშაოებს ეხება, ღირსი მამის ქვაბზე მხოლოდ მოკლე მითითებაა. სახელდობრ, ცნობილია, რომ: „მამა თომა გრიგორიევი გულ-მოდგინედ მოეკიდა საქმეს: საზოგადოების დახმარებით შეაგროვა ფული, აღაშენა ეკლესია, გაუკეთა მოზრდილი ეზო, გადაუყვანია წყაროს თაღი (ეს წყარო მსუბუქი და გემრიელი წყალია. აქ ორგან არის წყარო; მაგრამ ერთი რომელიც ეკლესიის უკან არის, ცოტა მლაშეა, ხოლო ის, რომელსაც თაღი აქვს გადაყვანილი, სასიამოვნო სასმელია. მამა დავითის დროს აქ პირველ ხანებში არა ყოფილა წყალი; ორმოებში თურმე აგროვებდნენ წვიმის წყალსა და იმასა სვამდნენ. შემდეგში მამა დავითს უპოვნია თავისის ლოცვით ეს წყარო)“.[20] სავსებით შესაძლებელია, რომ აქ ნახსენები თაღი იყოს ის სათავსი, რომელიც ღირსი მამის სამყოფელის წინა მხარეს იყო შექმნილი; წყლის გამოყვანაში კი, სავარაუდოდ, იგულისხმება ქვაბის გატიხრვა აგურის კედლით, ქვაბში დაგროვილი წყლის სადინარისა და ემბაზის მოწყობა.

ახლად ამოყვანილ, გამტიხრავ კედელში გაკეთდა შეისრულთაღიანი ვიწრო სარკმელი ბუნებრივი გამოქვაბულის მოსახილავად და სალოცავად. კედელში ჩაატანეს მილი ქვაბიდან წყლის გამოსადინებლად, ხოლო ქვაბის კედლის წინა მონაკვეთში საგანგებო ემბაზი იქნა მოწყობილი. ქვაბის გარე, შედარებით მომცრო ნაწილმა აგურით მოშანდაკებული, ოვალური ფორმის მქონე, თაღოვანი სათავსის სახე მიიღო.

სავარაუდოა, რომ სათავსის კედლის ამოშენება, გალესვა და ბაზალტის დიდი ფილებით იატაკის მოგება მონასტერში XIX საუკუნის დასაწყისისათვის განხორციელებული განახლებითი სამუშაოების თანადროულად მიმდინარეობდა.

როგორც ჩანს, ასეთად რჩებოდა წმ. დავითის ქვაბი XIX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე. 1850-იანი წლებისთვის მთაწმინდაზე არსებული ვითარება ჩანს პლატონ იოსელიანის მითითებაში, რომლის მიხედვითაც, მონასტრის სიძველეთაგან ეკლესიის გარშემო მხოლოდ ღირსი მამის ქვაბიდან გამომავალი წყალი რჩებოდა.[21]

---

[19] მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 9.

[20] იქვე.

[21] “От всего древняго виден только родник в сердце горы, в полускалистом грунте пробивающий себе дорожку, журча по временам после обилия дождей, а иногда капая как слеза, во время

მესამე ეტაპი. რამდენიმე ათწლეულის შემდგომ, არაუგვიანეს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა, კლდის მასის დაწოლის შედეგად, ქვაბის წინა სათავსის კედლები უნდა დასუსტებულიყო და ნაწილობრივ დაბზარულიყო. ამის გამო, მისი გვერდითა მონაკვეთები აგურის წყობით ამოყვანილი შვეული კედლებით იქნა გამაგრებული.

მომდევნო პერიოდში (სავარაუდოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გამორიცხული არ არის – 1861 წლის ახლო ხანებში, როცა მთაწმინდაზე ახალი, დიდი გუმბათიანი ეკლესიის მშენებლობა და, ამის კვალად, მონასტრის განახლების საკმაოდ ხანგრძლივი, ოთხი ათეული წლის მომცველი პროცესი დაიწყო[22]) უნდა ეზრუნათ წმ. დავითის ქვაბისთვისაც – მოსალოდნელია, რომ სწორედ იმხანად კიდევ ერთხელ განაახლეს ქვაბის წინამდებარე სათავსი. კომპლექსში მიმდინარე აღდგენა-განახლების სამუშაოებთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული წმ. დავითის ქვაბის წინ მდებარე სათავსში, შედარებით ადრეული ხანის მომცრო ემბაზთან მიჯრით მოწყობილი, მოზრდილი, საკმაოდ ღრმა რეზერვუარი წყლისთვის – წმინდანის ქვაბის კედლებიდან ჩამონადენი, ორი სათავსის გამტიხრავ აგურის კედელში დატანებული მილით მომდინარე წყალი ამ რეზერვუარში გროვდებოდა. სათავსის კედლები დამატებით იქნა ამოშენებული, მისი ინტერიერი გაილესა, ხოლო იატაკზე დაიგო ბაზალტის დიდი ფილები.

XIX საუკუნის მიწურულს ფოტოზე ჩანს, რომ სათავსი აღმოსავლეთი მხრიდან ფართო, დაბალი პროპორციების მქონე, მოპირკეთებული თაღით იყო გახსნილი (სურ. 2 და 3). ღიობის გარშემო ჯერ კიდევ არ არსებობდა მთის ფერდიდან ჩამოსული ნაშალის შემაკავებელი კედელი. მონასტრის ტერიტორიის ჩრდილოეთ კიდეში, განცალკევებით მდებარე ქვაბსა და ეკლესიას შორის იმხანად ჯერ კიდევ არ იყო საფლავები ან რაიმე ნაგებობა – თავისი იერით, ქვაბი ჯერ კიდევ რჩებოდა ასკეტი წმინდანის განცალკევებით მდებარე სამყოფლად.

მეოთხე ეტაპი. XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულიდან, მამულიშვილთა სავანის საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად გადაკეთების (1929 წ.)[23] და მთაწმინდაზე მონასტრის გაუქმების კვალად,

---

долгой засухи. Под сводом этого родника, среди холоднаго веяния в этой глубине водной пещеры или лучше грота, замечаем еще священный сумрак, отрадный в древних святилищах. Это единственное место, где под влиянием сладко-журчащей воды изведеннаго источника и в таинственной тишине свода можно искать себе вдохновление." Иоселиани, *Гора Св. Давида в Тифлисе*, 5-6; Его же, *Описание древностей города Тифлиса*, 46-7.

[22] Басхаров, "Тифлисская Мтацминдская церковь," 1-2; მაჭარაშვილი, *აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმინდა მამა დავითის ცხოვრების*, 7.

[23] მამია ჩორგოლაშვილი, *მთაწმინდა* (თბილისი, 1991), 68.

წმ. დავითის ქვაბის თავდაპირველი ფუნქცია მთლიანად მოიშალა და იქ მხოლოდ წყლის მცირე რეზერვუარი არსებობდა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქვაბი საბოლოოდ გადააკეთეს – იგი ტუფის ფილებით შემოსეს, იატაკზე კი ბაზალტის ახალი ფილები დააგეს.

წმ. დავითის ქვაბი ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სავალალო მდგომარეობაში იყო: თანდათანობით ირღვეოდა მისი თაღი; გამოქვაბულის სიღრმიდან მომდინარე წყალი გარეთ გამოდიოდა და ნიადაგში იჟონებოდა, რითაც საფრთხეს უქმნიდა პანთეონს. იმხანად არავინ ზრუნავდა ქვაბისათვის თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნებისათვის, მისი შემდგომი ნგრევა-დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ყოველივე ეს, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ მოხერხდა.

წმ. დავით გარეჯელის ქვაბის განახლების სამუშაოები 2002 წელს დაიწყო. წმინდანის ქვაბი ხელუხლებლად იქნა დატოვებული. მის წინ მდებარე სათავსი მოპირკეთდა; მის დასავლეთ კედელში დატოვებულ იქნა ძველი ღიობი, ქვაბში შესახედად და სალოცავად. აღმოსავლეთი მხრიდან სათავსს მიედგა ქვით ნაგები, დარბაზული ტიპის, მომცრო ეკლესია (სურ. 20), ისე, რომ სათავსი მისი დარბაზის დასავლეთი ნაწილი გახდა (არქიტექტორი – თეიმურაზ ბერიძე); სამლოცველო მოიხატა (ფერმწერი – ლაშა კინწურაშვილი). მის დარბაზში კვლავ მოეწყო ემბაზი, რომელშიც წმ. დავითის ქვაბიდან მომდინარე წყალი გროვდება. ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელზე ეკურთხა.

The Cave of St. David Garejeli in the Mtatsminda Monastery

Zaza Skhirtladze

Summary

The cave of St David Garejeli, located in Tbilisi in the eastern slope of the Mtatsminda Mountain, is one of the main sanctities of the Christian Georgia. Within the last two centuries part of the cave was altered for several times.

In April-May 2002, in the process of the restoration works, in result of opening the trapdoor existing in the western wall of the chamber in the north-west part of the monastery, a large natural cave appeared – the initial dwelling place of St David Garejeli.

The saint's dwelling has been preserved untouched till today. It is a long and wide natural cave of the oval form directed to the west-east axis, the eastern edge of which – the entrance – is somewhat narrow. The north-east section has maintained a low and narrow step, specially formed along the rock, probably, the shelf designated for the bed. Water dropped permanently in the cave. It seems that its outlet was an entrance trapdoor to the cave.

The interior of the brick-built chamber, located in front of the cave, was plastered with lime, and the floor was firmly built of large-size basalt tiles.

After the floor tiles were taken, a small-size blowhole made of roughly cut stone appeared in front of the wall separating St David's cave and the front chamber; in front of it, nearly the entire perimeter of the chamber is occupied by quite large rectangular reservoir (185x120cm), carefully plastered with a thin layer of lime – water was collected just in it and afterwards streamed to the mountain slope through the thick ceramic pipes and then passed over the precipice.

In the process of cleaning the remains of the altar, namely, its lower part with the holy relic inserted in it was found in the north-east corner of the front chamber of the cave. All this points to the existence of the chapel in the chamber located in front of saint's dwelling. With regard to this, the legend seems indicative, reflected in the nineteenth-century publications, according to which St David founded a small size chapel on Mtatsminda.

The picture, outlined in result of opening and cleaning of the initial dwelling of St David Garejeli, is fragmentary and incomplete. Despite this, the revealed materials still give the basis for definite conclusions and observations. The history of St David's cave can be conventionally divided into several stages:

I stage. St David's cave remained without essential alterations for a long time, till the beginning of the nineteenth century. It seems the cave was abandoned till late Middle Ages.

II stage. The discussion on the care for St David's cave, as well as on the construction and renewal of its front chamber, is possible by the beginning of the nineteenth century, namely by the time, when a new church was built on the Mtatsminda Mountain. At that time, the cave is likely to be separated by bricks into two unequal parts; in the inner, deeper part water started to be collected. In front of it the chamber formed, which initially was, probably, designated as a chapel.

III stage. After some decades, not later than the second half of the nineteenth century, due to pressure from the rock mass the walls of the front chamber should have become weaker and partially cracked. Because of this, with the purpose of strengthening, its side walls were strengthened by the vertical walls, laid in brick.

In the following period (probably, in the spell close to 1861, when the construction of the new, domed church started in the Mtatsminda monastery) care should be taken of St David's cave. It is expected that just in that period once more the front chamber of the cave should be renewed. With these works can be connected the arrangement of a large, sufficiently deep reservoir. The walls of the chamber were additionally laid and plastered, and the floor was covered with basalt tiles.

IV stage. From the late 1920s, following the abolishment of the monastery on the Mtatsminda mountain, St David's cave was abandoned and only the water reservoir existed there.

In the second half of the twentieth century, the cave was finally altered – it was covered with the tuff tiles, the floor was covered with the new basalt tiles.

In 2002, in the process of renewal works, the cave of St David Garejeli was left untouched, only its front chamber being faced, and from the east part a small aisles chapel of the Icon of the Virgin Portaitissa was added to it.

1

2

სურ. 1 მთაწმინდის მონასტერი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. XIX ს. მეორე ნახევრის ფოტო.

სურ. 2 მთაწმინდის მონასტერი. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. XIX ს. მიწურულის ფოტო.

3

4

სურ. 3 მთაწმინდის მონასტერი. ხედი აღმოსავლეთიდან. XIX ს. მიწურულის ფოტო.

სურ. 4 მთაწმინდის მონასტერი. წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსი გაწმენდითი სამუშაოების საწყის ეტაპზე.

5



6



სურ. 5 წმ. დავითის ქვაბი. გეგმა.

სურ. 6 წმ. დავითის ქვაბი. ჭრილი ჩრდილოეთით.

7



8



სურ. 7 წმ. დავითის ქვაბი. ჭრილი აღმოსავლეთით.

სურ. 8 წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსი. ჭრილი დასავლეთით.

9

სურ. 9 წმ. დავითის ქვაბი. დასავლეთი ნაწილი.

სურ. 10 წმ. დავითის ქვაბი.
აღმოსავლეთი ნაწილის საერთო ხედი.

10

11

12

სურ. 11 წმ. დავითის ქვაბი. კლდეში ნაკვეთი თარო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

სურ. 12 წმ. დავითის ქვაბი. კლდეში ნაკვეთი საფეხური სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე.

13

14

სურ. 13 წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსი ნაწილობრივი გახსნის შემდეგ. ხედი აღმოსავლეთიდან.

სურ. 14 ქვით მოგებული იატაკი წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსში.

15

სურ. 15 წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.

სურ. 16 წმ. დავითის ქვაბის წინა სათავსის ინტერიერი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

16

17

18

სურ. 17 მცირე ემბაზი წმ. დავითის ქვაბისა და წინა სათავსის გამმიჯნავ კედელთან.

სურ. 18 მცირე ემბაზი წმ. დავითის ქვაბისა და წინა სათავსის გამმიჯნავ კედელთან. საერთო ხედი ზემოდან.

19

20

სურ. 19 წყლის რეზერვუარი ქვაბის წინა სათავსში, ნაწილობრივი გაწმენდის შემდეგ. ხედი სამხრეთიდან.

სურ. 20 მთაწმინდის მონასტერი. ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ეკლესია წმ. დავითის ქვაბთან.

X

რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის ტიმპანის რელიეფი

ნატო ჩიტიშვილი

რუისის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის აგება, გადმოცემის თანახმად, მეფე ვახტანგ გორგასალის საეკლესიო აღმშენებლობასთანაა დაკავშირებული.[1] V-VI საუკუნეებში აქ საეპისკოპოსო კათედრის არსებობას მოწმობს წერილობითი წყარო, რომლის თანახმადაც 506 წელს დვინის საეკლესიო კრებას სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მროველი ეპისკოპოსიც ესწრებოდა.[2] ტაძარი საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.[3]

საკათედრო ტაძარი სოფელ რუისის შუაგულში დგას. კომპლექსი შედგება მთავარი ტაძრის, კოშკი-სამრეკლოსა (განახლებული XVII ს-ში) და გალავნისაგან (გვიანი შუასაუკუნეები). ეკლესია – გუმბათიანი ნაგებობა – რთული, მრავალფენიანი ძეგლია; საუკუნეების განმავლობაში მას მრავალი აღდგენა-შეკეთება განუცდია (სურ. 1). აღმშენებლობის პირველი ეტაპს VIII-IX საუკუნეებს აკუთვნებენ; იგი არაერთხელ აღუდგენიათ, განუახლებიათ და გადაუკეთებიათ შემდგომ საუკუნეებშიც (X საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის შუახანების ჩათვლით).[4] ყოველივე ეს რუისის საეპისკოპოსო კათედრის რთული, ამასთან უწყვეტი ისტორიის ნაწილია – იგი მოწმობს კათედრალის მნიშვნელობას ქვეყნის სულიერი ცხოვრებისთვის. სწორედ ამის გამო იყო, რომ მასზე გამუდმებით ზრუნავდნენ მაღალი სასულიერო თუ საერო წრეების წარმომადგენლები.

---

[1] იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა*, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, I (ტფილისი, 1936), 49.

[2] ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I (თბილისი, 1960), 300, შენ. 3; *ეპისტოლეთა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ (თბილისი, 1968), 97.

[3] ლევან მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. I, ნაკვეთი I (თბილისი, 1962), 208-13.

[4] გიორგი ჩუბინაშვილი, „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“, *ენიმკის მოამბე,* V-VI (თბილისი, 1940), 427-68; Георгий Чубинашвили, “К истории Руисского храма,” *Вопросы истории искусства, Исследования и заметки,* т. 1 (Тбилиси, 1970), 184-205.

სხვადასხვა პერიოდის კუთვნილ იმ მრავალრიცხოვან ფენათა შორის, რომელიც ტაძრის ნახვისთანავე ხვდება თვალს, საყურადღებოა ტიმპანის ქვა, რომელიც სამხრეთი ეკვდერის დასავლეთიდან აღმოსავლეთით გამავალი კარის თავზეა განთავსებული (სურ. 2). ესაა ერთიანი, მასიური ფილა, რომლის დასავლეთ პირზეც რელიეფური, მრავალნაწილიანი კომპოზიციაა გამოსახული (სურ. 3).[5] ტიმპანის თაღოვან მოხაზულობას ერთ დროს მთლიანად მცენარეული ორნამენტის მქონე განიერი მოჩარჩოება დაუყვებოდა – მისი ნაწილი ამჟამად ქვების წყობითაა დაფარული; ამასთანავე, ჩარჩოს გარკვეული მონაკვეთები მოტეხილია. ტიმპანის ეს ქვა, როგორც ჩანს, VIII-IX საუკუნეებში ხელმეორედ აგებულ ტაძარში კვლავ იქნა გამოყენებული – იგი სწორედ იმხანად უნდა ჩაედგათ სამხრეთი ეკვდერის კარის თავზე და, თავდაპირველი ჩანაფიქრის მსგავსად, კვლავ მოერგოთ ღიობის გარე კედლისთვის; თუმცა, მოგვიანო ხანაში დასავლეთი მხრიდან დამატებითი სათავსის მიშენების გამო, რელიეფი უკვე ინტერიერში მოექცა.

თავდაპირველად, ქვა რომელიმე გვერდითა მინაშენისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; მოსალოდნელია, რომ იგი კათედრალის მთავარი შესასვლელის შესამკობად იქნებოდა გათვალისწინებული, ისე, რომ მისი ხილვა ტაძრად მისულ ყველა მლოცველს შეძლებოდა. გარდა ამისა, ისიც სავარაუდოა, რომ ტიმპანის ქვა რამდენადმე სხვაგვარად უნდა ყოფილიყო კედლის წყობაში ჩართული – საფასადო წყობის ზედაპირის სიმაღლეზე და არა შესასვლელი ღიობის სიღრმეში, როდესაც გარკვეულწილად იფარება ტიმპანის მომაჩარჩოებელი ნახევარრკალი.

ტიმპანის ქვა რამდენადმე ირიბად (მარცხნიდან მარჯვნივ დაქანებული) დაუდგამთ ეკვდერის ორი სათავსის დამაკავშირებელი კარის თავზე. მისი ზურგითა ნაწილი 1938 წელს ტაძარში წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს იქნა ამოგებული; იმხანადვე ამოუშენებიათ კარის ღიობის გვერდითა კედლებიც.[6] მინაშენის ინტერიერი ამჟამად ჭვარტლისაგან გამურულია. ჭვარტლისა და სიმხურვალისაგან მიყენებული ზიანი რელიეფზეც აღიბეჭდა – ქვა გაშავებულია, ალაგ-ალაგ ამოტეხილი, ხოლო მასზე წარმოდგენილ ფიგურათა ზედაპირი ისეა ერთიანად გადასული-გამკრთალებული, რომ გამოსახულებათა დამუშავების ხასიათი ძნელად აღიქმება.

ორნამენტული ქვების ნახევარწრული რიგი, რომელიც ნაწილობრივ ფარავს ტიმპანის კიდეებს, ქმნის შესასვლელი კარის თაღს; ეს რიგი გაფორმებუ-

---

[5] ჩუბინაშვილი, „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“, 435-6; Чубинашвили, “К истории Руисского храма,” 190-1, სურ. 68, 69.

[6] ჩუბინაშვილი, „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“, 435; Чубинашвили, “К истории Руисского храма,” 191.

ლია წყვილ-წყვილად დაჯგუფებული ვარდულებისა და წრეების მონაცვლეობით შექმნილი წყებით. ღიობთა მსგავსი სახით დამუშავება გარდამავალი ხანის, სახელდობრ VIII-IX საუკუნეების რიგი ძეგლებისთვისაა ნიშანდობლივი (წირქოლი, ბიეთი);[7] ამ ძეგლთა რიგის მსგავსია და, როგორც ჩანს, სწორედ იმხანად შექმნილი, რუისის ტაძრის სამხრეთი ეკვდერის შესასვლელის თაღის დეკორიც; თუმცა თავად ტიმპანზე წარმოდგენილი კომპოზიცია, როგორც ჩანს, რამდენადმე ადრეული უნდა იყოს.

ტიმპანზე გამოსახულია სამი სხვადასხვა ზომის კომპოზიცია, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ჩაკაწვრით შესრულებული შვეული ხაზებით გამოიყოფა (სურ. 3-4).

შუა, დანარჩენ ორთან შედარებით ბევრად დიდ, მონაკვეთზე წარმოდგენილია უფლის დიდების კომპოზიცია. მის ცენტრში, გრძელი ჰიმატიონით მოსილი მაცხოვრის სრული, მდგომარე ფიგურაა გამოსახული. თავის არეზე რელიეფი ამოტეხილია; ჩანს მხოლოდ შარავანდის მოხაზულობის ფრაგმენტები. მაცხოვარს, სავარაუდოდ, მკერდთან მიტანილ მარცხენა ხელში სახარება ეჭირა (თუმცა, რელიეფის ზედაპირის დაზიანების გამო, დაბეჯითებით ამის თქმა ძნელია), განზე განპყრობილი მარჯვენა ხელი კი, როგორც ჩანს, კურთხევას გამოხატავდა. მაცხოვრის ორსავე მხარეს, ერთმანეთის უკან, გუნდ-გუნდად მდგომი, უფლისადმი ვედრებად მიმართული და მისი განმადიდებელი, გრძელი კვართით მოსილი ანგელოზები გამოუსახავთ – სამ-სამი თითოეულ მხარეს. მაცხოვრის თავთან ორი მფრინავი ანგელოზია, გაშლილი ფრთების ერთმანეთზე გადადებული ბოლოებით.

უფლის დიდების თემის იკონოგრაფიული სახესხვაობები ადრეული ხანიდანაა ცნობილი ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში. ამ რიგის გამოსახულებები საქართველოში VI-VII საუკუნეებიდან მკვიდრდება და ვრცელდება.[8] რუისის ეკლესიის ტიმპანის რელიეფზე წარმოდგენილია კომპოზიციის ის რედაქცია, სადაც ანგელოზები კი არ აღამაღლებენ მაცხოვარს, არამედ განადიდებენ მას. საქართველოში მსგავსი სქემის მქონე გამოსახულებები უკვე VI საუკუ-

---

[7] გიორგი ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, ტ. 1 (ტფილისი, 1936), 196-7, სურ. 154; ჩუბინაშვილი, „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“, 438, სურ. 4-5; Русудан Меписашвили, “Полупещерный памятник IX в. в сел. Биети,” *Ars Georgica*, 6-A (1963), 43, 53, рис. 13_6; Георгий Чубинашвили, “Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ушелье,” *Вопросы истории искусства, Исследования и заметки,* т. 1 (Тбилиси, 1970), 161.

[8] ზაზა სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი* (თბილისი, 2008), 25-35.

ნიდანაა ცნობილი ქვასვეტებზე (ხანდისის სტელა,[9] ნაღვარევის სტელა[10]), VII საუკუნიდან კი იგი ეკლესიათა საკონქო კომპოზიციადაც მკვიდრდება (წრომი – VII ს.,[11] თელოვანი – VIII ს.[12]). მისი განვრცობილი სახესხვაობა აერთიანებს წინასწარმეტყველთა წიგნებსა და იოანეს გამოცხადებას დაფუძნებულ ცალკეულ დეტალებს (მანდორლა, ვარსკვლავები, ცეცხლოვანი ბორბლები, აგრეთვე მრავალფრთედთა, ზეციურ ძალთა გამოსახულებები, მახარებელთა სიმბოლოები, მზისა და მთვარის პერსონიფიკაციები და სხვ.) – ამგვარ იკონოგრაფიულ სქემას დაფუძნებული აფსიდალური პროგრამები, ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, საქართველოში ასწლეულების განმავლობაში იქნა შენარჩუნებული (გარეჯის, სვანეთისა და ტაოკლარჯეთის მოხატულობები[13]).

რუისის ეკლესიის რელიეფური კომპოზიცია უფლის გარემომცველ ანგელოზთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა; ზეციურ ძალთა ამგვარი, მრავალფიგურიანი დასის არსებობა (მასში ექვსი ფეხზე მდგომი და ორი მფრინავი ანგელოზია) კიდევ უფრო მკაფიოდ განაცხადებს მაცხოვრის ზეციური დიდებას.

ტიმპანის მარცხენა ქვედა კუთხეში, შედარებით მომცრო მონაკვეთზე, სამფიგურიანი სცენაა წარმოდგენილი (სურ. 5). კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია გრძელ კვართში გამოწყობილი, შარავანდმოსილი მამაკაცი წმინდანი. უწვერულ ფიგურას, როგორც ჩანს, მოკლე თმა ჰქონდა. რამდენადაც ირკვევა, წმინდანს მარცხენა ხელში რაღაც საგანი, სავარაუდოდ სანაწილე, უნდა სჭეროდა, ხოლო მარჯვენა – მკერდთან კურთხევად ჰქონდა აღმართული; ამაზე მეტყველებს მისი ხელების მოხაზულობა, თუმცა, რელიეფის ძლიერი დაზიანების გამო, დაზუსტებით რაიმეს თქმა რთულია. იკონოგრაფიის

---

[9] Нико Чубинашвили, *Хандиси* (Тбилиси, 1972), 14-5, таб. 1-10; Натела Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии, Фигурные рельефы V-XI веков* (Москва, 1977), илл. 16; Кити Мачабели, *Каменные кресты Грузии* (Тбилиси, 1998), 48-59, 284-7, илл. 2, 12-3; კიტი მაჩაბელი, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები* (თბილისი, 2008), 114-6, ილ. 4-13.

[10] Кити Мачабели, *Каменные кресты Грузии*, 60-77, 287-9, илл. 3, 14.

[11] Zaza Skhirtladze, "A propos du décor absidal de C'romi," *Revue des études géorgiennes et caucasiennes,* 6-7 (1990-91), 163-83; ლეილა ხუსკივაძე, *გელათის მოზაიკა* (თბილისი, 2005), 56-9, სურ. 26; სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი*, 26, სურ. 17.

[12] სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი*, 228.

[13] Татьяна Шевякова, *Монументальная живопись раннего средневековья Грузии* (Тбилиси, 1983), 9-20; სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი*, 26-7; ზაზა სხირტლაძე, *ოთხთა ეკლესიის ფრესკები* (თბილისი, 2009), 107-22.

მიხედვით,[14] ისევე როგორც ადრეული შუა საუკუნებისათვის საქტიტორო კომპოზიციებში მეოხ წმინდანთა შერჩევის ფართოდ გავრცელებული ტრადიციის გათვალისწინებით,[15] აქ ყველაზე უფრო მოსალოდნელი წმ. პირველმოწამე სტეფანე მთავარდიაკონის გამოსახულების არსებობა ჩანს.

წმინდანის ორივე მხარეს თითო მამაკაცის, სავარაუდოდ, მამა-შვილის ფიგურებია. მარცხნივ წარმოდგენილია შედარებით დიდი ზომის, მუხლმოყრილი ფიგურა; მისი მარჯვენა ფეხი ტიმპანის თაღედის შემომსაზღვრავ ხაზს ებჯინება, ხოლო მუხლში მოკეცილი მარცხენა მიწაზე აქვს დადგმული. მსგავსადაა გამოსახული მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, მაცხოვრისადმი ვედრებად წარმდგარი ერისმთავარი სტეფანოზ I (სურ. 6),[16] თანაგვარია ატენის სიონის ჩრდილოეთი ფასადის შვერილის შუა წახნაგის რელიეფზე გამოსახული, წმ. პირველმოწამე სტეფანეს წინაშე წარმდგარი, საერო პირის დაყენებაც (VII ს.) (სურ. 7).[17] რუისის ეკლესიის ტიმპანზე გამოსახული მამაკაცი სამი მეოთხედითაა წმინდანისკენ მიმართული, ხოლო სახე, როგორც ჩანს, ფრონტალურად იყო გამოსახული. დაზიანების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია საერო პირის სამოსის ხასიათზე საუბარი: მას მოსავს გრძელსახელოებიანი, კოჭებამდე სიგრძის კაბა, რომელზეც ზემოდან ცრუსახელოებიანი მოსასხამი აქვს მოხვეული. მოსასხამზე დრაპირების აღმნიშვნელი რამდენიმე შვეული, მოკლე ხაზია დატანილი. მისი მრგვალი საყელო შიგნით გახსნილია, განსხვავებით სხვა შემთხვევათაგან, სადაც მოსასხამი ზოგჯერ მხრებთან, ზოგან კი შუაში საკინძითაა შეკრული. მსგავსი ცრუსახელოებიანი მოსასხამი საქართველოში ადრეული ხანიდანაა ცნობილი, როგორც დიდებულთათვის განკუთვნილი სამოსის ნაწილი. ამგვარი სამოსში გამოწყობილ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს ვხვდებით VI-X საუკუნეების განმავლობაში, როგორც სტელებზე (დმანისის და უკანგორის ქვასვეტები), ისე საფასადო რელიეფებზე (მცხეთის ჯვრის ტაძარი, ატენის სიონი, კარბის წმ. სამების ეკლესია, ტბეთის,

---

[14] *Lexikon der Christlichen Ikonographie*, 8 (1994), 395-403.

[15] იხ. ქვემოთ.

[16] Георгий Чубинашвили, *Памятники типа Джвари* (Тбилиси, 1948), 142-3, рис. 41.

[17] Георгий Чубинашвили, "К истории Руисского храма," 169, ტაბ. 58_2; Гурам Абрамишвили, "Два строительных периода Атенского Сиона," *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1972), 44-5, ნახ. 9; გურამ აბრამიშვილი, „ატენის სიონი, ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან", *დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად* (თბილისი, 1993), 208-11, ტაბ. XXXIII_2; გურამ აბრამიშვილი, „ატენის სიონის რესტავრატორ-ხელოსანთა პორტრეტული ქანდაკებები", *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები*, III (1997), 98-9, სურ. IV.

კუმურდოს კათედრალები).[18] მამაკაცს ორივე ხელი წმინდანისკენ ვედრებად აქვს მიმართული. დაზიანებულ სახეზე ძნელად იკითხება თვალისა და ულვაშის აღმნიშვნელი ნახატი. ფიგურის თავი ცალ მხარეს წაგრძელებულია; შესაძლოა, ეს მისი თმის მოცულობის აღმნიშვნელი იყოს, ანდა თავსაბურავი – ამის თაობაზე დაზუსტებით რაიმეს თქმა რთულია.

წმინდანის მარჯნივ მდგომ, მისკენ სამი მეოთხედით მიმართულ, შედარებით მომცრო ზომის ფიგურას იდაყვში მოხრილი ხელები წინ ვედრებად აქვს გაწვდილი. მოსავს მუხლებამდე დაშვებული კაბა და იმავე სიგრძის მოსასხამი, რომელზეც სამოსის დამუშავების რამდენიმე შვეული ხაზი იკითხება. ამასთანავე, სამოსზე დატანილი ეს ხაზები არ იძლევა მისი დამუშავების ზოგად ხასიათზე მსჯელობის შესაძლებლობას. ფიგურას აქვს ერთიანი, მასიური, სქელი ფეხები, მუხლებიდან კოჭებისკენ შევიწროებული წვივებით. ამ ფიგურის მიმართება კომპოზიციის სხვა ფიგურებთან და მისი სამოსის ხასიათი სავარაუდოს ხდის, რომ აქ ჭაბუკია წარმოდგენილი.

კომპოზიციის ზემოთ, თავისუფალ არეზე, რამდენიმე ჩაკვეთილი ხაზი მოჩანს; მცირე ფრაგმენტებით ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა იყო იქ გამოსახული. ცხადია მხოლოდ ის, რომ უფლის დიდების ცენტრალური კომპოზიციის შვეული ჩარჩოს და მის მარცხნივ გამოსახული სამფიგურიანი საქტიტორო კომპოზიციის თარაზული ჩარჩოს ხაზის მეშვეობით იქმნება სამკუთხა არე, რომელიც აქ წამოდგენილ სცენათაგან არც ერთთან არაა კომპოზიციურად გაერთიანებულ-დაკავშირებული.

წმ. სტეფანე ადრეული ხანიდანვე გამორჩეულად თაყვანიცემოდა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, სადაც იგი სამეფო კარის მფარველად იყო მიჩნეული.[19] ამასთანავე, ქრისტიანულ დასავლეთში ის, გამომდინარე მისი მოწამეობრივი აღსასრულის ფორმიდან, ქვის მთლელთა მფარველადაც ითვლება.

საგანგებო მსჯელობის თემაა წმ. სტეფანეს თაყვანისცემის ტრადიცია, რომელიც საქართველოში ასწლეულების მანძილზე მრავალმხრივ ვლინდება.[20]

---

[18] საერო პირთა ცრუსახელოებიანი სამოსის ისტორიისათვის იხ. ნინო ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი, VI-XIV სს.* (თბილისი, 1964), 9-21.

[19] *მცხეთის ჯვრის წმ. ტაძარი, წიგნი გამოსაცემად მოამზადა დავით ხოშტარიამ, შესავალი ტექსტი: დიმიტრი თუმანიშვილი, თამარ ხუნდაძე* (თბილისი, 2008), 24.

[20] Wakhtang Djobadze, "The Sculptures on the Eastern Facade of the Holy Cross of Mtzkheta," *Oriens Christianus*, 44 (1960), 135.

წმ. სტეფანეს, ქრისტეს სახელისთვის პირველწამებულის, მოღვაწეობა და მოწამეობრივი აღსასრული საქმე მოციქულთაშია აღწერილი (საქმე, VI-VII). წმინდა წერილი გვამცნობს, რომ წმინდანი „განიყვანეს გარეშე ქალაქსა" და ქვებით ჩაქოლეს (საქმე VII, 58-60). 415 წელს სასწაულებრივი ხილვის შემდგომ წმ. სტეფანეს საფლავს მიაკვლიეს იერუსალიმის მახლობლად მდებარე სოფელ კაფარ-გამალში, საიდანაც მისი უხრწნელი სხეული იერუ-

საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის სათავეებთან ჩანს დაკავშირებული: რიფსიმეან ქალწულთა მარტვილობისას, ვარდებში დამალულ წმ. ნინოს უხილავს წმ. სტეფანეს მსგავსი დიაკონი, „*ჩამომავალი ოლარითა ნათლისათა; და ჴელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლე, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სულნელებისა, რომელი ცათა დაფარვიდა, და მის თანა სიმრავლე ერთა ზეცისათა. და მათ შეერთნეს სულნი წმიდათა მოწამეთანი*“.[21]

ხილვის შემდგომ, უფლის განგებით, წმ. ნინო გაეშურა ჯერ ურბნისში, სადაც დაახლოებით ერთი თვე დაჰყო, იქიდან კი მცხეთას გამოემართა. წმ. ნინოს ურბნისში ხანმოკლე მკვიდრობა ისევ და ისევ წმ. სტეფანეს თაყვანისცემასთან დაკავშირებით ჩანს საგულისხმო. მეტიც – რუისის უშუალო სიახლოვეს, ურბნისში VI საუკუნეში აგებული და სიონად სახელდებული ტაძარი,[22] გარკვეული დროის შემდეგ წმ. სტეფანე პირველმოწამისად იქნა სახელდებული. უცნობია, როდის მოხდა სიონის ხელმეორედ კურთხევა,[23] თუმცა თავისთავად

სალიმში, სიონის ტაძარში გადმოაბრძანეს, ხოლო იქიდან 439 წელს, დედოფალ ევდოკიას შემწეობით, მოწამებრივი აღსრულების ადგილზე აგებულ ეკლესიაში დაასვენეს („პოვნა წმიდისა სტეფანესი, რჩეულისა მის მსახურისა და პირველ-მოწამისა“, *სინური მრავალთავი 864 წლისა*, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით (თბილისი, 1959), 63-9; Alan Thacker, "Loca Sanctorum: The Significance of Place in the Study of the Saints," *Local Saints and Local Churches in the Early Medieval West* (Oxford, 2002), 12; Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem,* A corpus: vol. 3, *The City of Jerusalem* (Cambridge, 2007), 372; Jerome Murphy-O'Connor, *The Holy Land: An Oxford Archaeological Guide* (Oxford, 2008), 159). იქვე, ამ ეკლესიის გვერდით, ევდოკიას სიცოცხლეშივე აგებულ იქნა დედოფლისთვის განკუთვნილი მომავალი განსასვენებელი. Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, 372. V საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, წმ. სტეფანეს თაყვანისცემა ფართოდ ვრცელდება არა მარტო ბიზანტიაში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მისი წმინდა ნაწილები მალევე გავრცელდა ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა მხარეში. Thacker, "Loca Sanctorum: The Significance of Place in the Study of the Saints," 12-4.

[21] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 84. „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ (*ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა*, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით (თბილისი, 1942), 66; ტექსტში ასეა – „სახითა მთავარ დიაკუნისათა“) და მარიამისეულ (*ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი*, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (ტფილისი, 1906), 66) ნუსხაში დიაკონზე ზოგადადაა მითითებული, არ ხდება მისი, როგორც სტეფანეს მსგავს დიაკონთან გაიგივება. ამ მხრივ საგულისხმო უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ჩვენება – აქ დიაკონი სტეფანედაა სახელდებული. *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ (თბილისი, 1953), 80.

[22] ვახტანგ ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1974), 91-2.

[23] ამ მხრივ გარკვეული მასალის მოძიება ტაძრის პალეოგრაფიიდან და წერილობითი წყაროებიდანაა შესაძლებელი, რაც შემდეგ სურათს იძლევა: ტაძრის ფასადებზე არსებულ ადრეული ხანის (V და X სს.) წარწერებში (ნუკრი შოშიაშვილი, „ურბნისის ძველი ქართული წარწერები“, *პალეოგრაფიული ძიებანი*, I (1965), 131-56; *ქართული წარწერების კორპუსი,*

საგულისხმო ჩანს ის გარემოება, რომ წმიდა პირველმოწამე დიაკვნის თაყვანისცემა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული რუისის ახლო მდებარე ურბნისთანაც, რაც გარკვეულწილად აისახა კიდეც როგორც ადგილობრივ გადმოცემებში,[24] ისე ურბნისის საკათედრო ტაძრის სახელდებასა და მის მოგვიანო ეპიგრაფიკაში.

არანაკლებ ნიშნეულია ის გარემოებაც, რომ წმ. სტეფანე ქართლის ერისმთავართა კარის მფარველიც იყო.[25] შესაბამისად გარკვეული წინაპირობებით უნდა ყოფილიყო განპირობებული V საუკუნის დასაწყისში, მეფე არჩილის განგებით მცხეთაში წმ. სტეფანე პირველმოწამის ეკლესიის აგება – დღეს იგი ანტიოქიის სახელითაა ცნობილი.[26] წმ. სტეფანეს გამოსახულებები, როგორც

ლაპიდარული წარწერები, ტ. I, *აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1980), 196-9) არსად ჩანს წმ. სტეფანესადმი ვედრება; ტაძარი ან სიონად იწოდება, ან ვედრება მაცხოვრისადმია აღვლენილი. მისი სახელი მხოლოდ გვიანი ხანის წარწერებში იკითხება (მლოცველის მხედრული წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე, 1668 წლის მარიამ დედოფლის წარწერა ტაძრის სამხრეთი კარის თავზე, 1706 წლის საამშენებლო წარწერა სამრეკლოზე). ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ისტორიული დოკუმენტი (რომელიც წინ უსწრებს ტაძრის გვიანი პერიოდის პალეოგრაფიას), სადაც ტაძრის პატრონად წმ. სტეფანე ჩანს არის ქართლის მეფის სიმონ I-ის 1566 წლის გუჯარი (*საქართველოს სიძველენი*, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I (ტფილისი, 1899), 321-3, №266). გუჯრის თანახმად, ურბნისის საეპისკოპოსო ტაძარი ამ პერიოდისთვის მოშლილი იყო „ჟამთა ვითარებისაგან და უღმრთოთა აგარიანთა ჴელითა“, ხოლო ტაძრის კუთვნილი ნივთები მიტაცებული, რის გამოც სიმონ I-ისა და მისი მეუღლის ნესტან-დარეჯანის შემწეობით ტაძარი კვლავ განახლდა. ამდენად ჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება წმ. სტეფანეს სახელზე ტაძრის ხელახალი კურთხევა ამ პერიოდის განახლებით სამუშაოებთან იყოს დაკავშირებული?

[24] ურბნისში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებულა თქმულება დაკავშირებული მთავარდიაკონის სახელთან, მის მიერ ურბნისელთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევასთან. ალექსანდრე ნარიმანიშვილი, „თქმულება წმინდა სტეფანე პირველმოწამეზე“, *ძეგლის მეგობარი*, 2 (1990), 50-7.

[25] *მცხეთის ჯვრის წმ. ტაძარი*, 24.

[26] Дмитрий Гордеев, “Предворительное сообшение о Мцхетской Антиохии,” *Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе*, т. III, 1925, 157-170, таб. IV-IX; ეკლესიის აგების თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს: ადრეულ პუბლიკაციაში ძეგლის აგების სავარაუდო პერიოდი VII-VIII საუკუნეებით განისაზღვრა. Рене Шмерлинг, Вахтанг Долидзе, Теймураз Барнавели, *Окрестности Тбилиси: Архитектурный путеводитель* (Тбилиси, 1960), 22. გ. ყიფიანის მოსაზრების თანახმად, ნაგებობის თავდაპირველი ფენა IV საუკუნეს განეკუთვნება და ის სანათლავი უნდა ყოფილიყო, ხოლო VI საუკუნეში იგი ეკლესიად გადაუკეთებიათ. გურამ ყიფიანი, „მცხეთის „ანტიოქია“: ძირითადი სამშენებლო პერიოდები“, *მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია მოხსენებათა მოკლე შინაარსები* (თბილისი, 1999), 19-22; გურამ ყიფიანი, „ეკლესია ანტიოქია“, *საქართველოს ბანკი*, 11 (2002), №2 . დ. ხოშტარიას ვარაუდით, ტაძარი აგებული უნდა იყოს არაუგვიანეს VI საუკუნისა და შესაძლოა მოქცევაი ქართლისაის ცნობა, 420-430-იან წლებში არჩილ მეფის დროს მცხეთაში ეკლესიის აგების შესახებ, სწორედ ამ ეკლესიას ეხება.

ერისმთავართა, ადგილობრივ მმართველთა და წარჩინებულთა მფარველისა, ცნობილია მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის (586/587-604/605 წწ.) (სურ. 8),[27] ატენის სიონის (VII ს.) (სურ. 7),[28] კატაულას ქვასვეტის (VII ს.) (სურ. 9),[29] დოლისყანას ეკლესიის (X ს. შუა წლები)[30] რელიეფებზე. საგულისხმოა, რომ პირველმოწამის, როგორც ქტიტორთა – ადგილობრივ მმართველთა მეოხი წმინდანის სახე ატენის სიონში კიდევ ერთხელ, ამჯერად X საუკუნის მიწურულის, რელიეფთა შორისაც გვხვდება (სურ. 10).[31]

დავით ხოშტარია, „ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში“, *Academia*, 1 (2001), 31-2.

დ. ხოშტარია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წმ. სტეფანე პირველმოწამეც და წმ. აბიბოს ნეკრესელიც ქვებით იქნენ ჩაქოლილნი: წმ. სტეფანე იერუსალიმის გარეთ აღესრულა, ხოლო წმ. აბიბოსის ნეშტი ჩაქოლვის შემდეგ ქალაქს გარეთ გაიტანეს. ხოშტარია, „ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში“, 28-9. ამასთან დაკავშირებით შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სტეფანოზ II-ის დროს VI საუკუნის მეორე ნახევრიდან მცხეთაში, საეპისკოპოსო ტაძარში, რომელიც იმ დროს ქალაქის გალავნის გარეთ იდგა, ყოველი სამშაბათი დაწესდა წმ. სტეფანე პირველმოწამის, წმ. აბიბოს ნეკრესელისა და სხვა მოწამეთა ხსენების დღედ. გარდა ამისა, ანტიოქიის ტაძარიც აიგო „კართა ზედა არაგჳსასა“. ხოშტარია, „ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიები მცხეთაში“, 28-9. საგულისხმოა ისიც, რომ ქალაქის გარეთ ჩაქოლილი წმ. სტეფანეს მოწამებრივი აღსრულების ადგილზე, დედოფალ ევდოკიას განგებით ეკლესია იქნა აშენებული.

[27] Георгий Чубинашвили, *Памятники типа Джвари* (Тбилиси, 1948), 146-7, рис. 22; ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება*, 103-4; *მცხეთის ჯვრის წმ. ტაძარი,* 24, სურ. 70-71. კომპოზიციაში წმინდანს ვედრებად ქობულ-სტეფანოზი წარუდგება.

[28] ბიბლიოგრაფიისათვის იხ. შენ. 16. ატენის სიონის რელიეფზე წმ. სტეფანესადმი ვედრებად მუხლმოყრილი უცნობი დიდებულია გამოსახული.

[29] ახლად ნაპოვნ მეორე ფრაგმენტზე, სხვა წმინდანთა გვერდით წმ. სტეფანე წარმოდგენილია როგორც გრიგოლ ვიპატოსის ოჯახის მეოხი უფლის წინაშე. სტელის შექმნის სავარაუდო პერიოდთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გიორგი გაგოშიძე, „კატაულას სტელის ახალაღმოჩენილი ფრაგმენტი“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*, 2 (47-B) (2011), 540-3 (სრული 530-55).

[30] ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი სათავსის აფსიდში, სავარაუდოდ XI საუკუნეში განახლებულ წყობაში ჩართულია ქვები, რომელთაგან ერთზე გვხვდება ასომთავრული წარწერა, სადაც გაბრიელ დიაკონი მეოხებას თხოვს წმ. სტეფანეს. იქვე გამოსახულია ფიგურა, რომელიც ამჟამად ძნელადღა იკითხება. სავარაუდოდ, ეს თავად წმ. სტეფანე პირველმოწამე უნდა ყოფილიყო. *ქართული წარწერების კორპუსი,* 292-3; Wakhtang Djobadze, *Early Medieval Georgian Monasteries in historic Tao, Klarjeti and Šhavšheti* (Stuttgart, 1992), 68-9, სურ. 19, ტაბ. 86; დავით ხოშტარია, *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები* (თბილისი, 2005), 122.

[31] Чубинашвили, *Памятники типа Джвари*, 162, ტაბ. 55; აბრამიშვილი, *ატენის სიონი, ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან*, 247, ტაბ. XXXIII_2; მისივე, „ატენის სიონის რესტავრატორ-ხელოსანთა პორტრეტული ქანდაკებები“, 97, სურ I.

მოგვიანო ხანის ძეგლებში წმ. სტეფანეს, როგორც საერო პირთა მეოხის გამოსახულებები იშვიათად გვხვდება. ამ მხრივ საინტერესოა 1640 წლის ანდრია საყვარელიძის დაკ-

ამ ნუსხის განვრცობა მომავალში სავსებით შესაძლებელი ჩანს, განსაკუთრებით ადრეული შუა საუკუნეების რელიეფთა შემდგომი კვლევის საფუძველზე. თუკი ვარაუდი რუისის კათედრალის სამხრეთი ეკვედრის რელიეფზე გამოსახული ფიგურის წმ. სტეფანედ გაიგივებასთან დაკავშირებით სწორია, მაშინ ეს კომპოზიცია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რეალობაში წმ. სტეფანეს, როგორც წარჩინებულთა (ადგილობრივ მმართველთა) მფარველის გამოსახულებების არსებობის კიდევ ერთი, ამასთან ადრეული მაგალითი იქნება.

უფლის დიდების კომპოზიციის მარჯვენა მხარეს, შედარებით მცირე მონაკვეთზე, ზემოთ განხილულ სამფიგურიან ჯგუფთან მიმართებით რამდენადმე უფრო მაღალი, შვეულად გაშლილი სცენაა წარმოდგენილი (სურ. 11). საგანგებოდ შემოსაზღვრულ ჩარჩოში გამოსახულია ფეხზე მდგომი, შარავანდმოსილი ჩვილედი ღმრთისმშობელი, რომელსაც მის მარჯვნივ მუხლმოდრეკილი და სამი მეოთხედით მისკენ მიმართული მამაკაცი წარუდგება. დედაღმრთისას ფიგურა ძლიერაა დაზიანებული – გაირჩევა სამოსის დრაპირების აღმნიშვნელი რამდენიმე ხაზი; ყრმის ფიგურისგან მხოლოდ სილუეტის ფრაგმენტებიღა იკითხება.

მავედრებელ მამაკაცს იდაყვში მოხრილი ხელები დედაღმრთისადმი მიუმართავს. ტანთ მოსავს გრძელი კაბა და მოსასხამი, რომელიც, შესაძლოა, ცრუსახელოებიანი ყოფილიყო. ფიგურის ქვედა ნაწილი – სამოსის ქობა და ფეხები – ჩამოტეხილია. მამაკაცის თავის წაგრძელებული ფორმა მსგავსია ზემოთ განხილულ საქტიტორო კომპოზიციაში წარმოდგენილი, მუხლმოყრილი მამაკაცის თავის ფორმისა და მის თაობაზეც იგივე ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ფიგურის ზურგის ნაწილი ტიმპანის თაღოვან მოჩარჩოებაზე გადადის, გამოსახულება ნაწილობრივ ჰკვეთს მას.

საქტიტორო კომპოზიციები ღმრთისმშობლის, როგორც შუამდგომლის, მეოხის გამოსახულებით ადრეული ხანიდან ჩნდება როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში. ეს თემა ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძრის საფასადო რელიეფური შემკულობის იკონოგრაფიულ პროგრამაში – სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნიშის ზედა თაღოვან არეზე

ვეთით შექმნილი ჭედური კარედი ხატი მოქვიდან. აქ ცენტრალურ ხატზე, სადაც ოდიგიტრიის ტიპის ღმრთისმშობელია გამოსახული ვედრებად წმ. იოანე ნათლისმცემელი და წმ. სტეფანე პირველმოწამე არიან მიმართულნი. დანარჩენი წმინდანები კი ცენტრალური ხატის აშიებსა და ფრთებზე არიან განაწილებულნი. Никодим Кондаков, Дмитрий Бакрадзе, *Опись памятников древность в некоторых храмах и монастирях Грузии* (С.-Петербург, 1890), 88-9, таб. 40; Георгий Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), 638, 641, Фото 568.

გამოსახული ღმრთისმშობელი აკურთხებს მის ორსავე მხარეს შევრდომით მუხლმოყრილ თითო საერო პირს (დღეს ამ დაზიანებულ-გამოქარული კომპოზიციისგან მცირედიღა გაირჩევა, სურ. 12).[32] ქტიტორთა მაკურთხევლად და მეოხად გამოისახება ღმრთისმშობელი VI-VII საუკუნეებით დათარიღებულ ქვასვეტებზე ბრდაძორიდან[33] და დმანისიდან.[34] ამ რიგის გამოსახულებები უფრო მოგვიანო ხანის საფასადო რელიეფებზეცაა, სახელდობრ ვალეს ღმრთისმშობლის ეკლესიის[35] და ბენისის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადებზე.[36] ეს ტენდენცია საქართველოში შემდგომშიც გაგრძელდა და აღიბეჭდა უფრო მოგვიანო პერიოდის როგორც მონუმენტურ ფერწერაში (ვარძია,[37] ბერთუბანი,[38] ახატანი,[39] გრემი[40]), ისე ჭედურობაში (ჭედური ხატები გელათიდან: ე.წ. ბაგრატის ვედრება,[41] ღმრთისმშობლის ხატი მოლარეთუხუცეს სარგის მხეცის ძისა და მისი მეუღლის გამოსახულებით,[42] კარედი ხატი იმერეთის მეფე გიორგი

---

[32] Чубинашвили, *Памятники типа Джвари*, 148, ტაბ. 23.

[33] გიორგი ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები* (თბილისი, 1998), 33-4, №89-90, ტაბ. XXIV, XXV.

[34] ვახტანგ ჯაფარიძე, *ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან* (თბილისი, 1982), 47, ტაბ. XXV; ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები*, 31, №84, ტაბ. XVIII, სურ. 1-4.

[35] რუსუდან მეფისაშვილი, „ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი პერიოდი“, *Ars Georgica*, 3 (1950), 33, ტაბ. 9_1; Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии, Фигурные рельефы V-XI веков*, ტაბ. 90-91; *ქართული წარწერების კორპუსი*, 284.

[36] თამაზ დვალი, „სოფელ ბენისის წმ. გიორგის ეკლესია“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 4 (1986), 119-36; *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5 (თბილისი, 1990), 220-1.

[37] Гаяне Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1979), 17-20, 31, таб. I, илл. 3; Antony Eastmond, *Royal Imagery in the Medieval Kingdom of Georgia* (Pennsylvania, 1998), 103-14, fig. 55, 57.

[38] Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи*, 25-9, ნახ. 4, ტაბ. 19, 21, 22; ზაზა სხირტლაძე, „ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2 (1982), 114-33; Eastmond, *Royal Imagery in the Medieval Kingdom of Georgia*, 172-8, fig. 80-81, 83-84.

[39] ნათია რაზმაძე, „ახატანის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოხატულობა (წინასწარი დაკვირვება)“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია*, 2 (47-B) (2011), 589-90.

[40] მარინა ვაჩნაძე, „კედლის მხატვრობის ძეგლები (ლევან კახთა მეფის და თინათინ დედოფლის გამოსახულებანი)“, *ძეგლის მეგობარი*, 31-32 (1973), 41-9; მისივე, „ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში“, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 5-6 (1992), №131-59.

[41] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 628; თეიმურაზ საყვარელიძე, *XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა* (თბილისი, 1987), 30-1, ტაბ. 8.

[42] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 630-1; ოთარ სანებლიძე, „ისტორიულ პირ-

II-ისა და მისი მეუღლის თამარის გამოსახულებით,[43] ხატები ხარაგაულიდან: გედეონ აბაშიძის,[44] გარსევან მხეციძის გამოსახულებებით[45] და სხვა).

ნიშნეულია, რომ რუისის ეკლესიის ტიმპანის რელიეფზე აღბეჭდილია ის იკონოგრაფიული თემები, რომლებიც ადრეული შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში იყო გავრცელებული: უფლის დიდება, აგრეთვე ღმრთისმშობელი და წმ. პირველმოწამე სტეფანე, როგორც მფარველნი და მეოხნი, მათდამი ვედრებად წარმდგარ ისტორიულ პირთათვის. ამ სამი, გამორჩეულად თაყვანცემული თემის თანაარსებობის მაგალითები VI-VII საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებშია ცნობილი, სახელდობრ, მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის და კატაულას სტელის რელიეფებზე.

ტიმპანის სამი სცენა ერთმანეთისაგან შვეულად ჩაჭრილი ხაზითაა გამოყოფილი, გარე მომსაზღვრელი ხაზის ფუნქციას კი ტიმპანის სქელი, მცენარეული ორნამენტით გამშვენებული თაღი ასრულებდა. სამივე სცენა სხვადასხვა ზომისაა; ცენტრალურ კომპოზიციას ტიმპანის ყველაზე დიდი არე უჭირავს, ხოლო გვერდითა სცენებისთვის შედარებით ვიწრო და პატარა მონაკვეთებია გამოყოფილი. გარდა ამისა, ტიმპანის მარჯვენა, სამფიგურიანი საქტიტორო კომპოზიციის ზემოთ თავისუფალი არე რჩებოდა. ქვის ძლიერი დაზიანების გამო ახლა შეუძლებელია იმის განსაზღვრა იყო თუ არა იქ რაიმე გამოსახული; თუმცა კი ერთი რამ ნათელია – საერთო კომპოზიციის ამგვარი გაშლა-აგებით, გამყოფი ხაზების ჩართვით, ეს მონაკვეთი თითქოსდა დამოუკიდებლად რჩებოდა სხვა სცენათაგან.

ტიმპანზე წარმოდგენილი სახეები ისეა ერთმანეთის მიმართ განლაგებული, რომ იქმნება სამი დასრულებული სცენა: ცენტრალური, უფლის დიდების კომპოზიცია და ორი გვერდითა, საქტიტორო რიგისა. სცენათა ამგვარ თანაარსებობა-გამიჯვნაში განმსაზღვრელ როლს უფრო მეტად ფიგურათა ურთიერთგანლაგება ასრულებს, ვიდრე იქ არსებული გამყოფი ზოლები, რად-

---

თა გამოსახულებები XVI-XVII სს. ქართულ ოქრომჭედლობაში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 3 (1962), 253-5, ტაბ. 9; ლეილა ხუსკივაძე, *ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო* (თბილისი, 1974), 70, ტაბ. 26; საყვარელიძე, ***XIV-XIX** საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა*, 84-91, ტაბ. 43.

[43] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 632; სანებლიძე, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები XVI-XVII სს. ქართულ ოქრომჭედლობაში“, 243-8; საყვარელიძე, ***XIV-XIX** საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა*, 107-12.

[44] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 636; სანებლიძე, „ისტორიულ პირთა გამოსახულებები XVI-XVII სს. ქართულ ოქრომჭედლობაში“, 235-66.

[45] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 632; სანებლიძე, „ისტორიული პირთა გამოსახულებები XVI-XVII საუკუნეების ქართულ ოქრომჭედლობაში“, 259-260; თეიმურაზ საყვარელიძე, გაიანე ალიბეგაშვილი, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები* (თბილისი, 1980), ტაბ. 57; საყვარელიძე, ***XVI-XIX** საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა*, 102-4.

განაც უბრალოდ ჩაკვეთილი ვიწრო ზოლი უმნიშვნელოა ასეთი რთული, მრავალფიგურიანი კომპოზიციის გამოცალკევებით აღსაქმელად.

მსგავსი მიმართება ჩარჩოს ხაზისადმი, ფაქტობრივად კომპოზიციების შემომსაზღვრავი ხაზის უგულებელყოფა, დამახასიათებელია VII, VIII და IX საუკუნეების ქართული რელიეფების ნაწილისთვის. მაგალითად, VII-VIII საუკუნეებით დათარიღებულ მამულას სტელაზე[46] ფაქტიურად უარყოფილია გამმიჯნავი ხაზი და კომპოზიციები ერთმანეთის ზემოთ ყოველგვარი გამმიჯნავი ზოლების გარეშეა განლაგებული. VIII-IX საუკუნეების უსანეთის სტელაზე[47] ერთმანეთს ზემოთ განლაგებული კომპოზიციები ურთიერთისაგან უბრალოდ ღრმად ჩაჭრილი ხაზითაა გამიჯნული. იმავე პერიოდის, VIII-IX საუკუნეების თელოვანის ჯვარპატიოსნის დასავლეთი კარის ჩრდილოეთი წირთხლის რელიეფზე[48] ერთ მოზრდილ, თარაზულად წაგრძელებულ ქვაზე მცენარეულ ხლართს ზემოთ გამოსახულია რამდენიმე კომპოზიცია, რომლებიც ერთმანეთისგან არაფრით არაა გამოყოფილი – თითოეული კომპოზიციის ერთ სეგმენტად შეკრვა, მხოლოდ ფიგურათა ურთიერთგანლაგებითა და რელიეფის სიბრტყეზე გაშლილი მცენარეული ხლართის მეშვეობით ხდება. დასახელებულ ძეგლთაგან განსხვავებით, შედარებით უფრო ადრეული ხანის, სახელდობრ, VI-VII საუკუნეების ნიმუშებში კომპოზიციების მომსაზღვრელად ფართო გამმიჯნავი ჩარჩოებია გამოყენებული (მაგ., ბალიჭის,[49] ბრდაძორის,[50] დმანისის[51] სტელების რელიეფები). იმ პერიოდის ძეგლებზე კომპოზიციების ერთმანეთისგან გასამიჯნავად ჩარჩოს (ზომას, დამუშავებას) დიდი ყურადღება ეთმობა.

ჩარჩოსთან მიმართებით საგულისხმო ჩანს კიდევ ერთი დეტალი: როგორც

---

[46] კიტი მაჩაბელი, „ადრეფეოდალური ხანის ქართული პლასტიკის ძეგლები“, *საბჭოთა ხელოვნება*, 10 (1986), 46-61; ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები*, 23, ტაბ. XIII-1, 2, 3; Мачабели, *Каменные кресты Грузии*, 179-96, 303-6, ილ. 9, 20.

[47] მაჩაბელი, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები*, 126-8, სურ. 11, ტაბ. 47-51; Nina Iamanidze, *Les Installations Liturgiques Sculptées des Églises de Géorgie* (Brepols, 2010), 30, სურ. 21.

[48] Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии*, 64, 68, ტაბ. 64; სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი*, 94-5, 269, სურ. 96, ტაბ. IV_2. დათარიღებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თამარ ხუნდაძემ, რომელიც რელიეფის შექმნის სავარაუდო პერიოდად VIII საუკუნის პირველ ნახევარს ან შუა ხანებს განსაზღვრავს. თ. ხუნდაძე, „თელოვანის „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიის რელიეფის შესახებ“, *საქართველოს სიძველენი*, 4-5 (2003), 52-62.

[49] ჯავახიშვილი, *ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები*, 18, №35, ტაბ. XXVI, სურ. 1-3.

[50] ბიბლიოგრაფიისათვის იხ. შენ. 36.

[51] იხ. შენ. 37.

აღინიშნა, მარცხენა კომპოზიციაში გამოსახული საერო პირის ზურგის ნაწილი გადადის ტიმპანის თაღოვან მოჩარჩოებაზე. გარდა ამისა, ამ ჩარჩოს კვეთდა მარცხენა მფრინავი ანგელოზის თავი და ფრთა, ასევე მეორე მფრინავი ანგელოზის ფრთა, ხოლო მარჯვენა საქტიტორო ჯგუფში საერო პირის ზურგი უშუალოდ ებჯინება მომსაზღვრელი თაღის ჩარჩოს – ფიგურა თითქოს გაჭედილია მისთვის განკუთვნილ არეში. ნათელია, რომ ეს არაა ის თავისუფალი დამოკიდებულება, ის სითამამე ფიგურისა და ჩარჩოს ურთიერთმიმართებისა, რაც მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის საქტიტორო კომპოზიციების შემთხვევაში ვლინდება. ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია, როგორც ჩანს, კომპოზიციისთვის განკუთვნილი სიბრტყის ზომითა და ფორმით.

რუისის კათედრალის ტიმპანის რელიეფურ კომპოზიციაში აშკარაა მის შემქმნელთა განზრახვა – ერთი ესქატოლოგიური საზრისით გაერთიანებული სამი კომპოზიციის შედარებით მცირე მასშტაბის არეზე შინაარსობრივად და კომპოზიციურად გაერთიანება, ურთიერთმისადაგება. ამ მომცრო ზომის რელიეფურ კომპოზიციაში ფაქტობრივად განმეორებულია ის პრინციპი, რაც მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრის საფასადო შემკულობაში იქნა განხორციელებული, ოღონდაც რელიეფურ სახეთა სხვადასხვა (აღმოსავლეთ და სამხრეთ) ფასადებზე განფენა-განაწილების გზით. რუისის ტაძრის რელიეფზე ქტიტორები წარუდგებიან ერთი მხრივ ღმრთისმშობელს, ხოლო მეორე მხრივ – წმ. სტეფანე პირველმოწამეს და მეოხებას შესთხოვენ მეორედ მოსვლისას უფლის წინაშე. ამ ორ საქტიტორო ჯგუფს ერთგვარად იკრებს ცენტრალური, ბევრად დიდ მონაკვეთზე გაშლილი კომპოზიცია მაცხოვრისა და ანგელოზთა ფიგურებით. დაზიანების გამო არ გაირჩევა მფრინავ ანგელოზთა ატრიბუტები; ასევე უცნობი რჩება, ჰქონდათ თუ არა მათ ხელები ვედრებად უფლისკენ გაწვდილი, თუ მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთი ფასადის ქტიტორთა რელიეფების თავსართებზე წარმოდგენილ ანგელოზთა დარად,[52] ისინიც საყვირებით ხელში იყვნენ გამოსახულნი.

რელიეფის ზედაპირის დაზიანების გამო ძნელია რაიმეს თქმა ფიგურათა სამოსისა და სხეულის დამუშავებაზე, თუმცა ერთი ნათელია: როგორც ჩანს, ფიგურათა პროპორციები რამდენადმე დარღვეულია – მაგალითად, ტანთან შედარებით მომცროა ფეხის ტერფები, ფიგურათა ნაწილს აქვს ტანთან შედარებით შეუსაბამოდ დიდი ან პატარა თავი.

ცრუსახელოებიანი, წელზე მომდგარი და ქობისკენ გაგანიერებული სამოსის განხილვისას ნ. ჩოფიკაშვილი რუისის საკათედრო ტაძრის ტიმპანის მარ-

---

[52] ირინე ნიკოლეიშვილი, „სხიერის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელი“, *არქიტექტურული მემკვიდრეობა*, I (2001), 123.

ცხენა ნაწილში წარმოდგენილ მამაკაცის სამოსს VII საუკუნეს აკუთვნებს,[53] იმავე პერიოდს ასახელებს გ. აბრამიშვილიც ატენის სიონის რელიეფებთან დაკავშირებით.[54]

რუისის ეკლესიის სამხრეთი ეკვდერის ტიმპანი თემის შერჩევით, მისი იკონოგრაფიული გადაწყვეტით, ცალკეულ ფიგურათა (ქტიტორთა) დაყენებით, კომპოზიციის ზოგადი აგებით ახლოს დგას ადრეული ხანის – VI-VII საუკუნეების ნიმუშებთან, ხოლო რიგი აქ ჩენილი სხვა ნიშნებისა, კერძოდ კომპოზიციების მრავალფიგურიანობა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება, კომპოზიციების აგება და ჩარჩოსთან მიმართება, ავლენს იმ ნიშნებს, რაც ძირითადად დამახასიათებელია VIII-IX საუკუნეების ქართული ქვაზე კვეთილობისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ რუისის ტაძრის ტიმპანის რელიეფი VII-VIII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი.

Tympanum Relief of the Cathedral Church of the Transfiguration in Ruisi

Nato Chitishvili

Summary

Transfiguration Cathedral stands in the centre of the village Ruisi. During the centuries, the building underwent a large number of repairs and restorations. Among the numerous layers belonging to different periods, tympanum stone is notable, which is placed above the south chapel door leading from west to east. It seems that this stone has been used again in the church that was rebuilt in VIII-IX centuries.

There are three different compositions in the tympanum stone, which are separated from each other only by vertical scratched lines. There is a composition of the Christ in Glory represented in the middle section. In the left bottom corner of the tympanum a scene with three figures are displayed. A haloed saint Man in a long chiton is featured in the centre of the composition. According to the iconography, as well as the widespread tradition of selecting helper saints in Donor compositions of early Middle Ages, most

[53] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი VI-XIV სს.*, 13.

[54] გურამ აბრამიშვილი, „ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი)“, *საბჭოთა ხელოვნება*, 9 (1965), 70.

anticipated is to find Holy Protomartyr and Archdeacon Stephen's image here. There is a figure of a man on each side of the Saint who are presumably the father and the son. St. Stephen was particularly worshiped in Christian East from early period where he was regarded as a Royal Patron. At the same time, in the Christian West he was considered as a patron of stone masons due to the form of the demise of his martyrdom. St. Stephen worship tradition, which is manifested in Georgia for centuries in many ways, is the subject of particular discussions. It is noteworthy that all this still seems to be related to the Sources of the Conversion of Kartli. No less important is the fact that St. Stephen was also a patron of the *erismtavari* of Kartli. On the right side of the composition of Christ in Glory there is the Virgin with a Child, with a man kneeled on her right side and directing to her in three-quarters.

Relief of Ruisi tympanum is close to the samples of early period, namely of VI-VII centuries according to its subject selection, its iconographic decision, installing separate figures, general building up of composition. And the number of other signs given here, namely large quantity of figures in compositions, their connection with each other, structure of compositions and relation with frames reveals the signs, which is mainly characteristic for Georgian stone engraving of VIII-IX centuries. Based on all the above mentioned, it is presumable that the relief of tympanum of Ruisi church was made in VII-VIII centuries.

1

2



სურ. 1 რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი. საერთო ხედი ჩრდილოეთიდან. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

სურ. 2 რუისის ფერისცვალების ეკლესია. გეგმა.

3

4



სურ. 3 რუისის ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთი ეკვდერის ტიმპანი. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

სურ. 4 რუისის ფერისცვალების ეკლესიის სამხრეთი ეკვდერის ტიმპანი. ნ. ჩაკვეტაძის სქემა.

5

6

სურ. 5 რუისის ფერისცვალების ეკლესიის ტიმპანი. სავარაუდოდ წმ. სტეფანეს წინაშე წარმდგარი ორი ისტორიული პირი. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

სურ. 6 მცხეთის წმ. ჯვრის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. მაცხოვრისადმი ვედრებად წარმდგარი ერისმთავარი სტეფანოზ I. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტო.

7

8

სურ. 7 ატენის სიონი. ჩრდილოეთი ფასადის შვერილის შუა წახნაგი. წმ. სტეფანე და უცნობი ისტორიული პირი. VII ს. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

სურ. 8 მცხეთის წმ. ჯვრის ეკლესია. სამხრეთი ფასადი. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

9

სურ. 9 კატაულას სტელა. წმ. სტეფანე. ნ. ჩიტიშვილის ფოტო.

სურ. 10 ატენის სიონი. დასავლეთი ფასადი. წმ. სტეფანე და ორი უცნობი ისტორიული პირი. X ს. ნ. ჩიტიშვილის ფოტო.

10



11

12

სურ. 11 რუისის ფერისცვალების ეკლესიის ტიმპანი. ღმრთისმშობლის წინაშე წარმდგარი უცნობი ისტორიული პირი. ნ. ჩაკვეტაძის ფოტო.

სურ. 12 მცხეთის წმ. ჯვრის ეკლესია. სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთი ნიშა. ნ. ჩიტიშვილის ფოტო.

XI

In memoriam მერი ანთაძე (ჩადუნელი) (ქართულ-ოსმალური და ქართულ-არაბული ნუმიზმატიკური კავშირების კვლევის ისტორიისათვის)

ირაკლი ფაღავა, მაია პატარიძე

მერი ანთაძე დაიბადა 1933 წლის 1 ნოემბერს, გარდაიცვალა 2013 წლის 9 ივნისს.[1] შუალედი თითქმის 80 წელს მოითვლის. შვილი, მეუღლე, მშობელი, მეგობარი, კოლეგა, თავისი ქვეყნისა და ერის პატრიოტი, მეცნიერი – მერი ანთაძე ჩვენთან აღარ არის. მაგრამ მკვლევარი ერთი, დამსახურებული პრივილეგიით სარგებლობს – მისი პიროვნების ნაწილი სამუდამოდ რჩება აღბეჭდილი მის ნაშრომებში; გავა წლები, ამქვეყნიერებას დატოვებენ ისინი, ვინც ქალბატონ მერის პირადად იცნობდა, მაგრამ მისი პუბლიკაციები კვლავინდებურად ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, ვისაც კი საქართველოსა და რეგიონის ისტორია აინტერესებს.

არ ვაპირებთ მერი ანთაძის პიროვნების ყველა წახნაგის გახსენებას; ამას ვერც შევძლებდით – ჩვენი მიზანი შეუდარებლად უფრო მოკრძალებულია: ვეცადეთ თავი მოგვეყარა მერი ანთაძის (ჩადუნელის) ნაშრომებისთვის და შეგვედგინა მათი ბიბლიოგრაფია. მერი ანთაძის სამეცნიერო ამაგის ხაზგასმა, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის ანალიზი – ეს არის ჩვენი ვალი განსვენებული მეცნიერის წინაშე.

მოკლედ შევეხებით განვლილ ცხოვრებისეულ გზას. 1952-57 წლებში მერი ანთაძე სწავლობდა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1957 წელს მიენიჭა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსის, საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. დასაწყისში მაინც, მკვლევარი არ იფარგლებოდა მხოლოდ ნუმიზმატიკით – 1963 წელს მან მიიღო მონაწილეობა ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მუშაობაში, ჯრუჭულას გამოქვაბულში (ხელმძღვანელი დავით თუშაბრამიშვილი).

თუმცა, 1962 წლისთვის უკვე გამოიკვეთა მერი ანთაძის, როგორც

---

[1] ბიოგრაფიული ხასიათის ცნობების წყაროა *საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი, მერი ანთაძე-ჩადუნელის პირადი საქმე.*

მეცნიერის, სამომავლო გზა; ამ დროიდან და დღემდე სიკვდილისა, პრაქტიკულად შეუწყვეტლად, ის მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ნუმიზმატიკურ განყოფილებაში (ბოლო წლებში – ევროპული და რუსული მონეტების ფონდის კურატორად[2]). მის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ორმა ადამიანმა: ქართული ნუმიზმატიკის კორიფემ – დავით კაპანაძემ, და ერმიტაჟში მოღვაწე ისეთმა სახელოვანმა მეცნიერმა, როგორიც იყო ალექსეი ბიკოვი[3]. აქვე ვახსენებთ, რომ დღევანდელი სანკტ-პეტერბურგის გარდა, მ. ანთაძეს უმუშავია მოსკოვის, ბაქოსა და ერევნის მუზეუმების ნუმიზმატიკურ ფონდებშიც. უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შენახული საჯარო კოლექციებიც: 1967 წელს ეწვია ბათუმის, ბორჯომის, ცხინვალისა და ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს. არ ერიდებოდა საველე სამუშაოსაც – 1964-65 წლებში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი გახლდათ (ხელმძღვანელი ვახტანგ ჯაფარიძე).

მერი ანთაძე ბატონ აკაკი ჩადუნელზე იყო გათხოვილი და პროფესიაზე არა ნაკლებს ოჯახზე ზრუნავდა: წყვილს ორი ქალიშვილი შეეძინა (ლელა და ნანა). ამ პირადი ხასიათის გარემოებას ბიობიბლიოგრაფიული მოსაზრებებით ვეხებით: საქმე იმაშია, რომ 1969 წლის 15 თებერვალს მერი *ანთაძე* მეუღლის გვარზე გადავიდა და მერი *ჩადუნელი* გახდა. მიუხედავად ამისა, თავის შრომებს ის მაინც ქალიშვილობის გვარით აქვეყნებდა. თუმცა კი, ბოლო წლებში აზრი შეიცვალა და სამეცნიერო მოღვაწეობა ქმრის გვარით გააგრძელა (რაც აისახა კიდევაც ქვემოთ მოყვანილ შრომების სიაშიც).

მერი ანთაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა თოთხმეტიოდე ნაშრომს ითვლის, მაგრამ თითოეული მათგანი პროფესიონალის მიერ ნუმიზმატიკური მასალის ჯეროვანი გააზრების შედეგია და დახვეწილ ტექსტს წარმოადგენს. მათი სამეცნიერო მნიშვნელობა საგულისხმოა.

მერი ანთაძემ თავდაპირველად ქართულ-ოსმალური ნუმიზმატიკური კავშირების კვლევას მიჰყო ხელი. ცხოვრების მეტი ნაწილის განმავლობაში სწორედ ამ დარგში აგრძელებდა მუშაობას. ვიწრო სპეციალიზაცია, ჩვენი აზრით, ერთგვარად ზღუდავდა კიდევაც პატივცემულ მკვლევარს, მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რაიმე კონკრეტულ თემაზე

---

[2] არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მხარდაჭერა, რომელსაც გრძნობდა მერი ანთაძე თავისი კოლეგა-ნუმიზმატებისგან (და თავის მხრივაც, არ იშურებდა მათთვის). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ-ნი თინათინ ქუთელია.

[3] 1965 წელს მ. ანთაძე მიავლინეს ლენინგრადში, ერმიტაჟში დაცული აღმოსავლური მონეტების გასაცნობად, სადაც მას ხელმძღვანელობას სწორედ ხსენებული რუსი მკვლევარი უწევდა.

კონცენტრაციას, ჩვეულებრივ, შედეგი მოაქვს. და მართლაც, 1977 წელს მერი ანთაძის სამეცნიერო მოღვაწეობამ ლოგიკური და დამსახურებული შედეგი გამოიღო: მეცნიერმა მიიღო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (მისი ნაშრომი XV-XVIII სს. საქართველოში ოსმალური მონეტების მიმოქცევას ეხებოდა).

რამდენადმე უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მერი ანთაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მერი ანთაძე პირველი ქართველი მკვლევარი იყო, ვინც მიაქცია ყურადღება ოსმალების მიერ მონეტის გამოშვების ფაქტს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ცენტრში, როგორიც იყო არტანუჯი. ამრიგად, საფასის გამომშვებ ქართულ ცენტრებს კიდევ ერთი დაემატა. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის შედარებით გვიანდელ პერიოდში მერი ანთაძე ნუმიზმატიკური ისტორიის სხვა სფეროებსაც შეეხო, თუმცა კი, თავის საყვარელ ოსმალურ მონეტებს ბოლომდე ვერ შეელია. უკვე 2000-იან წლებში პატივცემულმა მკვლევარმა არტანუჯის ზარაფხანას ცალკე სტატია მიუძღვნა, რომელშიც შეეხო იქ მოჭრილი როგორც ვერცხლის, ასევე ოქროს მონეტებსაც.

მკვლევრის ყურადღების ცენტრში თბილისში, ქართლის ოსმალური ოკუპაციის პერიოდში მოჭრილი ოსმალური ოქროს მონეტებიც მოექცა. საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი მმართველებისა თუ უცხოელი დამპყრობლების მიერ მოჭრილი ოქროს საფასე, საზოგადოდ, დიდ იშვიათობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა შემონახული უიშვიათესი ცალების შესწავლა-პუბლიკაციას.

მერი ანთაძე *გიუმიუშხანეს* მონეტებსაც შეეხო – ეს ზარაფხანა ისტორიულ ლაზეთში მდებარეობდა და მისი ნაწარმი, რომელიც, საზოგადოდ, დიდ იშვიათობას წარმოადგენს, უშუალო კავშირშია ქართველი ერის ნუმიზმატიკურ ისტორიასთან.

ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა ეპოქაში ფულადი მიმოქცევის სურათის აღსადგენად მიმართული გაბედული კონცეფციების აგება ზოგჯერ მცირედი ნუმიზმატიკური აღმოჩენების წინასწარ პუბლიკაციასა და ამ უკანასკნელთა შეჯერებას ეფუძნება. საერთო სურათი შეიძლება ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, მაგრამ ნუმიზმატიკური მოზაიკის ცალკეული ფრაგმენტების შეგროვება-ანალიზი ძალიან სკრუპულოზურ და შრომატევად, ბევრისთვის მოსაწყენ, შრომას საჭიროებს. ცალკეული, როგორც წესი, უკვე კარგად აღწერილი და, ამრიგად, ასე ვთქვათ, უინტერესო მონეტების ნუმიზმატიკურ ფიქსაციაზე და მიღებული ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებაზე დიდძალი დრო იხარჯება, შედეგი კი – როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზაიკის ერთ-ერთ (მრავალთაგან) ფრაგმენტსღა თუ შეადგენს.

მაგრამ, ჭეშმარიტი მეცნიერის ამაგიც, ჩვენი აზრით, სწორედ იმაშია, რომ შემდგომი კვლევისთვის სამეცნიერო ფუნდამენტი შეუმზადოს თავის თავსაც და მკვლევართა მომდევნო თაობებსაც. აღნიშნული სამეცნიერო უანგარობა მერი ანთაძეს ნამდვილად ახასიათებდა.

საქართველოში აღმოჩენილი ოსმალური მონეტების ცალკეული განძების (მურჯახეთის, ლეხურას, მანდაეთის, ჯიხანჯირის) აღწერისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ცალ-ცალკე არ იძლევა კარდინალური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას, მაგრამ ერთმანეთთან და უკვე გამოქვეყნებულ სხვა ინფორმაციასთან შეჯერებისას ისინი სარწმუნოდ გვიხატავს ქვეყნის სამონეტო მიმოქცევაში ოსმალური საფასის როლს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ოსმალებთან ქართველი ერის ურთიერთკავშირის ნიუანსების კვლევისათვის. ამ მიმართულებით გაწეული ჯაფა ქალბატონ მერის, ალბათ, საუკეთესო ნაშრომში გადაიზარდა – ვგულისხმობთ მის კარგად ცნობილს წიგნს *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით* (1982).

უნდა ითქვას, რომ ახალი სამონეტო მასალა მერი ანთაძისეული ინტერპრეტაციების ნაწილობრივი გადასინჯვის შესაძლებლობას იძლევა.[4] ამასთანავე, აშკარაა, რომ სწორედ მერი ანთაძის შრომები წარმოადგენს იმ შუქურას, რომელიც გზას უნათებს ყველას, ვისაც კი ქართულ-ოსმალური ნუმიზმატიკური კავშირები იტაცებს.

მკვლევრის სამეცნიერო ინტერესები არ შემოიფარგლებოდა ოსმალთა სახელმწიფოსთან საქართველოს ნუმიზმატიკური კავშირების კვლევით. მ. ანთაძე საზოგადოდ, ანატოლიური სამონეტო მემკვიდრეობით იყო დაინტერესებული. კერძოდ, მისი ყურადღების ცენტრში მოხვდა რუმის სელჩუკების ფული, რომელიც ფართოდ ტრიალებდა XIII საუკუნის საქართველოში. მერი ანთაძის კალამს (მაია პატარიძესთან თანაავტორობაში) ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი „რუმის სელჩუკების ფული საქართველოში“, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის მდიდარი კოლექციის საფუძველზე შეიქმნა. წიგნის ხელნაწერი მზად არის გამოსაცემად და, როდესაც ეს მოხდება, მერი ანთაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა კიდევ ერთი მონოგრაფიით შეივსება.

არ შეიძლება აგრეთვე არ გავიხსენოთ მ. ანთაძის წვლილი თბილისის ამირა ჯა'ფარიანების ნუმიზმატიკური ისტორიის კვლევის საქმეშიც. ვგულისხმობთ მის ცნობილ სტატიას 'ალი ბ. ჯა'ფარის მონეტების (ადრეული XI საუკუნე)

---

[4] ირაკლი ფაღავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით“, *კონსტანტინე ფაღავა 90*, რედ. ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე (თბილისი, 2012), 128-44.

ქვახვრელის განძზე. ამ ნაშრომის მნიშვნელობა დიდია. მ. ანთაძის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი განძი ცხადყოფს, რომ ჯა'ფარიანთა მონეტები თავისუფლად ტოვებდა უკვე დაკნინებული თბილისის საამიროს ტერიტორიას და საქართველოს დანარჩენი (საამიროს მომიჯნავე) მიწების ფულად მიმოქცევაშიც ერთვებოდა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია XI-XII სს. მიჯნის ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გასარკვევად.

საინტერესო მონაპოვრად გვეჩვენება სულ რაღაც ორი წლის წინ მკვლევრის მიერ აბასიანთა დირჰემების *წაქვას განძის* გამოქვეყნებაც. იმერეთში ნაპოვნი ეს მონეტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქუფური საფასე, აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, ქვეყნის დასავლეთ მხარეებშიც მიმოიქცეოდა.

მერი ანთაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვას დავასრულებთ აღნიშვნით, რომ განსვენებული, როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის (იქამდე ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმის) ნუმიზმატიკური უჯრედის თანამშრომელიც იყო და, ათწლეულების განმავლობაში, შეუმჩნევლად და უმწიკვლოდ ეწეოდა მუზეუმის მუშაკის ხშირად დაუფასებელ, მაგრამ ეროვნული საგანძურის შესანახად და საკვლევად შეუცვლელ მოღვაწეობას. ამას კი, ბუნებრივია, მეცნიერის დრო ეწირებოდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში არც ჯანმრთელობა უწყობდა ხელს. ამას დაემატა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ, ყველაზე მძიმე, წლებში კვლევითი მუშაობის სირთულეები. მით უფრო დასაფასებელია ის, რისი შექმნაც დასცალდა.

მაინც ვერ შევიკავებთ თავს პირადულისაგან: მერი ანთაძე არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანებს, ვინც უცნობს ბრმად ენდობა. მაგრამ უცხოს უკეთ გაცნობის, ერთგვარი გამოცდის შემდეგ, ახალგაზრდა კოლეგისათვის ქალბატონი მერი არ იშურებდა არც დროს, არც ძალისხმევას. ამ მოკლე ტექსტის ორივე ავტორს ქონდა პატივი და ბედნიერება, ქალბატონ მერის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა გამოეცადა. მადლიერების ეს გრძნობა ყოველთვის თან გაგვყვება.

დასასრულს, მოვიყვანთ მერი ანთაძის სამეცნიერო ნაშრომთა სრულ (რამდენადაც მოძიება შევძელით) სიას – როგორც მონოგრაფიების, ასევე სტატიების ჩამონათვალი ქრონოლოგიურად არის დაწყობილი.

მონოგრაფიები

1. Антадзе М. Обращение турецких монет в Грузии в XV-XVIII вв. (историко-нумизматическое исследование). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1977
2. ანთაძე მერი. *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით.* თბილისი, 1982
3. ანთაძე მერი. (თანაავტორთა კოლექტივთან ერთად). *ფული საქართველოში.* თბილისი, 2003
4. ჩადუნელი მერი, პატარიძე მაია. *რუმის სელჩუკების ფული საქართველოში* (ხელნაწერი).

სტატიები

1. ანთაძე მერი. გიუმიშხანეში მოჭრილი იშვიათი თურქული მონეტები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXVII-B (1967), 195-201.
2. ანთაძე მერი. თურქული მონეტების მურჯახეთის განძი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXVIII-B (1969), 132-148.
3. ანთაძე მერი. თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა. *ძეგლის მეგობარი*, 23 (1970), 29-30.
4. Антадзе М., Кебуладзе Р. Клад золотых монет из Лехурского ущелья. *Нумизматика и эпиграфика*, IX (1971), 127-132.
5. ანთაძე მერი. მანდაეთის განძი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXV-B (1981), 78-83.
6. ანთაძე მერი. ჯიხანჯირის თურქული მონეტების განძი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXV-B (1981), 110-112.
7. ანთაძე მერი. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოსმალური მონეტები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXVII-B (1984), 71-77.
8. ანთაძე მერი. ქვახვრელის განძი. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXVIII-B (1986), 121-125.
9. ანთაძე მერი. არტანუჯის ზარაფხანა. *ფიროსმანი*, 4 (2008), 53-55.
10. ჩადუნელი მერი, ქორიძე მარიამი. წაქვას განძი. *ეროვნული მუზეუმის მოამბე*, II (2011), 260-269.

მხედარი

ტირაჟი 200 ცალი

გამომცემლობა „მხედარი“
mkhedari@mkhedari.ge